ი. სტალინი

თხზულებანი

12

იგეჭდება
საქართველოს
კომუნისტური პარტიის
(ბოლშევიკების)
ცენტრალური კომიტეტის
დადგენილებით

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

ИНСТИТУТ МАРКСА—ЭНГЕЛЬСА—ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

И.В. СТАЛИН

СОЧИНЕНИЯ

★

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
Москва · 1949

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სსრკ კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ი. ბ. სტალინი

თხზულებანი

★

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
თბილისი . 1950

ი.ბ.სტალინი

ტომი

12

აპრილი 1929–ივნისი 1930

წინასიტყვაობა

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეთორმეტე ტომში შედის 1929 წლის აპრილიდან 1930 წლის ივნისამდე დაწერილი ნაწარმოებები.

ამ პერიოდში ბოლშევიკური პარტია აჩაღებს სოციალიზმის საერთო შეტევას მთელ ფრონტზე, რაზმავს მუშათა კლასსა და გლეხობის მშრომელ მასებს სოციალიზმის ბაზაზე მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის საბრძოლველად, პირველი ხუთწლედის გეგმის შესრულებისათვის საბრძოლველად. ბოლშევიკური პარტია ახორციელებს ერთ-ერთ გადამწყვეტ შემობრუნებას პოლიტიკაში — კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკიდან მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე გადასვლას. პარტია წყვეტს ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ პროლეტარული რევოლუციის უძნელეს ისტორიულ ამოცანას — მილიონობით ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის გადაყვანას კოლმეურნეობათა გზაზე, სოციალიზმის გზაზე.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სკონტროლო კომისიის აპრილის პლენუმზე (1929 წ.) წარმოთქმულ სიტყვაში «მემარჯვენე გადახრის

შესახებ საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ)», რაც ამ ტომში პირველად ქვეყნდება სრულად, ი. ბ. სტალინი იძლევა იმ კლასობრივი ძვრების ანალიზს, რომლებიც მოხდა სსრ კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებში, აღნიშნავს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გაძლიერებულ შეტევას ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე და ამასთან დაკავშირებულ კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას. ი. ბ. სტალინი ცხადყოფს კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის რყევას, კაპიტალისტურ ქვეყნებში რევოლუციური აღმავლობის ელემენტების ზრდას და ასაბუთებს კომპარტიებში მემარჯვენე ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობას.

ი. ბ. სტალინი ამხილებს ბუხარინის ჯგუფის ანტიპარტიულ ფრაქციულ საქმიანობას, მის თვალთმაქცობას, მის ფარულ მოლაპარაკებას ტროცკისტებთან პარტიის წინააღმდეგ ბლოკის მოწყობის მიზნით.

ი. ბ. სტალინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მემარჯვენე გადაბრა და მასთან შემარიგებლობა წარმოადგენს მთავარ საფრთხეს ამ პერიოდში, ამხილებს მემარჯვენე კაპიტულანტებს, როგორც ლენინიზმის მტრებს, როგორც კულაკობის აგენტურას, ააშკარავებს სოციალიზმში კულაკების მშვიდობიანი შეზრდის მემარჯვენე-ოპორტუნისტული «თეორიის» ლიბერალურ-ბურჟუაზიულ, ანტირევოლუციურ არსს. ბუხარინული ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში ი. ბ. სტალინი ავითარებს ლენინურ დებულებას პროლეტარიატის სასტიკი კლასობრივი ბრძოლის გზით ექსპლოატატორული კლასების მოსპობის შესახებ. ი. ბ. სტალინი გვიჩვენებს, რომ მემარჯვენე კაპიტულანტების ოპორტუნისტული ხაზი კლასობრივი ბრძოლის საკითხებში დაკავშირებულია ბუხარინის ანტილენინურ შეცდომებთან სახელმწიფოს თეორიის საკითხებში.

მემარჯვენე ოპორტუნისტებთან ბრძოლაში ი. ბ. სტალინი იცავს და ავითარებს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას სახელმწიფოზე და პროლეტარიატის დიქტატურაზე.

სტატიაში «შეჯიბრება და მასების შრომითი აღმავლობა» ი. ბ. სტალინი სოციალისტურ შეჯიბრებას განსაზღვრავს, როგორც სოციალიზმის მშენებლობის კომუნისტურ მეთოდს, როგორც ბერკეტს, რომლის საშუალებითაც მშრომელები მოწოდებული არიან გარდაქმნან ჩვენი ქვეყნის მთელი სამეურნეო და კულტურული ცხოვრება სოციალიზმის ბაზაზე.

სტატიაში «დიადი გარდატეხის წელი» ი. ბ. სტალინი 1929 წელს აფასებს, როგორც დიად მიღწევათა წელს სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე: შრომის ნაყოფიერების დარგში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშენებლობაში. აღნიშნავს რა საკოლმეურნეო მოძრაობის წარმატებებს, ი. ბ. სტალინი გვიჩვენებს, რომ კოლმეურნეობებისაკენ დაიძრა გლეხობის ძირითადი მასა — საშუალო გლეხობა, რომ სოციალიზმის გზაზე ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის გადასვლასთან დაკავშირებით ჩვენს ქვეყანაში ისპობა კაპიტალიზმის აღდგენის უკანასკნელი წყაროები.

ვ. ი. ლენინის კოოპერაციულ გეგმაზე დაყრდნობით ი. ბ. სტალინი იმუშავებს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის თეორიას და გვიჩვენებს მისი განხორციელების პრაქტიკულ გზებს.

სიტყვაში «აგრარული პოლიტიკის საკითხებისათვის სსრ კავშირში» ი. ბ. სტალინი ამხილებს სოციალისტურ მშენებლობაში «წონასწორობის», «თვითდინების», წვრილი გლეხური მეურნეობის «გამძლეობის» ბურჟუაზიულ და მემარჯვენე-ოპორტუნისტულ თეორიებს, ცხადყოფს მიწათმოქმედებაში მსხვილი, კოლექტიური მეურნეობის უპირატესო-

ბებს. ი. ბ. სტალინი კოლმეურნეობათა ბუნებას განსაზღვრავს, როგორც მეურნეობის სოციალისტურ ფორმას, და ასაბუთებს სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვისა და განდევნის პოლიტიკიდან მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკისაკენ მობრუნებას.

ნაშრომებში «თავბრუდახვევა წარმატებებისაგან», «პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს» და სხვა ნაწარმოებებში ი. ბ. სტალინი ამხილებს საკოლმეურნეო მშენებლობაში პარტიული ხაზის «მემარცხენულ» დამახინჯებებს, სახავს მათი გამოსწორების გზებს და აღნიშნავს, რომ თანამედროვე ეტაპზე საკოლმეურნეო მოძრაობაში ძირითადი და მთავარი რგოლია სასოფლო-სამეურნეო არტელი.

ტომში იბეჭდება «ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობას», რომელშიც ი. ბ. სტალინი იძლევა მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისის ღრმა ანალიზს, ააშკარავებს კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგობათა გამწვავებას. ახასიათებს რა სსრ კავშირისა და კაპიტალისტური სახელმწიფოების ურთიერთობას, ი. ბ. სტალინი საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს, როგორც მშვიდობის თანმიმდევრულ პოლიტიკას. ი. ბ. სტალინი ცხადყოფს სსრ კავშირში სახალხო მეურნეობის მზარდ აღმავლობას, მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობებს კაპიტალისტური სისტემის წინაშე, განსაზღვრავს მთელ ფრონტზე გაშლილი სოციალისტური შეტევის არსსა და ამოცანებს. რაზმავს რა პარტიას ნაციონალურ საკითხში გადახრების წინააღმდეგ საბრძოლველად, ი. ბ. სტალინი გვიჩვენებს, რომ სსრ კავშირში პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმის მშენებლობის პერიოდი არის ეროვნული კულტუ-

რების, შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურების აყვავების პერიოდი.

ტომში პირველად ქვეყნდება ი. ბ. სტალინის წერილები ფელიქს კონისადმი, ა. მ. გორკისადმი, ამხ. ბეზიმენსკისა და რაფაილისადმი.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი

მემარჯვენე ზადახრის შესახებ საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ)*

სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმზე 1929 წ. აპრილში [1]

(სტენოგრამა)

ამხანაგებო! მე არ შევეხები პირად მომენტს, თუმცა პირადი მომენტი ბუხარინის ჯგუფის მონაწილე ზოგიერთი ამხანაგის სიტყვებში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. არ შევეხები, ვინაიდან პირადი მომენტი წვრილმანია, ხოლო წვრილმანებზე შეჩერება არა ღირს. ბუხარინი ლაპარაკობდა პირად მიწერ-მოწერაზე ჩემთან. მან წაიკითხა რამდენიმე წერილი, რომლებიდანაც ჩანს, რომ ჩვენ, ჯერ კიდევ გუშინ პირად მეგობრებს, ახლა პოლიტიკაში ერთმანეთთან უთანხმოება გვაქვს. იგივე კილო გამოსჭვიოდა უგლანოვისა და ტომსკის სიტყვებში. ეს როგორ მოხდა: ჩვენ ძველი ბოლშევიკები ვართ, და ჩვენს შორის კი უთანხმოებაა, ერთმანეთის პატივისცემა არ ვიცითო.

მე ვფიქრობ, რომ მთელი ეს საყვედური და გოდება გახვრეტილ ფარად არა ღირს. ჩვენ ოჯახური წრე, პირად მეგობართა არტელი კი არა გვაქვს, არამედ მუშათა კლასის პოლიტიკური პარტია. არ შეიძლება დავუშვათ, რომ პირადი

* სიტყვაში აღდგენილია 30 გვერდზე მეტი ტექსტი, რაც თავის დროზე პრესაში არ გამოქვეყნებულა. რ ე დ.

მეგობრობის ინტერესებს საქმის ინტერესებზე მაღლა აყენებდნენ.

თუ ჩვენ მხოლოდ იმისათვის გვეწოდება ძველი ბოლშევიკები, რომ **ძველები** ვართ, ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე, ამხანაგებო. ძველი ბოლშევიკები იმიტომ კი არ სარგებლობენ პატივისცემით, რომ **ძველები** არიან, არამედ იმიტომ, რომ ამავე დროს ისინი მუდამ ახალი, დაუბერებელი რევოლუციონერები არიან. თუ ძველმა ბოლშევიკმა რევოლუციის გზას გადაუხვია ან მოეშვა და პოლიტიკურად გახუნდა, თუნდაც ასი წლისა იყოს, მას უფლება არა აქვს ძველ ბოლშევიკად იწოდებოდეს, უფლება არა აქვს პარტიისაგან პატივისცემას მოითხოვდეს.

შემდეგ, არ შეიძლება პირადი მეგობრობის საკითხები გავუთანაბროთ პოლიტიკის საკითხებს, ვინაიდან, როგორც იტყვიან, მეგობრობა სხვაა და სამსახური სხვა. ჩვენ ყველანი მუშათა კლასს ვემსახურებით, და თუ პირადი მეგობრობის ინტერესები რევოლუციის ინტერესებს არ ეთანხმება, მაშინ პირადი მეგობრობა განზე უნდა გადაიდოს. ჩვენ სხვანაირად ვერ დავაყენებთ საკითხს, როგორც ბოლშევიკები.

არც იმ გადაკრულ მითითებებსა და პირადი ხასიათის ფარულ ბრალდებებს შევეხები, რომლებითაც სავსე იყო ბუხარინული ოპოზიციის მონაწილე ამხანაგების სიტყვები. ამ ამხანაგებს, ეტყობა, სურთ გადაკრული მითითებებითა და მიკიბ-მოკიბვით დაფაროს ჩვენი უთანხმოების პოლიტიკური საფუძველი. მათ სურთ პოლიტიკანობით შეცვალონ პოლიტიკა. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია ტომსკის სიტყვა. მისი სიტყვა იყო ტიპიური სიტყვა ტრედუნიონისტი პოლიტიკანისა, რომელიც ცდილობს პოლიტიკანობით შეცვალოს პოლიტიკის საკითხები. მაგრამ ეს ფანდი არ გაუვათ.

გადავიდეთ საქმეზე.

I

ერთი თუ ორი ხაზი?

ერთი საერთო გენერალური ხაზი გვაქვს ჩვენ, თუ ორი ხაზი, — ეს არის ძირითადი საკითხი, ამხანაგებო.

რიკოვი აქ თავის სიტყვაში ამბობდა, გენერალური ხაზი ჩვენ ერთი გვაქვს, ხოლო თუ ზოგიერთი «უმნიშვნელო» უთანხმოება გვაქვს, ეს იმიტომ არის, რომ გენერალური ხაზის გაგებაში სხვადასხვა «ელფერი» არსებობსო.

მართალია თუ არა ეს? სამწუხაროდ, არ არის მართალი. და არა თუ მართალი არ არის, არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას. მართლაც, თუ ხაზი ერთი გვაქვს და მხოლოდ ელფერი განგვასხვავებს, მაშ რატომ იყო, რომ ბუხარინი დარბოდა გუშინდელ ტროცკისტებთან, კამენევის მეთაურობით, და ცდილობდა მოეწყო მათთან ფრაქციული ბლოკი ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს წინააღმდეგ? განა ფაქტი არ არის, რომ ბუხარინი იქ ლაპარაკობდა ცენტრალური კომიტეტის ხაზის «დამღუპველობაზე», პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ბუხარინის, ტომსკისა და რიკოვის პრინციპულ უთანხმოებაზე, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობის ძირფესვიანი შეცვლის აუცილებლობაზე?

თუ ხაზი ერთია, რატომ მოხდა, რომ ბუხარინი კონსპირაციულად უთანხმდებოდა გუშინდელ ტროცკისტებს ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ და რატომ უჭერდნენ მას მხარს ამ საქმეში რიკოვი და ტომსკი?

თუ გენერალური ხაზი ერთია, როგორ შეიძლება დავუშვათ, რომ პოლიტბიუროს ერთი ნაწილი, რომელიც ერთ საერთო გენერალურ ხაზს ემხრობა, ორმოს უთხრიდეს პოლიტბიუროს მეორე ნაწილს, რომელიც იმავე გენერალურ ხაზს ემხრობა?

განა შეიძლება დავუშვათ გადაფრენ-გადმოფრენის ასეთი პოლიტიკა, როცა ერთი საერთო გენერალური ხაზი არსებობს?

თუ ხაზი ერთია, საიდან გაჩნდა ბუხარინის 30 იანვრის დეკლარაცია, რომელიც მთლიანად და სავსებით მიმართულია ცენტრალური კომიტეტისა და მისი გენერალური ხაზის წინააღმდეგ?

თუ ხაზი ერთია, საიდან გაჩნდა სამეულის (ბუხარინის, რიკოვის, ტომსკის) 9 თებერვლის დეკლარაცია, რომელშიც პარტიას თავხედურად და უხეშ-ცილისმწამებლურად აბრალებენ: ა) გლეხობის სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაციის პოლიტიკას, ბ) ბიუროკრატიზმის დანერგვის პოლიტიკას, გ) კომინტერნის დაშლის პოლიტიკას?

იქნებ ეს დეკლარაციები ბუნებაში აღარ არსებობს? იქნებ ისინი, ეს დეკლარაციები, ახლა მცდარად ითვლება? იქნებ რიკოვი, ბუხარინი და ტომსკი თანახმა არიან უკან წაიღონ ეს უთუოდ მცდარი და ანტიპარტიული დეკლარაციები? მაშ პირდაპირ და პატიოსნად გვითხრან ეს. მაშინ ყველასათვის ნათელი იქნება, რომ ჩვენ ერთი ხაზი გვაქვს და მხოლოდ უმნიშვნელო ელფერი განგვასხვავებს. მაგრამ მათ ასე მოქცევა არ მოისურვეს, როგორც ბუხარინის, რიკოვისა და ტომსკის სიტყვებიდან ჩანს. და არა თუ ასე მოქცევა არ მოისურვეს, არამედ არც აპირებენ მომავალში ხელი აიღონ თავიანთ დეკლარაციებზე და აცხადებენ, რომ კვლავ იცავენ ამ დეკლარაციებში ჩამოყალიბებულ თავიანთ შეხედულებებს.

მაშ სადღაა ერთი საერთო გენერალური ხაზი?

თუ ხაზი ერთია, ხოლო პარტიის ხაზი, ბუხარინის ჯგუფის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ გლეხობის სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაციის პოლიტიკა გავატაროთ, ნუთუ ბუხარინს, რიკოვსა და ტომსკის სურთ კი არ ებრძო-

ლონ ამ დამღუპველ პოლიტიკას, არამედ ჩვენთან ერთად გაატარონ იგი? ეს ხომ რაღაც აბდაუბდაა.

თუ ხაზი ერთია, ხოლო პარტიის ხაზი, ბუხარინული ოპოზიციის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ ბიუროკრატიზმი დავნერგოთ, ნუთუ რიკოვს, ბუხარინსა და ტომსკის სურთ კი არ ებრძოლონ ბიუროკრატიზმს პარტიაში, არამედ ჩვენთან ერთად დანერგონ იგი? ეს ხომ რაღაც უაზრობაა.

თუ ხაზი ერთია, ხოლო პარტიის ხაზი, ბუხარინული ოპოზიციის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ კომინტერნში რღვევა შევიტანოთ, ნუთუ რიკოვს, ბუხარინსა და ტომსკის სურთ კი არ ებრძოლონ კომინტერნის დაშლის პოლიტიკას, არამედ ჩვენთან ერთად დაშალონ კომინტერნი? როგორ შეიძლება დავიჯეროთ ასეთი აბსურდი?

არა, ამხანაგებო, რიკოვის განცხადებაში, თითქოს ჩვენ ერთი საერთო ხაზი გვქონდეს, ყველაფერი რიგზე ვერ არის. რაც გნებავთ სთქვით, მაგრამ ერთი საერთო ხაზის საქმე არ გამოგიდით, თუ მხედველობაში მივიღებთ ეს-ეს არის გადმოცემულ ფაქტებს ბუხარინის ჯგუფის დეკლარაციებისა და მოქმედების სფეროდან.

თუ ხაზი ერთია, საიდან გაჩნდა გადადგომათა პოლიტიკა ბუხარინის, რიკოვისა და ტომსკის მხრივ? განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ საერთო გენერალური ხაზის არსებობისას პოლიტბიუროს ერთი ნაწილი სისტემატურად ამბობდეს უარს პარტიის ცენტრალური კომიტეტის არაერთგზის დადგენილებათა შესრულებაზე და ნახევარი წლის განმავლობაში განაგრძობდეს პარტიაში მუშაობისათვის საბოტაჟის გაწევას? საიდან გაჩნდა გადადგომათა ეს დეზორგანიზატორული პოლიტიკა, რომელსაც გულმოდგინედ ახორციელებს პოლიტბიუროს ერთი ნაწილი, თუ ჩვენ ნამდვილად ერთი საერთო გენერალური ხაზი გვაქვს?

ჩვენი პარტიის ისტორიას ახსოვს გადადგომათა პოლიტიკის მაგალითები. ცნობილია, მაგალითად, რომ ოქტომბრის რევოლუციის მეორე დღეს ამხანაგთა ერთმა ნაწილმა, კამენევისა და ზინოვიევის მეთაურობით, უარი თქვა მათთვის მინდობილ პოსტებზე და პარტიის პოლიტიკის შეცვლა მოითხოვა. ცნობილია, რომ გადადგომათა პოლიტიკას მაშინ ისინი იმ მოთხოვნით ასაბუთებდნენ, რომ შექმნილიყო კოალიციური მთავრობა მენშევიკებთან და ესერებთან ერთად, წინააღმდეგ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც წმინდა-ბოლშევიკური მთავრობის შექმნის პოლიტიკას ახორციელებდა. მაგრამ მაშინ გადადგომათა პოლიტიკას აზრი ჰქონდა, იმიტომ რომ ემყარებოდა ორი სხვადასხვა ხაზის არსებობას, რომელთაგან ერთი ხაზი მდგომარეობდა წმინდა-ბოლშევიკური მთავრობის შექმნაში, ხოლო მეორე ხაზი — მენშევიკებთან და ესერებთან ერთად კოალიციური მთავრობის შექმნაში. ეს ნათელი და გასაგები იყო. მაგრამ არავითარი, სრულიად არავითარი ლოგიკა არ არის იმაში, რომ ბუხარინული ოპოზიცია ერთი მხრივ გენერალური ხაზის ერთიანობას აცხადებს, ხოლო მეორე მხრივ ეწევა გადადგომათა პოლიტიკას, რაც ნასესხებია ოქტომბრის გადატრიალების პერიოდის ზინოვიევისა და კამენევისაგან.

ორში ერთი: ან ერთი ხაზი გვაქვს, — და მაშინ ბუხარინისა და მისი მეგობრების გადადგომათა პოლიტიკა გაუგებარია და არაფრით აიხსნება; ან ორი ხაზი გვაქვს, — და მაშინ გადადგომათა პოლიტიკა სავსებით გასაგებია და ადვილად აიხსნება.

თუ ხაზი ერთია, საიდან გამოვიდა ისეთი ფაქტი, რომ პოლიტბიუროს წევრთა სამეულმა, რიკოვმა, ბუხარინმა და ტომსკიმ, პოლიტბიუროში ხმის მიცემისას შესაძლებლად ჩათვალა **თავი შეეკავებინა** ხუთწლედზე და გლეხთა სა-

კითხზე ძირითადი თეზისების მიღებისას? განა ისე ხდება, რომ გენერალური ხაზი ადამიანებს ერთი ჰქონდეთ, ხოლო სამეურნეო პოლიტიკის ძირითად საკითხებზე ერთი ნაწილი ამხანაგებისა თავს იკავებდეს კენჭისყრაში? არა, ამხანაგებო, ჩვეულებრივ ასეთი სასწაულები არ ხდება.

დასასრულ, თუ ხაზი ერთია და ჩვენ მხოლოდ ელფერი განგვასხვავებს, რატომ არ დათანხმდნენ ბუხარინული ოპოზიციის მონაწილე ამხანაგები, ბუხარინი, რიკოვი და ტომსკი, მიეღოთ პოლიტბიუროს კომისიის კომპრომისი, რაც მათ ამა წლის 7 თებერვალს შევთავაზეთ? განა ფაქტი არ არის, რომ ეს კომპრომისი ბუხარინის ჯგუფს აძლევდა სავსებით მისაღებ გამოსავალს იმ ჩიხიდან, რომელშიც მან თვითონ მოიმწყვდია თავი?

აი ტექსტი ამ კომპრომისისა, რომელიც ამა წლის **7 თებერვალს** შესთავაზა მათ ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობამ:

«კომისიაში აზრთა გაცვლა-გამოცვლით გამოირკვა, რომ:

1) ბუხარინი პოლიტიკურ შეცდომად აღიარებს კამენევთან მოლაპარაკებას;

2) ბუხარინი აღიარებს, რომ მტკიცებანი მისი 1929 წლის 30 იანვრის «განცხადებისა» იმის შესახებ, რომ ცენტრალური კომიტეტი სინამდვილეში ახორციელებს «გლეხობის სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაციის» პოლიტიკას, რომ ცენტრალური კომიტეტი კომინტერნს შლის და პარტიაში ბიუროკრატიზმს ნერგავს, — მთელი ეს მტკიცებანი მის მიერ ნათქვამია გაცხარების დროს, პოლემიკით გატაცებისას, რომ იგი აღარ იცავს ამ მტკიცებას და მიაჩნია, რომ ცენტრალურ კომიტეტთან ამ საკითხებში მას უთანხმოება არა აქვს;

3) ბუხარინი ამის საფუძველზე აღიარებს, რომ შესაძლებელი და აუცილებელია ერთსულოვანი მუშაობა პოლიტბიუროში;

4) ბუხარინი უარს ამბობს გადადგომაზე როგორც «პრავდის» ხაზით, ისე კომინტერნის ხაზით;

5) ბუხარინი ამის გამო ხსნის თავის 30 იანვრის განცხადებას.

აღნიშნულის საფუძველზე კომისიას შესაძლებლად მიაჩნია არ შეიტანოს პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის

პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე თავისი პროექტი რეზოლუციისა ბუხარინის შეცდომების პოლიტიკური შეფასებით და წინადადებას აძლევს პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომას — ხმარებიდან ამოიღოს ყველა არსებული დოკუმენტი (სიტყვათა სტენოგრამები და სხვ.).

კომისია წინადადებას აძლევს პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმს უზრუნველყონ ბუხარინისათვის ყველა ის პირობა, რაც აუცილებელია მისი ნორმალური მუშაობისათვის «პრავდის» პასუხისმგებელი რედაქტორისა და კომინტერნის აღმასკომის მდივნის პოსტებზე».

რატომ უარყვეს ბუხარინმა და მისმა მეგობრებმა ეს კომპრომისი, თუ ჩვენ მართლაც ერთი ხაზი გვაქვს და მხოლოდ უმნიშვნელო ელფერი განგვასხვავებს? განა ძნელი გასაგებია, რომ ბუხარინი და მისი მეგობრები მთელი ძალღონით უნდა ჩასჭიდებოდნენ პოლიტბიუროს მიერ მათთვის შეთავაზებულ ამ კომპრომისს, რათა ამით ბოლო მოეღოთ შინაპარტიული მდგომარეობის სიმწვავისათვის და შეექმნათ პოლიტბიუროში ერთსულოვანი და მწყობრი მუშაობის ვითარება?

ლაპარაკობენ პარტიის ერთიანობაზე, პოლიტბიუროში კოლეგიურ მუშაობაზე. მაგრამ განა ცხადი არ არის, რომ ვისაც ნამდვილი ერთიანობა სურს და მუშაობის კოლეგიურობას აფასებს, მას უნდა მიეღო ასეთი კომპრომისი? მაშ რატომ უარყვეს ბუხარინმა და მისმა მეგობრებმა ეს კომპრომისი?

განა ცხადი არ არის — ჩვენ რომ ერთი ხაზი გვქონოდა, მაშინ აღარ იქნებოდა არც სამეულის 9 თებერვლის დეკლარაცია, არც ბუხარინისა და მისი მეგობრების უარი ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ მათთვის შეთავაზებულ კომპრომისზე?

არა, ამხანაგებო, ერთი საერთო ხაზის საქმე არ გამოგიდით, თუ მხედველობაში მივიღებთ ზემოთ მოყვანილ ფაქტებს.

გამოდის, რომ სინამდვილეში ჩვენ გვაქვს არა ერთი ხაზი, არამედ ორი ხაზი, რომელთაგან ერთი ხაზია ცენტრალური კომიტეტის ხაზი, ხოლო მეორე — ბუხარინის ჯგუფის ხაზი.

რიკოვმა თავის სიტყვაში ტყუილი თქვა, როცა განაცხადა, გენერალური ხაზი ერთი გვაქვსო. ამით მას სურდა შეენიღბა თავისი საკუთარი ხაზი, რომელიც პარტიის ხაზისაგან განსხვავდება, რათა ფარულად დაეწყო ძირგამომთხრელი მუშაობა პარტიის ხაზის წინააღმდეგ. ოპორტუნიზმის პოლიტიკა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მიჩქმალოს უთანხმოება, მიაფუჩეჩოს პარტიის შიგნით არსებული ნამდვილი მდგომარეობა, შენიღბოს თავისი საკუთარი პოზიცია და მოუსპოს პარტიას სრული სიცხადის მიღწევის შესაძლებლობა.

რისთვის სჭირდება ოპორტუნიზმს ასეთი პოლიტიკა? იმისათვის, რომ ამოეფაროს ლაყბობას ხაზის ერთიანობის შესახებ, სინამდვილეში კი გაატაროს თავისი საკუთარი ხაზი, რომელიც პარტიის ხაზისაგან განსხვავდება. თავის სიტყვაში ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ამ პლენუმზე რიკოვი ამ ოპორტუნისტულ თვალსაზრისს დაადგა.

ხომ არ გნებავთ მოისმინოთ საერთოდ ოპორტუნისტის დახასიათება, რაც ამხანაგმა ლენინმა მოგვცა თავის ერთერთ სტატიაში? იგი, ეს დახასიათება, მნიშვნელოვანია ჩვენთვის არა მარტო მისი საერთო მნიშვნელობის თვალსაზრისით, არამედ იმიტომაც, რომ იგი სავსებით შეეფერება რიკოვს.

აი რას ამბობს ლენინი ოპორტუნიზმისა და ოპორტუნისტების თავისებურებათა შესახებ:

«როდესაც ლაპარაკია ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე, არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ მთელი თანამედროვე ოპორტუნიზმის დამახასიათებელი თვისება ყველა და ყოველგვარ სფეროში: მისი გა-

ურკვევლობა, უსახობა, მოუხელებლობა. ოპორტუნისტი, მთელი თავისი ბუნებით, ყოველთვის გაურბის საკითხის გარკვეულად და მტკიცედ დასმას, ტოლჭმედ ხაზს ეძებს, ძლოკვივით იკლაკნება ერთიმეორის საწინააღმდეგო თვალსაზრისთა შორის, ცდილობს ერთსაც «დაეთანხმოს» და მეორესაც, თავის უთანხმოებას პატარა-პატარა შესწორებებად, ეჭვებად, კეთილ და გულუბრყვილო სურვილებად და სხვ. და სხვ. აქცევს» (ტ. VI, გვ. 320).

აი იგი, სახე ოპორტუნისტისა, რომელიც სიცხადესა და გარკვეულობას უფრთხის და ცდილობს მიჩქმალოს ნამდვილი ვითარება, მიაფუჩეჩოს პარტიაში არსებული ნამდვილი უთანხმოება.

დიახ, ამხანაგებო, უნდა შეგვეძლოს თვალი გავუსწოროთ სინამდვილეს, რა არასასიამოვნოც უნდა იყოს იგი. ღმერთმა ნუ ქნას, რომ სიმართლის შიშის სენი გადმოგვდებოდეს. ბოლშევიკები, სხვათა შორის, სწორედ იმით განსხვავდებიან ყოველი სხვა პარტიისაგან, რომ არ ეშინიათ სიმართლისა, არ ეშინიათ თვალი გაუსწორონ სიმართლეს, რა მწარეც უნდა იყოს იგი. ხოლო სიმართლე ამ შემთხვევაში ის არის, რომ სინამდვილეში ჩვენ ერთი საერთო ხაზი არა გვაქვს. არის ერთი ხაზი, პარტიის ხაზი, რევოლუციური, ლენინური ხაზი. მაგრამ ამის გვერდით არსებობს მეორე ხაზი, ბუხარინის ჯგუფის ხაზი, რომელიც ებრძვის პარტიის ხაზს ანტიპარტიული დეკლარაციების გზით, გადადგომათა გზით, პარტიაზე ცილისწამების გზით, პარტიის წინააღმდეგ შენიღბულად ორმოს თხრის გზით, ანტიპარტიული ბლოკის მოსაწყობად გუშინდელ ტროცკისტებთან ფარული მოლაპარაკების გზით. ეს მეორე ხაზი ოპორტუნისტული ხაზია.

აი ფაქტი, რომელსაც ვერ მიჩქმალავ ვერავითარი დიპლომატიური სიტყვებით, ვერავითარი ეშმაკური განცხადებებით ერთიანი ხაზის არსებობის შესახებ და სხვ. და ა. შ.

II

კლასობრივი ძვრები და ჩვენი უთანხმოებანი

რაში მდგომარეობს ჩვენი უთანხმოება, რასთან არის იგი დაკავშირებული?

იგი დაკავშირებულია უწინარეს ყოვლისა იმ კლასობრივი ძვრების საკითხთან, რომლებიც ამ ბოლო დროს ხდება ჩვენს ქვეყანაში და კაპიტალისტურ ქვეყნებში. ზოგიერთ ამხანაგს ჰგონია, რომ უთანხმოებას ჩვენს პარტიაში შემთხვევითი ხასიათი აქვს. ეს მართალი არ არის, ამხანაგებო. ეს სრულებით არ არის მართალი. უთანხმოება ჩვენს პარტიაში წარმოიშვა იმ კლასობრივი ძვრების ნიადაგზე, კლასობრივი ბრძოლის იმ გამწვავების ნიადაგზე, რომელიც ამ ბოლო დროს ხდება და რომელიც ქმნის გარდატეხას განვითარებაში.

ბუხარინის ჯგუფის მთავარი შეცდომა ის არის, რომ იგი ვერ ხედავს ამ ძვრებსა და ამ გარდატეხას, ვერ ხედავს და არ სურს შეამჩნიოს ისინი. სწორედ ამით აიხსნება პარტიისა და კომინტერნის ახალი ამოცანების ის გაუგებლობა, რაც ბუხარინული ოპოზიციის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს.

შეამჩნიეთ თუ არა, ამხანაგებო, რომ ბუხარინული ოპოზიციის ხელმძღვანელებმა თავიანთ სიტყვებში ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმზე სრულიად აუარეს გვერდი საკითხს ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი ძვრების შესახებ, ერთი სიტყვითაც არ მოიხსენიეს კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და კრინტიც არ დაუძრავთ იმაზე, რომ ჩვენი უთანხმოება დაკავშირებულია კლასობრივი ბრძოლის სწორედ ამ გამწვავებასთან? ისინი ლაპარაკობდნენ ყველაფერზე, ფილოსოფიაზეც, თეორიაზეც, მაგრამ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ იმ

კლასობრივი ძვრების შესახებ, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი პარტიის ორიენტაციასა და პრაქტიკას ამჟამად.

რით აიხსნება ეს უცნაურობა? იქნებ გულმავიწყობით? რა თქმა უნდა, არა! პოლიტიკოსებს არ შეუძლიათ დაივიწყონ მთავარი. ეს აიხსნება იმით, რომ მათ ვერ დაუნახავთ და ვერ გაუგიათ ახალი რევოლუციური პროცესები, რომლებიც ახლა ხდება როგორც აქ, ჩვენს ქვეყანაში, ისე კაპიტალისტურ ქვეყნებში. ეს აიხსნება იმით, რომ მათ გამოეპარათ მთავარი, გამოეპარათ ის კლასობრივი ძვრები, რომლებიც პოლიტიკოსს არ უნდა გამოეპაროს. სწორედ ამით აიხსნება ის აბნეულობა და უმწეობა, რასაც ჩვენს ბუხარინული ოპოზიცია ჩვენი პარტიის ახალი ამოცანების წინაშე.

გაიხსენეთ ჩვენს პარტიაში მომხდარი უკანასკნელი ამბები. გაიხსენეთ ის ლოზუნგები, რომლებიც მოგვცა ამ ბოლო დროს პარტიამ ჩვენს ქვეყანაში ახალ კლასობრივ ძვრებთან დაკავშირებით. მე ვლაპარაკობ ისეთ ლოზუნგებზე, როგორიც არის **თვითკრიტიკის** ლოზუნგი, **ბიუროკრატიზმთან ბრძოლის** გამახვილებისა **და საბჭოთა აპარატის წმენდის** ლოზუნგი, **ახალი სამეურნეო კადრებისა და წითელი სპეციალისტების ორგანიზაციის** ლოზუნგი, **კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების** მშენებლობისათვის **მოძრაობის** გაძლიერების ლოზუნგი, **კულაკზე შეტევის** ლოზუნგი, **პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა** და **პროფკავშირული მუშაობის პრაქტიკის** ძირფესვიანი **გაუმჯობესების** ლოზუნგი, **პარტიის წმენდის** ლოზუნგი და სხვ.. ზოგიერთ ამხანაგს ეს ლოზუნგები განსაცვიფრებელ და თავბრუდამხვევ ლოზუნგებად ეჩვენა. ამავე დროს კი აშკარაა, რომ ეს ლოზუნგები ამჟამად პარტიის ყველაზე აუცილებელი და აქტუალური ლოზუნგებია.

საქმე იმით დაიწყო, რომ ჩვენ, შახტის საქმესთან [2] დაკავშირებით, ახლებურად დავაყენეთ ახალი სამეურნეო კად-

რების საკითხი, ის საკითხი, რომ მუშათა კლასის წრიდან მოვამზადოთ წითელი სპეციალისტები ძველი სპეცების შესაცვლელად.

რა გამოირკვა შახტის საქმესთან დაკავშირებით? გამოირკვა ის, რომ ბურჟუაზია ჯერ კიდევ არ არის მთლად განადგურებული, რომ ის აწყობს და კვლავაც მოაწყობს მავნებლობას ჩვენს სამეურნეო მშენებლობაში, რომ ჩვენს სამეურნეო, პროფკავშირულ და ნაწილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს გამოეპარათ ჩვენი კლასობრივი მტრების ძირგამომთხრელი მუშაობა, რომ, მაშასადამე, საჭიროა მთელი ძალღონით, ყველა საშუალებით განვამტკიცოთ და გავაუმჯობესოთ ჩვენი ორგანიზაციები, განვავითაროთ და განვამტკიცოთ მათი კლასობრივი სიფხიზლე.

ამასთან დაკავშირებით გამახვილდა **თვითკრიტიკის** ლოზუნგის საკითხი. რატომ? იმიტომ, რომ არ შეიძლება გავაუმჯობესოთ ჩვენი სამეურნეო, პროფკავშირული და პარტიული ორგანიზაციები, არ შეიძლება წინ წავწიოთ სოციალიზმის მშენებლობის საქმე და ავლაგმოთ ბურჟუაზიული მავნებლობა, თუ ყოველმხრივ არ განვავითარეთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, თუ მასების კონტროლს არ დავუქვემდებარეთ ჩვენი ორგანიზაციების მუშაობა. ეს ხომ ფაქტია, რომ მავნებლობას ადგილი ჰქონდა და კვლავ აქვს ადგილი არა მარტო ქვანახშირის რაიონებში, არამედ ლითონის წარმოების დარგშიც, სამხედრო მრეწველობის დარგშიც, გზათა სახალხო კომისარიატშიც, ოქროს და პლატინის მრეწველობაშიც და სხვ. და ა. შ.. აქედან გამომდინარეობს თვითკრიტიკის ლოზუნგი.

შემდეგ, პურის დამზადების სიძნელეებთან დაკავშირებით, ფასების საბჭოთა პოლიტიკის წინააღმდეგ კულაკობის გამოსვლასთან დაკავშირებით, ჩვენ გავამახვილეთ საკითხი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყო-

ველნაირად განვითარების შესახებ, კულაკზე შეტევის შესახებ, იმის შესახებ, რომ პურის დამზადება მოვაწყოთ კულაკურ-შეძლებული ელემენტებისათვის ხელის მოჭერის გზით.

რა გამოარკვია პურის დამზადების სიძნელეებმა? გამოარკვია ის, რომ კულაკს არ სძინავს, კულაკი იზრდება, იგი აწყობს ძირგამომთხრელ მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის წინააღმდეგ, ჩვენი პარტიული, საბჭოთა და კოოპერაციული ორგანიზაციები კი, მათი ნაწილი მაინც, ან ვერ ხედავენ მტერს, ან ეგუებიან მას ნაცვლად იმისა, რომ ებრძოლონ მას.

აქედან გამომდინარეობს თვითკრიტიკის ლოზუნგის, ჩვენი პარტიული, კოოპერაციული და საერთოდ დამამზადებელი ორგანიზაციების შემოწმებისა და გაუმჯობესების ლოზუნგის ახალი გამახვილება.

შემდეგ, სოციალიზმის ბაზაზე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ახალ ამოცანებთან დაკავშირებით, წარმოიშვა ლოზუნგი პროდუქციის თვითღირებულების სისტემატურად შემცირების, შრომის დისციპლინის განმტკიცების, სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ და სხვ.. ამ ამოცანებმა მოითხოვეს პროფესიული კავშირებისა და საბჭოთა აპარატის მთელი პრაქტიკის გადასინჯვა, ამ ორგანიზაციების ძირფესვიანი გამოცოცხლება და ამ ორგანიზაციების გაწმენდა ბიუროკრატიზმის ელემენტებისაგან.

აქედან გამომდინარეობს პროფკავშირებსა და საბჭოთა აპარატში ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ლოზუნგის გამახვილება.

დასასრულ, პარტიის წმენდის ლოზუნგის საკითხი. სასაცილო იქნებოდა იმის ფიქრი, რომ შეიძლება განვამტკიცოთ ჩვენი საბჭოთა-სამეურნეო, პროფკავშირული და კოოპერა-

ციული ორგანიზაციები, შეიძლება გავწმინდოთ ისინი ბიუროკრატიზმის სიბილწისაგან, თუ თვით პარტია არ დავხვეწეთ. ეჭვს გარეშეა, რომ ბიუროკრატიული ელემენტები ცოცხალი არიან არა მარტო სამეურნეო-კოოპერაციულ და პროფკავშირულ-საბჭოთა ორგანიზაციებში, არამედ თვით პარტიის ორგანიზაციებშიც. თუ პარტია ყველა ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ძალაა, მაშინ ცხადია, რომ პარტიის წმენდა წარმოადგენს იმ აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ბოლომდე ვერ განხორციელდება მუშათა კლასის ყველა სხვა ორგანიზაციის გამოცოცხლება და გაუმჯობესება. აქედან გამომდინარეობს პარტიის წმენდის ლოზუნგი.

შემთხვევითი ხომ არ არის ეს ლოზუნგები? არა, არ არის შემთხვევითი. თქვენ თვითონ ხედავთ, რომ ეს ლოზუნგები შემთხვევითი არ არის. **ისინი შეადგენენ იმ ერთი განუწყვეტელი ჯაჭვის აუცილებელ რგოლებს, რომელსაც ეწოდება სოციალიზმის შეტევა კაპიტალიზმის ელემენტების წინააღმდეგ.**

ისინი დაკავშირებული არიან უწინარეს ყოვლისა სოციალიზმის ბაზაზე ჩვენი მრეწველობისა და ჩვენი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდთან. ხოლო რას წარმოადგენს სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია სოციალიზმის ბაზაზე? იგი წარმოადგენს სოციალიზმის შეტევას სახალხო მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ მთელ ფრონტზე. ეს არის ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის უაღრესად სერიოზული ძვრა სოციალიზმის აშენების მიმართულებით. მაგრამ ეს რეკონსტრუქცია რომ განვახორციელოთ, ამისათვის საჭიროა უწინარეს ყოვლისა გავაუმჯობესოთ და განვამტკიცოთ სოციალისტური მშენებლობის როგორც სამეურნეო-საბჭოთა და პროფკავშირული, ისე პარტიულ-კოოპერაციული კადრები, საჭიროა დავხვე-

წოთ ყველა ჩვენი ორგანიზაცია, გავწმინდოთ ისინი სიბილწისაგან, საჭიროა გავაძლიეროთ მუშათა კლასისა და გლეხობის მილიონიანი მასების აქტივობა.

შემდეგ, ეს ლოზუნგები დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ სახალხო მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტები წინააღმდეგობას უწევენ სოციალიზმის შეტევას. არ შეიძლება შემთხვევითობად ჩაითვალოს ეგრეთწოდებული შახტის საქმე. «შახტელები» ახლა ჩვენი მრეწველობის ყველა დარგში სხედან. ბევრი მათგანი შეპყრობილია, მაგრამ ჯერ კიდევ ყველა როდია შეპყრობილი. ბურჟუაზიული ინტელიგენციის მავნებლობა არის განვითარების პროცესში მყოფი სოციალიზმისათვის წინააღმდეგობის გაწევის ერთ-ერთი უალრესად საშიში ფორმა. მავნებლობა მით უფრო საშიშია, რომ იგი დაკავშირებულია საერთაშორისო კაპიტალთან. ბურჟუაზიული მავნებლობა იმის უეჭველი მაჩვენებელია, რომ კაპიტალისტურ ელემენტებს ჯერ სრულიადაც არ დაუყრიათ იარაღი, რომ ისინი იკრებენ ძალებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ახალი გამოსვლებისათვის.

რაც შეეხება სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებს, მით უფრო არ შეიძლება შემთხვევითობად ჩაითვალოს კულაკობის გამოსვლა, რაც უკვე მეორე წელიწადია გრძელდება ფასების საბჭოთა პოლიტიკის წინააღმდეგ. ბევრს დღემდე კიდევ ვერ აუხსნია ის ფაქტი, რომ კულაკი თვითდინების წესით იძლეოდა პურს 1927 წლამდე, ხოლო 1927 წლის შემდეგ მან შეწყვიტა პურის მოცემა თვითდინების წესით. მაგრამ ამ გარემოებაში გასაკვირველი არაფერია. თუ წინათ კულაკი ჯერ კიდევ შედარებით სუსტი იყო, შესაძლებლობა არ ჰქონდა სერიოზულად მოეწყო თავისი მეურნეობა, საკმაო კაპიტალი არ ჰქონდა თავისი მეურნეობის განმტკიცებისათვის, რის გამო იძულებული იყო ბაზარზე გაეტანა თავისი პურის წარმოების მთელი ან თითქმის მთელი

ნაჭარბი, ახლა, მთელი რიგი მოსავლიანი წლების შემდეგ, როცა მან მოასწრო თავისი მეურნეობის მოწყობა, როცა შესძლო საჭირო კაპიტალის დაგროვება, — მას მიეცა ბაზარზე მანევრირების შესაძლებლობა, მიეცა შესაძლებლობა თავისთვის რეზერვში გადადოს პური, ეს ვალუტათა ვალუტა, და ამჯობინებს ბაზარზე გაიტანოს ხორცი, შვრია, ქერი და სხვა მეორეხარისხოვანი კულტურები. სასაცილო იქნებოდა ახლა გვქონოდა იმის იმედი, რომ შეიძლება ნებაყოფლობით მივიღოთ პური კულაკისაგან.

აი სად არის იმ წინააღმდეგობის ფესვი, რომელსაც ახლა კულაკი საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას უწევს.

ხოლო რას წარმოადგენს ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგობა სოციალიზმის შეტევისადმი? ეს არის პროლეტარიატის კლასობრივი მტრების ძალთა გადაჯგუფება, რომლის მიზანია ძველის დაცვა ახლის წინააღმდეგ. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ამ გარემოებებმა არ შეიძლება არ გამოიწვიონ კლასთა ბრძოლის გამწვავება. მაგრამ კლასობრივი მტრების წინააღმდეგობა რომ დავძლიოთ და სოციალიზმის წინსვლას გზა გავუკაფოთ, ამისათვის, ყოველივე დანარჩენის გარდა, საჭიროა დავხვეწოთ ყველა ჩვენი ორგანიზაცია, გავწმინდოთ ისინი ბიუროკრატიზმისაგან, გავაუმჯობესოთ მათი კადრები და დავრაზმოთ მუშათა კლასისა და სოფლის მშრომელი ფენების მილიონიანი მასები ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ.

აი რა კლასობრივი ძვრების ნიადაგზე წარმოიშვნენ ჩვენი პარტიის ახლანდელი ლოზუნგები.

იგივე უნდა ითქვას კლასობრივ ძვრებზე კაპიტალისტურ ქვეყნებში. სასაცილო იქნებოდა იმის ფიქრი, რომ კაპიტალიზმის სტაბილიზაცია უცვლელი დარჩა. მით უფრო სასაცილო იქნებოდა იმის მტკიცება, რომ სტაბილიზაცია

მტკიცდება, მკვიდრი ხდება. ნამდვილად კაპიტალიზმის სტაბილიზაციას ძირი ეთხრება, იგი ყოველთვიურად, დღითიდღე ირყევა. საგარეო ბაზრებისა და ნედლეულისათვის ბრძოლის გამწვავება, შეიარაღების ზრდა, ამერიკასა და ინგლისს შორის ანტაგონიზმის ზრდა, სსრ კავშირში სოციალიზმის ზრდა, კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის გამემარცხენება, ევროპის ქვეყნებში გაფიცვებისა და კლასობრივი ბრძოლების ხანა, კოლონიებში, მათ შორის იწდოეთში, რევოლუციური მოძრაობის ზრდა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში კომუნიზმის ზრდა — ყოველივე ეს ისეთი ფაქტებია, რომლებიც უეჭველად მოწმობენ, რომ კაპიტალიზმის ქვეყნებში ახალი რევოლუციური აღმავლობის ელემენტები იზრდება.

აქედან გამომდინარეობს სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ, და უწინარეს ყოვლისა მისი «მემარცხენე» ფრთის, როგორც კაპიტალიზმის სოციალური დასაყრდენის წინააღმდეგ ბრძოლის გამახვილების ამოცანა.

აქედან გამომდინარეობს კომპარტიებში მემარჯვენე ელემენტების, როგორც სოციალ-დემოკრატიული გავლენის აგენტურის წინააღმდეგ ბრძოლის გამახვილების ამოცანა.

აქედან გამომდინარეობს მემარჯვენე გადახრისადმი შემარიგებლობის, როგორც კომპარტიებში ოპორტუნიზმის თავშესაფრის წინააღმდეგ ბრძოლის გამახვილების ამოცანა.

აქედან გამომდინარეობს სოციალ-დემოკრატიული ტრადიციებისაგან კომპარტიების გაწმენდის ლოზუნგი.

აქედან გამომდინარეობს კომუნიზმის ეგრეთწოდებული ახალი ტაქტიკა პროფკავშირებში.

ზოგიერთ ამხანაგს არ ესმის ამ ლოზუნგების აზრი და მნიშვნელობა. მაგრამ მარქსისტი ყოველთვის მიხვდება, რომ ამ ლოზუნგების განუხორციელებლად წარმოუდგენე-

ლია პროლეტარული მასების მომზადება ახალი კლასობრივი ბრძოლებისათვის, წარმოუდგენელია გამარჯვება სოციალ-დემოკრატიაზე, შეუძლებელია შერჩევა კომუნისტური მოძრაობის ნამდვილი ლიდერებისა, რომლებსაც უნარი ექნებათ წაიყვანონ მუშათა კლასი კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

აი, ამხანაგებო, ის კლასობრივი ძვრები ჩვენს ქვეყანაში და კაპიტალიზმის ქვეყნებში, რომელთა საფუძველზეც წარმოიშვნენ ჩვენი პარტიის ახლანდელი ლოზუნგები როგორც მისი საშინაო პოლიტიკის ხაზით, ისე კომინტერნის ხაზით.

ჩვენი პარტია ხედავს ამ კლასობრივ ძვრებს. მას ესმის ახალი ამოცანების მნიშვნელობა და რაზმავს ძალებს ამ ამოცანების გადასაჭრელად. ამიტომ იგი მოვლენებს სავსებით მომზადებული ხვდება. ამიტომ მას არ ეშინია მის წინაშე მდგომი სიძნელეებისა, ვინაიდან მზად არის გადალახოს ეს სიძნელენი.

ბუხარინის ჯგუფის უბედურება ის არის, რომ იგი ვერ ხედავს ამ კლასობრივ ძვრებს და არ ესმის პარტიის ახალი ამოცანები. და სწორედ იმიტომ, რომ მას არ ესმის ეს ამოცანები, იგი განიცდის სრულ დაბნეულობას, მზად არის გაექცეს სიძნელეებს, უკან დაიხიოს მათ წინაშე, დათმოს პოზიციები.

გინახავთ თუ არა მეთევზეები ქარიშხლის წინ დიდ მდინარეზე, როგორიც არის, მაგალითად, ენისეი? მე ისინი არა ერთხელ მინახავს. ხდება ხოლმე, რომ მეთევზეთა ერთი ჯგუფი, როცა ქარიშხალი ამოვარდება, მთელ ძალღონეს იკრებს, ამხნევებს თავის ამხანაგებს და გაბედულად მიჰყავს ნავი ქარიშხალთან შესაბმელად: «მხნედ იყავით, ბიჭებო, მაგრად ჩასჭიდეთ ხელი საჭეს, გაჰკვეთეთ ტალღები, ჩვენ გავიმარჯვებთ!»

მაგრამ არიან სხვა ჯურის მეთევზეებიც, რომლებიც, ქარიშხლის მოახლოებას რომ იგრძნობენ, სულით ეცემიან, წუწუნს იწყებენ და დემორალიზაცია შეაქვთ თავისსავე საკუთარ რიგებში: «უბედურება გვეწია, ქარიშხალი ამოვარდა, დაწექით, ბიჭებო, ნავის ფსკერზე, თვალი დახუჭეთ, იქნება როგორმე ნაპირზე გაგვრიყოს». (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი).

განა საჭიროა კიდევ იმის მტკიცება, რომ ბუხარინის ჯგუფის გეზი და საქციელი, როგორც ორი წვეთი წყალი ერთმანეთს, ისე ჰგავს იმ მეთევზეთა მეორე ჯგუფის გეზსა და საქციელს, რომელნიც პანიკით შეპყრობილნი უკან იხევენ სიძნელეთა წინაშე?

ჩვენ ვამბობთ, რომ ევროპაში მწიფდება ახალი რევოლუციური აღმავლობის პირობები, რომ ეს გარემოება გვიკარნახებს ახალ ამოცანებს — გავაძლიეროთ ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან კომპარტიებში და განვდევნოთ პარტიიდან მემარჯვენე უკლონისტები, გავაძლიეროთ ბრძოლა შემარიგებლობასთან, რომელიც ხელს აფარებს მემარჯვენე გადახრას, გავაძლიეროთ ბრძოლა სოციალ-დემოკრატიულ ტრადიციებთან კომპარტიებში და სხვ. და ა. შ.. ბუხარინი კი გვიპასუხებს, რომ ყოველივე ეს სრულიად უმნიშვნელო რამ არის, რომ ჩვენ არავითარი ასეთი ახალი ამოცანა არა გვაქვს, რომ ნამდვილად საქმე იმას ეხება, რომ ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობას სურს «დააამუშაოს» იგი, ე. ი. ბუხარინი.

ჩვენ ვამბობთ, რომ კლასობრივი ძვრები ჩვენს ქვეყანაში გვიკარნახებენ ახალ ამოცანებს, რომლებიც მოითხოვენ პროდუქციის თვითღირებულების სისტემატურ შემცირებას და საწარმოებში შრომის დისციპლინის განმტკიცებას, რომ ამ ამოცანების განხორციელება შეუძლებელია, თუ ძირფესვიანად არ შეიცვალა პროფესიული კავშირების მუშაო-

ბის მთელი პრაქტიკა. ტომსკი კი გვიპასუხებს, რომ ყოველივე ეს სრულიად უმნიშვნელო რამ არის, რომ ჩვენ არავითარი ასეთი ახალი ამოცანა არა გვაქვს, რომ ნამდვილად საქმე იმას ეხება, რომ ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობას სურს «დაამუშაოს» იგი, ე. ი. ტომსკი.

ჩვენ ვამბობთ, რომ სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია გვიკარნახებს ახალ ამოცანებს — გავაძლიეროთ ბრძოლა საბჭოთა-სამეურნეო აპარატის ბიუროკრატიზმთან, გავწმინდოთ ეს აპარატი დამპალი და უცხო ელემენტებისაგან, მავნებლებისაგან და სხვ. და ა. შ.. ხოლო რიკოვი გვიპასუხებს, რომ ყოველივე ეს სრულიად უმნიშვნელო რამ არის, რომ ჩვენ არავითარი ასეთი ახალი ამოცანა არა გვაქვს, რომ ნამდვილად საქმე იმას ეხება, რომ ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობას სურს «დაამუშაოს» იგი, ე. ი. რიკოვი.

განა ეს სასაცილო არ არის, ამხანაგებო? განა ცხადი არ არის, რომ ბუხარინი, რიკოვი და ტომსკი ამ ქვეყნად თავიანთი ჭიპის მეტს ვერაფერს ხედავენ?

ბუხარინის ჯგუფის უბედურება ის არის, რომ იგი ვერ ხედავს ახალ კლასობრივ ძვრებს და არ ესმის პარტიის ახალი ამოცანები. და სწორედ იმიტომ, რომ მას ეს ამოცანები არ ესმის, იგი იძულებულია კუდში მისჩანჩალებდეს მოვლენებს და იარაღი დაყაროს სიძნელეთა წინაშე.

აი სად არის ჩვენი უთანხმოების ფესვი.

III

უთანხმოებანი კომინტერნის ხაზით

მე უკვე ვთქვი, რომ ბუხარინი ვერ ხედავს და რომ მას არ ესმის კომინტერნის ახალი ამოცანები — მემარჯვენეების განდევნა კომპარტიებიდან, შემარიგებლობის ალაგმვა და კომპარტიების გაწმენდა სოციალ-დემოკრატიული ტრადიციებისაგან — ამოცანები, რომლებსაც გვიკარნახებენ

ახალი რევოლუციური აღმავლობის მზარდი პირობები. ეს დებულება სავსებით დაადასტურა ჩვენმა უთანხმოებამ კომინტერნის საკითხებში.

რით დაიწყო უთანხმოება ამ დარგში?

საქმე დაიწყო საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ბუხარინის თეზისებით VI კონგრესზე [3]. ჩვეულებრივად თეზისებს წინასწარ განიხილავდა საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაცია. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს პირობა არ ყოფილა დაცული. ისე მოხდა, რომ თეზისები ბუხარინის ხელმოწერით, რომლებიც გადაეცა საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციას, ამავე დროს დაეგზავნა VI კონგრესის უცხოელ დელეგაციებს. მაგრამ თეზისები არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა მთელ რიგ პუნქტებში. საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციას მოუხდა დაახლოებით 20 შესწორების შეტანა თეზისებში.

ამ გარემოებამ ერთგვარ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ბუხარინი. მაგრამ ვისი ბრალია ეს? რატომ დასჭირდა ბუხარინს დაეგზავნა თეზისები უცხოეთის დელეგაციებისათვის, სანამ ამ თეზისებს საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაცია განიხილავდა? შეეძლო თუ არა საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციას არ შეეტანა შესწორებანი, თუ თეზისები არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა? და აი მოხდა ისე, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციის ხელიდან გამოვიდა არსებითად ახალი თეზისები საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, რომლებიც უცხოეთის დელეგაციებმა დაუპირდაპირეს ბუხარინის მიერ ხელმოწერილ ძველ თეზისებს. ცხადია, ეს უხერხულობა არ იქნებოდა, ბუხარინს ასე აჩქარებით რომ არ დაეგზავნა თავისი თეზისები უცხოეთის დელეგაციებისათვის.

მე მინდა აღვნიშნო ოთხი ძირითადი შესწორება, რომლებიც საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციამ შეიტანა ბუხარინის თეზისებში. მე მინდა აღვნიშნო ეს ძირითადი შესწორებანი

იმისათვის, რომ უფრო ნათლად გიჩვენოთ, თუ რა ხასიათისაა უთანხმოება კომინტერნის საკითხებში.

პირველი საკითხია კაპიტალიზმის სტაბილიზაციის ხასიათის საკითხი. ბუხარინის თეზისებიდან ისე გამოდიოდა, რომ ამჟამად არ ხდება არავითარი ახალი რამ, რაც არყევდეს კაპიტალისტურ სტაბილიზაციას, რომ, პირიქით, კაპიტალიზმი **რეკონსტრუქციას** განიცდის და ძირითადად ცოტად თუ ბევრად **მტკიცედ** დგას. ცხადია, რომ ეგრეთწოდებული მესამე პერიოდის, ე. ი. ახლანდელი პერიოდის ასეთ დახასიათებას საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაცია ვერ დაეთანხმებოდა. იგი ვერ დაეთანხმებოდა ამას, ვინაიდან მესამე პერიოდის ასეთი დახასიათების დატოვება ჩვენს კრიტიკოსებს საბაბს მისცემდა ელაპარაკნათ, რომ ჩვენ ვდგებით კაპიტალიზმის ეგრეთწოდებული «გაჯანსაღების» თვალსაზრისზე, ე. ი. ჰილფერდინგის თვალსაზრისზე, იმ თვალსაზრისზე, რომელზეც ჩვენ, კომუნისტებს, არ შეგვიძლია დგომა. ამის გამო საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციამ შეიტანა შესწორება, საიდანაც ჩანს, რომ კაპიტალისტური სტაბილიზაცია არ არის და ვერც იქნება მტკიცე, რომ მას, მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისის გამწვავების გამო, არყევს და კვლავაც შეარყევს მოვლენათა მსვლელობა.

ამ საკითხს, ამხანაგებო, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომინტერნის სექციებისათვის. ირყევა თუ მტკიცდება კაპიტალისტური სტაბილიზაცია, — ამაზეა დამოკიდებული კომპარტიების მთელი გეზი მათს ყოველდღიურ პოლიტიკურ მუშაობაში. რევოლუციური მოძრაობის დაცემის პერიოდში ვიმყოფებით ჩვენ, ძალთა უბრალო მოკრების პერიოდში, თუ ახალი რევოლუციური აღმავლობის პირობების მომწიფების პერიოდში, მომავალი კლასობრივი ბრძოლებისათვის მუშათა კლასის მომზადების პერიოდში, — ამაზეა დამოკიდებული კომპარტიების ტაქტიკური გეზი. სა-

კავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციის შესწორება, რომელიც შემდეგ კონგრესმა მიიღო, სწორედ იმით არის კარგი, რომ ნათლად მიგვითითებს მეორე პერსპექტივაზე, ახალი რევოლუციური აღმავლობის პირობების მომწიფების პერსპექტივაზე.

მეორე საკითხია სოციალ-დემოკრატიასთან ბრძოლის საკითხი. ბუხარინის თეზისებში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ სოციალ-დემოკრატიასთან ბრძოლა კომინტერნის სექციების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. ეს, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ ეს არ კმარა. სოციალ-დემოკრატიასთან ბრძოლა წარმატებით რომ მიმდინარეობდეს, ამისათვის უნდა გავამახვილოთ ის საკითხი, რომ საჭიროა ბრძოლა სოციალ-დემოკრატიის ეგრეთწოდებულ «მემარცხენე» ფრთასთან, სწორედ იმ «მემარცხენე» ფრთასთან, რომელიც, ოინბაზობს რა «მემარცხენე» ფრაზებით და ამრიგად მოხერხებულად ატყუებს მუშებს, აფერხებს სოციალ-დემოკრატიისაგან მუშათა მასების ჩამოშორების საქმეს. ცხადია, რომ «მემარცხენე» სოციალ-დემოკრატების გაუნადგურებლად შეუძლებელია საერთოდ სოციალ-დემოკრატიის დაძლევა. ბუხარინის თეზისებში კი «მემარცხენე» სოციალ-დემოკრატიის საკითხს სრულიად ავლილი ჰქონდა გვერდი. ეს, რა თქმა უნდა, დიდი ნაკლია. ამიტომ საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციას მოუხდა შეეტანა ბუხარინის თეზისებში სათანადო შესწორება, რომელიც შემდეგ კონგრესმა მიიღო.

მესამე საკითხია კომინტერნის სექციებში შემარიგებლობის საკითხი. ბუხარინის თეზისებში ლაპარაკი იყო მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის აუცილებლობაზე, მაგრამ იქ ერთი სიტყვაც არ აღმოჩნდა მემარჯვენე გადახრასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ეს, რა თქმა უნდა, დიდი ნაკლია. საქმე ის არის, რომ, როცა ომს ვუცხადებთ მემარჯვენე გადახრას, მემარჯვენე უკლონისტები ჩვეულებ-

რივად შემარიგებლების სახეს იღებენ და პარტიას ძნელ მდგომარეობას უქმნიან. მემარჯვენე უკლონისტების ასეთი მანევრი წინასწარ რომ აღვკვეთოთ, საჭიროა დავაყენოთ საკითხი შემარიგებლობასთან გადამწყვეტი ბრძოლის შესახებ. ამიტომ საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციამ საჭიროდ სცნო შეეტანა ბუხარინის თეზისებში სათანადო შესწორება, რომელიც შემდეგ კონგრესმა მიიღო.

მეოთხე საკითხია პარტიული დისციპლინის საკითხი. ბუხარინის თეზისებში მოხსენებული არ ყოფილა, რომ საჭიროა კომპარტიებში რკინისებური დისციპლინის შენარჩუნება. ესეც მცირე მნიშვნელობის ნაკლი რომდია. რატომ? იმიტომ, რომ მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის გაძლიერების პერიოდში, ოპორტუნისტული ელემენტებისაგან კომპარტიების გაწმენდის ლოზუნგის გატარების პერიოდში, მემარჯვენე უკლონისტები ჩვეულებრივ ირაზმებიან ფრაქციად, ქმნიან თავიანთ საკუთარ ფრაქციულ დისციპლინას, ხოლო პარტიის დისციპლინას არღვევენ და შლიან. პარტია მემარჯვენე უკლონისტების ფრაქციული იერიშებისაგან რომ დავიცვათ, საჭიროა დავაყენოთ საკითხი პარტიის რკინისებური დისციპლინისა და იმის შესახებ, რომ პარტიის წევრები აუცილებლად ემორჩილებოდნენ ამ დისციპლინას. უამისოდ მემარჯვენე გადახრასთან სერიოზულ ბრძოლაზე ფიქრიც არ შეიძლება. ამიტომ საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციამ ბუხარინის თეზისებში შეიტანა სათანადო შესწორება, რომელიც შემდეგ VI კონგრესმა მიიღო.

შეგვეძლო თუ არა ჩვენ არ შეგვეტანა ეს შესწორებანი ბუხარინის თეზისებში? ცხადია, არ შეგვეძლო. ძველად ფილოსოფოს პლატონზე ამბობდნენ: პლატონი გვიყვარს, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო მეტად გვიყვარსო. იგივე შეიძლებოდა გვეთქვა ბუხარინზე: ბუხარინი გვიყვარს, მაგრამ ჭეშმარიტება, პარტია, კომინტერნი უფრო მეტად გვიყ-

ვარს. ამიტომ საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაცია იძულებული გახდა შეეტანა ეს შესწორებანი ბუხარინის თეზისებში.

ეს არის, ასე ვთქვათ, **პირველი ეტაპი ჩვენი უთანხმოებისა** კომინტერნის საკითხებში.

ჩვენი უთანხმოების მეორე ეტაპი დაკავშირებულია ვიტორფისა და ტელმანის ეგრეთწოდებულ საქმესთან. ვიტორფი ჰამბურგის ორგანიზაციის ყოფილი მდივანია, რომელსაც ბრალი დაედო პარტიული ფულის გაფლანგვაში. ამისათვის იგი გარიცხულ იქნა პარტიიდან. შემარიგებლებმა გერმანიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ისარგებლეს იმით, რომ ვიტორფი დაახლოებული იყო ამხ. ტელმანთან, თუმცა ამხ. ტელმანს ვიტორფის დანაშაულთან საერთო არაფერი ჰქონია, ვიტორფის საქმე ტელმანის საქმედ გადააქციეს და გერმანიის კომპარტიის ხელმძღვანელობის დამხობას შეუდგნენ. თქვენ ალბათ უკვე იცით პრესაში გამოქვეყნებული ცნობებიდან, რომ მაშინ შემარიგებლებმა ევერტმა და ჰერჰარტმა შესძლეს დროებით მიემხროთ გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა ამხ. ტელმანის წინააღმდეგ. რა მოჰყვა ამას? მათ ჩამოაშორეს ტელმანი ხელმძღვანელობას, ბრალი დასდეს მას კორუპციაში და გამოაქვეყნეს «სათანადო» რეზოლუცია კომინტერნის აღმასკომის შეუტყობინებლად და უსანქციოდ.

ამრიგად, შემარიგებლობასთან ბრძოლის შესახებ კომინტერნის VI კონგრესის დირექტივის შესრულების ნაცვლად, მემარჯვენე გადახრასთან და შემარიგებლობასთან ბრძოლის ნაცვლად, სინამდვილეში გამოვიდა ამ დირექტივის ყოვლად უხეში დარღვევა, გამოვიდა ბრძოლა გერმანიის კომპარტიის რევოლუციური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, ბრძოლა ამხ. ტელმანის წინააღმდეგ, ბრძოლა, რომლის მიზანსაც შეადგენდა მემარჯვენე გადახრის **დაფარვა**

და გერმანიის კომუნისტთა რიგებში შემარიგებლობის **დამკვიდრება.**

და აი, ნაცვლად იმისა, რომ მოებრუნებინა საჭე და გამოესწორებინა მდგომარეობა, ნაცვლად იმისა, რომ უფლებებში აღედგინა VI კონგრესის დარღვეული დირექტივა, წესრიგისაკენ მოეწოდებინა შემარიგებლებისათვის, ბუხარინი თავის ცნობილ წერილში წინადადებას იძლევა **სანქცია მივცეთ** შემარიგებლების გადატრიალებას, შემარიგებლებს ჩავუგდოთ ხელში გერმანიის კომპარტია, ხოლო ამხ. ტელმანი ხელახლა გავაბიაბრუოთ პრესაში და ერთხელ კიდევ გამოვაქვეყნოთ განცხადება მისი დამნაშავეობის შესახებ. და ამას ეწოდება კომინტერნის «ხელმძღვანელი»! განა არსებობენ ქვეყნად ასეთი «ხელმძღვანელები»?

ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ბუხარინის წინადადება და უარყო იგი. ეს, რა თქმა უნდა, არ მოეწონა ბუხარინს. მაგრამ ვინ არის აქ დამნაშავე? VI კონგრესის გადაწყვეტილებანი მიღებულია არა იმისათვის, რომ დავარღვიოთ, არამედ იმისათვის, რომ შევასრულოთ ისინი. თუ VI კონგრესმა დაადგინა გამოეცხადოს ბრძოლა მემარჯვენე გადახრას და მასთან შემარიგებლობას და ხელმძღვანელობა დარჩეს გერმანიის კომპარტიის ძირითად ბირთვს ამხ. ტელმანის მეთაურობით, ხოლო შემარიგებლებს ევერტსა და ჰერჰარტს ამ გადაწყვეტილების დარღვევა მოეხასიათათ, ბუხარინის მოვალეობა ის იყო, რომ წესრიგისაკენ მოეწოდებინა შემარიგებლებისათვის, და არა ის, რომ მათთვის დაეტოვებინა ხელმძღვანელობა გერმანიის კომპარტიაში. დამნაშავეა ბუხარინი, რომელმაც «დაივიწყა» VI კონგრესის გადაწყვეტილებანი.

ჩვენი უთანხმოების მესამე ეტაპი დაკავშირებულია გერმანიის კომპარტიაში მემარჯვენეების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხთან, ბრანდლერისა და ტალჰეიმერის ფრაქციის გა-

ნადგურებისა და გერმანიის კომპარტიიდან ამ ფრაქციის ლიდერების გარიცხვის საკითხთან. ბუხარინისა და მისი მეგობრების «პოზიცია» ამ კარდინალურ საკითხში იმით გამოიხატებოდა, რომ ისინი მუდამ გაურბოდნენ ამ საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობას. არსებითად გერმანიის კომპარტიის ბედის საკითხი წყდებოდა. ბუხარინი და მისი მეგობრები კი, რომლებმაც ეს იცოდნენ, მაინც მუდამ აფერხებდნენ საქმეს, სისტემატურად არიდებდნენ თავს სათანადო ინსტანციების სხდომებში მონაწილეობას. რისთვის? ალბათ იმისათვის, რომ «წმინდად» დარჩენილიყვნენ კომინტერნის წინაშეც და გერმანიის კომპარტიის მემარჯვენეების წინაშეც. იმისათვის, რომ შემდეგ შესძლებოდათ ეთქვათ: «ეს ჩვენ, ბუხარინელებმა, კი არა, არამედ მათ, ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობამ, გაატარეს ბრანდლერისა და ტალჰეიმერის გარიცხვა კომპარტიიდანო». და ამას ეწოდება მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლა!

დასასრულ, **ჩვენი უთანხმოების მეოთხე ეტაპი.** იგი დაკავშირებულია ბუხარინის მოთხოვნასთან ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის [4] წინ გერმანიიდან ნეიმანის გამოწვევის შესახებ და იმის შესახებ, რომ წესრიგისაკენ მოგვეწოდებინა ამხ. ტელმანისათვის, რომელმაც, თითქოს, ერთ-ერთ თავის სიტყვაში გააკრიტიკა ბუხარინის მიერ VI კონგრესზე გაკეთებული მოხსენება. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმებოდით ბუხარინს, ვინაიდან ხელთ არ გვქონდა სრულიად არავითარი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა ბუხარინის მოთხოვნას. ბუხარინი დაგვპირდა, რომ წარმოადგენდა დოკუმენტებს ნეიმანისა და ტელმანის წინააღმდეგ. მაგრამ არავითარი დოკუმენტი არ წარმოუდგენია. დოკუმენტების ნაცვლად მან საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციის წევრებს დაუგზავნა ემბერ-დროს ცნობილი სიტყვა, წარმოთქმული კომინტერნის აღმასკომის პოლიტი-

კურ სამდივნოში, სწორედ ის სიტყვა, რომელიც შემდეგ კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმმა შეაფასა როგორც ოპორტუნისტული სიტყვა. უგზავნიდა რა საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციის წევრებს ემბერ-დროს სიტყვას და რეკომენდაციას აძლევდა რა მას როგორც მასალას ტელმანის წინააღმდეგ, ბუხარინს სურდა დაემტკიცებინა, რომ მისი მოთხოვნა ნეიმანის გამოწვევისა და ამხ. ტელმანის წესრიგისაკენ მოწოდების შესახებ სწორი იყო. ნამდვილად კი მან ამით დაამტკიცა, რომ იგი სოლიდარულია ემბერ-დროსადმი, რომლის პოზიციას კომინტერნის აღმასკომი ოპორტუნისტულ პოზიციად თვლის.

აი, ამხანაგებო, მთავარი პუნქტები ჩვენი უთანხმოებისა კომინტერნის საკითხებში.

ბუხარინს ჰგონია, რომ, როცა ჩვენ ვებრძვით მემარჯვენე გადახრას და მასთან შემარიგებლობას კომინტერნის სექციებში, ვწმენდთ გერმანიისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიებს სოციალ-დემოკრატიული ელემენტებისა და ტრადიციებისაგან, კომპარტიებიდან ვაძევებთ ბრანდლერებსა და ტალჰეიმერებს, ამით ჩვენ «ვშლით» კომინტერნს, «ვღუპავთ» კომინტერნს. ჩვენ კი, პირიქით, ვფიქრობთ, რომ ასეთი პოლიტიკის გატარებით და მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხის გამახვილებით, ჩვენ განვამტკიცებთ კომინტერნს, ვწმენდთ მას ოპორტუნისტებისაგან, ვახდენთ მისი სექციების ბოლშევიზაციას და ვეხმარებით კომპარტიებს მომავალი რევოლუციური ბრძოლებისათვის მუშათა კლასის მომზადებაში, ვინაიდან პარტია იმით მტკიცდება, რომ იშორებს სიბილწეს.

თქვენ ხედავთ, რომ ეს აზრთა უბრალო სხვადასხვაობა კი არ არის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის რიგებში, არამედ საკმაოდ სერიოზული უთანხმოებაა კომინტერნის პოლიტიკის ძირითად საკითხებში.

IV

უთანხმოებანი საშინაო პოლიტიკის ხაზით

ზემოთ მე ვილაპარაკე კლასობრივ ძვრებზე და კლასობრივ ბრძოლაზე ჩვენს ქვეყანაში. მე ვთქვი, რომ ბუხარინის ჯგუფი სიბრმავით არის დაავადებული და ვერ ხედავს ამ ძვრებს, არ ესმის პარტიის ახალი ამოცანები. მე ვთქვი, რომ ამ ნიადაგზე წარმოიშვა ბუხარინული ოპოზიციის დაბნეულობა, სიძნელეთა შიში, სიძნელეთა წინაშე იარაღის დაყრისათვის მზადყოფნა.

არ შეიძლება ითქვას, რომ ბუხარინელთა ეს შეცდომები ციდან იყოს ჩამოცვენილი. პირიქით, ეს შეცდომები დაკავშირებულია განვითარების იმ ხანასთან, რომელიც უკვე განვლილია და რომელსაც ეწოდება სახალხო მეურნეობის **აღდგენის** პერიოდი, როცა მშენებლობა მიმდინარეობდა მშვიდობიანი გზით, ასე ვთქვათ, თვითდინების წესით, როცა ჯერ კიდევ არ იყო ის კლასობრივი ძვრები, რომლებიც ახლა არსებობენ, როცა ჯერ კიდევ არ იყო კლასობრივი ბრძოლის ისეთი გამწვავება, როგორსაც ახლა ვხედავთ.

მაგრამ ახლა ჩვენ ვიმყოფებით განვითარების ახალ ხანაში, რომელიც განსხვავდება ძველი პერიოდისაგან, აღდგენის პერიოდისაგან. ახლა ჩვენში მშენებლობის ახალი პერიოდია, სოციალიზმის ბაზაზე მთელი სახალხო მეურნეობის **რეკონსტრუქციის** პერიოდი. ეს ახალი პერიოდი იწვევს ახალ კლასობრივ ძვრებს, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას. იგი მოითხოვს ბრძოლის ახალ ხერხებს, ჩვენი ძალების გადაჯგუფებას, ყველა ჩვენი ორგანიზაციის გაუმჯობესებასა და განმტკიცებას.

ბუხარინის ჯგუფის უბედურება სწორედ ის არის, რომ იგი წარსულში ცხოვრობს, იგი ვერ ხედავს ამ ახალი პერიო-

დის დამახასიათებელ თავისებურებებს და არ ესმის ბრძოლის ახალი ხერხების აუცილებლობა. ამით აიხსნება მისი სიბრმავე, დაბნეულობა, პანიკა სიძნელეთა წინაშე.

ა) კლასობრივი ბრძოლის შესახებ

რაში მდგომარეობს ბუხარინის ჯგუფის ამ სიბრმავისა და ამ დაბნეულობის თეორიული საფუძველი?

მე ვფიქრობ, რომ ამ სიბრმავისა და დაბნეულობის თეორიული საფუძველია ბუხარინის არასწორი, არამარქსისტული მიდგომა ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის საკითხისადმი. მხედველობაში მაქვს ბუხარინის არამარქსისტული თეორია სოციალიზმში კულაკობის შეზრდის შესახებ, პროლეტარიატის დიქტატურის ვითარებაში კლასობრივი ბრძოლის მექანიკის გაუგებლობა.

აქ რამდენჯერმე მოიყვანეს ცნობილი ადგილი ბუხარინის წიგნიდან «გზა სოციალიზმისაკენ» სოციალიზმში კულაკობის შეზრდის შესახებ. მაგრამ ციტატა აქ ისე მოჰყავდათ, რომ ზოგი რამ გამოტოვებული იყო. ნება მიბოძეთ მოვიყვანო იგი მთლიანად. ეს აუცილებელია, ამხანაგებო, იმისათვის, რომ ნათელვყოთ კლასობრივი ბრძოლის მარქსისტული თეორიისაგან ბუხარინის დაშორების მთელი სიღრმე.

მოისმინეთ:

«ჩვენი კოოპერაციული გლეხური ორგანიზაციების ძირითადი ქსელი შემდგარი იქნება არა კულაკური, არამედ «შრომითი» ტიპის კოოპერაციული უჯრედებისაგან, რომლებიც შეეზრდებიან ჩვენი საერთო-სახელმწიფოებრივი ორგანოების სისტემას და ამრიგად გადაიქცევიან სოციალისტური მეურნეობის ერთიანი ჯაჭვის რგოლებად. მეორე მხრივ, **კულაკური კოოპერაციული ბუდეები** ბანკებისა და სხვ. საშუალებით **სწორედ ასევე შეეზრდებიან ამავე სისტემას; მაგრამ** ისინი **რამდენადმე უცხო სხეული იქნებიან, მაგალითად, საკონცესიო საწარმოების მსგავსად» *.**

---

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ზოგიერთი ამხანაგები, რომლებსაც მოჰყავდათ ეს ადგილი ბუხარინის ბროშურიდან, რატომღაც ტოვებდნენ უკანასკნელ ფრაზას კონცესიონერების შესახებ. როზიტმა, რომელსაც, ეტყობა, სურდა დახმარებოდა ბუხარინს, ისარგებლა ამით და აქ ადგილიდან ყვიროდა, ბუხარინს ამახინჯებენო. ამავე დროს კი მთელი ამ ციტატის დედააზრი მდგომარეობს სწორედ უკანასკნელ ფრაზაში კონცესიონერების შესახებ. ვინაიდან თუ კონცესიონერებს კულაკებთან ათანაბრებთ, ხოლო კულაკები სოციალიზმს შეეზრდებიან, რა გამოდის აქედან? აქედან გამოდის მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ კონცესიონერებიც შეეზრდებიან სოციალიზმს, რომ არა მარტო კულაკები, არამედ კონცესიონერებიც შეეზრდებიან სოციალიზმს. (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი)..

აი რა გამოდის აქედან.

როზიტი. ბუხარინს ნათქვამი აქვს — «უცხო სხეული».

სტალინი. ბუხარინს ნათქვამი აქვს არა «უცხო სხეული», არამედ «რამდენადმე უცხო სხეული». მაშასადამე, კულაკები და კონცესიონერები წარმოადგენენ «რამდენადმე» უცხო სხეულს სოციალიზმის სისტემაში. მაგრამ ბუხარინის შეცდომა სწორედ ის არის, რომ კულაკები და კონცესიონერები, წარმოადგენენ რა «რამდენადმე» უცხო სხეულს, მაინც შეეზრდებიან სოციალიზმს.

აი რა აბდაუბდამდე მივყავართ ბუხარინის თეორიას.

ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტები, კულაკები და კონცესიონერები, რომლებიც სოციალიზმს შეეზრდებიან, — აი რა სისულელემდე მივიდა ბუხარინი.

არა, ამხანაგებო, ჩვენ არ გვესაჭიროება ასეთი «სოციალიზმი». იგი ბუხარინისათვის დაგვითმია.

დღემდე ჩვენ, მარქსისტ-ლენინელები, ვფიქრობდით, რომ, ერთი მხრივ, ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტებსა და, მეორე მხრივ, მუშათა კლასს შორის ინტერესთა **შეური-**

გებელი წინააღმდეგობა არსებობს. სწორედ ამას ეყრდნობა კლასობრივი ბრძოლის მარქსისტული თეორია. ახლა კი, თანახმად ბუხარინის თეორიისა სოციალიზმში კაპიტალისტების **მშვიდობიანი შეზრდის შესახებ**, ყოველივე ეს თავდაყირა დგება, ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა კლასობრივი ინტერესების შეურიგებელი წინააღმდეგობა ქრება, ექსპლოატატორები სოციალიზმს შეეზრდებიან.

როზიტი. ეს სწორი არ არის, პროლეტარიატის დიქტატურა იგულისხმება.

სტალინი. მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურა კლასობრივი ბრძოლის ყველაზე მწვავე ფორმაა.

როზიტი. საქმეც ეს არის.

სტალინი. ბუხარინის მიხედვით კი გამოდის, რომ კაპიტალისტები შეეზრდებიან სწორედ პროლეტარიატის ამ დიქტატურას. როგორ არ გესმით ეს, როზიტ? მაშ ვის წინააღმდეგ უნდა ვეწეოდეთ ბრძოლას, ვის წინააღმდეგ უნდა ვეწეოდეთ კლასობრივ ბრძოლას უმწვავესი ფორმით, თუ ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტები პროლეტარიატის დიქტატურის სისტემას შეეზრდებიან?

პროლეტარიატის დიქტატურა საჭიროა იმისათვის, რომ შეურიგებელ ბრძოლას ვეწეოდეთ კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, იმისათვის, რომ დავთრგუნოთ ბურჟუაზია და ძირფესვიანად აღმოვფხვრათ კაპიტალიზმი. მაგრამ თუ ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტები, თუ კულაკი და კონცესიონერი სოციალიზმს შეეზრდებიან, საჭიროა თუ არა ამის შემდეგ საერთოდ პროლეტარიატის დიქტატურა, და თუ საჭიროა, რომელი კლასის დასათრგუნავად?

როზიტი. საქმეც ის არის, რომ შეზრდა ბუხარინის მიხედვით გულისხმობს კლასობრივ ბრძოლას.

სტალინი. მე ვხედავ, რომ როზიტს დაუფიცნია სამსახური გაუწიოს ბუხარინს. მაგრამ მას დათვური სამსახური

გამოუდის, ვინაიდან, სურს რა გადაარჩინოს ბუხარინი, სინამდვილეში მთლად ღუპავს მას. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, «მტერი იმდენს რას დამაკლებს, რასაც მოყვარე დათვიო». (სახალხო ხარხარი).

ორში ერთი: ან კაპიტალისტების კლასსა და მუშათა კლასს შორის, რომელმაც დაიპყრო ძალაუფლება და დაამყარა თავისი დიქტატურა, არსებობს ინტერესთა შეურიგებელი წინააღმდეგობა, ან ინტერესთა ეს წინააღმდეგობა არ არსებობს, და მაშინ რჩება ერთი რამ — გამოვაცხადოთ კლასობრივ ინტერესთა ჰარმონია.

ორში ერთი:

ან კლასთა ბრძოლის მარქსის თეორია, **ან** სოციალიზმში კაპიტალისტების შეზრდის თეორია;

ან კლასობრივ ინტერესთა შეურიგებელი წინააღმდეგობა, **ან** კლასობრივ ინტერესთა ჰარმონიის თეორია.

შეიძლება კიდევ გაიგო ბრენტანოს ან სიდნეი ვების ტიპის «სოციალისტები», რომლებიც ქადაგებენ სოციალიზმის შეზრდას კაპიტალიზმში და კაპიტალიზმისას — სოციალიზმში, ვინაიდან ეს «სოციალისტები» ნამდვილად ანტისოციალისტები, ბურჟუაზიული ლიბერალები არიან. მაგრამ შეუძლებელია იმ ადამიანის გაგება, რომელსაც სურს იყოს მარქსისტი და ამავე დროს ქადაგებს სოციალიზმში კაპიტალისტების კლასის შეზრდის თეორიას.

ბუხარინმა თავის სიტყვაში სცადა გაემაგრებინა სოციალიზმში კულაკობის შეზრდის თეორია ცნობილი ციტატით ლენინის ნაწერებიდან. ამასთან ის ამტკიცებს, რომ ლენინი **იმასვე** ამბობს, რასაც ბუხარინი.

ეს მართალი არ არის, ამხანაგებო. ეს უხეში და შეუწყნარებელი ცილისწამებაა ლენინის მიმართ.

აი ლენინის ამ ციტატის ტექსტი:

«რა თქმა უნდა, ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკაში სოციალური წყობილება დაფუძნებულია ორი კლასის: მუშებისა და გლეხების თანამშრომლობაზე, რომელში მონაწილეობისთვისაც ახლა განსაზღვრული პირობებით დაშვებული არიან «ნეპმანებიც», ე. ი. ბურჟუაზია» (ტ. XXVII, გვ. 405).

თქვენ ხედავთ, რომ აქ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი სოციალიზმში კაპიტალისტთა კლასის შეზრდაზე. აქ ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ ჩვენ «დავუშვით» მუშებისა და გლეხების თანამშრომლობაში «განსაზღვრული პირობებით» ნეპმანებიც, ე. ი. ბურჟუაზია.

რას ნიშნავს ეს? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ამით ჩვენ დავუშვით სოციალიზმში ნეპმანების შეზრდის შესაძლებლობა? რა თქმა უნდა, არ ნიშნავს. ლენინის ციტატის ასე განმარტება მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ, რომლებსაც სირცხვილი დაუკარგავთ. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ბურჟუაზიას ჩვენ **ამჟამად** არ ვსპობთ, რომ ჩვენ **ამჟამად** არ ვახდენთ მის კონფისკაციას, არამედ ვუშვებთ მის არსებობას განსაზღვრული პირობებით, ე. ი. იმ პირობებით, რომ იგი უთუოდ ემორჩილებოდეს პროლეტარიატის დიქტატურის კანონებს, რომელთა მიზანია კაპიტალისტების განუხრელი შეზღუდვა და მათი თანდათანობით განდევნა სახალხო-სამეურნეო ცხოვრებიდან.

შეიძლება თუ არა განვახორციელოთ კაპიტალისტების განდევნა და კაპიტალიზმის ფესვების მოსპობა გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის გარეშე? არა, არ შეიძლება.

შეიძლება თუ არა კლასების მოსპობა სოციალიზმში კაპიტალისტების შეზრდის თეორიისა და პრაქტიკის პირობებში? არა, არ შეიძლება. ასეთი თეორიითა და პრაქტიკით შეიძლება მხოლოდ ხელის შეწყობა კლასებისათვის და მათი სამუდამოდ განმტკიცება, ვინაიდან იგი, ეს თეორია,

ეწინააღმდეგება კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ თეორიას.

ხოლო ლენინიდან მოყვანილი ციტატა მთლიანად და სავსებით ემყარება პროლეტარიატის დიქტატურის ვითარებაში კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ თეორიას.

რა შეიძლება საერთო ჰქონდეს სოციალიზმში კულაკების შეზრდის ბუხარინის თეორიას ლენინის თეორიასთან დიქტატურის, როგორც გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის შესახებ? ცხადია, აქ საერთო არაფერია და არც შეიძლება იყოს.

ბუხარინი ფიქრობს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის დროს კლასობრივი ბრძოლა უნდა **ჩაქრეს** და **მოისპოს** იმისათვის, რომ გამოვიდეს კლასების მოსპობა. ლენინი კი, პირიქით, გვასწავლის, რომ კლასები შეიძლება მოისპოს მხოლოდ შეუპოვარი კლასობრივი ბრძოლის გზით, რაც პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში **კიდევ უფრო გააფთრებული** ხდება, ვიდრე პროლეტარიატის დიქტატურამდე.

«კლასების მოსპობა, — ამბობს ლენინი, — იმ ხანგრძლივი, ძნელი, შეუპოვარი **კლასობრივი ბრძოლის** საქმეა, რომელიც კაპიტალის ძალაუფლების დამხობის **შემდეგ**, ბურჟუაზიული სახელმწიფოს დანგრევის **შემდეგ**, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების **შემდეგ** **კი არ ქრება** (როგორც ფიქრობენ ძველი სოციალიზმისა და ძველი სოციალ-დემოკრატიის უხამსები), არამედ მხოლოდ ფორმებს იცვლის და ბევრი მხრით უფრო გააფთრებული ხდება» (ტ. XXIV, გვ. 315).

აი რას ამბობს ლენინი კლასების მოსპობაზე.

კლასების მოსპობა **პროლეტარიატის გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის გზით**, — ასეთია ლენინის ფორმულა.

კლასების მოსპობა **კლასობრივი ბრძოლის ქრობისა და სოციალიზმში კაპიტალისტების შეზრდის გზით**, — ასეთია ბუხარინის ფორმულა.

რა შეიძლება საერთო იყოს ამ ორ ფორმულას შორის? ამრიგად, სოციალიზმში კულაკების შეზრდის ბუხარინული თეორია წარმოადგენს კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ-ლენინური თეორიისაგან დაშორებას. იგი კათედერ-სოციალიზმის [5] თეორიასთან დაახლოებაა.

ამაშია ბუხარინისა და მისი მეგობრების ყველა შეცდომის საფუძველი.

შეიძლება თქვან, არ ღირს სიტყვის გაგრძელება სოციალიზმში კულაკების შეზრდის ბუხარინულ თეორიაზე, ვინაიდან იგი თვითონ მეტყველებს — და არა მარტო მეტყველებს, არამედ გაჰყვირის — ბუხარინის წინააღმდეგო. ეს მართალი არ არის, ამხანაგებო! სანამ ეს თეორია სადღაც იყო მიგდებული, შეიძლებოდა ყურადღება არ მიგვექცია მისთვის: განა ცოტა სისულელე მოიპოვება სხვადასხვა ამხანაგთა ნაწერებში! ასეც ვიქცეოდით ამ ბოლო დრომდე. მაგრამ უკანასკნელ ხანს ვითარება შეიცვალა. წვრილბურჟუაზიულმა სტიქიამ, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში ამოძრავდა, სული შთაბერა ამ ანტიმარქსისტულ თეორიას, აქტუალური ხასიათი მისცა მას. ახლა აღარ შეიძლება ითქვას, რომ იგი მიგდებულია. ახლა მას, ბუხარინის ამ უცნაურ თეორიას, პრეტენზია აქვს გადაიქცეს ჩვენს პარტიაში მემარჯვენე გადახრის დროშად, ოპორტუნიზმის დროშად. ამიტომ ჩვენ აღარ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ ამ თეორიას. ამიტომ ჩვენ ვალდებული ვართ დავამსხვრიოთ იგი, როგორც არასწორი და მავნე თეორია, რათა გავუადვილოთ ჩვენს პარტიულ ამხანაგებს ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან.

ბ) კლასობრივი ბრძოლის გამწვავების შესახებ

ბუხარინის მეორე შეცდომა, რომელიც გამომდინარეობს მისი პირველი შეცდომიდან, ის არის, რომ იგი არასწორად, არამარქსისტულად უდგება კლასობრივი ბრძო-

ლის გამწვავების საკითხს, საბჭოთა ხელისუფლების სოციალისტური პოლიტიკის მიმართ კაპიტალისტური ელემენტების მხრივ წინააღმდეგობის გაძლიერების საკითხს.

რაზეა აქ ლაპარაკი? იმაზე ხომ არა, რომ კაპიტალისტური ელემენტები უფრო სწრაფად იზრდებიან, ვიდრე ჩვენი მეურნეობის სოციალისტური სექტორი, და რომ ამის გამო ისინი აძლიერებენ თავიანთ წინააღმდეგობას, ძირს უთხრიან სოციალისტურ მშენებლობას? არა, ამაზე არა. თანაც მართალი არ არის, თითქოს კაპიტალისტური ელემენტები სოციალისტურ სექტორზე უფრო სწრაფად იზრდებიან. ეს რომ მართალი იყოს, მაშინ სოციალისტური მშენებლობა უკვე დაღუპვის პირას იქნებოდა.

აქ ლაპარაკია იმაზე, რომ სოციალიზმი წარმატებით აწარმოებს შეტევას კაპიტალისტურ ელემენტებზე, სოციალიზმი კაპიტალისტურ ელემენტებზე **უფრო სწრაფად** იზრდება, ამის გამო კაპიტალისტური ელემენტების ხვედრითი წონა **ეცემა,** და სწორედ იმიტომ, რომ კაპიტალისტური ელემენტების ხვედრითი წონა **ეცემა,** კაპიტალისტური ელემენტები გრძნობენ სასიკვდილო საფრთხეს და აძლიერებენ თავიანთ წინააღმდეგობას.

ხოლო თავიანთი წინააღმდეგობის გაძლიერების შესაძლებლობა მათ ჯერ კიდევ აქვთ არა მარტო იმიტომ, რომ მათ მხარს უჭერს მსოფლიო კაპიტალიზმი, არამედ იმიტომაც, რომ, მიუხედავად მათი ხვედრითი წონის დაცემისა, სოციალიზმის ზრდასთან შედარებით მათი შეფარდებითი ზრდის შესუსტებისა, კაპიტალისტური ელემენტების აბსოლუტური ზრდა მაინც ხდება, და ეს მათ აძლევს ერთგვარ შესაძლებლობას დააგროვონ ძალები იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ სოციალიზმის ზრდას.

სწორედ ამ საფუძველზე წარმოიშობა განვითარების ახლანდელ სტადიაში, ძალთა თანაფარდობის **ახლანდელ პი-**

რობებში, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგობის გაძლიერება.

ბუხარინისა და მისი მეგობრების შეცდომა ის არის, რომ მათ არ ესმით ეს უბრალო და აშკარა ჭეშმარიტება. მათი შეცდომა ის არის, რომ ისინი საქმეს უდგებიან არა მარქსისტულად, არამედ ობივატელურად, ცდილობენ ახსნან კლასობრივი ბრძოლის გამწვავება ყოველნაირი შემთხვევითი მიზეზებით: საბჭოთა აპარატის «უვარგისობით», ადგილობრივი ამხანაგების «წინდაუხედავი» პოლიტიკით, მოქნილობის «უქონლობით», «გადახვევებით» და სხვ. და ა. შ.

აი, მაგალითად, ციტატა ბუხარინის ბროშურიდან «გზა სოციალიზმისაკენ», რომელიც ცხადყოფს სრულიად არამარქსისტულ მიდგომას კლასობრივი ბრძოლის გამწვავების საკითხისადმი:

«ხან აქ, ხან იქ კლასობრივი ბრძოლა სოფლად იფეთქებს ხოლმე თავისი წინანდელი სახით, ამასთან ამ გამწვავებას ჩვეულებრივად კულაკური ელემენტები იწვევენ. როცა, მაგალითად, კულაკები ან ის ადამიანები, რომლებიც სხვის ხარჯზე ისქელებენ ჯიბეს და რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებში გამძვრალან, სოფლკორებს ტყვიას ესვრიან, — ეს არის კლასობრივი ბრძოლის გამოვლინება ყველაზე მწვავე ფორმით. (ეს მართალი არ არის, ვინაიდან ბრძოლის ყველაზე მწვავე ფორმა აჯანყებაა. **ი. სტალინი**). მაგრამ ასეთი შემთხვევები ჩვეულებრივ ხდება იქ, სადაც ადგილობრივი საბჭოთა აპარატი ჯერ კიდევ სუსტია. **რაც უფრო გაუმჯობესდება ეს აპარატი,** რაც უფრო განმტკიცდება საბჭოთა ხელისუფლების ყველა ძირეული უჯრედი, რაც უფრო გაუმჯობესდება და გაძლიერდება სოფლის ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, **ამგვარი მოვლენები,** როგორც ეს სავსებით ცხადია, სულ უფრო იშვიათი გახდება და, ბოლოს, **უკვალოდ გაქრება»** *.

ამრიგად, გამოდის, რომ კლასობრივი ბრძოლის გამწვავება აიხსნება აპარატული ხასიათის მიზეზებით, ჩვენი

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

ძირეული ორგანიზაციების ვარგისობით თუ უვარგისობით, სისუსტით თუ ძლიერებით.

გამოდის, მაგალითად, რომ შახტის ბურჟუაზიული ინტელიგენტების მავნებლობა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ბურჟუაზიული ელემენტების წინააღმდეგობის ფორმა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ფორმაა, აიხსნება არა კლასობრივ ძალთა თანაფარდობით, არა სოციალიზმის ზრდით, არამედ ჩვენი აპარატის უვარგისობით.

გამოდის, რომ შახტის რაიონში მასობრივი მავნებლობის დაწყებამდე ჩვენი აპარატი კარგი იყო, ხოლო შემდეგ, მასობრივი მავნებლობის გამოვლინების მომენტში, აპარატი რატომღაც სრულიად უვარგისი გახდა.

გამოდის, რომ შარშანდლამდე, როცა პურის დამზადება თვითდინებით მიდიოდა და კლასობრივი ბრძოლის განსაკუთრებული გამწვავება ჩვენში არ იყო, ჩვენი ორგანიზაციები ადგილებზე ძალიან კარგი ან იდეალურიც კი იყვნენ, შარშანდლიდან კი, როცა კულაკობის წინააღმდეგობამ განსაკუთრებით მწვავე ფორმები მიიღო, ჩვენი ორგანიზაციები უცბად ცუდი და სრულიად უვარგისი გახდნენ.

ეს ახსნა კი არა, ახსნის აბუჩად აგდებაა, ეს მეცნიერება კი არ არის, არამედ ექიმბაშობაა.

მაშ ნამდვილად რით აიხსნება ეს გამწვავება?

ორი მიზეზით.

ჯერ-ერთი, ჩვენი წინსვლით, ჩვენი შეტევით, მეურნეობის სოციალისტური ფორმების ზრდით მრეწველობაშიც და სოფლის მეურნეობაშიც, ზრდით, რომელსაც თან სდევს ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტთა განსაზღვრული რაზმების სათანადო განდევნა. საქმის ვითარება ისეთია, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ლენინის ფორმულის მიხედვით — «ვინვის»: ჩვენ დავცემთ მათ, კაპიტალისტებს, ორივე ბეჭით და

გავუმართავთ მათ, როგორც ლენინი ამბობდა, უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლას, თუ ისინი დაგვცემენ ჩვენ ორივე ბეჭით.

მეორეც, იმით, რომ კაპიტალისტურ ელემენტებს არ სურთ ნებაყოფლობით დატოვონ ასპარეზი: ისინი წინააღმდეგობას უწევენ და კვლავაც გაუწევენ წინააღმდეგობას სოციალიზმს, ვინაიდან ხედავენ, რომ დგება მათი არსებობის უკანასკნელი დღეები. ხოლო წინააღმდეგობის გაწევა მათ ჯერ კიდევ შეუძლიათ, ვინაიდან, მიუხედავად მათი ხვედრითი წონის დაცემისა, აბსოლუტურად ისინი მაინც იზრდებიან: წვრილი ბურჟუაზია, ქალაქისა და სოფლისა, ყოველდღიურად, ყოველსაათობით, როგორც ლენინი ამბობდა, გამოყოფს თავისი წრიდან დიდ და პატარა კაპიტალისტებს, და ისინი, ეს კაპიტალისტური ელემენტები, ყოველ ზომას მიმართავენ, რომ შეინარჩუნონ არსებობა.

ისტორიაში ჯერ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მომაკვდავ კლასებს ნებაყოფლობით დაეტოვებინოთ ასპარეზი. ისტორიაში ჯერ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მომაკვდავ ბურჟუაზიას არ ესინჯოს თავისი ძალების ყველა ნაშთი თავისი არსებობის შესანარჩუნებლად. კარგი იქნება ჩვენი ძირეული საბჭოთა აპარატი თუ ცუდი, ჩვენი წინსვლა, ჩვენი შეტევა გამოიწვევს კაპიტალისტური ელემენტების შემცირებას და მათს განდევნას, ხოლო ისინი, მომაკვდავი კლასები, წინააღმდეგობას გაგვიწევენ, ყოველივეს მიუხედავად.

აი რა არის ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების საფუძველი.

ბუხარინისა და მისი მეგობრების შეცდომა ის არის, რომ ისინი კაპიტალისტების წინააღმდეგობის ზრდას მათი ხვედრითი წონის ზრდასთან აიგივებენ. მაგრამ ამ გაიგივებას არავითარი ნიადაგი არ მოეპოვება. ნიადაგი არ მოეპოვება,

ვინაიდან თუ ისინი, კაპიტალისტები, წინააღმდეგობას გვიწევენ, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ისინი ჩვენზე ძლიერნი გახდნენ. საქმე სწორედ პირიქით არის. დრომოჭმული კლასები წინააღმდეგობას გვიწევენ არა იმიტომ, რომ ისინი ჩვენზე ძლიერნი გახდნენ, არამედ იმიტომ, რომ სოციალიზმი მათზე უფრო სწრაფად იზრდება და ისინი ჩვენზე უფრო სუსტნი ხდებიან. და სწორედ იმიტომ, რომ ისინი უფრო სუსტნი ხდებიან, ისინი გრძნობენ თავიანთი არსებობის უკანასკნელ დღეებს და იძულებული არიან მთელი ძალღონით, ყველა საშუალებით გაგვიწიონ წინააღმდეგობა.

აი რაშია კლასობრივი ბრძოლის გამწვავებისა და კაპიტალისტთა წინააღმდეგობის მექანიკა ახლანდელ ისტორიულ მომენტში.

რაში უნდა მდგომარეობდეს პარტიის პოლიტიკა საქმის ასეთი ვითარების გამო?

იგი უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ ვაღვიძებდეთ მუშათა კლასს და სოფლის ექსპლოატირებულ მასებს, ვაძლიერებდეთ მათს ბრძოლისუნარიანობას და ვავითარებდეთ მათს მობილიზაციურ მზადყოფნას ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, წინააღმდეგობის გამწევი კლასობრივი მტრების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

კლასთა ბრძოლის მარქსისტულ-ლენინური თეორია, სხვათა შორის, სწორედ იმით არის კარგი, რომ იგი აადვილებს მუშათა კლასის მობილიზაციას პროლეტარიატის დიქტატურის მტრების წინააღმდეგ.

რაში მდგომარეობს მავნებლობა ბუხარინის თეორიისა სოციალიზმში კაპიტალისტთა შეზრდის შესახებ და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების საკითხის ბუხარინული გაგებისა?

იმაში, რომ იგი აძინებს მუშათა კლასს, ძირს უთხრის ჩვენი ქვეყნის რევოლუციური ძალების მობილიზაციურ მზადყოფნას, ახდენს მუშათა კლასის დემობილიზაციას და აადვილებს კაპიტალისტური ელემენტების შეტევას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

გ) გლეხობის შესახებ

ბუხარინის მესამე შეცდომა გლეხობის საკითხს ეხება. ცნობილია, რომ ჩვენში გლეხობის საკითხი ჩვენი პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. ჩვენს პირობებში გლეხობა შესდგება სხვადასხვა სოციალური დაჯგუფებებისაგან, სახელდობრ: ღარიბი გლეხობისა, საშუალო გლეხობისა და კულაკებისაგან. გასაგებია, რომ ჩვენი დამოკიდებულება ამ დაჯგუფებებისადმი არ შეიძლება ერთნაირი იყოს. ღარიბი გლეხობა როგორც მუშათა კლასის **დასაყრდენი,** საშუალო გლეხი როგორც **მოკავშირე** და კულაკი როგორც **კლასობრივი მტერი,** — ასეთია ჩვენი დამოკიდებულება ამ სოციალური დაჯგუფებებისადმი. ყოველივე ეს გასაგებია და საყოველთაოდ ცნობილია.

მაგრამ ბუხარინი ამ საქმეს რამდენადმე სხვანაირად უყურებს. გლეხობის დახასიათებისას მას ეკარგება გლეხობის დიფერენციაციის ფაქტი, სადღაც ქრება სოციალურ დაჯგუფებათა არსებობა და რჩება მხოლოდ უფერული ლაქა, რომელსაც სოფელი ეწოდება. ბუხარინისათვის არც კულაკია კულაკი, არც საშუალო გლეხია საშუალო გლეხი, არამედ არის რაღაც საყოველთაო სიღატაკე სოფლად. სწორედ ასე ამბობდა იგი აქ თავის სიტყვაში: განა ჩვენს კულაკს კულაკი შეიძლება ეწოდოს? ის ხომ ღატაკიაო, — ამბობდა იგი. ხოლო ჩვენი საშუალო გლეხი — განა ის საშუალო გლეხსა ჰგავს? — აცხადებდა აქ ბუხარინი. — ის ხომ ღატაკია, ნახევრად-მშიერიო. გასაგებია, რომ ასეთი

შეხედულება გლეხობაზე ძირფესვიანად მცდარი, ლენინიზმთან შეუთავსებელი შეხედულებაა.

ლენინი ამბობდა, რომ ინდივიდუალური გლეხობა **უკანასკნელი კაპიტალისტური კლასია.** სწორია თუ არა ეს დებულება? დიახ, უთუოდ სწორია. რატომ არის ინდივიდუალური გლეხობა მიჩნეული უკანასკნელ კაპიტალისტურ კლასად? იმიტომ, რომ ორი ძირითადი კლასიდან, რომლებისგანაც ჩვენი საზოგადოება შესდგება, გლეხობა ის კლასია, რომლის მეურნეობაც ეყრდნობა კერძო საკუთრებას და წვრილ სასაქონლო წარმოებას. იმიტომ, რომ გლეხობა, სანამ იგი რჩება ინდივიდუალურ გლეხობად, რომელიც წვრილ-სასაქონლო წარმოებას ეწევა, მუდამ და განუწყვეტლივ გამოყოფს და არც შეიძლება არ გამოყოფდეს თავისი წრიდან კაპიტალისტებს.

ამ გარემოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის პრობლემისადმი ჩვენი მარქსისტული დამოკიდებულების საკითხში. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გვესაჭიროება არა **ყოველგვარი** კავშირი გლეხობასთან, არამედ მხოლოდ **ისეთი კავშირი,** რომელიც ეყრდნობა ბრძოლას გლეხობის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ.

როგორც ხედავთ, ლენინის თეზისი გლეხობის, როგორც უკანასკნელი კაპიტალისტური კლასის, შესახებ არა თუ არ ეწინააღმდეგება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის იდეას, არამედ, პირიქით, საფუძველს აძლევს ამ კავშირს, როგორც მუშათა კლასისა და გლეხობის უმრავლესობის კავშირს, რომელიც მიმართულია საერთოდ კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, კერძოდ სოფლად გლეხობის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ.

ლენინმა ეს თეზისი წამოაყენა იმის ნათელსაყოფად, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი შეიძლება

მტკიცე იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ეყრდნობა ბრძოლას სწორედ იმ კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, რომლებსაც გლეხობა გამოყოფს.

ბუხარინის შეცდომა ის არის, რომ მისთვის გაუგებარი და მიუღებელია ეს უბრალო რამ, მას ავიწყდება სოფლად სოციალურ დაჯგუფებათა არსებობა, მისი მხედველობის არეში ქრებიან კულაკები და ღარიბი გლეხობა და რჩება მხოლოდ საშუალო გლეხობის მთლიანი მასა.

ეს გარემოება წარმოადგენს ბუხარინის უეჭველ გადახრას მარჯვნივ, წინააღმდეგ «მემარცხენე», ტროცკისტული გადახრისა, რომელიც სოფლად, ღარიბი გლეხობისა და კულაკების გარდა, სხვა სოციალურ დაჯგუფებებს ვერ ხედავს და რომლის მხედველობის არეშიც ქრებიან საშუალო გლეხები.

რაშია განსხვავება ტროცკიზმსა და ბუხარინის ჯგუფს შორის გლეხობასთან კავშირის საკითხში? იმაში, რომ ტროცკიზმი გლეხობის საშუალო მასებთან **მტკიცე** კავშირის პოლიტიკის **წინააღმდეგია,** ხოლო ბუხარინის ჯგუფი **მხარს უჭერს ყოველგვარ** კავშირს გლეხობასთან საერთოდ. მტკიცება აღარ ესაჭიროება იმას, რომ ორივე ეს გეზი არა სწორია და ერთი მეორეს არ ჩამოუვარდება.

ლენინიზმი უთუოდ მხარს უჭერს მტკიცე კავშირს გლეხობის ძირითად მასებთან, კავშირს საშუალო გლეხებთან, მაგრამ არა ყოველგვარ კავშირს, არამედ ისეთ კავშირს საშუალო გლეხებთან, რომელიც უზრუნველყოფს მუშათა კლასის **ხელმძღვანელ როლს, განამტკიცებს** პროლეტარიატის დიქტატურას და **აადვილებს კლასების მოსპობის საქმეს.**

«მუშათა კლასსა და გლეხობას შორის შეთანხმებად, — ამბობს ლენინი, — შეიძლება ვიგულისხმოთ ყველაფერი რაც გნებავთ. თუ მხედველობაში არ ვიქონიეთ, რომ შეთანხმება, მუშათა კლასის თვალსაზრისით, მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, სწორი და პრინციპულად

შესაძლებელი, როცა იგი ხელს უწყობს მუშათა კლასის დიქტატურას და წარმოადგენს კლასების მოსპობისაკენ მიმართულ ერთ-ერთ ზომას, მაშინ გლეხობასთან მუშათა კლასის შეთანხმების ფორმულა, რა თქმა უნდა, რჩება ფორმულად, რომელსაც თავის შეხედულებებში ატარებს საბჭოთა ხელისუფლების ყველა მტერი და დიქტატურის ყველა მტერი» (ტ. XXVI, გვ. 387).

და შემდეგ:

«ახლა, — ამბობს ლენინი, — პროლეტარიატს ხელთ უპყრია ძალაუფლება და ხელმძღვანელობს მას. იგი ხელმძღვანელობს გლეხობას. რას ნიშნავს გლეხობისადმი ხელმძღვანელობა? ეს ნიშნავს, ჯერ ერთი, იმას, რომ აღებული გვქონდეს გეზი კლასების მოსპობისაკენ, და არა წვრილი მწარმოებლის შენარჩუნებისაკენ. ჩვენ რომ ავმცდარიყავით ამ ხაზს, მთავარ და ძირითად ხაზს, მაშინ სოციალისტები აღარ ვიქნებოდით და მოვხვდებოდით იმ წვრილი ბურჟუების ბანაკში, ესერებისა და მენშევიკების ბანაკში, რომლებიც ამჟამად პროლეტარიატის უბოროტესი მტრები არიან» (იქვე, გვ. 399 — 400).

აი იგი, ლენინის თვალსაზრისი გლეხობის ძირითად მასებთან კავშირის, საშუალო გლეხებთან კავშირის შესახებ.

ბუხარინის ჯგუფის შეცდომა საშუალო გლეხის საკითხში ის არის, რომ იგი ვერ ხედავს საშუალო გლეხის ორმაგ ბუნებას, ორმაგ მდგომარეობას მუშათა კლასსა და კაპიტალისტებს შორის. «საშუალო გლეხი მერყეევი კლასია», ამბობდა ლენინი. რატომ? იმიტომ, რომ საშუალო გლეხი, ერთი მხრივ, მშრომელია, რაც მას აახლოებს მუშათა კლასთან, ხოლო მეორე მხრივ — მესაკუთრეა, რაც მას აახლოებს კულაკთან. აქედან წარმოსდგება საშუალო გლეხის მერყეობა. და ეს სწორია არა მარტო თეორიულად. ეს მერყეობა მჟღავნდება აგრეთვე პრაქტიკაში ყოველდღიურად, ყოველსაათობით.

«გლეხი, — ამბობს ლენინი, — როგორც მშრომელი, მიიწევს სოციალიზმისაკენ, უპირატესობას აძლევს მუშების დიქტატურას ბურჟუაზიის დიქტატურის წინაშე. გლეხი, როგორც პურის გამყიდველი, მიიწევს ბურჟუაზიისაკენ, თავისუფალი ვაჭრობისაკენ, ე. ი. უკან,

«შეჩვეული», ძველი, «საუკუნეობრივი» კაპიტალიზმისაკენ» (ტ. XXIV, გვ. 314).

ამიტომ საშუალო გლეხთან კავშირი შეიძლება მტკიცე იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მიმართულია კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, საერთოდ კაპიტალიზმის წინააღმდეგ, თუ იგი უზრუნველყოფს მუშათა კლასის ხელმძღვანელ როლს ამ კავშირში, თუ იგი აადვილებს კლასების მოსპობის საქმეს.

ბუხარინის ჯგუფს ავიწყდება ეს უბრალო და გასაგები რამ.

დ) ნეპისა და საბაზრო ურთიერთობის შესახებ

ბუხარინის მეოთხე შეცდომა ნეპის (ახალი ეკონომიური პოლიტიკის) საკითხს ეხება. ბუხარინის შეცდომა აქ ის არის, რომ იგი ვერ ხედავს ნეპის ორმხრივობას, იგი ხედავს ნეპის მხოლოდ ერთ მხარეს. როცა ჩვენ 1921 წელს ნეპი შემოვიღეთ, მაშინ მის მახვილს მივმართავდით სამხედრო კომუნიზმის წინააღმდეგ, ისეთი რეჟიმისა და წესების წინააღმდეგ, რომლებიც გამორიცხავენ კერძო ვაჭრობის **რაიმე** თავისუფლებას. ჩვენ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ ნეპი ნიშნავს კერძო ვაჭრობის **ერთგვარ** თავისუფლებას. ბუხარინს საქმის ეს მხარე დაუხსომებია. და ეს ძალიან კარგია.

მაგრამ ბუხარინი ცდება, როცა ფიქრობს, რომ ნეპი საქმის ამ მხარით ამოიწურება. ბუხარინს ავიწყდება, რომ ნეპს მეორე მხარეც აქვს. საქმე ის არის, რომ ნეპი სრულიადაც არ ნიშნავს კერძო ვაჭრობის **სრულ** თავისუფლებას, ბაზარზე ფასების **თავისუფალ** თამაშს. ნეპი არის კერძო ვაჭრობის თავისუფლება **განსაზღვრულ** ფარგლებში, **განსაზღვრულ** ჩარჩოებში, **როცა უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მომწესრიგებელი როლი ბაზარზე.** სწორედ ამაში

მდგომარეობს ნეპის მეორე მხარე. ამასთან ნეპის ეს მხარე უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ვიდრე მისი პირველი მხარე. ჩვენში ბაზარზე არ არის ფასების თავისუფალი თამაში, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება კაპიტალისტურ ქვეყნებში. ჩვენ ძირითადად განვსაზღვრავთ პურის ფასებს. ჩვენ განვსაზღვრავთ სამრეწველო საქონლის ფასებს. ჩვენ ვცდილობთ ვახორციელებდეთ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და სამრეწველო საქონლის ფასების შემცირების პოლიტიკას, ვისწრაფით შევინარჩუნოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების სტაბილურობა. განა ცხადი არ არის, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში ბაზარზე ასეთი განსაკუთრებული და სპეციფიკური წესები არ არსებობს.

აქედან გამომდინარეობს, რომ, სანამ არსებობს ნეპი, შენარჩუნებულ უნდა იქნას მისი ორივე მხარე: პირველი მხარეც, რომელიც მიმართულია სამხედრო კომუნიზმის რეჟიმის წინააღმდეგ და მიზნად ისახავს კერძო ვაჭრობის **ერთგვარი** თავისუფლების უზრუნველყოფას, და მეორე მხარეც, რომელიც მიმართულია კერძო ვაჭრობის **სრული** თავისუფლების წინააღმდეგ და მიზნად ისახავს ბაზარზე სახელმწიფოს მომწესრიგებელი როლის უზრუნველყოფას. მოსპეთ ერთ-ერთი რომელიმე ეს მხარე, — და ახალი ეკონომიური პოლიტიკა აღარ გექნებათ.

ბუხარინი ფიქრობს, რომ ნეპს საფრთხე შეიძლება მოელოდეს მხოლოდ «მარცხნიდან», იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც სურთ მოსპონ ვაჭრობის **ყოველგვარი** თავისუფლება. ეს არ არის მართალი. ეს ყოვლად უხეში შეცდომაა. ესეც არ იყოს, ასეთი საფრთხე ახლა ყველაზე ნაკლებად რეალურია, ვინაიდან ჩვენს ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანიზაციებში ახლა არა გვყავს, ან თითქმის არა გვყავს ისეთი ადამიანები, რომლებსაც არ ესმოდეთ ვაჭ-

რობის **ერთგვარი** თავისუფლების შენარჩუნების მთელი აუცილებლობა და მიზანშეწონილობა.

გაცილებით უფრო რეალურია საფრთხე მარჯვნიდან, საფრთხე იმ ადამიანთა მხრივ, რომელთაც სურთ მოსპონ ბაზარზე სახელმწიფოს მომწესრიგებელი როლი, სურთ «გაათავისუფლონ» ბაზარი და ამრიგად დასაბამი მისცენ კერძო ვაჭრობის სრული თავისუფლების ერას. სავსებით უეჭველია, რომ ეს საფრთხე — მარჯვნიდან ნეპის ჩაშლის საფრთხე ახლა გაცილებით უფრო რეალურია.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ წვრილბურჟუაზიული სტიქია მუშაობს სწორედ ამ მიმართულებით, — ნეპის მარჯვნიდან ჩაშლის მიმართულებით. უნდა გვახსოვდეს აგრეთვე, რომ კულაკებისა და შეძლებული ელემენტების მოთქმა, სპეკულანტებისა და შემსყიდველების მოთქმა, რომელიც ხშირად გავლენას ახდენს ბევრ ჩვენს ამხანაგზე, თავს ესხმის ნეპს სწორედ ამ მხრიდან. ის ფაქტი, რომ ბუხარინი ვერ ხედავს ნეპის ჩაშლის ამ მეორე, ნამდვილად რეალურ, საფრთხეს, — ეს ფაქტი უეჭველად მოწმობს, რომ იგი წვრილბურჟუაზიული სტიქიის გავლენაში მოექცა.

ბუხარინი წინადადებას იძლევა მოვახდინოთ ბაზრის «ნორმალიზაცია» და ვაწარმოოთ «მანევრირება» პურის დამზადების ფასებით რაიონებში, ე. ი. გავადიდოთ პურის ფასები. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ მას არ აკმაყოფილებს ბაზრის საბჭოთა პირობები, მას სურს თანდათანობით შეასუსტოს სახელმწიფოს მომწესრიგებელი როლი ბაზარზე და წინადადებას იძლევა — წავიდეთ დათმობებზე წვრილბურჟუაზიული სტიქიის წინაშე, რომელიც მარჯვნიდან ფუშავს ნეპს.

დავუშვათ ერთ წუთს, რომ ჩვენ დავიჯერეთ ბუხარინის რჩევა. რა გამოვა აქედან? ჩვენ ვადიდებთ პურის ფასებს, ვთქვათ, შემოდგომაზე, დამზადების პერიოდის და-

საწყისში. მაგრამ ვინაიდან ბაზარზე ყოველთვის არიან ისეთი ადამიანები, ყოველგვარი სპეკულანტები და შემსყიდველები, რომლებსაც შეუძლიათ ერთისამად მეტი მისცენ პურში, და ვინაიდან ჩვენ არ შეგვიძლია გამოვედევნოთ სპეკულანტებს, რადგან ისინი ყიდულობენ რაღაც ათეულ მილიონ ფუთს, ჩვენ კი ასეულმილიონობით ფუთი უნდა ვიყიდოთ, პურის მფლობელები სულ ერთია შემოინახავენ პურს ფასების შემდგომი გადიდების მოლოდინში. მაშასადამე, ჩვენ მოგვიხდება პურის ფასის კვლავ მომატება გაზაფხულზე, როცა უმთავრესად იჩენს თავს პურის ძირითადი საჭიროება სახელმწიფოსათვის. მაგრამ რას ნიშნავს პურის ფასის გადიდება გაზაფხულზე? ეს ნიშნავს ყელის გამოჭრას ღარიბი გლეხობისა და სოფლის ხელმოკლე ფენებისათვის, რომლებიც თვითონ იძულებული არიან იყიდონ გაზაფხულზე დანაკლისი პური, ნაწილობრივ სათესლედ, ნაწილობრივ მოხმარებისათვის, სწორედ ის პური, რომელიც მათ შემოდგომაზე უფრო იაფად გაყიდეს. შევძლებთ თუ არა ჩვენ რაიმე სერიოზულს მივაღწიოთ ამ ოპერაციების შედეგად იმ მხრივ, რომ საკმაო რაოდენობით მივიღოთ პური? ყველაზე მოსალოდნელია, რომ ვერ შევძლებთ, ვინაიდან ყოველთვის მოინახებიან სპეკულანტები და შემსყიდველები, რომლებიც შესძლებენ კვლავ ერთიორად და ერთისამად მეტი მისცენ ამავე პურში. მაშასადამე, ჩვენ, სპეკულანტებისა და შემსყიდველების გასწრების ამაო ცდაში, მზად უნდა ვიყოთ კვლავ გავადიდოთ პურის ფასები.

მაგრამ აქედან გამოდის, რომ, რაკი ერთხელ დავადექით პურის ფასების გადიდების გზას, შემდეგშიც უნდა დავეშვათ დაბლა, თუმცა მაინც არ გვექნება პურის საკმაო რაოდენობით მიღების გარანტია.

მაგრამ საქმე ამით როდი მთავრდება:

ჯერ-ერთი, რაკი პურის **დამზადების** ფასებს გავადიდებთ, ჩვენ შემდეგ უნდა გავადიდოთ სოფლის მეურნეობის მიერ წარმოებული ნედლეულის ფასებიც, რათა დავიცვათ ერთგვარი პროპორცია სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასებში.

მეორეც, პურის დამზადების ფასებს რომ ავწევთ, ჩვენ ვერ შევინარჩუნებთ პურის დაბალ საცალო ფასს ქალაქებში, — მაშასადამე, იძულებული ვიქნებით გავადიდოთ პურის **გასაყიდი** ფასებიც. ხოლო ვინაიდან ჩვენ არ შეგვიძლია ვაწყენინოთ და არც უნდა ვაწყენინოთ მუშებს, — აჩქარებული ტემპით უნდა გავადიდოთ ხელფასი. მაგრამ ამან არ შეიძლება არ გამოიწვიოს სამრეწველო საქონლის ფასების აწევაც, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს სახსრების გადაქაჩვა ქალაქიდან სოფელში, წინააღმდეგ ინდუსტრიალიზაციის ინტერესებისა.

შედეგად ჩვენ იძულებული ვიქნებით გავუთანასწოროთ ერთმანეთს სამრეწველო საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასები არა **კლებადი** ან ყოველ შემთხვევაში სტაბილიზებული ფასების ბაზაზე, არამედ როგორც პურის, ისე სამრეწველო საქონლის **მზარდი** ფასების ბაზაზე.

სხვანაირად რომ ვთქვათ, იძულებული ვიქნებით კურსი ავიღოთ სამრეწველო საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების **გაძვირებაზე.**

ძნელი გასაგები არ არის, რომ ფასებით ასეთმა «მანევრირებამ» არ შეიძლება არ გამოიწვიოს ფასების საბჭოთა პოლიტიკის სრული ლიკვიდაცია, ბაზარზე სახელმწიფოს მომწესრიგებელი როლის ლიკვიდაცია და წვრილბურჟუაზიული სტიქიის სრული აშვება.

ვისთვის იქნება ეს ხელსაყრელი?

მხოლოდ ქალაქისა და სოფლის შეძლებული ფენებისათვის, ვინაიდან ძვირი სამრეწველო საქონელი და სა-

სოფლო-სამეურნეო პროდუქტები არ შეიძლება მიუწვდომელი არ გახდეს როგორც მუშათა კლასისათვის, ისე ღარიბი გლეხობისა და სოფლის ხელმოკლე ფენებისათვის. მოიგებენ კულაკები და მდიდრები, ნეპმანები და სხვა შეძლებული კლასები.

ესეც კავშირი იქნება, მაგრამ კავშირი თავისებური — კავშირი სოფლისა და ქალაქის შეძლებულ ფენებთან. მუშებსა და სოფლის ხელმოკლე ფენებს სრული უფლება ექნებათ გვკითხონ: ვისი ხელისუფლება ვართ ჩვენ, მუშურ-გლეხური თუ კულაკურ-ნეპმანური?

გათიშვა მუშათა კლასთან და სოფლის ხელმოკლე ფენებთან, კავშირი სოფლისა და ქალაქის მდიდარ ფენებთან — აი სადამდე უნდა მიგვიყვანოს ბაზრის ბუხარინულმა «ნორმალიზაციამ» და რაიონებში პურის ფასებით «მანევრირებამ».

ცხადია, რომ პარტია ვერ დაადგება ამ დამღუპველ გზას.

თუ რამდენად აერია ბუხარინს ყველა ეს ცნება ნეპის შესახებ და რა მაგრად მოექცა იგი ბურჟუაზიული სტიქიის ტყვეობაში, — ეს ჩანს, სხვათა შორის, იმ უაღრესად უარყოფითი დამოკიდებულებიდან, რომელსაც იჩენს იგი ქალაქსა და სოფელს შორის, სახელმწიფოსა და გლეხობას შორის საქონელბრუნვის ახალი ფორმების საკითხისადმი. იგი აღშფოთებულია და გაჰყვირის იმის წინააღმდეგ, რომ სახელმწიფო გადაიქცა გლეხობისათვის საქონლის მიმწოდებლად, ხოლო გლეხობა სახელმწიფოსათვის პურის მიმწოდებელი ხდება. მას მიაჩნია ეს ნეპის ყველა წესის დარღვევად, ნეპის თითქმის ჩაშლად. საკითხავია, რატომ, რა საფუძვლით?

რა შეიძლება ცუდი იყოს იმაში, რომ სახელმწიფო, სახელმწიფო მრეწველობა გლეხობისათვის საქონლის მიმწოდებელია, უშუამავლოდ, ხოლო გლეხობა — მრეწვე-

ლობისათვის, სახელმწიფოსათვის პურის მიმწოდებელია აგრეთვე უშუამავლოდ?

რა შეიძლება ცუდი იყოს მარქსიზმისა და მარქსისტული პოლიტიკის თვალსაზრისით იმაში, რომ გლეხობა უკვე **გადაიქცა** სახელმწიფო მრეწველობის საჭიროებისათვის ბამბის, ჭარხლის, სელის მიმწოდებლად, ხოლო სახელმწიფო მრეწველობა — სოფლის მეურნეობის ამ დარგებისათვის ქალაქის საქონლის, თესლისა და წარმოების იარაღების მიმწოდებლად?

კონტრაქტაციის მეთოდი აქ წარმოადგენს ქალაქსა და სოფელს შორის საქონელბრუნვის ამ ახალი ფორმების დადგენის ძირითად მეთოდს. მაგრამ კონტრაქტაციის მეთოდი განა ეწინააღმდეგება ნეპის მოთხოვნებს?

რა შეიძლება ცუდი იყოს იმაში, რომ გლეხობა კონტრაქტაციის იმავე მეთოდის მეოხებით სახელმწიფოსათვის პურის მიმწოდებელიც **ხდება,** და არა მარტო ბამბისა, ჭარხლისა, სელისა?

რატომ შეიძლება წვრილი პარტიობით ვაჭრობას, წვრილ ვაჭრობას ეწოდებოდეს საქონელბრუნვა, ხოლო მსხვილი პარტიობით ვაჭრობა საქონლის ფასებისა და ხარისხის შესახებ წინასწარ შედგენილი ხელშეკრულებებით (კონტრაქტაცია) არ შეიძლება ჩაითვალოს საქონელბრუნვად?

განა ძნელი გასაგებია, რომ ქალაქსა და სოფელს შორის კონტრაქტაციის მეთოდით საქონელბრუნვის ეს ახალი მასობრივი ფორმები წარმოიშვა სწორედ ნეპის საფუძველზე, რომ ეს ფორმები წარმოადგენენ ჩვენი ორგანიზაციების მიერ წინ გადადგმულ უდიდეს ნაბიჯს სახალხო მეურნეობის გეგმიანი, სოციალისტური ხელმძღვანელობის გაძლიერების აზრით?

ბუხარინმა დაკარგა ასეთი უბრალო და გასაგები ამბების გაგების უნარი.

ე) ეგრეთწოდებული «ხარკის» შესახებ

ბუხარინის მეხუთე შეცდომა (მე ვლაპარაკობ მის მთავარ შეცდომებზე) ის არის, რომ იგი ოპორტუნისტულად ამახინჯებს პარტიულ ხაზს ქალაქსა და სოფელს შორის «მაკრატლის» საკითხში, ეგრეთწოდებული «ხარკის» საკითხში.

რაზეა ლაპარაკი პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომის (1929 წლის თებერვალი) ცნობილ რეზოლუციაში «მაკრატლის» საკითხზე? იქ ლაპარაკია იმაზე, რომ ჩვეულებრივი — პირდაპირი და არაპირდაპირი — გადასახადების გარდა, რომლებსაც გლეხობა სახელმწიფოს უხდის, იგი იძლევა კიდევ ერთგვარ ზეგადასახადს სამრეწველო საქონელში ზედმეტის გადახდისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების ხაზით ნაკლების მიღების სახით.

მართალია თუ არა, რომ ეს ზეგადასახადი, რასაც გლეხობა იხდის, ნამდვილად არსებობს? დიახ, მართალია. რა ეწოდება მას ჩვენში სხვანაირად? მას ჩვენში ეწოდება აგრეთვე «მაკრატელი», სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაში სახსრების «გადაქაჩვა» ჩვენი ინდუსტრიის სწრაფი განვითარების მიზნით.

საჭიროა თუ არა იგი, ეს «გადაქაჩვა»? ჩვენს შორის უთანხმოება არ არის იმის შესახებ, რომ ეს «გადაქაჩვა», როგორც დროებითი ღონისძიება, საჭიროა, თუ ჩვენ ნამდვილად გვსურს შევინარჩუნოთ მრეწველობის განვითარების სწრაფი ტემპი. ხოლო ინდუსტრიის სწრაფი

ზრდა ჩვენ აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ, ვინაიდან იგი საჭიროა არა მარტო თვით მრეწველობისათვის, არამედ უწინარეს ყოვლისა სოფლის მეურნეობისათვის, გლეხობისათვის, რომელსაც ყველაზე მეტად ესაჭიროება ახლა ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, სასუქები.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ ახლა მოვსპოთ ეს ზეგადასახადი? სამწუხაროდ, არ შეგვიძლია. ჩვენ უნდა მოვსპოთ იგი პირველი შესაძლებლობისთანავე, უახლოეს წლებში. მაგრამ ახლა მისი მოსპობა არ შეგვიძლია.

და აი, სწორედ ეს ზეგადასახადი, რომელსაც «მაკრატლის» შედეგად ვიღებთ, შეადგენს «რაღაც ხარკის მსგავსს». არა ხარკს, არამედ «რაღაც ხარკის მსგავსს». ეს არის ჩვენი ჩამორჩენილობისათვის «ხარკის მსგავსი რაღაც». ეს ზეგადასახადი საჭიროა იმისათვის, რომ წინ წავწიოთ ინდუსტრიის განვითარება და ბოლო მოვუღოთ ჩვენს ჩამორჩენილობას.

ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ამ დამატებითი გადასახადის აღებით ჩვენ გლეხობის ექსპლოატაციას ვეწევით? არა, არ ნიშნავს. საბჭოთა ხელისუფლების ბუნება ვერ დაუშვებს გლეხობის რაიმე ექსპლოატაციას სახელმწიფოს მხრივ. ჩვენი ამხანაგების სიტყვებში ივლისის პლენუმზე პირდაპირ ნათქვამია, რომ საბჭოთა წესწყობილების პირობებში გლეხობის ექსპლოატაცია **გამორიცხულია** სოციალისტური სახელმწიფოს მხრივ, ვინაიდან მშრომელი გლეხობის კეთილდღეობის განუწყვეტელი ზრდა საბჭოთა საზოგადოების განვითარების კანონია, ეს კი გლეხობის ექსპლოატაციის ყოველგვარ შესაძლებლობას გამორიცხავს.

ასატანია თუ არა ეს დამატებითი გადასახადი გლეხობისათვის? დიახ, ასატანია. რატომ?

ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ ამ დამატებითი გადასახადის აღება გლეხობის მატერიალური მდგომარეობის განუწყვეტელი გაუმჯობესების პირობებში ხდება.

მეორეც, იმიტომ, რომ გლეხს აქვს თავისი პირადი მეურნეობა, რომლის შემოსავალიც შესაძლებლობას აძლევს მას გადაიხადოს დამატებითი გადასახადი, რაც არ შეიძლება ითქვას მუშაზე, რომელსაც პირადი მეურნეობა არა აქვს და რომელიც, მიუხედავად ამისა, მთელ თავის ძალღონეს ახმარს ინდუსტრიალიზაციის საქმეს.

მესამეც, იმიტომ, რომ დამატებითი გადასახადის ზომა წლითიწლობით მცირდება.

სწორად ვიქცევით თუ არა, ამ დამატებითს გადასახადს «რაღაც ხარკის მსგავსს» რომ ვუწოდებთ? უთუოდ, სწორად ვიქცევით. ამ სიტყვებით ჩვენს ამხანაგებს შთავაგონებთ, რომ დამატებითი გადასახადი ოდიოზურია, არასასურველია და დიდი ხნის ვადით მისი დატოვება შეუწყნარებელია. გლეხობის დამატებითს გადასახადს ასე რომ ვუწოდებთ, ჩვენ გვინდა ვთქვათ, რომ ვიღებთ მას არა სურვილით, არამედ საჭიროების გამო, რომ ჩვენ, ბოლშევიკებმა, ყველა ზომა უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე, რაც შეიძლება მალე მოვსპოთ ეს დამატებითი გადასახადი.

ასეთია «მაკრატლის», «გადაჭაჩვის», «ზეგადასახადის» საკითხი, იმის საკითხი, რაც ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში დახასიათებულია, როგორც «ხარკის მსგავსი რაღაც».

ბუხარინმა, რიკოვმა და ტომსკიმ სცადეს მოემიზეზებინათ სიტყვა «ხარკი» და დაიწყეს პარტიისათვის ბრალის დადება გლეხობის სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაციის პოლიტიკაში. მაგრამ ახლა ბრმებიც კი ხედავენ, რომ ეს იყო ბუხარინელების უპატიოსნო ცდა — ყოვლად უხეშად დაეწამებინათ ცილი ჩვენი პარტიისათვის. ახლა თვითონ ისინიც კი იძულებული არიან მდუმარედ აღიარონ, რომ სამ-

ხედრო-ფეოდალური ექსპლოატაციის შესახებ ლაყბობაში ისინი სამარცხვინოდ ჩაფლავდნენ.

ვინაიდან ორში ერთი:

ან ბუხარინელები აღიარებენ, რომ ამჟამად «მაკრატელი» და სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაში სახსრების «გადაქაჩვა» აუცილებელია, — და მაშინ მათ უნდა აღიარონ თავიანთი ბრალდებების ცილისმწამებლური ხასიათი და პარტიის სრული სიმართლე;

ან ისინი უარყოფენ, რომ ამჟამად «მაკრატელი» და «გადაქაჩვა» აუცილებელია, მაგრამ მაშინ პირდაპირ თქვან ეს იმისათვის, რომ პარტიას შეეძლოს შეიტანოს ისინი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მოწინააღმდეგეთა რიცხვში.

მე შემიძლია, ყოველ შემთხვევაში, დავიმოწმო ბუხარინის, რიკოვისა და ტომსკის მთელი რიგი სიტყვები, სადაც ისინი უშენიშვნოდ აღიარებენ, რომ ამჟამად «მაკრატელი» აუცილებელია, რომ სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაში სახსრების «გადაქაჩვა» აუცილებელია. და ეს ხომ აღიარებაა ფორმულისა «ხარკის მსგავსი რაღაც».

როგორაა საქმე, კვლავ დგანან ისინი «გადაქაჩვის» თვალსაზრისზე, ამჟამად «მაკრატლის» შენარჩუნების თვალსაზრისზე თუ არა? პირდაპირ თქვან ეს.

ბუხარინი. გადაქაჩვა საჭიროა, მაგრამ «ხარკი» შეუფერებელი სიტყვაა. (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი).

სტალინი. მაშასადამე, **საკითხის არსზე ჩვენ უთანხმოება არა გვაქვს,** მაშასადამე, სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაში სახსრების «გადაქაჩვა», ეგრეთწოდებული «მაკრატელი», დამატებითი გადასახადი, «ხარკის მსგავსი რაღაც» — ამჟამად ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის აუცილებელი, მაგრამ დროებითი საშუალებაა.

ძალიან კარგი. მაშ რაღაშია საქმე, რის გამოა აურზაური? არ მოსწონთ **სიტყვა** «ხარკი», თუ «ხარკის მსგავსი

რაღაც», ვინაიდან ეს გამოთქმა მარქსისტულ ლიტერატურაში უხმარად მიაჩნიათ?

რაკი ასეა, ვილაპარაკოთ **სიტყვა** «ხარკის» შესახებ.

მე ვამტკიცებ, ამხანაგებო, რომ ამ სიტყვამ უკვე დიდი ხანია მოიპოვა მოქალაქეობის უფლება ჩვენს მარქსისტულ ლიტერატურაში, მაგალითად, ამხ. ლენინის სტატიებში. ამან შეიძლება გააკვირვოს ზოგი ვინმე იმათგან, ვინც ლენინს არ კითხულობს, მაგრამ ეს ფაქტია, ამხანაგებო. ბუხარინი აქ «ყბედობდა» იმის შესახებ, რომ მარქსისტული ლიტერატურა თითქოს ვერ ურიგდება სიტყვა «ხარკს». იგი აღშფოთებული იყო და გაკვირვებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საერთოდ მარქსისტები თავს ნებას აძლევენ იხმარონ სიტყვა «ხარკი». მაგრამ რა არის აქ გასაკვირველი, თუ დამტკიცებულია, რომ ამ სიტყვამ უკვე დიდი ხანია მოიპოვა მოქალაქეობის უფლებები ისეთი მარქსისტის სტატიებში, როგორიც არის ამხ. ლენინი? ან იქნებ ლენინი ვერ აკმაყოფილებს მარქსისტის მოთხოვნებს ბუხარინის თვალსაზრისით? მაშ პირდაპირ თქვით, ძვირფასო ამხანაგებო.

აიღეთ, მაგალითად, **ისეთი მარქსისტის სტატია**, როგორიც არის ლენინი, ««მემარცხენე» ბალღობისა და წვრილბურჟუაზიულობის შესახებ» (1918 წ. მაისი) და წაიკითხეთ იქ შემდეგი ადგილი:

«წვრილი ბურჟუა, რომელიც ათასებს ინახავს, სახელმწიფო კაპიტალიზმის მტერია, და მას სურს ამ ათასების რეალიზაცია მოახდინოს აუცილებლად თავისთვის, ღარიბი გლეხობის წინააღმდეგ, ყოველგვარი საერთო-სახელმწიფოებრივი კონტროლის წინააღმდეგ, ხოლო ათასების ჯამი მრავალმილიარდიან ბაზას აძლევს სპეკულაციას, რომელიც ფუშავს ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას. დავუშვათ, რომ მუშების გარკვეული რაოდენობა რამდენიმე დღეში იძლევა ღირებულებათა ჯამს, რაც გამოიხატება ციფრ 1 000-ით. შემდეგ, დავუშვათ, რომ ამ ჯამიდან 200 გვეკარგება წვრილი სპეკულაციის, ყოველგვარი მტაცებლობის შედეგად და საბჭოთა დეკრეტებისა და საბჭოთა წეს-

ბისათვის წვრილმესაკუთრული «გვერდის ავლის» გამო. ყოველი შეგნებული მუშა იტყვის: რომ შემეძლოს 300 მივცე ათასიდან, მეტი წესრიგისა და ორგანიზაციის შექმნის გზით, სიამოვნებით მივცემდი სამასს ორასის ნაცვლად, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლების დროს შემდეგში ამ «ხარკის» შემცირება, ვთქვათ, ასამდე ან ორმოცდაათამდე, სულ იოლი ამოცანა იქნება, რაკი წესრიგი და ორგანიზაცია მოგვარდება, რაკი ყოველგვარი სახელმწიფო მონოპოლიის წვრილმესაკუთრული ჩაშლა საბოლოოდ გაცამტვერდება» (ტ. XXII, გვ. 515).

ვგონებ, ნათელია. ხომ არ გამოვაცხადოთ ამხ. ლენინი ამის საფუძველზე მუშათა კლასის სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაციის პოლიტიკის მომხრედ? სინჯეთ, ძვირფასო ამხანაგებო!

ხმა. მაინც საშუალო გლეხის მიმართ არასოდეს არ ხმარებულა «ხარკის» ცნება.

სტალინი. ხომ არ ფიქრობთ თქვენ, რომ საშუალო გლეხი უფრო ახლოა პარტიასთან, ვიდრე მუშათა კლასი? რა უხეირო მარქსისტი ყოფილხართ. (სართო სიცილი). თუ მუშათა კლასის შესახებ შეიძლება «ხარკზე» ლაპარაკი, მუშათა კლასის შესახებ, რომლის პარტიაც ჩვენ ვართ, რატომ არ შეიძლება იგივე ვთქვათ საშუალო გლეხზე, რომელიც ჩვენი მოკავშირეა და მეტი არაფერი?

ზოგმა შარიანმა ადამიანმა შეიძლება იფიქროს, რომ სიტყვა «ხარკი» სტატიაში ««მემარცხენე» ბალღობის შესახებ» ამხ. ლენინს წამოსცდა, შემთხვევით წამოსცდა. მაგრამ შემოწმება გვიჩვენებს, რომ შარიანი ადამიანების ეჭვი მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. აიღეთ ამხ. ლენინის მეორე სტატია ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ბროშურა «სასურსათო გადასახადის შესახებ» (1921 წ. აპრილი) და წაიკითხეთ იქ გვ. 324 (ტ. XXVI, გვ. 324). თქვენ დაინახავთ, რომ ეს-ეს არის მოყვანილი ციტატა «ხარკის» შესახებ იქ სიტყვასიტყვით გამეორებულია ამხ. ლენინის მიერ. დასასრულ, აიღეთ ამხ. ლენინის სტატია «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები» (ტ. XXII,

გვ. 448, 1918 წ. მარტი — აპრილი) და დაინახავთ, რომ ლენინი აქაც ლაპარაკობს «ხარკზე (უკვე უბრჭყალებოდ), რასაც ჩვენ ვიხდით ჩვენი ჩამორჩენილობისათვის საყოველთაო-სახალხო აღრიცხვისა და ქვემოდან კონტროლის ორგანიზაციის საქმეში».

გამოდის, რომ **სიტყვა** «ხარკი» ლენინის სტატიებში სრულებითაც არ წარმოადგენს შემთხვევითს ელემენტს. ეს **სიტყვა** ამხ. ლენინს ნახმარი აქვს იმისათვის, რომ ხაზგასმით აღნიშნოს «ხარკის» დროებითი ხასიათი, აღძრას ბოლშევიკებში ენერგია და წარმართოს იგი იქითკენ, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე მოვსპოთ ეს «ხარკი», რომელსაც მუშათა კლასი იხდის ჩვენი ჩამორჩენილობისათვის, ჩვენი «მოუწესრიგებლობისათვის».

გამოდის, რომ გამოთქმით «ხარკის მსგავსი რაღაც» მე მარქსისტების საკმაოდ კარგ საზოგადოებაში ვარ, ამხ. ლენინთან ვარ.

ბუხარინი აქ ამბობდა, რომ მარქსისტებმა თავიანთ ლიტერატურაში სიტყვა «ხარკი» არ უნდა შეიწყნარონო. რომელ მარქსისტებზე ლაპარაკობდა იგი? თუ ის გულისხმობდა ისეთ, უკაცრავად პასუხია, მარქსისტებს, როგორიც არიან სლეპკოვი, მარეცკი, პეტროვსკი, როზიტი და სხვ., რომლებიც ლიბერალებს უფრო ჰგვანან, ვიდრე მარქსისტებს, მაშინ ბუხარინის აღშფოთება სავსებით გასაგებია. ხოლო თუ იგი გულისხმობს ნამდვილ მარქსისტებს, მაგალითად, ამხ. ლენინს, უნდა ვაღიაროთ, რომ სიტყვა «ხარკმა» მათ შორის უკვე დიდი ხანია მოიპოვა მოქალაქეობის უფლება, ხოლო ბუხარინს, რომელიც ნაკლებად იცნობს ლენინის ნაწარმოებებს, აქ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

მაგრამ «ხარკის» საკითხი ამით როდი მთავრდება. საქმე ის არის, რომ ბუხარინმა და მისმა მეგობრებმა შემთხვევით როდი მოიმიზეზეს სიტყვა «ხარკი» და ალაპარაკდნენ

გლეხობის სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაციის პოლიტიკაზე. უეჭველია, სამხედრო-ფეოდალურ ექსპლოატაციაზე ხმაური რომ ატეხეს, მათ სურდათ გამოეთქვათ თავიანთი უკიდურესი უკმაყოფილება ჩვენი პარტიის იმ პოლიტიკის გამო კულაკობის მიმართ, რომელსაც ჩვენი ორგანიზაციები ახორციელებენ. გლეხობის მიმართ ხელმძღვანელობის საქმეში პარტიის ლენინური პოლიტიკით უკმაყოფილებამ, პურის დამზადების დარგში ჩვენი პოლიტიკით უკმაყოფილებამ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოველმხრივი განვითარების ჩვენი პოლიტიკით უკმაყოფილებამ, დასასრულ, ბაზრის «განთავისუფლებისა» და კერძო ვაჭრობის სრული თავისუფლების დამკვიდრების სურვილმა, — აი რამ პოვა გამოხატულება ბუხარინის გოდებაში გლეხობის სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაციის პოლიტიკის შესახებ.

მე არ ვიცი ჩვენი პარტიის ისტორიაში სხვა ისეთი მაგალითი, რომ პარტიისათვის ბრალი დაედოთ სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაციის პოლიტიკაში. პარტიის წინააღმდეგ მიმართული ეს იარაღი მარქსისტების არსენალიდან არ არის აღებული. მაშ საიდან არის იგი აღებული? კადეტების ლიდერ მილიუკოვის არსენალიდან. როცა კადეტებს სურთ წაჰკიდონ მუშათა კლასი გლეხობას, ისინი ჩვეულებრივ ამბობენ: თქვენ, ბატონო ბოლშევიკებო, სოციალიზმს გლეხობის ძვლებზე აშენებთო. «ხარკის» შესახებ ხმაურის ატეხით ბუხარინი ბანს აძლევს ბატონ მილიუკოვებს, კუდში მისჩანჩალებს ხალხის მტრებს.

3) ინდუსტრიის განვითარების ტემპისა და ქალაქისა და სოფლის კავშირის ახალი ფორმების შესახებ

დასასრულ, საკითხი ინდუსტრიის განვითარების ტემპისა და ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის ახალი ფორმების შესახებ. ეს საკითხი ჩვენი უთანხმოების ერთ-

ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. ამ საკითხის მნიშვნელობა ის არის, რომ მასში თავმოყრილია პარტიის სამეურნეო პოლიტიკის საკითხების გამო ჩვენს შორის არსებული **პრაქტიკული** უთანხმოების ყველა ძაფი.

რა არის ქალაქისა და სოფლის კავშირის ახალი ფორმები, რას ნიშნავს ეს **ჩვენი** სამეურნეო პოლიტიკის თვალსაზრისით?

უწინარეს ყოვლისა, ეს ნიშნავს იმას, რომ ქალაქისა და სოფლის კავშირის ძველ ფორმებს გარდა, როცა მრეწველობა აკმაყოფილებდა უმთავრესად გლეხის **პირად** მოთხოვნილებებს (ჩითი, ფეხსაცმელი, საერთოდ მანუფაქტურა და სხვ.), ჩვენ გვესაჭიროება კავშირის კიდევ ახალი ფორმები, როცა მრეწველობა დააკმაყოფილებს გლეხური მეურნეობის **საწარმოო** საჭიროებებს (სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ტრაქტორები, გაუმჯობესებული თესლი, სასუქი და სხვ.).

თუ ჩვენ წინათ ვაკმაყოფილებდით **უმთავრესად** გლეხის პირად მოთხოვნილებებს და ნაკლებად ვეხებოდით მისი მეურნეობის საწარმოო საჭიროებებს, ახლა, გლეხის პირად მოთხოვნილებათა წინანდებურად დაკმაყოფილებასთან ერთად, დიდად უნდა გავაძლიეროთ მომარაგება სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, ტრაქტორებით, სასუქით და სხვ., რასაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეკონსტრუქციასთან ახალ ტექნიკურ ბაზაზე.

სანამ საქმე ეხებოდა სოფლის მეურნეობის **აღდგენას** და გლეხების მიერ ყოფილი მემამულეთა და კულაკთა მიწების ათვისებას, ჩვენ შეგვეძლო დავჯერებოდით კავშირის ძველ ფორმებს. მაგრამ ახლა, როცა საქმე ეხება სოფლის მეურნეობის **რეკონსტრუქციას,** ეს აღარ კმარა. **ახლა** საჭიროა უფრო შორს წავიდეთ, — დავეხმაროთ გლეხო-

ბას გარდაქმნას სასოფლო-სამეურნეო წარმოება ახალი ტექნიკისა და კოლექტიური შრომის ბაზაზე.

მეორეც, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი მრეწველობის ხელახლა შეიარაღებასთან ერთად სერიოზულად უნდა დავიწყოთ სოფლის მეურნეობის ხელახლა შეიარაღებაც. ჩვენ ვეწევით ჩვენი მრეწველობის ხელახლა შეიარაღებას და ნაწილობრივ უკვე ხელახლა შევაიარაღეთ იგი, ვუქმნით მას ახალ ტექნიკურ ბაზას, ვამარაგებთ მას ახალი გაუმჯობესებული მანქანებით, ახალი გაუმჯობესებული კადრებით. ჩვენ ვაშენებთ ახალ ქარხნებსა და ფაბრიკებს, ჩვენ ვახდენთ ძველების რეკონსტრუქციას და ვაფართოებთ მათ, ჩვენ ვავითარებთ მეტალურგიას, ქიმიას, მანქანათმშენებლობას. ამ საფუძველზე იზრდება ქალაქები, მრავლდება ახალი სამრეწველო პუნქტები, ფართოვდება ძველები. ამ ბაზაზე იზრდება მოთხოვნილება სასურსათო პროდუქტებზე, მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულზე. სოფლის მეურნეობაში კი რჩება ძველი იარაღები, მიწის დამუშავების ძველი, მამაპაპური მეთოდები, ძველი, პრიმიტიული, ახლა უკვე უვარგისი ან თითქმის უვარგისი ტექნიკა, სამეურნეო საქმიანობისა და შრომის ძველი წვრილგლეხური ინდივიდუალური ფორმები.

რად ღირს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ რევოლუციამდე ჩვენში იყო დაახლოებით 16 მილიონი კომლი, ახლა კი სულ მცირე 25 მილიონი კომლია? რას მოწმობს ეს, თუ არა იმას, რომ სოფლის მეურნეობა სულ უფრო დაქსაქსულ, დაქუცმაცებულ ხასიათს იღებს? ხოლო დაქსაქსულ წვრილ მეურნეობათა დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ მათ არ ძალუძთ სათანადოდ გამოიყენონ ტექნიკა, მანქანები, ტრაქტორები, აგრონომიული მეცნიერების მიღწევები, რომ ისინი მცირესაქონლიანი მეურნეობებია.

აქედან წარმოსდგება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა ნაკლები საქონლიანობა.

აქედან წარმოსდგება ქალაქსა და სოფელს შორის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის კავშირის გაწყვეტის საფრთხე.

აქედან წარმოსდგება სოფლის მეურნეობის გაძლიერების, ჩვენი ინდუსტრიის განვითარების ტემპთან მისი შეფარდების აუცილებლობა.

და აი, კავშირის გაწყვეტის ეს საფრთხე რომ არ იყოს, საჭიროა სერიოზულად დავიწყოთ სოფლის მეურნეობის ხელახლა შეიარაღება ახალი ტექნიკის ბაზაზე. მისი ხელახლა შეიარაღებისათვის კი საჭიროა თანდათანობით გავაერთიანოთ დაქუცმაცებული გლეხური ინდივიდუალური მეურნეობანი მსხვილ მეურნეობებად, კოლმეურნეობებად, საჭიროა ვაშენოთ სოფლის მეურნეობა კოლექტიური შრომის ბაზაზე, საჭიროა გავამსხვილოთ კოლექტივები, საჭიროა განვავითაროთ ძველი და ახალი საბჭოთა მეურნეობები, საჭიროა სისტემატურად გამოვიყენოთ კონტრაქტაციის მასობრივი ფორმები სოფლის მეურნეობის ყველა ძირითად დარგში, საჭიროა განვავითაროთ სისტემა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა, რომლებიც გლეხობას ეხმარებიან ახალი ტექნიკის ათვისებასა და შრომის კოლექტივიზებაში, — ერთი სიტყვით, საჭიროა თანდათანობით გადავიყვანოთ წვრილი გლეხური ინდივიდუალური მეურნეობანი მსხვილი კოლექტიური წარმოების ბაზაზე, ვინაიდან მხოლოდ საზოგადოებრივი ტიპის მსხვილ წარმოებას შეუძლია მთლიანად გამოიყენოს მეცნიერების მიღწევები და ახალი ტექნიკა და ბუმბერაზული ნაბიჯებით წასწიოს წინ ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარება.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ჩვენ უყურადღებოდ უნდა მივატოვოთ ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობა. არა, არ ნიშნავს. ღარიბ და

საშუალო გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობა ასრულებს და უახლოეს მომავალშიც შეასრულებს უპირატეს როლს სურსათითა და ნედლეულით მრეწველობის მომარაგების საქმეში. სწორედ ამიტომ საჭიროა დავეხმაროთ ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობას, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გაერთიანებული კოლმეურნეობებში.

მაგრამ ეს ნიშნავს, რომ მარტო ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა საკმარისი **აღარ** არის. ამას მოწმობს ჩვენი სიძნელენი პურის დამზადების საქმეში. ამიტომ ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობის განვითარებას უნდა **დაემატოს** მეურნეობის კოლექტიური ფორმებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოველმხრივი განვითარება.

ამიტომ საჭიროა ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობასა და მეურნეობის კოლექტიურ საზოგადოებრივ ფორმებს შორის გავდოთ ხიდი მასობრივი კონტრაქტაციის სახით, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სახით, კოოპერაციული საზოგადოებრიობის ყოველნაირად განვითარების სახით, რათა გავუადვილოთ გლეხებს კოლექტიური შრომის რელსებზე გადაიყვანონ თავიანთი წვრილი ინდივიდუალური მეურნეობა.

ეს პირობები თუ არ იქნა, შეუძლებელია სოფლის მეურნეობის სერიოზული განვითარება. ეს პირობები თუ არ იქნა, შეუძლებელია მარცვლეულის პრობლემის გადაჭრა. ეს პირობები თუ არ იქნა, შეუძლებელია გლეხობის ხელმოკლე ფენების ხსნა გაჩანაგებისაგან, სიღატაკისაგან.

დასასრულ, ეს ნიშნავს, რომ ყოველმხრივ უნდა განვავითაროთ ჩვენი ინდუსტრია, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი მასაზრდოებელი წყარო, მისი რეკონსტრუქციის ხაზით, უნდა განვავითაროთ მეტალურგია, ქიმია, მანქანათმშენებლობა, უნდა ვაშენოთ სატრაქ-

ტორო ქარხნები, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნები და სხვ.

საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ შეუძლებელია კოლმეურნეობების განვითარება, შეუძლებელია მანქანა-ტრაქტორთა სადგურების განვითარება, თუ გლეხობის ძირითად მასებს არ წავწევთ სამეურნეო საქმიანობის კოლექტიური ფორმებისაკენ მასობრივი კონტრაქტაციის საშუალებით, თუ სოფლის მეურნეობას საკმაო რაოდენობით არ მოვამარაგებთ ტრაქტორებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით და სხვ.

მაგრამ მანქანებითა და ტრაქტორებით სოფლის მომარაგება შეუძლებელია, თუ გაძლიერებული ტემპით არ განვავითარებთ ჩვენს ინდუსტრიას. აქედან წარმოსდგება ჩვენი ინდუსტრიის განვითარების სწრაფი ტემპი, რაც კოლექტივიზმის ბაზაზე სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის გასაღებს წარმოადგენს.

ასეთია ქალაქისა და სოფლის კავშირის ახალი ფორმების აზრი და მნიშვნელობა.

ბუხარინის ჯგუფი იძულებულია სიტყვიერად აღიაროს კავშირის ახალი ფორმების აუცილებლობა. მაგრამ ეს მხოლოდ **სიტყვიერი** აღიარებაა, რომელიც ნავარაუდევია იმისათვის, რომ კავშირის ახალი ფორმების სიტყვიერი აღიარების დროში შემოგვაპაროს სრულიად **საწინააღმდეგო** რამ. ნამდვილად ბუხარინი ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის ახალი ფორმების წინააღმდეგია. ბუხარინისათვის გამოსავალ პუნქტს წარმოადგენს არა ინდუსტრიის, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეკონსტრუქციის ბერკეტის, განვითარების სწრაფი ტემპი, არამედ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის განვითარება. ის პირველ რიგში აყენებს ბაზრის «ნორმალიზაციას» და ფასების თავისუფალი თამაშის დაშვებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარზე, კერძო ვაჭრობის სრული თავისუფლების დაშვებას. აქედან

წარმოსდგება მისი უნდობლობა კოლმეურნეობებისადმი, რაც გამოაშკარავდა მის სიტყვაში ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე და მის თეზისებში ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის წინ. აქედან წარმოსდგება მისი უარყოფითი დამოკიდებულება პურის დამზადების დროს კულაკობის წინააღმდეგ მიმართული საგანგებო ზომების ყველა და ყოველგვარი ფორმისადმი.

ცნობილია, რომ ბუხარინი ისე გაურბის საგანგებო ზომებს, როგორც ეშმაკი საკმეველს.

ცნობილია, რომ ბუხარინი ჯერ კიდევ ვერ მიხვედრილა, რომ ახლანდელ პირობებში კულაკი საკმაო რაოდენობით არ ჩაგვაბარებს პურს ნებაყოფლობით, თვითდინების წესით.

ახლა ეს დამტკიცებულია დამზადების დარგში ჩვენი მუშაობის ორი წლის გამოცდილებით.

მაგრამ როგორ მოვიქცეთ, სასაქონლო პური მაინც რომ არ გვეყოს? ბუხარინი ამაზე გვიპასუხებს: ნუ აწუხებთ კულაკს საგანგებო ზომებით და შემოიტანეთ პური უცხოეთიდანო. იგი ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ წინადადებას იძლეოდა შემოგვეტანა უცხოეთიდან 50 მილიონამდე ფუთი პური, ე. ი. ვალუტით 100 მილიონამდე მანეთისა. მაგრამ თუ ვალუტა იმისათვის არის საჭირო, რომ შემოვიტანოთ მოწყობილობა ინდუსტრიისათვის? ბუხარინი ამაზე გვიპასუხებს: უპირატესობა უნდა მივცეთ პურის შემოტანას უცხოეთიდან, მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობის შემოტანა კი, ალბათ, უკანა რიგში უნდა მოვაქციოთ.

ამრიგად, გამოდის, რომ მარცვლეულის პრობლემის გადაჭრისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საფუძველს წარმოადგენს არა ინდუსტრიის განვითარების სწრაფი ტემპი, არამედ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის განვითარება, კერძოდ, კულაკური მეურნეობისაც,

თავისუფალი ბაზრისა და იქ ფასების თავისუფალი თამაშის საფუძველზე.

ამრიგად საქმე გვაქვს სამეურნეო პოლიტიკის ორ სხვადასხვა გეგმასთან.

პარტიის გეგმა:

1. ჩვენ ვეწევით მრეწველობის ხელახლა შეიარაღებას (რეკონსტრუქციას).

2. ჩვენ სერიოზულად ვიწყებთ სოფლის მეურნეობის ხელახლა შეიარაღებას (რეკონსტრუქციას).

3. ამისათვის საჭიროა გავაფართოოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა, მასობრივად გამოვიყენოთ კონტრაქტაცია და მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, როგორც ინდუსტრიასა და სოფლის მეურნეობას შორის **საწარმოო კავშირის** დამყარების საშუალება.

4. რაც შეეხება პურის დამზადების ახლანდელ სიძნელეებს, უნდა ვაღიაროთ, რომ დასაშვებია დროებითი საგანგებო ზომები, განმტკიცებული საშუალო და ღარიბ გლეხთა მასების საზოგადოებრივი მხარდაჭერით, როგორც იმის ერთ-ერთი საშუალება, რომ დავძლიოთ კულაკობის წინააღმდეგობა და მაქსიმალურად გამოვართვათ მას პურის ჭარბი ნაწილი, **რაც საჭიროა** იმისათვის, რომ არ მივმართოთ პურის იმპორტს და შევინარჩუნოთ ვალუტა ინდუსტრიის განვითარებისათვის.

5. ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობა ასრულებს და კვლავაც შეასრულებს უპირატეს როლს სურსათითა და ნედლეულით ქვეყნის მომარაგების საქმეში, მაგრამ მარტო იგი საკმარისი ალარ არის, — ამიტომ ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობის განვითარებას უნდა **დაემატოს** კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განვითარება, მასობრივი კონტრაქტაცია, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების გაძლიერებული განვითარება, რათა გაადვილდეს კაპიტალისტური ელე-

შენტების განდევნა სოფლის მეურნეობიდან და ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა თანდათანობითი გადაყვანა მსხვილ კოლექტიურ მეურნეობათა რელსებზე, კოლექტიური შრომის რელსებზე.

6. მაგრამ ყოველივე ამას რომ მივაღწიოთ, საჭიროა უწინარეს ყოვლისა გავაძლიეროთ ინდუსტრიის, მეტალურგიის, ქიმიის, მანქანათმშენებლობის, სატრაქტორო ქარხნების, სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ქარხნების და სხვ. განვითარება. უამისოდ შეუძლებელია მარცვლეულის პრობლემის გადაჭრა, ისევე როგორც შეუძლებელია სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია.

დასკვნა: **სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის გასაღებს წარმოადგენს ჩვენი ინდუსტრიის განვითარების სწრაფი ტემპი.**

ბუხარინის გეგმა:

1. ბაზრის «ნორმალიზაცია», ბაზარზე ფასების თავისუფალი თამაშის დაშვება და პურის ფასების გადიდება, იმისდა მიუხედავად, რომ ამას შეუძლია გამოიწვიოს სამრეწველო საქონლის, ნედლეულის, პურის გაძვირება.

2. ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის ყოველნაირად განვითარება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განვითარების ტემპის ერთგვარი შენელების პირობებში (ბუხარინის თეზისები ივლისში, ბუხარინის სიტყვა ივლისის პლენუმზე).

3. დამზადება თვითდინების გზით, რაც ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში გამორიცხავს კულაკობის წინააღმდეგ საგანგებო ზომების თუნდაც ნაწილობრივ გამოყენებას, ამ ზომებს მხარსაც რომ უჭერდეს საშუალო და ღარიბი გლეხობის მასა.

4. თუ პური დაგვაკლდა, 100 მილიონამდე მანეთის პურის შემოტანა უცხოეთიდან.

5. და თუ ვალუტა საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ დაიფაროს პურის შემოტანაც და მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობის შემოტანაც, მაშინ უნდა შემცირდეს მოწყობილობის შემოტანა, მაშასადამე უნდა შენელდეს ჩვენი ინდუსტრიის განვითარების ტემპიც, — წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ იმას, რომ სოფლის მეურნეობა იწყებს «ერთ ადგილზე ტკეპნას», ანდა იგი «პირდაპირ თავქვე დაეშვება».

დასკვნა: **სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის გასაღებს წარმოადგენს ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის განვითარება.**

აი რა მიმართულებას იღებს საქმე, ამხანაგებო!

ბუხარინის გეგმა არის ინდუსტრიის განვითარების ტემპის **შენელების** და ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის ახალი ფორმებისათვის **ძირის გამოთხრის** გეგმა.

ასეთია ჩვენი უთანხმოება.

ზოგჯერ გვეკითხებიან: ხომ არ დავაგვიანეთ კავშირის ახალი ფორმების განვითარება, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვ. განვითარება?

არიან ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, პარტიამ ეს საქმე სულ ცოტა ორი წლით დააგვიანაო. ეს მართალი არ არის, ამხანაგებო. ეს სრულიად არ არის მართალი. ასე ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ «მემარცხენე» მყვირალებს, რომლებსაც წარმოდგენა არა აქვთ სსრ კავშირის ეკონომიკაზე.

რას ნიშნავს დაგვიანება ამ საქმეში? თუ ლაპარაკია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აუცილებლობის გათვალისწინებაზე, ეს საქმე ჯერ კიდევ ოქტომბრის გადატრიალების დროს დავიწყეთ. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აუცილებლობა პარტიას რომ ჯერ კიდევ მაშინ, ოქტომბრის გადატრიალების პერიოდში ჰქონდა გათვალისწინებული, — ამაში არავითარი ეჭვის შეტანა არ

შეიძლება. ბოლოს, შეიძლება აიღოთ ჩვენი პროგრამა, რომელიც მიიღო პარტიის VIII ყრილობამ (1919 წ. მარტი). იქ მთელი სიცხადით არის გათვალისწინებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აუცილებლობა.

მაგრამ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი ზედაფენის მიერ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აუცილებლობის მარტო გათვალისწინება საკმარისი როდია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის **მასობრივი მოძრაობის** განსახორციელებლად და მოსაწყობად. მაშასადამე, ლაპარაკია არა გათვალისწინებაზე, არამედ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის გეგმის **განხორციელებაზე**. მაგრამ ასეთი გეგმის განხორციელებისათვის საჭიროა მთელი რიგი პირობები, რომლებიც ჩვენში დღემდე არ არსებობდა და რომლებიც მხოლოდ უკანასკნელ ხანს შეიქმნა.

აი რაშია საქმე, ამხანაგებო.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მასობრივი მოძრაობის გეგმა რომ განვახორციელოთ, ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ ამ საქმეში პარტიის ზედაფენას მხარი დაუჭიროს პირველ რიგში პარტიამ **მასობრივად**. ხოლო ჩვენი პარტია, როგორც ცნობილია, მილიონიანია. მაშასადამე, საჭირო იყო დაგვერწმუნებინა ფართო პარტიული მასები, რომ ხელმძღვანელი ზედაფენის პოლიტიკა სწორია. ეს — პირველი.

შემდეგ, ამისათვის საჭიროა, რომ გლეხობის წიაღში შეიქმნას მასობრივი მოძრაობა კოლმეურნეობებისათვის, რომ გლეხობას კი არ ეშინოდეს კოლმეურნეობებისა, არამედ თვითონ მიდიოდეს კოლმეურნეობებში, როცა იგი გამოცდილებით დარწმუნდება კოლმეურნეობათა უპირატესობაში ინდივიდუალურ მეურნეობასთან შედარებით. ეს კი სერიოზული საქმეა, რომელიც გარკვეულ დროს მოითხოვს. ეს — მეორე.

შემდეგ, ამისათვის საჭიროა, რომ სახელმწიფოს ჰქონდეს საკოლმეურნეო მშენებლობის დასაფინანსებლად, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დასაფინანსებლად საჭირო მატერიალური სახსრები. ამ საქმისათვის კი საჭიროა მრავალი ასეული მილიონი მანეთი, ძვირფასო ამხანაგებო. ეს — მესამე.

ბოლოს, ამისათვის საჭიროა, რომ ინდუსტრია ცოტად თუ ბევრად საკმაოდ იყოს განვითარებული, განვითარებული იმდენად, რომ სოფლის მეურნეობა მოამარაგოს მანქანებით, ტრაქტორებით, სასუქით და სხვ.. ეს — მეოთხე.

განა შეიძლება იმის მტკიცება, რომ ორი თუ სამი წლის წინათ ყველა ეს პირობა უკვე გვქონდა? არა, ამის მტკიცება არ შეიძლება.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ვართ **მმართველი და არა ოპოზიციური** პარტია. ოპოზიციურ პარტიას შეუძლია წამოაყენოს ლოზუნგები, — მე ვლაპარაკობ მოძრაობის ძირითად პრაქტიკულ ლოზუნგებზე, — იმ ანგარიშით, რომ განახორციელოს ისინი ძალაუფლების მოპოვების შემდეგ. ოპოზიციურ პარტიას ბრალს ვერავინ დასდებს იმაში, რომ **იგი** თავის **ძირ**ითად ლოზუნგებს დაუყოვნებლივ არ ახორციელებს, ვინაიდან ყველას ესმის, რომ საჭესთან დგას არა ის, ოპოზიციური პარტია, არამედ სხვა პარტიები.

სულ სხვა პირობებში იმყოფება მმართველი პარტია, როგორსაც ჩვენი ბოლშევიკური პარტია წარმოადგენს. ასეთი პარტიის ლოზუნგები წარმოადგენენ არა უბრალო სააგიტაციო ლოზუნგებს, არამედ რაღაც გაცილებით უფრო მეტს, ვინაიდან მათ აქვთ **პრაქტიკული გადაწყვეტილების** ძალა, **კანონის ძალა,** რომლებიც ახლავე უნდა განხორციელდეს. ჩვენს პარტიას არ შეუძლია წამოაყენოს პრაქტიკული ლოზუნგი და შემდეგ გადადოს მისი განხორციელება. ეს მასების მოტყუება იქნებოდა. პრაქტიკული ლოზუნგი, განსაკუთრებით ისეთი სერიოზული ლოზუნგი რომ წამოაყენო,

როგორიც არის გლეხობის მილიონიანი მასების გადაყვანა კოლექტივიზმის რელსებზე, უნდა გქონდეს მისი პირდაპირი განხორციელების პირობები, ბოლოს, უნდა შექმნა, მოაწყო ეს პირობები. აი რატომ არ არის ჩვენთვის საკმარისი პარტიული ზედაფენის მიერ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აუცილებლობის მხოლოდ გათვალისწინება. აი რატომ გვესაჭიროება კიდევ ისეთი პირობები, რომლებიც აუცილებელია ჩვენი ლოზუნგების დაუყოვნებლივ **განხორციელებისათვის, ცხოვრებაში გატარებისათვის.**

იყო თუ არა ჩვენი პარტია **მასობრივად** მზად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოველმხრივი განვითარებისათვის, ვთქვათ, ორი თუ სამი წლის წინათ? არა, ამისათვის ის ჯერ კიდევ მზად არ იყო. ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის ახალი ფორმებისაკენ სერიოზული მობრუნება პარტიულ მასებში დაიწყო მხოლოდ პურის დამზადების **პირველი** სერიოზული სიძნელეების შემდეგ. საჭირო გახდა ეს სიძნელენი, რომ პარტიას მასობრივად ეგრძნო კავშირის ახალი ფორმების, უწინარეს ყოვლისა კი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სწრაფი განვითარების მთელი აუცილებლობა და ამ საქმეში გადაჭრით დაეჭირა მხარი თავისი ცენტრალური კომიტეტისათვის. აი ერთი პირობა, რომელიც წინათ არ გვქონდა და რომელიც ამჟამად მოგვეპოვება.

იყო თუ არა ჩვენში ორი თუ სამი წლის წინათ გლეხობის მილიონიანი მასების სერიოზული მოძრაობა კოლმეურნეობების ან საბჭოთა მეურნეობების სასარგებლოდ? არა, არ იყო. ყველამ იცის, რომ ორი თუ სამი წლის წინათ გლეხობა მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა მეურნეობების მიმართ, ხოლო კოლმეურნეობებს იგი დასცინოდა როგორც არაფრის მაქნის «კომუნიას». ახლა კი? ახლა სხვა საქმეა. ახლა ჩვენ უკვე გვყავს გლეხობის მთელი ფენები, რომლე-

ბიც საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს უყურებენ როგორც გლეხური მეურნეობისათვის თესლეულით, გაუმჯობესებული პირუტყვით, მანქანებით, ტრაქტორებით დახმარების გაწევის წყაროს. ახლა მხოლოდ მიაწოდე მანქანები და ტრაქტორები, — და კოლმეურნეობების საქმე გაძლიერებული ტემპით წავა წინ.

საიდან წარმოიშვა ასეთი გარდატეხა გლეხობის გარკვეულ, საკმაოდ მნიშვნელოვან ფენებში? რამ შეუწყო მას ხელი?

უწინარეს ყოვლისა კოოპერაციისა და კოოპერაციული საზოგადოებრიობის განვითარებამ. უეჭველია, მძლავრად რომ არ განვითარებულიყო კოოპერაცია, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, რომელმაც გლეხებში შექმნა ფსიქოლოგიური ბაზა კოლმეურნეობების სასარგებლოდ, ჩვენში არ იქნებოდა ის სწრაფვა კოლმეურნეობებისაკენ, რასაც ახლა გლეხობის მთელი ფენები იჩენენ.

აქ დიდი როლი შეასრულა აგრეთვე კარგად მოწყობილი კოლმეურნეობების არსებობამ, რომლებმაც გლეხებს მისცეს იმის კარგი ნიმუშები, თუ როგორ შეიძლება სოფლის მეურნეობის გაუმჯობესება წვრილ გლეხურ მეურნეობათა გაერთიანებით მსხვილ, კოლექტიურ მეურნეობებად.

აქ თავისი როლი შეასრულა აგრეთვე კეთილმოწყობილი საბჭოთა მეურნეობების არსებობამ, რომლებიც ეხმარებოდნენ გლეხებს მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში. მე ალარ ვლაპარაკობ სხვა ფაქტებზე, რომლებიც ყოველი თქვენგანისათვის კარგად არის ცნობილი. აი კიდევ ერთი პირობა, რომელიც არ გვქონდა წინათ და რომელიც ამჟამად გვაქვს.

შემდეგ, განა შეიძლება იმის მტკიცება, რომ ჩვენ ორი თუ სამი წლის წინათ შესაძლებლობა გვქონდა სერიოზულად დაგვეფინანსებინა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, გაგვეღო ამ საქმისათვის ასეულმილიონო-

ბით მანეთი? არა, ამის მტკიცება არ შეიძლება. თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენ არ გვყოფნიდა სახსრები მრეწველობის იმ მინიმუმის განსავითარებლადაც კი, ურომლისოდაც საერთოდ შეუძლებელია რაიმე ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციაზე რომ არაფერი ვთქვათ. შეგვეძლო თუ არა ჩვენ ეს სახსრები წაგვერთმია მრეწველობისათვის, რომელიც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ბაზას წარმოადგენს, და გადაგვეცა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის? ცხადია, არ შეგვეძლო. ახლა კი? ახლა ჩვენ გვაქვს სახსრები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განსავითარებლად.

დასასრულ, განა შეიძლება იმის მტკიცება, რომ ორი თუ სამი წლის წინათ ინდუსტრიაში უკვე გვქონდა საკმაო ბაზა სოფლის მეურნეობის გაძლიერებული მომარაგებისათვის მანქანებით, ტრაქტორებით და სხვ.? არა, ამის მტკიცება არ შეიძლება. მაშინ ამოცანა ის იყო, რომ შეგვექმნა **ინდუსტრიული ბაზის მინიმუმი** სოფლის მეურნეობის მოსამარაგებლად **მომავალში** მანქანებითა და ტრაქტორებით. სწორედ ამ ბაზის შექმნაზე დაგვეხარჯა მაშინ ჩვენი მცირე ფინანსური სახსრები. ახლა კი? ახლა ჩვენ გვაქვს ეს ინდუსტრიული ბაზა სოფლის მეურნეობისათვის. ყოველ შემთხვევაში იგი, ეს ბაზა, ჩვენში აჩქარებული ტემპით იქმნება.

გამოდის, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მასობრივი განვითარებისათვის საჭირო პირობები ჩვენში მხოლოდ უკანასკნელ დროს შეიქმნა.

აი როგორია საქმის ვითარება, ამხანაგებო.

აი რატომ არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ დავაგვიანეთ ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის **ახალი ფორმების** განვითარება.

8) ბუხარინი როგორც თეორეტიკოსი

ასეთია, ძირითადად, მემარჯვენე ოპოზიციის თეორეტიკოსის — ბუხარინის — მთავარი შეცდომები ჩვენი პოლიტიკის ძირითად საკითხებში.

ამბობენ, ბუხარინი ჩვენი პარტიის ერთ-ერთი თეორეტიკოსიაო. ეს, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ საქმე ის არის, რომ თეორიის მხრივ მას ყველაფერი რიგზე როდი აქვს. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მან პარტიული თეორიისა და პოლიტიკის საკითხებში დაახვავა მთელი გროვა შეცდომები, რომლებიც ეს-არის დავახასიათე. არ შეიძლება, რომ ეს შეცდომები, შეცდომები კომინტერნის ხაზით, შეცდომები კლასობრივი ბრძოლის, კლასობრივი ბრძოლის გამწვავების, გლეხობის, ახალი ეკონომიური პოლიტიკის, ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის ახალი ფორმების საკითხებში, — არ შეიძლება, რომ ყველა ეს შეცდომა მას შემთხვევით მოსვლოდეს. არა, ეს შეცდომები შემთხვევითი როდია. ისინი, ბუხარინის ეს შეცდომები, გამომდინარეობენ მისი არასწორი თეორიული თვალსაზრისიდან, მისი თეორიული ხარვეზებიდან. დიახ, ბუხარინი თეორეტიკოსია, მაგრამ ის არ არის სავსებით მარქსისტი თეორეტიკოსი, ისეთი თეორეტიკოსია, რომელმაც ჯერ კიდევ უნდა ისწავლოს, რომ მარქსისტი თეორეტიკოსი გახდეს.

მიუთითებენ ამხანაგ ლენინის ცნობილ წერილზე ბუხარინის როგორც თეორეტიკოსის შესახებ. მოდით, წავიკითხოთ ეს წერილი:

«ცენტრალური კომიტეტის ახალგაზრდა წევრებიდან, — ამბობს ლენინი, — რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა ბუხარინზე და პიატაკოვზე. ესენი, ჩემი აზრით, ყველაზე თვალსაჩინო ძალებია (ყველაზე ახალგაზრდა ძალებს შორის), და მათ შესახებ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი: ბუხარინი არის პარტიის არა მარტო უძვირფასესი და უთვალსაჩინოესი თეორეტიკოსი, იგი აგრეთვე სამართლიანად ითვ-

ლება მთელი პარტიის საყვარელ პირად, მაგრამ **მისი თეორიული შეხედულებანი ძალიან დიდი ეჭვით შეიძლება მივიჩნიოთ სავსებით მარქსისტულ შეხედულებებად, ვინაიდან მას ახასიათებს რაღაც სქოლასტიკური (მას არასოდეს არ უსწავლია და, ვფიქრობ, სავსებით არასოდეს არ ესმოდა დიალექტიკა)»** * (1926 წ. ივლისის პლენუმის სტენოგრამა, ნაკვ. IV, გვ. 66).

ამრიგად, თეორეტიკოსი უდიალექტიკოდ. თეორეტიკოსი-სქოლასტიკოსი. თეორეტიკოსი, რომლის «თეორიული შეხედულებანი ძალიან დიდი ეჭვით შეიძლება მივიჩნიოთ სავსებით მარქსისტულ შეხედულებებად». ასეთია ბუხარინის თეორიული ფიზიონომიის დახასიათება, რომელიც ლენინმა მოგვცა.

თქვენ თვითონ გესმით, ამხანაგებო, რომ ასეთმა თეორეტიკოსმა ჯერ კიდევ უნდა ისწავლოს. და ბუხარინს რომ ესმოდეს, რომ ის ჯერ კიდევ არ არის სავსებით დასრულებული თეორეტიკოსი, რომ მას კიდევ ესაჭიროება სწავლა, რომ ის ისეთი თეორეტიკოსია, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ შეუთვისებია დიალექტიკა, ხოლო დიალექტიკა მარქსიზმის სულია, — მას რომ ეს ესმოდეს, ის უფრო თავმდაბალი იქნებოდა, და ამით პარტია მხოლოდ მოიგებდა. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ბუხარინს თავმდაბლობა არ მოსდგამს. უბედურება ის არის, რომ მას არა თუ თავმდაბლობა არ მოსდგამს, არამედ იმასაც კი კისრულობს, რომ ასწავლოს ჩვენს მასწავლებელს ლენინს მთელ რიგ საკითხებში და უწინარეს ყოვლისა სახელმწიფოს საკითხში. აი რა არის ბუხარინის უბედურება.

ნება მომეცით ამის გამო მოვიყვანო ლენინსა და ბუხარინს შორის 1916 წელს მომხდარი ცნობილი თეორიული დავა სახელმწიფოს საკითხზე. ამას ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ გამოვააშკარაოთ როგორც უზომო პრეტენზიები ბუხარინისა, რომელიც აპირებს ასწავლოს

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ლენინს, ისე ფესვები მისი თეორიული სისუსტისა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორიც არის პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი, კლასთა ბრძოლის საკითხი და სხვ.

როგორც ცნობილია, ჟურნალ «ახალგაზრდობის ინტერნაციონალში» [7] 1916 წელს **Nota Bene**-ს ხელმოწერით დაიბეჭდა ბუხარინის სტატია, რომელიც არსებითად მიმართული იყო ამხანაგ ლენინის წინააღმდეგ. ამ სტატიაში ბუხარინი წერს:

«...სრულიად შემცდარია სოციალისტებსა და ანარქისტებს შორის განსხვავების ძიება იმაში, რომ პირველნი სახელმწიფოს მომხრენი არიან, ხოლო მეორენი — წინააღმდეგნი. ნამდვილად განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას სურს შოაწყოს ახალი საზოგადოებრივი წარმოება როგორც ცენტრალიზებული, ე. ი. ტექნიკურად ყველაზე უფრო პროგრესული წარმოება, მაშინ როდესაც დეცენტრალიზებული ანარქიული წარმოება იქნებოდა მხოლოდ ნაბიჯის უკან გადადგმა ძველი ტექნიკისაკენ, საწარმოთა ძველი ფორმისაკენ...»

«...სოციალ-დემოკრატიისათვის, რომელიც არის ანდა ყოველ შემთხვევაში უნდა იყოს მასების აღმზრდელი, ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა ხაზი გაუსვას თავის პრინციპულ მტრობას სახელმწიფოსადმი... ახლანდელმა ომმა გვიჩვენა, თუ რა ღრმად გაიდგა ფესვები სახელმწიფოებრიობამ მუშათა შეგნებაში».

აკრიტიკებს რა ბუხარინის ამ შეხედულებებს, ლენინი 1916 წელს გამოქვეყნებულ ცნობილ სტატიაში ამბობს:

«ეს არ არის სწორი. ავტორი აყენებს კითხვას, თუ რით განსხვავდება ერთიმეორისაგან სოციალისტებისა და ანარქისტების დამოკიდებულება **სახელმწიფოსადმი**, მაგრამ უპასუხებს **არა** ამ, არამედ **სხვა** კითხვაზე, თუ რით განსხვავდება ერთიმეორისაგან მათი დამოკიდებულება მომავალი საზოგადოების ეკონომიური საფუძვლისადმი. ეს, რა თქმა უნდა, მეტად მნიშვნელოვანი და საჭირო საკითხია. მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ შეიძლებოდეს დავივიწყოთ ის, რაც **მთავარია** სახელმწიფოსადმი სოციალისტებისა და ანარქისტების დამოკიდებულების განსხვავებაში. სოციალისტები იმის მომხრენი არიან, რომ

თანამედროვე სახელმწიფო და მისი დაწესებულებანი გამოყენებულ იქნას მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, აგრეთვე იმის მომხრენი არიან, რომ სახელმწიფო საჭიროა გამოყენებულ იქნას კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე თავისებური გარდამავალი ფორმისათვის. ასეთ გარდამავალ ფორმას, **ასევე** სახელმწიფოს, წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურა. ანარქისტებს სურთ «გააუქმონ» სახელმწიფო, «ააფეთქონ» («sprengen») იგი, როგორც წერს ერთ ადგილას **ამხ. Nota Bene**, შეცდომით მიაწერს რა ამ შეხედულებას სოციალისტებს. სოციალისტები — ავტორს, სამწუხაროდ, ძალიან არასრულად მოჰყავს ენგელსის სიტყვები ამის შესახებ — ცნობენ სახელმწიფოს «კვდომას», თანდათანობით «მიძინებას» ბურჟუაზიის ექსპროპრიაციის **შემდეგ»**...

«სახელმწიფოსადმი «პრინციპულ მტრობას» რომ «ხაზი გაუსვა», საჭიროა მართლაც «ცხადად» გესმოდეს იგი, ავტორს კი სწორედ ეს სიცხადე არ გააჩნია. ხოლო ფრაზა «სახელმწიფოებრიობის ფესვების» შესახებ უკვე სრულიად დაბნეული, არამარქსისტული და არასოციალისტურია. «სახელმწიფოებრიობა» კი არ შეეჯახა სახელმწიფოებრიობის უარყოფას, არამედ ოპორტუნისტული პოლიტიკა (ე. ი. ოპორტუნისტული, რეფორმისტული, ბურჟუაზიული დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი) შეეჯახა რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკას (ე. ი. რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ დამოკიდებულებას ბურჟუაზიული სახელმწიფოსადმი და სახელმწიფოს გამოყენებისადმი ბურჟუაზიის წინააღმდეგ მის დასამხობად). ეს სრულიად, სრულიად სხვადასხვა რამეა» (ტ. XIX, გვ. 296).

ვგონებ ცხადია, თუ რაშია აქ საქმე და რა ნახევრად-ანარქისტულ წუმპეში შეტოპა ბუხარინმა!

სტენი. ლენინს მაშინ გაშლილი სახით ჯერ კიდევ არ ჰქონდა ფორმულირებული სახელმწიფოს «აფეთქების» აუცილებლობა. ბუხარინი ანარქისტულ შეცდომებს უშვებდა, მაგრამ მაინც უახლოვდებოდა ამ საკითხის ფორმულირებას.

სტალინი. არა, ახლა ლაპარაკია არა ამაზე, ლაპარაკია საერთოდ სახელმწიფოსადმი დამოკიდებულებაზე, ლაპარაკია იმაზე, რომ, ბუხარინის აზრით, მუშათა კლასი **პრინციპულად** მტრულად უნდა იყოს განწყობილი **ყოველგვარი**

სახელმწიფოსადმი, მათ შორის მუშათა კლასის სახელმწიფოსადმიც.

სტენი. ლენინი მაშინ ლაპარაკობდა მხოლოდ სახელმწიფოს გამოყენებაზე და ბუხარინის წინააღმდეგ მიმართულ კრიტიკაში არაფერს ამბობდა «აფეთქებაზე».

სტალინი. სცდებით: სახელმწიფოს «აფეთქება» მარქსისტული კი არა, ანარქისტული ფორმულაა. გარწმუნებთ, რომ აქ ლაპარაკია იმაზე, რომ მუშებმა ხაზგასმით უნდა აღნიშნონ, ბუხარინის (და ანარქისტების) აზრით, თავიანთი პრინციპული მტრობა ყოველგვარი სახელმწიფოსადმი, მაშასადამე გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოსადმიც, მუშათა კლასის სახელმწიფოსადმი.

სცადეთ ჩააგონოთ ჩვენს მუშებს, რომ მუშათა კლასი პრინციპული მტრობით უნდა გაიმსჭვალოს პროლეტარული დიქტატურისადმი, რომელიც ხომ აგრეთვე სახელმწიფოა.

ბუხარინის პოზიცია, რომელიც მოცემულია «ახალგაზრდობის ინტერნაციონალში» მოთავსებულ მის სტატიაში, არის პოზიცია სახელმწიფოს უარყოფისა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში.

ბუხარინს აქ გამოეპარა «წვრილმანი», სახელდობრ — მას გამოეპარა მთელი გარდამავალი პერიოდი, როცა მუშათა კლასს არ შეიძლება არ ჰქონდეს თავისი საკუთარი სახელმწიფო, თუ მას ნამდვილად სურს დათრგუნოს ბურჟუაზია და აშენოს სოციალიზმი. ეს — პირველი.

მეორეც, მართალი არ არის, თითქოს ამხანაგი ლენინი მაშინ თავის კრიტიკაში არ შეჰხებია საერთოდ სახელმწიფოს «აფეთქების», «გაუქმების» თეორიას. ლენინი არა მარტო ეხებოდა ამ თეორიას, როგორც ეს ჩანს ჩემს მიერ მოყვანილი ციტატებიდან, არამედ მან კიდევაც გააკრიტიკა იგი როგორც ანარქისტული თეორია, დაუპირდაპირა მას ბურჟუაზიის დამხობის შემდეგ ახალი სახელმწიფოს,

სახელდობრ — პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფოს **შექმნისა** და **გამოყენების** თეორია.

ბოლოს, არ შეიძლება ერთმანეთში ავურიოთ სახელმწიფოს «აფეთქებისა» და «გაუქმების» ანარქისტული თეორია და **პროლეტარული** სახელმწიფოს «კვდომის», ანუ **ბურჟუაზიულ**-სახელმწიფოებრივი მანქანის «დანგრევის», «დამსხვრევის» მარქსისტული თეორია. ზოგიერთს მიდრეკილება აქვს ერთმანეთში აურიოს ეს ორი სხვადასხვა ცნება და ფიქრობს, რომ ისინი ერთსა და იმავე აზრს გამოხატავენ. მაგრამ ეს არ არის სწორი. ლენინი ემყარებოდა **ბურჟუაზიულ**-სახელმწიფოებრივი მანქანის «დანგრევისა» და **პროლეტარული** სახელმწიფოს «კვდომის» სწორედ მარქსისტულ თეორიას, როცა აკრიტიკებდა საერთოდ სახელმწიფოს «აფეთქებისა» და «გაუქმების» ანარქისტულ თეორიას.

იქნებ ზედმეტი არ იყოს, თუ აქ, მეტი სიცხადისათვის, მოვიყვან ამბ. ლენინის ერთ-ერთ ხელნაწერს სახელმწიფოს შესახებ, რომელიც, როგორც ჩანს, დაწერილია 1916 წლის დამლევს ან 1917 წლის დამდეგს (1917 წ. თებერვლის რევოლუციამდე). ამ ხელნაწერიდან შეიძლება ადვილად დავინახოთ, რომ:

ა) აკრიტიკებდა რა ბუხარინის ნახევრად-ანარქისტულ შეცდომებს სახელმწიფოს საკითხში, ლენინი ემყარებოდა პროლეტარული სახელმწიფოს «კვდომისა» და ბურჟუაზიულ-სახელმწიფოებრივი მანქანის «დანგრევის» მარქსისტულ თეორიას,

ბ) თუმცა ბუხარინი, ლენინის თქმით, «უფრო ახლოა ჰეშმარიტებასთან, ვიდრე კაუცკი», მაგრამ ის მაინც «კაუცკელთა მხილების ნაცვლად ხელს უწყობს მათ თავისი შეცდომებით».

აი ამ ხელნაწერის ტექსტი:

«სახელმწიფოს საკითხში **მეტისმეტად** დიდი მნიშვნელობა აქვს ენგელსის 1875 წლის 18—28 მარტის წერილს **ბებელისადმი.**

აი უმთავრესი ადგილი მთლიანად:

«...თავისუფალი სახალხო სახელმწიფო გადაიქცა თავისუფალ სახელმწიფოდ. ამ სიტყვების გრამატიკული აზრით, თავისუფალი სახელმწიფო ისეთი სახელმწიფოა, რომელშიც სახელმწიფო თავისუფალია თავის მოქალაქეთა მიმართ, ე. ი. ისეთი სახელმწიფოა, სადაც დესპოტური მთავრობაა. **საჭიროა უკუგდებულ იქნას მთელი ეს ლაყბობა სახელმწიფოს შესახებ,** განსაკუთრებით კომუნის შემდეგ, **რომელიც აღარ იყო სახელმწიფო პირდაპირი აზრით.** ანარქისტები უკვე კარგა ხანია თვალში გვჩრიდნენ «სახალხო სახელმწიფოს», თუმცა უკვე მარქსის თხზულება პრუდონის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ «კომუნისტური მანიფესტი» პირდაპირ გვეუბნებიან, რომ **სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების შემოღების შემდეგ სახელმწიფო თავისთავად იშლება (sich auflöst) და ქრება.** ვინაიდან სახელმწიფო არის მხოლოდ გარდამავალი დაწესებულება, რომლითაც უნდა ვისარგებლოთ ბრძოლაში, რევოლუციაში, რათა ძალით დავთრგუნოთ ჩვენი მოწინააღმდეგენი, ამიტომ ლაპარაკი თავისუფალ სახალხო სახელმწიფოზე სრული უაზრობაა: სანამ პროლეტარიატს კიდევ **სჭირდება** (ხაზგასმა ენგელსისაა) სახელმწიფო, ის სჭირდება მას **არა თავისუფლების ინტერესებისათვის, არამედ თავის მოწინააღმდეგეთა დათრგუნვის ინტერესებისათვის, ხოლო როცა შესაძლებელი ხდება თავისუფლებაზე ლაპარაკი, მაშინ სახელმწიფო, როგორც ასეთი, აღარ არსებობს.** ამიტომ ჩვენი წინადადება იქნებოდა სიტყვა **სახელმწიფოს** (ხაზგასმა ენგელსისაა) ნაცვლად ყველგან ხმარებულ იქნას სიტყვა: **«თემი»** (Gemeinwesen), ძველი საუცხოო გერმანული სიტყვა, რომელიც შეესაბამება ფრანგულ სიტყვას «კომუნა»».

შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაზე შესანიშნავი და, ალბათ, ყველაზე მკვეთრი ადგილია, ასე ვთქვათ, «სახელმწიფოს **წინააღმდეგ**» მარქსისა და ენგელსის თხზულებებში.

(1) «საჭიროა უკუგდებულ იქნას მთელი ლაყბობა სახელმწიფოს შესახებ».

(2) «კომუნა **აღარ** იყო სახელმწიფო პირდაპირი აზრით» (მაშ რა იყო? გარდამავალი ფორმა სახელმწიფოდან არასახელმწიფოსაკენ, ცხადია!).

(3) ანარქისტები უკვე კარგა ხანია «თვალში გვჩრიდნენ» (**in die Zähne geworfen**, სიტყვასიტყვით — სახეში გვირტყამდნენ) «სახალხო **სახელმწიფოს**» (მაშასადამე, მარქსსა და ენგელსს რცხვენოდათ თავიანთი

გერმანელი მეგობრების ამ აშკარა შეცდომისა; — მაგრამ იგი მათ მიაჩნდათ, და, რა თქმა უნდა, **მაშინდელი პირობების მიხედვით** მართებულადაც მიაჩნდათ, გაცილებით ნაკლებ მნიშვნელოვან შეცდომად, ვიდრე ანარქისტების შეცდომა. ეს NB!!).

(4) სახელმწიფო «თავისთავად ირღვევა («იშლება») (**Nota Bene**) და ქრება»... (შეად. შემდეგ: «კვდება») «სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების შემოღების შემდეგ»...

(5) სახელმწიფო არის «დროებითი დაწესებულება», რომელიც საჭიროა «ბრძოლაში, რევოლუციაში»... (საჭიროა, რა თქმა უნდა, **პროლეტარიატისათვის**)...

(6) სახელმწიფო საჭიროა **არა თავისუფლებისათვის**, არამედ **პროლეტარიატის მოწინააღმდეგეთა დათრგუნვისათვის** (**Niederhaltung**, პირდაპირი აზრით, ნიშნავს არა დათრგუნვას, არამედ რესტავრაციისაგან შეკავებას, მორჩილებაში ყოლას).

(7) როცა თავისუფლება იქნება, მაშინ აღარ იქნება სახელმწიფო.

(8) «ჩვენი» (ე. ი. ენგელსისა და **მარქსის**) წინადადება იქნებოდა **«ყველგან»** (პროგრამაში) «სახელმწიფოს» ნაცვლად ხმარებულ იქნას სიტყვა «თემი» (**Gemeinwesen**), «კომუნა»!!!

აქედან ჩანს, თუ როგორ გაავულგარეს, შებღალეს მარქსი და ენგელსი არა მარტო ოპორტუნისტებმა, არამედ კაუცკიმაც.

ოპორტუნისტებმა ამ 8 უდიადეს აზრში ვერც ერთი **ვერ** გაიგეს!!

მათ აიღეს აწმყოს **მხოლოდ** პრაქტიკული საჭიროება: გამოიყენონ პოლიტიკური ბრძოლა, გამოიყენონ **თანამედროვე** სახელმწიფო პროლეტარიატის გასაწვრთნელად და აღსაზრდელად, «დათმობათა გამოსაგლეჯად». ეს მართალია (ანარქისტების წინააღმდეგ), მაგრამ ეს მარქსიზმის მხოლოდ $^1/_{100}$-ია, თუ შეიძლება ასე არითმეტიკულად გამოითქვას.

თავის პროპაგანდისტულ და საერთოდ პუბლიცისტურ მუშაობაში კაუცკიმ სავსებით მიჩქმალა (თუ დაავიწყდა? თუ ვერ გაიგო?) 1, 2, 5, 6, 7, 8 პუნქტები და მარქსის **«Zerbrechen»** (პანეკუკთან პოლემიკის დროს 1912 თუ 1913 წელს (იხ. ქვემოთ, გვ. 45 — 47) კაუცკი უკვე სავსებით ჩაეფლო ოპორტუნიზმში ამ საკითხის გამო).

ანარქისტებისაგან ჩვენ განგვასხვავებს (α) სახელმწიფოს გამოყენება **ახლა** და (β) პროლეტარიატის **რევოლუციის** დროს (**«პროლეტარიატის დიქტატურა»**) — პრაქტიკისათვის უმნიშვნელოვანესი პუნქტები, მაშინვე. (სწორედ ისინი **დაავიწყდა** ბუხარინს!).

ოპორტუნისტებისაგან — უფრო ღრმა, «უფრო მარადიული» **ჰეშმარიტებანი** (აა) სახელმწიფოს «დროებითი» ხასიათის შესახებ, (ბბ) ამჟამად მასზე **«ლაყბობის» მავნეობის** შესახებ, (გგ) **პროლეტარიატის** დიქტატურის არასავსებით სახელმწიფოებრივი ხასიათის შესახებ, (დდ) სახელმწიფოსა და თავისუფლების წინააღმდეგობის შესახებ, (ეე) სახელმწიფოს ნაცვლად «თემის» უფრო სწორი იდეის (ცნების, საპროგრამო ტერმინის) შესახებ, (ვვ) ბიუროკრატიულ-სამხედრო მანქანის «დამსხვრევის» (Zerbrechen) შესახებ.

არ უნდა დავივიწყოთ კიდევ, რომ **პროლეტარიატის დიქტატურას** გერმანიის აშკარა ოპორტუნისტები (ბერნშტეინი, კოლბი etc.) პირდაპირ უარყოფენ, ხოლო ოფიციალური პროგრამა და კაუცკი უარყოფენ **არაპირდაპირ**, დუმან რა მის შესახებ ყოველდღიურ აგიტაციაში და **ითმენენ** რა კოლბებისა და კომპანიის რენეგატობას.

1916 წ. აგვისტოში ბუხარინს მისწერეს: «აცალე **მომწიფება** შენს აზრებს სახელმწიფოს შესახებ». მან კი **არ აცალა** მომწიფება, გამოძვრა პრესაში როგორც **«Nota Bene»** და ეს ისე მოიმოქმედა, რომ კაუცკელთა მხილების ნაცვლად **ხელი შეუწყო მათ** თავისი `შეცდომებით!! არსებითად კი ბუხარინი უფრო ახლოა ჰეშმარიტებასთან, ვიდრე კაუცკი» [8].

ასეთია სახელმწიფოს საკითხის გამო თეორიული დავის მოკლე ისტორია.

საქმე თითქოს ცხადია: ბუხარინმა დაუშვა ნახევრად-ანარქისტული შეცდომები, — დროა გამოასწოროს ეს შეცდომები და შემდგომ გაჰყვეს ლენინის გზას. მაგრამ მხოლოდ ლენინელებს შეუძლიათ ასე იფიქრონ. ბუხარინი, თურმე, როდი ეთანხმება ამას. პირიქით, ის ამტკიცებს, რომ ცდებოდა არა ის, არამედ ლენინი, რომ ის კი არ წასულა ან უნდა წავიდეს ლენინის გზით, არამედ, პირიქით, ლენინი გახდა იძულებული ბუხარინის გზას გაჰყოლოდა.

ეს დაუჯერებლად მიგაჩნიათ, ამხანაგებო? მაშ მოისმინეთ კიდევ. 1916 წელს მომხდარი ამ დავის დროიდან 9 წლის შემდეგ, რომელთა განმავლობაშიც ბუხარინი დუმდა, **ლენინის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ,** სახელ-

დობრ 1925 წელს, ბუხარინი კრებულში «სამართლის რევოლუცია» ათავსებს სტატიას «იმპერიალისტური სახელმწიფოს თეორიისათვის», რომელიც თავის დროზე არ მიიღო დასაბეჭდად «სოციალ-დემოკრატის კრებულის» [9] რედაქციამ (ესე იგი ლენინმა); ამ სტატიის **შენიშვნაში** ბუხარინი პირდაპირ აცხადებს, რომ ამ დავაში მართალი იყო არა ლენინი, არამედ ის, ბუხარინი. ეს შეიძლება დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს ფაქტია, ამხანაგებო.

მოისმინეთ ამ შენიშვნის ტექსტი:

««ახალგაზრდობის ინტერნაციონალში» მოთავსებული სტატიის წინააღმდეგ შენიშვნით გამოვიდა ვ. ი. (ესე იგი ლენინი). მკითხველები ადვილად დაინახავენ, რომ მე არ მქონია შეცდომა, რომელსაც მომაწერდნენ, ვინაიდან მე ნათლად ვხედავდი პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობას; მეორე მხრივ, ილიჩის შენიშვნიდან ჩანს, რომ ის მაშინ **არასწორად უდგებოდა დებულებას სახელმწიფოს** (რა თქმა უნდა, ბურჟუაზიული სახელმწიფოს) **«აფეთქების» შესახებ, ამ საკითხს ურევდა პროლეტარიატის დიქტატურის კვდომის საკითხში** *. იქნებ, მაშინ უფრო უნდა განმევითარებინა თემა დიქტატურის შესახებ. მაგრამ თავის გასამართლებლად შემიძლია ვთქვა, რომ **მაშინ** ისე საყოველთაოდ იყო გავრცელებული ბურჟუაზიული სახელმწიფოს სოციალ-დემოკრატიული ქება-დიდება, რომ ბუნებრივი იყო მთელი ყურადღების მიპყრობა ამ მანქანის **აფეთქების** საკითხისადმი.

როცა ამერიკიდან რუსეთში ჩამოვედი და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ვნახე (ეს იყო ჩვენს არალეგალურ VI ყრილობაზე, და ამ დროს ვ. ი. იმალებოდა), მისი პირველი სიტყვები იყო: «ვ. ი. მთხოვა გადმოგცეთ, რომ სახელმწიფოს **საკითხში** მას **ახლა თქვენთან უთანხმოება არა აქვს**». ამ საკითხზე მუშაობის დროს **ილიჩი მივიდა იმავე დასკვნებამდე** * «აფეთქების» შესახებ, მაგრამ მან ეს თემა და შემდეგ დიქტატურის შესახებ მოძღვრებაც იმდენად განავითარა, რომ მთელი ეპოქა შექმნა თეორიული აზრის განვითარებაში ამ მიმართულებით».

ასე წერს ლენინზე ბუხარინი ლენინის გარდაცვალებიდან **ერთი წლის შემდეგ.**

---

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

აი ნიმუში სწავლამოუთავებელი თეორეტიკოსის ჰიპერტროფირებული პრეტენზიულობისა!

სავსებით შესაძლებელია, რომ ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა მართლაც უთხრა ბუხარინს ის, რასაც აქ ბუხარინი წერს. მაგრამ რა გამომდინარეობს აქედან? აქედან მხოლოდ ერთი რამ გამომდინარეობს, რომ ლენინს ერთგვარი საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ ბუხარინმა უარყოს ან მზად არის უარყოს თავისი შეცდომები. ეს არის და ეს. მაგრამ ბუხარინმა სხვანაირად განსაჯა. მან გადაწყვიტა, რომ ამიერიდან სახელმწიფოს მარქსისტული თეორიის შემქმნელად, ან ყოველ შემთხვევაში სულისჩამდგმელად, უნდა ჩაითვალოს არა ლენინი, არამედ ის, ე. ი. ბუხარინი.

დღემდე ჩვენს თავს ვთვლიდით და კვლავაც ვთვლით ლენინელებად. ახლა კი გამოდის, რომ, თურმე, ლენინიც და ჩვენც, მისი მოწაფეები, ბუხარინელები ვყოფილვართ. ცოტა არ იყოს სასაცილოა, ამხანაგებო. მაგრამ რა გაეწყობა, როცა საქმე გაქვს ბუხარინის გაბერილ პრეტენზიულობასთან.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბუხარინს წამოსცდა ეს სიტყვები ზემოაღნიშნული სტატიის შენიშვნაში, რომ მან სისულელე თქვა და შემდეგ დაივიწყა იგი. მაგრამ ეს, თურმე, არ არის სწორი. ბუხარინი ამას, თურმე, სავსებით სერიოზულად ამბობდა. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ბუხარინის ის განცხადება ლენინის **შეცდომებზე** და ბუხარინის **სიმართლეზე**, რომლითაც იგი გამოვიდა ამ შენიშვნაში, ხელმეორედ გამოქვეყნდა ამას წინათ, სახელდობრ 1927 წელს, ესე იგი ლენინის წინააღმდეგ ბუხარინის პირველი გამოსვლიდან ორი წლის შემდეგ, მარეცკის ბიოგრაფიულ ნარკვევში ბუხარინის შესახებ, ამასთან ბუხარინს ფიქრადაც არ მოსვლია პროტესტი განეცხადებინა მარეცკის ასეთი... გამბედაობის წინააღმდეგ. ცხადია, რომ ბუხარინის

გამოსვლა ლენინის წინააღმდეგ არ შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს.

ამრიგად, გამოდის, რომ მართალია ბუხარინი, და არა ლენინი, რომ სახელმწიფოს მარქსისტული თეორიის სულისჩამდგმელია არა ლენინი, არამედ ბუხარინი.

ასეთია, ამხანაგებო, ბუხარინის თეორიულ ნაღრძობთა და თეორიულ პრეტენზიათა სურათი.

და ამ ადამიანს ყოველივე ამის შემდეგ გამბედაობა ჰყოფნის თქვას აქ თავის სიტყვაში, რომ ჩვენი პარტიის თეორიულ გეზში «რაღაც სიდამპლეა», რომ ჩვენი პარტიის თეორიულ გეზში არის გადახრა ტროცკიზმისაკენ!

და ამას ამბობს სწორედ ის ბუხარინი, რომელიც უშვებს (და წარსულშიც უშვებდა) მთელ რიგ უაღრესად უხეშ თეორიულ და პრაქტიკულ შეცდომებს, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც ტროცკის შეგირდი იყო, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ლენინელების წინააღმდეგ ტროცკისტებთან ბლოკს ეძებდა და მათთან უკანა კარიდან დარბოდა!

განა ეს სასაცილო არ არის, ამხანაგებო?

თ) ხუთწლედი თუ ოთწლედი

ახლა ნება მომეცით გადავიდე რიკოვის სიტყვაზე. თუ ბუხარინი ცდილობდა თეორიულად დაესაბუთებინა მემარჯვენე გადახრა, რიკოვი თავის სიტყვაში ცდილობს ამ საქმეს საფუძვლად დაუდოს პრაქტიკული წინადადებანი და გვაშინებს «საშინელი ამბებით» იმ სიძნელეთა სფეროდან, რომლებიც გვაქვს სოფლის მეურნეობის ხაზით. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ რიკოვი არ შეჰხებია თეორიულ საკითხებს. არა, ის მათ შეეხო. მაგრამ, შეეხო რა მათ, სულ ცოტა ორი სერიოზული შეცდომა დაუშვა.

ხუთწლიანი გეგმის შესახებ თავის რეზოლუციის პროექტში, რომელიც პოლიტბიუროს კომისიამ უარყო, რი-

კოვი ამბობს, რომ «ხუთწლიანი გეგმის ცენტრალური იდეა მდგომარეობს სახალხო შრომის ნაყოფიერების ზრდაში». მიუხედავად იმისა, რომ პოლიტბიუროს კომისიამ უარყო ეს სრულიად **უმართებულო** გეზი, რიკოვი იცავდა მას აჭ თავის სიტყვაში.

მართალია თუ არა, რომ **საბჭოთა ქვეყანაში** ხუთწლიანი გეგმის ცენტრალურ იდეას შრომის ნაყოფიერების ზრდა შეადგენს? არა, არ არის მართალი. ჩვენ ხომ სახალხო შრომის ნაყოფიერების **ყოველგვარი** ზრდა არ გვესაჭიროება. ჩვენ გვესაჭიროება სახალხო შრომის ნაყოფიერების **გარკვეული** ზრდა, სახელდობრ — ისეთი ზრდა, რომელიც უზრუნველყოფს **სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის სისტემატურ უპირატესობას კაპიტალისტურ სექტორთან შედარებით.** ხუთწლიანი გეგმა, რომელიც ამ ცენტრალურ იდეას ივიწყებს, ხუთწლიანი გეგმა კი არა, ხუთწლიანი აბდაუბდაა.

შრომის ნაყოფიერების ზრდით საერთოდ დაინტერესებულია ყოველგვარი საზოგადოება, კაპიტალისტურიც და წინაკაპიტალისტურიც. **საბჭოთა** საზოგადოება სწორედ იმით განსხვავდება ყოველგვარი სხვა საზოგადოებისაგან, რომ ის დაინტერესებულია შრომის ნაყოფიერების არა ყოველგვარი ზრდით, არამედ ისეთი ზრდით, რომელიც უზრუნველყოფს მეურნეობის სოციალისტური ფორმების უპირატესობას მეურნეობის სხვა ფორმებთან და უწინარეს ყოვლისა კაპიტალისტურ ფორმებთან შედარებით, რომელიც ამრიგად უზრუნველყოფს მეურნეობის კაპიტალისტური ფორმების დაძლევასა და განდევნას. რიკოვმა კი დაივიწყა **საბჭოთა** საზოგადოების განვითარების ხუთწლიანი გეგმის ეს მართლაც ცენტრალური იდეა. ეს არის მისი პირველი თეორიული შეცდომა.

მისი მეორე შეცდომა ის არის, რომ იგი არ განასხვავებს ან არ სურს გაიგოს, თუ რა განსხვავებაა საქონელბრუნვის თვალსაზრისით, ვთქვათ, კოლმეურნეობასა და ყოველგვარ ინდივიდუალურ მეურნეობას, კერძოდ ინდივიდუალურ კაპიტალისტურ მეურნეობას შორის. რიკოვი გვარწმუნებს, რომ პურის ბაზარზე საქონელბრუნვის თვალსაზრისით, პურის მიღების თვალსაზრისით ის ვერ ხედავს განსხვავებას კოლმეურნეობასა და პურის კერძო მფლობელს შორის, მაშასადამე, მისთვის სულ ერთია, პურს კოლმეურნეობისაგან ვყიდულობთ, კერძო მფლობელისაგან თუ პურის რომელიმე არგენტინელი შემსყიდველისაგან. ეს სრულიად არ არის მართალი. ეს არის ფრუმკინის ცნობილი განცხადების გამეორება, რომელიც ერთ დროს გვარწმუნებდა, რომ მისთვის სულ ერთია, სად ვიყიდით და ვისგან ვიყიდით პურს, კერძო ვაჭრისაგან თუ კოლმეურნეობისაგან.

ეს არის პურის ბაზარზე კულაკური მახინაციების დაცვის, რეაბილიტაციის, გამართლების შენიღბული ფორმა. ის ფაქტი, რომ ეს დაცვა საქონელბრუნვის თვალსაზრისით წარმოებს, — ეს ფაქტი არ ცვლის იმ გარემოებას, რომ ეს მაინც გამართლებაა კულაკური მახინაციებისა პურის ბაზარზე. თუ საქონელბრუნვის თვალსაზრისით განსხვავება არ არსებობს მეურნეობის კოლექტიურ და არაკოლექტიურ ფორმებს შორის, მაშინ განა ღირს განვავითაროთ კოლმეურნეობები, განა ღირს მივცეთ მათ შეღავათები, განა ღირს ხელი მოვკიდოთ სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური ელემენტების დაძლევის ძნელ ამოცანას? ცხადია, რიკოვმა უმართებულო გეზი აიღო. ეს არის მისი მეორე თეორიული შეცდომა.

მაგრამ ეს — გაკვრით. გადავიდეთ პრაქტიკულ საკითხებზე, რომლებიც დაყენებულია რიკოვის სიტყვაში.

რიკოვი აქ ამტკიცებდა, რომ ხუთწლიან გეგმას გარდა საჭიროა კიდევ მეორე, პარალელური გეგმა, სახელდობრ — სოფლის მეურნეობის განვითარების ორწლიანი გეგმა. ამ წინადადებას პარალელური ორწლიანი გეგმის შესახებ იგი სოფლის მეურნეობაში არსებული სიძნელეებით ასაბუთებდა. ის ამბობდა: ხუთწლიანი გეგმა კარგი საქმეა, და მე მხარს ვუჭერ მას, მაგრამ თუ ამავე დროს გვექნება სოფლის მეურნეობის ორწლიანი გეგმა, ეს უფრო უკეთესი იქნება, — წინააღმდეგ შემთხვევაში სოფლის მეურნეობის საქმე შეფერხდებაო.

ერთი შეხედვით ეს წინადადება თითქოს ცუდს არაფერს წარმოადგენს. მაგრამ თუ საქმეს ჩავუკვირდებით, გამოდის, რომ სოფლის მეურნეობის ორწლიანი გეგმა მოგონილია იმისათვის, რომ ხაზი გაესვას ხუთწლიანი გეგმის არარეალურ, კანცელარიულ ხასიათს. შეგვეძლო თუ არა დავთანხმებოდით ამას? არა, არ შეგვეძლო. ჩვენ ვეუბნებოდით რიკოვს: თუ თქვენ უკმაყოფილო ხართ ხუთწლიანი გეგმით სოფლის მეურნეობის ხაზით, თუ არასაკმაოდ მიგაჩნიათ ის ასიგნობები, რომლებიც ხუთწლიანი გეგმით სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის არის განკუთვნილი, მაშინ პირდაპირ გვითხარით, როგორია თქვენი დამატებითი წინადადებანი, თქვენი დამატებითი დაბანდებანი, — ჩვენ თანახმა ვართ შევიტანოთ ხუთწლიან გეგმაში ეს დამატებითი დაბანდებანი სოფლის მეურნეობისათვის. და მერე რა გამოირკვა? გამოირკვა, რომ რიკოვს არა აქვს არავითარი დამატებითი წინადადებანი სოფლის მეურნეობისათვის დამატებით დაბანდებათა შესახებ. იბადება კითხვა: მაშ რა საჭიროა სოფლის მეურნეობის პარალელური ორწლიანი გეგმა?

შემდეგ ჩვენ მას ვეუბნებოდით: ხუთწლიან გეგმას გარდა არის კიდევ წლიური გეგმები, რომლებიც ხუთწლიანი

გეგმის ნაწილს წარმოადგენენ, — მოდით შევიტანოთ პირველი ორი წლის წლიურ გეგმებში ის დამატებითი კონკრეტული წინადადებანი სოფლის მეურნეობის განვითარების ხაზით, რომლებიც თქვენ გაქვთ, თუ კი საერთოდ გაქვთ ისინი. და მერე რა გამოირკვა? გამოირკვა, რომ დამატებითი ასიგნობების ასეთი კონკრეტული გეგმები რიკოვს არა აქვს.

მაშინ ჩვენ მივხვდით, რომ რიკოვის წინადადება ორწლიანი გეგმის შესახებ გულისხმობს არა სოფლის მეურნეობის განვითარებას, არამედ სურვილს — ხაზი გაესვას ხუთწლედის არარეალურ, კანცელარიულ ხასიათს, სურვილს — სახელი გაუტეხოს ხუთწლედს. «სულისათვის», საჩვენებლად — ხუთწლიანი გეგმა, საქმისათვის, პრაქტიკული მუშაობისათვის — ორწლიანი გეგმა, — აი რა სტრატეგია გამოუვიდა რიკოვს. ორწლიანი გეგმა რიკოვმა იმისთვის წამოაყენა, რომ შემდეგ, ხუთწლიანი გეგმის პრაქტიკული განხორციელების მსვლელობაში, ხუთწლედისათვის დაეპირისპირებინა ორწლედი, გადაეკეთებინა ხუთწლედი და შეეგუებინა იგი ორწლიანი გეგმისათვის, შეეკვეცა და შეემცირებინა ასიგნობები ინდუსტრიის საქმისათვის.

აი რა მოსაზრებებით უარვყავით რიკოვის წინადადება ორწლიანი პარალელური გეგმის შესახებ.

ი) ნათესი ფართობების საკითხი

რიკოვი აქ აშინებდა პარტიას და გვარწმუნებდა, სსრ კავშირში ნათეს ფართობებს სისტემატური შემცირების ტენდენცია აქვთო. ამასთან იგი თითს იშვერდა პარტიისაკენ და გადაკვრით ამბობდა, ნათესი ფართობების შემცირება პარტიის პოლიტიკის ბრალიაო. იგი პირდაპირ არ ამბობდა, რომ ჩვენში საქმე სოფლის მეურნეობის დეგრადაციისაკენ

მიდის. მაგრამ მისი სიტყვა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ჩვენში დეგრადაციის მსგავსი რამ ხდებოდეს.

მართალია თუ არა, რომ ნათეს ფართობებს სისტემატური შემცირების ტენდენცია აქვთ? არა, არ არის მართალი. რიკოვმა მოიყვანა აქ საშუალო რიცხვები ჩვენი ქვეყნის ნათესი ფართობების შესახებ. მაგრამ საშუალო რიცხვთა მეთოდი, რომელიც შესწორებული არ არის ცნობებით რაიონების მიხედვით, არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც მეცნიერული მეთოდი.

იქნებ რიკოვს როდისმე წაუკითხავს ლენინის «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში». თუ წაუკითხავს, უნდა ახსოვდეს, როგორ ლანძღავს ლენინი იქ ბურჟუაზიულ ეკონომისტებს, რომლებიც სარგებლობენ ნათესი ფართობების ზრდის საშუალო რიცხვთა მეთოდით და უგულებელყოფენ ცნობებს რაიონების მიხედვით. უცნაურია, რომ რიკოვი ახლა იმეორებს ბურჟუაზიული ეკონომისტების შეცდომებს. და აი, თუ განვიხილავთ ნათესი ფართობების მოძრაობას რაიონების მიხედვით, ე. ი. თუ საქმეს მეცნიერულად მივუდგებით, გამოდის, რომ ზოგ რაიონში ნათესი ფართობები **სისტემატურად** იზრდება, ზოგში კი — **ხანდახან** მცირდება, უმთავრესად მეტეოროლოგიური პირობების გამო, ამასთან არ მოიპოვება ისეთი ცნობები, რომლებიც მოწმობდნენ, რომ სადმე, პურის თუნდაც ერთ-ერთ სერიოზულ რაიონში, ნათესი ფართობების **სისტემატური** შემცირება გვქონდეს.

მართლაც, იმ რაიონებში, სადაც ყინვები ან გვალვა იყო, მაგალითად უკრაინის ზოგიერთ ოლქში, ნათესი ფართობები უკანასკნელ ხანს შემცირდა...

ხმა. არა მთელ უკრაინაში.

შლიხტერი. უკრაინაში ნათესი ფართობები 2,7%-ით გაიზარდა.

სტალინი. მე მხედველობაში მაქვს უკრაინის ველიანი ზოლი. სხვა რაიონებში კი, ვთქვათ, ციმბირში, ვოლგისპირეთში, ყაზახეთში, ბაშკირეთში, სადაც ცუდი კლიმატური პირობები არ იყო, ნათესი ფართობები სისტემატურად იზრდება.

რით აიხსნება, რომ ზოგ რაიონში ნათესი ფართობები სისტემატურად იზრდება, ზოგში კი — ხანდახან მცირდება? მართლაცდა ხომ არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ პარტიის პოლიტიკა უკრაინაში ერთია, ხოლო სსრ კავშირის ალმოსავლეთ ნაწილსა ან ცენტრში — სხვა. ეს ხომ აბსურდია, ამხანაგებო. ცხადია, კლიმატურ პირობებს აქ მცირე მნიშვნელობა როდი აქვთ.

მართალია, კულაკები ამცირებენ ნათეს ფართობებს, კლიმატური პირობებისაგან დამოუკიდებლად. ამაში, შეიძლება ითქვას, «ბრალი მიუძღვის» პარტიის პოლიტიკას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეუწყოს ღარიბი და საშუალო გლეხობის მასებს კულაკობის წინააღმდეგ. მაგრამ აქედან რა გამომდინარეობს? განა ჩვენ როდისმე გვიკისრია ისეთი პოლიტიკის წარმოება, რომელიც დააკმაყოფილებდა სოფლის ყველა სოციალურ ჯგუფს, მათ შორის კულაკებსაც? და საერთოდ, განა ჩვენ შეგვიძლია ვაწარმოოთ ისეთი პოლიტიკა, რომელიც დააკმაყოფილებდა ექსპლოატატორებსაც და ექსპლოატირებულებსაც, თუ კი საერთოდ გვინდა ვაწარმოოთ მარქსისტული პოლიტიკა? რა არის აქ გასაკვირველი, თუ ჩვენი ლენინური პოლიტიკის შედეგად, რომელიც მიზნად ისახავს კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვას და დაძლევას სოფლად, კულაკები იწყებენ თავიანთი ნათესის ნაწილობრივ შემცირებას? განა სხვანაირად შეიძლება იყოს?

იქნებ ეს პოლიტიკა სწორი არ არის, — მაშინ გვითხრან ეს პირდაპირ. განა უცნაური არ არის, რომ ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავს მარქსისტებს უწოდებენ, შეშინე-

ბულები ცდილობენ კულაკების მიერ ნათესის ნაწილობრივ შემცირება გაასაღონ **საერთოდ** ნათესი ფართობების შემცირებად და ივიწყებენ, რომ კულაკებს გარდა არსებობენ აგრეთვე ღარიბი და საშუალო გლეხები, რომელთა ნათესი ფართოვდება, ივიწყებენ, რომ არსებობენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომელთა ნათესი ჩქარი ტემპით იზრდება.

დასასრულ, კიდევ ერთი უმართებულობა რიკოვის სიტყვაში ნათესი ფართობების საკითხის შესახებ. რიკოვი აქ ჩიოდა, რომ აქა-იქ, სახელდობრ იმ ადგილებში, სადაც კოლმეურნეობები ყველაზე მეტად არის განვითარებული, ღარიბი და საშუალო გლეხობის ინდივიდუალური ფართობი მცირდებაო. ეს მართალია. მერე რა არის აქ ცუდი? მაშ სხვანაირად როგორ უნდა იყოს? თუ კი ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობანი ინდივიდუალურ ფართობს ტოვებენ და კოლექტიურ მეურნეობაზე გადადიან, განა ცხადი არ არის, რომ კოლმეურნეობების გაფართოებამ და გამრავლებამ უნდა გამოიწვიოს ღარიბი და საშუალო გლეხობის ინდივიდუალური ფართობის შემცირება? მაშ როგორ გინდათ?

ამჟამად კოლმეურნეობებს აქვთ ორ მილიონ ჰექტარზე მეტი მიწა. ხუთწლედის დასასრულს კოლმეურნეობებს 25 მილიონ ჰექტარზე მეტი მიწა ექნებათ. ვის ხარჯზე იზრდება აქ საკოლმეურნეო ფართობი? ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალური ფართობის ხარჯზე. მაშ როგორ გინდათ? სხვანაირად როგორ უნდა გადავიყვანოთ ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობანი კოლექტიური მეურნეობის რელსებზე? განა ცხადი არ არის, რომ მთელ რიგ რაიონებში საკოლმეურნეო ფართობი გაიზრდება ინდივიდუალური ფართობის ხარჯზე?

გასაოცარია, რომ ადამიანებს არა სურთ ეს მარტივი რამ გაიგონ.

კ) პურის დამზადებათა შესახებ

პურის საქმეში ჩვენი სიძნელეების შესახებ აქ ბევრი ზღაპარი ითქვა. მაგრამ პურის საქმეში ჩვენი კონიუნქტურული სიძნელეების მთავარი მომენტები მხედველობიდან გამორჩათ.

უწინარეს ყოვლისა დაავიწყდათ, რომ წელს ჭვავი და ხორბალი, — მე ვლაპარაკობ საერთო მოსავალზე, — 500 — 600 მილიონი ფუთით ნაკლები ავიღეთ, ვიდრე გასულ წელს. განა შეიძლებოდა ამას ჩვენს პურის დამზადებაზე გავლენა არ მოეხდინა? ცხადია, არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა.

იქნებ ეს ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკის ბრალია? არა, ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკა აქ არაფერ შუაშია. ეს აიხსნება სერიოზული მოუსავლობით უკრაინის ველიან ზოლში (ყინვები და გვალვა) და ნაწილობრივი მოუსავლობით ჩრდილოეთ კავკასიაში, ცენტრალურ შავნიადაგიან ოლქში, ჩრდილო-დასავლეთ ოლქში.

უმთავრესად სწორედ ამით აიხსნება, რომ უკრაინაში შარშან 1 აპრილისათვის პური (ჭვავი და ხორბალი) დავამზადეთ 200 მილიონი ფუთი, წელს კი მხოლოდ 26 — 27 მილიონი ფუთი.

ამითვე უნდა აიხსნას ხორბლისა და ჭვავის დამზადების თითქმის 8-ჯერ შემცირება ცენტრალურ შავნიადაგიან ოლქში და 4-ჯერ — ჩრდილოეთ კავკასიაში.

მიმდინარე წელს აღმოსავლეთის ზოგიერთ რაიონში პურის დამზადება თითქმის ერთიორად გაიზარდა. მაგრამ ამას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო შეევსო და არც შეუვსია პურის ის დანაკლისი, რომელიც გვქონდა უკრაინაში, ჩრდილოეთ კავკასიასა და ცენტრალურ შავნიადაგიან ოლქში.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნორმალური მოსავლის დროს უკრაინა და ჩრდილოეთი კავკასია ამზადებენ მთელი

იმ პურის დაახლოებით ნახევარს, რომელიც სსრ კავშირში მზადდება.

უცნაურია, რომ ეს გარემოება რიკოვს მხედველობიდან გამორჩა.

დასასრულ, მეორე გარემოება, რომელიც პურის დამზადებაში ჩვენი კონიუნქტურული სიძნელეების მთავარ მომენტს წარმოადგენს. მე მხედველობაში მაქვს წინააღმდეგობა, რასაც სოფლის კულაკური ელემენტები უწევენ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას პურის დამზადების დარგში. რიკოვმა გვერდი აუარა ამ გარემოებას. მაგრამ ამ მომენტისათვის გვერდის ავლა ნიშნავს გვერდი აუარო იმას, რაც მთავარია პურის დამზადების საქმეში. რას მოწმობს პურის დამზადების უკანასკნელი ორი წლის გამოცდილება? იგი იმას მოწმობს, რომ სოფლის შეძლებულ ფენებს, რომლებსაც ხელში მნიშვნელოვანი რაოდენობით აქვთ ჭარბი პური და რომლებიც პურის ბაზარზე სერიოზულ როლს თამაშობენ, არ უნდათ ნებაყოფლობით მოგვცენ პურის საჭირო რაოდენობა საბჭოთა ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ ფასებში. პურით ქალაქებისა და სამრეწველო პუნქტების, წითელი არმიისა და ტექნიკურ კულტურათა რაიონების უზრუნველყოფისათვის ჩვენ გვესაჭიროება ყოველწლიურად 500 მილიონამდე ფუთი პური. თვითდინების წესით ვახერხებთ დაახლოებით 300 — 350 მილიონი ფუთის დამზადებას. დანარჩენი 150 მილიონი ფუთის აღება გვიხდება სოფლის კულაკურ და შეძლებულ ფენებზე ორგანიზებული ზემოქმედების წესით. აი რას მოწმობს უკანასკნელი ორი წლის ჩვენი გამოცდილება პურის დამზადებაში.

რა მოხდა ამ ორი წლის განმავლობაში, საიდან წარმოიშვა ასეთი ცვლილებანი, წინათ რატომ გვშველოდა თვითდინება, ახლა კი იგი არასაკმარისი აღმოჩნდა? მოხდა ის,

რომ ამ წლების განმავლობაში კულაკური და შეძლებული ელემენტები გაიზარდნენ, კარგმოსავლიან მთელ რიგ წლებს მათთვის უშედეგოდ როდი ჩაუვლია, ისინი მომაგრდნენ მეურნეობრივად, დაიგროვეს საკმაო კაპიტალი და ახლა შეუძლიათ მანევრირება ბაზარზე, ჭარბი პურის შემონახვა მაღალი ფასების მოლოდინში და იოლად წასვლა სხვა კულტურებით.

პური არ შეიძლება მიჩნეულ იქნას უბრალო საქონლად. პური ბამბა როდია, რომლის ჭამა არ შეიძლება და რომელსაც ყველას ვერ მიჰყიდი. ბამბისაგან განსხვავებით, პური ჩვენს დღევანდელ პირობებში ისეთი საქონელია, რომელიც ყველას მიაქვს და ურომლისოდაც არსებობა შეუძლებელია. კულაკი ამას ითვალისწინებს, და იგი შემოინახავს ხოლმე მას, რითაც მაგალითს აძლევს საერთოდ იმათ, ვის ხელშიც პურია. კულაკმა იცის, რომ პური ვალუტათა ვალუტაა. კულაკმა იცის, **რომ ჭარბი პური არა მარტო საკუთარი** გამდიდრების საშუალებაა, არამედ ღარიბი გლეხობის დამონების საშუალებაც არის. ახლანდელ პირობებში ჭარბი პური კულაკის ხელში კულაკური ელემენტების სამეურნეო და პოლიტიკური გაძლიერების საშუალებაა. ამიტომ კულაკისათვის ამ ჭარბი პურის გამორთმევით ჩვენ არა მარტო ვაადვილებთ ქალაქებისა და წითელი არმიის მომარაგებას პურით, არამედ ძირსაც ვუთხრით კულაკობის სამეურნეო და პოლიტიკური გაძლიერების საშუალებას.

რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ეს ჭარბი პური მივიღოთ? უწინარეს ყოვლისა საჭიროა აღმოვფხვრათ თვითდინების ფსიქოლოგია როგორც მავნე და საშიში მოვლენა. საჭიროა **მოვაწყოთ** პურის დამზადება. საჭიროა დავრაზმოთ ღარიბი და საშუალო გლეხობის მასები კულაკობის წინააღმდეგ და მოვაწყოთ მათი საზოგადოებრივი მხარდაჭერა იმ ღონისძიებებისათვის, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლება

პურის დამზადების გასაძლიერებლად ახორციელებს. მნიშვნელობა პურის დამზადების ურალ-ციმბირის მეთოდისა, რომელიც თვითდაბეგვრის პრინციპის მიხედვით ტარდება, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი შესაძლებლობას იძლევა დავრაზმოთ სოფლის მშრომელი ფენები კულაკობის წინააღმდეგ პურის დამზადების გასაძლიერებლად. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ეს მეთოდი დადებით შედეგებს გვაძლევს. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ამ დადებით შედეგებს ვიღებთ ორი მიმართულებით: ჯერ-ერთი, სოფლის შეძლებულ ფენებს ვართმევთ ჭარბ პურს და ამით ვაადვილებთ ჩვენი ქვეყნის მომარაგებას; მეორეც, ამ საქმეზე ვრაზმავთ ღარიბი და საშუალო გლეხობის მასებს კულაკობის წინააღმდეგ, ვანათლებთ მათ პოლიტიკურად და ვქმნით მათგან ჩვენს მძლავრ მრავალმილიონიან პოლიტიკურ არმიას სოფლად. ზოგიერთი ამხანაგი ანგარიშს არ უწევს ამ უკანასკნელ გარემოებას. ნამდვილად კი სწორედ იგი წარმოადგენს პურის დამზადების ურალ-ციმბირის მეთოდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგს, თუ ყველაზე მნიშვნელოვანს არა.

მართალია, ეს მეთოდი ზოგჯერ უკავშირდება კულაკობის წინააღმდეგ საგანგებო ზომების მიღებას, რაც ბუხარინისა და რიკოვის კომიკურ გოდებას იწვევს. განა რა არის აქ ცუდი? რატომ არ შეიძლება ზოგჯერ, გარკვეულ პირობებში გამოვიყენოთ საგანგებო ზომები ჩვენი კლასობრივი მტრის წინააღმდეგ, კულაკობის წინააღმდეგ? რატომ შეიძლება ქალაქებში ასობით ვაპატიმრებდეთ სპეკულანტებს და ვასახლებდეთ ტურუხანსკის მხარეში, კულაკებს კი, რომლებიც პურით სპეკულაციას ეწევიან და ცდილობენ ყელში სწვდნენ საბჭოთა ხელისუფლებას და დაიმონონ ღარიბი გლეხობა, არ შეიძლება საზოგადოებრივი იძულების წესით ჩამოვართვათ ჭარბი პური იმ ფასებში, რა ფასებშიც და-

რიბი და საშუალო გლეხები აბარებენ პურს ჩვენს დამამზადებელ ორგანიზაციებს? საიდან გამომდინარეობს ეს? განა ჩვენი პარტია როდისმე **პრინციპულად** წინააღმდეგი ყოფილა სპეკულანტების და კულაკობის მიმართ საგანგებო ზომების გამოყენებისა? განა ჩვენ არა გვაქვს კანონი სპეკულანტების წინააღმდეგ?

რიკოვი და ბუხარინი, როგორც ჩანს, **პრინციპულად** წინააღმდეგი არიან კულაკობის მიმართ საგანგებო ზომების ყოველგვარი გამოყენებისა. მაგრამ ეს ხომ ბურჟუაზიულ-ლიბერალური პოლიტიკაა და არა მარქსისტული პოლიტიკა. არ შეიძლება თქვენ არ იცოდეთ, რომ ლენინი ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ იმ აზრსაც კი გამოთქვამდა, რომ დავბრუნებოდით ღარიბთა კომიტეტების პოლიტიკას, რა თქმა უნდა, გარკვეულ პირობებში. ხოლო რა არის კულაკების წინააღმდეგ საგანგებო ზომების ნაწილობრივ გამოყენება? ღარიბთა კომიტეტების პოლიტიკასთან შედარებით ეს წვეთიც არ არის ზღვაში.

მათ, ბუხარინის ჯგუფის მომხრეებს, იმედი აქვთ დაარწმუნონ კლასობრივი მტერი იმაში, რომ მან ნებაყოფლობით თქვას უარი თავის ინტერესებზე და ნებაყოფლობით ჩაგვაბაროს თავისი ჭარბი პური. მათ იმედი აქვთ, რომ კულაკი, რომელიც გაიზარდა, რომელიც სპეკულაციას ეწევა, რომელსაც შესაძლებლობა აქვს იოლად წავიდეს სხვა კულტურებით და რომელიც მალავს თავის ჭარბ პურს, — მათ იმედი აქვთ, რომ აი ეს კულაკი ნებაყოფლობით მოგვცემს თავის ჭარბ პურს ჩვენს დამზადების ფასებში. ისინი ჭკუაზე ხომ არ შეშლილან? განა ცხადი არ არის, რომ მათ არ ესმით კლასობრივი ბრძოლის მექანიკა, არ იციან, რა არის კლასები?

იციან თუ არა მათ, როგორ დასცინიან კულაკები ჩვენს მუშაკებს და საბჭოთა ხელისუფლებას სასოფლო კრებებ-

ზე, რომლებიც პურის დამზადების გასაძლიერებლად იმართება? იციან თუ არა მათ ისეთი ფაქტები, როცა ჩვენი აგიტატორი, მაგალითად, ყაზახეთში, ორ საათს არწმუნებდა პურის მფლობელებს ჩაებარებინათ პური ჩვენი ქვეყნის მომარაგებისათვის, კულაკი კი გამოვიდა ჩიბუხით პირში და უპასუხა: «ყმაწვილო, მოდი ერთი იცეკვე, და ორიოდე ფუთ პურს მოგცემო».

ხმები. არამზადები!

სტალინი. მოდით და დაარწმუნეთ ასეთი ხალხი.

დიახ, ამხანაგებო, კლასი კლასია. ამ ჭეშმარიტებას ვერ გაექცევი. ურალ-ციმბირის მეთოდი სწორედ იმით არის კარგი, რომ იგი აადვილებს კულაკების წინააღმდეგ გლეხობის ღარიბი და საშუალო ფენების ამხედრების შესაძლებლობას, აადვილებს კულაკების წინააღმდეგობის დაძლევის შესაძლებლობას და აიძულებს მათ ჩააბარონ ჭარბი პური საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს.

ბუხარინის ჯგუფის რიგებში ახლა ყველაზე მოდური სიტყვას წარმოადგენს სიტყვა «გადახვევები» პურის დამზადებაში. ეს სიტყვა მათ ყველაზე ხშირად სახმარ სიტყვად აქვთ, რადგან იგი მათ ეხმარება თავიანთი ოპორტუნისტული ხაზის შენიღბვაში. როცა მათ სურთ შენიღბონ თავიანთი ხაზი, ისინი ჩვეულებრივ ამბობენ: ჩვენ, რა თქმა უნდა, კულაკების მიმართ მტკიცე ზომების წინააღმდეგი როდი ვართ, მაგრამ წინააღმდეგი ვართ გადახვევებისა, რომლებსაც ამ მხრივ უშვებენ და რომლებიც საშუალო გლეხის ინტერესებს ლახავენო. შემდეგ მოჰყვებიან ამბებს ამ გადახვევების «საშინელებათა» შესახებ, კითხულობენ «გლეხების» წერილებს, კითხულობენ მარკოვისთანა ამხანაგების პანიკურ წერილებს და შემდეგ გამოჰყავთ დასკვნა: უნდა გაუქმდეს კულაკობის მიმართ მტკიცე ზომების პოლიტიკაო.

როგორ მოგწონთ: **რადგან** სწორი პოლიტიკის გატარებაში გადახვევებია, **ამიტომ,** თურმე, **უნდა გაუქმდეს თვით ეს სწორი პოლიტიკა.** ასეთია ოპორტუნისტების ჩვეულებრივი ხერხი: სწორი ხაზის გატარებისას გადახვევების დაშვების გამო — გაუქმდეს ეს ხაზი და შეიცვალოს იგი ოპორტუნისტული ხაზით. ამასთან ბუხარინის ჯგუფის მომხრენი გულმოდგინედ მალავენ იმას, რომ არსებობს კიდევ მეორე გვარი, უფრო საშიში და უფრო მავნე გადახვევები, სახელდობრ — გადახვევები კულაკობასთან შეზრდის, სოფლის შეძლებულ ფენებთან შეგუების მიმართულებით, მემარჯვენე უკლონისტების ოპორტუნისტული პოლიტიკით პარტიის რევოლუციური პოლიტიკის შეცვლის მიმართულებით.

რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანი ამ გადახვევების წინააღმდეგი ვართ. ჩვენ ყველანი იმის წინააღმდეგი ვართ, რომ კულაკობის წინააღმდეგ მიმართული დარტყმა საშუალო გლეხებს შეეხოს. ეს ცხადია, და ამაში არ შეიძლება არავითარი ეჭვის შეტანა. მაგრამ ჩვენ გადაჭრით წინააღმდეგი ვართ იმისა, რომ გადახვევებზე ლაყბობით, რასაც გულმოდგინედ ეწევა ბუხარინის ჯგუფი, გავაუქმოთ ჩვენი პარტიის რევოლუციური პოლიტიკა და შევცვალოთ იგი ბუხარინის ჯგუფის ოპორტუნისტული პოლიტიკით. არა, ეს ფანდი მათ არ გაუვათ.

დაასახელეთ პარტიის თუნდაც ერთი პოლიტიკური ღონისძიება, რომელსაც ესა თუ ის გადახვევა არ ახლდეს. აქედან ის გამომდინარეობს, რომ საჭიროა ვებრძოლოთ გადახვევებს. მაგრამ განა შეიძლება **ამის საფუძველზე** ვაძაგოთ თვით ხაზი, რომელიც ერთადერთი სწორი ხაზია?

ავიღოთ ისეთი ღონისძიება, როგორიც არის 7-საათიანი სამუშაო დღის გატარება. სრულიად უეჭველია, **რომ ესაა** ერთ-ერთი უაღრესად რევოლუციური ღონისძიება იმ ღონისძიებათა შორის, რომლებსაც ჩვენი პარტია უკანასკნელ

ხანს ატარებს. ვინ არ იცის, რომ ამ, არსებითად უღრმეს რევოლუციურ, ღონისძიებას ჩვენში ხშირად ახლავს მთელი რიგი გადახვევები, ზოგჯერ უსაზიზღრესი გადახვევები? განა ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა გავაუქმოთ 7-საათიანი სამუშაო დღის გატარების პოლიტიკა?

ესმით თუ არა ბუხარინული ოპოზიციის მომხრეებს, რა წუმპეში ვარდებიან ისინი, როცა საბუთად იყენებენ გადახვევებს პურის დამზადების საქმეში?

ლ) ვალუტის რეზერვებისა და პურის იმპორტის შესახებ

ბოლოს, რამდენიმე სიტყვა პურის იმპორტისა და ვალუტის რეზერვების შესახებ. მე უკვე ვთქვი, რომ რიკოვმა და მისმა უახლოესმა მეგობრებმა რამდენჯერმე დააყენეს საკითხი უცხოეთიდან პურის შემოტანის შესახებ. რიკოვი ჯერ ამბობდა, საჭიროა შემოვიტანოთ 80 — 100 მილიონი ფუთი პურიო. ეს შეადგენს დაახლოებით 200 მილიონ მანეთს ვალუტით. შემდეგ მან დააყენა საკითხი 50 მილიონი ფუთის, ე. ი. ვალუტით 100 მილიონი მანეთის პურის შემოტანის შესახებ. ჩვენ ეს საქმე უარვყავით, რადგან გადავწყვიტეთ, რომ უმჯობესია მტკიცე ზომები მივიღოთ კულაკის წინააღმდეგ და გამოვწუროთ მას ჭარბი პური, რაც მას ცოტა როდი აქვს, ვიდრე დავხარჯოთ ვალუტა, რომელიც იმისათვის გვაქვს გადადებული, რომ შემოვიტანოთ მოწყობილობა ჩვენი მრეწველობისათვის.

ახლა რიკოვი ფრონტს იცვლის. ახლა ის გვარწმუნებს, რომ კაპიტალისტები პურს ნისიად გვაძლევენ, ჩვენ კი თითქოს არ გვსურს ავიღოთ იგი. მან თქვა, რომ მის ხელში გაიარა რამდენიმე დეპეშამ, რომლებიდანაც ჩანს, რომ კაპიტალისტებს უნდათ ნისიად მოგვცენ პური. ამასთან იგი საქმეს ისე სახავდა, რომ ჩვენში თითქოს არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც არ სურთ ნისიად მიიღონ პური **ან**

ქინიანობის გამო, ან რომელიღაც სხვა გაუგებარი მიზეზების გამო.

ყოველივე ეს ფუჭი სიტყვებია, ამხანაგებო. სასაცილო იქნებოდა იმის ფიქრი, რომ დასავლეთელ კაპიტალისტებს ერთბაშად აზრად მოუვიდათ და შეეცოდეთ, სურთ თითქმის მუქთად ან გრძელვადიანი კრედიტით მოგვცენ რამდენიმე ათეული მილიონი ფუთი პური. ეს ფუჭი სიტყვებია, ამხანაგებო.

მაშ რაშია საქმე? საქმე ის არის, რომ კაპიტალისტთა სხვადასხვა ჯგუფები აი უკვე ნახევარი წელიწადია ცდილობენ მოგვსინჯონ, მოსინჯონ ჩვენი ფინანსური შესაძლებლობა, ჩვენი კრედიტუნარიანობა, ჩვენი სიმტკიცე. ისინი მიმართავენ ჩვენს სავაჭრო წარმომადგენლებს პარიზში, ჩეხოსლოვაკიაში, ამერიკაში, არგენტინაში და გვპირდებიან მოგვყიდონ პური ნისიად სულ მოკლე ვადით, სამი თვით ან, მაქსიმუმი, ექვსი თვით. მათ სურთ მიაღწიონ არა იმდენად იმას, რომ ნისიად მოგვყიდონ პური, რამდენადაც იმას, რომ გაიგონ, მართლა მძიმეა თუ არა ჩვენი მდგომარეობა, მართლა ამოიწურა თუ არა ჩვენი ფინანსური შესაძლებლობანი, მტკიცედ ვდგავართ თუ არა ფინანსური მდგომარეობის თვალსაზრისით და ხომ არ წამოვეგებით ანკესზე, რომელსაც ისინი გვიგებენ.

ამჟამად კაპიტალისტურ სამყაროში დიდი დავაა ჩვენი ფინანსური შესაძლებლობების შესახებ. ზოგი ამბობს, რომ ჩვენ უკვე გავკოტრდით და საბჭოთა ხელისუფლების დაცემა რამდენიმე თვის საქმეა, თუ რამდენიმე კვირისა არა. სხვები ამბობენ, ეს მართალი არ არის, საბჭოთა ხელისუფლება მტკიცედ დგას, ფინანსური შესაძლებლობანი აქვს და პური საკმარისი რაოდენობით მოეპოვებაო.

ამჟამად ამოცანა ის არის, რომ გამოვიჩინოთ ჯეროვანი სიმტკიცე და გამძლეობა, არ დავუჯეროთ ცრუ დაპირებებს

პურის ნისიად მოცემის შესახებ და დავანახოთ კაპიტალისტურ სამყაროს, რომ შეგვიძლია იოლად წავიდეთ პურის შემოუტანლად. ეს მარტო ჩემი აზრი როდია. ეს პოლიტბიუროს უმრავლესობის აზრია.

ამ საფუძვლით გადავწყვიტეთ უარი ვთქვათ ნანსენის მაგვარ სხვადასხვა ქველმოქმედთა წინადადებაზე სსრ კავშირში ნისიად 1 მილიონი დოლარის პურის შემოტანის შესახებ.

ამავე საფუძვლით უარყოფითი პასუხი გავეცით კაპიტალისტური სამყაროს ყველა ამ მზვერავებს პარიზში, ამერიკაში, ჩეხოსლოვაკიაში, რომლებიც ნისიად მცირეოდენ პურს გვთავაზობდნენ.

ამავე საფუძვლით გადავწყვიტეთ გამოვიჩინოთ მომჭირნეობის მაქსიმუმი პურის ხარჯვაში, ორგანიზებულობის მაქსიმუმი პურის დამზადების საქმეში.

აქ ჩვენ ორ მიზანს ვისახავდით: ერთი მხრივ — იოლად წავიდეთ პურის შემოუტანლად და შევინარჩუნოთ ვალუტა მოწყობილობის შემოსაზიდად, მეორე მხრივ — ვუჩვენოთ ყველა ჩვენს მტერს, რომ მტკიცედ ვდგავართ და არ ვფიქრობთ დავუჯეროთ დაპირებებს მოწყალების შესახებ.

სწორი იყო თუ არა ასეთი პოლიტიკა? მე ვფიქრობ, რომ იგი ერთადერთი სწორი პოლიტიკა იყო. იგი სწორი იყო არა მარტო იმიტომ, რომ აქ, ჩვენი ქვეყნის შიგნით, აღმოვაჩინეთ პურის მიღების ახალი შესაძლებლობანი. იგი სწორი იყო იმიტომაც, რომ პურის იმპორტის გარეშე იოლად წასვლით და კაპიტალისტური სამყაროს მზვერავთა თავიდან მოშორებით ჩვენ განვამტკიცეთ ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა, გავაძლიერეთ ჩვენი კრედიტუნარიანობა და გავაცამტვერეთ ლაყბობა საბჭოთა ხელისუფლების «მომავალი დაღუპვის» შესახებ.

ამ დღეებში ერთგვარი წინასწარი მოლაპარაკება გვქონდა გერმანელ კაპიტალისტთა წარმომადგენლებთან. ისინი გვპირდებიან მოგვცენ 500-მილიონიანი კრედიტი, ამასთან საქმე ისე გამოიყურება, რომ მათ მართლაც საჭიროდ მიაჩნიათ მოგვცენ ეს კრედიტი, რათა უზრუნველყონ საბჭოთა დაკვეთები თავიანთი მრეწველობისათვის.

ამ დღეებში ჩვენთან იყო ინგლისელ კონსერვატორთა დელეგაცია, რომელსაც აგრეთვე საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცე და ჩვენთვის კრედიტების მოცემის მიზანშეწონილობა, რათა უზრუნველყოს თავისთვის საბჭოთა სამრეწველო დაკვეთები.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენ არ გვექნებოდა ეს ახალი შესაძლებლობანი კრედიტების მიღების აზრით, უწინარეს ყოვლისა გერმანელების მხრივ, ხოლო შემდეგ ინგლისელ კაპიტალისტთა ერთი ჯგუფის მხრივაც, ის საჭირო სიმტკიცე რომ არ გამოგვეჩინა, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკე.

მაშასადამე, საქმე ეხება არა იმას, რომ ჩვენ თითქოს ჟინიანობის გამო უარს ვამბობთ მივიღოთ მოჩვენებითი პური მოჩვენებითი გრძელვადიანი კრედიტით. საქმე ეხება იმას, რომ გამოვიცნოთ ჩვენი მტრების სახე, გამოვიცნოთ მათი ნამდვილი სურვილები და გამოვიჩინოთ სიმტკიცე, რაც საჭიროა ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის განსამტკიცებლად.

აი, ამხანაგებო, რატომ ვთქვით უარი პურის იმპორტზე.

როგორც ხედავთ, პურის იმპორტის საკითხი არც ისე უბრალოა, როგორც ამას აქ რიკოვი სახავდა. პურის იმპორტის საკითხი ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის საკითხია.

V

პარტიული ხელმძღვანელობის საკითხები

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ ყველა მთავარი საკითხი ჩვენი უთანხმოებისა როგორც თეორიის სფეროში, ისე კომინტერნის ხაზით და ჩვენი პარტიის საშინაო პოლიტიკის სფეროში. ნათქვამიდან ჩანს, რომ რიკოვის განცხადება ჩვენში **ერთიანი** ხაზის არსებობის შესახებ სინამდვილეს არ შეეფერება. ნათქვამიდან ჩანს, რომ ჩვენ ნამდვილად გვაქვს **ორი** ხაზი. ერთი ხაზია პარტიის გენერალური ხაზი, ჩვენი პარტიის რევოლუციური ლენინური ხაზი. მეორე ხაზია ბუხარინის ჯგუფის ხაზი. ეს მეორე ხაზი ჯერ კიდევ სავსებით გაფორმებული არ არის ნაწილობრივ იმიტომ, რომ ბუხარინის ჯგუფის რიგებში შეხედულებათა წარმოუდგენელი არევდარევაა, ნაწილობრივ იმიტომ, რომ იგი, ეს მეორე ხაზი, რომელიც სუსტია პარტიაში თავისი ხვედრითი წონით, ცდილობს ასე თუ ისე შეინიღბოს. მაგრამ იგი, ეს ხაზი, როგორც ხედავთ, მაინც არსებობს, და არსებობს როგორც ხაზი, რომელიც **განსხვავდება** პარტიის ხაზისაგან, როგორც ხაზი, რომელიც თავის თავს **უპირდაპირებს** პარტიის გენერალურ ხაზს ჩვენი პოლიტიკის თითქმის ყველა საკითხში. ეს მეორე ხაზი **მემარჯვენე** გადახრის ხაზია.

ახლა გადავიდეთ პარტიული ხელმძღვანელობის საკითხებზე.

ა) ბუხარინის ჯგუფის ფრაქციულობის შესახებ

ბუხარინი ამბობდა, რომ პარტიაში ჩვენ ოპოზიცია არა გვყავს, რომ იგი, ბუხარინის ჯგუფი, ოპოზიციას არ წარმოადგენს. ეს არ არის მართალი, ამხანაგებო. პლენუმზე წარმოებული კამათიდან სრული სიცხადით გამოირკვა, რომ ბუხარინის ჯგუფის სახით ახალი ოპოზიცია გვყავს. ამ ჯგუ-

ფის ოპოზიციური მუშაობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ცდილობს რევიზია გაუწიოს პარტიის ხაზს, იგი ცდილობს გადასინჯოს პარტიის ხაზი და ნიადაგს ამზადებს იმისათვის, რომ იგი, პარტიის ხაზი, შეცვალოს სხვა ხაზით, ოპოზიციის ხაზით, რომელიც სხვა არა შეიძლება იყოს რა, თუ არ მემარჯვენე გადახრის ხაზი.

ბუხარინი ამბობდა, სამეული ფრაქციულ ჯგუფს არ წარმოადგენსო. ეს მართალი არ არის, ამხანაგებო. ბუხარინის ჯგუფი ფრაქციულობის ყველა ელემენტს შეიცავს. აქ არის პლატფორმაც, აქ არის ფრაქციული კარჩაკეტილობაც, აქ არის გადადგომის პოლიტიკაც, აქ არის ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ ორგანიზებული ბრძოლაც. კიდევ რაღა არის საჭირო? რა საჭიროა სიმართლის დაფარვა ბუხარინის ჯგუფის ფრაქციულობის შესახებ, როცა იგი თავისთავად ცხადია? ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმი სწორედ იმიტომ შეიკრიბა, რომ აქ მთელი სიმართლე თქვას ჩვენი უთანხმოების შესახებ. სიმართლე კი ის არის, რომ ბუხარინის ჯგუფი ფრაქციული ჯგუფია. და ეს უბრალოდ ფრაქციული ჯგუფი კი არ არის, არამედ — მე ვიტყოდი — ყველაზე უსიამოვნო და ყველაზე წვრილმანია იმ ფრაქციულ ჯგუფთაგან, რომლებიც კი პარტიაში გვყოლია.

ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ იგი ახლა ცდილობს თავისი ფრაქციული მიზნებისათვის გამოიყენოს ისეთი უმნიშვნელო წვრილმანი, როგორიცაა მღელვარება აჭარაში. მართლაცდა, რას წარმოადგენს ეგრეთწოდებული «აჯანყება» აჭარაში ისეთ აჯანყებებთან შედარებით, როგორიც კრონშტადტის აჯანყება იყო? მე ვფიქრობ, რომ ამ აჯანყებასთან შედარებით ეგრეთწოდებული «აჯანყება» აჭარაში წვეთიც არ არის ზღვაში. იყო თუ არა ისეთი შემთხვევები, რომ ტროცკისტები ან ზინოვიეველები ცდილიყვნენ გამოე-

ყენებინათ ეს სერიოზული აჯანყება კრონშტადტში ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ, პარტიის წინააღმდეგ? უნდა ვაღიარო, ამხანაგებო, რომ ასეთი შემთხვევები არ ყოფილა. პირიქით, ოპოზიციური ჯგუფები, რომლებიც ამ სერიოზული აჯანყების პერიოდში ჩვენს პარტიაში იყვნენ, ეხმარებოდნენ პარტიას მის ჩაქრობაში და ვერ ბედავდნენ გამოეყენებინათ იგი პარტიის წინააღმდეგ.

ბუხარინის ჯგუფი კი როგორ იქცევა ახლა? თქვენ უკვე გქონდათ შემთხვევა დარწმუნებულიყავით, რომ იგი ცდილობს უაღრესად წვრილმანურად, უაღრესად უხამსად გამოიყენოს პარტიის წინააღმდეგ ეს მიკროსკოპული «აჯანყება» აჭარაში. აბა რა არის ეს, თუ არა ფრაქციული დაბრმავებისა და ფრაქციული დაწვრილმანების უკიდურესი საზღვარი?

ჩვენგან, როგორც ეტყობა, მოითხოვენ, რომ ჩვენში არ იყოს შემთხვევები მღელვარებისა კაპიტალისტური სახელმწიფოების მოსაზღვრე განაპირა მხარეებში. ჩვენგან, როგორც ჩანს, მოითხოვენ ისეთ პოლიტიკას, რომელიც აკმაყოფილებდეს ჩვენი საზოგადოების ყველა კლასს, მდიდრებსაც და ღარიბებსაც, მუშებსაც და კაპიტალისტებსაც. ჩვენგან, როგორც ჩანს, მოითხოვენ, რომ ჩვენში არ იყონ უკმაყოფილო ელემენტები. ჭკუაზე ხომ არ შეშლილან ისინი, ეს ამხანაგები ბუხარინის ჯგუფიდან?

როგორ შეიძლება მოითხოვდნენ ჩვენგან, პროლეტარული დიქტატურის ადამიანებისაგან, რომლებიც ბრძოლას ვეწევით კაპიტალისტური სამყაროს წინააღმდეგ, როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთაც, — როგორ შეიძლება მოითხოვდნენ ჩვენგან, რომ ჩვენს ქვეყანაში არ იყონ უკმაყოფილოები და რომ ზოგჯერ არ იყოს შემთხვევები მღელვარებისა ჩვენდამი მტრულად განწყობილი სახელმწიფოების მოსაზღვრე ზოგიერთ განაპირა მხარეში? მაშინ

რისთვის არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, თუ არა იმისათვის, რომ საერთაშორისო კაპიტალი მთელი ძალებით ცდილობდეს მოაწყოს ჩვენს საზღვრისპირა რაიონებში ჩვენი ქვეყნის უკმაყოფილო ელემენტების გამოსვლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ? აბა ვის შეუძლია, გარდა წყალწყალა ლიბერალებისა, წამოგვიყენოს ასეთი მოთხოვნები? განა ცხადი არ არის, რომ ფრაქციულ წვრილმანობას ზოგჯერ შეუძლია ადამიანები ლიბერალურ სიბრმავემდე და შეზღუდულობამდე მიიყვანოს?

ბ) ლოიალობისა და კოლექტიური ხელმძღვანელობის შესახებ

რიკოვი აქ გვარწმუნებდა, ბუხარინი ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართ პარტიის ერთ-ერთი ყველაზე «უმწიკვლო» და «ლოიალური» წევრიაო.

ნება გვიბოძეთ ეჭვი შევიტანოთ ამაში. ჩვენ არ შეგვიძლია დავუჯეროთ რიკოვის სიტყვებს. ჩვენ ფაქტებს მოვითხოვთ. რიკოვს კი სწორედ ფაქტები არა აქვს.

ავიღოთ, მაგალითად, ისეთი ფაქტი, როგორიცაა ბუხარინის ფარული მოლაპარაკება კამენევის ჯგუფთან, რომელიც ტროცკისტებთან არის დაკავშირებული, მოლაპარაკება ფრაქციული ბლოკის შექმნის შესახებ, ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკის შეცვლის შესახებ, პოლიტბიუროს შემადგენლობის შეცვლის შესახებ, ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ გამოსვლისათვის პურის დამზადების კრიზისის გამოყენების შესახებ. საკითხავია, სად არის აქ ბუხარინის «ლოიალობა», «უმწიკვლობა» თავისი ცენტრალური კომიტეტის მიმართ?

განა ეს, პირიქით, პოლიტბიუროს ერთ-ერთი წევრის მხრივ თავისი ცენტრალური კომიტეტის მიმართ, თავისი პარტიის მიმართ **ყოველგვარი** ლოიალობის დარღვევა არ არის? თუ ამას ცენტრალური კომიტეტის მიმართ ლოია-

ლობა ეწოდება, მაშინ რაღას ეწოდება თავისი ცენტრალური კომიტეტისადმი ღალატი?

ბუხარინს უყვარს ლაპარაკი ლოიალობაზე, პატიოსნებაზე, მაგრამ რატომ არ შეეცდება იგი შეხედოს თავის თავს და ჰკითხოს: განა უაღრესად უპატიოსნოდ არ არღვევს იგი თავისი ცენტრალური კომიტეტის მიმართ ლოიალობის ელემენტარულ მოთხოვნებს, როცა ფარულ მოლაპარაკებას აწარძოებს ტროცკისტებთან თავისი ცეხტრალური კომიტეტის წინააღმდეგ და ამრიგად ღალატობს თავის ცენტრალურ კომიტეტს?

ბუხარინი აქ ლაპარაკობდა, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში კოლექტიური ხელმძღვანელობა არ არისო, და გვარწმუნებდა, რომ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს უმრავლესობა არღვევს კოლექტიური ხელმძღვანელობის მოთხოვნებს.

რა თქმა უნდა, ჩვენი პლენუმი ყველაფერს ითმენს. მას შეუძლია მოითმინოს ბუხარინის ეს უსირცხვილო და თვალთმაქცური განცხადებაც. მაგრამ ადამიანმა მართლაც უნდა დაკარგოს სირცხვილის გრძნობა, რომ იკისროს გამბედაობა ასეთნაირად გამოვიდეს პლენუმზე ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობის წინააღმდეგ.

მართლაცდა, რა კოლექტიურ ხელმძღვანელობაზე შეიძლება აქ ლაპარაკი, როცა ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა სახელმწიფო ურემში შებმულა, მთელი თავისი ძალღონის დაძაბვით ეწევა მას წინ და სთხოვს ბუხარინის ჯგუფს დაეხმაროს მას ამ ძნელ საქმეში, ბუხარინის ჯგუფი კი არა თუ არ ეხმარება თავის ცენტრალურ კომიტეტს, არამედ პირიქით — ყოველნაირად უშლის ხელს, დაბრკოლებებს უქმნის, ემუქრება გადადგომით და უთანხმდება პარტიის მტრებს, ტროცკისტებს, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ?

ვის შეუძლია, გარდა პირმოთნეებისა, უარყოს, რომ ბუხარინს, რომელიც ტროცკისტებთან ქმნის ბლოკს პარტიის წინააღმდეგ და ღალატობს თავის ცენტრალურ კომიტეტს, არა სურს განახორციელოს და არც განახორციელებს კოლექტიურ ხელმძღვანელობას ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში?

ვის შეუძლია, გარდა ბრმებისა, ვერ დაინახოს, რომ თუ ბუხარინი მაინც ლაყბობს კოლექტიურ ხელმძღვანელობაზე ცენტრალურ კომიტეტში და თითს იშვერს ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობის წინააღმდეგ, ამას იგი იმიტომ სჩადის, რომ ამრიგად თავისი გამცემლური პოზიცია შენიღბოს?

საჭიროა აღინიშნოს, რომ ბუხარინი პირველად როდი არღვევს ლოიალობისა და კოლექტიური ხელმძღვანელობის ელემენტარულ მოთხოვნებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართ. ჩვენი პარტიის ისტორიამ იცის იმის მაგალითები, თუ ბრესტის ზავის პერიოდში, ლენინის სიცოცხლეში, როგორ დარბოდა ბუხარინი, როცა ზავის საკითხში უმცირესობაში დარჩა, მემარცხენე ესერებთან, ჩვენი პარტიის მტრებთან, აწარმოებდა მათთან ფარულ მოლაპარაკებას და ცდილობდა შეეკრა მათთან ბლოკი ლენინისა და ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ. რის შესახებ უთანხმდებოდა მაშინ იგი მემარცხენე ესერებს, — ეს ჩვენ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ ვიცით [10]. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მემარცხენე ესერებს მაშინ განზრახვა ჰქონდათ დაეპატიმრებინათ ლენინი და მოეხდინათ ანტისაბჭოთა გადატრიალება... მაგრამ ყველაზე გასაკვირველი ის არის, რომ, დარბოდა რა მემარცხენე ესერებთან და აწყობდა მათთან კონსპირაციას ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ, ბუხარინი განაგრძობდა ყვირილს, ისევე როგორც ახლა, კოლექტიური ხელმძღვანელობის საჭიროების შესახებ.

ჩვენი პარტიის ისტორიამ გარდა ამისა იცის მაგალითები, როცა, ლენინის სიცოცხლეში, ბუხარინი, რომელსაც ჩვენი პარტიის მოსკოვის საოლქო ბიუროში უმრავლესობა ჰყავდა და რომელსაც მხარს უჭერდა «მემარცხენე» კომუნისტების ჯგუფი, პარტიის ყველა წევრს მოუწოდებდა — უნდობლობა გამოეცხადებინათ პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის, უარი ეთქვათ მისთვის დამორჩილებაზე და დაეყენებინათ საკითხი ჩვენს პარტიაში გათიშვის შესახებ. ეს იყო ბრესტის ზავის პერიოდში, მას შემდეგ, რაც ცენტრალურმა კომიტეტმა უკვე გამოიტანა თავისი დადგენილება ბრესტის ზავის პირობების მიღების საჭიროების შესახებ.

ასეთია ბუხარინის ლოიალობა და კოლექტიური ხელმძღვანელობა.

რიკოვი აქ ლაპარაკობდა კოლეგიური მუშაობის საჭიროებაზე. ამასთან იგი თითს იშვერდა პოლიტბიუროს უმრავლესობისაკენ და აღნიშნავდა, რომ ის და მისი უახლოესი მეგობრები კოლეგიური მუშაობის მომხრენი არიან, ხოლო პოლიტბიუროს უმრავლესობა, მაშასადამე, კოლეგიური მუშაობის წინააღმდეგია. ამასთან რიკოვს თავისი განცხადების დასადასტურებლად ერთი ფაქტიც არ მოუყვანია.

რიკოვის ეს არაკი რომ გამოვააშკარაოთ, ნება მომეცით მოვიყვანო რამდენიმე ფაქტი, რამდენიმე მაგალითი, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ როგორ ახორციელებს რიკოვი კოლეგიურ მუშაობას.

პირველი მაგალითი. თქვენ იცით ამერიკაში ოქროს გატანის ისტორია. ბევრი თქვენგანი იქნებ ფიქრობს, რომ ოქრო ამერიკაში გატანილ იქნა სახკომსაბჭოს ან ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ან ცენტრალური კომიტეტის თანხმობით, ან ამის შესახებ იცოდა ცენტრალურმა კომიტეტმა. მაგრამ ეს მართალი არ არის, ამხანა-

გებო. ცენტრალურ კომიტეტსა და სახკომსაბჭოს ამ საქმესთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ. ჩვენ გვაქვს გადაწყვეტილება, რომ არ შეიძლება ოქროს გატანა ცენტრალური კომიტეტის სანქციის გარეშე. მაგრამ ეს გადაწყვეტილება დარღვეულ იქნა. ვინ დართო მისი გატანის ნება? ოქრო, თურმე, გატანილ იქნა რიკოვის ერთ-ერთი მოადგილის ნებართვით, და ეს იცოდა რიკოვმა და დასტურიც მისცა.

რა არის ეს, — კოლეგიური მუშაობა?

მეორე მაგალითი. საქმე ეხება მოლაპარაკებას ამერიკის ერთ-ერთ დიდ კერძო ბანკთან, რომლის ქონება ნაციონალიზებულ იქნა ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ და რომელიც ახლა ზარალის ანაზღაურებას მოითხოვს. ცენტრალურმა კომიტეტმა შეიტყო, რომ ამ ბანკთან მოლაპარაკებას აწარმოებს ჩვენი სახელმწიფო ბანკის წარმომადგენელი მისი ზარალის ანაზღაურების პირობების შესახებ.

კერძო პრეტენზიების ანაზღაურების საკითხი, როგორც იცით, ერთ-ერთი უაღრესად სერიოზული საკითხია, რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვს ჩვენს საგარეო პოლიტიკასთან. შეიძლება იფიქროთ, რომ ეს მოლაპარაკება წარმოებდა სახკომსაბჭოს ან ცენტრალური კომიტეტის ნებართვით. მაგრამ ეს მართალი არ არის, ამხანაგებო. ცენტრალურ კომიტეტსა და სახკომსაბჭოს ამ საქმესთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ. შემდეგში, ამ მოლაპარაკების ამბავი რომ შეიტყო, ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა შემწყდარიყო მოლაპარაკება. მაგრამ იბადება კითხვა: ვისი სანქციით წარმოებდა ეს მოლაპარაკება? იგი, თურმე, წარმოებდა რიკოვის ერთ-ერთი მოადგილის სანქციით, და ეს იცოდა რიკოვმა და დასტურიც მისცა.

რა არის ეს, — კოლეგიური მუშაობა?

მესამე მაგალითი. საქმე ეხება კულაკებისა და საშუალო გლეხების მომარაგებას სასოფლო-სამეურნეო მანქანებით. საქმე ეხება იმას, რომ რსფს რესპუბლიკის ეკონომსაბჭომ [11], სადაც თავმჯდომარეობს რიკოვის ერთ-ერთი მოადგილე რსფს რესპუბლიკის ხაზით, დაადგინა **შემცირებულიყო** საშუალო გლეხების მომარაგება სასოფლო-სამეურნეო მანქანებით და **გადიდებულიყო** სოფლის ზედაფენების, ესე იგი კულაკების მომარაგება მანქანებით. აი რსფს რესპუბლიკის ეკონომსაბჭოს ამ ანტიპარტიული და ანტისაბჭოთა დადგენილების ტექსტი:

«ყაზახეთისა და ბაშკირეთის ასს რესპუბლიკების, ციმბირისა და ქვემო ვოლგის მხარეებისა და შუა ვოლგის და ურალის ოლქებისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გასაღების პროცენტები, რაც ამ პუნქტშია აღნიშნული, სოფლის ზედაფენებისათვის **დიდდება** 20%-მდე, ხოლო საშუალო ფენებისათვის **მცირდება** 30%-მდე».

როგორ მოგწონთ: რსფს რესპუბლიკის ეკონომსაბჭო, კულაკების წინააღმდეგ პარტიის გაძლიერებული შეტევისა და კულაკობის წინააღმდეგ ღარიბი და საშუალო გლეხობის მასების დარაზმვის პერიოდში, დადგენილებას იღებს მანქანებით საშუალო გლეხების მომარაგების ნორმის **შემცირებისა** და სოფლის ზედაფენების მომარაგების ნორმის **გადიდების** შესახებ.

და ამას ეწოდება ლენინური, კომუნისტური პოლიტიკა!

შემდეგში ცენტრალურმა კომიტეტმა, ეს ამბავი რომ შეიტყო, გააუქმა ეკონომსაბჭოს დადგენილება. მაგრამ ვისი სანქციით იქნა მიღებული ეს ანტისაბჭოთა დადგენილება? იგი მიღებულ იქნა რიკოვის ერთ-ერთი მოადგილის სანქციით, და ეს იცოდა რიკოვმა და დასტურიც მისცა.

რა არის ეს, — კოლეგიური მუშაობა?

ვგონებ, ეს მაგალითები საკმარისია იმის საჩვენებლად, თუ როგორ ახორციელებენ კოლეგიურ მუშაობას რიკოვი და მისი მოადგილეები.

გ) მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის შესახებ

ბუხარინი ლაპარაკობდა პოლიტბიუროს იმ სამი წევრის «მოქალაქეობრივი სიკვდილით დასჯაზე», რომლებსაც, მისი სიტყვით, ჩვენი პარტიის ორგანიზაციები «ამუშავებენ». ის ლაპარაკობდა, რომ პარტიამ პოლიტბიუროს სამი წევრი, ბუხარინი, რიკოვი და ტომსკი, «მოქალაქეობრივი სიკვდილით დასაჯა», აკრიტიკებდა რა მათს შეცდომებს პრესაში და კრებებზე, მაშინ როცა ისინი, პოლიტბიუროს ეს სამი წევრი, «იძულებული» იყვნენ გაჩუმებულიყვნენ.

ყოველივე ეს ფუჭი ლაყბობაა, ამხანაგებო. ეს არის ყალბი სიტყვები მოლიბერალო კომუნისტისა, რომელიც ცდილობს მოადუნოს პარტია მის ბრძოლაში მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ. ბუხარინის აზრით გამოდის, რომ რაკი ის და მისი მეგობრები ჩაეფლნენ მემარჯვენე-უკლონისტურ შეცდომებში, პარტიას უფლება არა აქვს ამხილოს ეს შეცდომები, პარტიამ უნდა შეწყვიტოს ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან და ელოდოს იმ მომენტს, როცა ბუხარინი და მისი მეგობრები ინებებენ და უარს იტყვიან თავიანთ შეცდომებზე.

მეტად ბევრს ხომ არ მოითხოვს ჩვენგან ბუხარინი? ხომ არ ფიქრობს იგი, რომ პარტია მისთვის არსებობს და არა იგი პარტიისათვის? ვინ აიძულებს მას გაჩუმდეს, იყოს უძრავ მდგომარეობაში, როცა მთელი პარტია მობილიზებულია მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ და გადამწყვეტი იერიშები მიაქვს სიძნელეთა წინააღმდეგ? რატომ არ უნდა გამოვიდნენ ახლა იგი, ბუხარინი, და მისი უახლოესი მეგობრები და არ გააჩაღონ გადამწყვეტი ბრძოლა მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ? განა ვინმეს შეუძლია ეჭვი შეიტანოს იმაში, რომ პარტია მიესალმებოდა ბუხარინსა და მის უახლოეს მეგობრებს, თუ კი

ისინი გადაწყვეტდნენ გადაედგათ ეს, არც თუ იმდენად ძნელი ნაბიჯი? რატომ ვერ გადაუწყვეტიათ მათ გადადგან ეს, ბოლოს და ბოლოს, მათთვის სავალდებულო ნაბიჯი? იმიტომ ხომ არა, რომ ისინი თავისი ჯგუფის ინტერესებს პარტიისა და მისი გენერალური ხაზის ინტერესებზე მაღლა აყენებენ? ვისი ბრალია, რომ ბუხარინი, რიკოვი და ტომსკი არ მონაწილეობენ მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლაში? განა ცხადი არ არის, რომ ლაპარაკი პოლიტბიუროს სამი წევრის «მოქალაქეობრივი სიკვდილით დასჯაზე» არის პოლიტბიუროს სამი წევრის უხეიროდ შენიღბული ცდა — აიძულონ პარტია გაჩუმდეს და შეწყვიტოს ბრძოლა მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ?

მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლა არ შეიძლება ჩვენი პარტიის მეორეხარისხოვან ამოცანად მივიჩნიოთ. მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლა ჩვენი პარტიის ერთ-ერთი გადამწყვეტი ამოცანაა. თუ ჩვენს საკუთარ წრეში, ჩვენს საკუთარ პარტიაში, პროლეტარიატის პოლიტიკურ შტაბში, რომელიც ხელმძღვანელობს მოძრაობას და წინ მიუძღვის პროლეტარიატს, — თუ სწორედ ამ შტაბში დავუშვებთ მემარჯვენე უკლონისტთა თავისუფალ არსებობას და თავისუფალ მოქმედებას, რომლებიც ცდილობენ პარტიის დემობილიზებას, მუშათა კლასის გახრწნას, ჩვენი პოლიტიკის შეგუებას «საბჭოთა» ბურჟუაზიის გემოვნებასთან და, ამრიგად, ქედის მოხრას ჩვენი სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა წინაშე, — თუ ჩვენ ყოველივე ამას დავუშვებთ, ეს რის მომასწავებელი იქნება? განა ეს იმის მომასწავებელი არ იქნება, რომ ჩვენ მზად ვართ თანდათანობით შევანელოთ რევოლუცია, ჩავშალოთ ჩვენი სოციალისტური მშენებლობა, გავექცეთ სიძნელეებს, დავუთმოთ პოზიციები კაპიტალისტურ ელემენტებს?

ესმის თუ არა ბუხარინის ჯგუფს, რომ მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლაზე ხელის აღება იმას ნიშნავს, რომ ვუღალატოთ მუშათა კლასს, ვუღალატოთ რევოლუციას?

ესმის თუ არა ბუხარინის ჯგუფს, რომ მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემარიგებლობის დაუძლევლად შეუძლებელია ჩვენს წინაშე მდგომ სიძნელეთა დაძლევა, ხოლო ამ სიძნელეთა დაუძლევლად შეუძლებელია სოციალისტური მშენებლობის გადამწყვეტ წარმატებათა მიღწევა?

რად ღირს ყოველივე ამის შემდეგ უბადრუკი სიტყვები პოლიტბიუროს სამი წევრის «მოქალაქეობრივი სიკვდილით დასჯის» შესახებ?

არა, ამხანაგებო, «მოქალაქეობრივი სიკვდილით დასჯაზე» ლიბერალური ლაყბობით ბუხარინელები ვერ შეაშინებენ პარტიას. პარტია მათგან მოითხოვს მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლას ერთ მწყობრში ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრთან ერთად. იგი მოითხოვს ამას ბუხარინის ჯგუფისაგან იმისათვის, რომ გაადვილდეს მუშათა კლასის მობილიზაციის საქმე, დაძლეულ იქნას კლასობრივი მტრების წინააღმდეგობა და მოეწყოს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა გადაჭრით დაძლევა.

ან შეასრულებენ ბუხარინელები პარტიის ამ მოთხოვნას, და მაშინ პარტია მიესალმება მათ, ან ისინი არ გააკეთებენ ამას, — მაგრამ რაც მაშინ მოუვათ, თავიანთ თავს დააბრალონ.

VI

დასკვნები

გადავდივარ დასკვნებზე.

შემომაქვს შემდეგი წინადადებანი:

1) საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, დაგმობილ იქნას ბუხარინის ჯგუფის შეხედულებანი. საჭიროა დაგმობილ იქნას

ამ ჯგუფის შეხედულებანი, რომლებიც მოყვანილია მის დეკლარაციებში და მის წარმომადგენელთა სიტყვებში, მიჩნეულ იქნას, რომ ეს შეხედულებანი შეუთავსებელია პარტიის ხაზთან და რომ ისინი მთლიანად ემთხვევიან მემარჯვენე გადახრის პოზიციას.

2) საჭიროა დაგმობილ იქნას ბუხარინის ფარული მოლაპარაკება კამენევის ჯგუფთან, როგორც ბუხარინის ჯგუფის არალოიალობისა და ფრაქციულობის ყველაზე მკაფიო გამოხატულება.

3) საჭიროა დაგმობილ იქნას გადადგომის პოლიტიკა, რომელსაც ბუხარინი და ტომსკი მიმართავდნენ, როგორც პარტიული დისციპლინის ელემენტარულ მოთხოვნათა უხეში დარღვევა.

4) საჭიროა მოიხსნან ბუხარინი და ტომსკი იმ პოსტებიდან, რომლებიც მათ უკავიათ, და მიეცეთ მათ გაფრთხილება, რომ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებისადმი დაუმორჩილებლობის ოდნავი ცდის შემთხვევაში ცენტრალური კომიტეტი იძულებული იქნება გამოიყვანოს ისინი პოლიტბიუროს შემადგენლობიდან.

5) საჭიროა ზომების მიღება, რომ კრებებზე პოლიტბიუროს ცალკეული წევრებისა და კანდიდატების გამოსვლებში დაშვებულ არ იქნას რაიმე გადახრები პარტიის ხაზიდან, ცენტრალური კომიტეტისა და მისი ორგანოების გადაწყვეტილებებიდან.

6) საჭიროა ზომების მიღება, რომ პრესის ორგანოებში, როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა ორგანოებში, როგორც გაზეთებში, ისე ჟურნალებში მთლიანად ტარდებოდეს პარტიის ხაზი და მისი ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებანი.

7) საჭიროა დაწესდეს სპეციალური ზომები, თვით ცენტრალური კომიტეტიდან და პარტიიდან გარიცხვამდე,

იმათ წინააღმდეგ, ვინც შეეცდება დაარღვიოს პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს გადაწყვეტილებათა საიდუმლოება.

8) საჭიროა ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის რეზოლუცია შინაპარტიულ საკითხებზე დაეგზავნოს პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციას და XVI კონფერენციის [12] წევრებს, ჯერჯერობით კი იგი არ გამოქვეყნდეს პრესაში.

ასეთია, ჩემი აზრით, მდგომარეობიდან გამოსავალი.

ზოგიერთი ამხანაგი მოითხოვს ბუხარინისა და ტომსკის დაუყოვნებლივ გარიცხვას ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროდან. მე არ ვეთანხმები ამ ამხანაგებს. ჩემი აზრით, ამჟამად შეიძლება არ მივმართოთ ასეთ უკიდურეს ზომას.

მთლიანად იბეჭდება პირველად.

შეჯიბრება და მასების შრომითი აღმავლობა

წინასიტყვაობა ე. მიკულინას წიგნისა «მასების შეჯიბრება»

არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ ჩვენი მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტს, თუ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტს არა, ამჟამად წარმოადგენს მუშათა მილიონიანი მასების შეჯიბრება, რომელიც ფართოდ ჩაღდება. ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის სულ სხვადასხვა კუთხის მთელი ფაბრიკებისა და ქარხნების შეჯიბრება; შეჯიბრება მუშებსა და გლეხებს შორის; შეჯიბრება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის; ამ მასობრივი საწარმოო ურთიერთგამოძახების აღბეჭდვა მშრომელთა სპეციალურ ხელშეკრულებებში, — ყოველივე ეს ისეთი ფაქტებია, რომლებიც უეჭველს ხდიან იმას, რომ მასების სოციალისტური შეჯიბრება უკვე ძალაში შევიდა.

დაიწყო მშრომელი მასების მძლავრი საწარმოო აღმავლობა.

ახლა ყველაზე უიმედო სკეპტიკოსებიც კი იძულებული არიან აღიარონ ეს.

«სოციალიზმი, — ამბობს ლენინი, — არა თუ არ აჭრობს შეჯიბრებას, არამედ, პირიქით, პირველად ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ იგი გამოყენებულ იქნას ნამდვილად **ფართოდ**, ნამდვილად **მა-**

სობრივად, გამოყვანილ იქნას მშრომელთა ნამდვილი უმრავლესობა ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც მათ შეუძლიათ თავი გამოიჩინონ, გაშალონ თავიანთი ნიჭი, გამოავლინონ ტალანტი, რომელიც ხალხში აურაცხელია და რომელსაც კაპიტალიზმი ათასობით და მილიონობით სრესდა, თელავდა, ახშობდა»...

...«თაოსნობის, შეჯიბრების, გაბედული წამოწყების უნარის ფართოდ, ჭეშმარიტად მასობრივად გამოჩენა მხოლოდ ახლა ხდება შესაძლებელი»... ვინაიდან «საუკუნეობით სხვისთვის შრომის, ექსპლოატატორებისათვის იძულებითი მუშაობის შემდეგ პირველად ხდება შესაძლებელი **თავისთვის მუშაობა**»...

...«ახლა, როცა ხელისუფლების სათავეში სოციალისტური მთავრობა დგას, ჩვენი ამოცანაა მოვაწყოთ შეჯიბრება» [18].

ლენინის ამ დებულებებს ეყრდნობოდა საკავშირო კ. პ. (ბ) XVI კონფერენცია, როცა მან გამოსცა სპეციალური მიმართვა მუშებისა და მშრომელებისადმი შეჯიბრების შესახებ.

ზოგიერთი «ამხანაგი» ბიუროკრატთაგან ფიქრობს, რომ შეჯიბრება ბოლშევიკების მორიგი მოდაა და, როგორც ასეთი, «სეზონის» დამთავრების შემდეგ უნდა ჩაქრეს. «ამხანაგები» ბიუროკრატთაგან, რა თქმა უნდა, ცდებიან. სინამდვილეში შეჯიბრება არის **კომუნისტური მეთოდი სოციალიზმის მშენებლობისა** მშრომელთა მილიონიანი მასების მაქსიმალური **აქტივობის** საფუძველზე. სინამდვილეში შეჯიბრება ის **ბერკეტია**, რომლის საშუალებითაც მუშათა კლასი მოწოდებულია ძირიანად გარდაქმნას ჩვენი ქვეყნის მთელი სამეურნეო და კულტურული ცხოვრება სოციალიზმის ბაზაზე.

სხვა «ამხანაგები» ბიუროკრატთაგან, რომლებიც დამფრთხალი არიან შეჯიბრების მძლავრი ტალღით, ცდილობენ შეუქმნან მას ხელოვნური ჩარჩოები, მოამწყვდიონ იგი კალაპოტში, მოახდინონ შეჯიბრების საქმის «ცენტრალიზაცია», შეკვეცონ მისი გაქანება და, ამრიგად, მოუსპონ მას

ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მასში, — მასების **ინიციატივა.** ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ბიუროკრატთა ვარაუდები არ გამართლდება. ყოველ შემთხვევაში, პარტია ყველა ზომას მიიღებს იმისათვის, რომ გააცამტვეროს ეს ვარაუდები.

სოციალისტური შეჯიბრება არ შეიძლება კანცელარიულ საქმედ მივიჩნიოთ. სოციალისტური შეჯიბრება გამოხატულებაა მასების საქმიანი რევოლუციური **თვითკრიტიკისა,** რომელიც მილიონობით მშრომელთა შემოქმედებითს **ინიციატივას** ეყრდნობა. ყველა, ვინც, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ზღუდავს მასების ამ თვითკრიტიკას და ამ შემოქმედებითს ინიციატივას, გზიდან უნდა მოვიშოროთ, როგორც ჩვენი დიადი საქმის შემაფერხებელი.

ბიუროკრატიზმის საფრთხე კონკრეტულად, უწინარეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ იგი ბოჭავს მასების ენერგიას, ინიციატივასა და თვითმოქმედებას, იგი გასაქანს არ აძლევს კოლოსალურ რეზერვებს, რომლებიც ჩვენი წყობილების წიაღშია, მუშათა კლასისა და გლეხობის წიაღშია, იგი საშუალებას არ გვაძლევს გამოვიყენოთ ეს რეზერვები ჩვენი კლასობრივი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. სოციალისტური შეჯიბრების ამოცანა ის არის, რომ დაამსხვრიოს ეს ბიუროკრატიული ხუნდები, ფართო ასპარეზი მისცეს მასების ენერგიისა და შემოქმედებითი ინიციატივის გაშლას, გამოავლინოს კოლოსალური რეზერვები, რომლებიც ჩვენი წყობილების წიაღშია, და გამოიყენოს ისინი ჩვენი ქვეყნის როგორც შინაური, ისე გარეშე კლასობრივი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ზოგჯერ ერთმანეთში ურევენ სოციალისტურ შეჯიბრებასა და კონკურენციას. ეს დიდი შეცდომაა. სოციალისტური შეჯიბრება და კონკურენცია ორ სრულიად სხვადასხვა პრინციპს წარმოადგენს.

კონკურენციის პრინციპია: **ზოგის დამარცხება და სიკვდილი,** ზოგის გამარჯვება და ბატონობა.

სოციალისტური შეჯიბრების პრინციპია: ამხანაგური **დახმარება** ჩამორჩენილებისადმი მოწინავეთა მხრივ, რათა მიღწეულ იქნას **საერთო** აღმავლობა.

კონკურენცია ამბობს: **ბოლო მოუღე ჩამორჩენილებს,** რათა ბატონობა დაიმკვიდრო.

სოციალისტური შეჯიბრება ამბობს: ერთნი მუშაობენ ცუდად, მეორენი კარგად, მესამენი უკეთესად, — **დაეწიე უკეთესებს** და მიაღწიე **საერთო აღმავლობას.**

სწორედ ამით აიხსნება ის უმაგალითო საწარმოო ენთუზიაზმი, რომელმაც მოიცვა მშრომელთა მილიონიანი მასები სოციალისტური შეჯიბრების შედეგად. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ კონკურენცია ვერასოდეს ვერ გამოიწვევს მასების ასეთი ენთუზიაზმის მსგავს რამეს.

ამ ბოლო დროს ჩვენს პრესაში გახშირდა სტატიები და შენიშვნები შეჯიბრებაზე. წერენ შეჯიბრების ფილოსოფიაზე, შეჯიბრების ფესვებზე, შეჯიბრების შესაძლო შედეგებზე და სხვ.. მაგრამ იშვიათად შეხვდებით ისეთ შენიშვნებს, რომლებიც რამდენადმე დალაგებულად გვიხატავდნენ იმის სურათს, თუ **როგორ** ატარებენ შეჯიბრებას **თვით მასები,** იმის სურათს, თუ **რას განიცდიან** მუშათა მილიონიანი მასები, როცა ახორციელებენ შეჯიბრებას და ხელს აწერენ ხელშეკრულებებს, იმის სურათს, რომ მუშათა მასები შეჯიბრების საქმეს **თავიანთ საკუთარ, ღვიძლ საქმედ** თვლიან. საქმის ეს მხარე კი შეჯიბრების უაღრესად მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს ჩვენთვის.

მე ვფიქრობ, რომ ამხ. ე. მიკულინას ბროშურა პირველი ცდაა მოგვცეს შეჯიბრების **პრაქტიკის** მასალების დალაგებული გადმოცემა, რომელიც შეჯიბრების საქმეს წარმოგვიდ-

გენს, როგორც თვით მშრომელი მასების საქმეს. ამ ბრო-შურის ღირსება ის არის, რომ იგი წარმოადგენს უბრალო და მართალ თხრობას დიადი შრომითი აღმავლობის იმ ღრმა პროცესების შესახებ, რომლებიც სოციალისტური შეჯიბ-რების შინაგან მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ.

1929 წ. 11 მაისი.

«პრავდა» № 114,
1929 წ. 22 მაისი.

ხელმოწერა: ი. სტალინი.

ამხ. ფელიქს კონს

ასლი ცენტრალური კომიტეტის ივანოვო-ვოზნესენსკიხ საოლქო ბიუროს მდივანს ამხ. კოლოტილოვს

ამხ. კონ!

ამხ. რუსოვას წერილი ამხ. მიკულინას ბროშურაზე («მასების შეჯიბრება») მივიღე. ჩემი შენიშვნები ამის შესახებ:

1) ამხ. რუსოვას რეცენზია მეტად ცალმხრივი და მიკერძებული წერილის შთაბეჭდილებას ახდენს. მე შესაძლოდ მიმაჩნია, რომ მრთველი ბარდინა ბუნებაში არ არსებობს და ზარიადიეში სართავი არ არის. ისიც შესაძლოდ მიმაჩნია, რომ ზარიადიეს ფაბრიკას «ყოველკვირეულად ალაგებენ». შეიძლება ვაღიაროთ, რომ ამხ. მიკულინამ, რომელიც, შესაძლოა, შეცდომაში შეიყვანა რომელიმე მთხრობელმა, დაუშვა მთელი რიგი უხეში არასიზუსტენი, და ეს, რა თქმა უნდა, ცუდი და შეუწყნარებელია. მაგრამ განა ამაშია საქმე? განა ბროშურის ღირებულება ცალკეული კერძო მხარეებით განისაზღვრება, და არა მისი საერთო მიმართულებით? ჩვენი დროის სახელგანთქმულმა მწერალმა ამხ. შოლოხოვმა თავის «წყნარ დონში» დაუშვა მთელი რიგი ყოვლად უხეში შეცდომები და პირდაპირ არასწორი ცნობები სირცოვზე, პოდტიოლკოვზე, კრივოშლიკოვსა და სხვებზე, მაგრამ განა აქედან ის გამოდის, რომ

«წყნარი დონი» ყოვლად უვარგისი ნაწარმოებია, რომელიც იმის ღირსია, რომ მისი გაყიდვა აიკრძალოს?

რა არის ამხ. მიკულინას ბროშურის ღირსება? ის, რომ იგი შეჯიბრების იდეის **პოპულარიზაციას** ეწევა და მკითხველს შეჯიბრების სულისკვეთებას **ულვიძებს**. ეს არის მთავარი, და არა ცალკეული კერძო შეცდომები.

2) შესაძლოა, რომ ამხ. მიკულინას ბროშურისადმი ჩემს წინასიტყვაობასთან დაკავშირებით კრიტიკოსები ამ ბროშურისაგან მეტად ბევრსა და რაღაც არაჩვეულებრივს მოელოდნენ და ახლა, მოლოდინი რომ გაუცრუვდათ, გადაწყვიტეს ამისათვის დასჯონ ბროშურის ავტორი. მაგრამ ეს სწორი არ არის და უსამართლობაა. ამხ. მიკულინას ბროშურა, რა თქმა უნდა, მეცნიერული ნაწარმოები არ არის. ამხ. მიკულინას ბროშურა არის **ნაამბობი** მასების შეჯიბრების საქმეებზე, შეჯიბრების პრაქტიკაზე. ეს არის და ეს. ამხ. მიკულინას ბრალი როდია, თუ ჩემმა წინასიტყვაობამ მეტად გაზვიადებული აზრი შექმნა მის, არსებითად ძალიან უბრალო, ბროშურაზე. არ შეიძლება ამისათვის დავსჯოთ ბროშურის ავტორი, აგრეთვე ბროშურის მკითხველები, ბროშურის გაყიდვის აკრძალვით. შეიძლება აიკრძალოს მხოლოდ არა საბჭოთა მიმართულების ნაწარმოებთა, ანტიპარტიულ, ანტიპროლეტარულ ნაწარმოებთა გაყიდვა. ამხ. მიკულინას ბროშურა ანტიპარტიულსა და არასაბჭოურს არაფერს შეიცავს.

3) ამხ. რუსოვა განსაკუთრებით აღშფოთებულია იმით, რომ ამხ. მიკულინამ «შეცდომაში შეიყვანა ამხ. სტალინი». არ შეიძლება არ დავაფასოთ ამხ. სტალინისათვის ზრუნვა, რაც ამ შემთხვევაში ამხ. რუსოვამ გამოიჩინა. მაგრამ იგი, ეს ზრუნვა, მე მგონია, აუცილებლობით არ არის გამოწვეული.

ჯერ-ერთი, ასე იოლი როდია «შეცდომაში შეიყვანო ამხ. სტალინი».

მეორეც, მე ოდნავაც არ ვნანობ იმას, რომ წინასიტყვაობა წარვუმძღვარე ლიტერატურულ სამყაროში **უცნობი** ადამიანის **უმნიშვნელო** ბროშურას, ვინაიდან მე ვფიქრობ, რომ ამხ. მიკულინას ბროშურა, მიუხედავად მისი ცალკეული და, შესაძლოა, უხეში შეცდომებისა, დიდ სარგებლობას მოუტანს მუშათა მასებს.

მესამეც, მე გადაჭრით წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ წინასიტყვაობა უკეთდებოდეს მხოლოდ ლიტერატურული «დიდკაცების», «სახელმოხვეჭილი» ლიტერატორების, «კორიფეების» და სხვ. ბროშურებსა და წიგნებს. მე ვფიქრობ, რომ დროა უკუვაგდოთ ეს **ბატონკაცური** ჩვეულება — დაწინაურება ისედაც დაწინაურებული ლიტერატურული «დიდკაცებისა», რომელთა «სიდიადისაგან» პირდაპირ გმირსავენ ჩვენი ახალგაზრდა, უცნობი და ყველასგან დავიწყებული ლიტერატურული ძალები.

ჩვენ ასობით და ათასობით გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც მთელი ძალღონით ცდილობენ გზა გაიკაფონ ქვემოდან ზევით, იმისათვის, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენი მშენებლობის საერთო საგანძურში. მაგრამ მათი ცდები ხშირად ამაო რჩება, ვინაიდან მათ ძალიან ხშირად ახშობს «სახელმოხვეჭილ» ლიტერატორთა დიდი წარმოდგენა თავიანთ თავზე, ჩვენი ზოგიერთი ორგანიზაციის ბიუროკრატიზმი და უსულგულობა, დასასრულ, ტოლების შური (რომელიც ჯერ კიდევ არ გადაქცეულა შეჯიბრებად). ჩვენი ერთ-ერთი ამოცანა ის არის, რომ გავარღვიოთ ეს ყრუ კედელი და გასაქანი მივცეთ ახალგაზრდა ძალებს, რომელთა სახელი ლეგიონია. ჩემი წინასიტყვაობა ლიტერატურულ სამყაროში **უცნობი** ავტორის **უმნიშვნელო** ბროშურისადმი იმის ცდაა, რომ გადავდგათ ნაბიჯი ამ ამოცანის

გადაჭრისაკენ. მე კვლავაც გავუკეთებ წინასიტყვაობებს მხოლოდ უბრალო და უცნობი ახალგაზრდა ავტორების უბრალო და არამყვირალა ბროშურებს. შესაძლოა, ზოგიერთ ჩინის პატივისმცემელს ასეთი მანერა არ მოეწონოს. მაგრამ მე რა მესაქმება ამასთან? მე საერთოდ არა ვარ ჩინის პატივისმცემელთა მოყვარული...

4) მე ვფიქრობ, რომ ივანოვო-ვოზნესენსკელმა ამხანაგებმა უნდა მიიწვიონ ამხ. მიკულინა ივანოვო-ვოზნესენსკში და «ყური აუწიონ» იმ შეცდომებისათვის, რაც მან დაუშვა. მე სრულებითაც არა ვარ იმის წინააღმდეგი, რომ ამხ. მიკულინა პრესაში კარგად დატუქსონ მისი შეცდომებისათვის. მაგრამ გადაჭრით წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ ხელი ჰკრან და ჯვარი დაუსვან ამ უთუოდ უნარიან მწერალს.

რაც შეეხება ამხ. მიკულინას ბროშურის გაყიდვის აკრძალვას, ეს ველური აზრი, მე მგონია, «უშედეგოდ» უნდა დავტოვოთ.

კომ. სალამით **ი. სტალინი**

1929 წ. 9 ივლისი.

ბეჭდება პირველად.

უკრაინის კომკავშირს მისი ათი წლისთავის დღეს

სამოქალაქო ომის ბრძოლებში ნაცად უკრაინის ლენინურ კომკავშირს, რომელიც წარმატებით აჩაღებს სოციალისტურ შეჯიბრებას და აქტიურად მონაწილეობს უკრაინული სოციალისტური კულტურის მშენებლობაში, — მხურვალე სალამი მისი ათი წლისთავის დღეს.

ი. სტალინი

მოსკოვი, 1929 წ. 10 ივლისი.

«პრავდა» № 157,
1929 წ. 12 ივლისი.

ჩანაწერი კრეისერ «ჩერვონა უკრაინის» სახომალდო ჟურნალში

ვიყავი კრეისერ «ჩერვონა უკრაინაზე». დავესწარი თვითმოქმედების საღამოს.

საერთო შთაბეჭდილება: შესანიშნავი ადამიანები არიან, გაბედული, კულტურული ამხანაგები, რომლებიც მზად არიან ყველაფერი გააკეთონ ჩვენი საერთო საქმისათვის.

სასიამოვნოა გქონდეს საქმე ასეთ ამხანაგებთან. სასიამოვნოა ებრძოდე მტრებს ასეთ მებრძოლთა რიგებში მდგომი. ასეთი ამხანაგებით შეიძლება დავამარცხოთ ექსპლოატატორთა და მჩაგვრელთა მთელი სამყარო.

წარმატებას გისურვებთ, მეგობრებო «ჩერვონა უკრაინიდან»!

ი. სტალინი

1929 წ. 25 ივლისი.

გაზეთი «კრასნი ჩერნომორეც»
(სევასტოპოლი) № 260,
1929 წ. 7 ნოემბერი.

დიადი გარდატეხის წელი

ოქტომბრის XII წლისთავისათვის

გასული წელი სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე დიადი გარდატეხის წელი იყო. ეს გარდატეხა მიმდინარეობდა და ახლაც მიმდინარეობს ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე სოციალიზმის გადამწყვეტი **შეტევის** ნიშნით. ამ შეტევის დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ მან უკვე მოგვცა მთელი რიგი გადამწყვეტი **წარმატებანი** ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის (რეკონსტრუქციის) ძირითად დარგებში.

აქედან გამომდინარეობს, რომ პარტიამ შესძლო მიზანშეწონილად გამოეყენებინა ჩვენი უკანდახევა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ სტადიებში იმისათვის, რომ შემდეგ, მის შემდგომ სტადიებში, მოეწყო **გარდატეხა** და დაეწყო **წარმატებითი შეტევა** კაპიტალისტურ ელემენტებზე.

ლენინი ნეპის შემოღებისას ამბობდა:

«ჩვენ ახლა უკან ვიხევთ, თითქოს უკან ვიხევთ, მაგრამ ამას იმისათვის ვშვრებით, რომ ჯერ უკან დავიხიოთ, შემდეგ კი გავქანდეთ და უფრო ძლიერ გადავხტეთ წინ. მხოლოდ ამ ერთი პირობით დავ-

ხიეთ უკან ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარებაში... რათა უკანდახევის შემდეგ დავიწყოთ უაღრესად მედგარი შეტევა წინ» (ტ. XXVII, გვ. 361—362).

გასული წლის შედეგები უეჭველად მოწმობენ, რომ პარტია წარმატებით ასრულებს თავის მუშაობაში ლენინის ამ გადამწყვეტ მითითებას.

* * *

თუ ავიღებთ გასული წლის შედეგებს სამეურნეო მშენებლობის ხაზით, რომელსაც ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ამ ფრონტზე ჩვენი შეტევის **წარმატებანი**, ჩვენი **მიღწევები** გასული წლის მანძილზე შეიძლება განვსაზღვროთ სამი ძირითადი მომენტით.

I

შრომის ნაყოფიერების დარგში

არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ უკანასკნელი წლის მანძილზე ჩვენი მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტია ის ფაქტი, რომ ჩვენ შევძელით მიგვეღწია **გადამწყვეტი გარდატეხისათვის** შრომის ნაყოფიერების დარგში. ეს გარდატეხა გამოიხატა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე მუშათა კლასის მილიონიანი მასების **შემოქმედებითი ინიციატივისა** და მძლავრი **შრომითი აღმავლობის** გაშლით. ეს არის ჩვენი პირველი და ძირითადი **მიღწევა** გასულ წელს.

მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და შრომითი აღმავლობის გაშლას სტიმული ეძლეოდა სამი ძირითადი

ა) ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, რომელიც ბოჭავს მასების შრომითს ინიციატივასა და შრომითს აქტივობას — **თვითკრიტიკის** საშუალებით;

ბ) ბრძოლა გამცდენებთან და შრომის პროლეტარული დისციპლინის ძირის გამომთხრელებთან — **სოციალისტური შეჯიბრების** საშუალებით;

გ) ბრძოლა რუტინასთან და დახავსებულობასთან წარმოებაში — **განუწყვეტელი საწარმოო დროის** მოწყობის საშუალებით.

ამის შედეგად ჩვენ გვაქვს უდიდესი მიღწევა შრომის ფრონტზე ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ყველა კუთხეში მუშათა კლასის მილიონიანი მასების შრომითი ენთუზიაზმისა და შრომითი ურთიერთგამოძახების სახით. ხოლო ამ მიღწევის მნიშვნელობა ჭეშმარიტად ფასდაუდებელია, ვინაიდან მხოლოდ მილიონიანი მასების შრომითს ალმავლობასა და შრომითს ენთუზიაზმს შეუძლია უზრუნველყოს შრომის ნაყოფიერების ის განუწყვეტელი ზრდა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება კაპიტალიზმზე.

«შრომის ნაყოფიერება, — ამბობს ლენინი, — ეს, საბოლოო ანგარიშით, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის. კაპიტალიზმმა შექმნა შრომის ნაყოფიერება, არნახული ბატონყმობის დროს. კაპიტალიზმი შეიძლება საბოლოოდ დამარცხებულ იქნას და საბოლოოდ იქნება დამარცხებული იმით, რომ სოციალიზმი ქმნის შრომის ახალ, გაცილებით უფრო მაღალ ნაყოფიერებას» (ტ. XXIV, გვ. 342).

ეყრდნობა რა ამას, ლენინი თვლის, რომ:

«ჩვენ უნდა გავიმსჭვალოთ იმ შრომითი ენთუზიაზმით, შრომისადმი იმ მისწრაფებით, შეუპოვრობით, რომელზეც ახლა დამოკიდებულია მუშებისა და გლეხების უსწრაფესი ხსნა, სახალხო მეურნეობის ხსნა» (ტ. XXV, გვ. 477).

ასეთია ამოცანა, რომელიც ლენინმა დაუსახა პარტიას.

გასულმა წელმა ცხადყო, რომ პარტია წარმატებით ასრულებს ამ ამოცანას, გადაჭრით სძლევს რა ამ გზაზე არსებულ სიძნელეებს.

ასეთია პარტიის პირველი მნიშვნელოვანი მიღწევა გასულ წელს.

II

მრეწველობის მშენებლობის დარგში

პარტიის ამ პირველ მიღწევასთან განუყრელად დაკავშირებულია მისი მეორე მიღწევა. იგი, პარტიის ეს მეორე მიღწევა, იმაში მდგომარეობს, რომ გასულ წელს ჩვენ ძირითადად წარმატებით გადავჭერით მძიმე მრეწველობის კაპიტალური მშენებლობისათვის საჭირო **დაგროვების პრობლემა,** ავიღეთ წარმოების საშუალებათა წარმოების განვითარების **აჩქარებული ტემპი** და შევქმენით წინაპირობები ჩვენი ქვეყნის **ლითონის** ქვეყნად გადაქცევისათვის.

ეს არის ჩვენი მეორე და ძირითადი **მიღწევა** გასულ წელს.

მსუბუქი ინდუსტრიის პრობლემა განსაკუთრებულ სიძნელეებს არ წარმოადგენს. იგი ჩვენ უკვე გადავჭერით რამდენიმე წლის წინათ. უფრო ძნელი და უფრო მნიშვნელოვანია მძიმე ინდუსტრიის პრობლემა.

უფრო ძნელია, ვინაიდან მოითხოვს კოლოსალურ დაბანდებებს, ამასთან, როგორც მრეწველობის მხრივ ჩამორჩენილი ქვეყნების ისტორია ცხადყოფს, მძიმე ინდუსტრიისათვის აუცილებელია კოლოსალური გრძელვადიანი სესხები.

უფრო მნიშვნელოვანია, ვინაიდან მძიმე მრეწველობის განუვითარებლად ჩვენ ვერავითარ მრეწველობას ვერ ავაშენებთ, ვერავითარ ინდუსტრიალიზაციას ვერ გავატარებთ.

ხოლო ვინაიდან ჩვენ არა გვქონია და არა გვაქვს არც გრძელვადიანი სესხები, არც რამდენადმე ხანგრძლივი კრედიტები, ამიტომ პრობლემის სიმწვავე ჩვენთვის ცხადზე უცხადესი ხდება.

სწორედ ამას ეყრდნობიან ყველა ქვეყნის კაპიტალისტები, როცა უარს გვეუბნებიან სესხებსა და კრედიტებზე, ვინაიდან ფიქრობენ, რომ ჩვენ საკუთარი ძალებით თავს ვერ გავართმევთ დაგროვების პრობლემას, მარცხი მოგვივა მძიმე მრეწველობის რეკონსტრუქციის საკითხში და იძულებული გავხდებით ქედი მოვიხაროთ მათ წინაშე, დავემონოთ მათ.

ხოლო რას მეტყველებენ ამაზე გასული წლის შედეგები? გასული წლის შედეგების მნიშვნელობა ის არის, რომ ისინი აცამტვერებენ ბატონ კაპიტალისტთა ვარაუდებს.

გასულმა წელმა ცხადყო, რომ, მიუხედავად სსრ კავშირის აშკარა და ფარული ფინანსური ბლოკადისა, ჩვენ არ დავემონეთ კაპიტალისტებს და ჩვენივე საკუთარი ძალებით წარმატებით გადავჭერით დაგროვების პრობლემა, საფუძველი ჩავუყარეთ მძიმე ინდუსტრიას. ამას ახლა მუშათა კლასის დაუძინებელი მტრებიც კი ვერ უარყოფენ.

მართლაც, თუ, ჯერ-ერთი, კაპიტალური დაბანდებები მსხვილ მრეწველობაში შარშან 1 600 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენდა, ამასთან დაახლოებით 1 300 მილიონი მძიმე მრეწველობას მოხმარდა, ხოლო წელს კაპიტალური დაბანდებები მსხვილ მრეწველობაში 3 400 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს, ამასთან 2 500 მილიონზე მეტი მძიმე მრეწველობას მოხმარდება; თუ, მეორე მხრივ, მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქცია შარშან 23%-ით გაიზარდა, ამასთან მძიმე მრეწველობაში ზრდამ 30% შეადგინა, ხოლო წელს მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქცია 32%-ით უნდა გაიზარდოს, ამასთან მძიმე

მრეწველობაში ზრდამ 46% უნდა შეადგინოს, — განა ცხადი არ არის, რომ მძიმე მრეწველობის ასაშენებლად დაგროვების პრობლემა ჩვენთვის გადაულახავ სიძნელეებს ალარ წარმოადგენს.

როგორ შეიძლება იმაში ეჭვის შეტანა, რომ ჩვენ აჩქარებული ნაბიჯით მივდივართ წინ ჩვენი მძიმე ინდუსტრიის განვითარების ხაზით, წინ ვუსწრებთ ძველ ტემპებს და უკან ვიტოვებთ ჩვენს «საუკუნეობრივ» ჩამორჩენილობას?

ყოველივე ნათქვამის შემდეგ განა გასაკვირველია, რომ ხუთწლედის ვარაუდებს გასულ წელს უკვე გადავაჭარბეთ, ხოლო ხუთწლედის **ოპტიმალური** ვარიანტი, რომელსაც ბურჟუაზიული მჯღაბნელები «მიუწვდომელ ფანტასტიკად» თვლიან და რომელიც თავზარსა სცემს ჩვენს მემარჯვენე ოპორტუნისტებს (ბუხარინის ჯგუფი), სინამდვილეში ხუთწლედის **მინიმალურ** ვარიანტად გადაიქცა?

«რუსეთის ხსნას, — ამბობს ლენინი, — წარმოადგენს არა მარტო კარგი მოსავალი გლეხურ მეურნეობაში, — ეს კიდევ ცოტაა, — და არა მარტო კარგი მდგომარეობა მსუბუქი მრეწველობისა, რომელიც მოხმარების საგნებს აწვდის გლეხობას, — ესეც კიდევ ცოტაა, — ჩვენთვის აუცილებელია აგრეთვე **მძიმე** ინდუსტრია... თუ არ ვიხსენით მძიმე მრეწველობა, თუ არ აღვადგინეთ იგი, ისე ვერავითარ მრეწველობას ვერ შევქმნით, უიმისოდ კი ჩვენ საერთოდ დავიღუპებით, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა... მძიმე ინდუსტრიას სახელმწიფო სუბსიდიები ესაჭიროება. თუ ეს სუბსიდიები ვერ გამოვნახეთ, მაშინ ჩვენ, როგორც ცივილიზებული სახელმწიფო — აღარ ვამბობ, როგორც სოციალისტური სახელმწიფო, — დავიღუპებით» (ტ. XXVII, გვ. 349).

აი რა მკვეთრად აყალიბებს ლენინი დაგროვების პრობლემას და პარტიის ამოცანას მძიმე მრეწველობის აშენების საქმეში.

გასულმა წელმა ცხადყო, რომ პარტია წარმატებით ართმევს თავს ამ ამოცანას, გადაჭრით სძლევს რა ყველა და ყოველგვარ სიძნელეს ამ გზაზე.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ მრეწველობას ამიერიდან სერიოზული სიძნელეები აღარ ექნება. მძიმე მრეწველობის აშენების ამოცანა ებჯინება არა მარტო დაგროვების პრობლემას. იგი ებჯინება კიდევ კადრების პრობლემას, ისეთ პრობლემას, როგორიც არის:

ა) ათეულათასობით საბჭოურად განწყობილი ტექნიკოსისა და სპეციალისტის **ჩაბმა** სოციალისტურ მშენებლობაში და

ბ) ახალი წითელი ტექნიკოსებისა და წითელი სპეციალისტების **გამოზრდა** მუშათა კლასის წრიდან.

თუ დაგროვების პრობლემა შეიძლება ძირითადად გადაჭრილად ჩაითვალოს, კადრების პრობლემა ჯერ კიდევ გადასაჭრელია. ხოლო კადრების პრობლემა ახლა, მრეწველობის ტექნიკური რეკონსტრუქციის ვითარებაში, სოციალისტური მშენებლობის გადამწყვეტი პრობლემაა.

«მთავარი, — ამბობს ლენინი, — რაც ჩვენ გვაკლია, ეს არის კულტურულობა, მართვის ცოდნა... ეკონომიურად და პოლიტიკურად **ნ ე ბ ი ე რ** სავსებით უზრუნველყოფს ჩვენთვის სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენების შესაძლებლობას. საქმე «მხოლოდ» პროლეტარიატისა და მისი ავანგარდის კულტურულ ძალებშია» (ტ. XXVII, გვ. 207).

ცხადია, აქ ლაპარაკია, უწინარეს ყოვლისა, «კულტურული ძალების» პრობლემაზე, საერთოდ სამეურნეო მშენებლობისათვის, განსაკუთრებით კი მრეწველობის მშენებლობისა და მმართველობისათვის საჭირო კადრების პრობლემაზე.

მაგრამ აქედან გამოდის, რომ, მიუხედავად უაღრესად სერიოზული მიღწევებისა დაგროვების დარგში, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ მძიმე მრეწველობისათვის, მძიმე მრეწველობის აშენების პრობლემა არ შეიძლება სავსებით გადაჭრილად ჩაითვალოს, სანამ კადრების პრობლემა არ გადაიჭრება.

აქედან გამომდინარეობს პარტიის ამოცანა — უშუალოდ მოჰკიდოს ხელი კადრების პრობლემას და აუცილებლად დაეუფლოს ამ ციხე-სიმაგრეს.

ასეთია პარტიის მეორე მიღწევა გასულ წელს.

III

სოფლის მეურნეობის მშენებლობის დარგში

დასასრულ, პარტიის გასული წლის მესამე მიღწევის შესახებ, რომელიც ორგანულად დაკავშირებულია ორ პირველ მიღწევასთან. ლაპარაკია **ძირეულ გარდატეხაზე** ჩვენი მიწათმოქმედების განვითარებაში წვრილი და ჩამორჩენილი **ინდივიდუალური** მეურნეობიდან მსხვილი და მოწინავე **კოლექტიური** მიწათმოქმედებისაკენ, მიწის საერთო ძალებით დამუშავებისაკენ, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისაკენ, არტელებისაკენ, კოლმეურნეობებისაკენ, რომლებიც ეყრდნობიან ახალ ტექნიკას, დასასრულ, გიგანტი საბჭოთა მეურნეობებისაკენ, რომლებიც შეიარაღებული არიან ასეული ტრაქტორებითა და კომბაინებით.

პარტიის მიღწევა აქ ის არის, რომ ჩვენ შევძელით **მოგვებრუნებინა** გლეხობის ძირითადი მასები მთელ რიგ რაიონებში განვითარების ძველი, **კაპიტალისტური** გზიდან, რომელიც ხელსაყრელია მხოლოდ ერთი მუჭა ბობოლა-კაპიტალისტებისათვის, ხოლო გლეხობის უდიდეს უმრავლესობას აიძულებს გაჩანაგდეს და სიღატაკეში იმყოფებოდეს, — განვითარების ახალი, **სოციალისტური** გზისაკენ, რომელიც აძევებს ბობოლა-კაპიტალისტებს, ხოლო საშუალო და ღარიბ გლეხებს აიარაღებს ახლებურად, აიარაღებს ახალი იარაღებით, აიარაღებს ტრაქტორებითა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, რათა შესაძლებლობა მისცეს მათ

თავი დააღწიონ სიღატაკესა და კულაკურ კაბალას და გამოვიდნენ მიწის ამხანაგური, კოლექტიური დამუშავების ფართო გზაზე.

პარტიის მიღწევა ის არის, რომ ჩვენ შევძელით მოგვეხდინა ეს **ძირეული გარდატეხა** თვით გლეხობის წიაღში და გაგვეყოლიებინა ღარიბი და საშუალო გლეხობის ფართო მასები, მიუხედავად წარმოუდგენელი სიძნელეებისა, მიუხედავად გააფთრებული წინააღმდეგობისა ყველა და ყოველგვარი ბნელი ძალების მხრივ, კულაკებითა და ხუცებით დაწყებული და ფილისტერებითა და მემარჯვენე ოპორტუნისტებით დამთავრებული.

აი ზოგიერთი ციფრი.

1928 წელს საბჭოთა მეურნეობების ნათესი ფართობი შეადგენდა 1 425 ათას ჰექტარს და მათი მარცვლეულის სასაქონლო პროდუქცია — 6 მილიონ ცენტნერზე მეტს (36 მილიონ ფუთზე მეტს), ხოლო კოლმეურნეობათა ნათესი ფართობი შეადგენდა 1 390 ათას ჰექტარს და მარცვლეულის სასაქონლო პროდუქცია — 3½ მილიონამდე ცენტნერს (20 მილიონ ფუთზე მეტს).

1929 წელს საბჭოთა მეურნეობების ნათესი ფართობი შეადგენდა 1 816 ათას ჰექტარს და მარცვლეულის სასაქონლო პროდუქცია — 8 მილიონამდე ცენტნერს (47 მილიონამდე ფუთს), ხოლო კოლმეურნეობათა ნათესი ფართობი შეადგენდა 4 262 ათას ჰექტარს და მარცვლეულის სასაქონლო პროდუქცია — 13 მილიონამდე ცენტნერს (78 მილიონამდე ფუთს).

მომავალ 1930 წელს საბჭოთა მეურნეობების ნათესი ფართობი საკონტროლო ციფრების მიხედვით ალბათ 3 280 ათასი ჰექტარი იქნება და მარცვლეულის სასაქონლო პროდუქცია — 18 მილიონი ცენტნერი (110 მილიონამდე ფუთი), ხოლო კოლმეურნეობათა ნათესი ფარ-

თობი უთუოდ იქნება 15 მილიონი ჰექტარი და მარცვლეულის სასაქონლო პროდუქცია — 49 მილიონამდე ცენტნერი (300 მილიონამდე ფუთი).

სხვანაირად რომ ვთქვათ, მომავალ 1930 წელს მარცვლეულის სასაქონლო პროდუქცია საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში 400 მილიონ ფუთზე მეტი იქნება, ე. ი. **მთელი** სოფლის მეურნეობის მარცვლეული სასაქონლო პროდუქციის 50 პროცენტზე მეტი (სოფლისგარეშე ბრუნვა).

უნდა ვაღიაროთ, რომ განვითარების ასეთი სწრაფი ტემპები **არ ახსოვს** ჩვენს სოციალიზებულ მსხვილ მრეწველობასაც კი, რომლის განვითარების ტემპები საერთოდ დიდი გაქანებით განირჩევა.

ცხადია, რომ ჩვენს ახალგაზრდა მსხვილ სოციალისტურ (კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების) მიწათმოქმედებას დიდი მომავალი აქვს, რომ იგი ზრდის სასწაულებს გამოიჩენს.

ეს უმაგალითო წარმატება საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში აიხსნება მთელი რიგი მიზეზებით, რომელთაგან საჭიროა აღინიშნოს შემდეგი მაინც.

იგი აიხსნება, **უწინარეს ყოვლისა**, იმით, რომ პარტია **ახორციელებდა** მასების აღზრდის ლენინურ პოლიტიკას, თანმიმდევრულად **აახლოებდა** გლეხთა მასებს კოლმეურნეობებთან კოოპერაციული საზოგადოებრიობის დანერგვის საშუალებით. იგი აიხსნება იმით, რომ პარტია წარმატებით ებრძოდა როგორც იმათ, ვინც ცდილობდა გაესწრო მოძრაობისათვის და დეკრეტირებით განევითარებინა კოლმეურნეობანი («მემარცხენე» ფრაზიორები), ისე იმათ, ვინც უკან ეწეოდა პარტიას და ცდილობდა დარჩენილიყო მოძრაობის კუდში (მემარჯვენე უთავგზურები). ასეთი პოლიტიკა რომ არა, პარტია ვერ გადააქცევდა საკოლმეურ-

ნეო მოძრაობას თვით გლეხების ნამდვილად მასობრივ მოძრაობად.

«როცა პეტროგრადის პროლეტარიატი და პეტროგრადის გარნიზონის ჯარისკაცები ძალაუფლებას იღებდნენ, — ამბობს ლენინი, — მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ მშენებლობა სოფლად დიდ სიძნელეებს წააწყდებოდა, რომ აქ საჭიროა წინსვლა უფრო თანდათანობით, რომ აქ უდიდესი უაზრობა იქნებოდა ცდა მიწის საზოგადოებრივი დამუშავების შემოღებისა დეკრეტებით და კანონებით, რომ ამაზე დათანხმდებოდა შეგნებულთა სრულიად უმნიშვნელო რიცხვი, ხოლო გლეხების უდიდესი უმრავლესობა ამ ამოცანას არ ისახავდა. ამიტომ ჩვენ ვჯერდებოდით იმას, რაც აბსოლუტურად აუცილებელია რევოლუციის განვითარების ინტერესებისათვის: არავითარ შემთხვევაში არ გაგვესწრო მასების განვითარებისათვის, არამედ დავლოდებოდით, ვიდრე ამ მასების საკუთარი გამოცდილება, მათი საკუთარი ბრძოლა არ გამოიწვევდა წინსვლას» (ტ. XXIII, გვ. 252).

თუ პარტიამ უდიდესი გამარჯვება მოიპოვა საკოლმეურნეო მშენებლობის ფრონტზე, ეს იმიტომ მოხდა, რომ იგი ზუსტად ასრულებდა ლენინის ამ ტაქტიკურ მითითებას.

იგი, ეს უმაგალითო წარმატება სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის საქმეში, აიხსნება, **მეორე მხრივ**, იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ სწორად გაითვალისწინა, რომ გლეხობას უფრო და უფრო ესაჭიროება ახალი ინვენტარი, ახალი ტექნიკა, მან სწორად გაითვალისწინა გლეხობის გამოუვალი მდგომარეობა მიწის დამუშავების ძველი ფორმების დროს და, გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, დროზე მოაგვარა გლეხობისათვის დახმარების გაწევა გასაქირავებელი პუნქტების, სატრაქტორო კოლონების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სახით, მიწის საზოგადოებრივი დამუშავების მოწყობის სახით, კოლმეურნეობათა დანერგვის სახით, დასასრულ, საბჭოთა მეურნეობების ძალებით გლეხური მეურნეობისათვის ყოველმხრივი დახმარების სახით.

კაცობრიობის ისტორიაში პირველად გაჩნდა ქვეყნად ისეთი ხელისუფლება, საბჭოების ხელისუფლება, რომელმაც საქმით დაამტკიცა თავისი მზადყოფნა და თავისი უნარი — გაუწიოს გლეხობის მშრომელ მასებს სისტემატური და ხანგრძლივი **საწარმოო** დახმარება.

განა ცხადი არ არის, რომ გლეხობის მშრომელი მასები, რომლებიც ძველთაგანვე განიცდიან ინვენტარის დიდ ნაკლებობას, არ შეიძლებოდა არ ჩასჭიდებოდნენ ამ დახმარებას, არ დასდგომოდნენ საკოლმეურნეო მოძრაობის გზას?

და განა გასაკვირველია, რომ მუშების ძველ ლოზუნგს: «პირი სოფლისაკენ» ამიერიდან ალბათ დაემატება კოლმეურნე გლეხთა ახალი ლოზუნგი: «პირი ქალაქისაკენ»?

იგი, ეს უმაგალითო წარმატება საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში, აიხსნება, **დასასრულ**, იმით, რომ ეს საქმე თავიანთ ხელში აიღეს ჩვენი ქვეყნის მოწინავე მუშებმა. მე ვგულისხმობ მუშათა ბრიგადებს, რომლებიც ათობით და ასობით არიან გაფანტულნი ჩვენი ქვეყნის ძირითად რაიონებში. უნდა ვაღიაროთ, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის ყველა არსებულ და შესაძლებელ პროპაგანდისტთა შორის მუშა-პროპაგანდისტები საუკეთესო პროპაგანდისტები არიან გლეხთა მასებში. რა უნდა იყოს გასაკვირველი იმაში, რომ მუშებმა შესძლეს დაერწმუნებინათ გლეხები მსხვილი კოლექტიური მეურნეობის უპირატესობაში ინდივიდუალურ წვრილ მეურნეობასთან შედარებით, მით უმეტეს, რომ არსებული კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი ამ უპირატესობის დამადასტურებელ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენენ?

აი რა ნიადაგზე წარმოიშვა ჩვენი მიღწევა საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში, მიღწევა, რომელიც, ჩემი აზრით, უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი მიღწევაა უკანასკნელი წლების ყველა მიღწევათაგან.

დაიმსხვრა და გაცამტვერდა «მეცნიერების» მოსაზრებანი იმის წინააღმდეგ, რომ შესაძლებელი და მიზანშეწონილია მარცვლეულის 40 — 50-ათასჰექტარიანი მსხვილი ფაბრიკების მოწყობა. პრაქტიკამ გააბათილა «მეცნიერების» მოსაზრებანი და კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ არა მარტო პრაქტიკა უნდა სწავლობდეს «მეცნიერებისაგან», არამედ «მეცნიერებისთვისაც» ზედმეტი არ იქნება ისწავლოს პრაქტიკისაგან.

კაპიტალისტურ ქვეყნებში მარცვლეულის მსხვილი გიგანტი-ფაბრიკები ვერ ხეირობენ. მაგრამ ჩვენი ქვეყანა სოციალისტური ქვეყანაა. არ შეიძლება დავივიწყოთ ეს «პატარა» განსხვავება.

იქ, კაპიტალისტებთან, არ შეიძლება მოეწყოს მარცვლეულის მსხვილი ფაბრიკა, თუ მიწის მთელი რიგი ნაკვეთები არ შეისყიდეს ან მიწის აბსოლუტური რენტა არ გადაიხადეს, რამაც არ შეიძლება არ დატვირთოს წარმოება კოლოსალური ხარჯებით, ვინაიდან იქ მიწის კერძო საკუთრება არსებობს. ჩვენში, პირიქით, არც მიწის აბსოლუტური რენტა არსებობს, არც მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვა, რამაც არ შეიძლება არ შექმნას ხელსაყრელი პირობები მარცვლეულის მსხვილი მეურნეობის განვითარებისათვის, ვინაიდან ჩვენში მიწის კერძო საკუთრება არ არსებობს.

იქ, კაპიტალისტებთან, მარცვლეულის მსხვილ მეურნეობათა მიზანს შეადგენს მოგების მაქსიმუმის მიღება ან, ყოველ შემთხვევაში, ისეთი მოგების მიღება, რაც შეესაბამება მოგების ეგრეთწოდებულ საშუალო ნორმას, უფრო მეტისოდ, საერთოდ რომ ვთქვათ, კაპიტალი დაინტერესებული არ არის ჩაებას მარცვლეულის მეურნეობის მოწყობის საქმეში. ჩვენში, პირიქით, მარცვლეულის მსხვილ მეურნეობებს, რომლებიც ამავე დროს სახელმწიფო მეურნეობები არიან, თავიანთი განვითარებისათვის არც მოგების

მაქსიმუმი ესაჭიროებათ, არც მოგების საშუალო ნორმა, არამედ შეუძლიათ დასჯერდნენ მოგების მინიმუმს, ზოგჯერ კი ისინი ყოველგვარი მოგების გარეშეც იოლად მიდიან, რაც კვლავ ხელსაყრელ პირობებს უქმნის მარცვლეულის მსხვილი მეურნეობის განვითარებას.

დასასრულ, კაპიტალიზმის დროს მარცვლეულის მსხვილი მეურნეობებისათვის არც განსაკუთრებული შეღავათიანი კრედიტები არსებობს, არც განსაკუთრებული შეღავათიანი გადასახადები, მაშინ როცა საბჭოთა წყობილების დროს, რომელიც მიზნად ისახავს სოციალისტური სექტორისათვის ხელის შეწყობას, ასეთი შეღავათები არსებობს და იარსებებს.

ყოველივე ეს დაივიწყა დიდად პატივცემულმა «მეცნიერებამ».

დაიმსხვრა და გაცამტვერდა მემარჯვენე ოპორტუნისტების (ბუხარინის ჯგუფი) მტკიცება იმის შესახებ, რომ:

ა) გლეხები კოლმეურნეობაში არ შევლენ,

ბ) კოლმეურნეობათა განვითარების გაძლიერებულმა ტემპმა შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ მასობრივი უკმაყოფილება და გლეხობის გათიშვა მუშათა კლასისაგან,

გ) სოფლად სოციალისტური განვითარების «მთავარ გზას» წარმოადგენენ **არა** კოლმეურნეობანი, **არამედ** კოოპერაცია,

დ) კოლმეურნეობათა განვითარებამ და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევამ შეიძლება ქვეყანა უპუროდ დატოვოს.

ყოველივე ეს დაიმსხვრა და გაცამტვერდა, როგორც ძველი ბურჟუაზიულ-ლიბერალური ნაგავი.

ჯერ-ერთი, გლეხები შევიდნენ კოლმეურნეობებში, შევიდნენ მთელი სოფლობით, თემობით, რაიონობით.

მეორეც, მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა კი არ ასუსტებს, არამედ განამტკიცებს გლეხობისა და მუშათა

კლასის კავშირს, აძლევს მას ახალ, საწარმოო ბაზას. ახლა ბრმებიც კი ხედავენ, რომ თუ გლეხობის ძირითად მასებში კიდევაც არის რაიმე სერიოზული უკმაყოფილება, იგი ეხება არა საბჭოთა ხელისუფლების საკოლმეურნეო პოლიტიკას, არამედ იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არ შეუძლია კვალდაკვალ მიჰყვეს საკოლმეურნეო მოძრაობის ზრდას იმ მხრივ, რომ გლეხები მანქანებითა და ტრაქტორებით მოამარაგოს.

მესამეც, დავა სოფლის სოციალისტური განვითარების «მთავარი გზის» შესახებ არის სქოლასტიკური დავა, რომელიც აიხენვალდისა და სლეპკოვის ტიპის ახალგაზრდა წვრილბურჟუაზიულ ლიბერალებს შეეფერება. ცხადია, სანამ მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა არ იყო, «მთავარ გზას» წარმოადგენდნენ კოოპერაციის დაბალი ფორმები, მომმარაგებელი და გამსაღებელი კოოპერაცია, ხოლო როცა ასპარეზზე გამოვიდა კოოპერაციის უმაღლესი ფორმა, მისი საკოლმეურნეო ფორმა, განვითარების «მთავარ გზად» ეს უკანასკნელი გადაიქცა.

უბრჭყალებოდ თუ ვიტყვით, სოფლის სოციალისტური განვითარების მთავარ გზას შეადგენს ლენინის კოოპერაციული გეგმა, რომელიც მოიცავს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ყველა ფორმას, დაბალი (მომმარაგებელ-გამსაღებელი) ფორმებით დაწყებული და უმაღლესი (საწარმოო-საკოლმეურნეო) ფორმებით დამთავრებული. კოოპერაციისათვის კოლმეურნეობების **დაპირდაპირება** ნიშნავს ლენინიზმის აბუჩად აგდებას და საკუთარი უმეცრების დადასტურებას.

მეოთხეც, ახლა ბრმებიც კი ხედავენ — სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევა რომ არ ყოფილიყო და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოძრაობა რომ არ განვითარებულიყო, ჩვენ ახლა არ გვექნებოდა არც გადამწყვეტი წარმატებანი პურის დამზადების საქმეში,

რაც წელს მოვიპოვეთ, არც ათეულმილიონობით ფუთი პურის ის ხელუხლებელი მარაგი, რაც უკვე დაგროვდა სახელმწიფოს ხელში.

უფრო მეტიც, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოძრაობის ზრდის მეოხებით ჩვენ საბოლოოდ ვაღწევთ თავს ან უკვე დავაღწიეთ თავი პურის კრიზისს. და თუ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განვითარება გაძლიერებული ტემპით წავიდა, საფუძველი არა გვაქვს დავეჭვდეთ იმაში, რომ ჩვენი ქვეყანა სულ რაღაც სამიოდე წლის შემდეგ გადაიქცევა ერთ-ერთ დიდად პურიან ქვეყნად მსოფლიოში, თუ ყველაზე პურიან ქვეყნად არა.

რა არის **ახალი** ახლანდელ საკოლმეურნეო მოძრაობაში? ახლანდელ საკოლმეურნეო მოძრაობაში ახალი და გადამწყვეტი ის არის, რომ კოლმეურნეობებში გლეხები შედიან არა ცალკე ჯგუფებად, როგორც ეს წინათ ხდებოდა, არამედ მთელი სოფლობით, თემობით, რაიონობით, ოლქობითაც კი.

ხოლო რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ **კოლმეურნეობებისაკენ დაიძრა საშუალო გლეხი.** ეს არის სოფლის მეურნეობის განვითარების იმ ძირეული გარდატეხის საფუძველი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს მიღწევას შეადგენს გასული წლის მანძილზე.

ინგრევა და იმსხვრევა ტროცკიზმის მენშევიკური «კოწციფცია» იმის შესახებ, თითქოს მუშათა კლასს უნარი არ შესწევს გაიყოლიოს გლეხობის ძირითადი მასები სოციალისტური მშენებლობის საქმეში. ახლა ბრმებიც კი ხედავენ, რომ საშუალო გლეხმა პირი იბრუნა კოლმეურნეობებისაკენ. ახლა ყველასათვის ცხადია, რომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ხუთწლედი სოციალისტური საზოგადოების აშენების ხუთწლედია, რომ იმ ადამიანებს, რომლებსაც არა სწამთ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის

აშენების შესაძლებლობა, უფლება არა აქვთ მიესალმონ ჩვენს ხუთწლედს.

იმსხვრევა და ჭარწყლდება უკანასკნელი იმედი ყველა ქვეყნის კაპიტალისტებისა, რომლებიც ოცნებობენ სსრ კავშირში კაპიტალიზმის აღდგენაზე,—«კერძო საკუთრების წმიდა პრინციპი». გლეხები, რომლებსაც ისინი კაპიტალიზმისათვის ნიადაგის გამანოყიერებელ მასალად თვლიან, მასობრივად ტოვებენ «კერძო საკუთრების» ნაქებ დროშას და გადადიან კოლექტივიზმის რელსებზე, სოციალიზმის რელსებზე. იმსხვრევა კაპიტალიზმის აღდგენის უკანასკნელი იმედი.

სხვათა შორის, სწორედ ამით აიხსნება ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური ელემენტების გააფთრებული ცდები — აამხედრონ შეტევაზე გადასული სოციალიზმის წინააღმდეგ ძველი სამყაროს მთელი ძალები, ცდები, რომლებიც იწვევენ კლასთა ბრძოლის გამწვავებას. კაპიტალს არ სურს «შეეზარდოს» სოციალიზმს.

ამითვე უნდა აიხსნას ის გაბოროტებული ღმუილი ბოლშევიზმის წინააღმდეგ, რაც უკანასკნელ ხანს ატეხეს კაპიტალის ჭოფაკებმა, ყველა ჯურის სტრუვეებმა და გესენებმა, მილიუკოვებმა და კერენსკებმა, დანებმა და აბრამოვიჩებმა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის: ჭრება კაპიტალიზმის აღდგენის უკანასკნელი იმედი.

მაშ რას შეიძლება მოწმობდეს კლასობრივი მტრების ეს ცოფმორეული გაბოროტება და კაპიტალის ლაქიების ეს გააფთრებული ღმუილი, თუ არა იმას, რომ პარტიამ მართლაც გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა სოციალისტური მშენებლობის უძნელეს ფრონტზე?

«მხოლოდ იმ შემთხვევაში, — ამბობს ლენინი, — თუ შევძლებთ საქმით ვუჩვენოთ გლეხებს მიწის საზოგადოებრივი, კოლექტიური, ამხანაგური, არტელური დამუშავების უპირატესობანი, მხოლოდ მაშინ, თუ შევძლებთ დავეხმაროთ გლეხს, ამხანაგური, არტელური მეურნეო-

ბის შემწეობით, მხოლოდ მაშინ მუშათა კლასი, რომელსაც ხელთ უპყრია სახელმწიფო ძალაუფლება, ნამდვილად დაუმტკიცებს გლეხს თავის სიმართლეს, ნამდვილად მიიმხრობს მტკიცედ და ჯეროვნად გლეხობის მრავალმილიონიან მასას» (ტ. XXIV, გვ. 579).

ასე აყენებს ლენინი იმ საკითხს, თუ რა გზით მოვიზიდოთ მრავალმილიონიანი გლეხობა მუშათა კლასის მხარეზე, რა გზით გადავიყვანოთ გლეხობა საკოლმეურნეო მშენებლობის რელსებზე.

გასულმა წელმა ცხადყო, რომ პარტია წარმატებით ართმევს თავს ამ ამოცანას, გადაჭრით სძლევს რა ყველა და ყოველგვარ სიძნელეს ამ გზაზე.

«კომუნისტურ საზოგადოებაში, — ამბობს ლენინი, — საშუალო გლეხობა მხოლოდ მაშინ იქნება ჩვენს მხარეზე, როცა მას ცხოვრების ეკონომიურ პირობებს შევუმსუბუქებთ და გავუუმჯობესებთ. ჩვენ რომ შეგვეძლოს მივცეთ ხვალ 100 ათასი პირველხარისხოვანი ტრაქტორი, მოვამარაგოთ ისინი ბენზინით, მოვამარაგოთ ისინი მემანქანეებით (თქვენ მშვენივრად იცით, რომ ჯერჯერობით ეს ფანტაზიაა), საშუალო გლეხი იტყოდა: «მე კომუნიის (ე. ი. კომუნიზმის) მომხრე ვარო». მაგრამ ეს რომ მოვახერხოთ, ამისათვის ჯერ უნდა დავამარცხოთ საერთაშორისო ბურჟუაზია, უნდა ვაიძულოთ იგი მოგვცეს ეს ტრაქტორები, ანდა იმდენად უნდა ავამაღლოთ ჩვენი წარმოების ნაყოფიერება, რომ თვითონ ჩვენ შევძლოთ მათი მიწოდება. მხოლოდ ეს იქნება საკითხის სწორი დაყენება» (ტ. XXIV, გვ. 170).

ასე აყენებს ლენინი იმ საკითხს, თუ რა გზით მოვახდინოთ საშუალო გლეხის ხელახალი ტექნიკური შეიარაღება, რა გზით მოვიზიდოთ იგი კომუნიზმის მხარეზე.

გასულმა წელმა ცხადყო, რომ პარტია ამ ამოცანასაც წარმატებით ართმევს თავს. ცნობილია, რომ დამდეგი 1930 წლის გაზაფხულისათვის ჩვენ მინდვრებზე გვექნება 60 ათასზე მეტი ტრაქტორი, ხოლო ერთი წლის შემდეგ — 100 ათასზე მეტი ტრაქტორი, კიდევ ორი წლის შემდეგ კი — 250 ათასზე მეტი ტრაქტორი. ის, რაც რამდენიმე წლის წი-

ნათ «ფანტაზიად» ითვლებოდა, ჩვენ ახლა საშუალება გვაქვს გადაჭარბებით ვაქციოთ სინამდვილედ.

აი სად არის იმის მიზეზი, რომ საშუალო გლეხმა პირი აბრუნა «კომუნიისაკენ».

ასეთია პარტიის მესამე მიღწევა.

ასეთია პარტიის ძირითადი მიღწევები გასულ წელს.

დასკვნები:

ჩვენ მთელი სისწრაფით მივეშურებით ინდუსტრიალიზაციის გზით — სოციალიზმისაკენ და უკან ვიტოვებთ ჩვენს საუკუნეობრივ «რუსეთულ» ჩამორჩენილობას.

ჩვენ ვხდებით ლითონის ქვეყანა, ავტომობილიზაციის ქვეყანა, ტრაქტორიზაციის ქვეყანა.

და როცა სსრ კავშირს დავსვამთ ავტომობილზე, ხოლო გლეხს ტრაქტორზე, — მაშინ სცადონ და დაგვეწიონ პატივცემული კაპიტალისტები, რომლებიც ყოყოჩობენ თავიანთი «ცივილიზაციით». მაშინ ვნახოთ, რომელი ქვეყნები შეიძლება «განვსაზღვროთ» ჩამორჩენილებად და რომელი მოწინავეებად.

1929 წ. 3 ნოემბერი.

«პრავდა» № 259,
1929 წ. 7 ნოემბერი.

ხელმოწერა: ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

შორეული აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმიის გაზეთ «ტრევოგას»[14] რედაქციას

ძმური სალამი შორეული აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმიის მებრძოლებსა და მეთაურებს, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციის უფლებებსა და ინტერესებს იცავენ ჩინელ მემამულეთა და კაპიტალისტთა მიერ ხელყოფისაგან!

ფხიზლად ადევნეთ თვალყური ჩინელი კონტრრევოლუციონერების ყოველ მოძრაობას, უპასუხეთ დარტყმას გამანადგურებელი დარტყმით და ამით დაეხმარეთ ჩვენს ძმებს ჩინეთში, ჩინეთის მუშებსა და გლეხებს, მემამულეთა და კაპიტალისტთა უღლის დამსხვრევაში.

გახსოვდეთ, რომ ამ საზეიმო დღეს სიყვარულით ფიქრობენ თქვენზე სსრ კავშირის მილიონობით მშრომელნი, თქვენთან ერთად დღესასწაულობენ დიად წლისთავს და თქვენთან ერთად უხარიათ შორეული აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმიის წარმატებანი.

გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციას!

გაუმარჯოს შორეული აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიას!

გაუმარჯოს ჩინეთის მუშებსა და გლეხებს!

ი. სტალინი

«პრავდა» № 259,
1929 წ. 7 ნოემბერი.

აუცილებელი შესწორება

16 დეკემბრის «პრავდაში» (№ 296) დაბეჭდილია ხელმოუწერელი სტატია **«არ შეიძლება არევდარევის გარეშე?»** (განყოფილება «პარტიული მშენებლობა»), სადაც გაკრიტიკებულია «კომსომოლსკაია პრავდაში» [15] დაბეჭდილი სტატიის **«შესავალი ნარკვევი ლენინიზმზე»** ერთ-ერთი დებულება, რომელშიც გარჩეულია მსოფლიო იმპერიალისტური ფრონტის რევოლუციური გარღვევის ყველაზე ხელსაყრელი პირობების საკითხი.

ავტორს მოჰყავს შემდეგი ციტატა გაკრიტიკებული სტატიიდან: «ლენინიზმი გვასწავლის, რომ რევოლუცია იმ ადგილას იწყება, სადაც იმპერიალისტური ჯაჭვი **ყველაზე სუსტ რგოლს** წარმოადგენს». შემდეგ, ავტორი **თანასწორობის ნიშანს** სვამს ამ ციტატასა და ბუხარინის «გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის» შემდეგ ციტატას შორის: «მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის კრახი დაიწყო **ყველაზე სუსტი სახალხო-სამეურნეო სისტემებიდან».** ავტორს შემდეგ მოჰყავს ლენინის კრიტიკული შენიშვნები ბუხარინის წიგნის ხსენებული ციტატის წინააღმდეგ და დაასკვნის, რომ «კომსომოლსკაია პრავდაში» დაბეჭდილ სტატიაში **«შესავალი ნარკვევი ლენინიზმზე»** დაშვებულია ბუხარინის შეცდომის ანალოგიური შეცდომა.

მე მგონია, რომ სტატიის **«არ შეიძლება არევდარევის გარეშე?»** ავტორმა შეცდომა დაუშვა. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება **თანასწორობის ნიშანი** დაისვას თეზისსა — «იმპერიალისტური ჯაჭვი წყდება იქ, სადაც იგი უფრო სუსტია» და ბუხარინის თეზისს შორის — «იმპერიალისტური ჯაჭვი წყდება იქ, სადაც სახალხო-სამეურნეო სისტემა უფრო სუსტია». რატომ? იმიტომ, რომ პირველ შემთხვევაში ლაპარაკია იმპერიალისტური ჯაჭვის სისუსტეზე, **რომელიც უნდა გავწყვიტოთ,** ე. ი. იმპერიალისტური ძალების სისუსტეზე, აქ კი, ბუხარინის წიგნში, ლაპარაკია იმ ქვეყნის სახალხო-სამეურნეო სისტემის სისუსტეზე, **რომელმაც** (ე. ი. ქვეყანამ) **უნდა გაწყვიტოს** იმპერიალიზმის ჯაჭვი, ე. ი. **ანტი**იმპერიალისტური ძალების სისუსტეზე. ეს სრულებითაც არ არის ერთი და იგივე. უფრო მეტიც — ეს ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო თეზისია.

ბუხარინის მიხედვით გამოდის, რომ იმპერიალისტური ფრონტი იქ ირღვევა, სადაც სახალხო-სამეურნეო სისტემა ყველაზე სუსტია. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. ეს რომ სწორი იყოს, პროლეტარული რევოლუცია სადმე ცენტრალურ აფრიკაში დაიწყებოდა, და არა რუსეთში. ხოლო სტატიაში **«შესავალი ნარკვევი ლენინიზმზე»** ნათქვამია ბუხარინის თეზისის **პირდაპირ საწინააღმდეგო** რამ, სახელდობრ ის, რომ იმპერიალისტური ჯაჭვი წყდება იქ, სადაც იგი (ჯაჭვი) უფრო სუსტია. და ეს სრული სიმართლეა. მსოფლიო იმპერიალიზმის ჯაჭვი სწორედ იმიტომ წყდება მოცემულ ქვეყანაში, რომ იგი (ჯაჭვი) ამჟამად **უფრო სუსტია** სწორედ ამ ქვეყანაში. სხვანაირად რომ იყოს, ეს ჯაჭვი არც გაწყდებოდა. სხვანაირად რომ იყოს, მენშევიკები მართალი იქნებოდნენ თავიანთ ბრძოლაში ლენინიზმის წინააღმდეგ.

ხოლო რით განისაზღვრება იმპერიალისტური ჯაჭვის სისუსტე ამა თუ იმ ქვეყანაში? ამ ქვეყანაში საბრეწველო

განვითარებისა და კულტურულობის ერთგვარი მინიმუმის არსებობით. იქ ინდუსტრიული პროლეტარიატის ერთგვარი მინიმუმის არსებობით. ამ ქვეყანაში პროლეტარიატისა და პროლეტარული ავანგარდის რევოლუციურობით. იქ პროლეტარიატის სერიოზული მოკავშირის (მაგალითად, გლეხობა) არსებობით, რომელსაც შეუძლია გაჰყვეს პროლეტარიატს გადამწყვეტ ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მაშასადამე, ისეთი პირობების შეხამებით, რომლებიც გარდუვალს ხდიან ამ ქვეყანაში იმპერიალიზმის იზოლაციასა და დამხობას.

სტატიის «**არ შეიძლება არევდარევის გარეშე?**» ავტორმა აშკარად ერთმანეთში არია ორი **სრულიად სხვადასხვა რამ.**

მართლაც: არ შეიძლება არევდარევის გარეშე?

«პრავდა» № 298,
1929 წ. 18 დეკემბერი.
ხელმოწერა: ი. ს ტ.

ყველა ორგანიზაციასა და ამხანაგებს, რომლებმაც გამოგზავნეს მისალმებანი ამხ. სტალინის დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით

თქვენს მოლოცვებსა და მისალმებებს ვაკუთვნებ მუშათა კლასის დიად პარტიას, რომელმაც მშობა და აღმზარდა სახედ და მსგავსად თვისად. და სწორედ იმიტომ, რომ მათ ვაკუთვნებ ჩვენს სახელოვან ლენინურ პარტიას, ვბედავ გიპასუხოთ ბოლშევიკური მადლობით.

შეგიძლიათ ეჭვი არ იქონიოთ, ამხანაგებო, რომ მე მზადა ვარ კვლავაც მოვახმარო მუშათა კლასის საქმეს, პროლეტარული რევოლუციისა და მსოფლიო კომუნიზმის საქმეს მთელი ჩემი ძალღონე, მთელი ჩემი უნარი და, თუ საჭირო იქნება, მთელი ჩემი სისხლი, წვეთ-წვეთად.

ღრმა პატივისცემით

ი. სტალინი

1929 წ. 21 დეკემბერი.

«პრავდა» № 302,
1929 წ. 22 დეკემბერი.

აგრარული პოლიტიკის საკითხებისათვის სსრ კავშირში

სიტყვა აგრარიკოს-მარქსისტთა კონფერენციაზე

1929 წ. 27 დეკემბერი [16]

ამხანაგებო! ჩვენი საზოგადოებრივ-სამეურნეო ცხოვრების ძირითადი ფაქტი ამჟამად, ფაქტი, რომელიც საყოველთაო ყურადღებას იპყრობს, არის საკოლმეურნეო მოძრაობის კოლოსალური ზრდის ფაქტი.

ახლანდელი საკოლმეურნეო მოძრაობის დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ კოლმეურნეობებში შედიან არა მარტო ღარიბი გლეხობის ცალკეული ჯგუფები, როგორც ეს დღემდე იყო, არამედ კოლმეურნეობებში მასობრივად შედის საშუალო გლეხიც. ეს იმას ნიშნავს, რომ საკოლმეურნეო მოძრაობა მშრომელი გლეხების ცალკეული ჯგუფებისა და შუაფენების მოძრაობიდან გადაიქცა გლეხობის ძირითადი მასების მილიონთა და მილიონთა მოძრაობად. სხვათა შორის, ამით უნდა აიხსნას ის კოლოსალური მნიშვნელობის ფაქტი, რომ საკოლმეურნეო მოძრაობა, რომელმაც მძლავრი, სულ უფრო მზარდი **ანტიკულაკური** ზვავის ხასიათი მიიღო, თავის გზაზე აცამტვერებს კულაკის წინააღმდეგობას, ამსხვრევს კულაკობას და გზას უკაფავს ფართო სოციალისტურ მშენებლობას სოფლად.

მაგრამ თუ ჩვენ საფუძველი გვაქვს ვიამაყოთ სოციალისტური მშენებლობის **პრაქტიკული** წარმატებებით, არ შეიძლება იგივე ითქვას ჩვენი **თეორიული** მუშაობის წარმატებებზე საერთოდ ეკონომიკის დარგში და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის დარგში. უფრო მეტიც: უნდა ვაღიაროთ, რომ თეორიული აზროვნება ჩამორჩება ჩვენს პრაქტიკულ წარმატებებს, რომ ჩვენ გვაქვს ერთგვარი დაშორება პრაქტიკულ წარმატებებსა და თეორიული აზროვნების განვითარებას შორის. აუცილებელი კია, რომ თეორიული მუშაობა არა თუ არ ჩამორჩებოდეს პრაქტიკულ მუშაობას, არამედ წინ უსწრებდეს მას, აიარაღებდეს ჩვენს პრაქტიკოსებს მათს ბრძოლაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

აქ სიტყვას არ გავაგრძელებ თეორიის მნიშვნელობაზე. თქვენ ეს საკმაოდ კარგად იცით. ცნობილია, რომ თეორია, თუ იგი ნამდვილი თეორიაა, პრაქტიკოსებს აძლევს ორიენტირების ძალას, პერსპექტივის სიცხადეს, სიმტკიცეს მუშაობაში, ჩვენი საქმის გამარჯვების რწმენას. ყოველივე ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, — და არც შეიძლება არა ჰქონდეს, — ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საქმეში. უბედურება ის არის, რომ ჩვენ მოვიკოჭლებთ სწორედ ამ დარგში, ჩვენი ეკონომიკის საკითხების თეორიული დამუშავების დარგში.

მაშ რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ჩვენში, ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ჯერ კიდევ გასავალი აქვს სხვადასხვა ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ თეორიებს ჩვენი ეკონომიკის საკითხებზე? რით უნდა აიხსნას, რომ ამ თეორიებს და ვაი-თეორიებს დღემდე ჯეროვანი წინააღმდეგობა არ ეწევა? რით უნდა აიხსნას, რომ მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის მთელი რიგი ძირითადი დებულებანი, რომლებიც უეჭვო წამალს წარმოადგენენ ბურჟუაზიული და წვრილ-

ბურჟუაზიული თეორიების წინააღმდეგ, დავიწყებას ეძლევა, რომ არ ხდება მათი პოპულარიზაცია ჩვენს პრესაში, რატომღაც არ აყენებენ მათ პირველ ადგილზე? განა ძნელია იმის გაგება, რომ კლასობრივ მტრებზე სრული გამარჯვების მიღწევა შეუძლებელია, თუ მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე შეურიგებელი ბრძოლა არ ვაწარმოეთ ბურჟუაზიული თეორიების წინააღმდეგ?

ახალი პრაქტიკა წარმოშობს ახალ მიდგომას გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის პრობლემებისადმი. ახლებურად ისმება ახლა საკითხი ნეპის შესახებ, კლასების შესახებ, მშენებლობის ტემპების შესახებ, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ, პარტიის პოლიტიკის შესახებ. პრაქტიკას რომ არ ჩამოვრჩეთ, ახლავე უნდა შევუდგეთ ყველა ამ პრობლემის დამუშავებას ახალი ვითარების თვალსაზრისით. უამისოდ შეუძლებელია იმ ბურჟუაზიული თეორიების დაძლევა, რომლებიც გონებას უნაგვიანებენ ჩვენს პრაქტიკოსებს. უამისოდ შეუძლებელია აღმოვფხვრათ ეს თეორიები, რომლებიც ცრურწმენათა სიმტკიცეს იძენენ. ვინაიდან მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციების განმტკიცებას შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ იმით, თუ ვიბრძოლებთ ბურჟუაზიულ ცრურწმენათა წინააღმდეგ თეორიაში.

ნება მიბოძეთ გადავიდე თუნდაც ზოგიერთი ამ ბურჟუაზიული ცრურწმენის დახასიათებაზე, რომლებსაც თეორიებს უწოდებენ, და ცხადვყო მათი უსაფუძვლობა ჩვენი მშენებლობის ზოგიერთი საკვანძო პრობლემის გაშუქებით.

I

«წონასწორობის» თეორია

თქვენ, რასაკვირველია, იცით, რომ კომუნისტებს შორის ჯერ კიდევ აქვს გასავალი ჩვენი სახალხო მეურნეობის სექტორების ეგრეთწოდებულ «წონასწორობის» თეორიას.

ამ თეორიას, რა თქმა უნდა, საერთო არა აქვს რა მარქსიზმთან. მაგრამ სწორედ ამ თეორიის პროპაგანდას ეწევიან მთელი რიგი პირები მემარჯვენე უკლონისტთა ბანაკიდან.

ამ თეორიის მიხედვით იგულისხმება, რომ ჩვენ უწინარეს ყოვლისა გვაქვს სოციალისტური სექტორი, — ეს თავისებური ყუთია, — და გარდა ამისა გვაქვს არასოციალისტური, თუ გნებავთ — კაპიტალისტური სექტორი, — ეს მეორე ყუთია. ორივე ეს ყუთი დადგმულია სხვადასხვა რელსებზე და მშვიდობიანად მისრიალებს წინ ისე, რომ ერთმანეთს არ ეხება. გეომეტრიიდან ვიცით, რომ პარალელური ხაზები ერთმანეთს არ ხვდებიან. მაგრამ ამ შესანიშნავი თეორიის ავტორები ფიქრობენ, რომ ოდესმე ეს პარალელები ერთმანეთს შეხვდებიან და, როცა შეხვდებიან, მივიღებთ სოციალიზმს. ამასთან ეს თეორია მხედველობიდან უშვებს, რომ ეგრეთწოდებულ «ყუთებს» უკან დგანან კლასები, ხოლო ამ «ყუთების» მოძრაობა ხდება გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის პირობებში, «ვინ ვის» პრინციპის მიხედვით მიმდინარე ბრძოლის პირობებში.

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ამ თეორიას ლენინიზმთან საერთო არა აქვს რა. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ეს თეორია ობიექტურად მიზნად ისახავს დაიცვას ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის პოზიციები, შეაიარაღოს კულაკური ელემენტები «ახალი» თეორიული იარაღით მათს ბრძოლაში კოლმეურნეობების წინააღმდეგ და სახელი გაუტეხოს კოლმეურნეობათა პოზიციებს.

მიუხედავად ამისა, მას, ამ თეორიას, დღემდე გასავალი აქვს ჩვენს პრესაში. და არ შეიძლება ითქვას, რომ ეს თეორია სერიოზულ წინააღმდეგობას, მით უმეტეს — გამანადგურებელ წინააღმდეგობას ხვდებოდეს ჩვენი თეორეტიკოსების მხრივ. მაშ რით უნდა აიხსნას ეს შეუსაბა-

მობა, თუ არა ჩვენი თეორიული აზროვნების ჩამორჩენილობით?

ამავე დროს კი საკმარისია მარქსიზმის საგანძურიდან ამოვიღოთ რეპროდუქციის თეორია და დავუპირდაპიროთ იგი სექტორების წონასწორობის თეორიას, რომ ამ უკანასკნელი თეორიის ნასახიც აღარ დარჩეს. მართლაც, რეპროდუქციის მარქსისტული თეორია გვასწავლის, რომ თანამედროვე საზოგადოება ვერ განვითარდება, თუ იგი წლითი-წლობით არ აგროვებს სახსრებს, ხოლო დაგროვება შეუძლებელია, თუ წლითი-წლობით არ იწარმოებს გაფართოებული რეპროდუქცია. ეს ცხადი და გასაგებია. ჩვენი მსხვილი ცენტრალიზებული სოციალისტური მრეწველობა ვითარდება გაფართოებული რეპროდუქციის მარქსისტული თეორიის მიხედვით, ვინაიდან იგი ყოველწლიურად იზრდება თავისი მოცულობით, აქვს თავისი დაგროვება და გოლიათური ნაბიჯით მიდის წინ.

მაგრამ ჩვენი სახალხო მეურნეობა მსხვილი მრეწველობით როდი ამოიწურება. პირიქით, ჩვენს სახალხო მეურნეობაში ჯერ კიდევ ჭარბობს წვრილი გლეხური მეურნეობა. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ჩვენი წვრილგლეხური მეურნეობა გაფართოებული რეპროდუქციის პრინციპის მიხედვით ვითარდება? არა, ამის თქმა არ შეიძლება. ჩვენი წვრილგლეხური მეურნეობის მასა არა თუ ყოველწლიურად არ ახორციელებს გაფართოებულ რეპროდუქციას, არამედ, პირიქით, მას ძალიან იშვიათად აქვს შესაძლებლობა განახორციელოს მარტივი რეპროდუქციაც კი. შეიძლება თუ არა დაჩქარებული ტემპით წავწიოთ წინ ჩვენი სოციალიზებული ინდუსტრია, როცა გვაქვს სოფლის მეურნეობის ისეთი ბაზა, როგორიც წვრილგლეხური მეურნეობაა, რომელსაც გაფართოებული რეპროდუქციის უნარი არა აქვს და რომელიც ამასთანავე უპირატეს ძალას წარმოადგენს ჩვენს სახალხო მეურნეობაში? არა, არ შეიძ-

ლება. შეიძლება თუ არა ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დავამყაროთ საბჭოთა ხელისუფლება და სოციალისტური მშენებლობა ორ **სხვადასხვა** საფუძველზე — ყველაზე მსხვილი და გაერთიანებული სოციალისტური მრეწველობის საფუძველზე და ყველაზე დაქუცმაცებული და ჩამორჩენილი წვრილსასაქონლო გლეხური მეურნეობის საფუძველზე? არა, არ შეიძლება. ეს როდისმე უნდა დამთავრდეს მთელი სახალხო მეურნეობის სრული მოშლით.

მაშ სად **არის** გამოსავალი? გამოსავალი ის არის, რომ გავამსხვილოთ სოფლის მეურნეობა, მივცეთ **მას** დაგროვების, გაფართოებული რეპროდუქციის უნარი და ამრიგად გარდავქმნათ სახალხო მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო ბაზა.

მაგრამ როგორ გავამსხვილოთ იგი?

ამისათვის არსებობს ორი გზა. არსებობს **კაპიტალისტური** გზა, რომელიც გულისხმობს სოფლის მეურნეობის გამსხვილებას მასში კაპიტალიზმის დანერგვით, გზა, რომელსაც მივყავართ გლეხობის გაღატაკებისა და სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტურ საწარმოთა განვითარებისაკენ. ამ გზას ჩვენ უარვყოფთ, როგორც საბჭოთა მეურნეობასთან შეუთავსებელ გზას.

არსებობს მეორე გზა, **სოციალისტური** გზა, რომელიც გულისხმობს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დანერგვას სოფლის მეურნეობაში, გზა, რომელსაც მივყავართ წვრილგლეხურ მეურნეობათა გაერთიანებისაკენ ტექნიკითა და მეცნიერებით შეიარაღებულ და შემდგომი განვითარების შესაძლებლობის მქონე მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებად, ვინაიდან ამ მეურნეობებს შეუძლიათ განახორციელონ გაფართოებული რეპროდუქცია.

მაშასადამე, საკითხი ასე დგას: ან ერთი გზა, ან მეორე, **ან უკან** — კაპიტალიზმისაკენ, ან **წინ** — სოციალიზმისაკენ.

არავითარი მესამე გზა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

«წონასწორობის» თეორია მესამე გზის დასახვის ცდაა. და სწორედ იმიტომ, რომ ის ითვალისწინებს მესამე (არარსებულ) გზას, იგი უტოპიური, ანტიმარქსისტულია.

ამრიგად, საკმარისი იყო მარქსის რეპროდუქციის თეორია დაგვეპირდაპირებინა სექტორების «წონასწორობის» თეორიისათვის, რომ ამ უკანასკნელი თეორიის ნასახიც აღარ დარჩენილიყო.

მაშ რატომ არ აკეთებენ ამას ჩვენი აგრარიკოს-მარქსისტები? ვისთვის არის საჭირო, რომ «წონასწორობის» სასაცილო თეორიას გასავალი ჰქონდეს ჩვენს პრესაში, ხოლო რეპროდუქციის მარქსისტული თეორია მივიწყებული იყოს?

II

სოციალისტურ მშენებლობაში «თვითდინების» თეორია

გადავიდეთ მეორე ცრურწმენაზე პოლიტიკურ ეკონომიაში, ბურჟუაზიული ტიპის მეორე თეორიაზე. მხედველობაში მაქვს თეორია «თვითდინებისა» სოციალისტური მშენებლობის საქმეში, თეორია, რომელსაც მარქსიზმთან საერთო არა აქვს რა, მაგრამ რომელსაც გულმოდგინედ ქადაგებენ ჩვენი ამხანაგები მემარჯვენე ბანაკიდან.

ამ თეორიის ავტორები დაახლოებით შემდეგს ამტკიცებენ. ჩვენ გვქონდა კაპიტალიზმი, ვითარდებოდა ინდუსტრია კაპიტალისტურ ბაზაზე, სოფელი კი კაპიტალისტურ ქალაქს მიჰყვებოდა სტიქიურად, თვითდინებით, სახეს იცვლიდა ხატად და მსგავსად კაპიტალისტური ქალაქისა. თუ ასე ხდებოდა კაპიტალიზმის დროს, რატომ არ შეიძლება იგივე მოხდეს საბჭოთა მეურნეობის დროსაც? რატომ არ შეუძლია სოფელს, წვრილგლეხურ მეურნეობას, გაჰყვეს სოციალისტურ ქალაქს თვითდინების გზით, სტიქიურად

იცვალოს სახე ხატად და მსგავსად სოციალისტური ქალაქისა? ამ თეორიის ავტორები ამ საბუთით ამტკიცებენ, რომ სოფელს შეუძლია თვითდინების წესით გაჰყვეს სოციალისტურ ქალაქს. აქედან — კითხვა: ღირს თუ არა თავი გამოვიდოთ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების შექმნისათვის, ღირს თუ არა ფარ-ხმალი ვამსხვრიოთ, თუ სოფელს უამისოდაც შეუძლია გაჰყვეს სოციალისტურ ქალაქს?

აი კიდევ ერთი თეორია, რომელიც ობიექტურად მიზნად ისახავს ახალი იარაღით აღჭურვოს სოფლის კაპიტალისტური ელემენტები მათს ბრძოლაში კოლმეურნეობათა წინააღმდეგ.

ამ თეორიის ანტიმარქსისტული არსი სავსებით უეჭველია.

განა უცნაური არ არის, რომ ჩვენმა თეორეტიკოსებმა ჯერ კიდევ ვერ მოიცალეს იმისათვის, რომ გაეცამტვერებინათ ეს ახირებული თეორია, რომელიც გონებას უნაგვიანებს ჩვენს პრაქტიკოს-კოლმეურნეებს?

ეჭვს გარეშეა, რომ წვრილგლეხური ინდივიდუალისტური სოფლის მიმართ სოციალისტური ქალაქის წამყვანი როლი დიდი და ფასდაუდებელია. სწორედ ამას ემყარება ინდუსტრიის გარდამქმნელი როლი სოფლის მეურნეობის მიმართ. მაგრამ საკმარისია თუ არა ეს ფაქტორი იმისათვის, რომ წვრილგლეხური სოფელი თვითონ თვითდინებით გაჰყვეს ქალაქს სოციალისტური მშენებლობის საქმეში? არა, არ არის საკმარისი.

კაპიტალიზმის დროს სოფელი სტიქიურად მიჰყვებოდა ქალაქს, იმიტომ რომ ქალაქის კაპიტალისტური მეურნეობა და გლეხის წვრილსასაქონლო ინდივიდუალური მეურნეობა თავისი საფუძვლით **ერთი ტიპის** მეურნეობას წარმოადგენენ. რა თქმა უნდა, წვრილგლეხური სასაქონლო მეურნეობა ჯერ კიდევ არ არის კაპიტალისტური მეურნეობა.

მაგრამ იგი თავისი საფუძვლით იმავე ტიპისაა, რაც კაპიტალისტური მეურნეობა, რადგან წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებას ემყარება. ათასჯერ მართალია ლენინი, როცა თავის შენიშვნებში ბუხარინის წიგნის — «გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის» — შესახებ ლაპარაკობს «გლეხობის სასაქონლო-**კაპიტალისტურ** ტენდენციაზე» წინააღმდეგ «პროლეტარიატის **სოციალისტური** ტენდენციისა»*[17]. სწორედ ამით აიხსნება, რომ «წვრილი წარმოება **წარმოშობს** კაპიტალიზმსა და ბურჟუაზიას განუწყვეტლივ, ყოველდღე, ყოველ საათს, სტიქიურად და მასობრივი მასშტაბით» [18] **(ლენინი).**

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ წვრილსასაქონლო გლეხური მეურნეობა თავისი საფუძვლით იმავე ტიპისაა, რაც ქალაქის სოციალისტური წარმოება? ცხადია, ამის თქმა არ შეიძლება მარქსიზმთან კავშირის გაუწყვეტლად. ასე რომ არ იყოს, ლენინი არ იტყოდა, რომ «სანამ ჩვენ წვრილგლეხურ ქვეყანაში ვცხოვრობთ, კაპიტალიზმისათვის რუსეთში უფრო მტკიცე ეკონომიური ბაზა არსებობს, ვიდრე კომუნიზმისათვის» [19].

მაშასადამე, თეორია «თვითდინებისა» სოციალისტური მშენებლობის საქმეში დამპალი, ანტილენინური თეორიაა.

მაშასადამე, წვრილგლეხური სოფელი სოციალისტურ ქალაქს რომ გაჰყვეს, ამისთვის, ყოველივე დანარჩენს გარდა, კიდევ საჭიროა **დაინერგოს** სოფლად მსხვილი სოციალისტური მეურნეობები საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების, როგორც სოციალიზმის ბაზის, სახით, რომლებსაც შეეძლებათ სოციალისტური ქალაქის მეთაურობით **გაიყოლიონ** გლეხობის ძირითადი მასები.

მაშასადამე, თეორია «თვითდინებისა» სოციალისტურ მშენებლობაში ანტიმარქსისტული თეორიაა. სოციალის-

* ხაზგასმა ლენინისაა. **ი. სტ.**

ტურ ქალაქს შეუძლია **გაიყოლიოს** წვრილგლეხური სოფელი მხოლოდ იმ პირობით, თუ სოფლად **დანერგავს** კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს და გარდაქმნის სოფელს ახალ, სოციალისტურ ყაიდაზე.

უცნაურია, რომ ანტიმარქსისტული თეორია «თვითდინებისა» სოციალისტურ მშენებლობაში დღემდე ვერ ხვდება ჯეროვან წინააღმდეგობას ჩვენი თეორეტიკოს-აგრარიკოსების მხრივ.

III

წვრილგლეხური მეურნეობის «მყარობის» თეორია

გადავიდეთ მესამე ცრურწმენაზე პოლიტიკურ ეკონომიაში, წვრილგლეხური მეურნეობის «მყარობის» თეორიაზე. ყველასათვის ცნობილია ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის დავა მარქსიზმის იმ ცნობილი თეზისის წინააღმდეგ, რომელიც შეეხება ბსხვილი მეურნეობის უპირატესობას წვრილთან შედარებით და რომელსაც თითქოს ძალა აქვს მხოლოდ მრეწველობაში, მაგრამ გამოუყენებელია სოფლის მეურნეობაში. დავიდისა და ჰერცის ტიპის სოციალ-დემოკრატი თეორეტიკოსები, რომლებიც ამ თეორიას ქადაგებენ, ამასთანავე ცდილობდნენ «დაყრდნობოდნენ» იმ ფაქტს, რომ წვრილი გლეხი ამტანია, მომთმენია, მზად არის გაუძლოს ყოველგვარ გაჭირვებას, ოღონდ კი თავისი ნაჭერი მიწა შეინარჩუნოს, რომ, ამის გამო, მიწათმოქმედებაში მსხვილ მეურნეობასთან ბრძოლის დროს წვრილგლეხური მეურნეობა მყარობას იჩენს.

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ასეთი «მყარობა» ყოველგვარ მერყეობაზე უარესია. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ამ ანტიმარქსისტულ თეორიას მიზნად აქვს მხო-

ლოდ ერთი რამ: შექება და განმტკიცება კაპიტალისტური წესწყობილებისა, რომელიც წვრილი გლეხების მილიონიან მასებს აღატაკებს. და სწორედ იმიტომ, რომ ამ თეორიას ასეთი მიზანი აქვს, სწორედ ამიტომ შესძლეს მარქსისტებმა ასე ადვილად გაეცამტვერებინათ ეს თეორია.

მაგრამ ახლა საქმე ეს კი არ არის. საქმე ის არის, რომ ჩვენი პრაქტიკა, ჩვენი სინამდვილე იძლევა ახალ არგუმენტებს ამ თეორიის წინააღმდეგ, ხოლო ჩვენს თეორეტიკოსებს რატომღაც არ სურთ ან არ შეუძლიათ გამოიყენონ ეს ახალი იარაღი მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ. მხედველობაში მაქვს მიწის კერძო საკუთრების მოსპობის პრაქტიკა, მიწის ნაციონალიზაციის პრაქტიკა ჩვენში, პრაქტიკა, რომელიც წვრილ გლეხს ათავისუფლებს თავისი ნაჭერი მიწისადმი მონური ერთგულებისაგან და ამით აადვილებს გადასვლას **წვრილი** გლეხური მეურნეობიდან **მსხვილ**, კოლექტიურ მეურნეობაზე.

მართლაც, რა აკავშირებდა, აკავშირებს და მომავალშიც დააკავშირებს დასავლეთ ევროპაში წვრილ გლეხს თავის წვრილ სასაქონლო მეურნეობასთან? უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად თავისი საკუთარი ნაჭერი მიწის არსებობა, მიწის კერძო საკუთრების არსებობა. იგი წლობით აგროვებდა ფულს იმისათვის, რომ ეყიდა ნაჭერი მიწა, მან იყიდა ეს მიწა და, გასაგებია, არა სურს შეეღიოს მას, ამჯობინებს აიტანოს ყველა და ყოველგვარი გაჭირვება, ამჯობინებს გაველურდეს, გაღატაკდეს, ოღონდ კი შეინარჩუნოს თავისი ნაჭერი მიწა — მისი ინდივიდუალური მეურნეობის საფუძველი.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ეს ფაქტორი ამ სახით განაგრძობს მოქმედებას ჩვენშიც, საბჭოთა წყობილების პირობებში? არა, არ შეიძლება ითქვას. არ შეიძლება ითქვას, რადგან ჩვენში არ არსებობს მიწის კერძო საკუთრება.

და სწორედ იმიტომ, რომ ჩვენში არ არსებობს მიწის კერძო საკუთრება, ჩვენში არ არის გლეხის ის მონური ერთგულებაც ნაჭერი მიწისადმი, რაც დასავლეთშია. ეს გარემოება კი არ შეიძლება არ აადვილებდეს წვრილგლეხური მეურნეობის გადასვლას კოლმეურნეობათა რელსებზე.

აი სად არის იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ **მსხვილი** მეურნეობები სოფლად, კოლმეურნეობები სოფლად, ასე ადვილად ცხადყოფენ ჩვენში, მიწის ნაციონალიზაციის პირობებში, თავიანთ **უპირატესობას წვრილი** გლეხური მეურნეობის წინაშე.

აი სად არის უდიდესი რევოლუციური მნიშვნელობა საბჭოთა აგრარული კანონებისა, რომლებმაც მოსპეს აბსოლუტური რენტა, გააუქმეს მიწის კერძო საკუთრება და დააწესეს მიწის ნაციონალიზაცია.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ ჩვენს განკარგულებაშია ახალი არგუმენტი ბურჟუაზიული ეკონომისტების წინააღმდეგ, რომლებიც აცხადებენ წვრილგლეხური მეურნეობის მყარობას მსხვილ მეურნეობასთან ბრძოლაში.

რატომ საკმაოდ არ იყენებენ ამ ახალ არგუმენტს ჩვენი თეორეტიკოს-აგრარიკოსები ყველა და ყოველგვარი ბურჟუაზიული თეორიების წინააღმდეგ ბრძოლაში?

მიწის ნაციონალიზაციას რომ ვახორციელებდით, ჩვენ ვემყარებოდით, სხვათა შორის, იმ თეორიულ წანამძღვრებს, რომლებიც მოცემულია «კაპიტალის» მესამე ტომში, მარქსის ცნობილ წიგნში «ზედმეტი ღირებულების თეორიები» და ლენინის აგრარულ შრომებში, რომლებიც თეორიული აზროვნების უმდიდრეს საგანძურს წარმოადგენენ. მე მხედველობაში მაქვს მიწის რენტის თეორია საერთოდ და მიწის აბსოლუტური რენტის თეორია განსაკუთრებით. ახლა ცხადია, რომ ამ შრომების თეორიული დებულებანი

ბრწყინვალედ დაადასტურა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკამ ქალაქად და სოფლად.

ოღონდ გაუგებარია, რატომ უნდა ჰქონდეთ ჩვენს პრესაში თავისუფალი გასავალი ჩაიანოვის ტიპის «საბჭოთა» ეკონომისტების ანტიმეცნიერულ თეორიებს, ხოლო მარქს-ენგელს-ლენინის გენიალური შრომები მიწის რენტისა და მიწის აბსოლუტური რენტის თეორიის შესახებ პირველ ადგილზე არ უნდა იყოს წამოყენებული, დავიწყებას უნდა ეძლეოდეს და არ უნდა ხდებოდეს მათი პოპულარიზაცია?

თქვენ, ალბათ, გახსოვთ ენგელსის ცნობილი ბროშურა «გლეხთა საკითხი». თქვენ, რა თქმა უნდა, გახსოვთ, რამდენად წინდახედულად უდგება ენგელსი საამხანაგო მეურნეობის გზაზე, კოლექტიური მეურნეობის გზაზე წვრილი გლეხების გადაყვანის საკითხს. ნება მიბოძეთ მოვიყვანო ენგელსის ბროშურის სათანადო ადგილი:

«ჩვენ გადაჭრით ვდგავართ წვრილი გლეხის მხარეზე; ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც კი შესაძლებელია, რომ მან უფრო რიგიანად იცხოვროს, რომ გავუადვილოთ მას ამხანაგობაზე გადასვლა იმ შემთხვევაში, თუ იგი ამას გადაწყვეტს; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იგი ჯერ კიდევ ვერ შესძლებს მიიღოს ეს გადაწყვეტილება, შევეცდებით **რაც შეიძლება მეტი დრო** მივცეთ მას ამის მოსაფიქრებლად **თავის ნაჭერ მიწაზე**» * [20].

თქვენ ხედავთ, რამდენად წინდახედულად უდგება ენგელსი კოლექტივიზმის რელსებზე ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის გადაყვანის საკითხს. რით უნდა აიხსნას ენგელსის ასეთი, ერთი შეხედვით გადაჭარბებული, წინდახედულობა? რას ემყარებოდა იგი ამ შემთხვევაში? ცხადია, იგი ემყარებოდა მიწის კერძო საკუთრების არსებობას, იმ ფაქტს, რომ გლეხს აქვს «თავისი ნაჭერი მიწა და რომ მისთვის, გლეხისთვის, სამძიმო იქნება შეელიოს ამ ნაჭერს. ასეთია გლეხობა დასავლეთში. ასეთია გლეხობა კაპი-

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ტალისტურ ქვეყნებში, სადაც მიწის კერძო საკუთრება არსებობს. გასაგებია, რომ აქ საჭიროა დიდი წინდახედულობა.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ჩვენში, სსრ კავშირში, ასეთივე მდგომარეობაა? არა, ამის თქმა არ შეიძლება. არ შეიძლება, ვინაიდან ჩვენში არ არსებობს მიწის კერძო საკუთრება, რომელიც გლეხს აჯაჭვავს თავის ინდივიდუალურ მეურნეობაზე. არ შეიძლება, ვინაიდან ჩვენში მიწის ნაციონალიზაციაა, რომელიც აადვილებს კოლექტივიზმის რელსებზე ინდივიდუალური გლეხის გადასვლის საქმეს.

აი სად არის იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ჩვენში ამ ბოლო დროს შედარებით ასე ადვილად და სწრაფად ვითარდება საკოლმეურნეო მოძრაობა.

სამწუხაროა, რომ ჩვენს თეორეტიკოს-აგრარიკოსებს ჯერ კიდევ არ უცდიათ სათანადო სიცხადით გამოეაშკარავებინათ ეს განსხვავება გლეხის მდგომარეობისა ჩვენში და დასავლეთში. ასეთ მუშაობას კი უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა არა მარტო ჩვენთვის, საბჭოთა მუშაკებისათვის, არამედ ყველა ქვეყნის კომუნისტებისთვისაც. ვინაიდან კაპიტალისტურ ქვეყნებში პროლეტარული რევოლუციისათვის სულ ერთი არ არის, მოუხდებათ იქ სოციალიზმის შენება პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის პირველი დღეებიდანვე მიწის ნაციონალიზაციის ბაზაზე თუ ასეთი ბაზის უქონლად.

ჩემს სტატიაში, რომელიც ამას წინათ დაიბეჭდა («დიადი გარდატეხის წელი». *), მე ვავითარებდი გარკვეულ არგუმენტებს იმის შესახებ, რომ მიწათმოქმედებაში მსხვილ მეურნეობას უპირატესობა აქვს წვრილ მეურნეობასთან შედარებით, მხედველობაში მქონდა რა მსხვილი საბჭოთა მეურნეობები. მტკიცებაც კი არ ესაჭიროება იმას, რომ ყველა ეს არგუმენტი მთლიანად და სავსებით ეხება კოლ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 131—149. რ ე დ.

მეურნეობებსაც, როგორც მსხვილ სამეურნეო ერთეულებს. მე ვლაპარაკობ არა მარტო განვითარებულ კოლმეურნეობებზე, რომლებსაც სამანქანო-სატრაქტორო ბაზა აქვთ, არამედ პირველადს კოლმეურნეობებზეც, რომლებიც საკოლმეურნეო მშენებლობის, ასე ვთქვათ, მანუფაქტურულ პერიოდს წარმოადგენენ და გლეხურ ინვენტარს ეყრდნობიან. მხედველობაში მაქვს ის პირველადი კოლმეურნეობები, რომლებიც ამჟამად იქმნებიან მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში და რომლებიც ეყრდნობიან წარმოების გლეხური იარაღების უბრალო შეერთებას.

ავიღოთ, მაგალითად, კოლმეურნეობები ყოფილ დონის ოლქის ხოპიორის რაიონში. ტექნიკის თვალსაზრისით ეს კოლმეურნეობები ერთი შეხედვით თითქოს არ განსხვავდებიან წვრილი გლეხური მეურნეობისაგან (ცოტა აქვთ მანქანები, ცოტა აქვთ ტრაქტორები). კოლმეურნეობათა წიაღში გლეხური იარაღების უბრალო შეერთებამ კი ისეთი ეფექტი მოგვცა, რომელზედაც არც კი ოცნებობდნენ ჩვენი პრაქტიკოსები. რით გამოიხატა ეს ეფექტი? იმით, რომ კოლმეურნეობათა რელსებზე გადასვლამ ნათესი ფართობი 30, 40 და 50 პროცენტით გაადიდა. რით უნდა ავხსნათ ეს «თავბრუდამხვევი» ეფექტი? იმით, რომ გლეხები, რომლებიც უძლურნი იყვნენ ინდივიდუალური შრომის პირობებში, უდიდეს ძალად გადაიქცნენ, როდესაც თავიანთი იარაღები შეაერთეს და კოლმეურნეობებში გაერთიანდნენ. იმით, რომ გლეხებს შესაძლებლობა მიეცათ დაემუშავებინათ ინდივიდუალური შრომის პირობებში ძნელად დასამუშავებელი მიტოვებული მიწები და ყამირი. იმით, რომ გლეხებს შესაძლებლობა მიეცათ ხელში აეღოთ ყამირი. იმით, რომ შესაძლებელი გახდა მიგდებული მიწების, მიწის ცალკე ნაჭრების, მიჯნებისა და სხვ. და სხვ. გამოყენება.

მიტოვებული მიწებისა და ყამირის დამუშავების საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის. თქვენ იცით, რომ ძველად რუსეთში რევოლუციური მოძრაობის ღერძს აგრარული საკითხი წარმოადგენდა. თქვენ იცით, რომ აგრარული მოძრაობის ერთ-ერთი მიზანი იყო მიწის სიმცირის მოსპობა. მაშინ ბევრი ფიქრობდა, მიწის ეს სიმცირე აბსოლუტურიაო, ე. ი. რუსეთში დასამუშავებლად ვარგისი თავისუფალი მიწები აღარ არისო. ნამდვილად კი რა გამოირკვა? ახლა სავსებით ცხადია, რომ სსრ კავშირში იყო და დარჩა ათეულმილიონობით ჰექტარი თავისუფალი მიწები, მაგრამ გლეხს არავითარი შესაძლებლობა არ ჰქონდა დაემუშავებინა ეს მიწები თავისი უბადრუკი იარაღებით. და სწორედ იმიტომ, რომ გლეხს შესაძლებლობა არ ჰქონდა დაემუშავებინა ყამირი და მიტოვებული მიწები, სწორედ ამიტომ მიისწრაფოდა იგი «რბილი მიწებისაკენ», იმ მიწებისაკენ, რომლებიც მემამულეებს ეკუთვნოდათ, იმ მიწებისაკენ, რომელთა დამუშავებაც მოსახერხებელი იყო გლეხური ინვენტარის ძალებით ინდივიდუალური შრომის პირობებში. აი რა იყო «მიწის სიმცირის» საფუძველი. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ჩვენს მარცვლეულის ტრესტს, რომელიც ტრაქტორებით არის აღჭურვილი, ახლა შესაძლებლობა აქვს დაამუშაოს ოციოდე მილიონი ჰექტარი თავისუფალი მიწები, რომლებიც გლეხებს არ უჭირავთ და რომელთა დამუშავება შეუძლებელია ინდივიდუალური შრომის წესით წვრილგლეხური ინვენტარის ძალებით.

საკოლმეურნეო მოძრაობის მნიშვნელობა ყველა მის ფაზაში, — მის პირველადს ფაზაშიც და უფრო განვითარებულ ფაზაშიც, როდესაც ის ტრაქტორებით არის აღჭურვილი, — სხვათა შორის, ის არის, რომ გლეხებს ახლა შესაძლებლობა ეძლევათ დაამუშაონ მიტოვებული მიწები და

ყამირი. ამაშია საიდუმლოება ნათესი ფართობების უდიდესი ზრდისა გლეხების კოლექტიურ შრომაზე გადასვლის დროს. ეს არის ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობასთან შედარებით კოლმეურნეობათა უპირატესობის ერთ-ერთი საფუძველი.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობასთან შედარებით კოლმეურნეობათა უპირატესობა კიდევ უფრო უდავო გახდება, როდესაც მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში პირველადს კოლმეურნეობებს დაეხმარებიან ჩვენი მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და კოლონები, როდესაც თვით კოლმეურნეობებს მიეცემათ შესაძლებლობა თავიანთ ხელში დააგროვონ ტრაქტორები და კომბაინები.

IV

ძალაჭი და სოფელი

არსებობს ცრურწმენა ეგრეთწოდებული «მაკრატლის» შესახებ, რომელსაც ბურჟუაზიული ეკონომისტები ნერგავენ; ამ ცრურწმენას ულმობელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს, ისევე როგორც ყველა სხვა ბურჟუაზიულ თეორიას, რომლებიც, სამწუხაროდ, გავრცელებულია საბჭოთა პრესაში. მხედველობაში მაქვს თეორია იმის შესახებ, რომ ოქტომბრის რევოლუციამ გლეხობას ვითომც ნაკლები მისცა, ვიდრე თებერვლის რევოლუციამ, რომ ოქტომბრის რევოლუციას, არსებითად, არაფერი არ მიუცია გლეხობისათვის.

ამ ცრურწმენას ერთ დროს ჩვენს პრესაში ავრცელებდა ერთ-ერთი «საბჭოთა» ეკონომისტი. მართალია, მან, ამ «საბჭოთა» ეკონომისტმა, შემდეგში უარი თქვა თავის თეორიაზე. (ხ მ ა: «ვინ არის იგი?»). ეს არის გრომანი. მაგრამ ამ თეორიას ხელი ჩასჭიდა ტროცკისტულ-ზინოვიე-

ვურმა ოპოზიციამ და გამოიყენა პარტიის წინააღმდეგ. ამასთან არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვამტკიცოთ, რომ მას ამჟამადაც არა აქვს გასავალი «საბჭოთა» საზოგადოებრიობის წრეებში.

ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, ამხანაგებო. იგი ეხება ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის პრობლემას. იგი ეხება ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობის პრობლემას. იგი ეხება უაღრესად აქტუალურ საკითხს «მაკრატლის» შესახებ. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ღირს ყურადღება შევაჩეროთ ამ უცნაურ თეორიაზე.

მართალია თუ არა, რომ ოქტომბრის რევოლუციისაგან გლეხებს არაფერი მიუღიათ? მივმართოთ ფაქტებს.

მე ხელთ მაქვს ცნობილი სტატისტიკოსის ამხ. ნემჩინოვის ცნობილი ცხრილი, გამოქვეყნებული ჩემს სტატიაში «პურის ფრონტზე» [21]. ამ ცხრილიდან ჩანს, რომ რევოლუციამდე მემამულეებს «მოჰყავდათ» სულ ცოტა 600 მილიონი ფუთი მარცვლეული პური. მაშასადამე, **მემამულეების** ხელში მაშინ იყო 600 მილიონი ფუთი პური.

ამ ცხრილის მიხედვით **კულაკებს** მაშინ «მოჰყავდათ» 1 900 მილიონი ფუთი პური. ეს მეტად დიდი ძალაა, რომელიც მაშინ კულაკებს ჰქონდათ.

ღარიბ და **საშუალო გლეხებს** კი იმავე ცხრილის მიხედვით მოჰყავდათ 2 500 მილიონი ფუთი პური.

ასეთია ძველი სოფლის, ოქტომბრის რევოლუციის წინადროინდელი სოფლის მდგომარეობის სურათი.

რა ცვლილებები მოხდა სოფლად ოქტომბრის შემდეგ? ვიღებ ციფრებს იმავე ცხრილიდან. ავიღოთ, მაგალითად, 1927 წელი. რამდენი მოიყვანეს ამ წელს **მემამულეებმა?** ცხადია, მათ არაფერი მოუყვანიათ და არც შეეძლოთ მოეყვანათ, იმიტომ რომ მემამულეები ოქტომბრის რევოლუციამ მოსპო. თქვენ მიხვდებით, რომ ამას დიდად უნდა შეემსუ-

ბუქებინა გლეხობის მდგომარეობა, ვინაიდან გლეხები განთავისუფლდნენ მემამულეთა უღლისაგან. ეს, რა თქმა უნდა, გლეხობისათვის დიდი მოგებაა, რომელიც მან ოქტომბრის რევოლუციის შედეგად მიიღო.

რამდენი მოიყვანეს **კულაკებმა** 1927 წელს? 600 მილიონი ფუთი პური ნაცვლად 1 900 მილიონი ფუთისა. მაშასადამე, ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდში კულაკები ერთისამად და უფრო მეტად დასუსტდნენ. თქვენ მიხვდებით, რომ ამას არ შეეძლო არ შეემსუბუქებინა ღარიბი და საშუალო გლეხების მდგომარეობა.

ხოლო რამდენი მოიყვანეს **ღარიბმა და საშუალო გლეხებმა** 1927 წელს? 4 მილიარდი ფუთი ნაცვლად 2 500 მილიონი ფუთისა. მაშასადამე, ღარიბ და საშუალო გლეხებს ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ 1,5 მილიარდი ფუთით მეტი პური მოჰყავთ, ვიდრე რევოლუციამდე მოჰყავდათ.

აი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ღარიბმა და საშუალო გლეხებმა ოქტომბრის რევოლუციის შედეგად კოლოსალური სარგებლობა ნახეს.

აი რა მისცა ოქტომბრის რევოლუციამ ღარიბ და საშუალო გლეხებს.

როგორ შეიძლება ამის შემდეგ იმის მტკიცება, რომ ოქტომბრის რევოლუციას გლეხებისათვის არაფერი მიუცია?

მაგრამ ეს ყველაფერი როდია, ამხანაგებო. ოქტომბრის რევოლუციამ მოსპო მიწის კერძო საკუთრება, მოსპო მიწის ყიდვა-გაყიდვა, გაატარა მიწის ნაციონალიზაცია. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ პურის მოსაყვანად გლეხს ახლა სრულიადაც არ ესაჭიროება იყიდოს მიწა. წინათ იგი წლობით აგროვებდა სახსრებს იმისათვის, რომ შეეძინა მიწა, ვალებში ეფლობოდა, კაბალაში ვარდებოდა, ოღონდ კი მიწა ეყიდა. მიწის ყიდვაზე გაწეული ხარჯი, რა

თქმა უნდა, ადიდებდა პურის წარმოების ღირებულებას. ახლა გლეხს ეს აღარ ესაჭიროება. ახლა მას შეუძლია პური ისე მოიყვანოს, რომ მიწა არ იყიდოს. მაშასადამე, ასეულ-მილიონობით მანეთი, რასაც გლეხები მიწის შესაძენად ხარჯავდნენ, ახლა გლეხებს ჯიბეში რჩებათ. როგორ გგონიათ — უმსუბუქებს ეს გლეხებს მდგომარეობას თუ არ უმსუბუქებს? ცხადია, უმსუბუქებს.

შემდეგ. უკანასკნელ დრომდე გლეხი იძულებული იყო ეჩიჩქნა მიწა ძველი ინვენტარით ინდივიდუალური შრომის წესით. ყველასათვის ცნობილია, რომ წარმოების ძველი, ახლა უკვე უვარგისი იარაღებით აღჭურვილი ინდივიდუალური შრომა არ იძლევა იმ სარგებლობას, რაც საჭიროა იმისათვის, რომ გლეხმა რიგიანად იცხოვროს, სისტემატურად გაიუმჯობესოს მატერიალური მდგომარეობა, განავითაროს თავისი კულტურა და გამოვიდეს სოციალისტური მშენებლობის ფართო გზაზე. ახლა, საკოლმეურნეო მოძრაობის გაძლიერებული განვითარების შემდეგ, გლეხებს შესაძლებლობა აქვთ გაერთიანონ თავიანთი შრომა თავიანთი მეზობლების შრომასთან, გაერთიანდნენ კოლმეურნეობაში, გატეხონ ყამირი, გამოიყენონ მიტოვებული მიწა, მიიღონ მანქანა და ტრაქტორი და ამრიგად, თუ ერთისამად არა, ერთიორად მაინც გაადიდონ თავისი შრომის ნაყოფიერება. ეს კი რას ნიშნავს? ეს იმას ნიშნავს, რომ გლეხს ახლა, კოლმეურნეობებში გაერთიანების მეოხებით, შესაძლებლობა აქვს იმავე შრომის დახარჯვით გაცილებით მეტი მოიყვანოს, ვიდრე წინათ მოჰყავდა. მაშასადამე, ეს იმას ნიშნავს, რომ პურის წარმოება ბევრად იაფდება, ვიდრე ეს უკანასკნელ დრომდე იყო. დასასრულ, ეს იმას ნიშნავს, რომ ფასების სტაბილობის დროს გლეხს შეუძლია პურში გაცილებით მეტი მიიღოს, ვიდრე აქამდე იღებდა.

როგორ შეიძლება ყოველივე ამის შემდეგ იმის მტკიცება, რომ ოქტომბრის რევოლუციას გლეხობისათვის სარგებლობა არ მოუტანია?

განა ცხადი არ არის, რომ ადამიანები, რომლებიც ასეთ რამეს ჩმახავენ, აშკარად სწამებენ ცილს პარტიას, საბჭოთა ხელისუფლებას?

მაგრამ რა გამომდინარეობს ყოველივე ნათქვამიდან?

აქედან გამომდინარეობს, რომ ახლა «მაკრატლის» საკითხი, «მაკრატლის» ლიკვიდაციის საკითხი ახლებურად უნდა დაისვას. აქედან გამომდინარეობს, რომ თუ საკოლმეურნეო მოძრაობა ახლანდელი ტემპით გაიზრდება, «მაკრატელი» უახლოეს დროში მოისპობა. აქედან გამომდინარეობს, რომ ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის საკითხი ახალ ნიადაგზე დგება, რომ ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობა აჩქარებული ტემპით გაქრება.

ამ გარემოებას, ამხანაგებო, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი მშენებლობისათვის. იგი გარდაქმნის გლეხის ფსიქოლოგიას და პირს აბრუნებინებს მას ქალაქისაკენ. იგი ნიადაგს ქმნის ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობისათვის. იგი ნიადაგს ქმნის იმისათვის, რომ პარტიის ლოზუნგს «პირი სოფლისაკენ» დაემატოს კოლმეურნე გლეხთა ლოზუნგი «პირი ქალაქისაკენ».

და აქ გასაკვირველი არაფერია, ვინაიდან გლეხი ახლა ქალაქისაგან იღებს მანქანას, ტრაქტორს, აგრონომს, ორგანიზატორს, დასასრულ, პირდაპირ დახმარებას კულაკობის წინააღმდეგ საბრძოლველად და მის დასაძლევად. ძველი ტიპის გლეხი თავისი მხეცური უნდობლობით ქალაქისადმი, როგორც მძარცველისადმი, უკანა რიგში ექცევა. მის ადგილს იჭერს ახალი გლეხი, კოლმეურნე გლეხი, რომელიც ქალაქს შეჰყურებს იმედით, რომ იქიდან რეალურ **საწარმოო** დახმარებას მიიღებს. ძველი ტიპის გლეხის ადგილს, რომელ-

საც ეშინია ღარიბ გლეხამდე დაქვეითებისა და რომელიც მხოლოდ მალულად ადის კულაკის მდგომარეობამდე (შეიძლება საარჩევნო უფლება ჩამოართვან!), იჭერს ახალი გლეხი, რომელსაც აქვს ახალი პერსპექტივა — შევიდეს კოლმეურნეობაში, თავი დააღწიოს სილატაკესა და უმეცრებას და გამოვიდეს სამეურნეო და კულტურული აღმავლობის ფართო გზაზე.

აი რა მიმართულებას იღებს საქმე, ამხანაგებო.

მით უფრო სამწუხაროა, ამხანაგებო, რომ ჩვენმა თეორეტიკოს-აგრარიკოსებმა ყველა ზომა არ მიიღეს იმისათვის, რომ გაეცამტვერებინათ და ძირფესვიანად ამოეგლიჯათ ყველა და ყოველგვარი ბურჟუაზიული თეორიები, რომლებიც ცდილობენ სახელი გაუტეხონ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართ და მზარდ საკოლმეურნეო მოძრაობას.

V

კოლმეურნეობათა გუნების შესახებ

კოლმეურნეობები, როგორც მეურნეობის **ტიპი**, სოციალისტური მეურნეობის ერთ-ერთი ფორმაა. ამაში არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება.

აქ გამოსული ერთ-ერთი ორატორი სახელს უტეხდა კოლმეურნეობებს. ის გვარწმუნებდა, რომ კოლმეურნეობებს, როგორც სამეურნეო ორგანიზაციებს, საერთო არა აქვთ რა მეურნეობის სოციალისტურ ფორმასთან. მე უნდა განვაცხადო, ამხანაგებო, რომ კოლმეურნეობების ასეთი დახასიათება სრულიად არასწორია. ეჭვს გარეშეა, რომ მას, ამ დახასიათებას, საერთო არა აქვს რა სინამდვილესთან.

რით განისაზღვრება მეურნეობის ტიპი? აშკარაა, ადამიანთა ურთიერთობით წარმოების პროცესში. აბა სხვით რითღა შეიძლება განისაზღვროს მეურნეობის ტიპი? მაგ-

რამ განა კოლმეურნეობაში არის კლასი ადამიანებისა, რომლებიც წარმოების საშუალებათა მესაკუთრეები არიან, და კლასი ადამიანებისა, რომლებიც მოკლებული არიან წარმოების ამ საშუალებებს? განა კოლმეურნეობაში არის ექსპლოატატორთა კლასი და ექსპლოატირებულთა კლასი? განა კოლმეურნეობა არ წარმოადგენს წარმოების ძირითადი იარაღების განსაზოგადოებას მიწაზე, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნის? რა საფუძველი არსებობს იმის მტკიცებისათვის, რომ კოლმეურნეობები, როგორც მეურნეობის ტიპი, სოციალისტური მეურნეობის ერთ-ერთ ფორმას არ წარმოადგენენ?

რა თქმა უნდა, კოლმეურნეობებში არის წინააღმდეგობანი. რა თქმა უნდა, კოლმეურნეობებში მოიპოვება ინდივიდუალისტური და თვით კულაკური გადმონაშთები, რომლებიც ჯერ არ გამქრალა, მაგრამ რომლებიც აუცილებლად უნდა გაქრეს დროთა განმავლობაში, რაც უფრო განმტკიცდებიან კოლმეურნეობები, რაც უფრო მეტად მოხდება მათი მანქანიზაცია. მაგრამ განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ კოლმეურნეობები მთლიანად, აღებულნი მათი წინააღმდეგობებითა და ნაკლოვანებებით, კოლმეურნეობები, როგორც **სამეურნეო** ფაქტი, ძირითადად წარმოადგენენ სოფლის განვითარების ახალ გზას, სოფლის **სოციალისტური** განვითარების გზას, **წინააღმდეგ** განვითარების კულაკური, **კაპიტალისტური** გზისა? განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ კოლმეურნეობები (მე ვლაპარაკობ კოლმეურნეობებზე და არა ცრუკოლმეურნეობებზე) ჩვენს პირობებში წარმოადგენენ სოფლად სოციალისტური მშენებლობის ბაზასა და კერას, რომლებიც კაპიტალისტურ ელემენტებთან მძაფრ შეტაკებებში შეიქმნენ?

განა ცხადი არ არის, რომ ზოგიერთი ამხანაგის ცდა — **სახელი გაუტეხოს კოლმეურნეობებს და გამოაცხადოს ისინი**

მეურნეობის ბურჟუაზიულ ფორმად — ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია?

1923 წელს ჩვენში ჯერ კიდევ არ იყო მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა. ლენინს თავის ბროშურაში «კოოპერაციის შესახებ» მხედველობაში ჰქონდა კოოპერაციის ყველა სახე, მისი დაბალი ფორმებიც (მომმარაგებელ-გამსაღებელი) და უმაღლესი ფორმებიც (საკოლმეურნეო ფორმა). რას ამბობდა მაშინ იგი კოოპერაციაზე, კოოპერაციულ საწარმოებზე? აი ერთი ციტატა ლენინის ბროშურიდან «კოოპერაციის შესახებ»:

«ჩვენში არსებული წყობილების დროს კოოპერაციული საწარმონი განსხვავდებიან კერძო-კაპიტალისტური საწარმოებისაგან, როგორც კოლექტიური საწარმონი, მაგრამ **არ განსხვავდებიან** * სოციალისტურ საწარმოთაგან, თუ მიწა, რომელზეც ისინი მოწყობილი არიან, და წარმოების საშუალებანი ეკუთვნის სახელმწიფოს, ე. ი. მუშათა კლასს» (ტ. XXVII, გვ. 396).

მაშასადამე, ლენინი კოოპერაციულ საწარმოებს იღებს არა თავისთავად, არამედ ჩვენში არსებულ წყობილებასთან დაკავშირებით, იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი მოქმედებენ სახელმწიფოს კუთვნილ მიწაზე, ისეთ ქვეყანაში, სადაც წარმოების საშუალებები სახელმწიფოს ეკუთვნის, და, განიხილავს რა მათ ასეთი წესით, ლენინი ამტკიცებს, რომ კოოპერაციული საწარმოები არ განსხვავდებიან სოციალისტური საწარმოებისაგან.

ამას ამბობს ლენინი კოოპერაციული საწარმოების შესახებ საერთოდ.

განა ცხადი არ არის, რომ მით უფრო მეტი საფუძველი გვაქვს იგივე ვთქვათ ჩვენი პერიოდის კოლმეურნეობების შესახებ?

---

* ხაზგასმა ჩემია. ი. ს.

სხვათა შორის, სწორედ ამით აიხსნება, რომ ლენინს «კოოპერაციის უბრალო ზრდა» ჩვენს პირობებში «სოციალიზმის ზრდის იგივეობად» მიაჩნია.

თქვენ ხედავთ, რომ, სახელს უტეხდა რა კოლმეურნეობებს, ზემოხსენებულმა ორატორმა ყოვლად უხეში შეცდომა დაუშვა ლენინიზმის წინააღმდეგ.

ამ შეცდომიდან გამომდინარეობს მისი მეორე შეცდომა — კოლმეურნეობებში კლასობრივი ბრძოლის შესახებ. ორატორმა ისე ფერადოვნად დახატა კლასობრივი ბრძოლა კოლმეურნეობებში, რომ შეიძლება იფიქრო, კოლმეურნეობებში კლასობრივი ბრძოლა კოლმეურნეობებს გარეთ წარმოებული კლასობრივი ბრძოლისაგან **არ განსხვავდებაო.** უფრო მეტიც, შეიძლება იფიქრო, რომ იქ ეს ბრძოლა უფრო გააფთრებული ხდება. ესეც კია, მარტო ხსენებული ორატორი როდი სცოდავს ამ საქმეში. ლაყბობა კლასობრივი ბრძოლის შესახებ, წრიპინი და კივილი კლასობრივი ბრძოლის შესახებ კოლმეურნეობებში ახლა ყველა ჩვენი «მემარცხენე» ყბედის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს. ამასთან ამ წრიპინში ყველაზე კომიკური ის არის, რომ ეს მოწრიპინენი კლასობრივ ბრძოლას «ხედავენ» იქ, სადაც ის არ არის ან თითქმის არ არის, მაგრამ ვერ ხედავენ მას იქ, სადაც იგი არსებობს და ბობოქრობს.

არის თუ არა კლასობრივი ბრძოლის ელემენტები კოლმეურნეობებში? დიახ, არის. არ შეიძლება კლასობრივი ბრძოლის ელემენტები არ იყოს კოლმეურნეობებში, თუ იქ ჯერ კიდევ რჩება ინდივიდუალისტური ანდა თვით კულაკური ფსიქოლოგიის ნაშთები, თუ იქ ჯერ კიდევ არის ერთგვარი უთანასწორობა მატერიალურ მდგომარეობაში. განა შეიძლება ითქვას, რომ კლასობრივი ბრძოლა კოლმეურნეობებში იგივეა, რაც კლასობრივი ბრძოლა კოლმეურნეობებს გარეთ? არა, არ შეიძლება. ჩვენი «მემარცხენე» ფრაზიორე-

ბის შეცდომა სწორედ ის არის, რომ ისინი ამ განსხვავებას ვერ ხედავენ.

რას ნიშნავს კლასობრივი ბრძოლა კოლმეურნეობებს **გარეთ**, კოლმეურნეობების **შექმნამდე?** ეს ნიშნავს ბრძოლას კულაკთან, რომელიც **ფლობს** წარმოების იარაღებსა და საშუალებებს და რომელიც **იმონებს** ღარიბ გლეხებს წარმოების ამ იარაღებისა და საშუალებების შემწეობით. ეს ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა.

ხოლო რას ნიშნავს კლასობრივი ბრძოლა კოლმეურნეობების **ბაზაზე?** ეს, უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს, რომ კულაკი დამარცხებულია და მას წართმეული აქვს წარმოების იარაღები და საშუალებები. მეორეც, ეს ნიშნავს, რომ ღარიბი და საშუალო გლეხები გაერთიანებული არიან კოლმეურნეობებში, წარმოების ძირითადი იარაღებისა და საშუალებების განსაზოგადოების ბაზაზე. ბოლოს, ეს ნიშნავს, რომ საქმე ეხება ბრძოლას კოლმეურნეობების წევრთა შორის, რომელთაგან ზოგი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა ინდივიდუალისტური და კულაკური გადმონაშთებისაგან და ცდილობს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ერთგვარი უთანასწორობა კოლმეურნეობებში, ზოგს კი სურს განდევნოს კოლმეურნეობებიდან ეს გადმონაშთები და ეს უთანასწორობა. განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ ბრმებს არ შეუძლიათ დაინახონ განსხვავება კოლმეურნეობების ბაზაზე წარმოებულ კლასობრივ ბრძოლასა და კოლმეურნეობებს გარეთ წარმოებულ კლასობრივ ბრძოლას შორის?

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ რაკი მოცემულია კოლმეურნეობები, ამით მოცემულია ყველაფერი, რაც აუცილებელია სოციალიზმის ასაშენებლად. უფრო მეტი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ კოლმეურნეობათა წევრები უკვე გადაიქცნენ სოციალისტებად. არა, ჯერ კიდევ ბევრი

მუშაობაა საჭირო იმისათვის, რომ გარდავქმნათ კოლმეურნე გლეხი, გამოვასწოროთ მისი ინდივიდუალისტური ფსიქოლოგია და გადავაქციოთ იგი სოციალისტური საზოგადოების ნამდვილ მშრომელად. და ეს მით უფრო მალე იქნება, რაც უფრო მალე მოხდება კოლმეურნეობათა მანქანიზაცია, რაც უფრო მალე მოხდება მათი ტრაქტორიზაცია. მაგრამ ეს ოდნავადაც არ ამცირებს კოლმეურნეობების, როგორც სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის ბერკეტის, უდიდეს მნიშვნელობას. კოლმეურნეობების დიადი მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი წარმოადგენენ ძირითად ბაზას მანქანებისა და ტრაქტორების გამოსაყენებლად მიწათმოქმედებაში, რომ ისინი შეადგენენ ძირითად ბაზას გლეხის გარდასაქმნელად, მისი ფსიქოლოგიის გადასამუშავებლად სოციალიზმის სულისკვეთებით. ლენინი მართალი იყო, როდესაც ამბობდა:

«წვრილი მიწათმოქმედის გარდაქმნის, მთელი მისი ფსიქოლოგიისა და ჩვევების გარდაქმნის საქმე ისეთი საქმეა, რომელსაც თაობები ესაჭიროება. ამ საკითხის გადაჭრა წვრილი მიწათმოქმედის მიმართ, მთელი მისი ფსიქოლოგიის, ასე ვთქვათ, გაჯანსაღება შეუძლია მხოლოდ მატერიალურ ბაზას, ტექნიკას, მიწათმოქმედებაში ტრაქტორებისა და მანქანების გამოყენებას მასობრივი მასშტაბით, ელექტროფიკაციას მასობრივი მასშტაბით» (ტ. XXVI, გვ. 239).

ვის შეუძლია უარყოს, რომ კოლმეურნეობები წარმოადგენენ სოციალისტური მეურნეობის სწორედ იმ ფორმას, მხოლოდ რომლის საშუალებითაც შეუძლია მრავალმილიონიან წვრილ ინდივიდუალურ გლეხობას გამოიყენოს მსხვილი მეურნეობა მისი მანქანებითა და ტრაქტორებით, როგორც სამეურნეო აღმავლობის ბერკეტებით, როგორც სოფლის მეურნეობის სოციალისტური განვითარების ბერკეტებით?

ყველაფერი ეს დაავიწყდათ ჩვენს «მემარცხენე» ფრაზიორებს.

დაავიწყდა ეს ჩვენს ორატორსაც.

VI

კლასობრივი ძვრები და მობრუნება პარტიის პოლიტიკაში

დასასრულ, საკითხი ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი ძვრებისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე სოციალიზმის შეტევის შესახებ.

უკანასკნელი წლის განმავლობაში ჩვენი პარტიის მუშაობის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ჩვენ, როგორც პარტიამ, როგორც საბჭოთა ხელისუფლებამ:

ა) გავშალეთ შეტევა მთელ ფრონტზე სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ,

ბ) ამ შეტევამ, როგორც ცნობილია, მოგვცა და კვლავაც გვაძლევს ფრიად საგრძნობ **დადებითს** შედეგებს.

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების **შეზღუდვის** პოლიტიკიდან ჩვენ გადავედით კულაკობის, როგორც კლასის, **ლიკვიდაციის** პოლიტიკაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მოვახდინეთ და კვლავ ვახდენთ ერთ-ერთ გადამწყვეტ მობრუნებას მთელ ჩვენს პოლიტიკაში.

უკანასკნელ დრომდე პარტია კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების **შეზღუდვის** პოზიციაზე იდგა. ცნობილია, რომ ეს პოლიტიკა გამოცხადებულ იქნა პარტიის ჯერ კიდევ VIII ყრილობაზე. იგი, სწორედ ეს პოლიტიკა, ხელახლა გამოცხადებულ იქნა ნეპის შემოღების დროს და ჩვენი პარტიის XI ყრილობაზე. ყველას ახსოვს ლენინის ცნობილი წერილი პრეობრაჟენსკის თეზისების შესახებ [22]

(1922 წ.), სადაც ის კვლავ უბრუნდება სწორედ ასეთი პოლიტიკის გატარების აუცილებლობის საკითხს. დასასრულ, ეს პოლიტიკა დაადასტურა ჩვენი პარტიის XV ყრილობამ. სწორედ მას ვახორციელებდით უკანასკნელ დრომდე.

სწორი იყო თუ არა ეს პოლიტიკა? დიახ, მაშინ ის უთუოდ სწორი იყო. შეგვეძლო თუ არა ჩვენ ხუთი ან სამი წლის წინათ დაგვეწყო ასეთი შეტევა კულაკობის წინააღმდეგ? შეგვეძლო თუ არა მაშინ ასეთი შეტევის წარმატების იმედი გვქონოდა? არა, არ შეგვეძლო. ეს ფრიად საშიში ავანტიურიზმი იქნებოდა. ეს შეტევის ფრიად საშიში თამაში იქნებოდა. ვინაიდან ამ საქმეში ჩვენ უეჭველად მარცხი მოგვივიდოდა და ამ მარცხით კულაკობის პოზიციებს გავამაგრებდით. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ჯერ არ გვქონდა სოფლად ის დასაყრდენი პუნქტები, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ფართო ქსელის სახით, რომლებსაც შეიძლებოდა დავყრდნობოდით კულაკობის წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევის დროს. იმიტომ, რომ ჩვენ მაშინ შესაძლებლობა არ გვქონდა კულაკის კაპიტალისტური წარმოება **შეგვეცვალა** კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სოციალისტური წარმოებით.

1926 — 1927 წლებში ზინოვიევურ-ტროცკისტული ოპოზიცია დაჟინებით ახვევდა თავზე პარტიას კულაკობის წინააღმდეგ დაუყოვნებლივი შეტევის პოლიტიკას. პარტია არ წავიდა ამ საშიში ავანტიურის გზით, ვინაიდან მან იცოდა, რომ სერიოზული ადამიანები თავს ნებას ვერ მისცემენ შეტევა ითამაშონ. კულაკობაზე შეტევა სერიოზული საქმეა. არ შეიძლება მისი არევა კულაკობის წინააღმდეგ დეკლამაციაში. არ შეიძლება მისი არევა აგრეთვე კულაკობასთან კენწლაობის პოლიტიკაში, რომელსაც დაჟინებით ახვევდა თავზე პარტიას ზინოვიევურ-ტროცკისტული ოპოზიცია. კულაკობაზე შეტევა იმას ნიშნავს, რომ გატეხო კულაკობა

და მოსპო იგი, როგორც კლასი. ეს მიზნები თუ არა გაქვს, შეტევა დეკლამაციაა, კენწლაობაა, ფუჭი ლაყბობაა, ყველაფერია, რაც გნებავთ, ოღონდ არა ნამდვილი ბოლშევიკური შეტევა. კულაკობაზე შეტევა იმას ნიშნავს, რომ საქმისათვის მოემზადო და დაჰკრა კულაკობას, მაგრამ დაჰკრა მას ისე, რომ ფეხზე ველარ წამოდგეს. სწორედ ამას ვუწოდებთ ჩვენ, ბოლშევიკები, ნამდვილ შეტევას. შეგვეძლო თუ არა ჩვენ ხუთი ან სამი წლის წინათ ასეთი შეტევა დაგვეწყო და წარმატების იმედი გვქონოდა? არა, არ შეგვეძლო.

მართლაც, 1927 წელს კულაკს 600 მილიონზე მეტი ფუთი პური მოჰყავდა, აქედან კი იგი სოფლისგარეშე გაცვლის წესით დაახლოებით 130 მილიონ ფუთს ყიდდა. ეს საკმაოდ სერიოზული ძალაა, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს. ხოლო რამდენი მოჰყავდათ მაშინ ჩვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს? დაახლოებით 80 მილიონი ფუთი, აქედან ბაზარზე გაიტანეს (სასაქონლო პური) დაახლოებით 35 მილიონი ფუთი. თვითონ განსაჯეთ, შეგვეძლო თუ არა მაშინ კულაკური წარმოება და კულაკური სასაქონლო პური **შეგვეცვალა** ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებით და სასაქონლო პურით? ცხადია, არ შეგვეძლო.

რას ნიშნავს ასეთ პირობებში კულაკობის წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევის დაწყება? ეს ნიშნავს უეჭველ მარცხს, კულაკობის პოზიციების გაძლიერებას და უპუროდ დარჩენას. აი რატომ არ შეგვეძლო და არც უნდა დაგვეწყო მაშინ გადამწყვეტი შეტევა კულაკობაზე, წინააღმდეგ ზინოვიევ-ტროცკისტული ოპოზიციის ავანტიურისტული დეკლარაციებისა.

ახლა კი? როგორია ახლა საქმის ვითარება? ახლა ჩვენ ხაკმაო მატერიალური ბაზა გვაქვს იმისათვის, რომ დავკრათ კულაკობას, გავტეხოთ მისი წინააღმდეგობა, მოვსპოთ იგი,

როგორც კლასი, და **შევცვალოთ** მისი წარმოება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებით. ცნობილია, რომ 1929 წელს პურის წარმოება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეადგენდა სულ მცირე 400 მილიონ ფუთს (200 მილიონი ფუთით ნაკლებს, ვიდრე კულაკური მეურნეობის საერთო პროდუქცია 1927 წელს). ცნობილია აგრეთვე, რომ 1929 წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოგვცეს 130 მილიონ ფუთზე მეტი სასაქონლო პური (ე. ი. მეტი, ვიდრე კულაკმა 1927 წელს). ბოლოს, ცნობილია, რომ 1930 წელს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პურის საერთო პროდუქცია იქნება სულ მცირე 900 მილიონი ფუთი (ე. ი. მეტი, ვიდრე კულაკის საერთო პროდუქცია 1927 წელს), ხოლო სასაქონლო პურს ისინი მოგვცემენ სულ მცირე 400 მილიონ ფუთს (ე. ი. გაცილებით მეტს, ვიდრე კულაკმა 1927 წელს მოგვცა).

ასეთია ახლა საქმის ვითარება ჩვენში, ამხანაგებო.

აი როგორი გადაჯგუფება მოხდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში.

როგორც ხედავთ, ახლა ჩვენ გვაქვს მატერიალური ბაზა იმისათვის, რომ კულაკური წარმოება **შევცვალოთ** კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებით. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენს გადამწყვეტ შეტევას კულაკობაზე ახლა უეჭველი წარმატება აქვს.

აი როგორ უნდა შეუტიო კულაკობას, თუ ვილაპარაკებთ ნამდვილ და გადამწყვეტ შეტევაზე, და არ დავჯერდებით ლიტონ დეკლამაციას კულაკობის წინააღმდეგ.

აი რატომ გადავედით უკანასკნელ დროს კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების **შეზღუდვის** პოლიტიკიდან **კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის** პოლიტიკაზე.

მაგრამ რა ვუყოთ განკულაკების პოლიტიკას, შეიძლება თუ არა დავუშვათ განკულაკება მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში? — გვეკითხებიან სხვადასხვა მხრიდან. საკითხვაა! განკულაკების დაშვება არ შეიძლებოდა, სანამ ჩვენ კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის თვალსაზრისზე ვიდექით, სანამ ჩვენ შესაძლებლობა არ გვქონდა გადავსულიყავით გადამწყვეტ შეტევაზე კულაკობის წინააღმდეგ, სანამ ჩვენ შესაძლებლობა არ გვქონდა შეგვეცვალა კულაკური წარმოება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებით. მაშინ განკულაკების დაუშვებლობის პოლიტიკა აუცილებელი და სწორი იყო. ახლა კი? ახლა სხვა საქმეა. ახლა ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს გადამწყვეტი შეტევა დავიწყოთ კულაკობაზე, გავტეხოთ მისი წინააღმდეგობა, მოვსპოთ იგი, როგორც კლასი, და შევცვალოთ მისი წარმოება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებით. ახლა განკულაკებას ახდენენ თვით ღარიბ და საშუალო გლეხთა მასები, რომლებიც მთლიან კოლექტივიზაციას ახორციელებენ. ახლა განკულაკება მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში უბრალო ადმინისტრაციული ღონისძიება აღარ არის. ახლა იქ განკულაკება კოლმეურნეობების შექმნისა და განვითარების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ამიტომ სასაცილო და არასერიოზულია ახლა ბევრი ლაპარაკი განკულაკებაზე. კაცს თავსა სჭრიდნენ, და მუწუკი არ მატკინოთო.

არა ნაკლებ სასაცილოა მეორე კითხვა: შეიძლება თუ არა კოლმეურნეობაში კულაკის შეშვებაო. რა თქმა უნდა, არ შეიძლება მისი შეშვება კოლმეურნეობაში. არ შეიძლება, რადგან იგი საკოლმეურნეო მოძრაობის დაუძინებელი მტერია.

VII

დასკვნები

ასეთია, ამხანაგებო, ექვსი საკვანძო საკითხი, რომლებსაც გვერდს ვერ აუვლის ჩვენი აგრარიკოს-მარქსისტების თეორიული მუშაობა.

ამ საკითხების მნიშვნელობა უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ მათი მარქსისტული დამუშავება შესაძლებლობას გვაძლევს ძირფესვიანად აღმოვფხვრათ ყველა და ყოველგვარი ბურჟუაზიული თეორიები, რომლებსაც ზოგჯერ — ჩვენდა სამარცხვინოდ — ავრცელებენ ჩვენივე ამხანაგი-კომუნისტები და რომლებიც გონებას უნაგვიანებენ ჩვენს პრაქტიკოსებს. ხოლო ამ თეორიების აღმოფხვრა და უკუგდება დიდი ხანია საჭიროა. ვინაიდან მხოლოდ ამ და მათ მსგავს თეორიებთან ულმობელ ბრძოლაში შეიძლება გაძლიერდეს და განმტკიცდეს აგრარიკოს-მარქსისტების თეორიული აზროვნება.

ამ საკითხების მნიშვნელობა, ბოლოს, იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ახალ სახეს აძლევენ გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ძველ პრობლემებს.

ახლებურად ისმება ახლა საკითხი ნეპის შესახებ, კლასების შესახებ, კოლმეურნეობების შესახებ, გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის შესახებ.

უნდა გამოვააშკარაოთ იმათი შეცდომა, ვისაც ახალი ეკონომიური პოლიტიკა ესმის როგორც უკანდახევა და მხოლოდ უკანდახევა. ნამდვილად კი ლენინი ჯერ კიდევ ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებისას ამბობდა, რომ ნეპი არ ამოიწურება უკანდახევით, რომ ის ამასთან ერთად ნიშნავს მზადებას ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე ახალი გადამწყვეტი შეტევისათვის.

უნდა გამოვააშკარაოთ იმათი შეცდომა, ვინც ფიქრობს, რომ ნეპი საჭიროა მხოლოდ ქალაქსა და სოფელს შორის

კავშირისათვის. ჩვენ ქალაქისა და სოფლის ყოველგვარი კავშირი როდი გვესაჭიროება. ჩვენ გვესაჭიროება ისეთი კავშირი, რომელიც უზრუნველყოფს სოციალიზმის გამარჯვებას. და თუ ჩვენ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას ვადგავართ, ეს იმიტომ, რომ იგი სოციალიზმის საქმეს ემსახურება. ხოლო როცა იგი სამსახურს ვეღარ გაუწევს სოციალიზმის საქმეს, ჩვენ მას ჯანდაბისაკენ გადავაგდებთ. ლენინი ამბობდა, ნეპი სერიოზულად და დიდი ხნით არის შემოღებულიო. მაგრამ მას არასოდეს არ უთქვამს, რომ ნეპი სამუდამოდ არის შემოღებული.

უნდა დაისვას აგრეთვე რეპროდუქციის მარქსისტული თეორიის პოპულარიზაციის საკითხი. უნდა დამუშავდეს საკითხი ჩვენი სახალხო მეურნეობის ბალანსის აგების სქემის შესახებ. ის, რაც ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ 1926 წელს სახალხო მეურნეობის ბალანსის სახით გამოაქვეყნა, ბალანსი კი არა, ციფრობანას თამაშია. შეუსაბამოა აგრეთვე ის განმარტება, რომელსაც ბაზაროვი და გრომანი სახალხო მეურნეობის ბალანსის პრობლემას აძლევენ. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ბალანსის სქემა უნდა შეიმუშაონ რევოლუციურმა მარქსისტებმა, თუ მათ საერთოდ სურთ ხელი მოჰკიდონ გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის საკითხების დამუშავებას.

კარგი იქნება, თუ ჩვენი მარქსისტი-ეკონომისტები გამოყოფენ მუშაკთა სპეციალურ ჯგუფს გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის პრობლემების დასამუშავებლად, რომლებიც ახლებურად არის დაყენებული განვითარების ახლანდელ ეტაპზე.

«პრავდა» № 309,
1929 წ. 29 დეკემბერი.

წერილი ა. მ. გორკის

ძვირფასო ალექსი მაქსიმეს-ძევ!

დიდ ბოდიშს ვიხდი და გთხოვთ ნუ გამლანძღავთ დაგვიანებული (მეტად დაგვიანებული!) პასუხისათვის. საშინლად ვარ დატვირთული. გარდა ამისა — ცოტა ავადაც ვიყავი. ეს, რა თქმა უნდა, ვერ გამამართლებს. მაგრამ ზოგიერთ რამეს ახსნის.

1) უთვითკრიტიკოდ არ შეგვიძლია. არასგზით არ შეგვიძლია, ალექსი მაქსიმეს-ძევ. უიმისოდ გარდუვალია უძრაობა, აპარატის გახრწნა, ბიუროკრატიზმის ზრდა, მუშათა კლასის შემოქმედებითი თაოსნობის ჩაშლა. რა თქმა უნდა, თვითკრიტიკა მასალას აძლევს მტრებს. ამაში თქვენ სავსებით მართალი ხართ. მაგრამ იგივე იძლევა მასალას (და ბიძგს) ჩვენი წინსვლისათვის, მშრომელთა აღმშენებლობითი ენერგიის გაჩაღებისათვის, შეჯიბრების განვითარებისათვის, დამკვრელი ბრიგადებისათვის და სხვ.. უარყოფით მხარეს ანაზღაურებს და **ჭარბად** ანაზღაურებს დადებითი მხარე.

შესაძლოა, ჩვენი პრესა მეტად აზვიადებს ჩვენს ნაკლოვანებებს, ხოლო ზოგჯერ (უნებლიეთ) საქვეყნოდაც გამოაქვს ისინი. ეს შესაძლოა და დასაჯერებელიც კი არის. და ეს, რა თქმა უნდა, ცუდია. ამიტომ თქვენ მოითხოვთ, რომ ჩვენი ნაკლოვანებანი გავაწონასწოროთ (მე ვიტყოდი —

გადაჭარბებით ავანაზღაუროთ) ჩვენი მიღწევებით. და ამაში თქვენ, რა თქმა უნდა, მართალი ხართ. ამ ხარვეზს ჩვენ აუცილებლად და დაუყოვნებლივ გამოვასწორებთ. შეგიძლიათ არ დაეჭვდეთ ამაში.

2) ახალგაზრდობა ჩვენში სხვადასხვაგვარია. არიან მოწუწუნენი, დაღლილნი, სასოწარკვეთილნი (ზენინის მსგავსად). არიან მხნენი, ხალისიანნი, ნებისყოფითა და გამარჯვების მიღწევისადმი შეუდრეკელი მისწრაფებით ძლიერნი. არ შეიძლება, რომ ახლა, როცა ჩვენ ვარღვევთ ძველ ურთიერთობას ცხოვრებაში და ვაშენებთ ახალს, როცა იმსხვრევა ჩვეული და იკაფება ახალი, უჩვეულო გზები და ბილიკები, როცა მოსახლეობის მთელი ჯგუფები, რომლებიც შეძლებულად ცხოვრობდნენ, კალაპოტიდან ვარდებიან და მწყობრიდან გამოდიან, გზას უცლიან რა მილიონობით ადამიანებს, რომლებიც წინათ დაბეჩავებული და დევნილი იყვნენ, — არ შეიძლება, რომ ახალგაზრდობა წარმოადგენდეს ჩვენს თანამგრძნობ ადამიანთა ერთგვაროვან მასას, რომ მასში არ იყოს ფენებად დაყოფა, გათიშვა. ჯერ-ერთი, ახალგაზრდობაში არიან მდიდარი მშობლების შვილები. მეორეც, თუნდაც რომ ავიღოთ ჩვენი (სოციალური მდგომარეობით ჩვენი) ახალგაზრდობა, ყველას როდი ეყოფა ნერვები, ძალა, ხასიათი, გაგება ძველის გრანდიოზული მსხვრევისა და ახლის გამალებული შენების სურათის აღსაქმელად, როგორც **მართებულის** და მაშასადამე **სასურველის** სურათისა, რომელიც ამასთანავე ნაკლებად წააგავს «საყოველთაო კეთილდღეობის» სამოთხისებურ იდილიას, რამაც ადამიანს უნდა მისცეს «დასვენების», «ბედნიერებით დატკბობის» შესაძლებლობა. გასაგებია, რომ ასეთი «თავბრუდამხვევი ოროტრიალის» დროს არ შეიძლება ჩვენში არ იყვნენ დაღლილნი, მოქანცულნი, დაძაბუნებულნი, სასოწარკვეთილნი, ისეთნი, რომლებიც გვშორდებიან, ბოლოს — ისეთნი, რომ-

ლებიც მტრების ბანაკში გადადიან. ეს რევოლუციის გარდუვალი «ხარჯია».

ძირითადი ახლა ის არის, რომ ახალგაზრდობას ტონს აძლევენ არა მოწუწუნენი, არამედ ჩვენი მებრძოლი კომკავშირელები, რომლებიც წარმოადგენენ ბოლშევიკთა — კაპიტალიზმის დამნგრევთა, ბოლშევიკთა — სოციალიზმის მშენებელთა, ბოლშევიკთა — ყველა ჩაგრულისა და დამონებულის განმათავისუფლებელთა ახალი, მრავალრიცხოვანი მოდგმის ბირთვს. ამაშია ჩვენი ძალა. ამაშივეა ჩვენი გამარჯვების საწინდარიც.

3) ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ არ უნდა ვცდილობდეთ შევამციროთ მოწუწუნეთა, მობუზღუნეთა, დაეჭვებულთა და სხვ. რაოდენობა მათზე ორგანიზებული იდეური (და ყოველგვარი სხვა) ზეგავლენის გზით. პირიქით, ჩვენი პარტიის, ჩვენი კულტურული ორგანიზაციების, ჩვენი პრესის, ჩვენი საბჭოების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ის არის, რომ ეს ზეგავლენა მოაწყონ და სერიოზულ წარმატებებს მიაღწიონ. ამიტომ ჩვენ (ჩვენი მეგობრები) მთლიანად ვიღებთ თქვენს წინადადებებს:

ა) დავაარსოთ ჟურნალი «ზა რუბეჟომ» [23],

ბ) გამოვცეთ მთელი რიგი პოპულარული კრებულები «სამოქალაქო ომის» შესახებ და ამ საქმეში ჩავაბათ ა. ტოლსტოი და კალმის სხვა ოსტატები.

ოღონდ საჭიროა დავძინოთ ამას, რომ ვერც ერთი ამ წამოწყების ხელმძღვანელობას ვერ მივანდობთ რადეკს ან მის რომელიმე მეგობარს. საქმე რადეკის კეთილი განზრახვები ან მისი კეთილსინდისიერება როდია. საქმე ფრაქციული ბრძოლის ლოგიკაა, რომელზეც (ე. ი. ბრძოლაზე) მას და მის მეგობრებს მთლიანად არ უთქვამთ უარი (დარჩა ზოგიერთი მნიშვნელოვანი უთანხმოება, რაც მათ წააქეზებს საბრძოლველად). ჩვენი პარტიის ისტორია (და არა მარტო

ჩვენი პარტიის ისტორია) გვასწავლის, რომ საგანთა ლოგიკა ადამიანების განზრახვათა ლოგიკაზე ძლიერია. უფრო საიმედო იქნება, თუ ამ წამოწყებათა ხელმძღვანელობას გადავცემთ პოლიტიკურად მტკიცე ამხანაგებს, ხოლო რადეკსა და მის მეგობრებს მივიზიდავთ როგორც თანამშრომლებს. ასე უფრო საიმედო იქნება.

4) სპეციალური ჟურნალის «ომის შესახებ» დაარსების საკითხის სერიოზულად განხილვის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ახლა ასეთი ჟურნალის გამოცემისათვის საფუძველი არ არის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნება ომის (მე ვლაპარაკობ **იმპერიალისტურ** ომზე) საკითხები ირჩეოდეს არსებულ **პოლიტიკურ** ჟურნალებში. მით უმეტეს, რომ **ომის** საკითხები არ შეიძლება დავაშოროთ **პოლიტიკის** საკითხებს, რომლის გამოხატულებასაც ომი წარმოადგენს.

რაც შეეხება მოთხრობებს ომის შესახებ, ისინი დიდი შერჩევით უნდა ვბეჭდოთ. წიგნის ბაზარზე მრავლად არის მხატვრული მოთხრობები, რომლებიც ხატავენ ომის «საშინელებებს» და ნერგავენ ზიზღს **ყოველგვარი** ომისადმი (არა მარტო **იმპერიალისტური,** არამედ **ყოველგვარი** სხვა ომისადმიც). ეს ბურჟუაზიულ-პაციფისტური მოთხრობებია, რომლებსაც დიდი ფასი არა აქვთ. ჩვენ ისეთი მოთხრობები გვესაჭიროება, რომლებსაც მკითხველები **იმპერიალისტური** ომის საშინელებებიდან მიჰყავთ ასეთი ომების მომწყობი **იმპერიალისტური** მთავრობების დაძლევის საჭიროებამდე. გარდა ამისა, ჩვენ **ყოველგვარი** ომის წინააღმდეგი ხომ არა ვართ. ჩვენ **წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი** ვართ იმპერიალისტური ომისა, როგორც კონტრრევოლუციური ომისა. მაგრამ ჩვენ განმათავისუფლებელი, ანტიიმპერიალისტური, რევოლუციური ომის **მ ო მ ხ რ ე ნ ი** ვართ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ომი, როგორც ცნობილია, არა თუ თავისუფალი არ

არის «სისხლისღვრის საშინელებათაგან», არამედ მას ჭარბადაც ახლავს ასეთი საშინელებანი.

მე ვფიქრობ, რომ გეზი ვორონსკისა, რომელიც ლაშქრობას აპირებს ომის «საშინელებათა» წინააღმდეგ, ბევრით არაფრით განსხვავდება ბურჟუაზიული პაციფისტების გეზისაგან.

5) თქვენ სავსებით მართალი ხართ, რომ ჩვენში, ჩვენს პრესაში, დიდი არევდარევაა ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხებში. ზოგჯერ წარმოუდგენელ სისულელეებს სჩადიან, რომლებიც ხელს უწყობენ მტრებს. ამ დარგში უდიდესი მუშაობა მოგველის. მაგრამ მე ჯერ ვერ მოვასწარი მოლაპარაკება ანტირელიგიური პროპაგანდის დარგში მომუშავე ამხანაგებთან თქვენი წინადადებების შესახებ. ამაზე შემდეგ მოგწერთ.

6) კამეგულოვის თხოვნას ვერ დავაკმაყოფილებ. არა მცალია! გარდა ამისა, რა კრიტიკოსი მე მნახეს?

მეტი არაფერი.

მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ ჯანმრთელობას.

გმადლობთ მოსალმებისათვის.

ი. სტალინი

ამბობენ, რუსეთელი ექიმი გჭირდებათო. მართალია? სახელდობრ ვინ გინდათ? მოგვწერეთ და გამოგიგზავნით.

ი. სტ.

1930 წ. 17 იანვარი.

ბეჭდება პირველად.

კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკის საკითხისათვის

«კრასნაია ზვეზდას» [24] № 16-ში მოთავსებული სტატია «კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია» საერთოდ უდავოდ სწორია, მაგრამ მის ფორმულირებებში არის ორი არაზუსტი ადგილი. მე მგონია, საჭიროა ამ არასიზუსტეთა გასწორება.

1. სტატიაში ნათქვამია:

«აღდგენითს პერიოდში ჩვენ ვატარებდით ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის პოლიტიკას. რეკონსტრუქციის პერიოდი რომ დაიწყო, ჩვენ შეზღუდვის პოლიტიკიდან გადავედით მათი გამოდევნის პოლიტიკაზე».

ეს დებულება სწორი არ არის. კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის პოლიტიკა და მათი გამოდევნის პოლიტიკა ორ სხვადასხვა პოლიტიკას არ წარმოადგენს. ეს ერთი და იგივე პოლიტიკაა. სოფლის კაპიტალისტური ელემენტების გამოდევნა არის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის პოლიტიკის, კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკის გარდუვალი შედეგი და **შემადგენელი** ნაწილი. სოფლის კაპიტალისტური **ელემენტების** გამოდევნა არ შეიძლება გავუთანაბროთ

კულაკობის, როგორც **კლასის,** გამოდევნას. სოფლის კაპიტალისტური ელემენტების გამოდევნა არის გამოდევნა და დაძლევა კულაკობის **ცალკეული რაზმებისა,** რომლებმაც ვერ გაუძლეს გადასახადის სიმძიმეს, ვერ გაუძლეს საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებულ შემზღუდველ ღონისძიებათა სისტემას. გასაგებია, რომ კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკა, სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის პოლიტიკა არ შეიძლება არ იწვევდეს კულაკობის ცალკეული რაზმების გამოდევნას. ამიტომ კულაკობის ცალკეული რაზმების გამოდევნა არ შეიძლება განხილულ იქნას სხვანაირად, თუ არა როგორც სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის პოლიტიკის გარდუვალი შედეგი და შემადგენელი ნაწილი.

ამ პოლიტიკას ჩვენ ვეწეოდით არა მარტო აღდგენის პერიოდში, არამედ რეკონსტრუქციის პერიოდშიც, არამედ XV ყრილობის (1927 წ. დეკემბერი) შემდგომ პერიოდშიც, არამედ ჩვენი პარტიის XVI კონფერენციის (1929 წ. აპრილი) პერიოდშიც, ისევე როგორც ამ კონფერენციის შემდეგ 1929 წლის ზაფხულამდე, როცა ჩვენში დადგა მთლიანი კოლექტივიზაციის ხანა, როცა მოხდა **გარდატეხა** კულაკობის, როგორც **კლასის, ლიკვიდაციის** პოლიტიკისაკენ.

თუ განვიხილავთ პარტიის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს, დაწყებული თუნდაც XIV ყრილობიდან 1925 წლის დეკემბერში (იხ. რეზოლუცია ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო [25]) და გათავებული XVI კონფერენციით 1929 წლის აპრილში (იხ. რეზოლუცია «სოფლის მეურნეობის აღმავლობის გზების შესახებ» [26]), არ შეიძლება არ შევამჩნიოთ, რომ თეზისი «კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის» შესახებ ან «სოფლად კაპიტალიზმის ზრდის შეზღუდვის» შესახებ ყოველთვის **გვერდით**

უდგას თეზისს «სოფლის კაპიტალისტური ელემენტების გამოდევნის» შესახებ, «სოფლის კაპიტალისტური ელემენტების დაძლევის» შესახებ.

რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ პარტია სოფლის კაპიტალისტური ელემენტების გამოდევნას **არ აცალკევებს** კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკისაგან, სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის პოლიტიკისაგან.

პარტიის XV ყრილობა, ისევე როგორც XVI კონფერენცია, მთლიანად დგანან «სასოფლო-სამეურნეო ბურჟუაზიის ექსპლოატატორულ მისწრაფებათა შეზღუდვის» პოლიტიკის ბაზაზე (XV ყრილობის რეზოლუცია «სოფლად მუშაობის შესახებ» [27]), «სოფლად კაპიტალიზმის განვითარების შემზღუდველ ახალ ღონისძიებათა მიღების» პოლიტიკის ბაზაზე (იხ. იქვე), «კულაკის ექსპლოატატორული ტენდენციების გადაჭრით შეზღუდვის» პოლიტიკის ბაზაზე (იხ. XV ყრილობის რეზოლუცია ხუთწლედის შესახებ [28]), «კულაკზე შეტევის» პოლიტიკის ბაზაზე «კულაკისა და კერძო ვაჭრის შემდგომს, უფრო სისტემატურ და მტკიცე შეზღუდვაზე გადასვლის» აზრით (იხ. იქვე), ქალაქად და სოფლად «კერძო-კაპიტალისტური მეურნეობის ელემენტების» «კიდევ უფრო გადამწყვეტი მეურნეობრივი გამოდევნის» პოლიტიკის ბაზაზე (იხ. XV ყრილობის რეზოლუცია ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო [29]).

მაშასადამე, ა) მართალი არ არის ხსენებული სტატიის ავტორი, როცა კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის პოლიტიკას და მათი გამოდევნის პოლიტიკას ორ სხვადასხვა პოლიტიკად გვიხატავს. ფაქტები მოწმობენ, რომ აქ საქმე გვაქვს კაპიტალიზმის შეზღუდვის ერთ საერთო პოლიტი-

კასთან, რომლის შემადგენელ ნაწილსა და შედეგს წარმოადგენს კულაკობის ცალკეული რაზმების გამოდევნა.

მაშასადამე, ბ) მართალი არ არის ხსენებული სტატიის ავტორი, როცა ამტკიცებს, რომ სოფლის კაპიტალისტური ელემენტების გამოდევნა დაიწყო მხოლოდ რეკონსტრუქციის პერიოდში, XV ყრილობის პერიოდში. სინამდვილეში გამოდევნას ადგილი ჰქონდა XV ყრილობამდეც, აღდგენის პერიოდში, და XV ყრილობის შემდეგაც, რეკონსტრუქციის პერიოდში. XV ყრილობის პერიოდში მხოლოდ გაძლიერებულ იქნა კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკა ახალი დამატებითი ღონისძიებებით, ხოლო ამასთან დაკავშირებით უნდა გაძლიერებულიყო კულაკობის ცალკეული რაზმების გამოდევნაც.

2. სტატიაში ნათქვამია:

«კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკა სავსებით გამომდინარეობს კაპიტალისტური ელემენტების გამოდევნის პოლიტიკიდან და წარმოადგენს ამ პოლიტიკის განგრძობას ახალ ეტაპზე».

ეს დებულება არაზუსტია და ამიტომ არასწორია. გასაგებია, რომ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკა ციდან ვერ ჩამოვარდებოდა. ის მოამზადა სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვისა და, მაშასადამე, გამოდევნის მთელმა წინანდელმა პერიოდმა. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ის **ძირეულად** არ განსხვავდება სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის (და გამოდევნის) პოლიტიკისაგან, რომ ის თითქოს შეზღუდვის პოლიტიკის **განგრძობაა**. ისე ლაპარაკი, როგორც ჩვენი ავტორი ლაპარაკობს, ნიშნავს იმ **გარდატეხის** უარყოფას, რაც სოფლის განვითარებაში 1929 წლის ზაფხულიდან მოხდა. ასე ლაპარაკი ნიშნავს იმ ფაქტის უარყოფას, რომ ამ პერიოდში ჩვენ მოვახდინეთ **მობრუნება** ჩვენი პარტიის პოლიტიკაში სოფლად. ასე ლაპარაკი ნიშნავს ერთგვარი იდეო-

ლოგიური საფარის შექმნას ჩვენი პარტიის მემარჯვენე ელემენტებისათვის, რომლებიც ახლა XV ყრილობის გადაწყვეტილებებს ებღაუჭებიან პარტიის **ახალი** პოლიტიკის წინააღმდეგ ისევე, როგორც თავის დროზე ფრუმკინი XIV ყრილობის გადაწყვეტილებებს ებღაუჭებოდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დანერგვის პოლიტიკის წინააღმდეგ.

რას ეყრდნობოდა XV ყრილობა, როცა გამოაცხადა სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის (და გამოდევნის) პოლიტიკის გაძლიერება? იმას, რომ, მიუხედავად კულაკობის ამ შეზღუდვისა, კულაკობა, **როგორც კლასი,** მაინც **უნდა დარჩეს** განსაზღვრულ დრომდე. **ამის საფუძველზე** XV ყრილობამ ძალაში დატოვა კანონი მიწის იჯარის შესახებ, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ მოიჯარეთა მთავარ მასას კულაკები შეადგენენ. **ამის საფუძველზე** XV ყრილობამ ძალაში დატოვა კანონი სოფლად შრომის დაქირავების შესახებ და მოითხოვა მისი ზუსტად განხორციელება. **ამის საფუძველზე** ერთხელ კიდევ გამოცხადებულ იქნა განკულაკების დაუშვებლობა. ეწინააღმდეგებიან თუ არა ეს კანონები და ეს დადგენილებები სოფლის კაპიტალისტური ელემენტების **შეზღუდვის** (და გამოდევნის) პოლიტიკას? უთუოდ, **არა.** ეწინააღმდეგებიან თუ არა ეს კანონები და ეს დადგენილებები კულაკობის, როგორც კლასის, **ლიკვიდაციის** პოლიტიკას? უთუოდ, **კი!** მაშასადამე, ეს კანონები და ეს დადგენილებები ახლა განზე უნდა გადავდოთ მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში, რომლის გავრცელების სფეროც იზრდება არა დღითი-დღე, არამედ საათობით. თუმცაღა, ეს კანონები და დადგენილებები უკვე განზე გადადო თვით საკოლმეურნეო მოძრაობის მიმდინარეობამ მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში.

შეიძლება თუ არა ამის შემდეგ იმის მტკიცება, რომ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკა სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის (და გამოდევნის) პოლიტიკის **განგრძობაა?** ცხადია, არ შეიძლება.

ხსენებული სტატიის ავტორს ავიწყდება, რომ არ შეიძლება განვდევნოთ კულაკობის კლასი, როგორც კლასი, საგადასახადო და ყოველგვარი სხვა შეზღუდვის ღონისძიებებით, თუ ამ კლასის ხელში **დავტოვეთ** წარმოების იარაღები მიწის თავისუფალი სარგებლობის უფლებით და ჩვენს პრაქტიკაში **შევინარჩუნეთ** კანონი სოფლად შრომის დაქირავების შესახებ, კანონი იჯარის შესახებ, განკულაკების აკრძალვა. ავტორს ავიწყდება, რომ კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკის დროს შეიძლება ვიქონიოთ კულაკობის მხოლოდ ცალკეული რაზმების გამოდევნის იმედი, რაც კი არ ეწინააღმდეგება, არამედ, პირიქით, გულისხმობს კულაკობის, როგორც კლასის, განსაზღვრულ დრომდე **დატოვებას.** კულაკობა, როგორც კლასი, რომ გამოვდევნოთ, ამისათვის არ კმარა მისი ცალკეული რაზმების შეზღუდვისა და გამოდევნის პოლიტიკა. კულაკობა, როგორც კლასი, რომ გამოვდევნოთ, ამისათვის საჭიროა აშკარა ბრძოლაში **გავტეხოთ** ამ კლასის წინააღმდეგობა და **მოვუსპოთ** მას არსებობისა და განვითარების საწარმოო წყაროები (მიწის თავისუფალი სარგებლობა, წარმოების იარაღები, იჯარა, შრომის დაქირავების უფლება და სხვ.).

სწორედ ეს არის **მობრუნება** კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკისაკენ. უამისოდ ლაპარაკი კულაკობის, როგორც კლასის, გამოდევნის შესახებ ფუჭი ლაყბობაა, რომელიც სასურველი და ხელსაყრელია მხოლოდ მემარჯვენე უკლონისტებისათვის. უამისოდ წარმო-

უდგენელია სოფლის რაიმე სერიოზული და მით უმეტეს მთლიანი კოლექტივიზაცია. ეს კარგად შეიგნეს ჩვენი სოფლის ღარიბმა და საშუალო გლეხებმა, რომლებიც ანადგურებენ კულაკობას და ახორციელებენ მთლიან კოლექტივიზაციას. ეტყობა, ეს ჯერ კიდევ არ ესმის ზოგიერთ ჩვენს ამხანაგს.

მაშასადამე, პარტიის ახლანდელი პოლიტიკა სოფლად არის არა ძველი პოლიტიკის **განგრძობა,** არამედ **მობრუნება** სოფლის კაპიტალისტური ელემენტების **შეზღუდვის** (და გამოდევნის) ძველი პოლიტიკიდან კულაკობის, როგორც კლასის, **ლიკვიდაციის** ახალი პოლიტიკისაკენ.

«კრასნაია ზვეზდა» № 18,
1930 წ. 21 იანვარი.
ხელმოწერა: ი. სტალინ.

პასუხი ამხანაგ სვერდლოველებს [30]

I

სვერდლოველთა კითხვები

1. თეზისებში რკპ(ბ) ტაქტიკის შესახებ, რომლებიც კომინტერნის III კონგრესმა [31] მიიღო, ლენინი ლაპარაკობდა ორი ძირითადი კლასის არსებობაზე საბჭოთა რუსეთში.

ამჟამად ჩვენ ვლაპარაკობთ კულაკობისა და ახალი ბურჟუაზიის — როგორც კლასის — ლიკვიდაციაზე.

ნიშნავს ეს თუ არა, რომ ნეპის განმავლობაში ჩვენში მესამე კლასი ჩამოყალიბდა?

2. თქვენს გამოსვლაში აგრარიკოს-მარქსისტთა ყრილობაზე თქვენ სთქვით: «თუ ჩვენ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას ვადგავართ, ეს იმიტომ, რომ იგი სოციალიზმის საქმეს ემსახურება. ხოლო როცა იგი სამსახურს ვეღარ გაუწევს სოციალიზმის საქმეს, ჩვენ მას ჯანდაბისაკენ გადავაგდებთ». როგორ გავიგოთ ეს «გადაგდება» და რა გზით მოხდება იგი?

3. კოლექტივიზაციისა და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის გადამწყვეტ წარმატებათა მიხედვით როგორ უნდა შეცვალოს პარტიამ ლოზუნგი, რომელიც ახლა განსაზღვრავს ურთიერთობას პროლეტარიატსა და გლეხობის

სხვადასხვა ფენებს შორის: «შეგვეძლოს შეთანხმების მიღწევა საშუალო გლეხთან — ამავე დროს კი ერთი წუთითაც არ ავიღოთ ხელი კულაკთან ბრძოლაზე და მტკიცედ დავეყრდნოთ მხოლოდ ღარიბ გლეხობას» **(ლენინი)** [32]?

4. რა მეთოდებით უნდა ხორციელდებოდეს კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია?

5. ერთსა და იმავე დროს რომ განხორციელდეს ორი ლოზუნგი: ერთი მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებისათვის — კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია, და მეორე იმ რაიონებისათვის, სადაც მთლიანი კოლექტივიზაცია არ არის — კულაკის შეზღუდვა და გამოდევნა, ეს ხომ არ გამოიწვევს იმას, რომ უკანასკნელ რაიონებში მოხდება კულაკის თვითლიკვიდაცია (იგი გაფლანგავს ქონებას, წარმოების საშუალებებს)?

6. რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს «შესვენების» ხანგრძლივობაზე ჩვენში კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციასა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას, კაპიტალისტურ ქვეყნებში ეკონომიურ კრიზისსა და რევოლუციური ტალღის აღმავლობას?

7. როგორ უყურებთ თქვენ კაპიტალისტურ ქვეყნებში ამჟამად არსებული რევოლუციური აღმავლობის უშუალო რევოლუციურ სიტუაციად გადაზრდის შესაძლებლობას?

8. როგორ უნდა მივუდგეთ პარტიისა და მუშათა კლასის შემდგომი ურთიერთობის თვალსაზრისით მუშათა კლასში იმ ახალი ძვრების შეფასებას, რომლებსაც ახასიათებს მთელი საამქროების გადაწყვეტილება — შევიდნენ პარტიის რიგებში?

9. საკოლმეურნეო მოძრაობის უდიდეს გაქანებასთან დაკავშირებით დღის წესრიგში ისმება საკითხი სოფლად პარტიული ორგანიზაციის გაფართოების შესახებ. როგორი უნდა იყოს ჩვენი პოლიტიკა ამ გაფართოების საზღვრების

მიმართ და პარტიაში კოლმეურნეთა სხვადასხვა ჯგუფების მიღების მიმართ?

10. როგორია თქვენი დამოკიდებულება იმ დავისადმი, რომელიც ეკონომისტებს შორის წარმოებს პოლიტიკური ეკონომიის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გამო?

II

ამხანაგ სტალინის პასუხი

პირველ კითხვაზე. ლენინი ლაპარაკობდა ორ **ძირითად** კლასზე. მაგრამ მან, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ არსებობდა მესამე, კაპიტალისტური კლასი (კულაკები, ქალაქის კაპიტალისტური ბურჟუაზია). კულაკები და ქალაქის კაპიტალისტური ბურჟუაზია, რა თქმა უნდა, არ «ჩამოყალიბებულან», როგორც კლასი, მხოლოდ ნეპის შემოღების შემდეგ. ისინი ნეპამდეც არსებობდნენ, ამასთან არსებობდნენ, როგორც **მეორეხარისხოვანი** კლასი. ნეპმა განვითარების პირველ სტადიებში ერთგვარად გააადვილა ამ კლასის ზრდა. მაგრამ მან კიდევ უფრო შეუწყო ხელი სოციალისტური სექტორის ზრდას. პარტიის მიერ მთელ ფრონტზე შეტევის დაწყებამ მკვეთრად შეაბრუნა საქმე სოფლის და ნაწილობრივ ქალაქის კაპიტალისტთა კლასისათვის ნიადაგის გამოცლისა და მისი მოსპობისაკენ.

სიზუსტისათვის უნდა შევნიშნოთ, რომ პარტიას მითითება არ მიუცია იმის შესახებ, რომ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ლოზუნგი ახალ ბურჟუაზიაზე, ქალაქის ბურჟუაზიაზე გავრცელებულიყო. უნდა ვხედავდეთ, რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ნეპმანები, რომლებსაც უკვე დიდი ხანია ძირითადად წართმეული აქვთ **საწარმოო** ბაზა და ამიტომ რამდენადმე სერიოზული წონა არა აქვთ ჩვენს სამეურნეო ცხოვრებაში, და კულაკები, რომლებსაც უკანასკნელ დრომდე უდიდესი სამეურნეო წონა

ჰქონდათ სოფლად და რომლებსაც **მხოლოდ ახლა** ვართმევთ მათს **საწარმოო** ბაზას.

მე ვფიქრობ, რომ ზოგიერთი ჩვენი ორგანიზაცია ივიწყებს ამ განსხვავებას და შეცდომას უშვებს, როცა ცდილობს კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ლოზუნგს «დაუმატოს» ქალაქის ბურჟუაზიის ლიკვიდაციის ლოზუნგი.

მეორე კითხვაზე. აგრარიკოს-მარქსისტთა ყრილობაზე წარმოთქმული ჩემი სიტყვის ცნობილი ფრაზა ისე უნდა გავიგოთ, რომ ჩვენ «ჯანდაბისაკენ გადავაგდებთ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას», როცა საჭირო აღარ იქნება კერძო ვაჭრობის ერთგვარი თავისუფლების დაშვება, როცა ასეთი დაშვება მხოლოდ მინუსიან შედეგებს მოგვცემს, როცა ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცემა ქალაქსა და სოფელს შორის **სამეურნეო** კავშირი მოვაგვაროთ ჩვენი **სავაჭრო** ორგანიზაციების საშუალებით, არ გამოვიყენოთ კერძო ვაჭრობა მისი კერძო ბრუნვით, რომლის დროსაც შესაძლო ხდება კაპიტალიზმის ერთგვარი გამოცოცხლება.

მესამე კითხვაზე. გასაგებია, რომ სსრ კავშირის მეტ წილ რაიონებში კოლექტივების გავრცელებასთან ერთად მოხდება კულაკობის ლიკვიდაცია, — მაშასადამე, ზედმეტი გახდება ილიჩის ფორმულის ეს ნაწილი. რაც შეეხება საშუალო და ღარიბ გლეხებს კოლმეურნეობებში, კოლმეურნეობათა მანქანიზაციასა და ტრაქტორიზაციასთან ერთად ისინი კოლექტივიზებული სოფლის მუშაკთა ერთიან რაზმად შედუღდებიან. ამის შესაბამისად მომავალში ჩვენს ლოზუნგებში უნდა გაქრეს ცნებები «საშუალო გლეხი», «ღარიბი გლეხი».

მეოთხე კითხვაზე. კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის განხორციელების ძირითადი მეთოდია მასობრივი კოლექტივიზაციის მეთოდი. ყველა დანარჩენი ღონისძიება

ამ ძირითად მეთოდთან უნდა იქნას შეგუებული. ყველაფერი, რაც ეწინააღმდეგება ამ მეთოდს ან ასუსტებს მის მნიშვნელობას, უკუგდებულ უნდა იქნას.

მეხუთე კითხვაზე. არ შეიძლება «კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისა» და «კულაკობის შეზღუდვის» ლოზუნგები დავსახოთ, როგორც ორი **დამოუკიდებელი** და **თანასწორუფლებიანი** ლოზუნგი. კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე გადასვლის დროიდან ეს უკანასკნელი ლოზუნგი გახდა **მთავარ** ლოზუნგად, ხოლო ლოზუნგი კულაკობის შეზღუდვისა იმ რაიონებში, სადაც მთლიანი კოლექტივიზაცია არ არის, დამოუკიდებელი ლოზუნგიდან გადაიქცა **დამხმარე** ლოზუნგად, **დამატებით** ლოზუნგად მთავარი ლოზუნგის მიმართ, ლოზუნგად, რომელიც ამ უკანასკნელ რაიონებში აადვილებს პირობების მომზადებას მთავარ ლოზუნგზე გადასასვლელად. «კულაკობის შეზღუდვის» ლოზუნგის მდგომარეობა, როგორც ხედავთ, დღევანდელ ახალ პირობებში ძირეულად შეიცვალა იმ მდგომარეობასთან შედარებით, რომელიც მას ერთი წლის წინათ და უფრო ადრე ეკავა.

საჭიროა შევნიშნოთ, რომ ჩვენი პრესის ზოგიერთი ორგანო, სამწუხაროდ, მხედველობაში არ იღებს ამ თავისებურებას.

შესაძლო და მოსალოდნელია, რომ იმ რაიონებში, სადაც მთლიანი კოლექტივიზაცია არ არის, კულაკობის გარკვეული ნაწილი განკულაკების მოლოდინში მოახდენს «თვითლიკვიდაციას», «გაფლანგავს ქონებას და წარმოების საშუალებებს». ამის წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, საჭიროა ბრძოლა. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ ჩვენ უნდა დავუშვათ განკულაკება არა როგორც კოლექტივიზაციის საქმის ნაწილი, არამედ როგორც დამოუკიდებელი საქმე, რომელიც კოლექტივიზაციამდე და უკო-

ლექტივიზაციოდ ტარდება. ამის დაშვება იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ კონფისკებული კულაკური ქონების კოლმეურნეობებში **განსაზოგადოების** პოლიტიკა შეგვეცვალა ამ ქონების **გაყოფის** პოლიტიკით ცალკეული გლეხების პირადი გამდიდრებისათვის. ასეთი შეცვლა ნაბიჯის წინ კი არა, უკან გადადგმა იქნებოდა. კულაკური ქონების «გაფლანგვის» წინააღმდეგ მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს — იმ რაიონებში, სადაც მთლიანი კოლექტივიზაცია არ არის, გავაძლიეროთ მუშაობა კოლექტივიზაციის დარგში.

მეექვსე კითხვაზე. თქვენს მიერ ჩამოთვლილ საშუალებებსა და პირობებს **შეუძლიათ** მნიშვნელოვნად შეამცირონ «შესვენების» ვადები. მაგრამ მათ აუცილებლად **უნდა** გააძლიერონ და გაამრავლონ ჩვენი თავდაცვის საშუალებანი. აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული საერთაშორისო მდგომარეობაზე, საერთაშორისო კაპიტალიზმის ბანაკში წინააღმდეგობათა ზრდაზე, საერთაშორისო ეკონომიური კრიზისის შემდგომ გაძლიერებაზე. მაგრამ ეს სხვა საკითხია.

მეშვიდე კითხვაზე. არ შეიძლება გაუვალი ზღვარი გავავლოთ «რევოლუციურ აღმავლობასა» და «უშუალო რევოლუციურ სიტუაციას» შორის. არ შეიძლება ვთქვათ: «ამ ზღვარამდე ჩვენ გვაქვს რევოლუციური აღმავლობა, ამ ზღვარს იქით — ნახტომი უშუალო რევოლუციურ სიტუაციაში». საკითხის ასე დაყენება მხოლოდ სქოლასტიკოსებს შეუძლიათ. პირველი ჩვეულებრივ «შეუმჩნევლად» გადადის მეორეში. ამოცანა ის არის, რომ **ახლავე** ვამზადოთ პროლეტარიატი გადამწყვეტი რევოლუციური ბრძოლებისათვის, **არ დაველოდოთ** ეგრეთწოდებული უშუალო რევოლუციური სიტუაციის «დადგომის» მომენტს.

მერვე კითხვაზე. ის გარემოება, რომ მთელ საამქროებსა და ქარხნებსაც კი სურთ შევიდნენ პარტიაში, მუშათა

კლასის მილიონიანი მასების უდიდესი რევოლუციური აღმავლობის ნიშანია, პარტიის პოლიტიკის სისწორის ნიშანია, მუშათა კლასის ფართო მასების მიერ ამ პოლიტიკის ხმამაღლა მოწონების ნიშანია. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ პარტიაში უნდა მივიღოთ ყველა, ვისაც კი მასში შესვლა სურს. საამქროებსა და ქარხნებში არიან ყოველგვარი ადამიანები, მავნებლებიც კი. ამიტომ პარტიამ ძალაში უნდა დატოვოს პარტიაში შესვლის თვითეული მსურველისადმი **ინდივიდუალური** მიდგომისა და პარტიაში **ინდივიდუალური** მიღების მეთოდი. ჩვენ გვესაჭიროება არა მარტო რაოდენობა, არამედ ხარისხიც.

მეცხრე კითხვაზე. თავისთავად გასაგებია, რომ კოლმეურნეობებში პარტიული რიგების ზრდა ცოტად თუ ბევრად სწრაფი ტემპით იწარმოებს. სასურველია, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის ყველა იმ ელემენტებს, რომლებიც ყველაზე მეტად არიან გამოწრთობილნი კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლაში, განსაკუთრებით მოჯამაგირეებიდან და ღარიბი გლეხებიდან, საშუალება მიეცეთ თავიანთი ძალები გამოიყენონ პარტიის რიგებში. ამასთან, გასაგებია, რომ ინდივიდუალური მიდგომა და პარტიაში ინდივიდუალური მიღება აქ განსაკუთრებული სიმტკიცით უნდა გამოვიყენოთ.

მეათე კითხვაზე. მე მგონია, რომ ეკონომისტებს შორის წარმოებულ დავაში ბევრი რამ არის სქოლასტიკური და მოგონილი. თუ უკუვაგდებთ იმ ჩენჩოს, რაც თან ახლავს დავას, მოდავე მხარეთა ძირითადი შეცდომები შემდეგია:

ა) ვერც ერთმა მხარემ ჯეროვნად ვერ გამოიყენა ორ ფრონტზე ბრძოლის — როგორც «რუბინიზმის», ისე «მექანიციზმის» [30] წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდი;

ბ) ორივე მხარე ასცდა საბჭოთა ეკონომიკისა და მსოფლიო იმპერიალიზმის ძირითად საკითხებს, გადავიდა თალმუდიზებული აბსტრაქციების სფეროში და, ამრიგად, მუშაობის ორი წელი მოანდომა განყენებულ თემებს, რითაც, რა თქმა უნდა, აამა და სარგებლობა მოუტანა ჩვენს მტრებს.

კომუნისტური სალამით

ი. სტალინი

1930 წ. 9 თებერვალი.

«პრავდა» № 40,
1930 წ. 10 თებერვალი.

თავბრუდახვევა წარმატებებისაგან

საკოლმეურნეო მოძრაობის საკითხებისათვის

საბჭოთა ხელისუფლების წარმატებებზე საკოლმეურნეო მოძრაობის დარგში ახლა ყველა ლაპარაკობს. მტრებიც კი იძულებული არიან აღიარონ სერიოზული წარმატებანი. ეს წარმატებები კი, მართლაც, დიდია.

ფაქტია, რომ ა. წ. 20 თებერვლისათვის სსრ კავშირში უკვე კოლექტივიზებულია გლეხურ მეურნეობათა 50%. ეს იმას ნიშნავს, რომ 1930 წლის 20 თებერვლისათვის ჩვენ ერთიორად და მეტი **გადაჭარბებით შევასრულეთ** კოლექტივიზაციის ხუთწლიანი გეგმა.

ფაქტია, რომ ამა წლის 28 თებერვლისათვის კოლმეურნეობებმა **უკვე მოასწრეს** გადაეღოთ საგაზაფხულო თესვისათვის 36 მილიონ ცენტნერზე მეტი თესლი, ე. ი. გეგმის 90%-ზე მეტი, ე. ი. 220 მილიონამდე ფუთი. არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ მარტო საკოლმეურნეო ხაზით 220 მილიონი ფუთი თესლის შეგროვება — პურის დამზადების გეგმის წარმატებით შესრულების შემდეგ — უდიდეს მიღწევას წარმოადგენს.

რას მოწმობს ყოველივე ეს?

იმას, რომ **სოფლის ძირეული მობრუნება სოციალიზმისაკენ უკვე უზრუნველყოფილად შეიძლება ჩაითვალოს.**

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ამ წარმატებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნის ბედისათვის, მთელი მუშათა კლასისათვის, როგორც ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელი ძალისათვის, დასასრულ, თვით პარტიისათვის. პირდაპირს პრაქტიკულ შედეგებზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, მათ, ამ წარმატებებს, უდიდესი მნიშვნელობა აქვთ თვით პარტიის შინაგანი ცხოვრებისათვის, ჩვენი პარტიის აღზრდისათვის. ისინი ჩვენს პარტიას უნერგავენ სიმხნევეს და თავისი ძალების რწმენას. ისინი მუშათა კლასს აიარაღებენ ჩვენი საქმის გამარჯვების რწმენით. მათ ჩვენს პარტიასთან მოჰყავთ ახალი მილიონიანი რეზერვები.

აქედან გამომდინარეობს პარტიის ამოცანა: **განამტკიცოს** მიღწეული წარმატებანი და გეგმაშეზომილად **გამოიყენოს** ისინი შემდგომი წინსვლისათვის.

მაგრამ წარმატებებს თავიანთი ჩრდილოვანი მხარეც აქვთ, მეტადრე თუ ისინი მოპოვებულია შედარებით «იოლად», ასე ვთქვათ, «მოულოდნელობის» წესით. ასეთი წარმატებანი ზოგჯერ გულზვიადობასა და თავგასულობას იწვევენ: «ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია!», «ჩვენთვის დაბრკოლება არ არსებობს!». ისინი, ეს წარმატებანი, ხშირად ათრობენ ადამიანებს, ამასთან ადამიანებს თავბრუ ეხვევათ წარმატებებისაგან, ეკარგებათ ზომიერების გრძნობა, ეკარგებათ სინამდვილის გაგების უნარი, მათში თავს იჩენს მისწრაფება — გადაჭარბებით შეაფასონ თავიანთი ძალები და არასათანადოდ შეაფასონ მოწინააღმდეგის ძალები, ჩნდება ავანტიურისტული ცდები «ერთი დაკვრით» გადაჭრან სოციალისტური მშენებლობის ყველა საკითხი. აქ აღარ არის იმაზე ზრუნვა, რომ **განამტკიცონ** მიღწეული წარმატებანი და გეგმაშეზომილად **გამოიყენონ** ისინი შემდგომი წინსვლისათვის. რისთვის უნდა განვამტკიცოთ მიღწეული წარმატებანი, — ისედაც შევძლებთ «ერთი დაკვრით» მივირბი-

ნოთ სოციალიზმის სრულ გამარჯვებამდეო: «ჩვენ ყველაფერი შეგვეძლია!», «ჩვენთვის დაბრკოლება არ არსებობს!».

აქედან გამომდინარეობს პარტიის ამოცანა: გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღოს ამ საშიშ და საქმისათვის საზიანო განწყობილებათა წინააღმდეგ და განდევნოს ისინი პარტიიდან.

არ შეიძლება ითქვას, რომ ეს საშიში და საქმისათვის საზიანო განწყობილებანი რამდენადმე ფართოდ იყოს გავრცელებული ჩვენი პარტიის რიგებში. მაგრამ ისინი, ეს განწყობილებანი, მაინც არსებობენ ჩვენს პარტიაში, ამასთან საფუძველი არა გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ისინი არ გაძლიერდებიან. და თუ მათ, ამ განწყობილებებმა, მოქალაქეობრივი უფლებები მოიპოვეს ჩვენში, შეიძლება ეჭვი არ შეგვეპაროს იმაში, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის საქმე საგრძნობლად შესუსტდება და ამ მოძრაობის ჩაშლის საფრთხე შეიძლება რეალობად იქცეს.

აქედან გამომდინარეობს ჩვენი პრესის ამოცანა: სისტემატურად ამხილოს ეს და ამის მსგავსი ანტილენინური განწყობილებანი.

რამდენიმე ფაქტი.

1. ჩვენი საკოლმეურნეო პოლიტიკის წარმატებანი სხვათა შორის იმით აიხსნება, რომ იგი, ეს პოლიტიკა, ეყრდნობა საკოლმეურნეო მოძრაობის **ნებაყოფლობას** და სსრ კავშირის სხვადასხვა რაიონში **პირობების სხვადასხვაობის გათვალისწინებას.** არ შეიძლება კოლმეურნეობების დანერგვა ძალით. ეს სულელური და რეაქციული ნაბიჯი იქნებოდა. საკოლმეურნეო მოძრაობა უნდა ეყრდნობოდეს გლეხობის ძირითადი მასების მიერ აქტიურ მხარდაჭერას. არ შეიძლება მექანიკურად გადავიტანოთ განვითარებული რაიონების საკოლმეურნეო მშენებლობის ნიმუშები განუვითარებელ რაიონებში. ეს სულელური და რეაქციული ნაბიჯი იქნებოდა.

ასეთი «პოლიტიკა» ერთი დაკვრით გაუტეხდა სახელს კოლექტივიზაციის იდეას. საკოლმეურნეო მშენებლობის ტემპისა და მეთოდების განსაზღვრისას გულდასმით უნდა გავითვალისწინოთ სსრ კავშირის სხვადასხვა რაიონის პირობების სხვადასხვაობა.

საკოლმეურნეო მოძრაობაში ყველა რაიონზე წინ ჩვენში მარცვლეულის რაიონები დგანან. რატომ?

ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ ამ რაიონებში ჩვენ გვაქვს ყველაზე მეტი რაოდენობა უკვე განმტკიცებული საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისა, რომელთა მეოხებითაც გლეხებს შესაძლებლობა ჰქონდათ დარწმუნებულიყვნენ ახალი ტექნიკის ძალასა და მნიშვნელობაში, მეურნეობის ახალი, კოლექტიური ორგანიზაციის ძალასა და მნიშვნელობაში.

მეორეც, იმიტომ, რომ ამ რაიონებს გავლილი აქვთ პურის დამზადების კამპანიების დროს კულაკობასთან ბრძოლის ორი წლის სკოლა, რასაც არ შეიძლებოდა არ გაეადვილებინა საკოლმეურნეო მოძრაობის საქმე.

დასასრულ, იმიტომ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ამ რაიონებში გაძლიერებით იგზავნებოდნენ სამრეწველო ცენტრებიდან საუკეთესო კადრები.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ეს განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები არსებობს სხვა რაიონებშიც, მაგალითად, ისეთ სამომხმარებლო რაიონებში, როგორიც არიან ჩვენი ჩრდილოეთი ოლქები, ან ჯერ კიდევ ჩამორჩენილ ეროვნებათა რაიონებში, როგორიც არის, ვთქვათ, თურქესტანი?

არა, ამის თქმა არ შეიძლება.

ცხადია, რომ სსრ კავშირის სხვადასხვა რაიონის პირობების სხვადასხვაობის გათვალისწინების პრინციპი, ნებაყოფლობის პრინციპთან ერთად, ჯანსაღი საკოლმეურნეო

მოძრაობის ერთ-ერთ უაღრესად სერიოზულ წინაპირობას წარმოადგენს.

ნამდვილად კი რა ხდება ზოგჯერ ჩვენში? შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ნებაყოფლობისა და ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინების პრინციპი არ ირღვევა მთელ რიგ რაიონებში? არა, ამის თქმა, სამწუხაროდ, არ შეიძლება. ცნობილია, მაგალითად, რომ სამომხმარებლო ზოლის მთელ რიგ ჩრდილოეთ რაიონებში, სადაც კოლმეურნეობათა დაუყოვნებლივ მოწყობისათვის ხელსაყრელი პირობები შედარებით ნაკლებია, ვიდრე მარცვლეულის რაიონებში, ხშირად ცდილობენ კოლმეურნეობათა მოწყობისათვის საჭირო მოსამზადებელი მუშაობა შეცვალონ საკოლმეურნეო მოძრაობის ჩინოვნიკური დეკრეტირებით, ფარატინა რეზოლუციებით კოლმეურნეობათა ზრდის შესახებ, ქაღალდზე კოლმეურნეობების მოწყობით, რომელნიც სინამდვილეში ჯერ კიდევ არ არსებობენ, მაგრამ რომელთა «არსებობის» შესახებ დაწერილია უამრავი მკვეხარა რეზოლუცია.

ანდა ავიღოთ თურქესტანის ზოგიერთი რაიონი, სადაც კოლმეურნეობათა დაუყოვნებლივ მოწყობისათვის ხელსაყრელი პირობები კიდევ უფრო ნაკლებია, ვიდრე სამომხმარებლო ზოლის ჩრდილოეთ ოლქებში. ცნობილია, რომ თურქესტანის მთელ რიგ რაიონებში უკვე იყო ცდა «დასწეოდნენ და გაესწროთ» სსრ კავშირის მოწინავე რაიონებისათვის — სამხედრო ძალით დამუქრების გზით, დამუქრებით, რომ სარწყავ წყალსა და სამრეწველო საქონელს არ მიაწვდიდნენ იმ გლეხებს, რომლებსაც ჯერჯერობით არ სურთ შევიდნენ კოლმეურნეობებში.

რა შეიძლება საერთო იყოს უნტერ პრიშიბეევის ამ «პოლიტიკასა» და პარტიის პოლიტიკას შორის, რომელიც ეყრდნობა ნებაყოფლობას და ადგილობრივ თავისებუ-

რებათა გათვალისწინებას საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში? ცხადია, მათ შორის საერთო არაფერია და არც შეიძლება იყოს.

ვის სჭირდება ეს გამრუდებანი, საკოლმეურნეო მოძრაობის ეს ჩინოვნიკური დეკრეტირება, ეს არასაკადრისი მუქარა გლეხობის მიმართ? არავის, ჩვენი მტრების მეტს!

რა შეიძლება გამოიწვიონ მათ, ამ გამრუდებებმა? ჩვენი მტრების გაძლიერება და საკოლმეურნეო მოძრაობის იდეებისათვის სახელის გატეხა.

განა ცხადი არ არის, რომ ამ გამრუდებათა ავტორები, რომლებსაც თავი მოაქვთ «მემარცხენეებად», სინამდვილეში ხელს უწყობენ მემარჯვენე ოპორტუნიზმს?

2. ჩვენი პარტიის პოლიტიკური სტრატეგიის ერთ-ერთი უდიდესი ღირსება ის არის, რომ მას უნარი აქვს ყოველ განსაზღვრულ მომენტში გამოარჩიოს მოძრაობის **ძირითადი რგოლი** და, ჩასჭიდებს რა ხელს ამ რგოლს, შემდეგ მთელ ჯაჭვს სწევს ერთი საერთო მიზნისაკენ იმისათვის, რომ მიაღწიოს ამოცანის გადაჭრას. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ პარტიამ უკვე გამოარჩია საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითადი რგოლი საკოლმეურნეო მშენებლობის სისტემაში? დიახ, შეიძლება ითქვას და უნდა ითქვას კიდევაც.

რაში მდგომარეობს ის, ეს ძირითადი რგოლი?

იქნებ ეს არის მიწის **საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობა?** არა, ეს არ არის. მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობანი, სადაც წარმოების საშუალებანი ჯერ კიდევ არ არის განსაზოგადოებული, საკოლმეურნეო მოძრაობის უკვე განვლილ საფეხურს წარმოადგენენ.

იქნებ ეს არის **სასოფლო-სამეურნეო კომუნა?** არა, არც კომუნაა. კომუნები ჯერ კიდევ ერთეულ მოვლენას წარმოადგენენ საკოლმეურნეო მოძრაობაში. სასოფლო-სამე-

ურნეო კომუნებისათვის, როგორც **მთავარი** ფორმისათვის, სადაც განსაზოგადოებულია არა მარტო წარმოება, არამედ განაწილებაც, ჯერჯერობით პირობები არ მოიწყობულა.

საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითად რგოლს, მის ახლანდელ **მთავარ** ფორმას, რომელსაც ახლა ხელი უნდა ჩავჭიდოთ, წარმოადგენს **სასოფლო-სამეურნეო არტელი.**

სასოფლო-სამეურნეო არტელში განსაზოგადოებულია წარმოების ძირითადი საშუალებანი, უმთავრესად მარცვლეულის მეურნეობის ხაზით: შრომა, მიწათსარგებლობა, მანქანები და დანარჩენი ინვენტარი, მუშა-პირუტყვი, სამეურნეო შენობები. იქ **განსაზოგადოებული არ არის:** საკარმიდამო მიწები (პატარა ბოსტნები, პატარა ბაღები), საცხოვრებელი შენობები, მეწველი პირუტყვის განსაზღვრული ნაწილი, წვრილფეხა პირუტყვი, შინაური ფრინველი და სხვ.

არტელი წარმოადგენს **საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითად რგოლს** იმიტომ, რომ იგი მარცვლეულის პრობლემის გადაჭრის ყველაზე მიზანშეწონილი ფორმაა. მარცვლეულის პრობლემა კი წარმოადგენს **ძირითად რგოლს მთელი სოფლის მეურნეობის სისტემაში** იმიტომ, რომ მის გადაუჭრელად ვერ გადაწყდება ვერც მეცხოველეობის (წვრილფეხა და მსხვილფეხა მეცხოველეობის) პრობლემა, ვერც პრობლემა ტექნიკური და სპეციალური კულტურებისა, რომლებიც იძლევიან ძირითად ნედლეულს მრეწველობისათვის. სწორედ ამიტომ სასოფლო-სამეურნეო არტელი ამჟამად წარმოადგენს ძირითად რგოლს საკოლმეურნეო მოძრაობის სისტემაში.

ამას ეყრდნობა კოლმეურნეობათა «სანიმუშო წესდება», რომლის საბოლოო ტექსტი დღეს ჭვეყნდება *.

* «პრავდა», 1930 წ. 2 მარტი.

ამასვე უნდა ეყრდნობოდნენ ჩვენი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, რომელთა ერთ-ერთი მოვალეობა ის არის, რომ არსებითად შეისწავლონ ეს წესდება და ბოლომდე განახორციელონ იგი.

ასეთია პარტიის გეზი ამჟამად.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ პარტიის ეს გეზი დაურღვევლად და დაუმახინჯებლად ხორციელდება? არა, ამის თქმა, სამწუხაროდ, არ შეიძლება. ცნობილია, რომ სსრ კავშირის მთელ რიგ რაიონებში, სადაც ბრძოლა კოლმეურნეობათა არსებობისათვის ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის დამთავრებული და სადაც არტელები ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულან, არის ცდები — ამოხტნენ არტელის ჩარჩოებიდან და ერთბაშად გადახტნენ სასოფლო-სამეურნეო კომუნაში. არტელი ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულა, ისინი კი უკვე «ასაზოგადოებენ» საცხოვრებელ შენობებს, წვრილფეხა პირუტყვს, შინაურ ფრინველს, ამასთან ეს «განსაზოგადოება» ფორმალურ-ბიუროკრატიული დეკრეტირების ხასიათს იღებს, ვინაიდან ჯერ კიდევ არ არის პირობები, რომლებიც აუცილებელს ხდიდნენ ასეთ განსაზოგადოებას. შეიძლება იფიქრო, რომ კოლმეურნეობებში უკვე გადაჭრილია მარცვლეულის პრობლემა, რომ ის უკვე განვლილ საფეხურს წარმოადგენს, რომ ამჟამად მთავარი ამოცანაა არა მარცვლეულის პრობლემის გადაჭრა, არამედ მეცხოველეობისა და მეფრინველეობის პრობლემის გადაჭრა. იბადება კითხვა, ვის ესაჭიროება ეს უთავგზური «მუშაობა» — საკოლმეურნეო მოძრაობის სხვადასხვა ფორმის ერთმანეთში დომხალივით არევა? ვის სჭირდება ეს სულელური და საქმისათვის საზიანო წინწარბენა? კოლმეურნე გლეხის გაღიზიანება საცხოვრებელი შენობების, მთელი მეწველი პირუტყვის, მთელი წვრილფეხა პირუტყვის, შინაური ფრინველის «განსაზოგადოებით», როცა მარცვ-

ლეულის პრობლემა ჯერ კიდევ **არ არის გადაჭრილი,** როცა კოლმეურნეობათა არტელური ფორმა ჯერ კიდევ **არ დამკვიდრებულა,** — განა ცხადი არ არის, რომ ასეთი «პოლიტიკა» სასურველი და სასარგებლოა მხოლოდ ჩვენი მოსისხლე მტრებისათვის?

ერთი ასეთი ფიცხი «განმსაზოგადოებელი» იქამდეც კი მიდის, რომ არტელს მიმართავს ბრძანებით, სადაც განკარგულებას იძლევა «სამი დღის ვადაში აღრიცხონ თვითეული მეურნეობის მთელი შინაური ფრინველი», შემოიღონ აღრიცხვისა და მეთვალყურეობის დარგში სპეციალურ «მეთაურთა» თანამდებობა, «დაიკავონ არტელში მბრძანებელი მაღლობები», «სარდლობა გაუწიონ სოციალისტურ ბრძოლას პოსტების მიუტოვებლად» და — ცხადია — მაგრად ჩაიჭირონ ხელში მთელი არტელი.

რა არის ეს — კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის პოლიტიკა, თუ მისი **დაშლისა** და **დისკრედიტაციის** პოლიტიკა?

აღარას ვამბობ იმ, უკაცრავად პასუხია, «რევოლუციონერებზე», რომლებიც არტელის მოწყობის საქმეს **იწყებენ** ეკლესიებზე ზარების ჩამოხსნით. ზარების ჩამოხსნა, — დახეთ რა რრრევოლუციონერობაა!

როგორ შეიძლებოდა წარმოშობილიყო ჩვენში ეს უთავგზური ვარჯიშობა «განსაზოგადოების» საქმეში, თავის თავზე გადახტომის ეს სასაცილო ცდები, ცდები, რომელთა მიზანია გვერდი აუარონ კლასებს და კლასობრივ ბრძოლას, ხოლო ნამდვილად წყალს უშვებენ ჩვენი კლასობრივი მტრების წისქვილზე?

ეს შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ იმ «იოლ» და «მოულოდნელ» წარმატებათა ატმოსფეროში, რომელთაც მივაღწიეთ საკოლმეურნეო მშენებლობის ფრონტზე.

ეს შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ იმის შედეგად, რომ პარტიის ერთი ნაწილის რიგებში არსებობს უთავგზური განწყობილება: «ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია!», «ჩვენთვის დაბრკოლება არ არსებობს!».

ეს შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ იმის შედეგად, რომ ზოგიერთ ჩვენს ამხანაგს თავბრუ დაესხა წარმატებებისაგან, ღა მათ ერთი წუთით დაკარგეს საღი გონიერება და ფხიზელი აზროვნება.

საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში ჩვენი მუშაობის ხაზი რომ გამოვასწოროთ, ამისათვის **საჭიროა ბოლო მოვუღოთ ამ განწყობილებებს.**

ეს არის ახლა პარტიის ერთ-ერთი მორიგი ამოცანა.

ხელმძღვანელობის ხელოვნება სერიოზული საქმეა. არ შეიძლება ჩამორჩე მოძრაობას, ვინაიდან ჩამორჩენა ნიშნავს იმას, რომ მოსწყდე მასებს. მაგრამ არც წინწარბენა შეიძლება, ვინაიდან წინწარბენა ნიშნავს მასებთან კავშირის გაწყვეტას და თავის განმარტოებას. ვისაც სურს უხელმძღვანელოს მოძრაობას და ამასთან ერთად შეინარჩუნოს კავშირი მილიონიან მასებთან, მან უნდა აწარმოოს ბრძოლა ორ ფრონტზე — ჩამორჩენილთა წინააღმდეგაც და წინგაქცეულთა წინააღმდეგაც.

ჩვენი პარტია ძლიერი და უძლეველია იმიტომ, რომ, ხელმძღვანელობს რა მოძრაობას, მას უნარი აქვს შეინარჩუნოს და ამრავლოს თავისი კავშირი მუშათა და გლეხთა მილიონიან მასებთან.

«პრავდა» № 60,
1930 წ. 2 მარტი.

ხელმოწერა: ი. სტალინი.

წერილი ამხ. ბეზიმენსკის

ამხ. ბეზიმენსკი!

გწერთ დაგვიანებით.

მე ლიტერატურის მცოდნე არა ვარ და, რა თქმა უნდა, არც კრიტიკოსი. მიუხედავად ამისა, თქვენი დაჟინებითი თხოვნის გამო შემიძლია გაცნობოთ ჩემი პირადი აზრი.

წავიკითხე «გასროლაც» და «ჩვენი ცხოვრების დღეც». ამ ნაწარმოებებში არაფერია არც «წვრილბურჟუაზიული» და არც «ანტიპარტიული». ერთიც და მეორეც, განსაკუთრებით «გასროლა», დღეისათვის რევოლუციური პროლეტარული ხელოვნების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

მართალია, მათში არის კომკავშირული ავანგარდიზმის ზოგიერთი ნაშთი. ამ ნაწარმოებთა წაკითხვისას გამოუცდელ მკითხველს ისიც კი შეიძლება ეჩვენოს, რომ პარტია კი არ უსწორებს შეცდომებს ახალგაზრდობას, არამედ პირიქით. მაგრამ ეს ნაკლი როდი შეადგენს ამ ნაწარმოებთა ძირითად ნიშანს, პათოსს. მათი პათოსი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი საკითხს ამახვილებენ ჩვენი აპარატების ნაკლოვანებებზე და შეიცავენ ამ ნაკლოვანებათა გამოსწო-

რების შესაძლებლობის ღრმა რწმენას. ეს არის მთავარი «გასროლაშიც» და «ჩვენი ცხოვრების დღეშიც». ეს არის მათი ძირითადი ღირსებაც. ეს ღირსება კი ჭარბად ანაზღაურებს და თითქმის სრულებით ჩრდილავს მათს პატარა ნაკლოვანებებს, რომლებიც, მე მგონია, წარსულს ჰბარდება.

კომ. სალამით

ი. სტალინი

1930 წ. 19 მარტი.

ბეჭდება პირველად.

პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს

გაზეთებიდან ცნობილია, რომ სტალინის სტატიამ «თავბრუდახვევა წარმატებებისაგან» * და ცენტრალური კომიტეტის ცნობილმა დადგენილებამ «საკოლმეურნეო მოძრაობაში პარტიული ხაზის გამრუდებათა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» [34] მრავალი გამოხმაურება გამოიწვია საკოლმეურნეო მოძრაობის პრაქტიკოს მუშაკთა რიგებში. ამასთან დაკავშირებით უკანასკნელ ხანს ამხანაგ კოლმეურნეებისაგან მომივიდა მთელი რიგი წერილები, რომლებშიც ისინი მოითხოვენ პასუხს იქ დასმულ კითხვებზე. ჩემი მოვალეობა იყო მეპასუხნა წერილებზე კერძო მიწერ-მოწერის წესით. მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან წერილების ნახევარზე მეტი მიღებულია მათი ავტორების მისამართის აღუნიშნავად (დავიწყებიათ მისამართების გამოგზავნა). წერილებში აღძრული საკითხები კი უდიდეს პოლიტიკურ ინტერესს წარმოადგენს ყველა ჩვენი ამხანაგისათვის. გარდა ამისა, გასაგებია, რომ არ შემეძლო პასუხი არ გამეცა იმ ამხანაგებისთვისაც, რომლებსაც დავიწყებიათ თავიანთი მისამართების გამოგზავნა. ამიტომ ჩემთვის აუცილებელი გახდა ამხანაგ კოლმეურნეთა წერილებზე პასუხი გამეცა საჯაროდ, ე. ი. პრესაში, ამასთან წერილებიდან ამეღო საქმი-

* იხ. ეს ტომი, გვ. 209 — 218. რ ე დ.

სათვის საჭირო ყველა კითხვა. მე მით უფრო ხალისით მოვკიდე ამ საქმეს ხელი, რომ ამის შესახებ მქონდა ცენტრალური კომიტეტის პირდაპირი გადაწყვეტილება.

პირველი კითხვა. რა არის გლეხობის საკითხში დაშვებული შეცდომების **ფესვი?**

პასუხი. საშუალო გლეხისადმი არასწორი მიდგომა. საშუალო გლეხთან სამეურნეო ურთიერთობის ხაზით ძალდატანების დაშვება. იმის დავიწყება, რომ საშუალო გლეხობის მასებთან სამეურნეო კავშირი ძალდატანებით ღონისძიებებს კი არ უნდა ემყარებოდეს, არამედ საშუალო გლეხთან შეთანხმებას, საშუალო გლეხთან კავშირს. იმის დავიწყება, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის საფუძველს ამჟამად წარმოადგენს მუშათა კლასისა და ღარიბი გლეხობის კავშირი საშუალო გლეხთან საერთოდ კაპიტალიზმის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კულაკობის წინააღმდეგ.

სანამ კულაკობის წინააღმდეგ შეტევა წარმოებდა საშუალო გლეხთან საერთო ფრონტით, ყველაფერი კარგად მიდიოდა. მაგრამ როცა წარმატებებით გაბრუებულმა ზოგიერთმა ჩვენმა ამხანაგმა კულაკის წინააღმდეგ შეტევის გზიდან შეუმჩნევლად იწყო გადახვევა საშუალო გლეხთან ბრძოლის გზაზე, როცა მათ, კოლექტივიზაციის მაღალი პროცენტის მიღწევის სურვილით, იწყეს საშუალო გლეხისადმი ძალდატანების გამოყენება — მისთვის საარჩევნო უფლების წართმევა, მისი «განკულაკება» და ექსპროპრიირება, — დაიწყო შეტევის გამრუდება, დაიწყო საშუალო გლეხთან ერთიანი ფრონტის შერყევა, და, ცხადია, კულაკს შესაძლებლობა მიეცა ეცადნა კვლავ დამდგარიყო ფეხზე.

დაავიწყდათ, რომ ძალდატანება, რაც აუცილებელი და სასარგებლოა ჩვენი კლასობრივი მტრების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, შეუწყნარებელი და დამღუპველია საშუალო გლეხის მიმართ, რომელიც ჩვენი მოკავშირეა.

დაავიწყდათ, რომ ცხენოსნური თავდასხმები, რაც აუცილებელი და სასარგებლოა სამხედრო ხასიათის ამოცანების გადასაწყვეტად, უვარგისი და დამღუპველია საკოლმეურნეო მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტისას, მით უმეტეს, რომ ეს მშენებლობა ეწყობა საშუალო გლეხთან კავშირში.

ეს არის გლეხობის საკითხში დაშვებული შეცდომების ფესვი.

აი რას ამბობს ლენინი საშუალო გლეხთან სამეურნეო ურთიერთობის შესახებ:

«ყველაზე უფრო ჩვენ იმ ჭეშმარიტებას უნდა ვეყრდნობოდეთ, რომ აქ ძალდატანების მეთოდებით თვით საქმის არსის გამო არაფრის მიღწევა არ შეიძლება. აქ ეკონომიური ამოცანა სულ სხვანაირად დგას. აქ არ არის ის ზედაფენა, რომელიც შეიძლება მოჰკვეთო, ხოლო მთელი საძირკველი, მთელი შენობა დასტოვო. ის ზედაფენა, როგორიც ქალაქში კაპიტალისტები იყვნენ, აქ არ არის. **აქ ძალდატანებით მოქმედება ნიშნავს მთელი საქმის დაღუპვას... იმაზე სულელური არაფერია, როგორც თვით აზრი ძალდატანებისა საშუალო გლეხის სამეურნეო ურთიერთობის დარგში»** (ტ. XXIV, გვ. 168).

შემდეგ:

«საშუალო გლეხობის მიმართ ძალდატანება უაღრესად საზიანოა. ეს არის მრავალრიცხოვანი, მრავალმილიონიანი ფენა. ევროპაშიც კი, სადაც იგი არსად არ აღწევს ასეთ ძლიერებას, სადაც გიგანტურად განვითარებულია ტექნიკა და კულტურა, ქალაქის ცხოვრება, რკინიგზები, სადაც ყველაზე ადვილად შეიძლებოდა ამაზე ფიქრი, — არავის, არც ერთ ყველაზე რევოლუციურ სოციალისტს არ უცვნია საჭიროდ ძალდატანებითი ღონისძიებანი საშუალო გლეხობის მიმართ» (ტ. XXIV, გვ. 167).

ვგონებ, ნათელია.

მეორე კითხვა. რა მთავარი შეცდომებია დაშვებული საკოლმეურნეო მოძრაობაში?

პასუხი. ასეთი შეცდომა სამი მაინც არის.

1) კოლმეურნეობათა მოწყობის დროს დაარღვიეს ნებაყოფლობის ლენინური პრინციპი. დაარღვიეს პარტიის ძირითადი მითითებანი და სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება საკოლმეურნეო მშენებლობის ნებაყოფლობის შესახებ.

ლენინიზმი გვასწავლის, რომ გლეხები კოლექტიური მეურნეობის რელსებზე უნდა გადავიყვანოთ ნებაყოფლობის წესით, ერთპიროვნულ მეურნეობასთან შედარებით საზოგადოებრივი, კოლექტიური მეურნეობის უპირატესობაში დარწმუნების გზით. ლენინიზმი გვასწავლის, რომ გლეხები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დავარწმუნოთ კოლექტიური მეურნეობის უპირატესობაში, თუ მათ საქმით, გამოცდილებით **ვუჩვენებთ** და **დავუმტკიცებთ**, რომ კოლმეურნეობა სჯობს ერთპიროვნულ მეურნეობას, რომ იგი ერთპიროვნულ მეურნეობაზე უფრო ხელსაყრელია, რომ კოლმეურნეობა აძლევს გლეხს, ღარიბ და საშუალო გლეხს, გამოსავალს გაჭირვებიდან და სიღატაკიდან. ლენინიზმი გვასწავლის, რომ ამ პირობების გარეშე კოლმეურნეობები მტკიცე ვერ იქნებიან. ლენინიზმი გვასწავლის, რომ ყოველმა ცდამ — ძალით მოახვიო თავზე გლეხს კოლექტიური მეურნეობა, ყოველმა ცდამ — დანერგო კოლმეურნეობანი იძულების წესით, შეიძლება მხოლოდ უარყოფითი შედეგები მოგვცეს, შეიძლება მხოლოდ ჩამოაშოროს გლეხები საკოლმეურნეო მოძრაობას.

და მართლაც, სანამ ამ ძირითად წესს იცავდნენ, საკოლმეურნეო მოძრაობა წარმატებას წარმატებაზე აღწევდა. მაგრამ წარმატებებით გაბრუებულმა ზოგიერთმა ჩვენმა ამხანაგმა დაიწყო ამ წესის უგულებელყოფა, დაიწყო მეტის-მეტი აჩქარება და, კოლექტივიზაციის მაღალი პროცენტის მიღწევის სურვილით, კოლმეურნეობების იძულებითი წესით დანერგვა. გასაკვირველი როდია, რომ ასეთი «პოლი-

ტიკის» უარყოფითმა შედეგებმა მალე იჩინა თავი. ნაჩქარევად წარმოშობილმა კოლმეურნეობებმა ისევე სწრაფად იწყეს დაშლა, როგორც სწრაფად წარმოიშვნენ, ხოლო გლეხობის ნაწილმა, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ უდიდესი ნდობით უყურებდა კოლმეურნეობებს, ზურგი შეაქცია მათ.

ეს არის პირველი და მთავარი შეცდომა საკოლმეურნეო მოძრაობაში.

აი რას ამბობს ლენინი საკოლმეურნეო მშენებლობის ნებაყოფლობის შესახებ:

«ახლა ჩვენი ამოცანაა გადასვლა მიწის **საზოგადოებრივ** დამუშავებაზე, გადასვლა **მსხვილ** საერთო მეურნეობაზე. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების მხრივ არავითარი ძალდატანება არ შეიძლება; არავითარი კანონი ამას არ გვაიძულებს. სასოფლო-სამეურნეო **კომუნა** ეწყობა **ნებაყოფლობით**, მიწის **საზოგადოებრივ დამუშავებაზე** გადასვლა შეიძლება იყოს მხოლოდ **ნებაყოფლობითი**, მუშურ-გლეხური მთავრობის მხრივ ამ საქმეში ოდნავი იძულებაც არ შეიძლება, და კანონით დაშვებული არ არის. თუ ვინმე თქვენგანს შეუმჩნევია ასეთი იძულება, უნდა იცოდეთ, რომ ეს არის ბოროტმოქმედება, რომ ეს არის კანონის **დარღვევა**, რის გამოსწორებასაც ჩვენ მთელი ძალღონით ვცდილობთ **და კვლავაც ვეცდებით გამოვასწოროთ»** * (ტ. XXIV, გვ. 43).

შემდეგ:

«მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შევძლებთ საქმით **ვუჩვენოთ** გლეხებს მიწის საზოგადოებრივი, კოლექტიური, ამხანაგური, არტელური დამუშავების უპირატესობანი, მხოლოდ მაშინ, თუ შევძლებთ დავეხმაროთ გლეხს, ამხანაგური, არტელური მეურნეობის შემწეობით, მხოლოდ მაშინ მუშათა კლასი, რომელსაც ხელთ უპყრია სახელმწიფო ძალაუფლება, ნამდვილად დაუმტკიცებს გლეხს თავის სიმართლეს, ნამდვილად მიიმხრობს მტკიცედ და ჯეროვნად გლეხობის მრავალმილიონიან მასას. ამიტომ ძნელია ამხანაგური, არტელური მიწათმოქმედების ხელშემწყობ ყოველგვარ წამოწყებათა მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება. ჩვენ მილიონობით გვაქვს გაფანტული, მიყრუებულ სოფლებში დაჩაგრული, ცალკეული მეურნეობანი... მხოლოდ მაშინ, როცა **პრაქტიკულად**, გლეხებისათვის გასაგები **გამოცდილებით, დამტკიცებული** იქნება, რომ ამხანაგურ, არტელურ მიწათმოქმედებაზე გადასვლა **საჭირო**

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

და შესაძლებელია, მხოლოდ მაშინ გვექნება უფლება ვთქვათ, რომ ისეთ უზარმაზარ გლეხურ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, სოციალისტური მიწათმოქმედების გზაზე გადადგმულია სერიოზული ნაბიჯი» * (ტ. XXIV, გვ. 579 — 580).

დასასრულ, კიდევ ერთი ადგილი ლენინის ნაშრომებიდან:

«საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა წაახალისონ საშუალო გლეხების ყოველგვარი ამხანაგობანი, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კომუნები, მაგრამ მათი შექმნის დროს **იძულებაც კი** არ უნდა დაუშვან. მხოლოდ ის გაერთიანებებია ძვირფასი, რომლებიც შექმნილია თვით გლეხების მიერ მათი თავისუფალი თაოსნობით და რომელთა ხელსაყრელობა პრაქტიკულად შემოწმებულია მათ მიერ. **ამ საქმეში მეტისმეტი აჩქარება მავნეა,** ვინაიდან ამას შეუძლია მხოლოდ გააძლიეროს საშუალო გლეხობის ეჭვები ახალი წესების წინააღმდეგ. საბჭოთა ხელისუფლების ის წარმომადგენლები, რომლებიც თავს ნებას აძლევენ მიმართონ არა მარტო პირდაპირ, არამედ თუნდაც არაპირდაპირ იძულებას იმ მიზნით, რომ გლეხები კომუნებში შეიყვანონ, მიცემულ უნდა იქნან უსასტიკეს პასუხისგებაში და მოხსნილ იქნან სოფლად სამუშაოდან» * (ტ. XXIV, გვ. 174).

ვგონებ, ნათელია.

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ პარტია მთელი სიმკაცრით გაატარებს ლენინის ამ მითითებებს.

2) დაარღვიეს ლენინური პრინციპი სსრ კავშირის სხვადასხვა რაიონის პირობების მრავალფეროვნების გათვალისწინებისა საკოლმეურნეო მშენებლობასთან შეფარდებით. დაავიწყდათ, რომ სსრ კავშირში არსებობენ უაღრესად სხვადასხვანაირი ოლქები სხვადასხვა ეკონომიური წყობით და კულტურის დონით. დაავიწყდათ, რომ ამ ოლქებს შორის არიან მოწინავე, საშუალო და ჩამორჩენილი ოლქები. დაავიწყდათ, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის ტემპები და საკოლმეურნეო მშენებლობის მეთოდები **არ შეიძლება ერთნაირი იყოს** ამ, სრულიადაც არაერთნაირი ოლქებისათვის.

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

«შეცდომა იქნებოდა, — ამბობს ლენინი, — რომ ჩვენ უბრალოდ, შაბლონის მიხედვით გადმოგვეწერა დეკრეტები რუსეთის ყველა ადგილისათვის, რომ ბოლშევიკ-კომუნისტებს, საბჭოთა მუშაკებს უკრაინასა და დონის ოლქში, განურჩევლად, ხელაღებით დაეწყოთ ამ დეკრეტების გავრცელება სხვა ოლქებზე»... ვინაიდან «ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვიბოჭავთ თავს ერთფეროვანი შაბლონით, ერთხელ და სამუდამოდ არ ვწყვეტთ, რომ ჩვენი გამოცდილება, ცენტრალური რუსეთის გამოცდილება, შეიძლება მთლიანად გადატანილ იქნას ყველა განაპირა მხარეზე» (ტ. XXIV, გვ. 125 — 126).

შემდეგ ლენინი ამბობს, რომ:

«ცენტრალური რუსეთის, უკრაინის, ციმბირის გაშაბლონება, ერთგვარი შაბლონისათვის დამორჩილება უდიდესი სისულელე იქნება» (ტ. XXVI, გვ. 243).

დასასრულ, ლენინი ავალებს კავკასიის კომუნისტებს, რომ მათ

«შეიგნონ თავიანთი მდგომარეობის, თავიანთი რესპუბლიკების მდგომარეობის თავისებურება, რსფს რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეიგნონ იმის აუცილებლობა, რომ უცვლელად კი არ გადაიღონ ჩვენი ტაქტიკა, არამედ მოფიქრებულად შეუცვალონ მას სახე კონკრეტული პირობების განსხვავებასთან შეფარდებით» (ტ. XXVI, გვ. 191).

ვგონებ, ნათელია.

ლენინის ამ მითითებათა საფუძველზე ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში «კოლექტივიზაციის ტემპის შესახებ» (იხ. «პრავდა», 1930 წ. 6 იანვარი*) სსრ კავშირის ოლქები, კოლექტივიზაციის ტემპების თვალსაზრისით, დაჰყო სამ ჯგუფად, რომელთაგან ჩრდილოეთ კავკასიას, შუა ვოლგასა და ქვემო ვოლგას შეუძლიათ კოლექტივიზაცია ძირითადად დაამთავრონ 1931 წლის გაზაფხულზე, მარცვლეულის სხვა ოლქებს

(უკრაინას, ცენტრალურ შავნიადაგიან ოლქს, ციმბირს, ურალს, ყაზახეთს და სხვ.) შეუძლიათ ძირითადად დაამთავრონ იგი 1932 წლის გაზაფხულზე, ხოლო დანარჩენ ოლქებს შეუძლიათ კოლექტივიზაცია გააგრძელონ ხუთწლედის დასასრულამდე, ე. ი. 1933 წლამდე.

ნამდვილად კი რა გამოვიდა? აღმოჩნდა, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის პირველი წარმატებებით გაბრუებულმა ზოგიერთმა ჩვენმა ამხანაგმა უდარდელად დაივიწყა ლენინის მითითებებიც და ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაც. მოსკოვის ოლქმა, რომელიც კოლექტივიზაციის გაბერილმა ციფრებმა გაიტაცა, გეზი მისცა თავის მუშაკებს — დაემთავრებინათ კოლექტივიზაცია 1930 წლის გაზაფხულზე, თუმცა მის განკარგულებაში სულ ცოტა სამი წელიწადი იყო (1932 წლის დამლევი). ცენტრალურმა შავნიადაგიანმა ოლქმა არ ისურვა «სხვებს ჩამორჩენოდა» და თავის მუშაკებს გეზი მისცა — დაემთავრებინათ კოლექტივიზაცია 1930 წლის პირველი ნახევრისათვის, თუმცა მის განკარგულებაში სულ ცოტა ორი წელიწადი იყო (1931 წლის დამლევი). ხოლო ამიერკავკასიელებმა და თურქესტანელებმა, რომლებიც გაიტაცა სურვილმა — «დასწეოდნენ და გაესწროთ» მოწინავე რაიონებისათვის, აიღეს გეზი კოლექტივიზაციის «უმოკლეს ვადაში» დამთავრებისა, თუმცა მათს განკარგულებაში მთელი ოთხი წელიწადი იყო (1933 წლის დამლევი).

გასაგებია, რომ კოლექტივიზაციის ასეთი ნაჩქარევი «ტემპის» დროს ის რაიონები, რომლებიც ნაკლებად მომზადებული იყვნენ საკოლმეურნეო მოძრაობისათვის და რომლებიც გაიტაცა სურვილმა — «გაესწროთ» უფრო მომზადებული რაიონებისათვის, იძულებული გახდნენ გამოეყენებინათ გაძლიერებული ადმინისტრაციული ზემოქმედება და შეეცადნენ თავიანთი საკუთარი ადმინისტრაციული სიფიცხით აენაზღაურებინათ საკოლმეურნეო

მოძრაობის სწრაფი ტემპის ფაქტორების უქონლობა. შედეგები ცნობილია. ყველასათვის ცნობილია ის არევდარევა, რომელიც ამ ოლქებში მივიღეთ და რომლის გამოსასწორებლადაც შემდეგ საჭირო გახდა ცენტრალური კომიტეტის ჩარევა.

ეს არის მეორე შეცდომა საკოლმეურნეო მოძრაობაში.

3) დაარღვიეს ის ლენინური პრინციპი, რომ საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში დაუშვებელია გადაახტე მოძრაობის დაუმთავრებელ ფორმას. დაარღვიეს ის ლენინური პრინციპი, რომ არ გავუსწროთ მასების განვითარებას, არ დავუშვათ მასების მოძრაობის დეკრეტირება, არ მოვწყდეთ მასებს, არამედ ვიაროთ მასებთან ერთად და წავწიოთ ისინი წინ, მივიყვანოთ ისინი ჩვენი ლოზუნგების გაგებამდე და გავუადვილოთ მათ თავიანთი საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ ჩვენი ლოზუნგების სისწორეში.

«როცა პეტროგრადის პროლეტარიატი და პეტროგრადის გარნიზონის ჯარისკაცები ძალაუფლებას იღებდნენ, — ამბობს ლენინი, — მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ მშენებლობა სოფლად დიდ სიძნელეებს წააწყდებოდა, რომ აქ საჭიროა წინსვლა უფრო თანდათანობით, რომ აქ **უდიდესი უაზრობა იქნებოდა ცდა მიწის საზოგადოებრივი დამუშავების შემოღებისა დეკრეტებით** და კანონებით, რომ ამაზე დათანხმდებოდა შეგნებულთა სრულიად უმნიშვნელო რიცხვი, ხოლო გლეხების უდიდესი უმრავლესობა ამ ამოცანას არ ისახავდა. ამიტომ ჩვენ ვჯერდებოდით იმას, რაც აბსოლუტურად აუცილებელია რევოლუციის განვითარების ინტერესებისათვის: არავითარ შემთხვევაში **არ გაგვესწრო მასების განვითარებისათვის,** არამედ დავლოდებოდით, ვიდრე ამ მასების საკუთარი გამოცდილება, მათი საკუთარი ბრძოლა არ გამოიწვევდა წინსვლას»* (ტ. XXIII, გვ. 252).

ლენინის ამ მითითებებზე დაყრდნობით, ცენტრალურმა კომიტეტმა თავის ცნობილ დადგენილებაში «კოლექტივი-

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ზაციის ტემპის შესახებ» (იხ. 1930 წ. 6 იანვრის «პრავდა») სცნო, რომ

ა) საკოლმეურნეო მოძრაობის მთავარ ფორმას ამჟამად წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომ

ბ) ამის გამო საჭიროა შემუშავებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო არტელის, როგორც საკოლმეურნეო მოძრაობის მთავარი ფორმის, სანიმუშო წესდება, რომ

გ) ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში არ შეიძლება დავუშვათ საკოლმეურნეო მოძრაობის ზემოდან «დეკრეტირება» და «კოლექტივიზაციობანას თამაში».

ეს ნიშნავს იმას, რომ ამჟამად ჩვენ აღებული უნდა გვქონდეს კურსი არა კომუნაზე, არამედ სასოფლო-სამეურნეო არტელზე, როგორც საკოლმეურნეო მშენებლობის მთავარ ფორმაზე, რომ არ შეიძლება დავუშვათ სასოფლო-სამეურნეო არტელზე გადახტომით კომუნაზე გადასვლა, რომ არ შეიძლება კოლმეურნეობებისაკენ გლეხების მასობრივი მოძრაობა შევცვალოთ კოლმეურნეობათა «დეკრეტირებით», «კოლმეურნეობანას თამაშით».

ვგონებ, ნათელია.

ნამდვილად კი რა გამოვიდა? აღმოჩნდა, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის პირველი წარმატებებით გაბრუებულმა ზოგიერთმა ჩვენმა ამხანაგმა უდარდელად დაივიწყა ლენინის მითითებებიც და ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაც. სასოფლო-სამეურნეო არტელის სასარგებლოდ მასობრივი მოძრაობის მოწყობის ნაცვლად, ეს ამხანაგები შეუდგნენ ერთპიროვნული გლეხების «გადაყვანას» პირდაპირ კომუნის წესდებაზე. მოძრაობის არტელური ფორმის განმტკიცების ნაცვლად შეუდგნენ წვრილფეხა პირუტყვის, ფრინველის, არასასაქონლო მეწველი პირუტყვის, საცხოვრებელი შენობების იძულებითი წესით «განსაზოგადოებას».

თუ რა შედეგები მოჰყვა ამ, ლენინელისათვის შეუწყნარებელ აჩქარებას, ეს ახლა ყველამ იცის. მტკიცე კომუნები, როგორც წესი, რა თქმა უნდა, ვერ შექმნეს. მაგრამ სამაგიეროდ ხელიდან გაუშვეს მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო არტელები. მართალია, დარჩა «კარგი» რეზოლუციები. მაგრამ მათ რა აზრი აქვთ?

ეს არის მესამე შეცდომა საკოლმეურნეო მოძრაობაში.

მესამე კითხვა. როგორ შეიძლებოდა წარმოშობილიყო ეს შეცდომები და როგორ უნდა გამოასწოროს ისინი პარტიამ?

პასუხი. ისინი წარმოიშვნენ საკოლმეურნეო მოძრაობის დარგში ჩვენი სწრაფი წარმატებების საფუძველზე. წარმატებანი ხშირად თავბრუს ხვევენ ადამიანს. ისინი ხშირად წარმოშობენ მეტად გადაჭარბებულ წარმოდგენას თავის თავზე და თავგასულობას. ეს განსაკუთრებით ადვილად შეიძლება დაემართოთ ხელისუფლების სათავეში მდგომი პარტიის წარმომადგენლებს. განსაკუთრებით ისეთი პარტიის წარმომადგენლებს, როგორიც ჩვენი პარტიაა, რომლის ძალა და ავტორიტეტი თითქმის განუზომელია. აქ სავსებით შესაძლებელია ფაქტები კომყოყოჩობისა, რომლის წინააღმდეგაც გააფთრებით იბრძოდა ლენინი. აქ სავსებით შესაძლებელია რწმენა დეკრეტის, რეზოლუციის, განკარგულების ყოვლისშემძლეობისადმი. აქ სავსებით რეალურია იმის საფრთხე, რომ პარტიის რევოლუციური ღონისძიებანი გადაიქცნენ პარტიის ცალკეული წარმომადგენლების უშინაარსო, ჩინოვნიკურ დეკრეტირებად ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ამა თუ იმ კუთხეში. მხედველობაში მყავს არა მარტო ადგილობრივი მუშაკები, არამედ ცალკეული საოლქო მუშაკებიც, არამედ ცენტრალური კომიტეტის ცალკეული წევრებიც.

«კომუნისტური ყოყოჩობა, — ამბობს ლენინი, — ნიშნავს იმას, რომ ადამიანი, რომელიც კომუნისტურ პარტიაშია და ჯერ კიდევ არ არის იქიდან გარიცხული, ფიქრობს, რომ ყველა თავისი ამოცანა მას შეუძლია გადაწყვიტოს კომუნისტური დეკრეტირებით» (ტ. XXVII, გვ. 50 — 51).

აი რა ნიადაგზე წარმოიშვა შეცდომები საკოლმეურნეო მოძრაობაში, პარტიული ხაზის გამრუდებანი საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში.

რაში მდგომარეობს ამ შეცდომათა და გამრუდებათა საფრთხე, თუ ისინი კვლავაც გაგრძელდა, თუ არ მოხდა მათი ლიკვიდაცია სწრაფად და უკლებლივ?

საფრთხე აქ იმაში მდგომარეობს, რომ მათ, ამ შეცდომებს, პირდაპირი გზით მივყავართ საკოლმეურნეო მოძრაობისათვის სახელის გატეხისაკენ, საშუალო გლეხთან უთანხმოებისაკენ, ღარიბი გლეხობის დეზორგანიზაციისაკენ, დაბნეულობისაკენ ჩვენს რიგებში, მთელი ჩვენი სოციალისტური მშენებლობის შესუსტებისაკენ, კულაკობის აღდგენისაკენ.

მოკლედ რომ ვთქვათ, ამ შეცდომებს ტენდენცია აქვთ გადაგვახვევინონ გლეხობის ძირითად მასებთან კავშირის განმტკიცების გზიდან, პროლეტარული დიქტატურის განმტკიცების გზიდან ამ მასებთან კავშირის გაწყვეტის გზისაკენ, პროლეტარული დიქტატურისათვის ძირის გამოთხრის გზისაკენ.

ამ საფრთხემ თავი იჩინა უკვე თებერვლის მეორე ნახევარში, სწორედ იმ მომენტში, როცა წინანდელი წარმატებებით დაბრმავებულმა ჩვენი ამხანაგების ერთმა ნაწილმა ლენინურ გზას გადაუხვია და თავაწყვეტილი მიჰქროდა განზე. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაითვალისწინა ეს საფრთხე და დაუყოვნებლივ ჩაერია საქმეში, დაავალა სტალინს მიეცა თავგასული ამხანაგებისათვის გაფრთხილება სპეციალურ სტატიაში საკოლმეურნეო მოძრაობის შესახებ.

ზოგი ფიქრობს, რომ სტატია «თავბრუდახვევა წარმატებებისაგან» სტალინის პირადი თაოსნობის შედეგს წარმოადგენს. ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის. ცენტრალური კომიტეტი ჩვენში იმისათვის რომ არსებობს, რომ ასეთ საქმეში ვისიმე პირადი თაოსნობა დაუშვას. ეს იყო ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწყობილი ღრმა დაზვერვა. და როცა გამოირკვა შეცდომების სიღრმე და სიდიდე, ცენტრალურმა კომიტეტმა არ დააყოვნა თავისი ავტორიტეტის მთელი ძალით დაერტყა შეცდომებისათვის, გამოაქვეყნა რა თავისი 1930 წლის 15 მარტის ცნობილი დადგენილება.

ძნელია გამალებული სრბოლის დროს შეაჩერო და სწორი გზისაკენ მოაბრუნო ადამიანები, რომლებიც თავაწყვეტილი მიჰქრიან უფსკრულისაკენ. მაგრამ ჩვენს ცენტრალურ კომიტეტს სწორედ იმიტომ ეწოდება ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომ მას ამაზე მეტ სიძნელეთა გადალახვაც შეუძლია. და მან ძირითადად უკვე გადალახა ეს სიძნელენი.

ძნელია ასეთ შემთხვევებში პარტიის მთელმა რაზმებმა შეაჩერონ თავიანთი სრბოლა, დროულად მობრუნდნენ სწორი გზისაკენ და გზადაგზა გადააჯგუფონ თავიანთი რიგები. მაგრამ ჩვენს პარტიას სწორედ იმიტომ ეწოდება ლენინის პარტია, რომ მას საკმაო მოქნილობა აქვს ასეთ სიძნელეთა გადასალახავად. და მან ძირითადად უკვე გადალახა ეს სიძნელენი.

აქ მთავარი ის არის, რომ გამოიჩინო გამბედაობა — აღიარო შენი შეცდომები და ჰპოვო ძალა ამ შეცდომების უმოკლეს ხანში ლიკვიდაციისათვის. შიში საკუთარი შეცდომების აღიარებისა მას შემდეგ, რაც სულ ახლახან გაბრუებული იყავი წარმატებებით, თვითკრიტიკის შიში, შეცდომების სწრაფად და გადაჭრით გამოსწორების მოუწადინებლობა — ეს არის მთავარი სიძნელე. საკმარისია გა-

დალახო ეს სიძნელე, საკმარისია უკუაგდო გაბერილი ციფრობრივი დავალებანი და კანცელარიულ-ბიუროკრატიული მაქსიმალიზმი, საკმარისია გადაიტანო ყურადღება კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო მშენებლობის ამოცანებზე, რომ შეცდომების ნასახიც აღარ დარჩეს. არავითარი საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ პარტიამ ძირითადად უკვე გადალახა ეს სახიფათო სიძნელე.

«ყველა რევოლუციური პარტიები, — ამბობს ლენინი, — რომლებიც აქამდე იღუპებოდნენ, — იღუპებოდნენ იმის გამო, რომ **გამედიდურდებოდნენ** ხოლმე და ვერ ხედავდნენ, თუ რა შეადგენდა მათს ძალას, **და ეშინოდათ ელაპარაკნათ თავიანთ სუსტ მხარეებზე.** ჩვენ კი არ დავიღუპებით, იმიტომ რომ არ გვეშინია ჩვენს სუსტ მხარეებზე ლაპარაკისა, და ვისწავლით ამ სუსტ მხარეთა დაძლევას» * (ტ. XXVII, გვ. 260—261).

ლენინის ეს სიტყვები არ უნდა დავივიწყოთ.

მეოთხე კითხვა. პარტიული ხაზის გამრუდებებთან ბრძოლა ნაბიჯის უკან გადადგმა, უკანდახევა ხომ არ არის?

პასუხი. რა თქმა უნდა, არა! უკანდახევაზე აქ ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებსაც შეცდომათა და გამრუდებათა განგრძობა შეტევად მიაჩნიათ, ხოლო შეცდომებთან ბრძოლა — უკანდახევად. შეტევა შეცდომათა და გამრუდებათა დახვავების გზით, — კარგი «შეტევაც» ეს არის...

ჩვენ წამოვაყენეთ სასოფლო-სამეურნეო არტელი, როგორც საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითადი ფორმა ამჟამად, თანაც შევიმუშავეთ სათანადო სანიმუშო წესდება, როგორც საკოლმეურნეო მშენებლობის ხაზით მუშაობის სახელმძღვანელო. უკან ვიხევთ თუ არა ამ საქმიდან? რა თქმა უნდა, არა!

ჩვენ წამოვაყენეთ განმტკიცება მუშათა კლასის და ღარიბი გლეხობის საწარმოო კავშირისა საშუალო გლეხთან,

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

როგორც საკოლმეურნეო მოძრაობის საფუძველი ამჟამად. უკან ვიხევთ თუ არა ამ საქმიდან? რა თქმა უნდა, არა!

ჩვენ წამოვაყენეთ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ლოზუნგი, როგორც სოფლად ჩვენი პრაქტიკული მუშაობის მთავარი ლოზუნგი ამჟამად. უკან ვიხევთ თუ არა ამ საქმიდან? რა თქმა უნდა, არა!

ჩვენ ჯერ კიდევ 1930 წლის იანვარში ავიღეთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გარკვეული ტემპი, სსრ კავშირის ოლქები დავყავით გარკვეულ ჯგუფებად და თვითეული ჯგუფისათვის განვსაზღვრეთ თავისი განსაკუთრებული ტემპი. უკან ვიხევთ თუ არა ამ საქმიდან? რა თქმა უნდა, არა!

სად არის აქ პარტიის «უკანდახევა»?

ჩვენ გვსურს, რომ იმ ადამიანებმა, რომლებმაც შეცდომები და გამრუდებანი დაუშვეს, უკუაგდონ თავიანთი შეცდომები. ჩვენ გვსურს, რომ უთავგზურებმა უკუაგდონ თავიანთი უთავგზურობა და დაადგნენ ლენინიზმის პოზიციებს. ჩვენ ეს გვსურს, რადგან მხოლოდ ამ პირობით იქნება შესაძლებელი განვაგრძოთ **ნამდვილი** შეტევა ჩვენს კლასობრივ მტრებზე. განა ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ამით უკან ვიხევთ? რა თქმა უნდა, არა! ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გვსურს ვაწარმოოთ **სწორი** შეტევა, და არა შეტევის უთავგზური თამაში.

განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ ახირებულ ადამიანებს და «მემარცხენე» გადამხვევებს შეუძლიათ მიიჩნიონ პარტიის ასეთი გეზი უკანდახევად?

ადამიანებს, რომლებიც უკანდახევაზე ლაყბობენ, ყოველ შემთხვევაში ორი რამ არ ესმით.

ა) მათ არ იციან შეტევის კანონები. მათ არ ესმით, რომ შეტევა დაპყრობილი პოზიციების **განუმტკიცებლად** ისეთი შეტევაა, რომელიც განწირულია დასამარცხებლად.

როდის შეიძლება შეტევა წარმატებითი იყოს, ვთქვათ, სამხედრო საქმეში? როცა ადამიანები არ სჯერდებიან თავაწყვეტილ წინსვლას, არამედ ამასთან ერთად ცდილობენ **განამტკიცონ** დაპყრობილი პოზიციები, **გადააჯგუფონ** თავიანთი ძალები შეცვლილ ვითარებასთან შეფარდებით, **მოიახლოონ** ზურგის ნაწილები, **ახლოს მოიყვანონ** რეზერვები. რისთვის არის საჭირო ყოველივე ეს? იმისათვის, რომ უზრუნველჰყო თავი მოულოდნელობისაგან, მოსპო ცალკეული გარღვევები, რომელთაგან უზრუნველყოფილი არ არის არც ერთი შეტევა, და, ამრიგად, მოამზადო მტრის სრული ლიკვიდაცია. პოლონეთის ჯარების შეცდომა 1920 წელს, საქმის მხოლოდ სამხედრო მხარეს თუ ავიღებთ, ის იყო, რომ მათ უგულებელყვეს ეს წესი. სხვათა შორის, ამით აიხსნება, რომ ისინი, თავაწყვეტით მოქანდნენ რა კიევამდე, შემდეგ იძულებული გახდნენ ასევე თავაწყვეტით უკუქცეულიყვნენ ვარშავამდე. საბჭოთა ჯარების შეცდომა 1920 წელს, ისევ საქმის მხოლოდ სამხედრო მხარეს თუ ავიღებთ, ის იყო, რომ ვარშავაზე შეტევის დროს მათ პოლონელების შეცდომა გაიმეორეს.

იგივე უნდა ითქვას კლასობრივი ბრძოლის ფრონტზე შეტევის კანონების შესახებ. არ შეიძლება წარმატებით აწარმოო შეტევა კლასობრივი მტრების ლიკვიდაციისათვის, **თუ არ განამტკიცე** დაპყრობილი პოზიციები, **თუ არ გადააჯგუფე** შენი ძალები, თუ არ უზრუნველჰყავი ფრონტი **რეზერვებით,** თუ არ მოიახლოვე **ზურგის ნაწილები** და სხვ.

მთელი საქმე ის არის, რომ უთავგზურებს არ ესმით შეტევის კანონები. მთელი საქმე ის არის, რომ პარტიას ესმის ეს კანონები და ახორციელებს მათ.

ბ) მათ არ ესმით შეტევის კლასობრივი ბუნება. გაჰკივიან შეტევაზე. მაგრამ შეტევა **რომელ** კლასზე, **რომელ** კლასთან კავშირში? ჩვენ ვაწარმოებთ შეტევას სოფლის

კაპიტალისტურ ელემენტებზე საშუალო გლეხთან კავშირში, ვინაიდან მხოლოდ ასეთ შეტევას შეუძლია მოგვიტანოს გამარჯვება. მაგრამ როგორ მოვიქცეთ, თუ პარტიის ცალკეული რაზმების უზომო გატაცების გამო შეტევა იწყებს სწორი გზიდან გადახვევას და თავისი მახვილით მიიმართება ჩვენი მოკავშირის წინააღმდეგ, საშუალო გლეხის წინააღმდეგ? განა ჩვენ გვესაჭიროება **ყოველგვარი** შეტევა, და არა გარკვეულ კლასზე შეტევა გარკვეულ კლასთან კავშირში? დონ-კიხოტსაც ხომ წარმოდგენილი ჰქონდა, რომ მტრებზე აწარმოებდა შეტევას, როდესაც წისქვილზე მიჰქონდა იერიში. მაგრამ ცნობილია, რომ მან შუბლი გაიტეხა ამ, უკაცრავად პასუხია, შეტევის დროს.

როგორც ჩანს, დონ-კიხოტის დაფნის გვირგვინი მოსვენებას არ აძლევს ჩვენს «მემარცხენე» გადამხვევებს.

მეხუთე კითხვა. რომელია ჩვენში მთავარი საფრთხე, მემარჯვენე თუ «მემარცხენე»?

პასუხი. ჩვენში ამჟამად მთავარი საფრთხეა მემარჯვენე საფრთხე. მემარჯვენე საფრთხე იყო და რჩება ჩვენში მთავარ საფრთხედ.

ხომ არ ეწინააღმდეგება ეს დებულება ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 15 მარტის დადგენილების ცნობილ თეზისს იმის შესახებ, რომ «მემარცხენე» გადამხვევთა შეცდომები და გამრუდებანი ახლა საკოლმეურნეო მოძრაობის მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენენ? არა, არ ეწინააღმდეგება. საქმე ის არის, რომ «მემარცხენე» გადამხვევთა შეცდომები საკოლმეურნეო მოძრაობის დარგში წარმოადგენენ ისეთ შეცდომებს, რომლებიც ხელსაყრელ ვითარებას ქმნიან პარტიაში მემარჯვენე გადახრის გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის. რატომ? იმიტომ, რომ ეს შეცდომები პარტიის ხაზს გვიხატავენ დამახინჯებულად, — მაშასადამე, ისინი აადვილებენ პარტიის დისკრედიტაციის საქმეს, — მაშასადამე, ისინი აადვილებენ მემარჯ-

ვენე ელემენტების ბრძოლას პარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. პარტიული ხელმძღვანელობის დისკრედიტაცია სწორედ ის ელემენტარული ნიადაგია, რომლის ბაზაზედაც არის მხოლოდ შესაძლებელი მემარჯვენე უკლონისტების ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ. მემარჯვენე უკლონისტებს ამ ნიადაგს აძლევენ «მემარცხენე» გადამხვევნი, მათი შეცდომები და გამრუდებანი. ამიტომ, მემარჯვენე ოპორტუნიზმს წარმატებით რომ ვებრძოლოთ, საჭიროა დავძლიოთ «მემარცხენე» ოპორტუნისტების შეცდომები. «მემარცხენე» გადამხვევნი ობიექტურად მემარჯვენე უკლონისტების მოკავშირეები არიან.

ასეთია თავისებური კავშირი «მემარცხენე» ოპორტუნიზმსა და მემარჯვენე უკლონიზმს შორის.

სწორედ ამ კავშირით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ზოგიერთი «მემარცხენე» ხშირად ჩამოაგდებს ხოლმე სიტყვას მემარჯვენეებთან ბლოკზე. ამითვე უნდა აიხსნას ის თავისებური მოვლენა, რომ «მემარცხენეთა» ერთი ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ «აწარმოებდა» ჯიქურ შეტევას და ცდილობდა რაღაც ორ-სამ კვირაში მოეხდინა სსრ კავშირის კოლექტივიზაცია, დღეს პასივობას იჩენს, გულზე ხელს იკრეფს, დამშვიდებით უთმობს ბრძოლის ასპარეზს მემარჯვენე უკლონისტებს და, ამრიგად, ადგება კულაკობის წინაშე ნამდვილი უკანდახევის (უბრჭყალებოდ!) ხაზს.

ახლანდელი მომენტის თავისებურება ის არის, რომ ჩვენში «მემარცხენე» გადამხვევთა შეცდომებთან ბრძოლა მემარჯვენე ოპორტუნისტებთან წარმატებითი ბრძოლის პირობას და თავისებურ ფორმას წარმოადგენს.

მეექვსე კითხვა. როგორ შევაფასოთ გლეხების ერთი ნაწილის გასვლა კოლმეურნეობებიდან?

პასუხი. გლეხების ერთი ნაწილის გასვლა კოლმეურნეობებიდან იმას ნიშნავს, რომ ამ ბოლო დროს ჩვენში გაჩნდა განსაზღვრული რაოდენობა არამტკიცე კოლმეურნეობებისა, რომლებიც ახლა იწმინდებიან მერყევი ელემენტებისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელოვნურად გაბერილი კოლმეურნეობები გაქრებიან, მკვიდრნი დარჩებიან და განმტკიცდებიან. მე ვფიქრობ, ეს სავსებით ნორმალური მოვლენაა. ზოგიერთი ამხანაგი ამის გამო სასოწარკვეთილებაში ვარდება, პანიკას ეძლევა და წყალწაღებულივით ებღაუჭება კოლექტივიზაციის გაბერილ პროცენტებს. სხვები ღვარძლიანად ხარობენ და საკოლმეურნეო მოძრაობის «ჩაშლას» წინასწარმეტყველებენ. ერთნიც და მეორენიც სასტიკად ცდებიან. ერთნიც და მეორენიც შორს არიან საკოლმეურნეო მოძრაობის არსის მარქსისტული გაგებისაგან.

კოლმეურნეობებიდან გადიან, უწინარეს ყოვლისა, ეგრეთწოდებული მკვდარი სულები. ეს გასვლაც კი არ არის, არამედ სიცარიელის გამოაშკარავებაა. გვჭირდება თუ არა ჩვენ მკვდარი სულები? რა თქმა უნდა, არ გვჭირდება. მე ვფიქრობ, რომ ჩრდილოეთ-კავკასიელები და უკრაინელები სავსებით სწორად იქცევიან, როდესაც შლიან მკვდარი სულებისაგან შემდგარ კოლმეურნეობებს და ქმნიან ნამდვილად ცოცხალ და ნამდვილად მტკიცე კოლმეურნეობებს. საკოლმეურნეო მოძრაობა ამით მხოლოდ მოიგებს.

შემდეგ, გადიან უცხო, ჩვენი საქმისადმი პირდაპირ მტრულად განწყობილი ელემენტები. ცხადია, რაც უფრო მალე განიდევნებიან ასეთი ელემენტები, მით უკეთესია საკოლმეურნეო მოძრაობისათვის.

დასასრულ, გადიან მერყევი ელემენტები, რომლებსაც ვერც უცხო ელემენტებს ვუწოდებთ და ვერც მკვდარ სულებს. ესენი სწორედ ის გლეხები არიან, რომლებიც **დღეს** ჯერ კიდევ ვერ დაგვირწმუნებია ჩვენი საქმის სიმართლეში,

შაგრამ რომლებსაც **ხვალ** უთუოდ დავარწმუნებთ. ასეთი გლეხების გასვლა წარმოადგენს სერიოზულ, თუმცა დროებითს, ზიანს საკოლმეურნეო მოძრაობისათვის. ამიტომ ბრძოლა კოლმეურნეობათა მერყევი ელემენტებისათვის ახლა საკოლმეურნეო მოძრაობის ერთ-ერთი უაღრესად არსებითი ამოცანაა.

გამოდის, რომ კოლმეურნეობებიდან გლეხების ერთი ნაწილის გასვლა მარტო უარყოფითს მოვლენას როდი წარმოადგენს. გამოდის, რომ, რამდენადაც ეს გასვლა კოლმეურნეობებს ათავისუფლებს მკვდარი სულებისა და პირდაპირ უცხო ელემენტებისაგან, იგი კოლმეურნეობათა გაჯანსაღებისა და განმტკიცების კეთილმოქმედ პროცესს მოასწავებს.

ერთი თვის წინათ ვარაუდობდნენ, რომ ჩვენს მარცვლეულის ოლქებში კოლექტივიზაცია 60 პროცენტს აღემატებოდა. ახლა ცხადია, რომ, თუ ავიღებთ ნამდვილ და ცოტად თუ ბევრად მტკიცე კოლმეურნეობებს, ეს ციფრი აშკარად გაზვიადებული იყო. თუ გლეხთა ერთი ნაწილის გასვლის შემდეგ საკოლმეურნეო მოძრაობა მარცვლეულის ოლქებში განმტკიცდება კოლექტივიზაციის 40 პროცენტზე, — ამის განხორციელება კი უთუოდ შეიძლება, — ეს იქნება საკოლმეურნეო მოძრაობის უდიდესი მიღწევა ამჟამად. მარცვლეულის ოლქებისათვის მე ვიღებ საშუალო ციფრს, თუმცა კარგად ვიცი, რომ ამავე დროს გვაქვს მთლიანი კოლექტივიზაციის ცალკეული რაიონები, სადაც კოლექტივიზაციის ციფრი 30 — 90 პროცენტს აღწევს. მარცვლეულის ოლქებში კოლექტივიზაციის 40 პროცენტი იმას ნიშნავს, რომ კოლექტივიზაციის თავდაპირველი ხუთწლიანი გეგმა 1930 წლის გაზაფხულისათვის **ერთიორად** შევასრულეთ.

ვინ გაბედავს უარყოს სსრ კავშირის სოციალისტური განვითარების საქმეში ამ **ისტორიული** მიღწევის **გადამწყვეტი** ხასიათი?

მეშვიდე კითხვა. კარგად იქცევიან თუ არა მერყევი გლეხები, კოლმეურნეობებიდან რომ გადიან?

პასუხი. არა, ისინი კარგად არ იქცევიან. კოლმეურნეობებიდან გასვლით ისინი თავისივე საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ მიდიან, ვინაიდან მხოლოდ კოლმეურნეობები აძლევენ გლეხებს გამოსავალს გაჭირვებიდან და სიბნელიდან. კოლმეურნეობებიდან გასვლით გლეხები აუარესებენ თავიანთ მდგომარეობას, ვინაიდან კარგავენ იმ შეღავათებსა და სარგებლობას, რასაც საბჭოთა ხელისუფლება კოლმეურნეობებს აძლევს. კოლმეურნეობებში დაშვებული შეცდომები და გამრუდებანი გასვლის საბუთად ვერ ჩაითვლება. შეცდომები უნდა გამოსწორდეს საერთო ძალებით, კოლმეურნეობაში დარჩენით. შეცდომების გამოსწორება მით უფრო ადვილია, რომ საბჭოთა ხელისუფლება მთელი ძალებით იბრძოლებს მათ წინააღმდეგ.

ლენინი ამბობს, რომ:

«წვრილი მეურნეობის სისტემას სასაქონლო წარმოების დროს **არ ძალუძს** იხსნას კაცობრიობა მასების სიღატაკისა და მათი ჩაგვრისაგან» (ტ. XX, გვ. 122).

ლენინი ამბობს, რომ:

«წვრილი მეურნეობით გაჭირვებას თავს ვერ დააღწევ» (ტ. XXIV, გვ. 540).

ლენინი ამბობს, რომ:

«თუ ჩვენ ძველებურად ვისხდებით წვრილ მეურნეობებში, თუნდაც თავისუფალ მოქალაქეებად თავისუფალ მიწაზე, სულ ერთია გარდუვალი დაღუპვა გვემუქრება» (ტ. XX, გვ. 417).

ლენინი ამბობს, რომ:

«მხოლოდ საერთო, არტელური, ამხანაგური შრომის დახმარებით შეგვიძლია გამოვიდეთ იმ ჩიხიდან, რომელშიც **იმპერიალისტურმა ომმა** მოგვამწყვდია» (ტ. XXIV, გვ. 537).

ლენინი ამბობს, რომ:

«საჭიროა გადავიდეთ საერთო დამუშავებაზე მსხვილ სანიმუშო მეურნეობებში», ვინაიდან «უამისოდ თავს ვერ დავაღწევთ იმ ნგრევას, იმ პირდაპირ საშინელ მდგომარეობას, რომელშიც რუსეთი იმყოფება» (ტ. XX, გვ. 418).

რას ნიშნავს ყოველივე ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ კოლმეურნეობები წარმოადგენენ **ერთადერთ** საშუალებას, რომელიც გლეხებს აძლევს გამოსავალს გაჭირვებიდან და სიბნელიდან.

ცხადია, გლეხები სწორად არ იქცევიან, კოლმეურნეობებიდან რომ გადიან.

ლენინი ამბობს:

«თქვენ, რა თქმა უნდა, ყველამ იცით საბჭოთა ხელისუფლების მთელი მოღვაწეობიდან, თუ რა **უდიდეს მნიშვნელობას** ვაკუთვნებთ ჩვენ კომუნებს, არტელებს და საერთოდ ყოველგვარ ორგანიზაციებს, რომელთა დანიშნულებაა წვრილი, ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის გადაქცევა საზოგადოებრივ, საამხანაგო ან საარტელო მეურნეობად, ამ გადაქცევისათვის თანდათანობით ხელის შეწყობა» * (ტ. XXIV, გვ. 579).

ლენინი ამბობს, რომ:

«საბჭოთა ხელისუფლებამ პირდაპირი **უპირატესობა** მიანიჭა კომუნებსა და ამხანაგობებს, დააყენა ისინი **პირველ ადგილზე**» * (ტ. XXIII, გვ. 399).

რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლება კოლმეურნეობებს მისცემს შეღავათებს და უპირატესობებს ერთპიროვნულ მეურნეობათა წინაშე. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი კოლმეურნეობებს მისცემს შეღავათებს მიწის გადაცემის მხრივაც, მანქანებით, ტრაქტორებით, სათესლე მარცვლეუ-

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ლით და სხვ. მომარაგების მხრივაც, საგადასახადო დაბეგვრის შემსუბუქების მხრივაც, კრედიტების მიცემის მხრივაც.

რატომ აძლევს საბჭოთა ხელისუფლება კოლმეურნეობებს შეღავათებსა და უპირატესობებს?

იმიტომ, რომ კოლმეურნეობები წარმოადგენენ სიღატაკისაგან გლეხთა ხსნის ერთადერთ საშუალებას.

იმიტომ, რომ კოლმეურნეობებისათვის უპირატესი დახმარების გაწევა წარმოადგენს ღარიბი და საშუალო გლეხებისათვის დახმარების გაწევის ყველაზე ნამდვილ ფორმას.

ამ დღეებში საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა **ორი წლით გაათავისუფლოს** გადასახადით დაბეგვრისაგან კოლმეურნეობებში განსაზოგადოებული მთელი მუშა-პირუტყვი (ცხენები, ხარები და სხვ.), როგორც კოლმეურნეობათა კოლექტიურ მფლობელობაში, ისე კოლმეურნეთა ინდივიდუალურ მფლობელობაში მყოფი ყველა ძროხა, ღორი, ცხვარი და ფრინველი.

გარდა ამისა, საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა წლის ბოლომდე **გადადოს** კოლმეურნეთა იმ დავალიანების დაფარვის ვადა, რაც მათ კრედიტებით დაედოთ, და **მოხსნას** ყველა ჯარიმა და სასამართლო გადასახდელი, რომელიც 1 აპრილამდე დადებული ჰქონდათ კოლმეურნეობებში შესულ გლეხებს.

დასასრულ, მან გადაწყვიტა აუცილებლად განახორციელოს წელს კოლმეურნეობათა დაკრედიტება 500 მილიონი მანეთის რაოდენობით.

ეს შეღავათები დაეხმარება კოლმეურნე გლეხებს. ეს შეღავათები დაეხმარება იმ კოლმეურნე გლეხებს, რომლებმაც სიმტკიცე გამოიჩინეს და კოლმეურნეობებიდან არ გავიდნენ, რომლებიც გამოიბრძმედნენ კოლმეურნეობების მტრებთან ბრძოლაში, რომლებმაც დაიცვეს კოლმეურნეობები და შეინარჩუნეს საკოლმეურნეო მოძრაობის დიადი

დროშა. ეს შეღავათები დაეხმარება იმ ღარიბ და საშუალო კოლმეურნე გლეხებს, რომლებიც ახლა ჩვენი კოლმეურნეობების ძირითად ბირთვს შეადგენენ, რომლებიც განამტკიცებენ და გააფორმებენ ჩვენს კოლმეურნეობებს და რომლებიც სოციალიზმის მხარეზე მოიზიდავენ მილიონობით და მილიონობით გლეხებს. ეს შეღავათები დაეხმარება იმ კოლმეურნე გლეხებს, რომლებიც ახლა კოლმეურნეობათა ძირითად კადრებს შეადგენენ და რომლებიც სავსებით ღირსი არიან, რომ მათ საკოლმეურნეო მოძრაობის გმირები ვუწოდოთ.

ამ შეღავათებს **არ მიიღებენ** კოლმეურნეობებიდან გასული გლეხები.

განა ცხადი არ არის, რომ გლეხები შეცდომას უშვებენ, კოლმეურნეობებიდან რომ გადიან?

განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ კოლმეურნეობებში დაბრუნებით შეუძლიათ მათ უზრუნველყონ თავისთვის ამ შეღავათების მიღება?

მერვე კითხვა. რა ვუყოთ კომუნებს, ხომ არ უნდა დავშალოთ ისინი?

პასუხი. არა, არ უნდა დავშალოთ და არც საჭიროა დავშალოთ. მხედველობაში მაქვს ნამდვილი და არა ქაღალდზე არსებული კომუნები. სსრ კავშირის მარცვლეულის ოლქებში არსებობს მთელი რიგი საუცხოო კომუნები, რომლებიც წახალისებისა და დახმარების ღირსი არიან. მხედველობაში მაქვს ძველი კომუნები, რომლებმაც წლობით გაუძლეს განსაცდელს, გამოიბრძმედნენ ბრძოლაში და სავსებით გაამართლეს თავიანთი არსებობა. ისინი არ უნდა დავშალოთ, მაგრამ საჭიროა არტელებად გარდავქმნათ.

კომუნების შექმნა და მათი გაძღოლა რთული და ძნელი საქმეა. მსხვილ და მტკიცე კომუნებს შეუძლიათ იარსებონ

და განვითარდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ეყოლებათ გამოცდილი კადრები და ნაცადი ხელმძღვანელები. ნაჩქარევი გადაყვანა არტელის წესდებიდან კომუნის წესდებაზე მხოლოდ ჩამოაშორებს გლეხებს საკოლმეურნეო მოძრაობას. ამიტომ ამ საქმეს განსაკუთრებული სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ და არავითარი აჩქარება არ დავუშვათ. არტელი უფრო ადვილი საქმეა და უფრო მისაწვდომია გლეხთა ფართო მასების შეგნებისათვის. ამიტომ არტელი ამჟამად წარმოადგენს საკოლმეურნეო მოძრაობის ყველაზე გავრცელებულ ფორმას. მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო არტელების გამაგრებასა და განმტკიცებასთან ერთად შეიძლება შეიქმნას ნიადაგი გლეხობის მასობრივი მოძრაობისათვის კომუნისაკენ. მაგრამ ეს მალე როდი იქნება. ამიტომ კომუნა, რომელიც უმაღლეს ფორმას წარმოადგენს, მხოლოდ მომავალში შეიძლება გახდეს საკოლმეურნეო მოძრაობის მთავარი რგოლი.

მეცხრე კითხვა. როგორ მოვექცეთ კულაკობას?

პასუხი. აქამდე ჩვენ ლაპარაკი გვქონდა საშუალო გლეხზე. საშუალო გლეხი მუშათა კლასის მოკავშირეა, და ჩვენი პოლიტიკა საშუალო გლეხის მიმართ მეგობრული უნდა იყოს. სხვა საქმეა კულაკი. კულაკი საბჭოთა ხელისუფლების მტერია. ჩვენ მასთან ზავი არა გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს. ჩვენი პოლიტიკა კულაკობის მიმართ არის მისი, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკა. ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია ერთი დაკვრით მოვახდინოთ მისი ლიკვიდაცია. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ საქმეს ისე წავიყვანთ, რათა გარს შემოვერტყათ და ლიკვიდაცია ვუყოთ მას.

აი რას ამბობს ლენინი კულაკის შესახებ:

«კულაკები არიან ყველაზე მხეცი, ყველაზე უხეში, ყველაზე ველური ექსპლოატატორები, რომლებსაც სხვა ქვეყნების ისტორიაში

არა ერთხელ აღუდგენიათ მემამულეების, მეფეების, ხუცების, კაპიტალისტების ძალაუფლება. კულაკები მეტი არიან, ვიდრე მემამულეები და კაპიტალისტები. მაგრამ კულაკები მაინც უმცირესობას შეადგენენ ხალხში... ამ სისხლისმსმელებმა ომის დროს ჯიბე გაისქელეს ხალხის გაჭირვებაზე, მათ ათასობით და ასიათასობით შეაგროვეს ფული პურისა და სხვა პროდუქტების ფასების აწევით. ეს ობობებმა სუქდებოდნენ ომით გაჩანაგებული გლეხების ხარჯზე, მშიერი მუშების ხარჯზე. ეს წურბელები სისხლს სწოვდნენ მშრომელებს და მით უფრო მდიდრდებოდნენ, რაც უფრო შიმშილობდა მუშა ქალაქებსა და ფაბრიკებში. ეს სისხლისმსმელები ხელში იგდებდნენ და იგდებენ მემამულეთა მიწებს, ისინი კვლავ და კვლავ იმონებენ ღარიბ გლეხებს» (ტ. XXIII, გვ. 206 — 207).

ჩვენ ვითმენდით ამ სისხლისმსმელებს, ობობებსა და წურბელებს, ვახორციელებდით რა მათი ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკას. ვითმენდით, რადგან არაფრით არ შეგვეძლო შეგვეცვალა კულაკური მეურნეობა, კულაკური წარმოება. ახლა ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ჭარბად შევცვალოთ მათი მეურნეობა ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეურნეობით. ამ ობობებისა და სისხლისმსმელების კვლავ მოთმენა საჭირო აღარ არის. ამ ობობებისა და სისხლისმსმელების კვლავ მოთმენა, რომლებიც ცეცხლს უკიდებენ კოლმეურნეობებს, კლავენ კოლმეურნეობათა მუშაკებს და ცდილობენ ჩაშალონ თესვა, — მუშათა და გლეხთა ინტერესების წინააღმდეგ წასვლას ნიშნავს.

ამიტომ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკა უნდა განვახორციელოთ მთელი იმ სიმტკიცითა და თანმიმდევრობით, რის უნარიც კი აქვთ ბოლშევიკებს.

მეათე კითხვა. რა არის კოლმეურნეობათა უახლოესი პრაქტიკული ამოცანა?

პასუხი. კოლმეურნეობათა უახლოესი პრაქტიკული ამოცანაა თესვისათვის ბრძოლა, ნათესი ფართობების რაც

შეიძლება მეტი გადიდებისათვის ბრძოლა, თესვის სწორი ორგანიზაციისათვის ბრძოლა.

თესვის ამოცანას ამჟამად უნდა შეეფარდოს კოლმეურნეობათა ყველა სხვა ამოცანა.

თესვის ორგანიზაციის დარგში მუშაობას ამჟამად უნდა დაექვემდებაროს ყველა სხვა სამუშაო კოლმეურნეობებში.

ეს იმას ნიშნავს, რომ კოლმეურნეობებისა და მათი უპარტიო აქტივის სიმტკიცე, კოლმეურნეობების ხელმძღვანელთა და მათი ბოლშევიკური ბირთვის უნარი შემოწმებული იქნება არა მყვირალა რეზოლუციებითა და მრავლისაღმთქმელი მისალმებებით, არამედ თესვის სწორი ორგანიზაციის ცოცხალი საქმით.

მაგრამ ეს პრაქტიკული ამოცანა ღირსეულად რომ განვახორციელოთ, კოლმეურნეობების მუშაკთა ყურადღება უნდა მოვაბრუნოთ საკოლმეურნეო მშენებლობის **სამეურნეო** საკითხებისაკენ, **შინასაკოლმეურნეო** მშენებლობის საკითხებისაკენ.

ბოლო დრომდე კოლმეურნეობების მუშაკთა ყურადღების ცენტრში იდგა კოლექტივიზაციის მაღალი ციფრების გამოდევნება, ამასთან ამ ადამიანებს არ სურდათ დაენახათ განსხვავება ნამდვილ კოლექტივიზაციასა და ქაღალდზე არსებულ კოლექტივიზაციას შორის. ახლა ციფრებით ეს გატაცება უკუგდებულ უნდა იქნას. ახლა მუშაკებმა მთელი ყურადღება უნდა მიაპყრონ კოლმეურნეობათა **განმტკიცებას**, კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ **გაფორმებას**, კოლმეურნეობებში საქმიანი მუშაობის **ორგანიზაციას**.

ბოლო დრომდე კოლმეურნეობათა მუშაკები მთელ ყურადღებას აქცევდნენ მსხვილი საკოლმეურნეო ერთეულების მოწყობას, ეგრეთწოდებული «გიგანტების» მოწყობას, ამასთან «გიგანტები» ხშირად გადაგვარდებოდნენ ხოლმე

მიწერ-მოწერის ვეება კომენდატურებად, რომლებიც მოკლებული იყვნენ სამეურნეო ფესვებს სოფლებში. მაშასადამე, მოჩვენებითი მუშაობა ნთქამდა საქმიან მუშაობას. ახლა ეს გატაცება მოჩვენებითი მუშაობით უკუგდებულ უნდა იქნას. ახლა მუშაკებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო მუშაობაზე სოფლებში. როცა ეს მუშაობა ჯეროვან წარმატებას მოგვცემს, «გიგანტები» თავისთავად გაჩნდებიან.

ბოლო დრომდე კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოზე საშუალო გლეხების მიზიდვას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. საშუალო გლეხთა შორის კი მოიპოვებიან შესანიშნავი მეურნეები, რომლებსაც შეუძლიათ საკოლმეურნეო მშენებლობის საუცხოო სამეურნეო მუშაკები გახდნენ. ახლა ჩვენი მუშაობის ეს ნაკლი აღმოფხვრილ უნდა იქნას. ახლა ამოცანა ის არის, რომ კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოზე მივიზიდოთ საუკეთესო ადამიანები საშუალო გლეხებიდან და შესაძლებლობა მივცეთ მათ გაშალონ ამ საქმეში თავიანთი ნიჭი.

ბოლო დრომდე საკმაო ყურადღებას არ აქცევდნენ გლეხ ქალთა შორის მუშაობას. განვლილმა პერიოდმა ცხადყო, რომ გლეხ ქალთა შორის მუშაობა ჩვენი მუშაობის ყველაზე სუსტი ადგილია. ახლა ეს ნაკლი გადაჭრით და სამუდამოდ უნდა აღმოიფხვრას.

ბოლო დრომდე მთელი რიგი რაიონების კომუნისტები ფიქრობდნენ, რომ საკუთარი ძალებით შეუძლიათ საკოლმეურნეო მშენებლობის ყველა ამოცანის გადაჭრა. ამის გამო ისინი საკმაო ყურადღებას არ აქცევდნენ უპარტიოთა მიზიდვას პასუხსაგებ სამუშაოზე კოლმეურნეობებში, უპარტიოთა დაწინაურებას ხელმძღვანელ სამუშაოზე კოლმეურნეობებში, ფართო უპარტიო აქტივის შექმნას კოლმეურნეობებში. ჩვენი პარტიის ისტორიამ დაამტკიცა, ხოლო სა-

კოლმეურნეო მშენებლობის განვლილმა პერიოდმა ერთხელ კიდევ დაგვანახა, რომ ასეთი შეხედულება სრულიად არასწორია. კომუნისტები თავიანთ ნაჭუჭში რომ ჩაკეტილიყვნენ და კედლით გამიჯნოდნენ უპარტიოებს, ისინი მთელ საქმეს დაღუპავდნენ. თუ კომუნისტები სოციალიზმისათვის ბრძოლებში სახელს იხვეჭდნენ, ხოლო კომუნიზმის მტრები მარცხდებოდნენ, ეს, სხვათა შორის, იმიტომ ხდებოდა, რომ კომუნისტებს უნარი ჰქონდათ ჩაებათ საქმეში საუკეთესო ადამიანები უპარტიოებიდან, უნარი ჰქონდათ შეეგროვებინათ ძალები უპარტიოთა ფართო ფენებში, უნარი ჰქონდათ თავიანთი პარტიის ირგვლივ შემოეკრიბათ ფართო უპარტიო აქტივი. ახლა უპარტიოებთან ჩვენი მუშაობის ეს ნაკლი გადაჭრით და სამუდამოდ უნდა აღმოიფხვრას.

ჩვენი მუშაობის ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება, მათი ძირფესვიანად აღმოფხვრა — სწორედ ეს ნიშნავს იმას, რომ კოლმეურნეობათა **სამეურნეო** მუშაობა რელსებზე დავაყენოთ.

ამრიგად:

1) თესვის სწორი ორგანიზაცია — ასეთია ამოცანა.

2) მთელი ყურადღების მიპყრობა საკოლმეურნეო მოძრაობის სამეურნეო საკითხებისაკენ — ასეთია ამ ამოცანის გადაჭრის აუცილებელი საშუალება.

«პრავდა» № 92,
1930 წ. 3 აპრილი.
ხელმოწერა: ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

სამრეწველო აკადემიის პირველ გამოშვებას

მუშათა კლასის ადამიანთაგან და საერთოდ მშრომელთაგან სოციალისტური მრეწველობის ახალი კადრების აღზრდა, რომლებსაც უნარი ექნებათ უხელმძღვანელონ საწარმოებს როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურად, ისე საწარმოო-ტექნიკური მხრივაც, — ეს მომენტის პირველხარისხოვანი ამოცანაა.

ამ ამოცანის შეუსრულებლად შეუძლებელია განვახორციელოთ სსრ კავშირის გადაქცევა ჩამორჩენილი ქვეყნიდან მოწინავე ქვეყნად, აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიულ ქვეყნად, ელექტროფიკაციისა და ლითონის ქვეყნად, მანქანებისა და ტრაქტორების ქვეყნად.

სამრეწველო აკადემია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამჭედლოა ასეთი კადრების აღსაზრდელად.

სამრეწველო აკადემიის პირველი გამოშვება მისი პირველი ისარია, რომელიც ვტყორცნეთ ჩვენი მტრების ბანაკს, საწარმოო რუტინისა და ტექნიკური ჩამორჩენილობის ბანაკს.

იმედი ვიქონიოთ, რომ მრეწველობის ახალი ხელმძღვანელები, რომლებიც დღეს ტოვებენ აკადემიის კედლებს, საქმით გვიჩვენებენ მშენებლობის ბოლშევიკური ტემპების

განხორციელებისათვის შრომითი ენთუზიაზმისა და ნამდვილი რევოლუციური მუშაობის ნიმუშებს.

სალამი პირველ გამოშვებას სამრეწველო აკადემიისას, რომელიც ჩვენს ქვეყანას აძლევს ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ხელმძღვანელთა ახალ, ტექნიკური ცოდნით აღჭურვილ, ბოლშევიკურ რაზმს.

ი. სტალინი

1930 წ. 25 აპრილი.

«პრავდა» № 115,
1930 წ. 26 აპრილი.

პასუხი ამხ. მ. რაფაილს

(ლენინგრადი, პროფკავშირთა საოლქო საბჭო)
ახლი: საკავშირო კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის მდივანს
ამხ. კიროვს

ამხ. რაფაილ!

მოუცლელობის გამო მოკლედ გიპასუხებთ:

1) **არავითარი** ანალოგია არ არის და არც შეიძლება იყოს საკოლმეურნეო მოძრაობაში გადახვევების წინააღმდეგ ცენტრალური კომიტეტის ამა წლის მარტის გამოსვლასა და ბრესტის პერიოდს ან ნეპის შემოღების პერიოდს შორის. იქ ჩვენ საქმე გვქონდა მობრუნებასთან პოლიტიკაში. აქ, 1930 წ. მარტში, პოლიტიკაში არავითარი მობრუნება არ ყოფილა. ჩვენ დავტუქსეთ თავგასული ამხანაგები, — ეს იყო და ეს. მაშასადამე, ანალოგიაზე, თუნდაც არასრულ ანალოგიაზე, აგებული ყველა თქვენი მოსაზრება ბათილდება.

2) მობრუნება საკოლმეურნეო მოძრაობის საკითხთა პოლიტიკაში (კოლმეურნეობებისაკენ საშუალო გლეხობის მასების მობრუნებასთან დაკავშირებით) ჩვენში მართლაც იყო, მაგრამ არა 1930 წ. მარტში, არამედ 1929 წ. მეორე ნახევარში. პოლიტიკაში ამ მობრუნებას საფუძველი ჩაეყარა ჩვენი პარტიის ჯერ კიდევ XV ყრილობაზე (იხ. რეზოლუცია «სოფლად მუშაობის შესახებ»).

ამ მობრუნებამ, როგორც უკვე ვთქვი, წმინდა პრაქტიკული ხასიათი 1929 წ. დამლევს მიიღო. თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა ახალი პოლიტიკა მკაფიოდ ჩამოაყალიბა და სსრ კავშირის სხვადასხვა რაიონისათვის საკოლმეურნეო მოძრაობის ტემპები დააწესა თავისი 1930 წ. 5 იანვრის ცნობილი დადგენილებით. ფაქტები მოწმობენ, რომ ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებამ ყველა პუნქტში სავსებით და მთლიანად გაამართლა თავისი დანიშნულება.

იყო თუ არა აქ მოძრაობის მსვლელობისაგან რაიმე ჩამორჩენა ცენტრალური კომიტეტის მხრივ? მე ვფიქრობ, რომ რამდენადაც საქმე ეხება თეორიულ განჭვრეტას და სათანადო პოლიტიკური გეზის შემუშავებას, აქ არავითარი ჩამორჩენა არ ყოფილა.

იყო თუ არა ჩამორჩენა პარტიის მნიშვნელოვანი რაზმებისა და ცენტრალური კომიტეტის ცალკეული წევრების მხრივ მათს პრაქტიკულ პოლიტიკაში? უთუოდ იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ არ გვექნებოდა ბრძოლა გენერალური ხაზისათვის და გადახრების წინააღმდეგ არც პარტიაში, არც თვით ცენტრალურ კომიტეტში.

3) შესაძლებელია თუ არა, რომ მმართველი პარტია ერთბაშად შეიცნობდეს ახალ პროცესებს, რაც ცხოვრებაში ხდება, და ასევე ერთბაშად ასახავდეს მათ თავის პრაქტიკულ პოლიტიკაში? მე ვფიქრობ, რომ შეუძლებელია. შეუძლებელია, ვინაიდან ჯერ ფაქტებია ხოლმე, მერე მათი ასახვა პარტიის ყველაზე მოწინავე ელემენტების ცნობიერებაში, და მხოლოდ ამის შემდეგ დგება პარტიის წევრთა მასის გონებაში ახალი პროცესების შეცნობის მომენტი. გახსოვთ ჰეგელი: «მინერვას ჭოტი მხოლოდ ღამით გამოფრინდება ხოლმეო»? სხვანაირად რომ ვთქვათ: შეგნება რამდენადმე ჩამორჩება ფაქტებს.

ამ მხრივ განსხვავება 1929 წ. მეორე ნახევარში ჩვენს პოლიტიკაში მომხდარ მობრუნებასა და ბრესტის დროინდელ და ნეპის შემოღების დროინდელ მობრუნებას შორის ის არის, რომ 1929 წ. მეორე ნახევარში პარტიამ უფრო სწრაფად შეიცნო ახალი პროცესები ობიექტურ სინამდვილეში, ვიდრე ბრესტის დროინდელ და ნეპის შემოღების დროინდელ მობრუნებათა დროს. ეს იმით აიხსნება, რომ ამ ხნის განმავლობაში პარტიამ მოასწრო უფრო სრულყოფილი გამხდარიყო და მისი კადრები უფრო ფხიზელნი გახდნენ.

კომ. სალამით

ი. სტალინი

1930 წ. 31 მაისი.

•ბეჭდება პირველად.

ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘᲡ. ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲛᲐᲜᲭᲐᲜᲐᲗᲛᲔᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ

ვულოცავ გამარჯვებას სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნის მუშებს, ტექნიკურ პერსონალსა და ხელმძღვანელი ბირთვის მთელ შემადგენლობას. თქვენი გამარჯვება დიდია, თუნდაც იმიტომ, რომ მარტო სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანამ გაშლილი პროგრამით ყოველწლიურად უნდა გამოუშვას 115 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მაშინ როცა ომამდე არსებული სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის 900 ქარხანა ყოველწლიურად უშვებდა სულ რაღაც 70 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანებს.

გისურვებთ წარმატებას ამ პროგრამის შესრულების საქმეში.

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

1930 წ. 16 ივნისი.

«პრავდა» № 165,
1930 წ. 17 ივნისი.

სტალინგრადი. ტრაქტორმშენი

მივესალმები და გამარჯვებას ვულოცავ სსრ კავშირში პირველი წითელდროშოვანი სატრაქტორო გიგანტის მუშებსა და ხელმძღვანელ შემადგენლობას. 50 ათასი ტრაქტორი, რაც თქვენ ყოველწლიურად უნდა მისცეთ ჩვენს ქვეყანას, 50 ათასი ყუმბარაა, რაც აფეთქებს ძველ ბურჟუაზიულ სამყაროს და გზას უკაფავს ახალ, სოციალისტურ წყობას სოფლად.

გისურვებთ წარმატებას თქვენი პროგრამის შესრულების საქმეში.

ი. სტალინი

1930 წ. 17 ივნისი.

«პრავდა» № 166,
1930 წ. 18 ივნისი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობას [36]

1930 წ. 27 ივნისი

I

მსოფლიო კაპიტალიზმის მზარდი კრიზისი და სსრ კავშირის საგარეო მდგომარეობა

ამხანაგებო! XV ყრილობის შემდეგ 2½ წელიწადი გავიდა. თითქოს არც ისე დიდი პერიოდია. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მოხდა უაღრესად სერიოზული ცვლილებანი ხალხთა და სახელმწიფოთა ცხოვრებაში. განვლილი პერიოდი ორი სიტყვით რომ დავახასიათოთ, მას შეგვიძლია ვუწოდოთ **გარდატეხის** პერიოდი. იგი გარდატეხის პერიოდი იყო არა მარტო ჩვენთვის, სსრ კავშირისათვის, არამედ მთელი მსოფლიოს კაპიტალისტური ქვეყნებისთვისაც. მაგრამ ამ ორ გარდატეხას შორის ძირეული განსხვავებაა. მაშინ, როცა ეს გარდატეხა სსრ კავშირისათვის მოასწავებდა მობრუნებას ახალი, უფრო სერიოზული ეკონომიური **აღმავლობისაკენ,** კაპიტალისტური ქვეყნებისათვის გარდატეხა მოასწავებდა მობრუნებას ეკონომიური **დაქვეითებისაკენ**. ჩვენში, სსრ კავშირში, სოციალისტური მშენებლობის **მზარდი აღმავლობაა** მრეწველობაშიც და სოფლის მეურნეობაშიც. მათ, კაპიტალისტებს, ეკონომიკის **მზარდი კრიზისი** აქვთ მრეწველობაშიც და სოფლის მეურნეობაშიც.

ასეთია ორი სიტყვით ახლანდელი მდგომარეობის სურათი.

გაიხსენეთ საქმის ვითარება კაპიტალისტურ ქვეყნებში 2½ წლის წინათ. სამრეწველო წარმოებისა და ვაჭრობის ზრდა კაპიტალიზმის თითქმის ყველა ქვეყანაში. ნედლეულისა და სურსათის წარმოების ზრდა თითქმის ყველა აგრარულ ქვეყანაში. შარავანდედი ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც ყველაზე სისხლსავსე კაპიტალიზმის ქვეყნის გარშემო. საზეიმო სიმღერები «აყვავების» შესახებ. დოლარის წინაშე მონური ქედმოხრა. ახალი ტექნიკის, კაპიტალისტური რაციონალიზაციის ქება-დიდება. კაპიტალიზმის «გაჯანსაღებისა» და კაპიტალისტური სტაბილიზაციის ურყევი სიმტკიცის ხანის გამოცხადება. «საყოველთაო» ხმაური და ღრიანცელი საბჭოების ქვეყნის «გარდუვალი დაღუპვის» შესახებ, სსრ კავშირის «გარდუვალი კრახის» შესახებ.

ასეთი იყო საქმის ვითარება გუშინ.

რა სურათია ახლა?

ახლა ეკონომიური კრიზისია კაპიტალიზმის თითქმის ყველა სამრეწველო ქვეყანაში. ახლა სასოფლო-სამეურნეო კრიზისია ყველა აგრარულ ქვეყანაში. «აყვავების» ნაცვლად — მასების სიღატაკე და უმუშევრობის კოლოსალური ზრდა. სოფლის მეურნეობის აღმავლობის ნაცვლად — გლეხობის მილიონიანი მასების გაჩანაგება. ქრება ილუზიები საერთოდ კაპიტალიზმის ყოვლისშემძლეობის და განსაკუთრებით ჩრდილოეთ ამერიკის კაპიტალიზმის ყოვლისშემძლეობის შესახებ. უფრო და უფრო სუსტდება საზეიმო სიმღერები დოლარისა და კაპიტალისტური რაციონალიზაციის შესაქებად. უფრო და უფრო ძლიერდება პესიმისტური გოდება კაპიტალიზმის «შეცდომების» შესახებ. ხოლო «საყოველთაო» ხმაურს სსრ კავშირის «გარდუვალი დაღუპვის»

შესახებ ცვლის «საყოველთაო» გესლიანი სისინი იმის შესახებ, რომ საჭიროა დაისაჯოს «ეს ქვეყანა», რომელიც ბედავს განავითაროს თავისი ეკონომიკა, როცა გარშემო კრიზისი მეფობს.

ასეთი სურათია ახლა.

მოხდა სწორედ ის, რასაც ამბობდნენ ბოლშევიკები ორისამი წლის წინათ.

ბოლშევიკები ამბობდნენ, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში ტექნიკის ზრდამ, საწარმოო ძალებისა და კაპიტალისტური რაციონალიზაციის ზრდამ, მუშათა და გლეხთა მილიონიანი მასების საარსებო დონის შეზღუდული ფარგლების დროს, გარდუვალად უნდა გამოიწვიოს მკაცრი ეკონომიური კრიზისი. ბურჟუაზიული პრესა დასცინოდა ბოლშევიკების «ორიგინალურ წინასწარმეტყველებას». მემარჯვენე უკლონისტები ემიჯნებოდნენ ბოლშევიკურ პროგნოზს და ცვლიდნენ მარქსისტულ ანალიზს ლიბერალური ლაყბობით «ორგანიზებული კაპიტალიზმის» შესახებ. ნამდვილად კი რა მოხდა? მოხდა ის, რასაც ამბობდნენ ბოლშევიკები.

ასეთია ფაქტები.

გადავიდეთ იმ მონაცემების განხილვაზე, რომლებიც ეხება ეკონომიურ კრიზისს კაპიტალისტურ ქვეყნებში.

1. მსოფლიო ეკონომიური კრიზისი

ა) კრიზისის შესწავლისას თვალში გეცემათ, უწინარეს ყოვლისა, შემდეგი ფაქტები:

1. ახლანდელი ეკონომიური კრიზისი **ჭარბი წარმოების** კრიზისია. ეს იმას ნიშნავს, რომ საქონელი უფრო მეტი რაოდენობით არის დამზადებული, ვიდრე შეიძლება ბაზარზე გასაღდეს. ეს იმას ნიშნავს. რომ მანუფაქტურა, სათბობი, საფაბრიკო-საქარხნო ნაწარმი, საკვები საგნები უფ-

რო მეტია დამზადებული, ვიდრე მათი ნაღდზე შეძენა შეუძლიათ ძირითად მომხმარებლებს, ე. ი. ხალხის მასებს, რომელთა შემოსავალი დაბალ დონეზე რჩება. ხოლო ვინაიდან ხალხის მასების მყიდველობითი უნარი კაპიტალიზმის პირობებში მინიმალურად დაბალ დონეზე რჩება, ამიტომ «ნამეტ» საქონელს — მანუფაქტურას, პურს და სხვ. კაპიტალისტები საწყობებში ტოვებენ ან კიდეც ანადგურებენ, რათა შეინარჩუნონ მაღალი ფასები, წარმოებას ამცირებენ, მუშებს სამუშაოდან ითხოვენ, და ხალხის მასები იძულებული არიან გაჭირვებას განიცდიდნენ იმის გამო, რომ მეტად ბევრი საქონელია დამზადებული.

2. ახლანდელი კრიზისი ომის შემდეგ პირველი **მსოფლიო** ეკონომიური კრიზისია. იგი მსოფლიო კრიზისია არა მარტო იმ მნიშვნელობით, რომ მოიცავს მსოფლიოს ყველა ან თითქმის ყველა **სამრეწველო** ქვეყანას, ამასთან საფრანგეთიც კი, რომელიც თავის ორგანიზმს სისტემატურად უშხაპუნებს მილიარდობით მარკა გერმანიის სარეპარაციო გადასახდელებს, ვერ ასცდა ერთგვარ დეპრესიას, რომელიც, ყველა მონაცემის მიხედვით, კრიზისად უნდა იქცეს. იგი მსოფლიო კრიზისია იმ მნიშვნელობითაც, რომ **სამრეწველო** კრიზისი დროის მიხედვით დაემთხვა **სასოფლო-სამეურნეო** კრიზისს, რომელიც მოიცავს ყველა სახის ნედლეულისა და სურსათის წარმოებას მსოფლიოს ძირითად **აგრარულ** ქვეყნებში.

3. ახლანდელი მსოფლიო კრიზისი, მიუხედავად მისი **საყოველთაო** ხასიათისა, **უთანაბროდ** ვითარდება და ამა თუ იმ ქვეყანაში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სიძლიერით ვრცელდება. სამრეწველო კრიზისი ყველაზე ადრე დაიწყო პოლონეთში, რუმინეთში, ბალკანეთში. იგი იქ ვითარდებოდა მთელი გასული წლის მანძილზე. დაწყებული სასოფლო-სამეურნეო კრიზისის აშკარა ნიშნები უკვე 1928 წლის დამ-

ლევს იყო კანადაში, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, არგენტინაში, ბრაზილიაში, ავსტრალიაში. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობა აღმავალი გზით მიდის. 1929 წლის შუახანებისათვის სამრეწველო წარმოება ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში თითქმის სარეკორდო სიმაღლეს აღწევს. მხოლოდ 1929 წლის მეორე ნახევრიდან იწყება გარდატეხა, და შემდეგ უკვე ჩაღდება სამრეწველო წარმოების სწრაფი კრიზისი, რომელმაც ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები 1927 წლის დონემდე დასწია. შემდეგ ამას მოსდევს სამრეწველო კრიზისი კანადაში, იაპონიაში. შემდეგ იწყება გაკოტრებანი და კრიზისი ჩინეთსა და კოლონიურ ქვეყნებში, სადაც კრიზისს ვერცხლის ფასების დაცემა აღრმავებს და სადაც ჭარბი წარმოების კრიზისი ერთვის გლეხური მეურნეობის ნგრევას, მეურნეობისა, რომელიც ფეოდალების ექსპლოატაციამ და აუტანელმა გადასახადებმა სრულ დაუძლურებამდე მიიყვანა. რაც შეეხება დასავლეთ ევროპას, იქ კრიზისი ვითარდება მხოლოდ მიმდინარე წლის დამდეგს, ამასთან ყველგან ერთნაირი სიძლიერით არა, ხოლო საფრანგეთში ამ პერიოდშიც კი კვლავ თავს იჩენს სამრეწველო წარმოების ზრდა.

მე ვფიქრობ, რომ საჭირო არ არის მაინცდამაინც შევჩერდეთ ციფრობრივ მონაცემებზე, რომლებიც ცხადყოფენ კრიზისის არსებობას. კრიზისი რომ არსებობს, ეს სადავოდ აღარავის მიაჩნია. ამიტომ მე იმას დავჯერდები, რომ მოვიყვან ერთ პატარა, მაგრამ ფრიად დამახასიათებელ ცხრილს, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გამოაქვეყნა გერმანიის «საკონიუნქტურო კვლევის ინსტიტუტმა». ეს ცხრილი გამოხატავს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, პოლონეთის, სსრ კავშირის სამთამადნო მრეწველობისა და მსხვილი დამმუშავებე-

ლი ინდუსტრიის ძირითადი დარგების განვითარებას, დაწყებული 1927 წლიდან, ამასთან 1928 წლის წარმოების დონე მიღებულია 100-ად.

აი ეს ცხრილი:

წლები	სსრკ	ჩაშშ	ინგლისი	გერმანია	საფრანგეთი	პოლონეთი
1927	82,4	95,5	105,5	100,1	86,6	88,5
1928	100	100	100	100	100	100
1929	123,5	106,3	107,9	101,8	109,4	99,8
1930 (პირველი კვარტალი) .	171,4	95,5	107,4	93.4	113,1	84,6

რას მოწმობს ეს ცხრილი?

იგი მოწმობს, უწინარეს ყოვლისა, იმას, რომ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია და პოლონეთი განიცდიან მსხვილი სამრეწველო წარმოების **მკვეთრად გამოხატულ კრიზისს**, ამასთან **ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში** წარმოების დონე, 1929 წლის პირველ ნახევარში **აღმავლობის** შემდეგ, 1930 წლის პირველ კვარტალში 1929 წელთან შედარებით 10,8 პროცენტით დაეცა და 1927 წლის დონემდე დავიდა; **გერმანიაში** სამი წლის **უძრაობის** შემდეგ წარმოების დონე გასულ წელთან შედარებით 8,4 პროცენტით შემცირდა და 1927 წლის დონეზე დაბლა დაეცა 6,7 პროცენტით, **პოლონეთში** კი შარშანდელი **კრიზისის** შემდეგ წარმოების დონე გასულ წელთან შედარებით 15,2 პროცენტით შემცირდა და 1927 წლის დონესთან შედარებით 3,9 პროცენტით დაბლა დაეცა.

მეორეც, იგი მოწმობს იმას, რომ **ინგლისი** უკვე სამი წელიწადია ერთ ადგილს ტკეპნის, 1927 წლის დონის გარშემო, და განიცდის მძიმე ეკონომიურ **უძრაობას,** ამასთან 1930 წლის პირველ კვარტალში მან უკვე მოასწრო წარმოების დონის შემცირება გასულ წელთან შედარებით 0,5 პროცენტით და, **ამრიგად, კრიზისის** დაწყებითს ფაზაში შევიდა.

მესამეც, იგი მოწმობს იმას, რომ დიდი კაპიტალისტური ქვეყნებიდან მხოლოდ საფრანგეთშია მსხვილი მრეწველობის ერთგვარი **ზრდა,** ამასთან, თუ 1928 წელს მატების პროცენტი შეადგენდა 13,4-ს, ხოლო 1929 წელს 9,4-ს, 1930 წლის პირველ კვარტალში მატება 1929 წელთან შედარებით მხოლოდ 3,7 პროცენტს შეადგენს და, ამრიგად, ზრდის წლითი-წლობით **კლებადი** მრუდის სურათს გვაძლევს.

დასასრულ, იგი მოწმობს იმას, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყნებს შორის მხოლოდ სსრ კავშირში აქვს ადგილი მსხვილი მრეწველობის **სწრაფ აღმავლობას,** ამასთან წარმოების დონე 1930 წლის პირველ კვარტალში 1927 წლის დონეს აღემატება **ერთიორად** და უფრო მეტად, ხოლო მატების პროცენტი 1928 წლის 17,6-დან 23,5-მდე დიდდება 1929 წელს და 32-მდე 1930 წლის პირველ კვარტალში და, ამრიგად, გვაძლევს ზრდის წლითი-წლობით **აღმავალი** მრუდის სურათს.

შეიძლება თქვან, რომ თუ ასეთი იყო საქმის ვითარება მიმდინარე წლის პირველი კვარტალის ბოლომდე, გამორიცხული არ არის, რომ ამა წლის მეორე კვარტალში იგი შეცვლილიყო გაუმჯობესების მიმართულებით. მაგრამ მეორე კვარტალის მონაცემები გადაჭრით აბათილებენ ამგვარ მოსაზრებას. პირიქით, ისინი მოწმობენ, რომ მეორე კვარტალში მდგომარეობა უფრო მეტად გაუარესდა. ეს მონაცემები

მოწმობენ: **აქციების** ახალ **დაცემას** ნიუ-იორკის ბირჟაზე და **გაკოტრებათა** ახალ **ტალღას** ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში; წარმოების ახალ **შეკვეცას**, მუშათა **ხელფასის შემცირებას** და **უმუშევრობის ზრდას** ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, ინგლისში, იტალიაში, იაპონიაში, სამხრეთ ამერიკაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში და სხვ.; საფრანგეთის მრეწველობის მთელი რიგი დარგების შესვლას **უძრაობის** ხანაში, რაც ახლანდელ საერთაშორისო ეკონომიურ ვითარებაში კრიზისის დაწყების ნიშანს წარმოადგენს. ახლა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში 6 მილიონზე მეტი უმუშევარია, გერმანიაში — 5 მილიონამდე, ინგლისში — 2 მილიონზე მეტი, იტალიაში, სამხრეთ ამერიკაში, იაპონიაში — თითო მილიონი, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ავსტრიაში — ნახევარ-ნახევარი მილიონი. აღარას ვამბობ სასოფლო-სამეურნეო კრიზისის შემდგომ გამწვავებაზე, რომელიც მრავალ მილიონ ფერმერსა და მშრომელ გლეხს აღატაკებს. სოფლის მეურნეობაში ჭარბი წარმოების კრიზისი იქამდე მივიდა, რომ ბრაზილიაში მაღალი ფასებისა და ბურჟუაზიის მოგების შესანარჩუნებლად ზღვაში გადაყარეს 2 მილიონი ტომარა ყავა, ამერიკაში საწვავად ქვანახშირის ნაცვლად სიმინდის ხმარებას შეუდგნენ, გერმანიაში მილიონობით ფუთი ჭვავი ღორის საკვებად გადააქციეს, ხოლო ბამბისა და ხორბლის ხაზით ყოველ ზომას მიმართავენ იმისათვის, რომ ნათესი ფართობები 10 — 15 პროცენტით შეამცირონ.

ასეთია მზარდი მსოფლიო ეკონომიური კრიზისის საერთო სურათი.

ბ) ახლა, როცა მსოფლიო ეკონომიური კრიზისი გამანადგურებელ მოქმედებას აჩაღებს, უფსკრულში ჩეხავს საშუალო და წვრილ კაპიტალისტთა მთელ ფენებს, აღატა-

კებს მუშათა არისტოკრატიისა და ფერმერების მთელ ჯგუფებს და შიმშილს განუმზადებს მუშათა მილიონიან მასებს, — ყველა კითხულობს: სად არის კრიზისის მიზეზი, რა არის მისი საფუძველი, როგორ ვებრძოლოთ მას, როგორ მოვსპოთ იგი? იგონებენ კრიზისის სულ სხვადასხვანაირ «თეორიებს». აყენებენ კრიზისის «შენელების», «თავიდან აცილების», «ლიკვიდაციის» მთელ პროექტებს. ბურჟუაზიული ოპოზიციები ბრალს სდებენ ბურჟუაზიულ მთავრობებს, რომლებმაც, თურმე, «ყველა ზომა არ მიიღეს» კრიზისის თავიდან ასაცილებლად. «დემოკრატები» ამტყუნებენ «რესპუბლიკელებს», «რესპუბლიკელები» — «დემოკრატებს», ყველანი ერთად კი — ჰუვერის ჯგუფს მისი «ფედერალური სარეზერვო სისტემით» [247], რომელმაც კრიზისი ვერ «ალაგმა». ისეთი ბრძენებიც კი მოიპოვებიან, რომლებიც მსოფლიო ეკონომიური კრიზისის მიზეზს «ბოლშევიკების ხრიკებში» ხედავენ. მხედველობაში მყავს ცნობილი «მრეწველი» რეხბერგი, რომელიც, კაცმა რომ თქვას, ნაკლებად ჰგავს მრეწველს და უფრო გვაგონებს «მრეწველს» ლიტერატორთა შორის და «ლიტერატორს» მრეწველთა შორის. (ს ი ც ი ლ ი).

გასაგებია, რომ მთელ ამ «თეორიებსა» და პროექტებს მეცნიერებასთან საერთო არა აქვთ. რა. უნდა ვაღიაროთ, რომ ბურჟუაზიული ეკონომისტები სრულიად გაკოტრებული აღმოჩნდნენ კრიზისის წინაშე. უფრო მეტიც, მათ ცხოვრების ალღოს ის მინიმუმიც არ აღმოაჩნდათ, რომელსაც ყოველთვის როდი იყვნენ მოკლებულნი მათი წინამორბედნი. ამ ვაჟბატონებს ავიწყდებათ, რომ კრიზისები არ შეიძლება მიჩნეულ იქნას შემთხვევით მოვლენად კაპიტალისტური მეურნეობის სისტემაში. ამ ვაჟბატონებს ავიწყდებათ, რომ ეკონომიური კრიზისები კაპიტალიზმის გარდუვალი შედეგია. ამ ვაჟბატონებს ავიწყდებათ, რომ კრიზისები წარმოიშვნენ კაპიტალიზმის ბატონობის წარმოშო-

ბასთან ერთად. ასეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ხდება პერიოდული ეკონომიური კრიზისები, რომლებიც მეორდება ყოველი 12 — 10 — 8 წლისა და ნაკლები ხნის შემდეგ. ამ პერიოდის განმავლობაში ყველა რანგისა და ფერის ბურჟუაზიული მთავრობები, ყველა ხარისხისა და უნარის ბურჟუაზიული მოღვაწენი, — უკლებლივ ყველანი ცდილობდნენ ესინჯათ თავიანთი ძალა კრიზისების «თავიდან ასაცილებლად» და «მოსასპობად». მაგრამ ისინი ყველანი მარცხდებოდნენ. მარცხდებოდნენ, ვინაიდან არ შეიძლება თავიდან აიცილო ან მოსპო ეკონომიური კრიზისები, თუ კაპიტალიზმის ჩარჩოებში რჩები. რა არის გასაკვირველი, თუ ახლანდელი ბურჟუაზიული მოღვაწეებიც მარცხდებიან? რა არის გასაკვირველი, თუ ბურჟუაზიულ მთავრობათა ღონისძიებანი სინამდვილეში იწვევენ არა კრიზისის შენელებას, არა მშრომელთა მილიონიანი მასების მდგომარეობის შემსუბუქებას, არამედ გაკოტრებათა ახალ წყებას, უმუშევრობის ახალ ტალღას, ნაკლებად ძლიერ კაპიტალისტურ გაერთიანებათა შთანთქმას უფრო ძლიერ კაპიტალისტურ გაერთიანებათა მიერ?

ჭარბი წარმოების ეკონომიური კრიზისების საფუძველი, მათი მიზეზი თვით კაპიტალისტური მეურნეობის სისტემაშია. კრიზისის საფუძველია წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და წარმოების შედეგების მითვისების კაპიტალისტურ ფორმას შორის. კაპიტალიზმის ამ ძირითადი წინააღმდეგობის გამოხატულებას წარმოადგენს წინააღმდეგობა კაპიტალიზმის საწარმოო შესაძლებლობათა კოლოსალურ, კაპიტალისტური მოგების მაქსიმუმის მისაღებად ნავარაუდევ, ზრდასა და მშრომელთა მილიონიანი მასების მხრივ გადამხდელუნარიანი მოთხოვნილების შედარებით შემცირებას შორის, მასებისა, რომელთა საარსებო დონის უკიდურესი მინიმუმის ფარგლებში დატოვებას კაპიტალისტები მუდამ ცდილობენ. კონკურენციაში რომ

გაიმარჯვონ და რაც შეიძლება მეტი მოგება ამოქაჩონ, კაპიტალისტები იძულებული არიან განავითარონ ტექნიკა, გაატარონ რაციონალიზაცია, გააძლიერონ მუშების ექსპლოატაცია და უკიდურესად გააძლიერონ თავიანთ საწარმოთა საწარმოო შესაძლებლობანი. ერთმანეთს რომ არ ჩამორჩნენ, ყველა კაპიტალისტები იძულებული არიან ასე თუ ისე დაადგნენ საწარმოო შესაძლებლობათა ამ გაშმაგებული განვითარების გზას. მაგრამ საშინაო ბაზარი და საგარეო ბაზარი, მყიდველობითი უნარი მუშათა და გლეხთა მილიონიანი მასებისა, რომლებიც საბოლოო ანგარიშით ძირითადი მყიდველები არიან, დაბალ დონეზე რჩება. აქედან წარმოსდგება ჭარბი წარმოების კრიზისები. აქედან წარმოსდგება ცნობილი შედეგები, რომლებიც მეტნაკლები პერიოდულობით მეორდება და რომელთა გამო საქონელი გაუსაღებელი რჩება, წარმოება მცირდება, უმუშევრობა იზრდება, ხელფასი კლებულობს და ამით უფრო მეტად მწვავდება წინააღმდეგობა წარმოების დონესა და გადამხდელუნარიანი მოთხოვნილების დონეს შორის. ჭარბი წარმოების კრიზისი ამ წინააღმდეგობის გამოხატულებაა მძაფრი და გამანადგურებელი ფორმებით.

კაპიტალიზმს რომ შეეძლოს შეუფარდოს წარმოება არა მოგების მაქსიმუმის მიღებას, არამედ ხალხის მასების მატერიალური მდგომარეობის სისტემატურ გაუმჯობესებას, მას რომ შეეძლოს მოახმაროს მოგება არა პარაზიტული კლასების ჟინის დაკმაყოფილებას, არა ექსპლოატაციის მეთოდების სრულყოფას, არა კაპიტალის გატანას, არამედ მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობის სისტემატურ გაუმჯობესებას, მაშინ კრიზისები აღარ იქნებოდა. მაგრამ მაშინ კაპიტალიზმიც არ იქნებოდა კაპიტალიზმი. კრიზისები რომ მოსპო, უნდა მოსპო კაპიტალიზმი.

ასეთია საერთოდ ჭარბი წარმოების ეკონომიური კრიზისების საფუძველი.

მაგრამ **ახლანდელი** კრიზისის დახასიათებისას საქმე ამით როდი შეიძლება განისაზღვროს. ახლანდელი კრიზისი არ შეიძლება მივიჩნიოთ ძველი კრიზისების უბრალო განმეორებად. იგი ხდება და ვითარდება ერთგვარ ახალ პირობებში, რომლებიც უნდა გამოვარკვიოთ, კრიზისის სრული სურათი რომ მივიღოთ. იგი რთულდება და ღრმავდება მთელ რიგ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო, რომელთა გაურკვევლად შეუძლებელია ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ახლანდელ ეკონომიურ კრიზისზე.

როგორია ეს განსაკუთრებული გარემოებანი?

ისინი, ეს განსაკუთრებული გარემოებანი, განისაზღვრებიან შემდეგი დამახასიათებელი ფაქტებით:

1. კრიზისმა ყველაზე ძლიერ ჩასცა ლახვარი კაპიტალიზმის **მთავარ ქვეყანას**, მის ციხე-სიმაგრეს, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელთა ხელშიც მოქცეულია მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთელი წარმოებისა და მოხმარების არა ნაკლებ ნახევრისა. გასაგებია, რომ ეს გარემოება არ შეიძლება არ იწვევდეს კრიზისის გავლენის სფეროს კოლოსალურ გაფართოებას, კრიზისის გამწვავებას და მსოფლიო კაპიტალიზმისათვის გაუთვალისწინებელ სიძნელეთა დაგროვებას.

2. ეკონომიური კრიზისის გაშლის მსვლელობაში მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების სამრეწველო კრიზისი უბრალოდ კი არ დაემთხვა, არამედ **გადაეწნაკვა** სასოფლო-სამეურნეო კრიზისს აგრარულ ქვეყნებში, რითაც გაართულა სიძნელენი და წინასწარ განსაზღვრა სამეურნეო აქტივობის საერთო დაცემის გარდუვალობა. რაღა თქმა უნდა, სამრეწველო კრიზისი გააძლიერებს სასოფლო-სამეურნეო კრიზისს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კრიზისი გაახანგრძლივებს სამრეწველო კრიზისს, რასაც არ შეიძლება არ მოჰყვეს მთლიანად ეკონომიური კრიზისის გაღრმავება.

3. ახლანდელი კაპიტალიზმი, ძველი კაპიტალიზმისაგან განსხვავებით, **მონოპოლისტური** კაპიტალიზმია, ეს კი წინასწარ განსაზღვრავს კაპიტალისტურ გაერთიანებათა ბრძოლის აუცილებლობას საქონლის მაღალი, მონოპოლიური ფასების შენარჩუნებისათვის, მიუხედავად ჭარბი წარმოებისა. გასაგებია, რომ ამ გარემოებამ, რაც კრიზისს განსაკუთრებით მტანჯველსა და გამანადგურებელს ხდის ხალხის მასებისათვის, რომლებიც საქონლის ძირითადი მომხმარებლები არიან, არ შეიძლება არ გამოიწვიოს კრიზისის გახანგრძლივება, არ შეიძლება არ შეაფერხოს მისი თანდათანობით გაქრობა.

4. ახლანდელი ეკონომიური კრიზისი ჩაღდება კაპიტალიზმის იმ **საერთო კრიზისის** ბაზაზე, რომელიც ჯერ კიდევ იმპერიალისტური ომის პერიოდში წარმოიშვა, რომელიც არყევს კაპიტალიზმის საყრდენებს და რომელმაც გააადვილა ეკონომიური კრიზისის დადგომა.

რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, იმას, რომ იმპერიალისტურმა ომმა და მისმა შედეგებმა გააძლიერეს კაპიტალიზმის ლპობა და დაარღვიეს მისი წონასწორობა, რომ ჩვენ ახლა ომებისა და რევოლუციების ეპოქაში ვცხოვრობთ, რომ კაპიტალიზმი აღარ წარმოადგენს მსოფლიო მეურნეობის **ერთადერთ** და **ყოვლისმომცველ** სისტემას, რომ მეურნეობის **კაპიტალისტური** სისტემის გვერდით არსებობს **სოციალისტური** სისტემა, რომელიც იზრდება, რომელიც წარმატებით ვითარდება, რომელიც კაპიტალისტურ სისტემას უპირდაპირდება და რომელიც თავისი არსებობის თვით ფაქტით ააშკარავებს კაპიტალიზმის სიდამპლეს, არყევს მის საფუძვლებს.

შემდეგ, ეს ნიშნავს იმას, რომ იმპერიალისტურმა ომმა და სსრ კავშირში რევოლუციის გამარჯვებამ შეარყია იმპერიალიზმის საყრდენები **კოლონიურ და დამოკიდებულ**

ქვეყნებში, რომ ამ ქვეყნებში იმპერიალიზმის ავტორიტეტი უკვე შერყეულია, რომ მას აღარ შეუძლია ძველებურად იპარპაშოს ამ ქვეყნებში.

შემდეგ, ეს ნიშნავს იმას, რომ ომის დროს და ომის შემდეგ კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში გაჩნდა და გაიზარდა თავისი საკუთარი ახალგაზრდა კაპიტალიზმი, რომელიც ბაზრებზე წარმატებით უწევს კონკურენციას ძველ კაპიტალისტურ ქვეყნებს, ამწვავებს და ართულებს ბრძოლას გასაღების ბაზრებისათვის.

დასასრულ, ეს ნიშნავს იმას, რომ ომმა მეტ წილ კაპიტალისტურ ქვეყნებს დაუტოვა მძიმე მემკვიდრეობა **საწარმოთა ქრონიკული დაუტვირთაობისა** და **უმუშევართა მილიონიანი არმიების** სახით, რომელნიც უმუშევართა სარეზერვო არმიებიდან გადაიქცნენ **უმუშევართა მუდმივ არმიებად**, რაც კაპიტალიზმს მრავალ სიძნელეს უქმნიდა ჯერ კიდევ ახლანდელ ეკონომიურ კრიზისამდე და რამაც უფრო მეტად უნდა გაართულოს საქმე კრიზისის დროს.

ასეთია ის გარემოებანი, რომლებიც აძლიერებენ და ამწვავებენ მსოფლიო ეკონომიურ კრიზისს.

უნდა ვაღიაროთ, რომ ახლანდელი ეკონომიური კრიზისი ყველაზე სერიოზული და ყველაზე ღრმა კრიზისია დღემდე მომხდარ მსოფლიო ეკონომიურ კრიზისთა შორის.

2. კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გამწვავება

მსოფლიო ეკონომიური კრიზისის უმნიშვნელოვანესი შედეგია იმ წინააღმდეგობათა გაშიშვლება და გამწვავება, რომლებიც მსოფლიო კაპიტალიზმს მოსდგამს.

ა) შიშვლდება და მწვავდება **წინააღმდეგობანი უმნიშვნელოვანეს იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის**, ბრძოლა გასაღების ბაზრებისათვის, ბრძოლა ნედლეულისათვის, ბრძოლა კაპიტალის გატანისათვის. ახლა არც ერთ კაპი-

ტალისტურ სახელმწიფოს აღარ აკმაყოფილებს გავლენის სფეროებისა და კოლონიების ძველი განაწილება. ისინი ხედავენ, რომ ძალთა თანაფარდობა შეიცვალა და ამის შესაბამისად ხელახლა უნდა განაწილდეს გასაღების ბაზრები, ნედლეულის წყაროები, გავლენის სფეროები და სხვ.. ამ წინააღმდეგობათაგან მთავარია წინააღმდეგობა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის. მზა საქონლის გატანის დარგშიც და კაპიტალის გატანის დარგშიც ბრძოლა წარმოებს უმთავრესად ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის. საკმარისია აიღოთ რომელიც გნებავთ ეკონომიური გაზეთი, რომელიც გნებავთ დოკუმენტი საქონლისა და კაპიტალის გატანის შესახებ, რომ ამაში დარწმუნდეთ. ბრძოლის მთავარი ასპარეზია სამხრეთი ამერიკა, ჩინეთი, ძველ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კოლონიები და დომინიონები. ამ ბრძოლაში ძალთა უპირატესობა, — თანაც გარკვეული უპირატესობა, — ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მხარეზეა.

მთავარ წინააღმდეგობას მოსდევენ არა მთავარი, მაგრამ საკმაოდ არსებითი წინააღმდეგობანი: ამერიკასა და იაპონიას შორის, გერმანიასა და საფრანგეთს შორის, საფრანგეთსა და იტალიას შორის, ინგლისსა და საფრანგეთს შორის და სხვ.

სავსებით უეჭველია, რომ კრიზისის განვითარებასთან დაკავშირებით ბრძოლა გასაღების ბაზრებისათვის, ნედლეულისათვის, კაპიტალის გატანისათვის ყოველთვიურად, დღითი-დღე გაძლიერდება.

ბრძოლის საშუალებებია: საბაჟო პოლიტიკა, იაფი საქონელი, იაფი კრედიტი, ძალთა გადაჯგუფება და ახალი სამხედრო-პოლიტიკური კავშირები, შეიარაღების ზრდა და ახალი იმპერიალისტური ომებისათვის მზადება, ბოლოს — ომი.

მე ვლაპარაკობდი კრიზისზე, რომელმაც მოიცვა წარმოების ყველა დარგი. მაგრამ არის ერთი დარგი, რომელიც კრიზისს არ მოუცავს. ეს დარგია სამხედრო მრეწველობა. იგი, მიუხედავად კრიზისისა, განუწყვეტლივ იზრდება. ბურჟუაზიული სახელმწიფოები გამალებით იარაღდებიან და კვლავ იარაღდებიან. რისთვის? რა თქმა უნდა, არა მასლაათისათვის, არამედ ომისათვის. ხოლო ომი ესაჭიროებათ იმპერიალისტებს, ვინაიდან იგი მსოფლიოს ხელახლა განაწილების, გასაღების ბაზრების, ნედლეულის წყაროების, კაპიტალის გამოყენების სფეროების ხელახლა განაწილების ერთადერთი საშუალებაა.

სავსებით გასაგებია, რომ ამ ვითარებაში ეგრეთწოდებული პაციფიზმი თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლის, ერთა ლიგა ცოცხლივ იხრწნება, «განიარაღების პროექტები» უფსკრულში ცვივა, ხოლო საზღვაო შეიარაღების შემცირების საკითხზე მოწვეული კონფერენციები საზღვაო ფლოტის განახლებისა და გაფართოების კონფერენციებად იქცევიან.

ეს იმას ნიშნავს, რომ ომის საფრთხე აჩქარებული ტემპით გაიზრდება.

დაე ილაყბონ სოციალ-დემოკრატებმა პაციფიზმზე, მშვიდობაზე, კაპიტალიზმის მშვიდობიან განვითარებაზე და სხვ.. გერმანიასა და ინგლისში ხელისუფლების სათავეში სოციალ-დემოკრატიის ყოფნის გამოცდილება ცხადყოფს, რომ პაციფიზმი მათთვის მხოლოდ ნიღაბია, რომელიც საჭიროა ახალი ომების მომზადების დასაფარავად.

ბ) შიშვლდება და გამწვავდება **წინააღმდეგობანი გამარჯვებულ ქვეყნებსა და დამარცხებულ ქვეყნებს შორის.** ამ უკანასკნელთა შორის მხედველობაში მაქვს, უმთავრესად, გერმანია. უეჭველია, რომ კრიზისთან და ბაზრების პრობლემის გამწვავებასთან დაკავშირებით გაძლიერდება ზემოქმედება გერმანიაზე, რომელიც არა მარტო მოვალეა,

არამედ უდიდესი ექსპორტიორიც არის. გამარჯვებულ ქვეყნებსა და გერმანიას შორის დამყარებული ორიგინალური ურთიერთობა შეიძლება გამოიხატოს პირამიდის სახით, რომლის თავზე ბატონებივით სხედან ამერიკა, საფრანგეთი, ინგლისი და სხვ. და ხელთ უჭირავთ იუნგის გეგმა [38] წარწერით: «გადაიხადე!», ხოლო ძირს გართხმულია ღონემიხდილი გერმანია, რომელიც იძულებულია უკანასკნელი ძალღონე მოახმაროს იმას, რომ შეასრულოს ბრძანება მილიარდიანი კონტრიბუციების გადახდის შესახებ. გნებავთ იცოდეთ, რა არის ეს? ეს არის «ლოკარნოს სული» [39]. იმის ფიქრი, რომ ასეთი მდგომარეობა შეიძლება შერჩეს მსოფლიო კაპიტალიზმს, — ნიშნავს არაფერი არ გესმოდეს ცხოვრებაში. იმის ფიქრი, რომ გერმანიის ბურჟუაზია შესძლებს უახლოეს 10 წელიწადში გადაიხადოს 20 მილიარდი მარკა, ხოლო გერმანიის პროლეტარიატი, რომელსაც «თავისი» და «უცხო» ბურჟუაზიის ორმაგი უღელი ადგას, სერიოზული ბრძოლების გაუჩაღებლად და შერყევათა მოუხდენლად მისცემს ნებას გერმანიის ბურჟუაზიას გამოსწუროს მას' ეს 20 მილიარდი, — ნიშნავს ჰკუაზე შეშლას. დაე გერმანიისა და საფრანგეთის პოლიტიკოსებმა ისე მოგვაჩვენონ თავი, თითქოს ეს სასწაული სჯეროდეთ. ჩვენ, ბოლშევიკებს, სასწაულები არა გვწამს.

გ) შიშვლდება და მწვავდება **წინააღმდეგობანი იმპერიალისტურ სახელმწიფოებსა და კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებს შორის.** მზარდმა ეკონომიურმა კრიზისმა არ შეიძლება არ გააძლიეროს იმპერიალისტების' ზემოქმედება კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებზე, რომლებიც გასაღებისა და ნედლეულის ძირითად ბაზრებს წარმოადგენენ. და მართლაც, ზემოქმედება უაღრესად ძლიერდება. ფაქტია, რომ ევროპის ბურჟუაზია ამჟამად იმყოფება ომის მდგომარეობაში «თავის» კოლონიებთან ინდოეთში, ინდო-ჩინეთში, ინდონეზიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში. ფაქ-

ტია, რომ «დამოუკიდებელი» ჩინეთი ფაქტიურად უკვე განაწილებულია გავლენის სფეროებად, ხოლო კონტრრევოლუციური გომინდანელების გენერალთა ხროვები, რომლებიც ერთმანეთს ეომებიან და ჩინელ ხალხს აჩანაგებენ, ნებას უსრულებენ თავიანთ ბატონებს იმპერიალისტური ბანაკიდან.

საბოლოოდ ჩაშლილად უნდა ჩაითვალოს ცრუ ვერსია იმის შესახებ, რომ ჩინეთში რუსეთის საელჩოების მუშაკების ბრალია ჩინეთში «მშვიდობისა და მყუდროების» დარღვევა. რუსეთის საელჩოები დიდი ხანია აღარ არის არც სამხრეთ და არც შუა ჩინეთში. მაგრამ სამაგიეროდ არის ინგლისის, იაპონიის, გერმანიის, ამერიკისა და ყოველნაირი სხვა საელჩოები. რუსეთის საელჩოები დიდი ხანია აღარ არის არც სამხრეთ და არც შუა ჩინეთში. მაგრამ სამაგიეროდ არიან გერმანელი, ინგლისელი და იაპონელი სამხედრო მრჩევლები მეომარ ჩინელ გენერლებთან. რუსეთის საელჩოები დიდი ხანია აღარ არის იქ. მაგრამ სამაგიეროდ არის ინგლისური, ამერიკული, გერმანული, ჩეხოსლოვაკური და ყოველნაირი სხვა ქვემეხები, შაშხანები, აეროპლანები, ტანკები, მომწამლავი გაზები. მერე რას ვხედავთ? ნაცვლად «მშვიდობისა და მყუდროებისა» სამხრეთ და შუა ჩინეთში ახლა გაჩაღებულია გენერალთა ალვირახსნილი და უაღრესად გამანადგურებელი ომი, რომელსაც აფინანსებენ და ინსტრუქტაჟს უწევენ ევროპისა და ამერიკის «ცივილიზებული» სახელმწიფოები. გამოდის კაპიტალისტურ სახელმწიფოთა «ცივილიზატორული» მუშაობის საკმაოდ პიკანტური სურათი. გაუგებარია მხოლოდ, რა შუაში არიან აქ რუსი ბოლშევიკები?

სასაცილო იქნებოდა გვეფიქრა, რომ იმპერიალისტებს შერჩებათ ეს თარეში. ჩინელმა მუშებმა და გლეხებმა უკვე უპასუხეს ამ თარეშს საბჭოებისა და წითელი არმიის შექმნით. ამბობენ, რომ იქ უკვე შეიქმნა საბჭოთა მთავრობა.

მე ვფიქრობ, რომ თუ ეს მართალია, აქ გასაკვირველი არაფერია. სავსებით უეჭველია, რომ მხოლოდ საბჭოებს შეუძლიათ იხსნან ჩინეთი საბოლოო დაშლისა და გაღატაკებისაგან.

რაც შეეხება ინდოეთს, ინდო-ჩინეთს, ინდონეზიას, აფრიკას და სხვ., ამ ქვეყნებში რევოლუციური მოძრაობის ზრდა, რაც ზოგჯერ ეროვნული განმათავისუფლებელი ომის ფორმებს იღებს, სავსებით უეჭველია. ბატონი ბურჟუები ვარაუდობენ სისხლით მორწყონ ეს ქვეყნები, დაეყრდნონ პოლიციის ხიშტებს და მიიშველიონ ისეთი ადამიანები, როგორიც არის განდი. ეჭვს გარეშეა, რომ პოლიციის ხიშტები ცუდი დასაყრდენია. თავის დროზე ცარიზმიც ცდილობდა დაყრდნობოდა პოლიციის ხიშტებს, მაგრამ თუ რა დასაყრდენი გამოდგა ეს — ყველამ იცის. რაც შეეხება განდის ტიპის დამხმარეებს, ცარიზმს მთელი ხროვა ასეთი დამხმარეები ჰყავდა ყველა ჯურის ლიბერალური შემთანხმებლების სახით, მაგრამ აქედან შერცხვენის მეტი არაფერი გამოვიდა.

დ) გაშიშვლდა და გამწვავდა **წინააღმდეგობანი ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის** კაპიტალისტურ ქვეყნებში. კრიზისმა უკვე გააძლიერა მუშათა კლასის შევიწროება კაპიტალისტების მიერ. კრიზისმა უკვე გამოიწვია კაპიტალისტური რაციონალიზაციის ახალი ტალღა, მუშათა კლასის მდგომარეობის ახალი გაუარესება, უმუშევრობის ზრდა, უმუშევართა მუდმივი არმიის გაფართოება, ხელფასის შემცირება. გასაკვირველი არ არის, რომ ეს გარემოებანი არევოლუციურებენ ვითარებას, ამწვავებენ კლასთა ბრძოლას და იწვევენ მუშების ახალ კლასობრივ ბრძოლებს.

ამასთან დაკავშირებით ჭრება და ჭარწყლდება სოციალ-დემოკრატიული ილუზიები მუშათა მასებში. იმ გამოცდილების შემდეგ, რაც ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგნენ სოციალ-დემოკრატები, რომლებიც გაფიცვებს შლიან,

ლოკაუტებს აწყობენ და მუშებს ხვრეტენ, მუშებს ბოროტ დაცინვად მიაჩნიათ ცრუ დაპირებანი «საწარმოო დემოკრატიის», «სამრეწველო ზავის», ბრძოლის «მშვიდობიანი მეთოდების» შესახებ. განა ბევრი აღმოჩნდება ახლა ისეთი მუშა, რომელიც დაიჯერებდა სოციალ-ფაშისტების ცრუ ქადაგებას? ცნობილი მუშათა დემოხსტრაციები 1929 წლის 1 აგვისტოსი (ომის საფრთხის წინააღმდეგ) და 1930 წლის 6 მარტისა (უმუშევრობის წინააღმდეგ) [40] ცხადყოფენ, რომ მუშათა კლასის საუკეთესო ადამიანებმა უკვე შეაქციეს ზურგი სოციალ-ფაშისტებს. ეკონომიური კრიზისი ახალ ლახვარს ჩასცემს სოციალ-დემოკრატიულ ილუზიებს მუშათა შორის. ახლა ბევრი როდი აღმოჩნდება ისეთი მუშა, რომელიც კრიზისთან დაკავშირებულ გაკოტრებათა და გაღატაკების შემდეგ თანახმა იქნება დაიჯეროს, რომ შესაძლებელია «ყოველი მუშის» გამდიდრება «დემოკრატიზებულ» სააქციო კომპანიებში მონაწილეობის გზით. რაღა თქმა უნდა, კრიზისი გამანადგურებელ ლახვარს ჩასცემს ყველა ასეთ და ამის მსგავს ილუზიებს.

მაგრამ სოციალ-დემოკრატიისაგან მუშათა მასების ჩამოშორება ნიშნავს მათს მობრუნებას კომუნიზმისაკენ. ეს ასეც ხდება სინამდვილეში. კომპარტიის მომხრე პროფმოძრაობის ზრდა; კომპარტიების საარჩევნო წარმატებანი; გაფიცვების ტალღა, რომლებიც კომუნისტების ხელმძღვანელი მონაწილეობით მიმდინარეობს; ეკონომიური გაფიცვების გადაქცევა პოლიტიკურ პროტესტებად, რომლებსაც კომუნისტები აწყობენ; კომუნიზმის თანამგრძნობი მუშების მასობრივი დემონსტრაციები, რაც უალრესად ცხოველ გამოხმაურებას პოულობს მუშათა კლასში, — ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ მუშათა მასები კომპარტიაში ხედავენ ერთადერთ პარტიას, რომელსაც უნარი შესწევს ებრძოლოს კაპიტალიზმს, ხედავენ ერთადერთ პარტიას, რომელიც ღირსია მუშათა ნდობისა, ერთადერთ პარტიას, რო-

მელსაც შეიძლება გაჰყვე და ღირს კიდეც გაჰყვე კაპიტალიზმისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ეს არის მასების მობრუნება კომუნიზმისაკენ. ეს არის საწინდარი ჩვენი მოძმე კომპარტიების გადაქცევისა მუშათა კლასის დიდ მასობრივ პარტიებად. ოღონდ საჭიროა, რომ კოძუნისტებმა შესძლონ მდგომარეობის შეფასება და მისი ჯეროვნად გამოყენება. შეურიგებელი ბრძოლის გაჩაღებით სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგენს კაპიტალის აგენტურას მუშათა კლასში, და ლენინიზმისაგან ყველა და ყოველგვარი გადახრების გაცამტვერებით, რომლებიც სოციალ-დემოკრატიის საქმეს აკეთებენ, კომპარტიებმა ცხადყვეს, რომ ისინი სწორ გზაზე დგანან. საჭიროა, რომ ისინი საბოლოოდ გამაგრდნენ ამ გზაზე. ვინაიდან მხოლოდ ამ პირობით შეიძლება იქონიონ იმის იმედი, რომ მიიმხრობენ მუშათა კლასის უმრავლესობას და წარმატებით მოამზადებენ პროლეტარიატს მომავალი კლასობრივი ბრძოლებისათვის. ვინაიდან მხოლოდ ამ პირობით შეგვიძლია ვიქონიოთ კომუნისტური ინტერნაციონალის გავლენისა და ავტორიტეტის შემდგომი ზრდის იმედი.

ასეთი მდგომარეობაა მსოფლიო კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობათა მხრივ, რომელნიც უკიდურესად გამწვავდნენ მსოფლიო ეკონომიურ კრიზისთან დაკავშირებით.

რას მოწმობს ყველა ეს ფაქტი?

იმას, რომ კაპიტალიზმის სტაბილიზაციას ბოლო ეღება.

იმას, რომ მასების რევოლუციური მოძრაობის ალმავლობა ახალი ძალით იმატებს.

იმას, რომ მსოფლიო ეკონომიური კრიზისი მთელ რიგ ქვეყნებში პოლიტიკურ კრიზისად გადაიქცევა.

ეს ნიშნავს, ჯერ-ერთი, იმას, რომ საშინაო პოლიტიკის დარგში ბურჟუაზია მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნას დაიწყებს შემდგომ ფაშიზაციაში, რისთვისაც გამოი-

ყენებს ყველა რეაქციულ ძალას, მათ შორის სოციალ-დემოკრატიასაც.

მეორეც, ეს ნიშნავს იმას, რომ საგარეო პოლიტიკის დარგში ბურჟუაზია გამოსავლის ძებნას დაიწყებს ახალ იმპერიალისტურ ომში.

დასასრულ, ეს ნიშნავს იმას, რომ პროლეტარიატი, ებრძვის რა კაპიტალისტურ ექსპლოატაციას და ომის საფრთხეს, გამოსავლის ძებნას დაიწყებს რევოლუციაში.

8. ურთიერთობა სსრ კავშირსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის

ა) ზემოთ მე ვილაპარაკე მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა შესახებ. მაგრამ ამ წინააღმდეგობათა გარდა არსებობს კიდევ ერთი წინააღმდეგობა. მე ვლაპარაკობ კაპიტალისტურ სამყაროსა და სსრ კავშირს შორის არსებულ წინააღმდეგობაზე. მართალია, ეს წინააღმდეგობა არ შეიძლება მივიჩნიოთ შინაკაპიტალისტური ხასიათის წინააღმდეგობად. იგი არის წინააღმდეგობა მთლიანად კაპიტალიზმსა და სოციალიზმის მშენებლობის ქვეყანას შორის. მაგრამ ეს ხელს არ უშლის მას არღვევდეს და არყევდეს კაპიტალიზმის თვით საფუძვლებს. უფრო მეტიც, იგი ძირამდე აშიშვლებს კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობას, თავს უყრის მათ ერთ კვანძში და აქცევს მათ თვით კაპიტალისტური წესწყობილების სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად. ამიტომ ყოველთვის, როცა კაპიტალისტური წინააღმდეგობანი მწვავდება, ბურჟუაზია თვალს საბჭოთა კავშირისაკენ მიაპყრობს: ხომ არ შეიძლება კაპიტალიზმის ესა თუ ის წინააღმდეგობა, ან ყველა წინააღმდეგობა, ერთად აღებული, გადაიჭრას სსრ კავშირის, საბჭოების ამ ქვეყნის, რევოლუციის ამ ციხე-სიმაგრის ხარჯზე, რომელიც მარტო თავისი არსებობით არევოლუციურებს მუშათა

კლასსა და კოლონიებს, ხელს უშლის ახალი ომის მოწყობას, ხელს უშლის მსოფლიოს ახლებურად გადანაწილებას, ხელს უშლის იბატონონ მის ვრცელ საშინაო ბაზარზე, რომელიც ასე სჭირდებათ კაპიტალისტებს, მეტადრე ახლა, ეკონომიურ კრიზისთან დაკავშირებით.

აქედან წარმოსდგება ტენდენცია სსრ კავშირის წინააღმდეგ ავანტიურისტულ გამოლაშქრებათა და ინტერვენციისა, რომელიც (ტენდენცია) უნდა გაძლიერდეს მზარდ ეკონომიურ კრიზისთან დაკავშირებით.

ამჟამად ამ ტენდენციის ყველაზე მკაფიო გამომხატველია ახლანდელი ბურჟუაზიული საფრანგეთი, დიდად მოსიყვარულე «პან-ევროპის»[41] სამშობლო, კელოგის პაქტის[42] «აკვანი», ყველაზე აგრესიული და მილიტარისტული ქვეყანა მსოფლიოს აგრესიულ და მილიტარისტულ ქვეყნებს შორის.

მაგრამ ინტერვენცია ისეთი რამეა, რასაც შეიძლება საწინააღმდეგო შედეგი მოჰყვეს. ეს ზუსტად იცის ბურჟუაზიამ. კარგია, ფიქრობს იგი, თუ ინტერვენციამ უმტკივნეულოდ ჩაიარა და სსრ კავშირის დამარცხებით დამთავრდა. მაგრამ როგორ მოვიქცეთ, იგი რომ კაპიტალისტების დამარცხებით დამთავრდეს? ხომ იყო უკვე ერთი ინტერვენცია, რომელიც კრახით დამთავრდა. თუ პირველი ინტერვენცია, როცა ბოლშევიკები სუსტი იყვნენ, კრახით დამთავრდა, რა გარანტიაა, რომ მეორეც კრახით არ დამთავრდება? ყველა ხედავს, რომ ახლა ბოლშევიკები გაცილებით უფრო ძლიერი არიან ეკონომიურადაც, პოლიტიკურადაც, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მომზადების მხრივაც. მაგრამ რა უყონ კაპიტალისტური ქვეყნების მუშებს, რომლებიც არავის დაანებებენ მოახდინონ ინტერვენცია სსრ კავშირის წინააღმდეგ, რომლებიც იბრძოლებენ ინტერვენციის წინააღმდეგ და რომლებმაც, თუ რამე მოხდა, შეიძლება ზურგში დაარტყან კაპიტალის-

ტებს? ხომ არ ემსახურებიან სსრ კავშირთან ბავშვური ურთიერთობის გაძლიერების გზაზე დადგომა, რის წინააღმდეგი არც ბოლშევიკები არიან?

აქედან წარმოსდგება სსრ კავშირთან მშვიდობიანი ურთიერთობის განგრძობის ტენდენცია.

ამრიგად, ჩვენს წინაშეა ორი წყება ფაქტორები და ორი სხვადასხვა ტენდენცია, რომლებიც მოქმედებენ ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით:

1. კაპიტალისტურ ქვეყნებთან სსრ კავშირის ეკონომიური ურთიერთობისათვის ძირის გამოთხრის პოლიტიკა, პროვოკაციული გამოლაშქრებანი სსრ კავშირის წინააღმდეგ, აშკარა და ფარული მუშაობა სსრ კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციის მოსამზადებლად. ესაა ის ფაქტორები, რომლებიც ემუქრებიან სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას. ამ ფაქტორების მოქმედებით აიხსნება ისეთი ფაქტები, როგორიცაა ინგლისის კონსერვატიული კაბინეტის მიერ სსრ კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტა, ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინიგზის ხელში ჩაგდება ჩინელი მილიტარისტების მიერ, სსრ კავშირის საფინანსო ბლოკადა, პაპის მეთაურობით კლერიკალების «ლაშქრობა» სსრ კავშირის წინააღმდეგ, ჩვენი სპეციების მავნებლობის მოწყობა უცხო სახელმწიფოთა აგენტების მიერ, აფეთქებათა და ცეცხლწაკიდებათა მოწყობა, როგორც ეს ჩაიდინა, მაგალითად, «ლენა-გოლდფილდსის» [49] ზოგიერთმა მოსამსახურემ, თავდასხმები სსრ კავშირის წარმომადგენლებზე (პოლონეთი), შარის მოდება ჩვენი ექსპორტისათვის (ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები, პოლონეთი) და სხვ.

2. თანაგრძნობა სსრ კავშირისადმი და მისთვის მხარის დაჭერა კაპიტალისტური ქვეყნების მუშების მიერ, სსრ კავშირის ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების ზრდა, სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობის ზრდა, მშვიდობის

პოლიტიკა, რასაც განუხრელად ახორციელებს საბჭოთა ხელისუფლება. ესაა ის ფაქტორები, რომლებიც განამტკიცებენ სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას. ამ ფაქტორების მოქმედებით აიხსნება ისეთი ფაქტები, როგორიცაა ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინიგზაზე კონფლიქტის წარმატებით ლიკვიდაცია, დიდ ბრიტანეთთან ურთიერთობის აღდგენა, კაპიტალისტურ ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთობის ზრდა და სხვ.

ამ ფაქტორების ბრძოლით განისაზღვრება სსრ კავშირის საგარეო მდგომარეობა.

ბ) ამბობენ, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან სსრ კავშირის ეკონომიური ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს ვალების საკითხი. მე ვფიქრობ, რომ ეს არ არის საბუთი ვალების გადახდის სასარგებლოდ, არამედ ინტერვენციონისტული პროპაგანდის საბაბია აგრესიული ელემენტების ხელში. ჩვენი პოლიტიკა ამ დარგში ნათელი და საკსებით დასაბუთებულია. იმ პირობით, თუ კრედიტებს მოგვცემენ, ჩვენ თანახმა ვართ გადავიხადოთ ომამდელი ვალების მცირე ნაწილი, რასაც კრედიტების დამატებით პროცენტად ჩავთვლით. უამპირობოდ ჩვენ არ გადავიხდით და არც უნდა გადავიხადოთ. ჩვენგან მეტს მოითხოვენ? რა საფუძვლით? განა ცნობილი არ არის, რომ ეს ვალები აღებული იყო მეფის მთავრობის მიერ, რომელიც დაამხო რევოლუციამ და რომლის ვალდებულებათათვის საბჭოთა მთავრობა პასუხისმგებლობას ვერ იკისრებს? ლაპარაკობენ საერთაშორისო სამართალზე, საერთაშორისო ვალდებულებებზე. მაგრამ რა საერთაშორისო სამართლის საფუძვლით ჩამოაჭრეს ბატონმა «მოკავშირეებმა» სსრ კავშირს ბესარაბია და გადასცეს იგი დასამონებლად რუმინელ ბოიარებს? რა საერთაშორისო ვალდებულებათა ძალით დაესხნენ თავს საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის, იაპონიის კაპიტალის-

ტები და მთავრობები სსრ კავშირს, მოაწყეს ინტერვენცია მის წინააღმდეგ, მთელი სამი წლის განმავლობაში ძარცვავდნენ მას და აჩანაგებდნენ მის მოსახლეობას? თუ ამას საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ვალდებულება ეწოდება, მაშ ძარცვა რაღას ეწოდება? (სიცილი. ტაში). განა ცხადი არ არის, რომ მძარცველობის ამ აქტების დაშვებით ბატონმა «მოკავშირეებმა» თავს უფლება მოუსპეს დაიმოწმონ საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო ვალდებულებანი?

შემდეგ, ამბობენ, რომ «ნორმალური» ურთიერთობის მოგვარებას ხელს უშლის რუსი ბოლშევიკების პროპაგანდა. პროპაგანდის მავნე მოქმედების თავიდან აცილების მიზნით ბატონი ბურჟუები ხშირად აგებენ თავის გარშემო «კორდონებს», «მავთულის ხლართებს», ხოლო ამ «ზღუდეების» დაცვის პატივს მოწყალედ უთმობენ პოლონეთს, რუმინეთს, ფინეთს და სხვ.. ამბობენ, გერმანია შურით ივსება იმის გამო, რომ თითქოს არ სურთ მიანდონ მას «კორდონებისა» და «მავთულის ხლართების» დაცვა. განა მტკიცება ესაჭიროება იმას, რომ ლაყბობა პროპაგანდის შესახებ საბუთი არ არის «ნორმალური ურთიერთობის» დამყარების წინააღმდეგ, არამედ საბაბია ინტერვენციონისტული პროპაგანდისათვის? როგორ შეუძლიათ იმ ადამიანებს, რომელთაც არ სურთ სასაცილო გახდნენ, «ზღუდე აშენონ» ბოლშევიზმის იდეებისაგან თავდასაცავად, თუ თვით ქვეყანაში არსებობს ამ იდეებისათვის ხელსაყრელი ნიადაგი? თავის დროზე ცარიზმიც «აშენებდა ზღუდეებს» ბოლშევიზმისაგან თავდასაცავად, მაგრამ, როგორც ცნობილია, ვერ «შემოიზღუდა» თავი. ვერ შემოიზღუდა, ვინაიდან ბოლშევიზმი ყველგან იზრდება და ვითარდება არა გარედან, არამედ შიგნიდან. თითქოს არ მოიპოვება რუსი ბოლშევიკებისაგან უფრო «შემოზღუდული» ქვეყნები, ვიდრე ჩინეთი, ინდოეთი, ინდო-ჩინეთი. მერე

რას ვხედავთ? ბოლშევიზმი იქ იზრდება და გაიზრდება, მიუხედავად ყოველგვარი «კორდონებისა», ვინაიდან იქ, როგორც ჩანს, ბოლშევიზმისათვის ხელსაყრელი პირობებია. რა შუაშია აქ რუსი ბოლშევიკების პროპაგანდა? აი ბატონ კაპიტალისტებს რომ შესძლებოდათ როგორმე «შემოზღუდულიყვნენ» ეკონომიური კრიზისისაგან, მასების სიღატაკისაგან, უმუშევრობისაგან, დაბალი ხელფასისაგან და მშრომელთა ექსპლოატაციისაგან, — მაშინ სხვაა, მაშინ მათს ქვეყნებში ბოლშევიკური მოძრაობაც არ იქნებოდა. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ყოველი არამზადა ცდილობს რუს ბოლშევიკთა პროპაგანდის მომიზეზებით გაამართლოს თავისი სისუსტე ან თავისი უუნარობა.

შემდეგ, ამბობენ, რომ დაბრკოლებას წარმოადგენს ჩვენი საბჭოთა წყობილება, კოლექტივიზაცია, კულაკობასთან ბრძოლა, ანტირელიგიური პროპაგანდა, ბრძოლა «სწავლულ ადამიანთა» წრიდან გამოსულ მავნებლებთან და კონტრრევოლუციონერებთან, ბესედოვსკების, სოლომონების, დმიტრიევსკების და კაპიტალის სხვა ლაქიების განდევნა. მაგრამ ეს ხომ მთლად სასაცილოა. მათ თურმე არ მოსწონთ საბჭოთა წყობილება. მაგრამ არც ჩვენ მოგვწონს კაპიტალისტური წყობილება. (ს ი ც ი ლ ი. ტ ა შ ი). არ მოგვწონს, რომ მათს ქვეყნებში ათეულმილიონობით უმუშევარი იძულებულია შიმშილობდეს და სიღატაკეში ცხოვრობდეს, მაშინ როცა ერთი მუჭა კაპიტალისტები მილიარდიან სიმდიდრეს ფლობენ. მაგრამ რაკი უკვე გადავწყვიტეთ არ ჩავერიოთ სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში, განა ცხადი არ არის, რომ არ ღირს დავუბრუნდეთ ამ საკითხს? კოლექტივიზაცია, კულაკობასთან ბრძოლა, მავნებლებთან ბრძოლა, ანტირელიგიური პროპაგანდა და სხვ. სსრ კავშირის მუშებისა და გლეხების ხელშეუხებელი უფლებაა, რომელიც განმტკიცებულია ჩვენი კონსტიტუციით. სსრ კავშირის კონსტიტუცია ჩვენ

უნდა შევასრულოთ და შევასრულებთ კიდეც მთელი თანმიმდევრობით. მაშასადამე, გასაგებია, რომ ვისაც არ სურს ანგარიში გაუწიოს ჩვენს კონსტიტუციას, შეუძლია მიბრძანდეს საითაც ენებოს. რაც შეეხება ბესედოვსკებს, სოლომონებს, დმიტრიევსკებს და სხვ., ჩვენ კვლავაც გავყრით ასეთ ადამიანებს, როგორც დაწუნებულ საქონელს, რომელიც უსარგებლო და მავნეა რევოლუციისათვის. დაე გამოესარჩლონ მათ ისინი, ვინც განსაკუთრებულ სიმპათიებს გრძნობს ნაგვისადმი. (ს ი ც ი ლ ი). ჩვენი რევოლუციის წისქვილი კარგად ფქვავს. იგი იღებს ყოველივე ვარგისს და აძლევს საბჭოებს, ნაგავს კი გარეთ ყრის. ამბობენ, საფრანგეთში, პარიზის ბურჟუებში, ასეთი დაწუნებული საქონლის დიდი მოთხოვნილებაა. დაგვილოცნია მათთვის, დაე გაიტანონ. მართალია, ეს რამდენადმე დატვირთავს საფრანგეთის სავაჭრო ბალანსის საიმპორტო მუხლებს, რის წინააღმდეგაც ყოველთვის პროტესტს აცხადებენ ბატონი ბურჟუები. მაგრამ ეს უკვე მათი საქმეა. მოდი ნუ ჩავერევით საფრანგეთის საშინაო საქმეებში. (ს ი ც ი ლ ი. ტ ა შ ი).

ასეთია ის «დაბრკოლებანი», რომლებიც ხელს უშლიან სსრ კავშირის «ნორმალური» ურთიერთობის დამყარებას სხვა ქვეყნებთან.

გამოდის, რომ ეს «დაბრკოლებანი» მოჩვენებითი «დაბრკოლებებია», რომლებსაც იმისათვის მიმართეს, რომ ანტისაბჭოთა პროპაგანდის საბაბი მიეღოთ.

ჩვენი პოლიტიკა მშვიდობისა და ყველა ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერების პოლიტიკაა. ამ პოლიტიკის შედეგს წარმოადგენს მთელ რიგ ქვეყნებთან ურთიერთობის გაუმჯობესება და მთელ რიგ ხელშეკრულებათა დადება ვაჭრობის, ტექნიკური დახმარების და სხვ. შესახებ. მისივე შედეგია ის, რომ სსრ კავშირი შეუერთდა კელოგის პაქტს, კელოგის პაქტის ხაზით ხელი მოაწერა

ცნობილ ოქმს პოლონეთთან, რუმინეთთან, ლიტვასთან და სხვ., ხელი მოაწერა ოქმს თურქეთთან მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ. დასასრულ, ამ პოლიტიკის შედეგია ის ფაქტი, რომ ჩვენ შევძელით დაგვეცვა მშვიდობა, საშუალება არ მივეცით მტრებს ჩაეთრიეთ კონფლიქტებში, ომის გამჩაღებელთა მთელი რიგი პროვოკაციული აქტებისა და ავანტიურისტულ გამოლაშქრებათა მიუხედავად. მშვიდობის ამ პოლიტიკას ჩვენ კვლავაც ვაწარმოებთ მთელი ძალღონით, ყველა საშუალებით. არც ერთი მტკაველი სხვისი მიწა არ გვინდა. მაგრამ არც ჩვენს მიწას, არც ერთ გოჯ ჩვენს მიწას არავის დავანებებთ. (ტ ა შ ი).

ასეთია ჩვენი საგარეო პოლიტიკა.

ამოცანა ის არის, რომ ეს პოლიტიკა კვლავაც განვახორციელოთ ბოლშევიკების დამახასიათებელი მთელი სიმტკიცით.

II

სოციალისტური მშენებლობის მზარდი აღმავლობა და სსრ კავშირის საშინაო მდგომარეობა

გადავიდეთ სსრ კავშირის საშინაო მდგომარეობაზე.

წინააღმდეგ კაპიტალისტური ქვეყნებისა, სადაც ახლა გამეფებულია ეკონომიური **კრიზისი** და **მზარდი უმუშევრობა**, ჩვენი ქვეყნის საშინაო მდგომარეობა წარმოადგენს სახალხო მეურნეობის **მზარდი აღმავლობისა** და უმუშევრობის **პროგრესიული შემცირების** სურათს. გაიზარდა მსხვილი მრეწველობა და დააჩქარა თავისი განვითარების ტემპები. განმტკიცდა მძიმე მრეწველობა. მრეწველობის სოციალისტურმა სექტორმა დიდად წაიწია წინ. გაიზარდა ახალი ძალა სოფლის მეურნეობაში — საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები. თუ ორიოდე წლის წინათ

მარცვლეულის წარმოების კრიზისი გვქონდა და პურის დამზადების საქმეში უმთავრესად ინდივიდუალურ მეურნეობას ვეყრდნობოდით, ახლა სიმძიმის ცენტრი გადავიდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ხოლო მარცვლეულის კრიზისი ძირითადად დაძლეულად შეიძლება ჩაითვალოს. გლეხობის ძირითადმა მასებმა საბოლოოდ იბრუნეს პირი კოლმეურნეობებისაკენ. კულაკობის წინააღმდეგობა მოგერიებულია. სსრ კავშირის საშინაო მდგომარეობა კიდევ უფრო განმტკიცდა.

ასეთია სსრ კავშირის საშინაო მდგომარეობის საერთო სურათი ამჟამად.

განვიხილოთ კონკრეტული მონაცემები.

1. მთლიანად სახალხო მეურნეობის ზრდა

ა) თუ 1926/27 წელს, ე. ი. პარტიის XV ყრილობისათვის, **მთელ სოფლის მეურნეობაში,** სატყეო მეურნეობის, თევზჭერის და სხვ. ჩათვლით, ომამდელ მანეთობით გვქონდა 12 370 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია, ე. ი. ომამდელი დონის 106,6%, შემდეგ წელს, ე. ი. 1927/28 წელს, ჩვენ გვქონდა 107,2%, 1928/29 წელს — 109,1%, ხოლო მიმდინარე 1929/30 წელს, სოფლის მეურნეობის განვითარების მსვლელობის მიხედვით, ომამდელი დონის სულ მცირე 113 — 114% გვექნება.

აშკარაა მთელი სოფლის მეურნეობის პროდუქციის განუხრელი, თუმცა შედარებით ნელი, ზრდა.

თუ 1926/27 წელს, ე. ი. პარტიის XIV ყრილობისათვის, **მთელ მრეწველობაში,** როგორც წვრილ, ისე მსხვილ მრეწველობაში, საფქვავი მრეწველობის ჩათვლით, ომამდელ მანეთობით გვქონდა 8 641 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია, ე. ი. ომამდელი დონის 102, 5%, შემდეგ წელს, ე. ი. 1927/28 წელს, გვქონდა 122%, 1928/29 წელს — 142, 5%, ხოლო მიმდინარე 1929/30 წელს, მრეწველობის

განვითარების მსვლელობის მიხედვით, ომამდელი დონის სულ მცირე 180% გვექნება.

აშკარაა მთლიანად მრეწველობის უმაგალითო სწრაფი ზრდა.

ბ) თუ 1926/27 წელს, ე. ი. პარტიის XV ყრილობისათვის, **ტვირთბრუნვა** მთელ ჩვენს **სარკინიგზო ქსელში** შეადგენდა 81,7 მილიარდ ტონა-კილომეტრს, ე. ი. ომამდელი დონის 127%-ს, შემდეგ წელს, ე. ი. 1927/28 წელს, გვქონდა 134,2%, 1928/29 წელს — 162,4%, ხოლო მიმდინარე 1929/30 წელს, ყველა მონაცემის მიხედვით, გვექნება ომამდელი დონის სულ მცირე 193%. რაც შეეხება ახალ სარკინიგზო მშენებლობას, საანგარიშო პერიოდში, ე. ი. 1927/28 წლიდან დაწყებული, რკინიგზის ქსელი 76 ათასი კილომეტრიდან დიდდება 80 ათას კილომეტრამდე, რაც ომამდელი დონის 136,7%-ს შეადგენს.

გ) თუ **სავაჭრო-საშუამავლო ბრუნვის** მდგომარეობას ჩვენს ქვეყანაში 1926/27 წელს მივიღებთ 100-ად (31 მილიარდი მანეთი), გამოდის, რომ 1927/28 წელს ბრუნვის ოდენობა გაიზარდა 124,6%-მდე, 1928/29 წელს — 160,4%-მდე, ხოლო მიმდინარე 1929/30 წელს, ყველა მონაცემის მიხედვით, ბრუნვის ოდენობა 202%-ს მიაღწევს, ე. ი. გაორკეცდება 1926/27 წელთან შედარებით.

დ) თუ ყველა ჩვენი **საკრედიტო დაწესებულების ნაკრებ ბალანსებს** 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის მივიღებთ 100-ად (9 173 მილიონი მან.), გამოდის, რომ 1928 წლის 1 ოქტომბრისათვის ჩვენ გვქონდა ზრდა 141%-მდე, ხოლო 1929 წლის 1 ოქტომბრისათვის — 201,1%-მდე, ე. ი. გაორკეცება 1927 წელთან შედარებით.

ე) თუ 1926/27 წლის **ნაკრებ სახელმწიფო ბიუჯეტს** მივიღებთ 100-ად (6 371 მილიონი მან.), გამოდის, რომ 1927/28 წელს ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი გაიზარდა 125, 5%-მდე, 1928/29 წელს — 146, 7%-მდე, ხოლო

1929/30 წელს — 204, 4%-მდე, ე. ი. გაორკეცდა 1926/27 წლის ბიუჯეტთან შედარებით (12 605 მილიონი მან.).

ვ) თუ ჩვენი **საგარეო ვაჭრობის ბრუნვა** (ექსპორტი და იმპორტი) 1926/27 წელს ომამდელი დონის 47, 9%-ს შეადგენდა, 1927/28 წელს ჩვენ გვქონდა საგარეო ვაჭრობის ბოუხვის ზრდა 56,8%-მდე, 1928/29 წელს — 67,9%-მდე, ხოლო 1929/30 წელს, ყველა მონაცემის მიხედვით, ომამდელი დონის სულ მცირე 80% გვექნება.

ზ) შედეგად ჩვენ გვაქვს საანგარიშო პერიოდში მთელი **სახალხო შემოსავლის** ზრდის ასეთი სურათი (1926/27 წლის უცვლელ ფასებში): 1926/27 წელს სახალხო შემოსავალი, სახელმწიფო საგეგმო კომისიის მონაცემებით, შეადგენდა 23 127 მილიონ მანეთს; 1927/28 წელს — 25 396 მილიონ მანეთს, — მატებაა 9, 8%; 1928/29 წელს — 28 596 მილიონ მანეთს, — მატებაა 12,6%; 1929/30 წელს, ყველა მონაცემის მიხედვით, სახალხო შემოსავალი **სულ** მცირე 34 მილიარდი მანეთი იქნება, რაც ნიშნავს ერთი წლის განმავლობაში 20% მატებას. მაშასადამე, საშუალო წლიური მატება საანგარიშო 3 წლის განმავლობაში 15%-ზე მეტს შეადგენს.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სახალხო შემოსავლის წლიური საშუალო მატება ისეთ ქვეყნებში, როგორიც არიან ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, გერმანია, შეადგენს სულ ბევრი 3 — 8%-ს, უნდა ვალიაროთ, რომ სსრ კავშირში სახალხო შემოსავლის ზრდის ტემპი ჭეშმარიტად **სარეკორდოა.**

2. ინდუსტრიალიზაციის წარმატებანი

სახალხო მეურნეობის ზრდა ჩვენში მიმდინარეობს არა სტიქიურად, არამედ გარკვეული მიმართულებით, სახელდობრ — ინდუსტრიალიზაციის მიმართულებით, ინდუსტ-

რიალიზაციის ნიშნით, სახალხო მეურნეობის საერთო სისტემაში ინდუსტრიის ხვედრითი წონის ზრდის ნიშნით, ჩვენი ქვეყნის აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიულ ქვეყნად გადაქცევის ნიშნით.

ა) მთლიანად მრეწველობისა და მთლიანად სოფლის მეურნეობის თანაფარდობის დინამიკა მთელი სახალხო მეურნეობის **საერთო** პროდუქციაში მრეწველობის ხვედრითი წონის თვალსაზრისით საანგარიშო პერიოდში შემდეგი სახით გვეხატება: ომამდე მრეწველობის წილი სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში შეადგენდა 42,1%-ს, სოფლის მეურნეობის წილი — 57,9%-ს; 1927/28 წელს მრეწველობის წილი — 45,2%-ს, სოფლის მეურნეობისა — 54, 8%-ს; 1928/29 წელს მრეწველობის წილი — 48, 7%-ს, სოფლის მეურნეობისა — 51,3%-ს; 1929/30 წელს მრეწველობის წილი, ყველა მონაცემის მიხედვით, სულ მცირე 53% უნდა იქნეს, ხოლო სოფლის მეურნეობის წილი — ერა უმეტეს 47%-ისა.

ეს იმას ნიშნავს, რომ მრეწველობის ხვედრითი წონა უკვე აჭარბებს სოფლის მეურნეობის ხვედრით წონას სახალხო მეურნეობის საერთო სისტემაში, და ჩვენ აგრარული ქვეყნიდან **ინდუსტრიულ** ქვეყნად გადაქცევის წინ ვიმყოფებით. (ტ ა შ ი).

ბ) მრეწველობის სასარგებლოდ კიდევ უფრო მკვეთრი უპირატესობა გამოდის სახალხო მეურნეობის **სასაქონლო** პროდუქციაში მისი ხვედრითი წონის თვალსაზრისით. თუ 1926/27 წელს მრეწველობის სასაქონლო პროდუქციის წილი სახალხო მეურნეობის სასაქონლო წარმოების საერთო ბალანსში 68, 8%-ს შეადგენდა, ხოლო სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის წილი — 31, 2%-ს, 1927/28 წელს მრეწველობაზე მოდიოდა 71, 2%, სოფლის მეურნეობაზე — 28,8%; 1928/29 წელს მრეწველობაზე — 72, 4%, სოფლის მეურნეობაზე — 27,6%; ხოლო 1929/30

წელს, ყველა მონაცემის მიხედვით, მრეწველობისათვის გვექნება 76%, სოფლის მეურნეობისათვის კი — 24%.

სოფლის მეურნეობის ამ განსაკუთრებით არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩანს, სხვათა შორის, სოფლის მეურნეობის წვრილგლეხური და ნაკლებსასაქონლო ხასიათი. ამასთან გასაგებია, რომ ეს მდგომარეობა რამდენადმე უნდა შეიცვალოს, რაც უფრო გამსხვილდება სოფლის მეურნეობა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხაზით, რაც უფრო გადიდდება მისი საქონლიანობა.

გ) მაგრამ საერთოდ მრეწველობის განვითარება კიდევ არ იძლევა ინდუსტრიალიზაციის ტემპის სრულ სურათს. სრული სურათის მისაღებად საჭიროა გამოირკვეს კიდევ მძიმე და მსუბუქი მრეწველობის თანაფარდობის დინამიკა. ამიტომ ინდუსტრიალიზაციის ზრდის ყველაზე მკაფიო მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს განუწყვეტელი ზრდა **წარმოების იარაღთა და საშუალებათა** წარმოების (მძიმე მრეწველობა) ხვედრითი წონისა მრეწველობის საერთო პროდუქციაში. თუ 1927/28 წელს წარმოების იარაღთა და საშუალებათა წარმოების წილი მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციაში 27,2%-ს შეადგენდა, ხოლო ფართო მოხმარების საგნების წარმოების წილი — 72,8%-ს, 1928/29 წელს წარმოების იარაღთა და საშუალებათა წარმოების წილი გვაძლევს 28,7%-ს წინააღმდეგ ფართო მოხმარების საგნების 71,3%-ისა, ხოლო 1929/30 წელს წარმოების იარაღთა და საშუალებათა წარმოების წილი, ყველა მონაცემის მიხედვით, უკვე 32,7% იქნება, ფართო მოხმარების საგნებისა კი 67,3%.

ხოლო თუ ავიღებთ არა მთელ მრეწველობას, არამედ მხოლოდ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ დაგეგმილს, რომელიც ინდუსტრიის ყველა ძირითად დარგს მოიცავს, აქ წარმოების იარაღთა და საშუალებათა წარმოებისა და ფართო მოხმარების საგნების წარმოების თანაფარ-

დობა კიდევ უფრო ხელსაყრელ სურათს იძლევა, სახელდობრ: 1927/28 წელს წარმოების იარაღთა და საშუალებათა წარმოების წილი შეადგენდა 42,7%-ს წინააღმდეგ 57,3%-ისა; 1928/29 წელს — 44,6%-ს წინააღმდეგ 55,4%-ისა, ხოლო 1929/30 წელს, ყველა მონაცემის მიხედვით, სულ მცირე 48% იქნება წინაალმდეგ 52%-ისა, რაც ფართო მოხმარების საგნების წარმოებაზე მოდის.

ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება მიმდინარეობს ინდუსტრიალიზაციის ნიშნით, ჩვენი საკუთარი მძიმე მრეწველობის განმტკიცებისა და განვითარების ნიშნით.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე ავამაღლეთ ჩვენი ეკონომიური დამოუკიდებლობის საფუძველი, ჩვენი მძიმე ინდუსტრია, და შემდგომ ვავითარებთ მას.

8. სოციალისტური მრეწველობის მბრძანებელი მდგომარეობა და მისი ზრდის ტემპი

ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება ინდუსტრიალიზაციის ნიშნით მიმდინარეობს. მაგრამ ჩვენ ყოველგვარი ინდუსტრიალიზაცია როდი გვესაჭიროება. ჩვენ გვესაჭიროება ისეთი ინდუსტრიალიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს **მრეწველობის სოციალისტური ფორმების** მზარდ უპირატესობას წვრილსასაქონლო და მით უმეტეს **კაპიტალისტური** ფორმების წინაშე. ჩვენი ინდუსტრიალიზაციის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ იგი არის **სოციალისტური** ინდუსტრიალიზაცია, ისეთი ინდუსტრიალიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს მრეწველობის **განსაზოგადოებული** სექტორის გამარჯვებას **კერძოსამეურნეო** სექტორზე, წვრილსასაქონლო და კაპიტალისტურ სექტორზე.

აი ზოგიერთი მონაცემი კაპიტალურ დაბანდებათა და საერთო პროდუქციის ზრდის შესახებ სექტორების მიხედვით.

ა) თუ ავიღებთ მრეწველობაში **კაპიტალურ დაბანდებათა** ზრდას სექტორების მიხედვით, მივიღებთ შემდეგ სურათს. **განსაზოგადოებული სექტორი:** 1926/27 წელს — 1 270 მილიონი მან.; 1927/28 წელს — 1 614 მილიონი მან.; 1928/29 წელს — 2 046 მილიონი მან.; 1929/30 წელს — 4 275 მილიონი მანეთი. **კერძოსამეურნეო და კაპიტალისტური სექტორი:** 1926/27 წელს — 63 მილიონი მან.; 1927/28 წელს — 64 მილიონი მან.; 1928/29 წელს — 56 მილიონი მან.; 1929/30 წელს — 51 მილიონი მანეთი.

ეს ნიშნავს, ჯერ-ერთი, იმას, რომ კაპიტალური დაბანდებანი მრეწველობის განსაზოგადოებულ სექტორში ამ ხნის მანძილზე **გაიზარდა ერთისამად** და უფრო მეტად (335%).

მეორეც, ეს ნიშნავს იმას, რომ კერძოსამეურნეო და კაპიტალისტური სექტორის კაპიტალური დაბანდებანი **ამ ხნის** განმავლობაში **შემცირდა ერთი მეხუთედით** (81%).

კერძოსამეურნეო და კაპიტალისტური სექტორი ძველი კაპიტალის ხარჯზე ცხოვრობს და დაღუპვისაკენ მიდის.

ბ) თუ ავიღებთ მრეწველობის **საერთო პროდუქციის** ზრდას სექტორების მიხედვით, მივიღებთ შემდეგ სურათს. **განსაზოგადოებული სექტორი:** 1926/27 წელს — 11 999 მილიონი მან.; 1927/28 წელს — 15 389 მილიონი მან.; 1928/29 წელს — 18 903 მილიონი მან.; 1929/30 წელს — 24 740 მილიონი მანეთი. **კერძოსამეურნეო და კაპიტალისტური სექტორი:** 1926/27 წელს — 4 043 მილიონი მან.; 1927/28 წელს — 3 704 მილიონი მან.; 1928/29 წელს — 3 389 მილიონი მან.; 1929/30 წელს—3 310 მილიონი მანეთი.

ეს ნიშნავს, ჯერ-ერთი, იმას, რომ საერთო პროდუქცია მრეწველობის განსაზოგადოებულ სექტორში ამ სამი წლის მანძილზე **გაიზარდა ერთიორად** და უფრო მეტად (206, 2%).

მეორეც, ეს ნიშნავს იმას, რომ მრეწველობის საერთო პროდუქცია კერძოსამეურნეო და კაპიტალისტურ

სექტორში იმავე პერიოდში **შემცირდა** თითქმის **ერთი მეხუთედით** (81, 9%).

ხოლო თუ ავიღებთ არა მთელი მრეწველობის, არამედ მარტო **მსხვილი** (ცენზიანი) მრეწველობის პროდუქციას და განვიხილავთ მას სექტორების მიხედვით, მივიღებთ განსაზოგადოებული და კერძოსამეურნეო სექტორების თანაფარდობის შემდეგ სურათს. განსაზოგადოებული სექტორის ხვედრითი წონა ჩვენი ქვეყნის მსხვილი მრეწველობის პროდუქციაში: 1926/27 წელს — 97, 7%; 1927/28 წელს — 98, 6%; 1928/29 წელს—99, 1%; 1929/30 წელს — 99,3%. კერძოსამეურნეო სექტორის ხვედრითი წონა ჩვენი ქვეყნის მსხვილი მრეწველობის პროდუქციაში: 1926/27 წელს — 2, 3%; 1927/28 წელს — 1, 4%; 1928/29 წელს — 0,9%; 1929/30 წელს — 0, 7%.

როგორც ხედავთ, კაპიტალისტური ელემენტები მსხვილ მრეწველობაში უკვე ისპობიან.

ცხადია, საკითხი «ვინ ვის», ის საკითხი, სოციალიზმი გაიმარჯვებს კაპიტალისტურ ელემენტებზე მრეწველობაში თუ ისინი გაიმარჯვებენ სოციალიზმზე, — უკვე გადაწყვეტილია მრეწველობის სოციალისტური ფორმების სასარგებლოდ. გადაწყვეტილია საბოლოოდ და სამუდამოდ. (ტ ა შ ი).

გ) განსაკუთრებით საინტერესოა მონაცემები საანგარიშო პერიოდში სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ დაგეგმილი **სახელმწიფო** მრეწველობის **განვითარების ტემპის** შესახებ. თუ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ დაგეგმილი სოციალისტური მრეწველობის 1926/27 წლის საერთო პროდუქციას მივიღებთ 100-ად, გამოდის, რომ 1927/28 წელს ამ მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზარდა 127,4%-მდე, 1928/29 წელს — 158, 6%-მდე, ხოლო 1929/30 წელს იზრდება 209,8%-მდე.

ეს იმას ნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ დაგეგმილმა სოციალისტურმა მრეწველობამ, რომელიც მოიცავს მრეწველობის ყველა ძირითად დარგს და მთელ მძიმე მრეწველობას, სამი წლის განმავლობაში მიაღწია გადიდებას **ერთიორად და უფრო მეტად.**

არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ მსოფლიოს არც ერთმა ქვეყანამ არ იცის მსხვილი მრეწველობის განვითარების ასეთი გამალებული ტემპები.

სწორედ ეს გარემოება გვაძლევს საფუძველს ვილაპარაკოთ ხუთწლედზე ოთხ წელიწადში.

დ) ზოგიერთი ამხანაგი სკეპტიკურად უყურებს ლოზუნგს **«ხუთწლედი ოთხ წელიწადში».** სულ ცოტა ხნის წინათ ამხანაგების ერთ ნაწილს ფანტასტიკად მიაჩნდა ჩვენი ხუთწლედი, რომელიც დაამტკიცა საბჭოების V ყრილობამ [44]. აღარას ვამბობ ბურჟუაზიულ მწერლებზე, რომლებსაც მარტო სიტყვა «ხუთწლედის» გაგონებისას თმა ყალყზე უდგებათ. ხოლო რა გვაქვს სინამდვილეში, თუ ხუთწლედს განვიხილავთ პირველი ორი წლის განმავლობაში მისი განხორციელების თვალსაზრისით? რას გვეუბნება ხუთწლედის ოპტიმალური ვარიანტის შესრულების შემოწმება? ეს შემოწმება გვეუბნება არა მარტო იმას, რომ ჩვენ შეგვიძლია შევასრულოთ ხუთწლედი ოთხ წელიწადში. ეს შემოწმება გვეუბნება იმასაც, რომ ჩვენ შეგვიძლია მრეწველობის მთელ რიგ დარგებში ხუთწლედი შევასრულოთ სამ წელიწადში და ორწელიწადნახევარშიც კი. ოპორტუნისტული ბანაკის სკეპტიკოსებს ეს შეიძლება დაუჯერებლად ეჩვენოთ. მაგრამ ეს ფაქტია, რომლის უარყოფა სულელური და სასაცილო იქნებოდა.

თვითონ განსაჯეთ.

ხუთწლედის მიხედვით **ნავთის მრეწველობას** 1932/33 წელს 977 მილიონი მანეთის პროდუქტები უნდა მოეცა. ნამდვილად კი იგი უკვე 1929/30 წელს იძლევა 809 მილი-

ონი მანეთის პროდუქციას, ე. ი. ხუთწლედით 1932/33 წლისათვის ნავარაუდევი პროდუქციის 83%-ს. მაშასადამე, ხუთწლიან გეგმას ნავთის მრეწველობის ხაზით ჩვენ სულ რაღაც 2½ წელიწადში ვასრულებთ.

ტორფის მრეწველობაში ხუთწლედის მიხედვით 1932/33 წელს უნდა მიგვეღო 122 მილიონი მანეთის პროდუქტები. ნამდვილად კი იგი უკვე 1929/30 წელს იძლევა 115 მილიონი მანეთისა და მეტ პროდუქტებს, ე. ი. ხუთწლედით 1932/33 წლისათვის ნავარაუდევი პროდუქციის 96%-ს. მაშასადამე, ხუთწლიან გეგმას ტორფის მრეწველობის ხაზით ჩვენ ვასრულებთ 2½ წელიწადში, თუ უფრო ადრე არა.

ხუთწლედის მიხედვით **საერთო მანქანათმშენებლობამ** 1932/33 წელს 2 058 მილიონი მანეთის პროდუქცია უნდა მოგვცეს. ნამდვილად კი იგი უკვე 1929/30 წელს გვაძლევს 1 458 მილიონი მანეთის პროდუქტებს, ე. ი. ხუთწლედით 1932/33 წლისათვის ნავარაუდევი პროდუქციის 70%-ს. მაშასადამე, საერთო მანქანათმშენებლობის ხაზით ხუთწლიან გეგმას 2½ — 3 წელიწადში ვასრულებთ.

ხუთწლედის მიხედვით **სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობამ** 1932/33 წელს 610 მილიონი მანეთის პროდუქცია უნდა მოგვცეს. ნამდვილად კი იგი უკვე 1929/30 წელს გვაძლევს 400 მილიონი მანეთის პროდუქტებს, ე. ი. ხუთწლედით 1932/33 წლისათვის ნავარაუდევი პროდუქციის 60%-ზე მეტს. მაშასადამე, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ხაზით ხუთწლიან გეგმას ვასრულებთ 3 წელიწადში, თუ უფრო ადრე არა.

ხუთწლედის მიხედვით **ელექტროტექნიკურმა მრეწველობამ** 1932/33 წელს 896 მილიონი მანეთის პროდუქცია უნდა მოგვცეს. ნამდვილად კი იგი უკვე 1929/30 წელს იძლევა 503 მილიონი მანეთის პროდუქციას, ე. ი. ხუთწლედით 1932/33 წლისათვის ნავარაუდევი პროდუქციის

56%-ზე მეტს. მაშასადამე, ელექტროტექნიკური მრეწველობის ხაზით ხუთწლიან გეგმას 3 წელიწადში ვასრულებთ.

ასეთია ჩვენი სოციალისტური მრეწველობის განვითარების უმაგალითო ტემპები.

ჩვენ აჩქარებული ტემპით მივდივართ წინ და ტექნიკურ-ეკონომიურად ვეწევით მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს.

ე) რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე დავეწიეთ მათ წარმოების ოდენობის მხრივ, რომ ჩვენმა მრეწველობამ უკვე მიაღწია მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობის განვითარების **დონეს**. არა, სრულიადაც არ ნიშნავს. არ შეიძლება მრეწველობის განვითარების ტემპისა და მრეწველობის განვითარების **დონის** ერთიმეორეში არევა. ჩვენში ბევრი ურევს მათ ერთიმეორეში, რადგან ჰგონიათ, რომ რაკი მივაღწიეთ მრეწველობის განვითარების უმაგალითო ტემპებს, ამით ჩვენ უკვე მივაღწიეთ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობის განვითარების დონეს. მაგრამ ეს სრულებით არ არის სწორი.

ავიღოთ, მაგალითად, ელექტროენერგიის წარმოება, სადაც ძალიან სწრაფი ტემპები გვაქვს. ჩვენ შევძელით ელექტროენერგიის წარმოება 1924 წლიდან 1929 წლამდე თითქმის 600%-მდე გაგვედიდებინა, მაშინ როცა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამავე პერიოდში ელექტროენერგიის პროდუქცია გაადიდეს მხოლოდ 181%-მდე, კანადამ — 218%-მდე, გერმანიამ — 241%-მდე, იტალიამ — 222%-მდე. როგორც ხედავთ, აქ პირდაპირ უმაგალითო ტემპი გვაქვს, რომელიც ყველა სხვა სახელმწიფოს ტემპებს აღემატება. მაგრამ თუ ავიღებთ ელექტროენერგიის წარმოების განვითარების დონეს ამ ქვეყნებში, მაგალითად, 1929 წელს, და შევადარებთ მას განვითარების დონეს სსრ კავშირში, მივიღებთ სსრ კავშირისათვის არც

ისე სანუგეშო სურათს. ელექტროენერგიის წარმოების განვითარების უმაგალითო ტემპის მიუხედავად, ელექტროენერგიის პროდუქცია სსრ კავშირში 1929 წელს შეადგენდა მხოლოდ 6 465 მილიონ კილოვატსაათს, მაშინ როცა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰქონდათ 126 000 მილიონი კილოვატსაათი, კანადას ჰქონდა 17 628 მილიონი კილოვატსაათი, გერმანიას — 33 000 მილიონი კილოვატსაათი, იტალიას — 10 850 მილიონი კილოვატსაათი.

როგორც ხედავთ, განსხვავება კოლოსალურია.

გამოდის, რომ განვითარების დონის მხრივ ჩვენ ყველა ამ სახელმწიფოზე უკან ვდგავართ.

ან ავიღოთ, მაგალითად, თუჯის წარმოება ჩვენში. თუჯის 1926/27 წლის წარმოებას 100-ად თუ მივიღებთ (2, 9 მილიონი ტონა), სამი წლის განმავლობაში, ე. ი. 1927/28 წლიდან 1929/30 წლამდე, თუჯის წარმოება ჩვენში თითქმის **ერთიორად** იზრდება და 190%-ს (5,5 მილიონ ტონას) აღწევს. როგორც ხედავთ, განვითარების ტემპი საკმაოდ მაღალია. მაგრამ თუ საქმეს შევხედავთ ჩვენში თუჯის წარმოების განვითარების დონის თვალსაზრისით და სსრ კავშირში თუჯის წარმოების ოდენობას შევადარებთ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების წარმოების ოდენობას, საკმაოდ არასანუგეშო სურათს მივიღებთ. დავიწყოთ იმით, რომ თუჯის წარმოების ომამდელ დონეს ჩვენ ვაღწევთ და გადავაჭარბებთ მხოლოდ მიმდინარე 1929/30 წელს. უკვე მარტო ეს გვაიძულებს მივიდეთ იმ ულმობელ დასკვნამდე, რომ თუ უფრო არ დავაჩქარეთ მეტალურგიის განვითარების ტემპი, შეიძლება საფრთხე შეექმნას მთელი ჩვენი სამრეწველო წარმოების ბედს. რაც შეეხება თუჯის მრეწველობის განვითარების დონეს ჩვენში და დასავლეთში, შემდეგი სურათი გვაქვს: თუჯის წარმოება ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში 1929 წელს უდრიდა

42,3 მილიონ ტონას; გერმანიაში — 13,4 მილიონ ტონას; საფრანგეთში — 10,45 მილიონ ტონას; ინგლისში — 7,7 მილიონ ტონას; სსრ კავშირში კი თუჯის წარმოება 1929/30 წლის დამლევს მიაღწევს მხოლოდ 5,5 მილიონ ტონას.

როგორც ხედავთ, განსხვავება მცირე როდია.

ამრიგად, გამოდის, რომ თუჯის წარმოების განვითარების დონის მხრივ ჩვენ ყველა ამ ქვეყანაზე უკან ვდგავართ.

რას მოწმობს ყოველივე ეს?

იმას, რომ:

1) **არ შეიძლება ერთიმეორეში ავურიოთ** მრეწველობის განვითარების ტემპი და მისი განვითარების დონე;

2) ჩვენი მრეწველობის განვითარების დონის მხრივ ჩვენ საშინლად **ჩამოვრჩით** მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს;

3) ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპის მხოლოდ **შემდგომი დაჩქარება** მოგვცემს შესაძლებლობას ტექნიკურ-ეკონომიურად დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს;

4) ის ადამიანები, რომლებიც ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპის **შენელების** საჭიროებაზე ლაყბობენ, სოციალიზმის მტრები, ჩვენი კლასობრივი მტრების აგენტები არიან. (ტ ა შ ი).

4. სოფლის მეურნეობა და მარცვლეულის პრობლემა

ზემოთ მე ვილაპარაკე მთლიანად სოფლის მეურნეობის მდგომარეობაზე, სატყეო მეურნეობის, თევზჭერის და სხვათა ჩათვლით, და სოფლის მეურნეობა მის ძირითად დარგებად არ დამიყვია. მთლიანად სოფლის მეურნეობიდან თუ გამოვყოფთ მის ძირითად დარგებს, როგორიცაა, მაგალითად, მარცვლეულის მეურნეობა, მეცხოველეობა და ტექნიკური კულტურები, საქმის ვითარება, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და მიწათმოქმედების სა-

ხალხო კომისარიატის მონაცემების მიხედვით, შემდეგნაირად ისახება:

ა) **მარცვლეული** კულტურების 1913 წლის **ნათეს** ფართობებს 100-ად თუ მივიღებთ, მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობების მოძრაობის შემდეგი სურათი გვექნება: 1926/27 წელს — 96, 9%; 1927/28 წელს — 94,7%; 1928/29 წელს — 98, 2%; ხოლო მიმდინარე 1929/30 წელს, ყველა მონაცემის მიხედვით, ნათესი ფართობები ომამდელი დონის 105, 1%-ს მიაღწევს.

ყურადღებას იქცევს ფაქტი მარცვლეულ კულტურათა ნათესი ფართობების შემცირებისა 1927/28 წელს. ეს შემცირება აიხსნება არა მარცვლეულის მეურნეობის დეგრადაციით, როგორც ამაზე ლაყბობდნენ უმეცარნი მემარჯვენე ოპორტუნისტთა ბანაკიდან, არამედ იმით, რომ დაიღუპა შემოდგომის ნათესი 7 700 ათასი ჰექტარის რაოდენობით (სსრ კავშირის შემოდგომის ნათესის 20%).

შემდეგ, მარცვლეული კულტურების 1913 წლის **საერთო** პროდუქციას 100-ად თუ მივიღებთ, შემდეგი სურათი გვექნება: 1927 წელს — 91, 9%; 1928 წელს — 90, 8%; 1929 წელს — 94, 4%; ხოლო 1930 წელს, ყველა მონაცემის მიხედვით, ვიღებთ ომამდელი ნორმის 110%-მდე.

აქ ყურადღებას იქცევს აგრეთვე მარცვლეული კულტურების საერთო პროდუქციის შემცირება 1928 წელს, რაც აიხსნება შემოდგომის ნათესის დაღუპვით უკრაინასა და ჩრდილოეთ კავკასიაში.

რაც შეეხება მარცვლეული კულტურების საერთო პროდუქციის **სასაქონლო** ნაწილს (სოფლისგარეშე ბრუნვა), აქ კიდევ უფრო საგულისხმო სურათი გვაქვს. 1913 წლის მარცვლეული პროდუქციის სასაქონლო ნაწილს 100-ად თუ მივიღებთ, გამოდის, რომ 1927 წელს გვქონდა 37% სასაქონლო პროდუქცია; 1928 წელს — 36, 8%; 1929 წელს — 58%; ხოლო მიმდინარე 1930 წელს, ყველა მონა-

ცემის მიხედვით, გვექნება ომამდელი დონის სულ მცირე 73%.

ამრიგად, გამოდის, რომ მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობებისა და საერთო პროდუქციის მხრივ ჩვენ ვაღწევთ ომამდელ ნორმას და ცოტათი ვაჭარბებთ მას მხოლოდ მიმდინარე 1930 წელს.

შემდეგ, გამოდის, რომ მარცვლეული კულტურების **სასაქონლო** პროდუქციის მხრივ ჯერ კიდევ არ მიგვიღწევია ომამდელი ნორმისათვის და წელსაც ჩამოვრჩებით მას 25-ოდე პროცენტით.

ეს არის საფუძველი ჩვენი სიძნელეებისა პურის დარგში, რაც განსაკუთრებით გამწვავდა 1928 წელს.

ეს არის მარცვლეულის პრობლემის საფუძველიც.

ბ) დაახლოებით ასეთივე სურათი ისახება, მაგრამ უფრო დამაფიქრებელი მაჩვენებლებით, **მეცხოველეობის** დარგში.

ყველა სახის პირუტყვის 1916 წლის სულადობას 100-ად თუ მივიღებთ, წლების მიხედვით შემდეგი სურათი გვექნება. 1927 წელს ცხენი იყო ომამდელი დონის 88, 9%, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი — 114, 3%, ცხვარი და თხა — 119, 3%, ღორი — 111,3%; 1928 წელს ცხენი — 94, 6%, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი — 118,5%, ცხვარი და თხა — 126%, ღორი — 126,1%; 1929 წელს ცხენი — 96,9%, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი — 115,6%, ცხვარი და თხა — 127,8%, ღორი — 103%; 1930 წელს ცხენი — 88,6%, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი — 89,1%, ცხვარი და თხა — 87,1%, ღორი — 60,1% — 1916 წლის ნორმასთან შედარებით.

როგორც ხედავთ, თუ მხედველობაში მივიღებთ უკანასკნელი წლის მონაცემებს, მეცხოველეობის მეურნეობის დაწყებული შემცირების აშკარა ნიშნები გვაქვს.

კიდევ უფრო ნაკლებ სანუგეშო სურათია მეცხოველეობის **სასაქონლო გამოსავლიანობის** თვალსაზრისით, განსაკუთრებით ხორცისა და ქონის ნაწილში. ხორცისა და ქონის ყოველი წლის საერთო პროდუქციას 100-ად თუ მივიღებთ, ხორცისა და ქონის სასაქონლო გამოსავლიანობა შესაბამისად შეადგენს: 1926 წელს — 33,4%-ს, 1927 წელს — 32,9%-ს, 1928 წელს — 30,4%-ს, 1929 წელს — 29,2%-ს.

ამრიგად, მეცხოველეობაში წვრილი და ნაკლებსასაქონლო მეურნეობის უმყარობისა და ეკონომიური არასაიმედობის აშკარა ნიშნები გვაქვს.

გამოდის, რომ მეცხოველეობაში 1916 წლის ნორმის გადაჭარბების ნაცვლად უკანასკნელ წელს ამ ნორმისაგან ჩამორჩენის აშკარა ნიშნები გვაქვს.

ამრიგად, მარცვლეულის პრობლემის შემდეგ, რომელსაც ძირითადად უკვე ვწყვეტთ წარმატებით, ჩვენს წინაშე ისახება ხორცის პრობლემა, რომლის სიმწვავესაც უკვე ახლა ვგრძნობთ და რომელიც გადასაჭრელია.

გ) სხვა სურათს გვაძლევს განვითარება **ტექნიკური** კულტურებისა, რომლებიც იძლევიან ნედლეულს ჩვენი მსუბუქი მრეწველობისათვის. ტექნიკური კულტურების 1913 წლის **ნათეს ფართობს** 100-ად თუ მივიღებთ, **ბამბის** ნათესი ფართობი 1927 წელს შეადგენს ომამდელი დონის 107,1%-ს, 1928 წელს — 131,4%-ს, 1929 წელს — 151,4%-ს, 1930 წელს — 217%-ს; **სელისა** — 1927 წელს ომამდელი დონის 86, 6%-ს, 1928 წელს — 95,7%-ს, 1929 წელს — 112,9%-ს, 1930 წელს —125%-ს; **შაქრის ჭარხლისა** — 1927 წელს ომამდელი დონის 106,6%, 1928 წელს — 124,2%-ს, 1929 წელს — 125,8%-ს, 1930 წელს — 169%-ს; **ზეთოვანი კულტურებისა** — 1927 წელს ომამდელი დონის 179,4%-ს, 1928 წელს — 230,9%-ს, 1929 წელს—219,7%-ს, 1930 წელს — სულ მცირე 260%-ს.

ძირითადად ასეთსავე ხელსაყრელ სურათს გვაძლევს ტექნიკური კულტურების **საერთო პროდუქცია.** 1913 წლის საერთო პროდუქციას 100-ად თუ მივიღებთ, **ბამბის** საერთო პროდუქცია 1928 წელს შეადგენს ომამდელი დონის 110,5%-ს, 1929 წელს — 119%-ს, 1930 წელს, ყველა მონაცემის მიხედვით, გვექნება 182,8%; **სელისა** — 1928 წელს ომამდელი დონის 71,6%-ს, 1929 წელს — 81,5%-ს, 1930 წელს, ყველა მონაცემის მიხედვით, გვექნება 101,3%; **შაქრის ჭარხლისა** — 1928 წელს ომამდელი დონის 93%-ს, 1929 წელს — 58%-ს, 1930 წელს, ყველა მონაცემის მიხედვით, გვექნება 139,4%; **ზეთოვანი კულტურებისა** — 1928 წელს ომამდელი დონის 161,9%-ს, 1929 წელს — 149,8%-ს, 1930 წელს, ყველა მონაცემის მიხედვით, გვექნება 220%.

ამრიგად, ტექნიკური კულტურების ხაზით უფრო ხელსაყრელი სურათი გვაქვს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1929 წელს შაქრის ჭარხლის დარგში, რომლის მოსავალიც ფარვანამ დააზიანა.

მაგრამ აქაც, ტექნიკური კულტურების დარგში, მომავალში შესაძლო და მოსალოდნელია სერიოზული რყევა და უმყარობის გამოვლინებანი წვრილი მეურნეობის სიჭარბის გამო, მსგავსად იმ რყევისა და უმყარობის გამოვლინებებისა, რასაც ეს ციფრები გვიჩვენებენ სელისა და ზეთოვანი კულტურების მიმართ, რომლებსაც ყველაზე ნაკლებად შეეხო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გავლენა.

ამრიგად, ჩვენს წინაშე დგას სოფლის მეურნეობის შემდეგი პრობლემები:

1) პრობლემა ტექნიკური კულტურების მდგომარეობის განმტკიცებისა სათანადო რაიონებისათვის იაფი პურის პროდუქტების საკმაო რაოდენობით უზრუნველყოფის გზით;

2) პრობლემა მეცხოველეობის განვითარებისა და ხორცის საკითხის გადაჭრისა სათანადო რაიონებისათვის იაფი მარცვლეული პროდუქტებისა და საქონლის საკვების საკმაო რაოდენობით უზრუნველყოფის გზით;

3) პრობლემა მარცვლეულის მეურნეობის საკითხის, როგორც ამჟამად სოფლის მეურნეობის მთავარი საკითხის, საბოლოოდ გადაჭრისა.

გამოდის, რომ მარცვლეულის პრობლემა ძირითადი რგოლია სოფლის მეურნეობის სისტემაში და გასალებია ამ უკანასკნელის ყველა სხვა პრობლემის გადასაჭრელად.

გამოდის, რომ მარცვლეულის პრობლემის გადაჭრა პირველი რიგის ამოცანაა სოფლის მეურნეობის სხვა პრობლემათა შორის.

მაგრამ მარცვლეულის პრობლემის გადაჭრა და ამით სოფლის მეურნეობის გამოყვანა სერიოზული აღმავლობის გზაზე იმას ნიშნავს, რომ ძირფესვიანად აღმოვფხვრათ სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა, შევაიარაღოთ სოფლის მეურნეობა ტრაქტორებითა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, მივცეთ მას მეცნიერ მუშაკთა ახალი კადრები, ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, გავადიდოთ საქონლიანობა. ეს პირობები თუ არ იქნა, ოცნებაც კი არ შეიძლება მარცვლეულის პრობლემის გადაჭრაზე.

შესაძლებელია თუ არა ყველა ამ პირობის განხორციელება წვრილი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის ბაზაზე? არა, შეუძლებელია. შეუძლებელია, რადგან წვრილ გლეხურ მეურნეობას არ ძალუძს მიიღოს და აითვისოს ახალი ტექნიკა, არ ძალუძს საკმაოდ აამაღლოს შრომის ნაყოფიერება, არ ძალუძს საკმაოდ გაადიდოს სოფლის მეურნეობის საქონლიანობა. რჩება ერთი გზა, სოფლის მეურნეობის **გამსხვილების** გზა, თანამედროვე ტექნიკით შეიარაღებულ მსხვილ მეურნეობათა დანერგვის გზა.

მაგრამ საბჭოთა ქვეყანა ვერ დაადგება მსხვილ **კაპიტალისტურ** მეურნეობათა ორგანიზაციის გზას. მას შეუძლია წავიდეს და კიდევაც უნდა წავიდეს მხოლოდ ახალი ტექნიკით შეიარაღებულ **სოციალისტური** ტიპის მსხვილ მეურნეობათა ორგანიზაციის გზით. სწორედ ასეთი მეურნეობებია ჩვენში **საბჭოთა მეურნეობები** და **კოლმეურნეობები.**

აქედან გამომდინარეობს საბჭოთა მეურნეობების დანერგვისა და წვრილი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობების მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებად გაერთიანების ამოცანა, როგორც საერთოდ სოფლის მეურნეობის პრობლემისა და განსაკუთრებით მარცვლეულის პრობლემის გადაჭრის **ერთადერთი** გზა.

სწორედ ამ გზას დაადგა პარტია თავის ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში XV ყრილობის შემდეგ, განსაკუთრებით 1928 წლის დამდეგს პურის დარგში გამომჟღავნებულ სერიოზულ სიძნელეთა შემდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ძირითადი პრობლემა, როგორც პრაქტიკული ამოცანა, ჩვენმა პარტიამ დღის წესრიგში დააყენა ჯერ კიდევ XV ყრილობაზე, როცა ჩვენ ჯერ კიდევ არ გვქონდა სერიოზული სიძნელეები პურის დარგში. XV ყრილობის ცნობილ რეზოლუციაში «სოფლად მუშაობის შესახებ» პირდაპირ არის ნათქვამი, რომ:

«**ახლანდელ პერიოდში წვრილ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა გაერთიანებისა და მსხვილ კოლექტივებად გარდაქმნის ამოცანა უნდა დაისვას, როგორც პარტიის ძირითადი ამოცანა სოფლად**» [45].

იქნებ ზედმეტი არ იყოს, თუ მოვიყვანთ აგრეთვე საათანადო ადგილს ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებიდან XV ყრილობაზე, სადაც ასევე მკვეთრად და გარკვეულად დასმულია პრობლემა სოფლის მეურნეობის

ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისა კოლექტივიზაციის საფუძველზე. აი რა არის იქ ნათქვამი:

«მაშ სად არის გამოსავალი? გამოსავალია წვრილ და დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობათა გარდაქმნა მსხვილ და გაერთიანებულ მეურნეობებად მიწის საზოგადოებრივი დამუშავების საფუძველზე, გადასვლა მიწის კოლექტიურ დამუშავებაზე ახალი, უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე.

გამოსავალი ის არის, რომ წვრილი და უწვრილესი გლეხური მეურნეობანი თანდათან, მაგრამ განუხრელად, **არა იძულებით, არამედ მაგალითის ჩვენებით და დარწმუნების წესით**, გავაერთიანოთ მსხვილ მეურნეობებად მიწის საზოგადოებრივი, ამხანაგური, კოლექტიური დამუშავების საფუძველზე, ამასთან გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ტრაქტორები, გამოვიყენოთ მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის მეცნიერული ხერხები.

სხვა გამოსავალი არ არსებობს» [48].

6. გლეხობის მობრუნება სოციალიზმისაკენ და საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მშენებლობის განვითარების ტემპი

გლეხობის მობრუნება კოლექტივიზაციისაკენ ერთბაშად როდი დაწყებულა. იგი, ეს მობრუნება, ერთბაშად ვერც დაიწყებოდა. მართალია, კოლექტივიზაციის ლოზუნგი პარტიამ ჯერ კიდევ XV ყრილობაზე წამოაყენა. მაგრამ სოციალიზმისაკენ გლეხობის მასობრივი მობრუნებისათვის ჯერ კიდევ არ კმარა ლოზუნგის წამოყენება. მობრუნებისათვის საჭიროა, ყოველ შემთხვევაში, კიდევ ერთი გარემოება, სახელდობრ ის, რომ თვით გლეხთა მასები დარწმუნდნენ წამოყენებული ლოზუნგის სისწორეში და მიიღონ იგი როგორც თავიანთი საკუთარი ლოზუნგი. ამიტომ ეს მობრუნება თანდათანობით მზადდებოდა.

იგი მზადდებოდა ჩვენი განვითარების მთელი მსვლელობით, ჩვენი ინდუსტრიის განვითარების მთელი მსვლელობით, და უწინარეს ყოვლისა ინდუსტრიის განვითარებით, რომელიც სოფლის მეურნეობისათვის მანქანებსა და ტრაქტორებს იძლევა. იგი მზადდებოდა კულაკობასთან გა-

დამწყვეტი ბრძოლის პოლიტიკით და იმით, რომ 1928 და 1929 წლებში პურის დამზადება ჩვენში მიმდინარეობდა ახალი ფორმებით, რომლებიც კულაკურ მეურნეობას ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების კონტროლქვეშ აყენებენ. იგი მზადდებოდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებით, რომელიც ინდივიდუალურ გლეხს საქმის კოლექტიურად გაძღოლას აჩვევს. იგი მზადდებოდა კოლმეურნეობათა ქსელით, სადაც გლეხი ამოწმებდა მეურნეობის კოლექტიური ფორმების უპირატესობას ინდივიდუალურ მეურნეობასთან შედარებით. ბოლოს, იგი მზადდებოდა მთელ სსრ კავშირში გაფანტული და ახალი ტექნიკით შეიარაღებული საბჭოთა მეურნეობების ქსელით, სადაც გლეხს შესაძლებლობა ეძლეოდა დარწმუნებულიყო ახალი ტექნიკის ძალასა და უპირატესობაში.

შეცდომა იქნებოდა ჩვენი საბჭოთა მეურნეობები მხოლოდ პურის რესურსების წყაროდ მიგვეჩნია. სინამდვილეში საბჭოთა მეურნეობები მათი ახალი ტექნიკით, იმ დახმარებით, რასაც ისინი მახლობლად მცხოვრებ გლეხებს უწევენ, მათი უმაგალითო სამეურნეო გაჭანებით ის წამყვანი ძალა გახდნენ, რომელმაც გააადვილა გლეხთა მასების მობრუნება და დასძრა ისინი კოლექტივიზაციის გზით.

აი რა საფუძველზე ალმოცენდა მილიონობით ღარიბ და საშუალო გლეხთა ის მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა, რომელიც 1929 წლის მეორე ნახევარში დაიწყო და რომელმაც დასაბამი მისცა დიადი გარდატეხის პერიოდს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

რა ღონისძიებები მიიღო ცენტრალურმა კომიტეტმა იმისათვის, რომ სავსებით მომზადებული შეხვედროდა და სათავეში ჩასდგომოდა ამ მოძრაობას?

ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებები მიმდინარეობს სამი ხაზით: საბჭოთა მეურნეობების შექმნისა და დაფინანსების ხაზით, კოლმეურნეობების შექმნისა და დაფინანსე-

ბის ხაზით, დასასრულ, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების მოწყობისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების საშუალებით, სატრაქტორო კოლონებისა და სხვ. საშუალებით სოფლისათვის მათი მიწოდების ხაზით.

ა) ჯერ კიდევ 1928 წლის აპრილში ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება 3 — 4 წლიწადში **ახალი საბჭოთა მეურნეობების** შექმნის შესახებ იმ ვარაუდით, რომ მათ, ამ საბჭოთა მეურნეობებს, ამ ვადის დამლევისათვის შესძლებოდათ მოეცათ სულ მცირე 100 მილიონი ფუთი სასაქონლო პური. შემდეგში ეს გადაწყვეტილება ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაადასტურა. შეიქმნა მარცვლეულის ტრესტი, რომელსაც ამ გადაწყვეტილების შესრულება დაევალა. ამასთან ერთად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება **ძველი საბჭოთა მეურნეობების** განმტკიცებისა და მათი ნათესი ფართობების გადიდების შესახებ. შეიქმნა საბჭოთა მეურნეობების ცენტრი, რომელსაც დაევალა განეხორციელებინა ეს გადაწყვეტილება.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ ამხედრდა ჩვენი პარტიის ოპორტუნისტული ნაწილი. იყო ლაპარაკი იმაზე, რომ საბჭოთა მეურნეობებში დაბანდებული ფული «გადაყრილი» ფულიაო. იყო კრიტიკაც «სწავლულ» ადამიანთა მხრივ, რომ შეუძლებელი და უაზროა მსხვილი საბჭოთა მეურნეობების შექმნაო, და ამ კრიტიკას მხარი დაუჭირეს პარტიის ოპორტუნისტულმა ელემენტებმა. მაგრამ ცენტრალური კომიტეტი თავის ხაზს ატარებდა და, მიუხედავად ყველაფრისა, ბოლომდე მიიყვანა ეს საქმე.

1927/28 წელს საბჭოთა მეურნეობების დასაფინანსებლად (საბრუნავი მოკლევადიანი კრედიტის ჩაუთვლელად) გაცემულ იქნა 65, 7 მილიონი მანეთი. 1928/29 წელს გაცე-

მულ იქნა 185,8 მილიონი მანეთი. ბოლოს, მიმდინარე წელს გაცემულია 856,2 მილიონი მანეთი. საანგარიშო პერიოდის მანძილზე საბჭოთა მეურნეობების განკარგულებაში გადაცემულია 350 ათასი ცხენის ძალის მქონე 18 ათასი ტრაქტორი.

როგორია ამ ღონისძიებათა შედეგები?

მარცვლეულის ტრესტის ნათესი ფართობი 1928/29 წელს შეადგენდა 150 ათას ჰექტარს, 1929/30 წელს — 1 060 ათას ჰექტარს, 1930/31 წელს იქნება 4 500 ათასი ჰექტარი, 1931/32 წელს — 9 მილიონი ჰექტარი, 1932/33 წელს კი, ე. ი. ხუთწლედის დასასრულისათვის, იქნება 14 მილიონი ჰექტარი. **საბჭოთა მეურნეობების ცენტრის** ნათესი ფართობი 1928/29 წელს შეადგენდა 430 ათას ჰექტარს, 1929/30 წელს — 860 ათას ჰექტარს, 1930/31 წელს იქნება 1 800 ათასი ჰექტარი, 1931/32 წელს — 2 მილიონი ჰექტარი, 1932/33 წელს კი იქნება 2 მილიონი 500 ათასი ჰექტარი. **უკრაინის საბჭოთა მეურნეობების გაერთიანების** ნათესი ფართობი 1928/29 წელს შეადგენდა 170 ათას ჰექტარს, 1929/30 წელს — 280 ათას ჰექტარს, 1930/31 წელს იქნება 500 ათასი ჰექტარი, 1932/33 წელს კი — 720 ათასი ჰექტარი. **«სოიუზსახარის»** ნათესი ფართობი (მარცვლეული) 1928/29 წელს შეადგენდა 780 ათას ჰექტარს, 1929/30 წელს — 820 ათას ჰექტარს, 1930/31 წელს იქნება 860 ათასი ჰექტარი, 1931/32 წელს — 980 ათასი ჰექტარი, 1932/33 წელს კი — 990 ათასი ჰექტარი.

ეს ნიშნავს, ჯერ-ერთი, იმას, რომ მარტო მარცვლეულის ტრესტს ხუთწლედის დასასრულისათვის მარცვლეული კულტურების **იმდენივე** ნათესი ფართობი ექნება, რამდენიც ახლა მთელ არგენტინას აქვს. (ტ ა შ ი).

მეორეც, ეს ნიშნავს იმას, რომ ერთად აღებულ **ყველა საბჭოთა მეურნეობას ხუთწლედის დასასრულისათვის ექნება მარცვლეული კულტურების 1 მილიონი ჰექ-**

ტარით **მეტი** ნათესი ფართობი, ვიდრე ახლა მთელ კანადას აქვს. (ტ ა შ ი).

რაც შეეხება საბჭოთა მეურნეობების მარცვლეულის **ხაერთო** და **ხახაქონლო** პროდუქციას, წლების მიხედვით მოძრაობის შემდეგი სურათი გვაქვს: 1927/28 წელს ყველა საბჭოთა მეურნეობამ საერთო პროდუქცია მოგვცა 9,5 მილიონი ცენტნერი, აქედან სასაქონლო პროდუქცია — 6,4 მილიონი ცენტნერი; 1928/29 წელს — 12,8 მილიონი ცენტნერი, აქედან სასაქონლო პროდუქცია — 7,9 მილიონი ცენტნერი; 1929/30 წელს, ყველა მონაცემის მიხედვით, გვექნება 28,2 მილიონი ცენტნერი, აქედან სასაქონლო პროდუქცია — 18 მილიონი ცენტნერი (108 მილიონი ფუთი); 1930/31 წელს გვექნება 71,7 მილიონი ცენტნერი, აქედან სასაქონლო პროდუქცია — 61 მილიონი ცენტნერი (370 მილიონი ფუთი) და სხვ. და ა. შ.

ასეთია საბჭოთა მეურნეობების ხაზით ჩვენი პარტიის პოლიტიკის არსებული და მოსალოდნელი შედეგები.

ახალი საბჭოთა მეურნეობების შექმნის შესახებ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ 1928 წლის აპრილში მიღებული გადაწყვეტილებით გამოდიოდა, რომ 1931/32 წელს ახალი საბჭოთა მეურნეობებიდან უნდა მიგვეღო სულ ცოტა 100 მილიონი ფუთი სასაქონლო პური. ნამდვილად კი გამოდის, რომ უკვე 1931/32 წელს მარტო ახალი საბჭოთა მეურნეობებიდან მივიღებთ 200 მილიონ ფუთზე მეტს. გამოდის, რომ პროგრამა ერთიორად სრულდება.

გამოდის, რომ ადამიანებმა, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებას დასცინოდნენ, სასტიკად დასცინეს თავიანთ თავს.

საბჭოების ყრილობის მიერ დამტკიცებული ხუთწლიანი გეგმით ხუთწლედის დასასრულს ყველა სისტემის საბ-

ჭოთა მეურნეობებში უნდა გვქონოდა 5 მილიონი ჰექტარი ნათესი ფართობი. ნამდვილად კი უკვე მიმდინარე წელს საბჭოთა მეურნეობების ნათესი ფართობი გვაქვს 3,8 მილიონი ჰექტარი, ხოლო მომავალ წელს, ე. ი. ხუთწლედის მესამე წელს, გვექნება 8 მილიონი ჰექტარი ნათესი ფართობი.

ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის ხუთწლიან პროგრამას მთლიანად და გადაჭარბებით ვასრულებთ 3 წელიწადში.

ხუთწლიანი გეგმით საბჭოთა მეურნეობებში მარცვლეული კულტურების საერთო პროდუქცია ხუთწლედის დასასრულისათვის უნდა გვქონოდა 54,3 მილიონი ცენტნერი. ნამდვილად კი საბჭოთა მეურნეობებში მარცვლეული კულტურების საერთო პროდუქცია უკვე მიმდინარე წელს გვაქვს 28,2 მილიონი ცენტნერი, ხოლო მომავალ წელს გვექნება 71,7 მილიონი ცენტნერი.

ეს იმას ნიშნავს, რომ მარცვლეული კულტურების საერთო პროდუქციის ხაზით ხუთწლედს მთლიანად და გადაჭარბებით ვასრულებთ 3 წელიწადში.

ხუთწლედი 3 წელიწადში!

დაე ილაყბონ ახლა ბურჟუაზიულმა მჯღაბნელებმა და მათმა ოპორტუნისტმა დამქაშებმა, რომ არ შეიძლება საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება 3 წელიწადში.

ბ) რაც შეეხება **საკოლმეურნეო** მშენებლობას, აქ კიდევ უფრო ხელსაყრელი სურათი გვაქვს.

ჯერ კიდევ 1928 წლის ივლისში ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა საკოლმეურნეო მშენებლობის შესახებ შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო:

«განუხრელად განხორციელდეს XV ყრილობის მიერ დასახული ამოცანა «წვრილ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა გაერთიანებისა და მათი გარდაქმნისა მსხვილ კოლექტივებად», როგორც ისეთ

ნებაყოფლობით გაერთიანებებად, რომლებიც აგებული არიან ახალი ტექნიკის ბაზაზე და წარმოადგენენ მარცვლეულის მეურნეობის უმაღლეს ფორმას როგორც სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის აზრით, ისე მისი ნაყოფიერებისა და საქონლიანობის რადიკალურად გადიდების უზრუნველყოფის აზრით» (იხ. ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის ივლისის პლენუმის რეზოლუცია «პურის დამზადების პოლიტიკის შესახებ საერთო სამეურნეო მდგომარეობასთან დაკავშირებით») [47].

შემდეგში ეს გადაწყვეტილება დადასტურებულ იქნა პარტიის XVI კონფერენციის რეზოლუციებში და ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის ნოემბრის პლენუმის სპეციალურ რეზოლუციაში საკოლმეურნეო მოძრაობის შესახებ [48]. 1929 წლის მეორე ნახევარში, როცა დაისახა გლეხობის ძირეული მობრუნება კოლმეურნეობებისაკენ და როცა საშუალო გლეხმა მასობრივად იწყო შესვლა კოლმეურნეობებში, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1930 წლის 5 იანვარს მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება «კოლექტივიზაციის ტემპისა და საკოლმეურნეო მშენებლობისათვის სახელმწიფოს დახმარების ღონისძიებათა შესახებ».

ამ რეზოლუციაში ცენტრალურმა კომიტეტმა:

1) აღნიშნა გლეხების **მასობრივი მობრუნება** კოლმეურნეობებისაკენ და შესაძლებლობა საკოლმეურნეო მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა 1930 წლის გაზაფხულზე;

2) აღნიშნა იმ მატერიალური და სხვა პირობების არსებობა, რომლებიც საჭიროა **კულაკური წარმოების შესაცვლელად კოლმეურნეობათა წარმოებით**, და ამასთან დაკავშირებით საჭიროდ ჩათვალა შეზღუდვის პოლიტიკიდან კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე გადასვლა;

3) მოგვცა იმის პერსპექტივა, რომ უკვე 1930 წლის გაზაფხულზე განსაზოგადოებულად დამუშავებული ნა-

თესი ფართობი **მნიშვნელოვნად გადააჭარბებს 30 მილიონ ჰექტარს;**

4) სსრ კავშირი დაყო რაიონების 3 ჯგუფად და **თვითეული მათგანისათვის** დააწესა კოლექტივიზაციის ძირითადად დამთავრების **საორიენტაციო ვადები;**

5) **გადასინჯა მიწათმოწყობის მეთოდი** კოლმეურნეობათა სასარგებლოდ და სოფლის მეურნეობის დაფინანსების ფორმები, ამასთან 1929/30 წლისათვის კოლმეურნეობებს კრედიტი განუსაზღვრა სულ ცოტა 500 მილიონი მანეთის რაოდენობით;

6) განსაზღვრა საკოლმეურნეო მოძრაობის **არტელური ფორმა,** როგორც **საკოლმეურნეო სისტემის ძირითადი რგოლი** ამჟამად;

7) ჯეროვანი პასუხი გასცა პარტიის ოპორტუნისტულ ელემენტებს, რომლებიც ცდილობენ შეაფერხონ საკოლმეურნეო მოძრაობა მანქანებისა და ტრაქტორების ნაკლებობის გამო;

8) დასასრულ, გააფრთხილა პარტიული მუშაკები საკოლმეურნეო მოძრაობაში შესაძლო გადახვევებისაგან და საკოლმეურნეო მშენებლობის ზემოდან დეკრეტირების საშიშროებისაგან, რომელიც ქმნიდა იმის საფრთხეს, რომ ნამდვილი და მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა კოლექტივიზაციობანას თამაშით შეცვლილიყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი პარტიის ოპორტუნისტული ელემენტები მტრულად შეხვდნენ ცენტრალური კომიტეტის ამ გადაწყვეტილებას. იყო მითქმა-მოთქმა და ჩურჩული იმის შესახებ, რომ ცენტრალური კომიტეტი ფანტასტიკამ გაიტაცა, რომ იგი ხალხის ფულს «არარსებულ» კოლმეურნეობებზე «ფანტავსო». მემარჯვენე ელემენტები ხელებს იფშვნეტდნენ და წინასწარ ხარობდნენ «უზრუნველყოფილი» მარცხით. მაგრამ ცენტრალური კომიტეტი მთელი სიმტკიცით ახორციელებდა თავის ხაზს და იგი

ბოლომდე მიიყვანა, მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად მემარჯვენეების ობივატელური ხითხითისა, მიუხედავად «მემარცხენეების» გადახვევებისა და თავბრუდახვევისა.

1927/28 წელს კოლმეურნეობათა დასაფინანსებლად გადაიდო 76 მილიონი მანეთი, 1928/29 წელს — 170 მილიონი მანეთი, დასასრულ, მიმდინარე წელს გადადებულია 473 მილიონი მანეთი. გარდა ამისა, კოლექტივიზაციის ფონდში გადადებულია 65 მილიონი მანეთი. კოლმეურნეობებისათვის დაწესებულია შეღავათები, რამაც კოლმეურნეობათა საფინანსო რესურსები 200 მილიონი მანეთით გაადიდა. კოლმეურნეობებისათვის უზრუნველყოფილია განკუთვნილი კულაკების სამეურნეო ქონება 400 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულებისა. კოლმეურნეობათა მინდვრებზე გამოსაყენებლად უზრუნველყოფილია სულ ცოტა 30 ათასი ტრაქტორი, რომელთა სიმძლავრე 400 ათას ცხენის ძალას აღემატება; ამაში არ შედის სატრაქტორო ცენტრის 7 ათასი ტრაქტორი, რომლებიც მომსახურებას უწევენ კოლმეურნეობებს, აგრეთვე ის დახმარება, რასაც კოლმეურნეობებს ტრაქტორებით უწევს საბჭოთა მეურნეობების სისტემა. წელს კოლმეურნეობებს სესხად და დახმარების სახით მიეცათ 10 მილიონი ცენტნერი სათესლე მარცვლეული (61 მილიონი ფუთი). დასასრულ, კოლმეურნეობებს უშუალო ორგანიზაციული დახმარება გაეწიათ მანქანათა და ცხენთა ბაზების შექმნის საქმეში, რომელთა რიცხვი 7 ათასს აღემატება და სადაც გამოყენებულია სულ ცოტა 1 300 ათასი ცხენი.

როგორია ამ ღონისძიებათა შედეგი?

კოლმეურნეობების ნათესი ფართობი 1927 წელს შეადგენდა 0,8 მილიონ ჰექტარს, 1928 წელს — 1,4 მილიონ ჰექტარს, 1929 წელს — 4,3 მილიონ ჰექტარს, 1930 წელს — სულ ცოტა 36 მილიონ ჰექტარს, **გაზაფხულისა და შემოდგომის ნათესის ჩათვლით.**

ეს ნიშნავს, ჯერ-ერთი, იმას, რომ 3 წლის განმავლობაში საკოლმეურნეო ნათესი ფართობი 40-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. (ტ ა შ ი).

მეორეც, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენს კოლმეურნეობებს ახლა **იმდენივე** ნათესი ფართობი აქვთ, რამდენიც საფრანგეთსა და იტალიას ერთად. (ტ ა შ ი).

რაც შეეხება მარცვლეული კულტურების **საერთო** პროდუქციას და მათს **სასაქონლო** ნაწილს, აქ შემდეგი სურათი გვაქვს. 1927 წელს კოლმეურნეობებმა მოგვცეს 4,9 მილიონი ცენტნერი, აქედან სასაქონლო 2 მილიონი ცენტნერი; 1928 წელს — 8,4 მილიონი ცენტნერი, აქედან სასაქონლო 3,6 მილიონი ცენტნერი; 1929 წელს — 29,1 მილიონი ცენტნერი, აქედან სასაქონლო 12,7 მილიონი ცენტნერი; 1930 წელს, ყველა მონაცემის მიხედვით, გვექნება 256 მილიონი ცენტნერი (1 550 მილიონი ფუთი), აქედან სასაქონლო სულ მცირე 82 მილიონი ცენტნერი (500 მილიონ ფუთზე მეტი).

უნდა ვაღიაროთ, რომ არც ერთ დარგს ჩვენი მრეწველობისას, რომელიც საერთოდ საკმაოდ აჩქარებული ტემპით ვითარდება, ჯერ არ მოუცია განვითარების ისეთი უმაგალითო ტემპები, როგორიც საკოლმეურნეო მშენებლობამ მოგვცა.

რას მოწმობს ყველა ეს ციფრი?

ისინი, უწინარეს ყოვლისა, მოწმობენ, რომ კოლმეურნეობებში მარცვლეული კულტურების საერთო პროდუქცია 3 წლის განმავლობაში გაიზარდა 50-ჯერ და უფრო მეტად, ხოლო სასაქონლო პროდუქცია — 40-ჯერ და უფრო მეტად.

მეორეც, ისინი მოწმობენ, რომ ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს წელს კოლმეურნეობებიდან მივიღოთ ჩვენი ქვეყნის მარცვლეულის მთელი სასაქონლო პროდუქციის **ნახევარზე მეტი**.

მესამეც, ისინი მოწმობენ, რომ სოფლის მეურნეობის და მისი ძირითადი პრობლემების ბედს ამიერიდან განსაზღვრავენ არა ინდივიდუალური გლეხური მეურნეობები, არამედ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

მეოთხეც, ისინი მოწმობენ, რომ ჩვენში კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პროცესი მთელი სისწრაფით მიდის წინ.

დასასრულ, ისინი მოწმობენ, რომ ჩვენს ქვეყანაში უკვე მოხდა ისეთი ეკონომიური ძვრები, რომლებიც სრულ საფუძველს გვაძლევენ ვამტკიცოთ, რომ ჩვენ შევძელით მოგვებრუნებინა სოფელი ახალი გზისაკენ, კოლექტივიზაციის გზისაკენ, და ამით უზრუნველვყავით სოციალიზმის წარმატებითი მშენებლობა არა მარტო ქალაქად, არამედ სოფლადაც.

თავის 1930 წლის 5 იანვრის დადგენილებაში ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1930 წლის გაზაფხულისათვის განსაზოგადოებულად დამუშავებული საკოლმეურნეო ნათესი ფართობების პროგრამა 30 მილიონი ჰექტარით განსაზღვრა. ნამდვილად კი 36 მილიონი ჰექტარი გვაქვს. გამოდის, რომ ცენტრალური კომიტეტის პროგრამა გადაჭარბებით არის შესრულებული.

გამოდის, რომ იმ ადამიანებმა, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას დასცინოდნენ, სასტიკად დასცინეს თავიანთ თავს. ჩვენი პარტიის ოპორტუნისტ მოლაყბეებს ვერ უშველა ვერც წვრილბურჟუაზიულმა სტიქიამ, ვერც საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებულმა გადახვევებმა.

ხუთწლიანი გეგმით კოლმეურნეობებში ხუთწლედის დასასრულისათვის უნდა გვქონოდა 20,6 მილიონი ჰექტარი ნათესი ფართობები. ნამდვილად კი კოლმეურნეობათა ნათესი ფართობები უკვე წელს გვაქვს 36 მილიონი ჰექტარი.

ეს იმას ნიშნავს, რომ საკოლმეურნეო მშენებლობის ხუთწლიან პროგრამას 2 წლის განმავლობაში უკვე 1½-ჯერ და უფრო მეტად გადავაჭარბეთ. (ტ ა შ ი).

ხუთწლიანი გეგმით კოლმეურნეობებში ხუთწლედის დასასრულისათვის მარცვლეული კულტურების საერთო პროდუქცია უნდა გვქონოდა 190,5 მილიონი ცენტნერი. ნამდვილად კი კოლმეურნეობებში მარცვლეული კულტურების საერთო პროდუქცია უკვე წელს გვექნება 256 მილიონი ცენტნერი.

ეს იმას ნიშნავს, რომ მარცვლეულის საკოლმეურნეო პროდუქციის ხუთწლიან პროგრამას 2 წლის განმავლობაში უკვე 30-ზე მეტი პროცენტის გადაჭარბებით ვასრულებთ.

ხუთწლედი 2 წელიწადში! (ტ ა შ ი).

დაე ილაყბონ ახლა ოპორტუნისტმა ჭორიკანებმა, რომ არ შეიძლება საკოლმეურნეო მშენებლობის ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება 2 წელიწადში.

6. მუშებისა და გლეხების მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესება

ამრიგად, გამოდის, რომ სოციალისტური სექტორის განუწყვეტელი ზრდა როგორც მრეწველობის დარგში, ისე სოფლის მეურნეობის დარგშიც ფაქტია, რომელიც არავითარ ეჭვს არ იწვევს.

რას შეიძლება ნიშნავდეს ეს მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის თვალსაზრისით?

ეს იმას ნიშნავს, რომ ამით უკვე ჩაყრილი აქვს საფუძველი მუშებისა და გლეხების მატერიალური და კულტურული მდგომარეობის ძირეულ გაუმჯობესებას.

რატომ, რანაირად?

ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ სოციალისტური სექტორის ზრდა, უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს სოფლისა და ქალაქის

ექსპლოატატორული ელემენტების შემცირებას, სახალხო მეურნეობაში მათი ხვედრითი წონის დაცემას. ეს კი ნიშნავს, რომ მუშებისა და გლეხების წილი ქვეყნის სახალხო შემოსავალში აუცილებლად უნდა იზრდებოდეს ექსპლოატატორული კლასების წილის შემცირების ხარჯზე.

მეორეც, იმიტომ, რომ განსაზოგადოებული (სოციალისტური) სექტორის ზრდის დროს სახალხო შემოსავლის ნაწილი, რომელიც დღემდე ექსპლოატატორული კლასებისა და მათი დამქაშების გამოკვებას ხმარდებოდა, ამიერიდან დარჩება თვით წარმოებაში, წარმოების გასაფართოებლად, ახალი ფაბრიკა-ქარხნების ასაგებად, მშრომელთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ეს კი ნიშნავს, რომ მუშათა კლასის რიცხვი და ძალა უნდა გაიზარდოს, ხოლო უმუშევრობა უნდა შემცირდეს და თანდათანობით მოისპოს.

დასასრულ, იმიტომ, რომ განსაზოგადოებული სექტორის ზრდა, რამდენადაც იგი იწვევს მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ნიშნავს საშინაო ბაზრის ტევადობის განუწყვეტელ ზრდას, მრეწველობის პროდუქტებზე მოთხოვნილების გადიდებას მუშებისა და გლეხების მხრივ. ეს კი ნიშნავს, რომ საშინაო ბაზრის ზრდა გაუსწრებს მრეწველობის ზრდას და ხელს შეუწყობს მის წინსვლას, განუწყვეტელ გაფართოებას.

ყველა ეს და ამის მსგავსი გარემოებანი იწვევენ მუშებისა და გლეხების მატერიალური და კულტურული მდგომარეობის განუხრელ გაუმჯობესებას.

ა) დავიწყოთ მუშათა კლასის **რიცხობრივი ზრდიდა** და **უმუშევრობის შემცირების** საკითხით.

თუ დაქირავებული შრომის პირთა რაოდენობა (უმუშევრებს გარდა) 1926/27 წელს 10 990 ათასს შეადგენდა, 1927/28 წელს გვყავდა 11 456 ათასი, 1928/29 წელს — 11 997 ათასი, ხოლო 1929/30 წელს, ყველა მონაცემის

მიხედვით, გვეყოლება სულ ცოტა 13 129 ათასი. აქედან ფიზიკური შრომის პირები (სასოფლო-სამეურნეო და სეზონური მუშების ჩათვლით) 1926/27 წელს იყო 7 069 ათასი, 1927/28 წელს — 7 404 ათასი, 1928/29 წელს — 7 758 ათასი, 1929/30 წელს — 8 533 ათასი. აქედან მსხვილი მრეწველობის მუშები (მოსამსახურეების გამოკლებით) 1926/27 წელს იყო 2 439 ათასი, 1927/28 წელს — 2 632 ათასი, 1928/29 წელს — 2 858 ათასი, 1929/30 წელს — 3 029 ათასი.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გვაქვს მუშათა კლასის რაოდენობის თანმიმდევრობითი ზრდის სურათი, ამასთან, თუ დაჭირავებული შრომის პირთა ზრდის პროცენტი 3 წლის განმავლობაში შეადგენს 19,5-ს, ხოლო ფიზიკური შრომის პირთა პროცენტი 20,7-ს, ინდუსტრიულ მუშათა ზრდის პროცენტი შეადგენს 24,2-ს.

გადავიდეთ **უმუშევრობის** საკითხზე. უნდა ითქვას, რომ ამ დარგში დიდი არევდარევაა როგორც შრომის სახალხო კომისარიატში, ისე პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში.

ერთი მხრივ, ამ დაწესებულებათა ცნობებით გამოდის, რომ ჩვენ გვყავს ერთ მილიონამდე უმუშევარი, რომელთაგან მინიმალურად კვალიფიციურნი შეადგენენ სულ 14,3%-ს, ხოლო დაახლოებით 73%-ს შეადგენენ ეგრეთწოდებული ინტელიგენტური შრომის პირნი და არაკვალიფიციურნი, ამასთან უკანასკნელთა უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ ქალები და მოზარდები, რომლებსაც დამოკიდებულება არა ჰქონდათ სამრეწველო წარმოებასთან.

მეორე მხრივ, იმავე ცნობების თანახმად, ჩვენ განვიცდით კვალიფიციური მუშახელის საშინელ ნაკლებობას, შრომის ბირჟები ვერ აკმაყოფილებენ ჩვენი საწარმოების მოთხოვნილებას მუშახელზე 80-მდე პროცენტით, და, ამრიგად, იძულებული ვართ სასწრაფოდ, პირდაპირ სახელდა-

ხელოდ ვასწავლოთ სრულიად არაკვალიფიციურ ადამიანებს და მოვამზადოთ მათგან კვალიფიციური მუშები, რომ დავაკმაყოფილოთ ჩვენი საწარმოების მინიმალური მოთხოვნილება მაინც.

აბა სცადეთ და გაერკვნეთ ამ დომხალში. ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ ეს უმუშევრები არ შეადგენენ ჩვენი მრეწველობის უმუშევართა არც **სარეზერვო** და, მით უფრო, არც **მუდმივ** არმიას. და რას ვხედავთ? შრომის სახალხო კომისარიატის ცნობებითაც კი გამოდის, რომ უკანასკნელ ხანს უმუშევართა რაოდენობა გასულ წელთან შედარებით 700 ათას კაცზე მეტით **შემცირდა.** ეს ნიშნავს უმუშევართა რიცხვის შემცირებას ამა წლის პირველი მაისისათვის 42%-ზე მეტით.

აი ჩვენს სახალხო მეურნეობაში სოციალისტური სექტორის ზრდის კიდევ ერთი შედეგი.

ბ) კიდევ უფრო თვალსაჩინო შედეგს მივიღებთ, თუ საქმეს განვიხილავთ სახალხო შემოსავლის კლასების მიხედვით განაწილების თვალსაზრისით. კლასების მიხედვით სახალხო შემოსავლის განაწილების საკითხი მუშათა და გლეხთა მატერიალური და კულტურული მდგომარეობის თვალსაზრისით ძირითად საკითხს წარმოადგენს. გერმანიის, ინგლისის, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების ბურჟუაზიული ეკონომისტები ტყუილად კი არ ცდილობენ დახლართონ ეს საკითხი ბურჟუაზიის სასარგებლოდ, რისთვისაც ხშირად აქვეყნებენ თავიანთ «სრულიად ობიექტურ» გამოკვლევებს ამის შესახებ.

სრულიად გერმანიის სტატისტიკური სამმართველოს ცნობებით, 1929 წელს გერმანიის სახალხო შემოსავალში ხელფასის წილი უდრიდა 70%-ს, ხოლო ბურჟუაზიის წილი — 30%-ს. ფედერალური სავაჭრო კომისიისა და ეკონომიურ გამოკვლევათა ნაციონალური ბიუროს ცნობებით, 1923 წელს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების

სახალხო შემოსავალში მუშების წილი შეადგენდა 54%-ზე მეტს, ხოლო კაპიტალისტების წილი — 45%-ზე ცოტა მეტს. დასასრულ, ეკონომისტების ბოლეისა და სტემპის ცნობებით, 1924 წელს ინგლისის სახალხო შემოსავალში მუშათა კლასის წილი შეადგენდა ინგლისის სახალხო შემოსავლის 50%-ზე ცოტა ნაკლებს, ხოლო კაპიტალისტების წილი — 50%-ზე ცოტა მეტს.

გასაგებია, რომ არ შეიძლება ვენდოთ ამ გამოკვლევათა შედეგებს. არ შეიძლება, რადგან, წმინდა ეკონომიური ხასიათის ცთომილებათა გარდა, ამ გამოკვლევებში არის სხვა ხასიათის ცთომილებანიც, რომელთა მიზანია ერთი მხრივ კაპიტალისტთა შემოსავლის დაფარვა და ნაკლებად დასახვა, ხოლო მეორე მხრივ მუშათა კლასის შემოსავლის გაბერვა და გადიდება, რისთვისაც მუშებს მიაკუთვნებენ იმ მოხელეებსაც, რომლებიც უდიდეს ჯამაგირს იღებენ. ალარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამ გამოკვლევებში ხშირად არ ანგარიშობენ ფერმერებისა და საერთოდ სოფლის კაპიტალისტების შემოსავალს.

ამხ. ვარგამ კრიტიკული ანალიზი გაუკეთა ამ მონაცემებს. და აი რა მიიღო. აღმოჩნდა, რომ მუშების და ქალაქისა და სოფლის სხვა მშრომელების წილი, რომლებიც სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევიან, გერმანიაში შეადგენდა სახალხო შემოსავლის 55%-ს, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში — 54%-ს, ინგლისში — 45%-ს; ხოლო კაპიტალისტების წილი გერმანიაში — 45%-ს, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში — 46%-ს, ინგლისში — 55%-ს.

ასეთია საქმის ვითარება უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ხოლო როგორია საქმის ვითარება სსრ კავშირში?

ამ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მონაცემები. ირკვევა, რომ:

ა) წილი **მუშებისა და მშრომელი გლეხებისა, რომლებიც სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევიან,** 1927/28 წელს ჩვენში შეადგენდა მთელი სახალხო შემოსავლის 75,2%-ს (აქედან ქალაქისა და სოფლის მუშების წილი — 33,3%-ს), 1928/29 წელს — 76,5%-ს (აქედან ქალაქისა და სოფლის მუშების წილი — 33,2%-ს), 1929/30 წელს — 77,1%-ს (აქედან ქალაქისა და სოფლის მუშების წილი — 33,5%-ს).

ბ) **კულაკებისა და ქალაქის კაპიტალისტების** წილი 1927/28 წელს შეადგენდა 8,1%-ს, 1928/29 წელს — 6,5%-ს, 1929/30 წელს — 1,8%-ს.

გ) წილი **შინამრეწველებისა,** რომელთა უმრავლესობაც მშრომელ ელემენტს წარმოადგენს, 1927/28 წელს შეადგენდა 6,5%-ს, 1928/29 წელს — 5,4%-ს, 1929/30 წელს — 4,4%-ს.

დ) წილი **სახელმწიფო სექტორისა,** რომლის შემოსავალიც მუშათა კლასის და საერთოდ მშრომელი მასების შემოსავალს წარმოადგენს, 1927/28 წელს შეადგენდა 8,4%-ს, 1928/29 წელს — 10%-ს, 1929/30 წელს — 15,2%-ს.

ე) დასასრულ, ეგრეთწოდებულ **დანარჩენთა** (იგულისხმება პენსიები) წილი 1927/28 წელს შეადგენდა 1,8%-ს, 1928/29 წელს — 1,6%-ს, 1929/30 წელს — 1,5%-ს.

ამრიგად, გამოდის, რომ მაშინ როცა **მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში ექსპლოატატორული კლასების წილი სახალხო შემოსავალში შეადგენს** დაახლოებით **50%**-ს და ზოგჯერ მეტსაც, ჩვენში, **სსრ კავშირში, ექსპლოატატორული კლასების წილი სახალხო შემოსავლის 2%**-ს **არ აღემატება.**

სწორედ ამით აიხსნება ის გასაოცარი ფაქტი, რომ 1922 წელს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამერიკელი ბურჟუაზიული მწერლის **დენის** სიტყვით,

«მესაკუთრეთა 1%-ის ხელში იყო მთელი ნაციონალური სიმდიდრის 59%», ხოლო ინგლისში 1920/21 წელს, იმავე **დენის** სიტყვით, «მესაკუთრეთა მთელი რიცხვის 2%-ზე ნაკლები ფლობდა მთელი ნაციონალური სიმდიდრის 64%-ს» (იხ. **დენის** წიგნი «ამერიკა იპყრობს ბრიტანეთს»).

შეიძლება თუ არა ასეთი ფაქტები იყოს ჩვენში, სსრ კავშირში, საბჭოების ქვეყანაში? ცხადია, არ შეიძლება. სსრ კავშირში დიდი ხანია აღარ არიან და არც შეიძლება იყვნენ ასეთი «მესაკუთრენი».

მაგრამ თუ სსრ კავშირში 1929/30 წელს ექსპლოატატორული კლასების წილად მოდის სახალხო შემოსავლის მხოლოდ დაახლოებით 2%, სად მიდის სახალხო შემოსავლის დანარჩენი მასა?

ცხადია, იგი მუშებისა და მშრომელი გლეხების ხელში რჩება.

აი სად არის იმ ძალისა და ავტორიტეტის წყარო, რაც საბჭოთა ხელისუფლებას აქვს მუშათა კლასისა და გლეხობის მილიონებს შორის.

აი სად არის სსრ კავშირის მუშათა და გლეხთა მატერიალური კეთილდღეობის სისტემატური ზრდის საფუძველი.

ვ) ამ გადამწყვეტი ფაქტების მიხედვით სავსებით გასაგები ხდება მუშათა რეალური ხელფასის სისტემატური გადიდება, მუშათა სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის ზრდა, ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობებისათვის დახმარების გაძლიერება, ასიგნობების გადიდება მუშათა საბინაო მშენებლობისათვის, მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის, დედათა და ბავშვთა დაცვისათვის და ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მოსახლეობის განუწყვეტელი ზრდა და სიკვდილიანობის, განსაკუთრებით ბავშვთა სიკვდილიანობის, შემცირება.

ცნობილია, მაგალითად, რომ მუშების **რეალური ხელფასი,** სოციალური დაზღვევისა და მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდში გადასარიცხავი მოგებათა ანარიცხების ჩათვლით, ომამდელ დონესთან შედარებით 167 პროცენტამდე გადიდდა. მარტო მუშების სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში 1927/28 წლის 980 მილიონი მანეთიდან გაიზარდა 1 400 მილიონ მანეთამდე 1929/30 წელს. დედათა და ბავშვთა დაცვას უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (1927/28 — 1929/30 წლ.) მოხმარდა 494 მილიონი მანეთი. სასკოლო ასაკამდე ალზრდას (საბავშვო ბაღები, მოედნები და სხვ.) იმავე პერიოდში მოხმარდა 204 მილიონი მანეთი. მუშათა საბინაო მშენებლობას — 1 880 მილიონი მანეთი.

ეს, რასაკვირველია, იმას როდი ნიშნავს, რომ უკვე გაკეთდა ყველაფერი, რაც საჭიროა რეალური ხელფასის სერიოზული გადიდებისათვის, რომ აღარ შეიძლებოდა რეალური ხელფასის აყვანა უფრო მაღალ საფეხურზე. და თუ ეს არ გაკეთებულა, ამაში დამნაშავეა საერთოდ ჩვენი მომმარაგებელი აპარატის ბიუროკრატიზმი, უწინარეს ყოვლისა და განსაკუთრებით სამომხმარებლო კოოპერაციის ბიუროკრატიზმი. სახელმწიფო საგეგმო კომისიის მონაცემებით, 1929/30 წელს საშინაო ვაჭრობის განსაზოგადოებული სექტორის ხელშია საბითუმო ვაჭრობის 99%-ზე მეტი და საცალო ვაჭრობის 89%-ზე მეტი. ეს ნიშნავს, რომ კოოპერაცია სისტემატურად ამარცხებს კერძო სექტორს და მონოპოლისტი ხდება ვაჭრობის დარგში. ეს, რა თქმა უნდა, კარგია. მაგრამ ცუდია ის, რომ ეს მონოპოლია ბევრ შემთხვევაში მომხმარებელთა საზიანოდ მოქმედებს. თურმე, მიუხედავად იმისა, რომ კოოპერაციას თითქმის მონოპოლიური მდგომარეობა აქვს ვაჭრობაში, იგი ამჯობინებს მოამარაგოს მუშები უფრო «შემოსავლიანი» საქონლით, რომელიც დიდ მოგებას იძლევა (გალანტერია და

სხვ.), და გაურბის მათ მომარაგებას ნაკლებ «შემოსავლიანი», თუმცა მუშებისათვის უფრო საჭირო საქონლით (სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები). ამასთან დაკავშირებით მუშები იძულებული არიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოთხოვნილების დაახლოებით 25% დაიკმაყოფილონ კერძო ბაზარზე და გადაიხადონ ზედმეტი. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ კოოპერაციის აპარატი ყველაზე მეტად ზრუნავს ბალანსისათვის, რის გამო ძალიან ძნელად თანხმდება საცალო ფასების დაკლებას, მიუხედავად ხელმძღვანელი ცენტრების კატეგორიული დირექტივებისა. გამოდის, რომ კოოპერაცია ამ შემთხვევაში მოქმედებს არა როგორც სოციალისტური სექტორი, არამედ როგორც ერთგვარი ნეპმანური სულით გამსჭვალული თავისებური სექტორი. საკითხავია, ვის ესაჭიროება ასეთი კოოპერაცია და რა სარგებლობა მოაქვს მუშებისათვის მის მონოპოლიას, თუ იგი ვერ ასრულებს მუშათა რეალური ხელფასის სერიოზული გაუმჯობესების ამოცანას?

და თუ, მიუხედავად ამისა, რეალური ხელფასი ჩვენში წლითი-წლობით მაინც განუხრელად იზრდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი წყობილება, სახალხო შემოსავლის განაწილების სისტემა და მთელი გეზი ხელფასის ხაზით ისეთია, რომ მათ შესაძლებლობა აქვთ გააქარწყლონ და აანაზღაურონ კოოპერაციიდან მომდინარე ყველა და ყოველგვარი მინუსი.

თუ ამ გარემოებას დავუმატებთ მთელ რიგ სხვა ფაქტორებს, როგორიცაა საზოგადოებრივი კვების როლის გადიდება, მუშებისათვის ბინების გაიაფება, დიდძალი სტიპენდიები მუშებისათვის და მუშათა შვილებისათვის, კულტურული მომსახურება და სხვ., თამამად შეიძლება ითქვას, რომ მუშათა ხელფასის გადიდების პროცენტი გაცილებით უფრო დიდი იქნება, ვიდრე ზოგიერთი ჩვენი დაწესებულების სტატისტიკაშია აღნიშნული.

ყოველივე ეს, ერთად აღებული, პლუს 830 ათასზე მეტი ინდუსტრიული მუშის (33,5%) 7-საათიან სამუშაო დღეზე გადაყვანა, პლუს 1½ მილიონზე მეტი ინდუსტრიული მუშის (63,4%) ხუთდღიან კვირაზე გადაყვანა, პლუს მუშებისათვის დასასვენებელი სახლების, სანატორიუმებისა და კურორტების ფართო ქსელის არსებობა, რომლებშიც ამ უკანასკნელი 3 წლის მანძილზე 1 700 ათასზე მეტმა მუშამ გაიარა, — ყოველივე ეს ქმნის მუშათა კლასის მუშაობისა და ყოფაცხოვრების ისეთ ვითარებას, რაც შესაძლებლობას გვაძლევს აღვზარდოთ ახალი თაობა ჯანსაღი და სიცოცხლით სავსე მუშებისა, რომლებსაც შეეძლებათ სათანადო სიმაღლეზე აიყვანონ საბჭოთა ქვეყნის ძლიერება და მკერდით დაიცვან იგი მტრების ხელყოფისაგან. (ტ ა შ ი).

რაც შეეხება დახმარებას გლეხებისათვის, როგორც ინდივიდუალური, ისე კოლმეურნე გლეხებისათვის, მათ შორის ღარიბი გლეხებისათვის დახმარებასაც, იგი უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (1927/28 — 1929/30 წლ.) გამოიხატა სულ ცოტა 4 მილიარდი მანეთით, რაც გაცემულ იქნა კრედიტისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზით. ცნობილია, რომ ამ 3 წლის განმავლობაში გლეხებს მარტო სათესლე დახმარების სახით მიეცათ სულ ცოტა 154 მილიონი ფუთი მარცვლეული.

გასაკვირველი არ არის, რომ მუშები და გლეხები ჩვენში საერთოდ ცუდად არ ცხოვრობენ, მოსახლეობის სიკვდილიანობა ომამდელ დროსთან შედარებით შემცირდა საერთოდ 36%-ით, ბავშვთა სიკვდილიანობა 42,5%-ით, ხოლო მოსახლეობის **ყოველწლიური მატება** ჩვენში დაახლოებით 3 მილიონ სულს შეადგენს. (ტ ა შ ი).

რაც შეეხება მუშათა და გლეხთა კულტურულ მდგომარეობას, ამ დარგშიც გვაქვს ერთგვარი მიღწევები, მაგრამ ეს მიღწევები ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაგვაკმაყოფი-

ლებს, რადგან ისინი უმნიშვნელოა. თუ არ ჩავთვლით მუშათა ყოველგვარ კლუბებს, ქოხ-სამკითხველოებს, ბიბლიოთეკებსა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სისტემას, რომელშიც წელს 10½ მილიონი კაცია ჩაბმული, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმის მდგომარეობა შემდეგი სახით წარმოგვიდგება. დაწყებითი განათლების სკოლებში წელს არის 11 638 ათასი მოსწავლე; II საფეხურის სკოლებში — 1 945 ათასი; ინდუსტრიულ-ტექნიკურ, სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო სკოლებში და მასობრივი კვალიფიკაციის საწარმოო კურსებზე — 333,1 ათასი; ტექნიკუმებში და მათ თანაბარ პროფსკოლებში — 238,7 ათასი; უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში — 190,4 ათასი. ყოველივე ამან შესაძლებლობა მოგვცა წერა-კითხვის მცოდნეობის პროცენტი სსრ კავშირში აგვეყვანა 62,6%-მდე ნაცვლად ომამდელი 33%-ისა.

ახლა მთავარია გადავიდეთ საყოველთაო სავალდებულო პირველდაწყებით სწავლებაზე. «მთავარია»-მეთქი, რადგან ასეთი გადასვლა გადამწყვეტი ნაბიჯი იქნებოდა კულტურული რევოლუციის საქმეში. ხოლო ამ საქმის დაწყება დიდი ხანია საჭიროა, ვინაიდან ახლა მოგვეპოვება ყველაფერი, რაც აუცილებელია სავალდებულო საყოველთაო პირველდაწყებითი განათლების შემოსაღებად სსრ კავშირის ყველა რაიონში.

დღემდე იძულებული ვიყავით «მომჭირნეობა გაგვეწია ყველაფერში, სკოლების საქმეშიც კი», რათა «გვეხსნა, აღგვედგინა მძიმე მრეწველობა» (**ლენინი**). მაგრამ ამ ბოლო დროს ჩვენ უკვე აღვადგინეთ მძიმე მრეწველობა და წინ ვწევთ მას. მაშასადამე, დადგა დრო, როცა ხელი უნდა მოვკიდოთ საყოველთაო სავალდებულო პირველდაწყებითი განათლების სრულ განხორციელებას.

მე ვფიქრობ, ყრილობა სწორად მოიქცევა, თუ ამის შესახებ გარკვეულ და სავსებით კატეგორიულ გადაწყვეტილებას მიიღებს. (ტ ა შ ი).

7. ზრდის სიძნელენი, კლასთა ბრძოლა და სოციალიზმის შეტევა მთელ ფრონტზე

მე ვილაპარაკე ჩვენს მიღწევებზე სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში. ვილაპარაკე მიღწევებზე მრეწველობის დარგში, სოფლის მეურნეობის დარგში, სოციალიზმის საფუძვლებზე მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დარგში. ბოლოს, ვილაპარაკე მუშებისა და გლეხების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხაზით მოპოვებულ მიღწევებზე.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს მიღწევები მოვიპოვეთ «იოლად და უდარდელად», ასე ვთქვათ, თვითდინების წესით, განსაკუთრებული ძალღონის დაუხარჯავად და ნებისყოფის დაუძაბავად, უბრძოლველად და შეუშფოთებლად. ასეთი მიღწევების მოპოვება შეუძლებელია თვითდინების წესით. ნამდვილად ეს მიღწევები მოვიპოვეთ სიძნელეებთან გადამწყვეტ ბრძოლაში, სიძნელეთა დაძლევისათვის სერიოზულ და ხანგრძლივ ბრძოლაში.

ჩვენში ყველა ლაპარაკობს სიძნელეებზე. მაგრამ ყველა როდი ერკვევა ამ სიძნელეების ხასიათში. სიძნელეების პრობლემას კი ჩვენთვის მეტად სერიოზული მნიშვნელობა აქვს.

რა არის ჩვენი სიძნელეების დამახასიათებელი ნიშნები, რა მტრული ძალები იფარება მათ უკან და როგორ ვძლევთ მათ?

ა) ჩვენი სიძნელეების დახასიათებისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, ყოველ შემთხვევაში, შემდეგი გარემოებანი.

უწინარეს ყოვლისა უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ჩვენი ახლანდელი სიძნელეები **რეკონსტრუქციის** პერიოდის სიძნელეებია. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ძირეულად განსხვავდებიან ჩვენი მეურნეობის **აღდგენითი** პერიოდის სიძნელეებისაგან. თუ აღდგენითს პერიოდში საქმე ეხებოდა ძველი ქარხნების დატვირთვას და სოფლის მეურნეობისათვის დახმარების გაწევას მის ძველ ბაზაზე, ახლა საქმე ეხება იმას, რომ ძირეულად გადავაკეთოთ, გარდავქმნათ მრეწველობაც და სოფლის მეურნეობაც, შევცვალოთ მათი ტექნიკური ბაზა და შევაიაროთ ისინი თანამედროვე ტექნიკით. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს წინაშე დგას ამოცანა — გარდავქმნათ სახალხო მეურნეობის მთელი ტექნიკური ბაზა. ეს კი მოითხოვს ახალ, უფრო დიდ დაბანდებებს სახალხო მეურნეობაში, ახალ, უფრო გამოცდილ კადრებს, რომლებსაც შეეძლებათ დაეუფლონ ახალ ტექნიკას და წინ წასწიონ იგი.

მეორეც, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია ჩვენში არ ამოიწურება მისი ტექნიკური ბაზის გარდაქმნით, არამედ, პირიქით, ამასთანავე მოითხოვს სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობის გარდაქმნას. აქ მხედველობაში მაქვს, უმთავრესად, სოფლის მეურნეობა. მრეწველობაში, რომელიც უკვე გაერთიანებული და სოციალიზებულია, ტექნიკურ რეკონსტრუქციას უკვე აქვს ძირითადად მზა სოციალურ-ეკონომიური ბაზა. რეკონსტრუქციის ამოცანა აქ ის არის, რომ გაძლიერდეს მრეწველობიდან კაპიტალისტური ელემენტების განდევნის პროცესი. მაგრამ ასე მარტივი როდია საქმის ვითარება სოფლის მეურნეობაში. სოფლის მეურ-

ნეობის ტექნიკური ბაზის რეკონსტრუქცია, რა თქმა უნდა, იმავე მიზნებს ისახავს. მაგრამ ჩვენში სოფლის მეურნეობის თავისებურება ის არის, რომ იქ ჯერ კიდევ ჭარბობს წვრილი გლეხური მეურნეობა, რომ წვრილი მეურნეობა მოკლებულია შესაძლებლობას — აითვისოს ახალი ტექნიკა, რომ, ამის გამო, სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზის გარდაქმნა **შეუძლებელია,** თუ ამავე დროს არ გარდაიქმნა ძველი სოციალურ-ეკონომიური წყობა, თუ არ მოხდა წვრილ ინდივიდუალურ მეურნეობათა გაერთიანება მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებად, თუ სოფლის მეურნეობაში არ აღმოიფხვრა კაპიტალიზმის ფესვები.

გასაგებია, რომ ამ გარემოებებმა არ შეიძლება არ გაართულონ ჩვენი სიძნელეები, არ შეიძლება არ გაართულონ ჩვენი მუშაობა ამ სიძნელეთა დაძლევის დარგში.

მესამეც, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დარგში ჩვენმა მუშაობამ, რომელიც სპობს კაპიტალიზმის ეკონომიურ კავშირურთიერთობას და თავდაყირა აყენებს ძველი სამყაროს ყველა ძალებს, არ შეიძლება არ გამოიწვიოს ამ ძალების გააფთრებული წინააღმდეგობა. ეს, როგორც ვიცით, ასეც არის. **ბურჟუაზიული ინტელიგენციის** ზედაფენის ბოროტი მავნებლობა ჩვენი მრეწველობის ყველა დარგში, **კულაკობის** მხეცური ბრძოლა მეურნეობის კოლექტიური ფორმების წინააღმდეგ სოფლად, საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა საბოტაჟი აპარატის **ბიუროკრატიული ელემენტების** მხრივ, რომლებიც კლასობრივი მტრის აგენტურას წარმოადგენენ, — ასეთია, ჯერჯერობით, ჩვენი ქვეყნის დრომოჭმული კლასების წინააღმდეგობის მთავარი ფორმები. ცხადია, ეს გარემოებანი ვერ გაგვიადვილებენ მუშაობას სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დარგში.

მეოთხეც, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყნის დრომოჭმული კლასების მიერ წინააღმდეგობის გაწევა წარმოებს არა გარესამყაროსაგან იზოლირებულად, არამედ მას მხარს უჭერს კაპიტალისტური გარემოცვა. კაპიტალისტური გარემოცვა არ შეიძლება უბრალო გეოგრაფიულ ცნებად მივიჩნიოთ. კაპიტალისტური გარემოცვა იმას ნიშნავს, რომ სსრ კავშირის გარშემო არიან მტრულად განწყობილი კლასობრივი ძალები, რომლებიც მზად არიან მხარი დაუჭირონ ჩვენს კლასობრივ მტრებს სსრ კავშირის შიგნით მორალურადაც, მატერიალურადაც, საფინანსო ბლოკადის გზითაც, და, თუ შემთხვევა იქნება, სამხედრო ინტერვენციის გზითაც. დამტკიცებულია, რომ ჩვენი სპეცების მავნებლობას, კულაკობის ანტისაბჭოთა გამოსვლებს, ჩვენი საწარმოებისა და ნაგებობათათვის ცეცხლის წაკიდებას და მათს აფეთქებას სუბსიდიებით უზრუნველყოფენ და აქეზებენ გარედან. იმპერიალისტური სამყარო დაინტერესებული არ არის იმით, რომ სსრ კავშირი მტკიცედ დადგეს ფეხზე და შესაძლებლობა მიეცეს დაეწიოს და გაუსწროს მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამიტომ უწევს იგი დახმარებას ძველი სამყაროს ძალებს სსრ კავშირში. გასაგებია, რომ ვერც ეს გარემოება გაგვიადვილებს მუშაობას რეკონსტრუქციის დარგში.

მაგრამ ჩვენი სიძნელეების დახასიათება სრული არ იქნება, თუ მხედველობაში არ მივიღეთ კიდევ ერთი გარემოება. საქმე ეხება ჩვენი სიძნელეების განსაკუთრებულ ხასიათს. საქმე ეხება იმას, რომ ჩვენი სიძნელეები წარმოადგენენ არა **დაქვეითების** სიძნელეებს ან **უძრაობის** სიძნელეებს, არამედ **ზრდის** სიძნელეებს, **აღმავლობის** სიძნელეებს, **წინსვლის** სიძნელეებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი სიძნელენი ძირეულად განსხვავდებიან კაპიტალისტური ქვეყნების სიძნელეთაგან. როცა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ

შტატებში სიძნელეებზე ლაპარაკობენ, მხედველობაში აქვთ **დაქვეითების** სიძნელეები, ვინაიდან ამერიკა ამჟამად განიცდის კრიზისს, ე. ი. მეურნეობის დაქვეითებას. როცა ინგლისში სიძნელეებზე ლაპარაკობენ, მხედველობაში აქვთ **უძრაობის** სიძნელეები, ვინაიდან ინგლისი უკვე რამდენიმე წელიწადია განიცდის უძრაობას, ე. ი. წინსვლის შეჩერებას. ხოლო როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ჩვენს სიძნელეებზე, მხედველობაში გვაქვს არა დაქვეითება და არა უძრაობა განვითარებაში, არამედ ჩვენი ძალების **ზრდა,** ჩვენი ძალების **ალმავლობა,** ჩვენი ეკონომიკის **წინსვლა.** რამდენი პუნქტით **წავიწიოთ წინ** ამა და ამ ვადისათვის, რამდენი პროცენტით **მეტი** პროდუქტები შევქმნათ, რამდენი მილიონი ჰექტარით **მეტი** დავთესოთ, რამდენი თვით **უფრო ადრე** ავაშენოთ ქარხანა, ფაბრიკა, რკინიგზა, — აი რა საკითხებს გულისხმობენ ჩვენში, როცა სიძნელეებზე ლაპარაკობენ. მაშასადამე, ჩვენი სიძნელეები, ვთქვათ, ამერიკის ან ინგლისის სიძნელეებისაგან განსხვავებით, **ზრდის** სიძნელეებია, **წინსვლის** სიძნელეებია.

ხოლო რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი სიძნელეები ისეთი სიძნელეებია, რომლებიც **თვითონ შეიცავენ მათი დაძლევის შესაძლებლობას.** ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი სიძნელეების დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ისინი **თვითონ გვაძლევენ ბაზას მათი დაძლევისათვის.**

რა გამომდინარეობს ყოველივე ნათქვამიდან?

აქედან, უწინარეს ყოვლისა, გამომდინარეობს ის, რომ ჩვენი სიძნელეები წარმოადგენენ არა წვრილმანი და შემთხვევითი «მოუწესრიგებლობის» სიძნელეებს, არამედ კლასობრივი ბრძოლის სიძნელეებს.

მეორეც, აქედან გამომდინარეობს ის, რომ ჩვენს სიძნელეებს უკან იმალებიან ჩვენი კლასობრივი მტრები, რომ ამ სიძნელეებს ართულებს ჩვენი ქვეყნის დრომოჭმული

კლასების გააფთრებული წინააღმდეგობა, ამ კლასებისათვის გარედან მხარის დაჭერა, ჩვენს საკუთარ დაწესებულებებში ბიუროკრატიული ელემენტების არსებობა, ურწმენობა და უძრაობა ჩვენი პარტიის ზოგიერთ ფენაში.

მესამეც, აქედან გამომდინარეობს ის, რომ სიძნელეთა გადასალახავად საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, მოვიგერიოთ კაპიტალისტური ელემენტების იერიშები, ჩავახშოთ მათი წინააღმდეგობა და, ამრიგად, გავკაფოთ გზა სწრაფი წინსვლისათვის.

დასასრულ, აქედან გამომდინარეობს, რომ თვით ხასიათი ჩვენი სიძნელეებისა, რომელნიც **ზრდის** სიძნელენი არიან, გვაძლევს ჩვენ ისეთ **შესაძლებლობებს,** რომლებიც საჭიროა კლასობრივი მტრების დასათრგუნავად.

მაგრამ ეს **შესაძლებლობანი** რომ გამოვიყენოთ და **სინამდვილედ** ვაქციოთ, კლასობრივი მტრების წინააღმდეგობა რომ დავთრგუნოთ და სიძნელეთა გადალახვას მივაღწიოთ, ამისათვის არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება: მოვაწყოთ **შეტევა** კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ **მთელ ფრონტზე** და მოვახდინოთ იზოლაცია ჩვენს საკუთარ რიგებში მყოფი ოპორტუნისტული ელემენტებისა, რომლებიც ხელს უშლიან შეტევას, პანიკით მოცულნი აქეთ-იქით აწყდებიან და პარტიაში შეაქვთ გამარჯვების რწმენის უქონლობა. (ტ ა შ ი).

სხვა საშუალება არ არსებობს.

მხოლოდ თავგზააბნეულ ადამიანებს შეუძლიათ ეძებონ გამოსავალი ბუხარინის ბალღურ ფორმულაში კაპიტალისტური ელემენტების სოციალიზმში მშვიდობიანი შეზრდის შესახებ. განვითარება ჩვენში მიმდინარეობდა და კვლავ მიმდინარეობს არა ბუხარინის ფორმულის მიხედვით. განვითარება მიმდინარეობდა და კვლავ მიმდინარეობს ლენინის

ფორმულის მიხედვით — «ვინ ვის». ჩვენ გავსრესთ და შევმუსრავთ მათ, ექსპლოატატორებს, თუ ისინი გაგვსრესენ და შეგვმუსრავენ ჩვენ, სსრ კავშირის მუშებსა და გლეხებს, — ასე დგას საკითხი, ამხანაგებო.

ამრიგად, **მთელ ფრონტზე სოციალიზმის შეტევის ორგანიზაცია**, — აი რა ამოცანა წამოიჭრა ჩვენს წინაშე **მთელი** სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის მუშაობის გაშლის დროს.

პარტიამ სწორედ ასე გაიგო თავისი მისია და მოაწყო შეტევა ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ.

ბ) მაგრამ დასაშვებია თუ არა საერთოდ შეტევა და ისიც მთელ ფრონტზე შეტევა ნეპის არსებობის პირობებში?

ზოგი ფიქრობს, რომ შეტევა შეუთავსებელია ნეპთან, რომ ნეპი, არსებითად, უკანდახევაა, რომ რაკი უკანდახევა დამთავრდა, ნეპი უნდა გაუქმდეს. ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა. სისულელე, რომელიც მომდინარეობს ან ტროცკისტებისაგან, რომლებმაც ვერაფერი გაიგეს ლენინიზმში და ფიქრობენ «ერთი დაკვრით» «გააუქმონ» ნეპი, ან მემარჯვენე ოპორტუნისტებისაგან, რომლებმაც აგრეთვე ვერაფერი გაიგეს ლენინიზმში და რომლებიც «ნეპის გაუქმების საფრთხეზე» ლაყბობით ფიქრობენ ხელი აგვაღებინონ შეტევაზე. ნეპი უკანდახევით რომ ამოიწურებოდეს, ლენინი აღარ იტყოდა პარტიის XI ყრილობაზე, როცა ნეპი ჩვენში მთელი თანმიმდევრობით ხორციელდებოდა, «უკანდახევა დამთავრდაო». განა ლენინი, როცა უკანდახევის დამთავრებაზე ლაპარაკობდა, ამავე დროს არ აცხადებდა, რომ ჩვენ ვფიქრობთ გავატაროთ ნეპი «სერიოზულად და დიდი ხნით»? საკმარისია დააყენო ეს საკითხი, რომ გაიგო, თუ რამდენად უაზროა ლაყბობა შეტევასთან ნეპის შეუთავსებლობის შესახებ. ნამდვილად ნეპი გულისხმობს არა მარტო **უკან-**

დახევას და კერძო ვაჭრობის გამოცოცხლების დაშვებას, კაპიტალიზმის გამოცოცხლების დაშვებას სახელმწიფოს მომწესრიგებელი როლის უზრუნველყოფის პირობით (ნეპის დაწყებითი სტადია). ნამდვილად ნეპი გულისხმობს ამასთან ერთად განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე სოციალიზმის **შეტევას** კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, კერძო ვაჭრობის სამოქმედო ასპარეზის **შევიწროებას**, კაპიტალიზმის შეფარდებითს და აბსოლუტურ **შემცირებას**, განსაზოგადოებული სექტორის მზარდ **უპირატესობას** განუსაზოგადოებელ სექტორთან შედარებით, სოციალიზმის გამარჯვებას კაპიტალიზმზე (ნეპის ახლანდელი სტადია). ნეპი შემოღებულია იმისათვის, რომ სოციალიზმმა გაიმარჯვოს კაპიტალისტურ ელემენტებზე. მთელი ფრონტით შეტევაზე რომ გადავდივართ, ამით ჩვენ როდი ვაუქმებთ ნეპს, ვინაიდან კერძო ვაჭრობა და კაპიტალისტური ელემენტები კიდევ რჩებიან, «თავისუფალი» საქონელბრუნვა კიდევ რჩება, — მაგრამ ჩვენ დანამდვილებით ვაუქმებთ ნეპის დაწყებითს სტადიას, ვავითარებთ მის შემდგომ სტადიას, ნეპის ახლანდელ სტადიას, რომელიც ნეპის უკანასკნელი სტადიაა.

აი რას ამბობდა ლენინი 1922 წელს, ნეპის შემოღებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ:

«ჩვენ ახლა უკან ვიხევთ, თითქოს უკან ვიხევთ, მაგრამ ამას იმისათვის ვშვრებით, რომ ჯერ უკან დავიხიოთ, შემდეგ კი გავქანდეთ და უფრო ძლიერ გადავხტეთ წინ. მხოლოდ ამ ერთი პირობით დავიხიეთ უკან ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარებაში... სად და როგორ უნდა გარდავქმნათ ახლა ჩვენი რიგები, შევეგუოთ, ხელახლა დავირაზმოთ, რათა უკანდახევის შემდეგ დავიწყოთ უაღრესად მედგარი შეტევა წინ, ეს ჯერ კიდევ არ ვიცით. ყველა ეს მოქმედება ნორმალური წესით რომ ჩატარდეს, ამისათვის საჭიროა, როგორც ანდაზა ამბობს, არა ათჯერ, არამედ ასჯერ გაზომო, სანამ გადაწყვეტდე» (ტ. XXVII, გვ. 361 — 362).

ვგონებ, ნათელია.

მაგრამ აი საკითხი: უკვე დადგა თუ არა დრო იმისათვის, რომ გადავიდეთ შეტევაზე, უკვე მომწიფდა თუ არა მომენტი შეტევისათვის?

ლენინი იმავე 1922 წელს სხვა ადგილას ამბობდა, რომ საჭიროა:

«მჭიდროდ შევუკავშირდეთ გლეხობის მასას, რიგითს მშრომელ გლეხობას, და შევუდგეთ წინსვლას განუზომლად, უსაზღვროდ უფრო ნელა, ვიდრე ვოცნებობდით, მაგრამ სამაგიეროდ ისე, რომ ჩვენთან ერთად ნამდვილად მოდიოდეს მთელი მასა»... რომ «მაშინ ამ მოძრაობის აჩქარებაც თავის დროზე ისეთი დადგება, რანაირზედაც ამჟამად ოცნებაც არ შეგვიძლია» (ტ. XXVII, გვ. 231 — 232).

და აი კვლავ იგივე საკითხი: უკვე დადგა თუ არა დრო მოძრაობის ასეთი აჩქარებისათვის, ჩვენი განვითარების ტემპის აჩქარებისათვის, სწორად შევარჩიეთ თუ არა მომენტი, 1929 წლის მეორე ნახევარში მთელი ფრონტით გადამწყვეტ შეტევაზე რომ გადავედით?

ამ კითხვაზე პარტიამ უკვე გასცა ნათელი და გარკვეული პასუხი.

დიახ, ასეთი მომენტი უკვე დადგა.

დიახ, პარტიამ სწორად შეარჩია მომენტი, მთელი ფრონტით შეტევაზე რომ გადავიდა.

ამას მოწმობს მუშათა კლასის მზარდი აქტივობა და პარტიის ავტორიტეტის უმაგალითო ზრდა მშრომელთა მილიონიან მასებში.

ამას მოწმობს ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების მზარდი აქტივობა და ამ მასების ძირეული მობრუნება საკოლმეურნეო მშენებლობისაკენ.

ამას მოწმობენ ჩვენი მიღწევები როგორც ინდუსტრიის განვითარების დარგში, ისე საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მშენებლობის დარგში.

ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ჩვენ ახლა შესაძლებლობა გვაქვს არა მარტო შევცვალოთ კულაკური წარმოება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებით, არამედ რამდენჯერმეც გადავაჭარბოთ მას.

ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ჩვენ შევძელით ძირითადად უკვე გადაგვეჭრა მარცვლეულის პრობლემა და დაგვეგროვებინა პურის ერთგვარი რეზერვები, გადავიტანეთ რა მარცვლეულის სასაქონლო პროდუქციის სიმძიმის ცენტრი ინდივიდუალური წარმოების დარგიდან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების დარგში.

აი სად არის იმის დადასტურება, რომ პარტიამ სწორად შეარჩია მომენტი, როცა მთელი ფრონტით გადავიდა შეტევაზე და გამოაცხადა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ლოზუნგი.

რა იქნებოდა, რომ დაგვეჯერებინა ბუხარინის ჯგუფის მემარჯვენე ოპორტუნისტებისათვის, რომ უარი გვეთქვა შეტევაზე, შეგვეკვეცა ინდუსტრიის განვითარების ტემპი, შეგვეფერხებინა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განვითარება და დავყრდნობოდით ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობას?

ჩვენ უთუოდ ჩავშლიდით ჩვენს ინდუსტრიას, დავღუპავდით სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეს, დავრჩებოდით უპუროდ და გზას გავუკაფავდით კულაკობის პარპაშს. ჩვენ მშრალზე დავრჩებოდით.

რა იქნებოდა, რომ დაგვეჯერებინა ტროცკი-ზინოვიევის ჯგუფის «მემარცხენე» ოპორტუნისტებისათვის და დაგვეწყო შეტევა 1926/27 წელს, როცა არავითარი შესაძლებლობა არ გვქონდა შეგვეცვალა კულაკური წარმოება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებით?

ჩვენ უთუოდ მარცხი მოგვივიდოდა ამ საქმეში, გამოვამჟღავნებდით ჩვენს სისუსტეს, გავაძლიერებდით კულაკო-

ბის და საერთოდ კაპიტალისტური ელემენტების პოზიციებს, საშუალო გლეხს პირს ვაბრუნებინებდით კულაკობისაკენ, ჩავშლიდით ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას და დავრჩებოდით უპუროდ. ჩვენ მშრალზე დავრჩებოდით.

შედეგები იგივეა.

ტყუილად კი არ ამბობენ ჩვენში მუშები: ««მარცხნივ» წახვალ — მარჯვნივ მიხვალო». (ტ ა შ ი).

ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ სოციალიზმის შეტევაში მთავარია რეპრესიები, ხოლო თუ რეპრესიები არ ძლიერდება, შეტევაც არ არის.

მართალია თუ არა ეს? ეს, რა თქმა უნდა, არ არის მართალი.

რეპრესიები სოციალისტური მშენებლობის დარგში შეტევის აუცილებელი ელემენტია, მაგრამ დამხმარე, და არა მთავარი ელემენტი. სოციალიზმის შეტევის დროს, ჩვენს ახლანდელ პირობებში, მთავარია ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპის გაძლიერება, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების განვითარების ტემპის გაძლიერება, ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების ეკონომიურად გამოდევნის ტემპის გაძლიერება, მასების მობილიზაცია სოციალისტური მშენებლობის გარშემო, მასების მობილიზაცია კაპიტალიზმის წინააღმდეგ. თქვენ შეგიძლიათ ათეულ და ასეულ ათასობით კულაკი დააპატიმროთ და გადაასახლოთ, მაგრამ თუ ამავე დროს არ გააკეთეთ ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ დაჩქარდეს მეურნეობის ახალი ფორმების მშენებლობა, შეიცვალოს მეურნეობის ძველი, კაპიტალისტური ფორმები ახალი ფორმებით, ძირი გამოეთხაროს და ბოლო მოეღოს სოფლის კაპიტალისტური ელემენტების ეკონომიური არსებობისა და განვითარების საწარმოო სათავეს, — კულაკობა სულ ერთია აღორძინდება და გაიზრდება.

სხვები ფიქრობენ, რომ სოციალიზმის შეტევა წარმოადგენს ხელაღებით წინსვლას, შესაფერი მომზადების ჩაუტარებლად, შეტევის მსვლელობაში ძალების გადაუჯგუფებლად, დაპყრობილი პოზიციების გაუმაგრებლად, წარმატებათა განვითარებისათვის რეზერვების გამოუყენებლად, ხოლო თუ გამოჩნდა, ვთქვათ, კოლმეურნეობებიდან გლეხების ერთი ნაწილის გასვლის ნიშნები, ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე გვაქვს «რევოლუციის უკუქცევა», მოძრაობის დაცემა, შეტევის შეჩერება.

მართალია თუ არა ეს? ეს, რა თქმა უნდა, არ არის მართალი.

ჯერ-ერთი, ვერც ერთი შეტევა, რა წარმატებითაც უნდა ვითარდებოდეს იგი, ვერ აიცილებს ერთგვარ გარღვევებს და წინწახტომას ფრონტის ცალკეულ უბნებზე. ამ საფუძვლით შეტევის შეჩერებაზე ან ჩაშლაზე ლაპარაკი ნიშნავს შეტევის არსის გაუგებლობას.

მეორეც, არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს **წარმატებითი** შეტევა თვით შეტევის მსვლელობაში ძალთა გადაუჯგუფებლად, დაპყრობილი პოზიციების გაუმაგრებლად, წარმატების განვითარებისა და შეტევის ბოლომდე მიყვანისათვის რეზერვების გამოუყენებლად. ხელაღებით წინსვლის დროს, ე. ი. თუ ეს პირობები დაცული არ არის, შეტევა უთუოდ დაკარგავს ძალას და ჩაიშლება. ხელაღებით წინსვლა სიკვდილია შეტევისათვის. ამას მოწმობს ჩვენი სამოქალაქო ომის მდიდარი გამოცდილება.

მესამეც, როგორ შეიძლება გაატარო ანალოგია «რევოლუციის უკუქცევასა», რომელიც ჩვეულებრივ წარმოიშობა მოძრაობის **დაცემის** ბაზაზე, და კოლმეურნეობებიდან გლეხობის ერთი ნაწილის გასვლას შორის, რომელიც წარმოიშვა მოძრაობის განუწყვეტელი **აღმავლობის** ბაზაზე, მთელი ჩვენი სოციალისტური მშენებლობის, როგორც სამრეწველო,

ისე საკოლმეურნეო მშენებლობის, განუწყვეტელი **აღმავლობის** ბაზაზე, ჩვენი რევოლუციის განუწყვეტელი **აღმავლობის** ბაზაზე? რა შეიძლება იყოს საერთო ამ ორ სრულიად სხვადასხვაგვარ მოვლენას შორის?

გ) რა არის ბოლშევიკური შეტევის არსი ჩვენს, თანამედროვე პირობებში?

ბოლშევიკური შეტევის არსი, უწინარეს ყოვლისა, იმ არის, რომ მოვახდინოთ მასების კლასობრივი სიფხიზლისა და რევოლუციური აქტივობის მობილიზაცია ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ; მოვახდინოთ მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და თვითმოქმედების მობილიზაცია ჩვენი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, რომელიც გასაჭანს არ აძლევს ჩვენი წყობილების წიაღში არსებულ კოლოსალურ რეზერვებს და არ გვანებებს მათს გამოყენებას; მოვაწყოთ მასების შეჯიბრება და შრომითი აღმავლობა შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად, სოციალისტური მშენებლობის გასაჩაღებლად.

ბოლშევიკური შეტევის არსი, მეორე მხრივ, ის არის, რომ მოვაწყოთ პროფკავშირული, კოოპერაციული, საბჭოთა და ყოველგვარი სხვა მასობრივი ორგანიზაციების მთელი პრაქტიკული მუშაობის გარდაქმნა რეკონსტრუქციის პერიოდის საჭიროებათა შესაბამისად; შევქმნათ ამ ორგანიზაციებში ბირთვი ყველაზე აქტიური და რევოლუციური მუშაკებისაგან, გავრიყოთ ოპორტუნისტული, ტრედ-უნიონისტური, ბიუროკრატიული ელემენტები და მოვახდინოთ მათი იზოლაცია; განვდევნოთ იქიდან უცხო და გადაგვარებული ელემენტები და დავაწინაუროთ ახალი მუშაკები ქვემოდან.

შემდეგ, ბოლშევიკური შეტევის არსი იმ არის, რომ მოვახდინოთ მაქსიმუმი სახსრების მობილიზაცია ჩვენი ინ-

დუსტრიის დასაფინანსებლად, ჩვენი საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების დასაფინანსებლად და გავგზავნოთ მთელი ამ საქმის გასაჩაღებლად ჩვენი პარტიის საუკეთესო ადამიანები.

დასასრულ, ბოლშევიკური შეტევის არსი ის არის, რომ მოვახდინოთ თვით პარტიის მობილიზაცია შეტევის მთელი საქმის მოსაწყობად; განვამტკიცოთ და დავხვეწოთ პარტიული ორგანიზაციები, განვდევნოთ იქიდან ბიუროკრატიზმისა და გადაგვარების ელემენტები; მოვახდინოთ ლენინური ხაზიდან მემარჯვენე და «მემარცხენე» გადახრების გამომხატველთა იზოლაცია, გავრიყოთ ისინი და წინ წამოვწიოთ ნამდვილი, მტკიცე ლენინელები.

ასეთია ბოლშევიკური შეტევის საფუძვლები ამჟამად.

როგორ ახორციელებდა პარტია შეტევის ამ გეგმას?

თქვენ იცით, რომ პარტია ამ გეგმას მთელი თანმიმდევრობით ახორციელებდა.

საქმე იმით დაიწყო, რომ პარტიამ გააჩაღა ფართო **თვითკრიტიკა,** მიაპყრო მასების ყურადღება ჩვენი მშენებლობის ნაკლოვანებებს, ჩვენი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ნაკლოვანებებს. ჯერ კიდევ XV ყრილობაზე გამოცხადებულ იქნა თვითკრიტიკის გაძლიერების საჭიროება. ერთი მხრივ შახტის საქმემ და მავნებლობამ მრეწველობის სხვადასხვა დარგში, რამაც გამოააშკარავა რევოლუციური ალღოს უქონლობა პარტიის ცალკეულ რგოლებში, მეორე მხრივ კულაკობასთან ბრძოლამ და ჩვენი სოფლის ორგანიზაციების გამომჟღავნებულმა ნაკლოვანებებმა შემდგომი ბიძგი მისცეს თვითკრიტიკას. თავის 1928 წლის 2 ივნისის მიმართვაში [49] ცენტრალურმა კომიტეტმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა თვითკრიტიკის კამპანია, მოუწოდა პარტიისა და მუშათა კლასის მთელ ძალებს გაეჩაღებინათ თვითკრიტიკა «ზევიდან ქვევით და ქვევიდან ზევით», «განურჩევლად პი-

როვნებისა». გაემიჯნა რა ტროცკისტულ «კრიტიკას», რომელიც ბარიკადის გადაღმიდან მოდის და რომლის მიზანიც არის საბჭოთა ხელისუფლების დისკრედიტაცია და დასუსტება, პარტიამ თვითკრიტიკის ამოცანად გამოაცხადა მთელი ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებათა ულმობელი მხილება ჩვენი მშენებლობის **გასაუმჯობესებლად**, საბჭოთა ხელისუფლების **განსამტკიცებლად**. ცნობილია, რომ პარტიის მოწოდებამ უაღრესად ცხოველი გამოხმაურება პოვა მუშათა კლასისა და გლეხობის მასებში.

შემდეგ, პარტიამ მოაწყო ფართო კამპანია **ბიუროკრატიზმის** წინააღმდეგ საბრძოლველად, წამოაყენა ლოზუნგი პარტიული, პროფკავშირული, კოოპერაციული და საბჭოთა ორგანიზაციების **წმენდისა** უცხო და გაბიუროკრატებული ელემენტებისაგან. ამ კამპანიის განგრძობას წარმოადგენს ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1930 წლის 16 მარტის ცნობილი დადგენილება სახელმწიფო აპარატში მუშების დაწინაურებისა და საბჭოთა აპარატისადმი მუშათა მასობრივი კონტროლის შესახებ (ქარხნების შეფობა) [50]. ცნობილია, რომ ამ კამპანიამ მუშათა მასების უდიდესი აღმავლობა და აქტივობა გამოიწვია. ამ კამპანიის შედეგია პარტიის ავტორიტეტის უდიდესი ზრდა მშრომელთა მასებში, პარტიისადმი მუშათა კლასის ნდობის ზრდა, პარტიაში ახალი ასეული ათასობით მუშების შესვლა, მუშების რეზოლუციები პარტიაში მთელი საამქროობით და ქარხნობით შესვლის სურვილის შესახებ. დასასრულ, ამ კამპანიის შედეგია ჩვენი ორგანიზაციების განთავისუფლება მთელი რიგი დახავსებული და ბიუროკრატიული ელემენტებისაგან, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს განთავისუფლება ძველი, ოპორტუნისტული ხელმძღვანელობისაგან.

შემდეგ, პარტიამ მოაწყო ფართო სოციალისტური **შეჯიბრება** და მასობრივი **შრომითი ალმავლობა** ფაბრიკებსა და ქარხნებში. პარტიის XVI კონფერენციის მოწოდებამ შეჯიბრების შესახებ საქმე რელსებზე დააყენა. დამკვრელ ბრიგადებს ეს საქმე უფრო წინ მიჰყავთ. ლენინური კომკავშირი და მუშა ახალგაზრდობა, რომელსაც კომკავშირი ხელმძღვანელობს, გადამწყვეტი წარმატებებით აგვირგვინებენ შეჯიბრებისა და დამკვრელობის საქმეს. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენმა რევოლუციურმა ახალგაზრდობამ ამ საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულა. ახლა უკვე შეუძლებელია იმაში დაეჭვება, რომ ამჟამად ჩვენი მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტია, თუ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი არა, ფაბრიკებისა და ქარხნების სოციალისტური შეჯიბრება, ასეულათასობით მუშის ურთიერთგამოძახება შეჯიბრებით მიღწეული შედეგების შესახებ, დამკვრელობის ფართოდ განვითარება.

მხოლოდ ბრმები ვერ ხედავენ, რომ მასების ფსიქოლოგიაში და შრომისადმი მათს დამოკიდებულებაში მოხდა უდიდესი გარდატეხა, რომელმაც ძირეულად შეცვალა ჩვენი ქარხნებისა და ფაბრიკების სახე. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ჩვენში კიდევ გაისმოდა ხმები შეჯიბრებისა და დამკვრელობის «ხელოვნურობისა» და «უნიადაგობის» შესახებ. ახლა ეს «ბრძენი» ადამიანები დაცინვის ღირსადაც არ მიაჩნიათ, — მათ პირდაპირ დრომოჭმულ «ბრძენებად» თვლიან. ახლა შეჯიბრებისა და დამკვრელობის საქმე უკვე მოპოვებული და განმტკიცებული საქმეა. ფაქტია, რომ ჩვენში სოციალისტურ შეჯიბრებაში ორ მილიონზე მეტი მუშაა ჩაბმული, დამკვრელ ბრიგადებში კი — სულ ცოტა ერთი მილიონი მუშა.

შეჯიბრებაში ყველაზე შესანიშნავი ის არის, რომ იგი ძირეულ გარდატეხას ახდენს ადამიანთა შეხედულებაში

შრომაზე, ვინაიდან იგი შრომას სათაკილო და მძიმე ტვირთისაგან, რადაც ის წინათ მიაჩნდათ, აქცევს **ღირსების** საქმედ, **დიდების** საქმედ, **მამაცობისა** და **გმირობის** საქმედ. ამის მსგავსი არაფერია და არც შეიძლება იყოს კაპიტალისტურ ქვეყნებში. იქ, მათთან, კაპიტალისტებთან, ყველაზე სასურველი საქმე, რომელიც საზოგადოებრივ მოწონებას იმსახურებს, ის არის, რომ გქონდეს რენტა, ცხოვრობდე პროცენტებით, არ გჭირდებოდეს შრომა, რომელიც სამარცხვინო საქმედ ითვლება. ჩვენში, სსრ კავშირში, პირიქით, ყველაზე სასურველ საქმედ, რომელიც საზოგადოებრივ მოწონებას იმსახურებს, ხდება იმის შესაძლებლობა, რომ. იყო შრომის გმირი, შესაძლებლობა, რომ იყო დამკვრელობის გმირი, პატივისცემის შარავანდედით მოსილი მილიონობით მშრომელთა შორის.

შეჯიბრებაში არა ნაკლებ შესანიშნავ ფაქტად უნდა ჩაითვალოს ის, რომ შეჯიბრება უკვე ვრცელდება სოფლადაც, მან უკვე მოიცვა ჩვენი საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები. ყველასათვის ცნობილია საბჭოთა მეურნეობების მუშათა და კოლმეურნეთა მილიონიან მასებში ნამდვილი შრომითი ენთუზიაზმის მრავალი ფაქტი.

ვის შეეძლო ამ ორიოდე წლის წინათ ოცნება შეჯიბრებისა და დამკვრელობის ასეთ წარმატებებზე?

შემდეგ, პარტიამ მოახდინა ქვეყნის საფინანსო რესურსების მობილიზაცია საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების სამის გასაშლელად, მისცა საბჭოთა მეურნეობებს საუკეთესო ორგანიზატორები, მიაშველა კოლმეურნეობებს 25 ათასი მოწინავე მუშა, დააწინაურა საუკეთესო ადამიანები კოლმეურნე გლეხებიდან კოლმეურნეობებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად, მოაწყო კოლმეურნეთა კურსების ქსელი და, ამრიგად, საფუძველი ჩაუ-

ყარა საკოლმეურნეო მოძრაობის მტკიცე და ნაცადი კადრების აღზრდას.

დასასრულ, პარტიამ საბრძოლო ყაიდაზე გარდაქმნა თავისი საკუთარი რიგები, ხელახლა შეაიარაღა პრესა, მოაწყო ბრძოლა ორ ფრონტზე, გაანადგურა ტროცკიზმის ნაშთები, სასტიკად დაამარცხა მემარჯვენე უკლონისტები, მოახდინა შემარიგებლების იზოლაცია, უზრუნველყო, ამრიგად, თავისი რიგების ერთიანობა ლენინური ხაზის ბაზაზე, რაც აუცილებელია წარმატებითი შეტევისათვის, და სწორად უხელმძღვანელა შეტევას, ამასთან დატუქსა და სათანადო ადგილი მიუჩინა როგორც თანდათანობის მქადაგებლებს მემარჯვენეთა ბანაკიდან, ისე «მემარცხენე» გადამხვევებს საკოლმეურნეო მოძრაობის დარგში.

ასეთია პარტიის ძირითადი ღონისძიებანი, რომლებიც ჩაატარა მან მთელ ფრონტზე შეტევის განსახორციელებლად.

ყველამ იცის, რომ ეს შეტევა წარმატებით დაგვირგვინდა ჩვენი მუშაობის ყველა დარგში.

აი სად არის იმის მიზეზი, რომ ჩვენ მოვახერხეთ ჩვენი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდის მთელ რიგ სიძნელეთა გადალახვა.

აი სად არის იმის მიზეზი, რომ ჩვენ ვახერხებთ ჩვენი მშენებლობის ყველაზე დიდი სიძნელის, სოციალიზმისაკენ გლეხობის ძირითადი მასების მობრუნების სიძნელის წარმატებით გადალახვას.

უცხოელები ზოგჯერ კითხულობენ, თუ როგორია სსრ კავშირის საშინაო მდგომარეობა. მაგრამ განა შეიძლება იმაში დაეჭვება, რომ სსრ კავშირის საშინაო მდგომარეობა მტკიცე და ურყევია? შეხედეთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, ამ ქვეყნებში კრიზისისა და უმუშევრობის ზრდას, გაფიცვებსა და ლოკაუტებს, მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციებს, — როგორ შეიძლება ამ ქვეყნების საშინაო

მდგომარეობის შედარება სსრ კავშირის საშინაო მდგომარეობასთან?

უნდა ვაღიაროთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ახლა ყველაზე მტკიცე ხელისუფლებაა მსოფლიოში არსებულ ხელისუფლებათა შორის. (ტ ა შ ი).

8. მეურნეობის კაპიტალისტური თუ სოციალისტური სისტემა

ამრიგად, ჩვენ გვაქვს სსრ კავშირის საშინაო მდგომარეობის სურათი.

ამავე დროს ჩვენ გვაქვს უმთავრესი კაპიტალისტური ქვეყნების საშინაო მდგომარეობის სურათი.

უნებურად იბადება კითხვა: რა შედეგები იქნება, თუ ერთმანეთს დავუპირისპირებთ და შევადარებთ ამ ორ სურათს?

ეს კითხვა მით უფრო საინტერესოა, რომ ყველა ქვეყნის ბურჟუაზიული მოღვაწენი, ყველა ხარისხისა და რანგის ბურჟუაზიული პრესა, აშკარა კაპიტალისტურით დაწყებული მენშევიკურ-ტროცკისტულამდე, ერთხმად გაჰყვირიან კაპიტალისტური ქვეყნების «აყვავებაზე», სსრ კავშირის «დაღუპვაზე», სსრ კავშირის «ფინანსურ და სამეურნეო კრახზე» და სხვ.

მაშ როგორია ჩვენი, სსრ კავშირის, და მათი, კაპიტალისტური ქვეყნების, მდგომარეობის ანალიზის შედეგები?

აღვნიშნოთ მთავარი, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები.

იქ, კაპიტალისტებთან, ეკონომიური **კრიზისი** და წარმოების **დაცემა** როგორც მრეწველობის დარგში, ისე სოფლის მეურნეობის დარგში.

ჩვენში, სსრ კავშირში, ეკონომიური **აღმავლობა** და წარმოების **ზრდა** სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

იქ, კაპიტალისტებთან, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის **გაუარესება**, მუშათა ხელფასის **შემცირება** და უმუშევრობის **ზრდა**.

ჩვენში, სსრ კავშირში, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის **აღმავლობა,** მუშათა ხელფასის **გადიდება** და უმუშევრობის **შემცირება.**

იქ, კაპიტალისტებთან, გაფიცვებისა და დემონსტრაციების **ზრდა,** რაც იწვევს მილიონობით სამუშაო დღის **დაკარგვას.**

ჩვენში, სსრ კავშირში, გაფიცვების არარსებობა და მუშათა და გლეხთა შრომითი აღმავლობის **ზრდა,** რაც ჩვენს წყობილებას მრავალ მილიონ დამატებითს სამუშაო დღეს **აძლევს.**

იქ, კაპიტალისტებთან, ხაშინაო მდგომარეობის გამწვავება და კაპიტალისტური რეჟიმის წინააღმდეგ მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის **ზრდა.**

ჩვენში, სსრ კავშირში, საშინაო მდგომარეობის **განმტკიცება** და მუშათა კლასის მილიონიანი მასების **მჭიდროდ დარაზმვა** საბჭოთა ხელისუფლების გარშემო.

იქ, კაპიტალისტებთან, ნაციონალური საკითხის **გამწვავება** და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის **ზრდა** ინდოეთში, ინდო-ჩინეთში, ინდონეზიაში, ფილიპინის კუნძულებზე და სხვ., რაც **ეროვნულ ომად** იქცევა.

ჩვენში, სსრ კავშირში, ეროვნული ძმობის საფუძვლების **განმტკიცება, უზრუნველყოფილი** ეროვნული **მშვიდობა** და სსრ კავშირის ხალხთა მილიონიანი მასების **მჭიდროდ დარაზმვა** საბჭოთა ხელისუფლების გარშემო.

იქ, კაპიტალისტებთან, **დაბნეულობა** და მდგომარეობის **შემდგომი გაუარესების** პერსპექტივა.

ჩვენში, სსრ კავშირში, **საკუთარი ძალებისადმი რწმენა** და მდგომარეობის შემდგომი **გაუმჯობესების** პერსპექტივა.

ლაყბობენ სსრ კავშირის «დაღუპვაზე», კაპიტალისტური ქვეყნების «აყვავებაზე» და სხვ.. განა უფრო სწორი **არ** იქნება ვილაპარაკოთ იმათ გარდუვალ დაღუპვაზე,

ვინც ასე «მოულოდნელად» მოჰყვნენ ეკონომიური კრიზისის ორომტრიალში და ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებიათ თავი დააღწიონ დაქვეითების ჭაობს?

სად არის მიზეზები ესოდენ სერიოზული **მარცხისა** იქ, კაპიტალისტებთან, და სერიოზული **წარმატებებისა** ჩვენში, სსრ კავშირში?

ამბობენ, სახალხო მეურნეობის მდგომარეობა ბევრად დამოკიდებულია კაპიტალების სიუხვესა თუ ნაკლებობაზეო. ეს, რა თქმა უნდა, მართალია! ხომ არ აიხსნება კრიზისი კაპიტალისტურ ქვეყნებში და აღმავლობა სსრ კავშირში იმით, რომ ჩვენში კაპიტალების სიუხვეა, ხოლო იქ კაპიტალების ნაკლებობაა? არა, რა თქმა უნდა, არა. ყველამ იცის, რომ კაპიტალები სსრ კავშირში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამ შემთხვევაში საქმეს დაგროვების მდგომარეობა რომ **წყვეტდეს**, ჩვენში კრიზისი იქნებოდა, კაპიტალისტურ ქვეყნებში კი — აღმავლობა.

ამბობენ, მეურნეობის მდგომარეობა ბევრად დამოკიდებულია სამეურნეო კადრების ტექნიკურ და ორგანიზაციულ მომზადებაზეო. ეს, რა თქმა უნდა, მართალია. ხომ არ აიხსნება კრიზისი კაპიტალისტურ ქვეყნებში და აღმავლობა სსრ კავშირში იმით, რომ იქ ტექნიკური კადრების ნაკლებობაა, ჩვენში კი ამ კადრების სიუხვეა? არა, რა თქმა უნდა, არა! ყველამ იცის, რომ ტექნიკურად გამოცდილი კადრები კაპიტალისტურ ქვეყნებში გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვენში, სსრ კავშირში. ჩვენ არასოდეს არ დაგვიმალავს და არც ვაპირებთ დავმალოთ, რომ ტექნიკის დარგში ჩვენ გერმანელების, ინგლისელების, ფრანგების, იტალიელების და, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, ამერიკელების მოწაფეები ვართ. არა, საქმეს აქ ტექნიკური კადრების სიუხვე თუ ნაკლებობა როდი წყვეტს, თუმცა კად-

რების პრობლემას სერიოზული მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის.

იქნებ საკითხი იმით აიხსნება, რომ კულტურული მდგომარეობის დონე ჩვენში უფრო მაღალია, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში? არა, არც ამით. ყველამ იცის, რომ მასების საერთო კულტურული დონე ჩვენში უფრო დაბალია, ვიდრე ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, გერმანიაში. არა, საქმე აქ მასების კულტურულობა როდია, თუმცა ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის.

იქნებ აქ მიზეზი კაპიტალისტური ქვეყნების ხელმძღვანელთა პირადი თვისებებია? არა, არც ესაა მიზეზი. კრიზისები იშვნენ კაპიტალიზმის ბატონობის დადგომასთან ერთად. უკვე საუკუნეზე მეტია, რაც ხდება კაპიტალიზმის პერიოდული ეკონომიური კრიზისები, რომლებიც ყოველი 12 — 10 — 8 წლის და ნაკლები ხნის შემდეგ მეორდება. კაპიტალიზმის ყველა პარტიას, კაპიტალიზმის ყველა ცოტად თუ ბევრად გამოჩენილ მოღვაწეს, ყველაზე «გენიალურით» დაწყებული და ყველაზე ჩვეულებრივით დამთავრებული, უცდია თავისი ძალა კრიზისის «აცილების» თუ «მოსპობის» საქმეში. მაგრამ ისინი ყველანი მარცხდებოდნენ. რა არის გასაკვირველი იმაში, თუ ჰუვერიც თავის ჯგუფიანად დამარცხდა? არა, საქმე აქ კაპიტალიზმის ხელმძღვანელებში ან პარტიებში როდია, თუმცა კაპიტალიზმის ხელმძღვანელებსაც და პარტიებსაც აქ მცირე მნიშვნელობა არა აქვთ.

მაშ რაშია საქმე?

რა არის იმის მიზეზი, რომ სსრ კავშირი, მიუხედავად მისი კულტურული ჩამორჩენილობისა, მიუხედავად კაპიტალების ნაკლებობისა, მიუხედავად ტექნიკურად მომზადებული სამეურნეო კადრების სიმცირისა, მზარდი ეკონომიური **ალმავლობის** მდგომარეობაშია და გადამწყვეტი წარ-

მატებები აქვს ეკონომიური მშენებლობის ფრონტზე, ხოლო მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნები, მიუხედავად კაპიტალების სიუხვისა, ტექნიკური კადრების სიუხვისა და კულტურულობის უფრო მაღალი დონისა, მზარდი ეკონომიური **კრიზისის** მდგომარეობაში არიან და სამეურნეო განვითარების საქმეში **დამარცხებას დამარცხებაზე** განიცდიან?

მიზეზია ჩვენი და კაპიტალისტების მეურნეობის ეკონომიურ **სისტემათა განსხვავება.**

მიზეზია მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის **უნიადაგობა.**

მიზეზია მეურნეობის საბჭოთა სისტემის **უპირატესობანი** კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით.

რა არის მეურნეობის საბჭოთა სისტემა?

მეურნეობის საბჭოთა სისტემა ნიშნავს იმას, რომ:

1) კაპიტალისტთა და მემამულეთა კლასის ძალაუფლება დამხობილია და შეცვლილია მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ძალაუფლებით;

2) წარმოების იარაღები და საშუალებანი, მიწა, ფაბრიკები, ქარხნები და სხვ. ჩამოერთვა კაპიტალისტებს და გადაეცა საკუთრებად მუშათა კლასს და გლეხობის მშრომელ მასებს;

3) წარმოების განვითარება ემორჩილება არა კონკურენციისა და კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფის პრინციპს, არამედ გეგმიანი ხელმძღვანელობისა და მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის სისტემატური ამაღლების პრინციპს;

4) სახალხო შემოსავლის განაწილება ხდება არა ექსპლოატატორული კლასებისა და მათი მრავალრიცხოვანი პარაზიტი დამქაშების გამდიდრების ინტერესებისათვის, არამედ მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობის სისტემატური გაუმჯობესებისა და ქალაქად და სოფლად

სოციალისტური წარმოების გაფართოების ინტერესებისათვის;

5) მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის სისტემატური გაუმჯობესება და მათი მოთხოვნილებების (მყიდველობითი უნარის) შეუჩერებელი ზრდა, წარმოადგენს რა წარმოების გაფართოების განუწყვეტლივ მზარდ წყაროს, უზრუნველყოფს მშრომელებს ჭარბი წარმოების კრიზისებისაგან, უმუშევრობისა და სიღატაკის ზრდისაგან;

6) მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა არიან ქვეყნის ბატონ-პატრონები, რომლებიც მუშაობენ არა კაპიტალისტებისათვის, არამედ თავიანთი მშრომელი ხალხისათვის.

რა არის მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა?

მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა ნიშნავს იმას, რომ:

1) ძალაუფლება ქვეყანაში ეკუთვნით კაპიტალისტებს;

2) წარმოების იარაღები და საშუალებანი თავმოყრილია ექსპლოატატორთა ხელში;

3) წარმოება ემორჩილება არა მშრომელი მასების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების პრინციპს, არამედ დიდი კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფის პრინციპს;

4) სახალხო შემოსავლის განაწილება ხდება არა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ინტერესებისათვის, არამედ ექსპლოატატორთა მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის;

5) კაპიტალისტურ რაციონალიზაციას და წარმოების სწრაფ ზრდას, რის მიზანიც არის კაპიტალისტთა დიდი მოგების უზრუნველყოფა, დაბრკოლებად ეღობება მშრომელთა მილიონიანი მასების ღატაკური მდგომარეობა და მათი მატერიალური უზრუნველყოფის დაქვეითება, მშრომელთა მასებისა, რომლებსაც ყოველთვის როდი აქვთ შესაძლებლობა დაიკმაყოფილონ თავიანთი

მოთხოვნილებანი უკიდურესი მინიმუმის ფარგლებშიც კი, რაც აუცილებლად უქმნის ნიადაგს ჭარბი წარმოების გარდუვალ კრიზისებს, უმუშევრობის ზრდას, მასების სიღატაკის ზრდას;

ბ) მუშათა კლასი და მშრომელი გლეხები ექსპლოატირებულნი არიან, მუშაობენ არა თავისთვის, არამედ სხვა კლასისათვის, ექსპლოატატორთა კლასისათვის.

ასეთია მეურნეობის **საბჭოთა** სისტემის უპირატესობანი **კაპიტალისტურ** სისტემასთან შედარებით.

ასეთია მეურნეობის **სოციალისტური** ორგანიზაციის უპირატესობანი **კაპიტალისტურ** ორგანიზაციასთან შედარებით.

აი სად არის იმის მიზეზი, რომ ჩვენში, სსრ კავშირში, მზარდი ეკონომიური აღმავლობაა, იქ კი, კაპიტალისტებთან, მზარდი ეკონომიური კრიზისია.

აი სად არის იმის მიზეზი, რომ ჩვენში, სსრ კავშირში, მასების მოხმარების (მყიდველობითი უნარის) ზრდა მუდამ წინ უსწრებს წარმოების ზრდას, წინ სწევს მას, იქ კი, კაპიტალისტებთან, პირიქით, მასების მოხმარების (მყიდველობითი უნარის) ზრდა ვერასოდეს ვერ ეწევა წარმოების ზრდას, მუდამ უკან ჩამორჩება-მას და წარამარა განუმზადებს წარმოებას კრიზისებს.

აი სად არის იმის მიზეზი, რომ იქ, კაპიტალისტებთან, სავსებით ნორმალურად ითვლება კრიზისების დროს «ჭარბი» საქონლის მოსპობა და «ნამეტი» სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დაწვა, რათა შეინარჩუნონ მაღალი ფასები და უზრუნველყონ დიდი მოგება, მაშინ როცა ჩვენში, სსრ კავშირში, ამგვარი დანაშაულის ჩამდენთ საგიჟეთში გაგზავნიდნენ. (ტ ა შ ი).

აი სად არის იმის მიზეზი, რომ იქ, კაპიტალისტებთან, მუშები გაფიცვებსა და დემონსტრაციებს მართავენ, აწყობენ რა რევოლუციურ ბრძოლას არსებული კაპიტალისტური ხელისუფლების წინააღმდეგ, მაშინ როცა ჩვენში, სსრ

კავშირში, ჩვენს თვალწინ გადაშლილია სურათი მილიონობით მუშათა და გლეხთა დიადი შრომითი შეჯიბრებისა, რომელნიც მზად არიან თავიანთი მკერდით დაიცვან საბჭოთა ხელისუფლება.

აი სად არის იმის მიზეზი, რომ სსრ კავშირის საშინაო მდგომარეობა მყარი და მტკიცეა, ხოლო კაპიტალისტური ქვეყნების საშინაო მდგომარეობა მყარი არ არის და მერყევია.

უნდა ვაღიაროთ, რომ მეურნეობის იმ სისტემას, რომელმაც არ იცის, სად წაიღოს თავისი წარმოების «ნამეტი» საქონელი, და იძულებულია დაწვას იგი იმ დროს, როცა მასებში გაჭირვება და უმუშევრობა, შიმშილი და სილატაკე მეფობს, — მეურნეობის ასეთ სისტემას თვითონ გამოაქვს თავისი სასიკვდილო განაჩენი.

უკანასკნელი წლები იყო მეურნეობის ორი მოპირდაპირე სისტემის, საბჭოთა სისტემისა და კაპიტალისტური სისტემის პრაქტიკული შემოწმების პერიოდი, გამოცდის პერიოდი. ამ წლების განმავლობაში ძალიან ბევრი წინასწარმეტყველება გვსმენია საბჭოთა სისტემის «დაღუპვისა» და «კრახის» შესახებ. უფრო მეტი იყო ლაპარაკი და ქება-დიდება კაპიტალიზმის «აყვავების» შესახებ. მერე რას ვხედავთ? ამ წლებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს, რომ მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა **უნიადაგო** სისტემაა, რომ მეურნეობის საბჭოთა სისტემას აქვს ისეთი **უპირატესობანი,** რომლებზე ოცნებასაც ვერ გაბედავს ვერც ერთი ბურჟუაზიული სახელმწიფო, თუნდაც იგი იყოს უაღრესად «დემოკრატიული», «საერთო-სახალხო» და სხვ.

თავის სიტყვაში რკპ(ბ) კონფერენციაზე 1921 წლის მაისში ლენინი ამბობდა:

«ამჟამად მთავარ ზეგავლენას საერთაშორისო რევოლუციაზე ჩვენი სამეურნეო პოლიტიკით ვახდენთ. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას შემოსცქერის ყველა, მსოფლიოს ყველა ქვეყნის ყველა მშრომელი,

სრულიად უკლებლივ და სრულიად გაუზვიადებლად. ეს მიღწეულია. კაპიტალისტებს არაფრის მიჩქმალვა და დაფარვა არ შეუძლიათ, ამიტომ ისინი ყველაზე უფრო ებღაუჭებიან ჩვენს სამეურნეო შეცდომებს და ჩვენს სისუსტეს. ამ ასპარეზზეა გადატანილი ბრძოლა მსოფლიო მასშტაბით. გადავწყვეტთ ამ ამოცანას — და მაშინ უეჭველად და საბოლოოდ გავიმარჯვებთ საერთაშორისო მასშტაბით» (ტ. XXVI, გვ. 410 — 411).

უნდა ვალიაროთ, რომ ლენინის მიერ დასახულ ამოცანას ჩვენი პარტია წარმატებით ასრულებს.

9. მოკრიბი ამოცანები

ა) ზოგადი ამოცანები

1) უწინარეს ყოვლისა **სსრ კავშირში მრეწველობის სწორი განლაგების** პრობლემა. რანაირადაც უნდა განვავითაროთ სახალხო მეურნეობა, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ საკითხს, თუ როგორ განვალაგოთ სწორად მრეწველობა როგორც სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგი. ამჟამად საქმის ვითარება ისეთია, რომ ჩვენი მრეწველობა, ისევე როგორც ჩვენი სახალხო მეურნეობა, ეყრდნობა ძირითადად ქვანახშირისა და მეტალურგიის ბაზას უკრაინაში. გასაგებია, რომ ასეთი ბაზის გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. და ასეთ ბაზას ჩვენში წარმოადგენს უკრაინის სათბობისა და მეტალურგიის ბაზა.

მაგრამ შეუძლია თუ არა მარტო ამ ბაზას შემდეგშიც დააკმაყოფილოს სსრ კავშირის სამხრეთიც, ცენტრალური ნაწილიც, ჩრდილოეთიც, ჩრდილო-აღმოსავლეთიც, შორეული აღმოსავლეთიც, თურქესტანიც? ყველა მონაცემი იმას მოწმობს, რომ არ შეუძლია. ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებაში ახალი, სხვათა შორის, ის არის, რომ ეს ბაზა აღარ კმარა ჩვენთვის. ახალი ის არის, რომ, შემდეგშიც ყოველნაირად განვავითარებთ რა ამ ბაზას, ამავე დროს დაუყოვნებლივ შევუდგეთ ქვანახშირისა და მეტალურგიის მეორე ბაზის შექმნას. ასეთი ბაზა

უნდა იყოს ურალ-კუზნეცკის კომბინატი — კუზნეცკის კოქსვადი ქვანახშირისა და ურალის მადნის შეერთება. (ტაში). საავტომობილო ქარხნის აგება ნიჟნი-ნოვგოროდში, სატრაქტორო ქარხნისა — ჩელიაბინსკში, მანქანათმშენებელი ქარხნისა — სვერდლოვსკში, კომბაინის ქარხნებისა — სარატოვსა და ნოვოსიბირსკში; მზარდი ფერადი მეტალურგიის არსებობა ციმბირსა და ყაზახეთში, რაც მოითხოვს სარემონტო სახელოსნოების ქსელისა და მთელი რიგი ძირითადი მეტალურგიული ქარხნების შექმნას აღმოსავლეთში; დასასრულ, გადაწყვეტილება ნოვოსიბირსკსა და თურქესტანში საფეიქრო ფაბრიკების აშენების შესახებ, — ყოველივე ეს კატეგორიულად მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ შევუდგეთ ქვანახშირისა და მეტალურგიის მეორე ბაზის შექმნას ურალში.

თქვენ იცით, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სწორედ ასეთი აზრი გამოთქვა თავის რეზოლუციაში ურალმეტის შესახებ [61].

2) შემდეგ, სსრ კავშირში **სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების სწორი განლაგების** პრობლემა, პრობლემა **ჩვენი ოლქების სპეციალიზაციისა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და დარგების მიხედვით.** გასაგებია, რომ წვრილგლეხური მეურნეობის პირობებში სპეციალიზაციის ხერხიოზულად გატარება შეუძლებელია. შეუძლებელია, ვინაიდან წვრილი მეურნეობა, როგორც მერყევი და საჭირო რეზერვებს მოკლებული მეურნეობა, იძულებულია გააშენოს ყველა და ყოველგვარი კულტურა, რათა იმ შემთხვევაში, თუ ზოგი კულტურის დარგში დაზარალდა, შესძლოს თავის გატანა სხვა კულტურებით. გასაგებია აგრეთვე, რომ თუ სახელმწიფოს ხელში უზრუნველყოფილი არ იქნა მარცვლეულის განსაზღვრული რეზერვები, ისე შეუძლებელია სპეციალიზაციის საქმის დაყენება. ახლა, როცა ჩვენ მსხვილ მეურნეობაზე გადავედით და უზრუნველვყო-

ვით სახელმწიფოს ხელში მარცვლეულის რეზერვები, შეგვიძლია დავისახოთ და უნდა დავისახოთ ამოცანა სპეციალიზაციის სწორი ორგანიზაციისა კულტურების და დარგების მიხედვით. ამასთან ამ საქმის გამოსავალი პუნქტია მარცვლეულის პრობლემის საბოლოოდ გადაჭრა. მე ვამბობ «გამოსავალი პუნქტი», ვინაიდან თუ არ გადავჭერით მარცვლეულის პრობლემა, თუ არ მოვაწყეთ მარცვლეულის საწყობების მდიდარი ქსელი მეცხოველეობის, მებამბეობის, მეჭარხლეობის, მესელეობის, მეთამბაქოობის რაიონებში, ისე შეუძლებელი იქნება მეცხოველეობისა და ტექნიკური კულტურების წინ წაწევა, შეუძლებელი იქნება კულტურებისა და დარგების მიხედვით ჩვენი ოლქების სპეციალიზაციის მოწყობის უზრუნველყოფა.

ამოცანა ის არის, რომ გამოვიყენოთ ახალი შესაძლებლობანი და წინ წავწიოთ ეს საქმე.

3) შემდეგია **კადრების** პრობლემა როგორც მრეწველობის დარგში, ისე სოფლის მეურნეობის დარგში. ყველასათვის ცნობილია ჩვენი სამეურნეო კადრების, ჩვენი სპეციალისტების, ტექნიკოსებისა და სამეურნეო მუშაკების სუსტი ტექნიკური მომზადება. საქმე იმით რთულდება, რომ სპეციალისტების ერთი ნაწილი, ყოფილ მეპატრონეებთან დაკავშირებული და საზღვარგარეთიდან წაქეზებული, მავნებლობის საქმის სათავეში აღმოჩნდა. საქმე უფრო მეტად რთულდება იმ გარემოებით, რომ მთელმა რიგმა ჩვენმა კომუნისტმა სამეურნეო მუშაკებმა რევოლუციური სიფხიზლე ვერ გამოიჩინეს და ხშირად მავნებლური ელემენტების სულიერ ტყვეობაში ექცეოდნენ. ჩვენს წინაშე კი მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის კოლოსალური ამოცანები დგას; ეს ამოცანები მოითხოვენ დიდძალ ახალ კადრებს, რომლებსაც შეეძლებათ დაეუფლონ ახალ ტექნიკას. ამასთან დაკავშირებით კადრების პრობლემა ჩვენში ჭეშმარიტად სადღეისო პრობლემად **იქცა**.

ამ პრობლემის გადაჭრა ჩვენში მიმდინარეობს შემდეგ ღონისძიებათა ხაზით:

1) გადამწყვეტი ბრძოლა მავნებლების წინააღმდეგ;

2) მაქსიმუმი მზრუნველობა და გულისხმიერება სპეციალისტთა და ტექნიკოსთა დიდი უმრავლესობისადმი, რომელნიც გაემიჯნენ მავნებლებს (მხედველობაში მყავს არა უსტრიალოვის ტიპის ყბედები და მანჭიები, არამედ ნამდვილი მეცნიერი მუშაკები, რომლებიც, მუშათა კლასთან ხელიხელჩაკიდებულნი, ერთგულად მუშაობენ);

3) საზღვარგარეთიდან ტექნიკური დახმარების მიღების ორგანიზაცია;

4) ჩვენი სამეურნეო მუშაკების საზღვარგარეთ გაგზავნა სწავლისა და საერთოდ ტექნიკაში გამოცდილების მისაღებად;

5) ტექნიკური სასწავლებლების გადაცემა შესაბამისი სამეურნეო ორგანიზაციებისათვის იმ მიზნით, რომ უსწრაფესად და საკმაო რაოდენობით მოვამზადოთ ტექნიკოსები და სპეციალისტები მუშათა კლასისა და გლეხობის წრიდან.

ამოცანა ის არის, რომ გავაჩაღოთ მუშაობა ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

4) **ბიუროკრატიზმთან ბრძოლის** პრობლემა. ბიუროკრატიზმის საფრთხე, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ იგი გასაქანს არ აძლევს კოლოსალურ რეზერვებს, რომლებიც ჩვენი წყობილების წიაღშია დაფარული, არ გვანებებს მათს გამოყენებას, ცდილობს გააქარწყლოს მასების შემოქმედებითი ინიციატივა, ბოჭავს მას კანცელარიული ხრიკებით და საქმე ისე მიჰყავს, რომ პარტიის ყოველი ახალი წამოწყება წვრილმან და უნაყოფო ჩხირკედელაობად აქციოს. ბიუროკრატიზმის საფრთხე, მეორე მხრივ, ის არის, რომ იგი ვერ ითმენს **შესრულების შემოწმებას** და ცდილობს ხელმძღვანელი ორგანიზაციების ძირითადი მითითებანი აქციოს

ცოცხალ ცხოვრებას მოწყვეტილ ფარატინა ქაღალდად. საშიშროებას წარმოადგენენ არა მარტო და არა იმდენად ძველი ბიუროკრატები, რომლებიც ჩვენს დაწესებულებებში ჩარჩნენ, არამედ — განსაკუთრებით — ახალი ბიუროკრატებიც, საბჭოთა ბიუროკრატები, რომელთა შორის «კომუნისტი» ბიუროკრატები უკანასკნელ როლს როდი ასრულებენ. მხედველობაში მყავს ის «კომუნისტები», რომლებიც ცდილობენ მუშათა კლასისა და გლეხობის მილიონიანი მასების შემოქმედებითი ინიციატივა და თვითმოქმედება შეცვალონ კანცელარიული განკარგულებებითა და «დეკრეტებით», რომელთა ძალაც მათ ისე სწამთ, როგორც ფეტიში.

ამოცანა ის არის, რომ დავძლიოთ ბიუროკრატიზმი ჩვენს დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, აღმოვფხვრათ ბიუროკრატიული «ზნე-ჩვეულებანი» და გავკაფოთ გზა ჩვენი წყობილების რეზერვების გამოსაყენებლად, მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და თვითმოქმედების გასაშლელად.

ეს იოლი ამოცანა როდია. მას «ერთი დაკვრით» ვერ გადავჭრით. მაგრამ იგი აუცილებლად უნდა გადავჭრათ, თუ გვსურს ნამდვილად გარდავქმნათ ჩვენი ქვეყანა სოციალიზმის საფუძვლებზე.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში პარტიის მუშაობა მიმდინარეობს ოთხი ხაზით: **თვითკრიტიკის** გაშლის ხაზით, **შესრულების შემოწმების** საქმის მოწყობის ხაზით, აპარატის წმენდის ხაზით და, დასასრულ, ქვემოდან, მუშათა კლასის ადამიანთაგან, აპარატში ერთგული მუშაკების დაწინაურების ხაზით.

ამოცანა ის არის, რომ მთელი ძალღონე მოვახმაროთ ყველა ამ ღონისძიების შესრულებას.

5) **შრომის ნაყოფიერების** ზრდის პრობლემა. თუ შრომის ნაყოფიერება სისტემატურად არ გაიზარდა როგორც

მრეწველობის დარგში, ისე სოფლის მეურნეობის დარგში, ჩვენ ვერ გადავჭრით რეკონსტრუქციის' ამოცანებს, ვერ შევძლებთ არა თუ დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, არამედ იმასაც კი, რომ დამოუკიდებელი არსებობა შევინარჩუნოთ. ამიტომ შრომის ნაყოფიერების ზრდის პრობლემას ჩვენთვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს.

პარტიის ღონისძიებანი ამ პრობლემის გადაჭრის საქმეში მიმდინარეობს სამი ხაზით: მშრომელთა **მატერიალური მდგომარეობის** სისტემატური **გაუმჯობესების** ხაზით, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოებში **შრომის ამხანაგური დისციპლინის** დანერგვის ხაზით, დასასრულ, **სოციალისტური შეჯიბრებისა** და **დამკვრელობის** მოწყობის ხაზით. ყოველივე ეს უნდა განხორციელდეს გაუმჯობესებული ტექნიკისა და შრომის რაციონალური ორგანიზაციის ბაზაზე.

ამოცანა ის არის, რომ უფრო მეტად გავშალოთ მასობრივი კამპანია ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

ბ) **მომარაგების** პრობლემა. ამას მიეკუთვნება საჭირო პროდუქტებით ქალაქისა და სოფლის მშრომელების **საკმაოდ მომარაგების** საკითხი, მუშათა და გლეხთა საჭიროებებთან **კოოპერაციული აპარატის** შეფარდების საკითხი, მუშათა **რეალური ხელფასის** სისტემატურად გადიდების საკითხი, სამრეწველო საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების **ფასების შემცირების** საკითხი. სამომხმარებლო კოოპერაციის ნაკლოვანებებზე უკვე ვილაპარაკე. საჭიროა აღმოვფხვრათ ეს ნაკლოვანებანი და მივაღწიოთ **ფასების შემცირების პოლიტიკის** განხორციელებას. რაც შეეხება საქონლის ნაკლებობას («საქონლის შიმშილი»), ახლა შესაძლებლობა გვაქვს გავაფართოოთ მსუბუქი მრეწველობის ნედლეულის ბაზა და წინ წავწიოთ მასობრივი მოხმარების საქალაქო საქონლის წარმოება. პურით მომარაგება უკვე

უზრუნველყოფილად შეიძლება ჩაითვალოს. უფრო ძნელი მდგომარეობაა ხორცის, რძის პროდუქტებისა და ბოსტნეულის მომარაგების მხრივ. ამ სიძნელის მოსპობა, სამწუხაროდ, შეუძლებელია რამდენიმე თვის განმავლობაში. ამ სიძნელის დასაძლევად საჭიროა ერთი წელიწადი მაინც. ერთი წლის შემდეგ შესაძლებლობა გვექნება, უწინარეს ყოვლისა, ამ საქმისათვის მოწყობილი საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მეოხებით, სავსებით უზრუნველვყოთ ხორცის, რძის პროდუქტებისა და ბოსტნეულის მომარაგება. ხოლო რას ნიშნავს — დავეუფლოთ ამ პროდუქტების მომარაგებას, როცა უკვე ჩვენს ხელშია პურის რეზერვები, მანუფაქტურა, გაძლიერებული საბინაო მშენებლობა მუშებისათვის და იაფი კომუნალური მომსახურება? ეს ნიშნავს იმას, რომ დავეუფლოთ ყველა იმ ძირითად ფაქტორს, რომლებიც განსაზღვრავენ მუშის ბიუჯეტს და მის რეალურ ხელფასს. ეს ნიშნავს იმას, რომ დანამდვილებით და საბოლოოდ უზრუნველვყოთ მუშათა რეალური ხელფასის სწრაფი ზრდის საქმე.

ამოცანა ის არის, რომ გავშალოთ ყველა ჩვენი ორგანიზაციის მუშაობა ამ მიმართულებით.

7) **კრედიტისა** და **ფულის მიმოქცევის** პრობლემა. საკრედიტო საქმის რაციონალურ ორგანიზაციას და ფულის რეზერვებით სწორ მანევრირებას სერიოზული მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. პარტიის ღონისძიებანი ამ პრობლემის გადასაჭრელად წარიმართება ორი ხაზით: მოკლევადიანი კრედიტის მთელი საქმის სახელმწიფო ბანკში მოქცევის ხაზით და განსაზოგადოებულ სექტორში უნაღდო ანგარიშსწორების მოწყობის ხაზით. ამით, ჯერ-ერთი, სახელმწიფო ბანკი იქცევა პროდუქტების წარმოებისა და განაწილების აღრიცხვის საერთო-სახელმწიფოებრივ აპარატად და, მეორეც, მიმოქცევიდან თავისუფლდება ფულის დიდი რაოდენობა. სავსებით უეჭვე-

ლია, რომ ეს ღონისძიებანი გამოიწვევენ (უკვე იწვევენ) მთელი საკრედიტო საქმის მოწესრიგებას და ჩვენი ჩერვონეცის განმტკიცებას.

8) **რეზერვების** პრობლემა. უკვე რამდენჯერმე ითქვა და საჭირო არ არის გავიმეოროთ, რომ საერთოდ სახელმწიფოსათვის და განსაკუთრებით ჩვენი სახელმწიფოსათვის აუცილებელია რეზერვები. ჩვენ გვაქვს პურის, საქონლის, ვალუტის ერთგვარი რეზერვები. ჩვენს ამხანაგებს შესაძლებლობა ჰქონდათ ამ ხნის განმავლობაში ეგრძნოთ ამ რეზერვების კეთილმყოფელი მოქმედება. მაგრამ «ერთგვარი» რეზერვები ჩვენთვის არ კმარა. ჩვენ უფრო საფუძვლიანი რეზერვები გვესაჭიროება ყველა ხაზით.

აქედან გამომდინარეობს ამოცანა — დავაგროვოთ რეზერვები.

ბ) მრეწველობის დარგში

1) მთავარი პრობლემაა **შავი მეტალურგიის** დაჩქარებული განვითარება. მხედველობაში იქონიეთ, რომ ჩვენ მივალწიეთ თუჯის წარმოების ომამდელ ნორმას და გადაჭარბებით ვასრულებთ მას' მხოლოდ მიმდინარე 1929/30 წელს. ეს დიდი საფრთხეა მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის. ეს საფრთხე რომ გავაქარწყლოთ, საჭიროა მოვაგვაროთ შავი მეტალურგიის დაჩქარებული განვითარება. ხუთწლედის დასასრულისათვის' ჩვენ გვჭირდება არა 10 მილიონი ტონა თუჯი, როგორც ამას ხუთწლიანი გეგმა მოითხოვს, არამედ 15 — 17 მილიონი ტონა. ეს ამოცანა ჩვენ აუცილებლად უნდა შევასრულოთ, თუ გვსურს ნამდვილად გავშალოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმე.

ბოლშევიკებმა უნდა დაამტკიცონ, რომ ისინი შესძლებენ ამ ამოცანის გადაჭრას'.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უყურადღებოდ უნდა დავტოვოთ **მსუბუქი** ინდუსტრია. არა, არ ნიშნავს. დღემდე ჩვენ მომჭირნეობას ვეწეოდით ყველაფერში, მათ შორის მსუბუქ ინდუსტრიაშიც, რათა აღგვედგინა მძიმე ინდუსტრია. მაგრამ მძიმე ინდუსტრია უკვე აღვადგინეთ. საჭიროა მხოლოდ მისი შემდგომი გაშლა. ახლა ჩვენ შეგვიძლია პირი ვიბრუნოთ მსუბუქი ინდუსტრიისაკენ და წავწიოთ ის წინ დაჩქარებული ტემპით. ჩვენი მრეწველობის განვითარებაში ახალი, სხვათა შორის, ის არის, რომ ახლა შესაძლებლობა გვაქვს დაჩქარებული ტემპით განვავითაროთ მძიმე ინდუსტრიაც და მსუბუქი ინდუსტრიაც. მიმდინარე წელს ბამბის, სელისა და ჭარხლის თესვის გეგმების გადაჭარბებით შესრულება, ქენდირისა და ხელოვნური აბრეშუმის პრობლემის გადაჭრა, — ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ნამდვილად წავწიოთ წინ მსუბუქი მრეწველობა.

2) **რაციონალიზაციის,** პროდუქციის **თვითღირებულების შემცირებისა** და მისი **ხარისხის გაუმჯობესების** პრობლემა. აღარ შეიძლება მოვითმინოთ ხარვეზები რაციონალიზაციის დარგში, თვითღირებულების შემცირების გეგმის შეუსრულებლობა და მთელი რიგი ჩვენი საწარმოების პროდუქციის უმსგავსო ხარისხი. ეს ხარვეზები და ნაკლოვანებანი მძიმე ტვირთად აწვება მთელ ჩვენს **სახალხო** მეურნეობას და არ აძლევს მას წინწაწევის საშუალებას. დროა, დიდი ხანია დროა ბოლო მოვუღოთ ამ სამარცხვინო ლაქას.

ბოლშევიკებმა უნდა დაამტკიცონ, რომ ისინი შესძლებენ ამ ამოცანის გადაჭრას.

3) **ერთმმართველობის** პრობლემა. აუტანელი ხდება აგრეთვე დარღვევები საწარმოებში ერთმმართველობის გატარების ხაზით. მუშები ხშირად ჩივიან: «ჭარხანას პატრონი არა ჰყავს», «მუშაობაში წესრიგი არ არისო». აღარ შეიძლება

მოვითმინოთ, რომ ჩვენი საწარმოები საწარმოო ორგანიზმებიდან პარლამენტებად იქცეოდნენ. ჩვენმა პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ბოლოს და ბოლოს უნდა შეიგნონ, რომ თუ არ უზრუნველვყავით ერთმმართველობა და არ დავაწესეთ სასტიკი პასუხისმგებლობა მუშაობის მსვლელობისათვის, ისე ვერ შევძლებთ მრეწველობის რეკონსტრუქციის ამოცანების გადაჭრას.

გ) სოფლის მეურნეობის დარგში

1) **მეცხოველეობისა** და **ტექნიკური კულტურების** პრობლემა. ახლა, როცა მარცვლეულის პრობლემა ძირითადად უკვე გადავჭერით, შეგვიძლია შევუდგეთ ამავე დროს მეცხოველეობის პრობლემის გადაჭრასაც, რომელიც ამჟამად საჭირბოროტო პრობლემას წარმოადგენს, და ტექნიკური კულტურების პრობლემის გადაჭრასაც. ამ პრობლემების გადაჭრისას ჩვენ უნდა ვიაროთ იმავე გზით, რომლითაც მივდიოდით მარცვლეულის პრობლემის გადაჭრის დარგში. ესე იგი, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მოწყობის გზით, რომლებიც ჩვენი პოლიტიკის დასაყრდენ პუნქტებს წარმოადგენენ, თანდათანობით გარდავქმნათ ახლანდელი წვრილგლეხური მეცხოველეობისა და ტექნიკური კულტურების ტექნიკური და ეკონომიური საფუძველი. «სკოტოვოდი», «ოვცევოდი», «სვინოვოდი», «კარაქ-რძის ტრესტი» პლუს კოლმეურნეობანი მეცხოველეობის დარგში; არსებული საბჭოთა მეურნეობანი და კოლმეურნეობანი ტექნიკური კულტურების დარგში, — ასეთია ჩვენს წინაშე მდგომი პრობლემების გადაჭრის გამოსავალი პუნქტები.

2) **საბჭოთა მეურნეობებისა** და **კოლმეურნეობების მშენებლობის შემდგომი გაშლის** პრობლემა. არა გვგონია საჭირო იყოს გავაგრძელოთ სიტყვა იმაზე, რომ ჩვენთვის ეს პრობლემა წარმოადგენს სოფლად მთელი ჩვენი მშენებლობის **პირველი რიგის** პრობლემას. ახლა ბრმებიც

კი ხედავენ, რომ მოხდა გლეხობის უდიდესი, ძირეული მობრუნება ძველიდან ახლისაკენ, კულაკური კაბალიდან თავისუფალი საკოლმეურნეო ცხოვრებისაკენ. ძველი ველარ დაბრუნდება. კულაკობა განწირულია და ლიკვიდირებული იქნება. რჩება მხოლოდ ერთი გზა, კოლმეურნეობათა გზა. ხოლო კოლმეურნეობათა გზა ჩვენთვის უცნობ და გამოუკვლეველ გზას აღარ წარმოადგენს. ის ათასჯერ გამოკვლეული და შემოწმებულია თვით გლეხთა მასების მიერ. გამოკვლეული და შეფასებულია, როგორც ახალი გზა, რომელიც გლეხობას ათავისუფლებს კულაკური კაბალისაგან, გაჭირვებისა და სიბნელისაგან. ეს არის ჩვენი მიღწევების საფუძველი.

როგორ გაიშლება შემდეგში ახალი მოძრაობა სოფლად? წინ წავლენ საბჭოთა მეურნეობანი, როგორც სოფლის ძველი წყობის გარდაქმნის მთავარი ღერძი. მათ გაჰყვება მრავალი კოლმეურნეობა, როგორც სოფლად ახალი მოძრაობის დასაყრდენი პუნქტები. ამ ორი სისტემის გაერთიანებული მუშაობა ქმნის პირობებს სსრ კავშირის ყველა ოლქის სრული კოლექტივიზაციისათვის.

საკოლმეურნეო მოძრაობის ერთ-ერთი ფრიად შესანიშნავი მონაპოვარი ის არის, რომ მან უკვე მოასწრო წამოეყენებინა საკოლმეურნეო საქმის ათასობით **ორგანიზატორი** და ათეულათასობით **აგიტატორი თვით გლეხებიდან.** ახლა უკვე არა მარტო ჩვენ, კვალიფიციური ბოლშევიკები, არამედ თვით გლეხები კოლმეურნეობებიდან, საკოლმეურნეო საქმის ათეულათასობით ორგანიზატორი და აგიტატორი გლეხები გასწევენ წინ კოლექტივიზაციის დროშით. ხოლო გლეხი აგიტატორები საკოლმეურნეო მოძრაობის შესანიშნავი აგიტატორები არიან, ვინაიდან ისინი კოლმეურნეობების სასარგებლოდ გამონახავენ ისეთ, გლეხთა დანარჩენი მასისა-

თვის გასაგებ და მისაღებ, არგუმენტებს, რომლებზეც ჩვენ, კვალიფიციურ ბოლშევიკებს, ოცნებაც არ შეგვიძლია.

აქა-იქ გაისმის ხმები მთლიანი კოლექტივიზაციის პოლიტიკაზე ხელის აღების აუცილებლობის შესახებ. არის ცნობები, რომ ჩვენს პარტიაშიც კი მოიპოვებიან ამ «იდეის» მომხრენი. მაგრამ ასე ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც, ნებსით თუ უნებლიეთ, შეკავშირებულან კომუნიზმის მტრებთან. მთლიანი კოლექტივიზაციის მეთოდი ის აუცილებელი მეთოდია, ურომლისოდაც შეუძლებელია სსრ კავშირის ყველა ოლქის კოლექტივიზაციის ხუთწლიანი გეგმის შესრულება. როგორ შეიძლება ხელი აიღო ამ მეთოდზე ისე, რომ არ უღალატო კომუნიზმს, არ უღალატო მუშათა კლასისა და გლეხობის ინტერესებს?

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი საკოლმეურნეო მოძრაობის დარგში ყველაფერი «უმტკივნეულოდ» და «ნორმალურად» ჩაივლის. კოლმეურნეობათა შიგნით მერყეობა კიდევ იქნება. მოზღვავება და უკუქცევა კიდევ იქნება. მაგრამ ამან არ შეიძლება შეაკრთოს და არც უნდა შეაკრთოს საკოლმეურნეო მოძრაობის მშენებლები. ეს მით უფრო ვერ გახდება სერიოზული დაბრკოლება საკოლმეურნეო მოძრაობის მძლავრი განვითარებისათვის. ისეთი საღი მოძრაობა, როგორიც უეჭველად არის საკოლმეურნეო მოძრაობა, სულ ერთია თავისას გაიტანს, ყოველივეს მიუხედავად, ცალკეულ დაბრკოლებათა და სიძნელეთა მიუხედავად.

ამოცანა ის არის, რომ მოვამზადოთ ძალები და მოვაგვაროთ საქმე საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომი გაშლისათვის.

3) **რაიონებთან** და **სოფლებთან აპარატის** რაც შეიძლება მეტად **მიახლოების** პრობლემა. ეჭვი არ არის, ჩვენ თავს ვერ გავართმევდით უდიდეს მუშაობას სოფლის მეურნეობის გარდასაქმნელად და საკოლმეურნეო მოძრაო-

ბის განსავითარებლად, **დარაიონება** რომ არ გაგვეტარებინა. თემების გამსხვილება და მათი გარდაქმნა რაიონებად, გუბერნიების გაუქმება და მათი გარდაქმნა უფრო მცირე ერთეულებად (ოკრუგებად), დასასრულ, ოლქების, როგორც ცენტრალური კომიტეტის პირდაპირი დასაყრდენი პუნქტების შექმნა, — ასეთია დარაიონების საერთო სახე. დარაიონების მიზანია პარტიულ-საბჭოთა და სამეურნეო-კოოპერაციული აპარატის მიახლოება რაიონთან და სოფელთან, რათა შესაძლებლობა მოგვეცეს დროზე გადავჭრათ სოფლის მეურნეობის, მისი აღმავლობის, მისი რეკონსტრუქციის მტკივნეული საკითხები. ამ მხრივ, ვიმეორებ, დარაიონება უდიდესი პლუსი იყო მთელი ჩვენი მშენებლობისათვის.

მაგრამ ყველაფერი გაკეთდა თუ არა იმისათვის, რომ მართლაც მივუახლოოთ, და ნამდვილად მივუახლოოთ აპარატი რაიონებსა და სოფლებს? არა, ყველაფერი როდი გაკეთებულა. ახლა საკოლმეურნეო მშენებლობის სიმძიმის ცენტრი გადატანილია რაიონულ ორგანიზაციებში. აქ იყრის თავს საკოლმეურნეო მშენებლობის და სოფლად ყოველნაირი სხვა სამეურნეო მუშაობის ყველა სადავე, კოოპერაციის ხაზითაც, საბჭოების ხაზითაც, კრედიტის ხაზითაც, დამზადების ხაზითაც. საკმაოდ უზრუნველყოფილი არიან თუ არა რაიონული ორგანიზაციები საჭირო და აუცილებელი მუშაკებით იმისათვის, რომ გაუძღვნენ მთელ ამ მრავალფეროვან მუშაობას? ეჭვი არ არის, რომ ისინი მუშაკებით სრულიად არასაკმაოდ არიან უზრუნველყოფილნი. რა არის გამოსავალი? რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ეს ნაკლი გამოვასწოროთ და რაიონული ორგანიზაციები ჩვენი მუშაობის ყველა დარგში უზრუნველვყოთ საჭირო მუშაკების საკმაო რაოდენობით? ამისათვის უნდა გავაკეთოთ, სულ ცოტა, ორი რამ:

1) გავაუქმოთ ოკრუგები (ტ ა შ ი), რომლებიც იქცევიან უსარგებლო შუაკედლად ოლქსა და რაიონებს შორის, და განთავისუფლებული საოკრუგო მუშაკებით გავაძლიეროთ რაიონული ორგანიზაციები;

2) დავუკავშიროთ რაიონული ორგანიზაციები უშუალოდ ოლქს (სამხარეო კომიტეტს, ნაციონალურ ცენტრალურ კომიტეტს).

სწორედ ეს იქნება დარაიონების საქმის ბოლომდე მიყვანა, რაიონებთან და სოფლებთან აპარატის მიახლოების საქმის ბოლომდე მიყვანა.

აქ ტაშით შეხვდნენ ოკრუგების გაუქმების პერსპექტივას. რა თქმა უნდა, ოკრუგები უნდა გავაუქმოთ. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ეს გარემოება უფლებას გვაძლევდეს არაფრად ჩავაგდოთ ოკრუგები, როგორც ამას სჩადის ზოგიერთი ამხანაგი «პრავდის» ფურცლებზე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ოკრუგებმა თავიანთ მხრებზე გადაიტანეს უდიდესი მუშაობა და თავის დროზე დიდი ისტორიული როლი შეასრულეს. (ტ ა შ ი).

მე ვფიქრობ აგრეთვე, შეცდომა იქნებოდა, რომ ოკრუგების გაუქმების საქმეში მეტისმეტი აჩქარება გამოგვეჩინა. ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ოკრუგების გაუქმების შესახებ[52]. მაგრამ იგი სრულებითაც არ ფიქრობს, რომ ეს საქმე დაუყოვნებლივ უნდა გავატაროთ. ცხადია, სანამ ოკრუგებს გავაუქმებდეთ, საჭირო იქნება ჩავატაროთ აუცილებელი მოსამზადებელი მუშაობა.

დ) ტრანსპორტის დარგში

დასასრულ **ტრანსპორტის** პრობლემა. საჭირო არ არის გავაგრძელოთ სიტყვა იმაზე, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტრანსპორტს მთელი სახალხო მეურნეობისათვის. და არა მარტო სახალხო მეურნეობისათვის. როგორც ცნობილია, ტრანსპორტს უაღრესად სერიოზული მნიშვნე-

ლობა აქვს ქვეყნის თავდაცვის საქმისთვისაც. და აი, მიუხედავად ტრანსპორტის უდიდესი მნიშვნელობისა, ტრანსპორტის მეურნეობა, ამ მეურნეობის რეკონსტრუქცია ჯერ კიდევ ჩამორჩება განვითარების საერთო ტემპს. განა კიდევ მტკიცება ესაჭიროება იმას, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩვენ მოგველის იმის საფრთხე, რომ ტრანსპორტი გადაიქცეს სახალხო მეურნეობის «ვიწრო ადგილად», რომელმაც შეიძლება შეაფერხოს ჩვენი წინსვლა? განა დრო არ არის ბოლო მოვუღოთ ასეთ მდგომარეობას?

განსაკუთრებით ცუდად არის სამდინარო ტრანსპორტის საქმე. ფაქტია, რომ ვოლგის ნაოსნობამ ძლივს მიაღწია ომამდელი დონის 60%-ს, ხოლო დნეპრის ნაოსნობამ — 40%-ს. ომამდელი დონის 60 და 40% — ეს არის და ეს, რაც სამდინარო ტრანსპორტს შეუძლია შეიტანოს თავის «მიღწევათა» სიაში. სწორედ დიდი «მიღწევა» კია! განა დრო არ არის ბოლო მოვუღოთ ამ სამარცხვინო მდგომარეობას? (ხ მ ე ბ ი: «დროა»).

ამოცანა ის არის, რომ, ბოლოს და ბოლოს, ბოლშევიკურად მოვკიდოთ ხელი ტრანსპორტის საქმეს და წინ წავწიოთ იგი.

* * *

ასეთია პარტიის მორიგი ამოცანები.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ ეს ამოცანები განვახორციელოთ?

ამისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, **განვაგრძოთ** მთელ ფრონტზე გაშლილი შეტევა კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ და **ბოლომდე მივიყვანოთ იგი.**

ეს არის ჩვენი პოლიტიკის ცენტრი და საფუძველი ამჟამად. (ტ ა შ ი).

III

პარტია

გადავდივარ პარტიის საკითხზე.

ზემოთ მე ვილაპარაკე იმ უპირატესობებზე, რომლებიც მეურნეობის საბჭოთა სისტემას აქვს კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით. ვილაპარაკე იმ კოლოსალურ შესაძლებლობებზე, რასაც გვაძლევს ჩვენი წყობილება სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის ბრძოლის საქმეში. ვილაპარაკე იმაზე, რომ ამ შესაძლებლობათა გარეშე, ამ შესაძლებლობათა გამოუყენებლად ჩვენ ვერ მივაღწევდით იმ წარმატებებს, რომლებიც განვლილ პერიოდში მოვიპოვეთ.

მაგრამ აი კითხვა: შესძლო თუ არა პარტიამ სწორად გამოეყენებინა ის შესაძლებლობანი, რასაც გვაძლევს საბჭოთა წყობილება; გამოუყენებლად ხომ არ დატოვა მან ეს შესაძლებლობანი და, ამრიგად, ხელი ხომ არ შეუშალა მუშათა კლასს ბოლომდე გაეშალა მთელი თავისი რევოლუციური ძალა; შესძლო თუ არა პარტიამ გამოეწურა ამ შესაძლებლობებიდან ყოველივე ის, რის გამოწურვაც შეიძლებოდა, იმისათვის, რომ გაეშალა სოციალისტური მშენებლობა მთელ ფრონტზე?

საბჭოთა წყობილება კოლოსალურ **შესაძლებლობებს** იძლევა სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის. მაგრამ **შესაძლებლობა** ჯერ კიდევ არ არის **სინამდვილე**. შესაძლებლობა რომ სინამდვილედ ვაქციოთ, ამისათვის საჭიროა მთელი რიგი პირობები, რომელთა შორის პარტიის ხაზი და ამ ხაზის სწორად გატარება სრულებითაც არ ასრულებს უკანასკნელ როლს.

რამდენიმე მაგალითი.

მემარჯვენე ოპორტუნისტები ამტკიცებენ, რომ ნეპი უზრუნველყოფს ჩვენთვის სოციალიზმის გამარჯვებას, —

მაშასადამე, შეგვიძლია თავი არ შევიწუხოთ ინდუსტრიალიზაციის ტემპისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების განვითარებისათვის და სხვ., ვინაიდან გამარჯვება სულ ერთია უზრუნველყოფილია, ასე ვთქვათ, თვითდინების წესით. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის და სისულელეა. ასე ლაპარაკი ნიშნავს სოციალიზმის მშენებლობაში პარტიის როლის უარყოფას, ამ მშენებლობისათვის პარტიის პასუხისმგებლობის უარყოფას. ლენინს სრულებითაც არ უთქვამს, რომ ნეპი უზრუნველყოფს ჩვენთვის სოციალიზმის გამარჯვებას. ლენინი მხოლოდ იმას ამბობდა, რომ «ეკონომიურად და პოლიტიკურად ნეპი სავსებით უზრუნველყოფს ჩვენთვის სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენების **შესაძლებლობას**»[53]. მაგრამ შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ არის **სინამდვილე**. შესაძლებლობა სინამდვილედ რომ ვაქციოთ, ამისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, უკუვაგდოთ თვითდინების ოპორტუნისტული თეორია, საჭიროა გარდავქმნათ სახალხო მეურნეობა (მოვახდინოთ მისი რეკონსტრუქცია) და გავაჩაღოთ გადამწყვეტი შეტევა ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ.

შემდეგ, მემარჯვენე ოპორტუნისტები ამტკიცებენ, რომ ჩვენი წყობილება არ შეიცავს საფუძვლებს მუშათა კლასისა და გლეხობის გათიშვისათვის, — მაშასადამე, შეიძლება თავი არ შევიწუხოთ სოფლის სოციალური ჯგუფების მიმართ სწორი პოლიტიკის შემოღებისათვის, ვინაიდან კულაკი სულ ერთია შეეზრდება სოციალიზმს, ხოლო მუშათა და გლეხთა კავშირი უზრუნველყოფილი იქნება, ასე ვთქვათ, თვითდინების წესით. ესეც არ არის სწორი, ესეც სისულელეა. ასე ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებსაც არ ესმით, რომ პარტიის პოლიტიკა, ისიც ისეთი პარტიისა, რომელიც ხელისუფლების სათავეში დგას, აქ ძირითადი მომენტია, რაც განსაზღვრავს

მუშათა და გლეხთა კავშირის საქმის ბედს. ლენინს სრულებითაც არ მიაჩნდა გამორიცხულად მუშათა კლასისა და გლეხობის გათიშვის საფრთხე. ლენინი ამბობდა, რომ «ჩვენი სოციალური წყობილება **აუცილებლად როდი შეიცავს** ასეთი გათიშვის საფუძველს», მაგრამ «**თუ** ამ კლასებს შორის სერიოზულმა კლასობრივმა უთანხმოებამ **იჩინა თავი,** მაშინ გათიშვა **გარდუვალი იქნება».**

ამასთან დაკავშირებით ლენინს მიაჩნდა, რომ:

«ჩვენი ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის, ისევე როგორც მთელი ჩვენი პარტიის, მთავარი ამოცანა ის არის, რომ ყურადღებით ადევნონ თვალი იმ გარემოებებს, რომლებიდანაც შეიძლება გათიშვა წარმოიშვას, და **თავიდან აიცილონ** ისინი, ვინაიდან საბოლოო ანგარიშით ჩვენი რესპუბლიკის ბედი დამოკიდებული იქნება იმაზე — გლეხთა მასა მუშათა კლასთან ერთად წავა და მასთან კავშირის ერთგული დარჩება, თუ შესაძლებლობას მისცემს «ნეპმანებს», ე. ი. ახალ ბურჟუაზიას, კავშირი გააწყვეტინონ მუშებთან, გათიშონ იგი მუშებისაგან» [54].

მაშასადამე, მუშათა კლასსა და გლეხობას შორის გათიშვა გამორიცხული არ არის, მაგრამ იგი სრულებითაც არ არის აუცილებელი, ვინაიდან ჩვენი წყობილება შეიცავს ამ გათიშვის თავიდან აცილებისა და მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცების **შესაძლებლობას.** ხოლო რა არის საჭირო იმისათვის, რომ ეს შესაძლებლობა სინამდვილედ ვაქციოთ? გათიშვის **თავიდან აცილების** შესაძლებლობა რომ სინამდვილედ ვაქციოთ, ამისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, დავასამაროთ თვითდინების ოპორტუნისტული თეორია, საჭიროა აღმოვფხვრათ კაპიტალიზმის ფესვები, მოვაწყოთ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები და კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკიდან გადავიდეთ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე.

ამრიგად, გამოდის, რომ საჭიროა ზუსტად განვასხვაოთ ჩვენს წყობილებაში არსებული **შესაძლებლობანი** და ამ შესაძლებლობათა **გამოყენება,** ამ შესაძლებლობათა **სინამდვილედ** გადაქცევა.

გამოდის, რომ სავსებით დასაშვებია ისეთი შემთხვევები, როცა გამარჯვების შესაძლებლობანი არსებობს, ხოლო პარტია ვერ ხედავს ამ შესაძლებლობებს ან ვერ ახერხებს მათ სწორად გამოყენებას, რის გამო გამარჯვების ნაცვლად შეიძლება დამარცხება მივიღოთ.

და აი კვლავ იგივე კითხვა: შესძლო თუ არა პარტიამ სწორად გამოეყენებინა **შესაძლებლობანი** და **უპირატესობანი,** რასაც საბჭოთა წყობილება გვაძლევს? ყველაფერს აკეთებდა თუ არა იგი იმისათვის, რომ **ეს შესაძლებლობანი სინამდვილედ ექცია** და, ამრიგად, ჩვენი მშენებლობისათვის წარმატებათა მაქსიმუმი უზრუნველეყო?

სხვანაირად რომ ვთქვათ: სწორად ხელმძღვანელობდნენ თუ არა პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი სოციალიზმის მშენებლობას განვლილ პერიოდში?

რა არის საჭირო პარტიის სწორი ხელმძღვანელობისათვის ჩვენს თანამედროვე პირობებში?

პარტიის სწორი ხელმძღვანელობისათვის, ყოველივე დანარჩენს გარდა, საჭიროა, რომ პარტიის ხაზი სწორი იყოს, რომ მასებს ესმოდეთ პარტიული ხაზის სისწორე და აქტიურად უჭერდნენ მას მხარს, რომ პარტია არ სჯერდებოდეს გენერალური ხაზის შემუშავებას, არამედ ყოველდღიურად ხელმძღვანელობდეს მის განხორციელებას, რომ პარტია გადამწყვეტ ბრძოლას ეწეოდეს გენერალური ხაზიდან გადახრებისა და მათთან შემარიგებლობის წინააღმდეგ, რომ გადახრებთან ბრძოლაში პარტია ჰქედდეს თავისი რიგების ერთიანობასა და რკინისებურ დისციპლინას.

რა გააკეთეს პარტიამ და მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა ამ პირობების განსახორციელებლად?

1. სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელობის საკითხები

ა) ამჟამად პარტიის ძირითადი გეზია **გადასვლა** სამეურნეო ფრონტის **ცალკეულ უბნებზე** სოციალიზმის შეტევიდან **მთელი ფრონტით** შეტევაზე მრეწველობის დარგშიც და სოფლის მეურნეობის დარგშიც.

XIV ყრილობა უმთავრესად **ინდუსტრიალიზაციის** ყრილობა იყო.

XV ყრილობა უმთავრესად **კოლექტივიზაციის** ყრილობა იყო.

ეს იყო მზადება **საერთო** შეტევისათვის.

განვლილი ეტაპებისაგან განსხვავებით, XVI ყრილობის წინაპერიოდი წარმოადგენს **მთელ ფრონტზე** სოციალიზმის **საერთო** შეტევის პერიოდს, როგორც მრეწველობის დარგში, ისე სოფლის მეურნეობის დარგში სოციალიზმის გაძლიერებული მშენებლობის პერიოდს.

პარტიის XVI ყრილობა არის **მთელ ფრონტზე** სოციალიზმის გაშლილი შეტევის, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისა და მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელების ყრილობა.

აი ორიოდე სიტყვით ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის არსი.

სწორია თუ არა ეს ხაზი?

დიახ, სწორია. ფაქტები მოწმობენ, რომ ჩვენი პარტიის გენერალური ხაზი ერთადერთი სწორი ხაზია. (ტ ა შ ი).

ამას მოწმობენ ის წარმატებები და მიღწევები, რომლებიც სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე გვაქვს. არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს, რომ გადამწყვეტი გამარჯვება, რომელიც პარტიამ განვლილ პერიოდში ქალაქად და სოფლად სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე მოიპოვა, არასწორი პოლიტიკის შედეგი იყოს. მხოლოდ

სწორ გენერალურ ხაზს შეეძლო მოეცა ჩვენთვის ასეთი გამარჯვება.

ამას მოწმობს ის გაშმაგებული ღრიანცელი ჩვენი პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც უკანასკნელ დროს ატეხეს ჩვენმა კლასობრივმა მტრებმა, კაპიტალისტებმა და მათმა პრესამ, პაპმა და ყველა ჯურის ეპისკოპოსებმა, სოციალ-დემოკრატებმა და აბრამოვიჩისა და დანის ტიპის «რუსმა» მენშევიკებმა. კაპიტალისტები და მათი ლაქიები ლანძღავენ ჩვენს პარტიას, — მაშასადამე, ჩვენი პარტიის გენერალური ხაზი სწორია. (ტ ა შ ი).

ამას მოწმობს ტროცკიზმის ბედი, რომელიც ახლა ყველასათვის ცნობილია. ვაჟბატონები ტროცკისტთა ბანაკიდან ლაყბობდნენ საბჭოთა ხელისუფლების «გადაგვარებაზე», «თერმიდორზე», ტროცკიზმის «გარდუვალ გამარჯვებაზე» და სხვ.. ნამდვილად კი რა გამოვიდა? გამოვიდა ტროცკიზმის დაშლა, მისი აღსასრული. ტროცკისტების ერთმა ნაწილმა, როგორც ცნობილია, კავშირი გაწყვიტა ტროცკიზმთან, თავის წარმომადგენელთა მრავალ განცხადებაში სცნო პარტიის სიმართლე და აღიარა ტროცკიზმის კონტრრევოლუციურობა. ტროცკისტების მეორე ნაწილი, მართლაც, გადაგვარდა ტიპიურ წვრილბურჟუაზიულ კონტრრევოლუციონერებად და ნამდვილად გადაიქცა კაპიტალისტური პრესისათვის საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) საქმეთა შესახებ ცნობების მიმწოდებელ ბიუროდ. საბჭოთა ხელისუფლება კი, რომელიც უნდა «გადაგვარებულიყო» (ან «უკვე გადაგვარდა»), კვლავაც ჯანზეა, სოციალიზმს აშენებს და წარმატებით უმტვრევს ხერხემალს ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტურ ელემენტებს და მათს წვრილბურჟუაზიულ დამქაშებს.

ამას მოწმობს მემარჯვენე უკლონისტების ბედი, რომელიც ახლა ყველასათვის ცნობილია. ისინი ლაყბობდნენ და გაჰყვიროდნენ პარტიული ხაზის «დამღუპველობაზე», სსრ

კავშირში «მოსალოდნელ კატასტროფაზე», პარტიისა და მისი ხელმძღვანელობისაგან ჩვენი ქვეყნის «ხსნის» საჭიროებაზე და სხვ.. ნამდვილად კი რა გამოვიდა? ნამდვილად გამოვიდა ის, რომ პარტიამ უდიდესი წარმატებები მოიპოვა სოციალიზმის მშენებლობის ყველა ფრონტზე, ხოლო მემარჯვენე უკლონისტთა ჯგუფი, რომელსაც ქვეყნის «ხსნა» სურდა, მაგრამ რომელმაც შემდეგ თავის შეხედულებათა მცდარობა აღიარა, ახლა გარიყულია.

ამას მოწმობს მუშათა კლასისა და გლეხობის მზარდი რევოლუციური აქტივობა, მშრომელთა მილიონიანი მასების მიერ პარტიის პოლიტიკისათვის აქტიური მხარდაჭერა და, დასასრულ, მუშათა და კოლმეურნე გლეხთა ის უმაგალითო შრომითი ენთუზიაზმი, რომელიც თავისი გრანდიოზულობით აოცებს ჩვენი ქვეყნის მტერსაც და მოყვარესაც. აღარას ვამბობ პარტიისადმი ნდობის ზრდის ისეთ ნიშნებზე, როგორიცაა მუშათა განცხადებანი პარტიაში მთელი საამქროობითა და ქარხნობით შესვლის შესახებ, XV ყრილობიდან XVI ყრილობამდე პარტიის წევრთა რიცხვის გადიდება 600 ათასზე მეტი კაცით, მიმდინარე წლის მხოლოდ პირველ კვარტალში 200 ათასი ახალი წევრის შესვლა პარტიაში. რას მოწმობს ყოველივე ეს, თუ არა იმას, რომ მშრომელთა მილიონიან მასებს შეგნებული აქვთ ჩვენი პარტიის პოლიტიკის სისწორე და მზად არიან მხარი დაუჭირონ მას?

უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ფაქტები არ იქნებოდა, ჩვენი პარტიის გენერალური ხაზი ერთადერთი სწორი ხაზი რომ არ ყოფილიყო.

ბ) მაგრამ პარტია ვერ დასჯერდება გენერალური ხაზის შემუშავებას. იგი ამასთანავე ყოველდღიურად უნდა ამოწმებდეს გენერალური ხაზის გატარებას პრაქტიკაში. იგი უნდა ხელმძღვანელობდეს გენერალური ხაზის გატარებას, მუშაობის მსვლელობაში უნდა აუმჯობესებდეს და

სრულყოფდეს სამეურნეო მშენებლობის მიღებულ გეგმებს, ასწორებდეს და თავიდან იცილებდეს შეცდომებს.

როგორ ასრულებდა ამ მუშაობას ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი?

ცენტრალური კომიტეტის მუშაობა ამ დარგში უმთავრესად მიმდინარეობდა იმ ხაზით, რომ შეესწორებინა და დაეზუსტებინა ხუთწლიანი გეგმა ტემპების გადიდებისა და ვადების შემცირების თვალსაზრისით, იმ ხაზით, რომ შეემოწმებინა, თუ როგორ ასრულებდნენ სამეურნეო ორგანიზაციები დაწესებულ დავალებებს.

აი ცენტრალური კომიტეტის რამდენიმე ძირითადი დადგენილება, რომელიც ასწორებს ხუთწლიან გეგმას მშენებლობის ტემპების გაძლიერებისა და შესრულების ვადების შემცირების თვალსაზრისით.

შავი მეტალურგიის ხაზით: ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს თუჯის წარმოების აყვანას ხუთწლედის უკანასკნელ წელიწადში 10 მილიონ ტონამდე; ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას კი ეს ნორმა საკმაოდ არ მიაჩნია და თვლის, რომ თუჯის წარმოება ხუთწლედის უკანასკნელ წელს აყვანილ უნდა იქნას 17 მილიონ ტონამდე.

სატრაქტორო მშენებლობის ხაზით: ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ტრაქტორების წარმოების აყვანას ხუთწლედის უკანასკნელ წელს 55 ათას ცალამდე; ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას კი ეს დავალება საკმაოდ არ მიაჩნია და თვლის, რომ ტრაქტორების წარმოება ხუთწლედის უკანასკნელ წელს აყვანილ უნდა იქნას 170 ათას ცალამდე.

იგივე უნდა ითქვას **ავტომშენებლობაზე,** სადაც ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 100 ათასი ცალი ავტომობილის (სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების) ნაცვლად გადაწყვეტილია ავტომობილების წარმოება ხუთწლედის უკანასკნელ წელს აყვანილ იქნას 200 ათას ცალამდე.

ასეთივე მდგომარეობაა **ფერადი მეტალურგიის** დარგში, სადაც ხუთწლიანი გეგმის ვარაუდი გადიდებულია 100%-ზე მეტით, და **სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის** დარგში, სადაც ხუთწლიანი გეგმის ვარაუდი აგრეთვე გადიდებულია 100%-ზე მეტით.

აღარას ვამბობ **კომბაინების** მშენებლობაზე, რომელიც სრულიად არ ყოფილა გათვალისწინებული ხუთწლიან გეგმაში და რომელთა წარმოება ხუთწლედის უკანასკნელ წელს აყვანილ უნდა იქნას სულ მცირე 40 ათას ცალამდე.

საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის ხაზით: ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ხუთწლედის დასასრულისათვის ნათესი ფართობების გადიდებას 5 მილიონ ჰექტარამდე; ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას კი ეს ნორმა საკმაოდ არ მიაჩნია და თვლის, რომ ხუთწლედის დასასრულისათვის საბჭოთა მეურნეობების ნათესი ფართობები აყვანილ უნდა იქნას 18 მილიონ ჰექტარამდე.

საკოლმეურნეო მშენებლობის ხაზით: ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ხუთწლედის დასასრულისათვის ნათესი ფართობების გადიდებას 20 მილიონ ჰექტარამდე; ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას კი ეს ნორმა აშკარად არასაკმაოდ მიაჩნია (ეს ნორმა წელს უკვე გადაჭარბებით არის შესრულებული) და თვლის, რომ ხუთწლედის დასასრულისათვის სსრ კავშირის კოლექტივიზაცია ძირითადად დამთავრებულ უნდა იქნას და ამ ვადისათვის კოლმეურნეობათა ნათესმა ფართობებმა უნდა დაფაროს სსრ კავშირის მთელი იმ ნათესი ტერიტორიის ცხრა მეათედი, რომელსაც ამჟამად ინდივიდუალური მეურნეები ამუშავებენ. (ტ ა შ ი).

და სხვა და ასე შემდეგ.

ასეთია საერთოდ პარტიის გენერალური ხაზის გატარების საქმეში, სოციალისტური მშენებლობის დაგეგმვის საქმეში ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის სურათი.

შეიძლება თქვან, ხუთწლიანი გეგმის ვარაუდის ასეთი საფუძვლიანი შეცვლით ცენტრალური კომიტეტი დაგეგმვის პრინციპს არღვევს და მგეგმავი ორგანოების ავტორიტეტს ლახავსო. მაგრამ ასე ლაპარაკი მხოლოდ გაუსწორებელ ბიუროკრატებს შეუძლიათ. ჩვენთვის, ბოლშევიკებისათვის, ხუთწლიანი გეგმა დასრულებული და ერთხელ და სამუდამოდ მოცემული რამ როდია. ჩვენთვის ხუთწლიანი გეგმა, როგორც ყოველი სხვა გეგმა, მხოლოდ ისეთი გეგმაა, რომელიც მიღებულია პირველი მიახლოების წესით და რომელიც უნდა ზუსტდებოდეს, იცვლებოდეს და უმჯობესდებოდეს ადგილების გამოცდილების საფუძველზე, გეგმის შესრულების გამოცდილების საფუძველზე. ვერავითარი ხუთწლიანი გეგმა ვერ გაითვალისწინებს ყველა იმ შესაძლებლობას, რომელიც დაფარულია ჩვენი წყობილების წიაღში და რომელიც მჟღავნდება მხოლოდ მუშაობის მსვლელობაში, გეგმის განხორციელებისას ფაბრიკაში, ქარხანაში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, რაიონში და სხვ.. მხოლოდ ბიუროკრატებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ საგეგმო მუშაობა გეგმის შედგენით **თავდება**. გეგმის შედგენა **დაგეგმვის** მხოლოდ **დასაწყისია**. ნამდვილი გეგმიანი ხელმძღვანელობა იწყება მხოლოდ გეგმის შედგენის შემდეგ, ადგილებზე შემოწმების შემდეგ, გეგმის განხორციელების, შესწორებისა და დაზუსტების მსვლელობაში.

აი რატომ სცნეს საჭიროდ ცენტრალურმა კომიტეტმა და ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ რესპუბლიკის საგეგმო ორგანოებთან ერთად შეესწორებინათ და გაეუმჯობესებინათ ხუთწლიანი გეგმა გამოცდილების მონაცემთა საფუძველზე მშენებლობის ტემპების გაძლიერებისა და შესრულების ვადების შემცირების თვალსაზრისით.

აი რას ამბობდა ლენინი დაგეგმვის პრინციპისა და გეგმიანი ხელმძღვანელობის შესახებ საბჭოების VIII ყრილობაზე «გოელროს» ათწლიანი გეგმის განხილვისას [55]:

«ჩვენი პარტიის პროგრამა არ შეიძლება მხოლოდ პარტიის პროგრამად დარჩეს. იგი უნდა გადაიქცეს ჩვენი სამეურნეო მშენებლობის პროგრამად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უვარგისი იქნება როგორც პარტიის პროგრამაც. იგი უნდა შეივსოს პარტიის მეორე პროგრამით, მთელი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და თანამედროვე ტექნიკამდე მისი აყვანისათვის საჭირო სამუშაოთა გეგმით... ჩვენ იქამდე უნდა მივიდეთ, რომ გარკვეული გეგმა მივიღოთ; რა თქმა უნდა, ეს იქნება მხოლოდ პირველი მიახლოების წესით მიღებული გეგმა. პარტიის ეს პროგრამა არ იქნება ისე უცვლელი, როგორც ჩვენი ნამდვილი პროგრამა, რომლის შეცვლა მხოლოდ პარტიის ყრილობებზე შეიძლება. არა, ეს პროგრამა გაუმჯობესდება, დამუშავდება, სრულყოფილი გახდება და სახეს შეიცვლის ყოველდღე, ყოველ სახელოსნოში, ყოველ თემში... თვალყური უნდა ვადევნოთ მეცნიერებისა და პრაქტიკის გამოცდილებას და ადგილებზე განუხრელად უნდა ვცდილობდეთ, რომ გეგმა დანიშნულ ვადაზე ადრე სრულდებოდეს, რათა მასებმა დაინახონ, რომ გამოცდილებას შეუძლია შეამოკლოს ის ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც მრეწველობის სრულ აღდგენამდე დარჩა. ეს ჩვენზეა დამოკიდებული. მოდით ყოველ სახელოსნოში, ყოველ დეპოში, ყოველ დარგში ვაუმჯობესოთ მეურნეობა, მაშინ ვადას შევამოკლებთ. და მას კიდევაც ვამოკლებთ» (ტ. XXVI, გვ. 45, 46, 43).

თქვენ ხედავთ, რომ ცენტრალური კომიტეტი მიდიოდა ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, ცვლიდა და აუმჯობესებდა ხუთწლიან გეგმას, ამოკლებდა მშენებლობის ვადებს და აძლიერებდა მის ტემპებს.

რა შესაძლებლობებს ეყრდნობოდა ცენტრალური კომიტეტი, მშენებლობის ტემპებს რომ აძლიერებდა და ხუთწლიანი გეგმის შესრულების ვადებს ამოკლებდა? იმ რეზერვებს, რომლებიც დაფარულია ჩვენი წყობილების წიაღში და რომლებიც მხოლოდ მუშაობის მსვლელობაში იჩენენ თავს, იმ შესაძლებლობებს, რომლებსაც რეკონსტრუქციის პერიოდი გვაძლევს. ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზის გარდაქმნა **წარმოების სოციალისტური ორგანიზაციის დროს** ტემპების დაჩქარების ისეთ შესაძლებლობებს გვაძლევს,

რომლებზეც ვერც ერთი კაპიტალისტური ქვეყანა ვერ იოცნებებს.

მხოლოდ ამ გარემოებებით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ჩვენმა სოციალისტურმა მრეწველობამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ერთიორად და უფრო მეტად გაადიდა თავისი პროდუქცია, ხოლო ამ მრეწველობის პროდუქციის ნამატი 1930/31 წელს 47%-ით უნდა გადიდდეს მიმდინარე წელთან შედარებით, ამასთან **მარტო ეს ნამატი** თავისი მოცულობით ომამდელი დროის **მთელი** მსხვილი მრეწველობის პროდუქციის მოცულობის თანაბარი იქნება.

მხოლოდ ამ გარემოებებით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა სამ წელიწადში გადაჭარბებით ასრულებს ხუთწლიან გეგმას, საკოლმეურნეო მშენებლობამ კი უკვე გადაჭარბებით შეასრულა ხუთწლედი ორ წელიწადში.

არსებობს თეორია, რომლის მიხედვით განვითარების მაღალი ტემპები დასაშვებია მხოლოდ აღდგენითს პერიოდში, ხოლო რეკონსტრუქციის პერიოდში გადასვლის შემდეგ მშენებლობის ტემპები წლითი-წლობით მკვეთრად უნდა შენელდეს. ამ თეორიას «კლებადი მრუდის» თეორია ეწოდება. ეს თეორია ჩვენი ჩამორჩენილობის გამართლების თეორიაა. მას საერთო არა აქვს რა მარქსიზმთან, ლენინიზმთან. იგი ბურჟუაზიული თეორიაა, რომელიც ნავარაუდევია იმისათვის, რომ განამტკიცოს ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილობა. იმ ადამიანებიდან, რომლებსაც დამოკიდებულება ჰქონდათ ან აქვთ ჩვენს პარტიასთან, ამ თეორიას იცავენ და ქადაგებენ მხოლოდ ტროცკისტები და მემარჯვენე უკლონისტები.

ტროცკისტების შესახებ არსებობს აზრი, რომ ისინი ზეინდუსტრიალისტები არიან. მაგრამ ეს აზრი სწორია მხოლოდ ნაწილობრივ. იგი სწორია მხოლოდ იმდენად, რამდე-

ნადაც საქმე ეხება **აღდგენითი** პერიოდის დასასრულს, როცა ტროცკისტები, მართლაც, ავითარებდნენ ზეინდუსტრიალისტურ ფანტაზიებს. რაც შეეხება **რეკონსტრუქციის** პერიოდს, **ტროცკისტები, ტემპების თვალსაზრისით, ყველაზე უკიდურესი მინიმალისტები და ყველაზე საძაგელი კაპიტულანტები არიან.** (სიცილი. ტაში).

თავიანთ პლატფორმებსა და დეკლარაციებში ტროცკისტებს არ მოუციათ ციფრობრივი მონაცემები ტემპების შესახებ, ისინი დასჯერდნენ მხოლოდ საერთო ლაყბობას ტემპებზე. მაგრამ არსებობს ერთი დოკუმენტი, სადაც ტროცკისტებმა ციფრებით გამოხატეს თავიანთი გაგება სახელმწიფო მრეწველობის განვითარების ტემპებისა. მხედველობაში მაქვს სახელმწიფო მრეწველობის «ძირითადი კაპიტალის აღდგენის საგანგებო თათბირის» («ოსვოკ») მოხსენებითი ბარათი, რომელიც აგებულია ტროცკიზმის პრინციპებზე. საინტერესოა ორიოდე სიტყვით გავარჩიოთ ეს დოკუმენტი, რომელიც 1925/26 წელს ეკუთვნის. საინტერესოა, ვინაიდან ის მთლიანად ასახავს კლებადი მრუდის ტროცკისტულ სქემას.

ეს დოკუმენტი წინადადებას იძლეოდა სახელმწიფო მრეწველობაში **დაგვებანდებინა** 1926/27 წელს 1 543 მილიონი მანეთი; 1927/28 წელს — 1 490 მილიონი მანეთი; 1928/29 წელს — 1 320 მილიონი მანეთი; 1929/30 წელს — 1 060 მილიონი მანეთი (1926/27 წ. ფასებით).

ასეთია **კლებადი** ტროცკისტული მრუდის სურათი.

ნამდვილად კი რამდენი დავაბანდეთ? ნამდვილად სახელმწიფო მრეწველობაში დავაბანდეთ 1926/27 წელს 1 065 მილიონი მანეთი; 1927/28 წელს — 1 304 მილიონი მანეთი; 1928/29 წელს — 1 819 მილიონი მანეთი; 1929/30 წელს — 4 775 მილიონი მანეთი (1926/27 წ. ფასებით).

ასეთია **ალმავალი** ბოლშევიკური მრუდის სურათი.

ამ დოკუმენტის თანახმად, სახელმწიფო მრეწველობის **პროდუქცია** უნდა გაზრდილიყო 1926/27 წელს 31,6%-ით; 1927/28 წელს — 22,9%-ით; 1928/29 წელს — 15,5%-ით; 1929/30 წელს — 15%-ით.

ასეთია **კლებადი** ტროცკისტული მრუდის სურათი.

ნამდვილად კი რა მივიღეთ? ნამდვილად სახელმწიფო მრეწველობის პროდუქციის ნამატი შეადგენდა 1926/27 წელს — 19,7%-ს; 1927/28 წელს — 26,3%-ს; 1928/29 წელს — 24,3%-ს; 1929/30 წელს — 32%-ს, ხოლო 1930/31 წელს ნამატი იქნება 47%.

ასეთია **აღმავალი** ბოლშევიკური მრუდის სურათი.

ცნობილია, რომ ტროცკი სპეციალურად იცავს კლებადი მრუდის ამ კაპიტულანტურ თეორიას თავის წიგნში «სოციალიზმისაკენ თუ კაპიტალიზმისაკენ?». იქ იგი პირდაპირ ამბობს, რომ ვინაიდან «ომამდე მრეწველობის გაფართოება **ძირითადად** გამოიხატებოდა **ახალი ქარხნების აშენებაში**», ხოლო «ჩვენს დროში გაფართოება გაცილებით მეტად გამოიხატება ძველი ქარხნების გამოყენებასა და ძველი მოწყობილობის დატვირთვაში», ამიტომ «ბუნებრივია, მაშასადამე, თუ **აღდგენითი პროცესის დამთავრების შემდეგ** ზრდის კოეფიციენტი **მნიშვნელოვნად დაიწევს**», ამასთან იგი წინადადებას იძლევა «სამრეწველო ზრდის კოეფიციენტი უახლოეს წლებში გავადიდოთ ომამდელ 6%-თან შედარებით არა მარტო 2-ჯერ, არამედ 3-ჯერაც, ან იქნებ უფრო მეტადაც».

ამრიგად, მრეწველობის წლიური ნამატის სამჯერ ექვსი პროცენტი. რამდენს შეადგენს ეს? სულ 18% ნამატს წელიწადში. მაშასადამე, სახელმწიფო მრეწველობის პროდუქციის 18% წლიური ნამატი, ტროცკისტების აზრით, შეადგენს **რეკონსტრუქციის პერიოდში** განვითარების დაჩქარებული ტემპის დაგეგმვის იმ უმაღლეს ზღვარს, **რომელსაც**

უნდა ვესწრაფოდეთ როგორც იდეალს. შეადარეთ ახლა ტროცკისტების ეს მენამცეცეობის სიბრძნე პროდუქციის იმ ნამდვილ მატებას, რომელიც გვაქვს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში (1927/28 წელს — 26,3%, 1928/29 წელს — 24,3%, 1929/30 წელს — 32%), შეადარეთ ტროცკისტების ეს კაპიტულანტური ფილოსოფია სახელმწიფო საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრების ვარაუდს 1930/31 წლისათვის — 47% ნამატს, რაც სჭარბობს პროდუქციის მატების **უმაღლეს** ტემპებს **აღდგენითს** პერიოდში, — და თქვენ მიხვდებით «კლებადი მრუდის» ტროცკისტული თეორიის მთელ რეაქციულობას, **რეკონსტრუქციის** პერიოდის შესაძლებლობათადმი ტროცკისტების ურწმენობის მთელ სიღრმეს.

აი რა არის იმის მიზეზი, რომ ტროცკისტები ახლა მრეწველობის განვითარებისა და საკოლმეურნეო მშენებლობის ბოლშევიკური ტემპების «მეტისმეტობას» უჩივიან.

აი რა არის იმის მიზეზი, რომ **ტროცკისტებს ახლა ჩვენს მემარჯვენე უკლონისტებში ვერ გაარჩევ.**

გასაგებია, რომ «კლებადი მრუდის» ტროცკისტულ-მემარჯვენე-უკლონისტური თეორიის გაუნადგურებლად ჩვენ ვერც ნამდვილ დაგეგმვას გავშლიდით, ვერც ტემპებს გავაძლიერებდით და ვერც მშენებლობის ვადებს შევამოკლებდით. პარტიის გენერალური ხაზის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობა რომ გაგვეწია, მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა რომ შეგვესწორებინა და გაგვეუმჯობესებინა, მშენებლობის ტემპები რომ გაგვეძლიერებინა და შეცდომები თავიდან აგვეცილებინა, უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო გაგვენადგურებინა და აღმოგვეფხვრა «კლებადი მრუდის» რეაქციული თეორია.

ცენტრალური კომიტეტი ასეც მოიქცა, როგორც ზემოთ უკვე ვთქვი.

2. შინაპარტიული საქმეების ხელმძღვანელობის საკითხები

შეიძლება იფიქრონ, რომ მუშაობა სოციალისტური მშენებლობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად, მუშაობა პარტიის გენერალური ხაზის განსახორციელებლად მიმდინარეობდა ჩვენს პარტიაში მშვიდად და უმტკივნეულოდ, უბრძოლველად და ნებისყოფის დაუძაბავად. მაგრამ ეს მართალი არ არის, ამხანაგებო. ნამდვილად ეს მუშაობა მიმდინარეობდა შინაპარტიულ სიძნელეებთან ბრძოლაში, როგორც საერთო პოლიტიკის, ისე ნაციონალური საკითხის დარგში ლენინიზმიდან ყოველგვარ გადახრებთან ბრძოლაში. ჩვენი პარტია უჰაერო სივრცეში კი არ ცხოვრობს და მოღვაწეობს. იგი ცხოვრობს და მოღვაწეობს ცხოვრების თვით შუაგულში, განიცდის გარემოს გავლენას. ხოლო ეს გარემო ჩვენში, როგორც ცნობილია, სხვადასხვა კლასებისა და სოციალური ჯგუფებისაგან შესდგება. ჩვენ დავიწყეთ გაშლილი შეტევა კაპიტალისტურ ელემენტებზე, ძალიან წავწიეთ წინ ჩვენი სოციალისტური მრეწველობა, გავაჩაღეთ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მშენებლობა. მაგრამ ასეთი მოვლენები უშედეგოდ ვერ ჩაივლიან ექსპლოატატორული კლასებისათვის. ამ მოვლენებს ჩვეულებრივ თან ახლავს დრომოჭმული კლასების გაჩანაგება, სოფლად კულაკობის გაჩანაგება, ქალაქის წვრილბურჟუაზიული ფენების სამოქმედო ასპარეზის შევიწროება. გასაგებია, რომ ყოველივე ამას არ შეუძლია არ გაამწვავოს კლასთა ბრძოლა, დრომოჭმული კლასების წინააღმდეგობა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკისადმი. სასაცილო იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ კლასების წინააღმდეგობა ამა თუ იმ გამოხატულებას არ პოვებს ჩვენი პარტიის რიგებში. და ის, მართლაც, პოულობს თავის გამოხატულებას პარტიაში. დრომოჭმული კლასების წინააღმდეგობის გამოხატულებაა

სწორედ ის ყველა და ყოველგვარი გადახრანი ლენინური ხაზიდან, რომლებიც ჩვენი პარტიის რიგებშია.

განა შეიძლება წარმატებით ბრძოლა კლასობრივ მტრებთან, თუ ამავე დროს არ ვიბრძოლებთ გადახრების წინააღმდეგ ჩვენს პარტიაში, თუ არ დავძლევთ ამ გადახრებს? არა, არ შეიძლება. არ შეიძლება, რადგან შეუძლებელია გავაჩაღოთ ნამდვილი ბრძოლა კლასობრივი მტრების წინააღმდეგ, თუ ზურგში გვეყოლება მათი აგენტურა, თუ ზურგში დავტოვებთ ადამიანებს, რომლებსაც არა სწამთ ჩვენი საქმე და ყოველნაირად ცდილობენ შეაფერხონ ჩვენი წინსვლა.

აქედან წარმოსდგება ლენინური ხაზიდან გადახრებთან შეურიგებელი ბრძოლა, როგორც პარტიის მორიგი ამოცანა.

რატომ წარმოადგენს ახლა მემარჯვენე გადახრა მთავარ საფრთხეს პარტიაში? იმიტომ, რომ იგი გამოხატავს კულაკურ საფრთხეს, ხოლო კულაკური საფრთხე ამჟამად, გაშლილი შეტევისა და კაპიტალიზმის ფესვების აღმოფხვრის მომენტში, ძირითადი საფრთხეა ჩვენს ქვეყანაში.

რა უნდა გაეკეთებინა ცენტრალურ კომიტეტს იმისათვის, რომ დაეძლია მემარჯვენე გადახრა, ბოლო მოეღო «მემარცხენე» გადახრისათვის და გზა გაეკაფა ლენინური ხაზის გარშემო პარტიის მაქსიმალურად შემჭიდროებისათვის?

ა) საჭირო იყო, უწინარეს ყოვლისა, მოგვესპო ტროცკიზმის ნაშთები პარტიაში, ტროცკისტული თეორიის გადმონაშთები. ტროცკისტული ჯგუფი, როგორც ოპოზიცია, ჩვენ უკვე დიდი ხანია გავანადგურეთ და განვდევნეთ. ახლა ტროცკისტული ჯგუფი წარმოადგენს ანტიპროლეტარულ და ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ ჯგუფს, რომელიც გულმოდგინედ აწვდის ცნობებს ბურჟუაზიას ჩვენი პარტიის საქმეების შესახებ. მაგრამ პარტია ჯერ კიდევ საკმა-

ბით არ არის გაწმენდილი ტროცკისტული თეორიის ნაშთებისაგან, ტროცკიზმის გადმონაშთებისაგან. და აი, საჭირო იყო უწინარეს ყოვლისა მოგვესპო ეს გადმონაშთები.

რა შეადგენს ტროცკიზმის არსს?

ტროცკიზმის არსს შეადგენს, უწინარეს ყოვლისა, იმის უარყოფა, რომ სსრ კავშირში შესაძლებელია სოციალიზმის აშენება ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და გლეხობის ძალებით. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ თუ უახლოეს ხანში არ მოგვეშველა ძლევამოსილი მსოფლიო რევოლუცია, იძულებული ვიქნებით კაპიტულაცია მოვახდინოთ ბურჟუაზიის წინაშე და გზა დავუცალოთ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკას. მაშასადამე, აქ ვხედავთ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის ბურჟუაზიულ უარყოფას, რომელსაც ფარავენ «რევოლუციური» ფრაზით მსოფლიო რევოლუციის გამარჯვების შესახებ.

განა შეიძლება ასეთ შეხედულებათა პირობებში ავამოძრაოთ მუშათა კლასის მილიონიანი მასები შრომითი ენთუზიაზმისათვის, სოციალისტური შეჯიბრებისათვის, მასობრივი დამკვრელობისათვის, კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ გაშლილი შეტევისათვის? ცხადია, არ შეიძლება. სისულელე იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენი მუშათა კლასი, რომელმაც სამი რევოლუცია მოახდინა, შრომითი ენთუზიაზმით გაიმსჭვალება და მასობრივ დამკვრელობას მიმართავს იმისათვის, რომ კაპიტალიზმს ნიადაგი გაუპოხიეროს. ჩვენი მუშათა კლასი შრომითი აღმავლობით იმსჭვალება არა კაპიტალიზმის გულისათვის, არამედ იმისათვის, რომ საბოლოოდ დაასამაროს კაპიტალიზმი და სსრ კავშირში ააშენოს სოციალიზმი. წაართვით მას სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის რწმენა, და

თქვენ მოსპობთ ყოველგვარ ნიადაგს შეჯიბრებისათვის, შრომითი აღმავლობისათვის, დამკვრელობისათვის.

აქედან — დასკვნა: მუშათა კლასში შრომითი აღმავლობა და შეჯიბრება რომ გამოგვეწვია და გაშლილი შეტევა მოგვეწყო, ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, უნდა დაგვესამარებინა ტროცკიზმის ბურჟუაზიული თეორია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შეუძლებლობის შესახებ.

მეორეც, ტროცკიზმის არსს შეადგენს იმის უარყოფა, რომ შესაძლებელია გლეხობის ძირითადი მასების ჩაბმა სოფლად სოციალისტური მშენებლობის საქმეში. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ მუშათა კლასს არ ძალუძს გაიყოლიოს გლეხობა კოლექტიურ რელსებზე ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა გადაყვანის საქმეში, რომ თუ უახლოეს ხანში მუშათა კლასს მსოფლიო რევოლუციის გამარჯვებამ არ უშველა, გლეხობა ძველ ბურჟუაზიულ წესწყობილებას აღადგენს. მაშასადამე, აქ ვხედავთ იმის ბურჟუაზიულ უარყოფას, რომ პროლეტარულ დიქტატურას შესწევს ძალა და შესაძლებლობა — წაიყვანოს გლეხობა სოციალიზმისაკენ, და ამ უარყოფას ფარავენ მსოფლიო რევოლუციის გამარჯვების შესახებ «რევოლუციური» ფრაზების ნიღაბით.

განა შეიძლება ასეთ შეხედულებათა პირობებში დავრაზმოთ გლეხთა მასები საკოლმეურნეო მოძრაობისათვის, მოვაწყოთ მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა, მოვაწყოთ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია? ცხადია, არ შეიძლება.

აქედან — დასკვნა: გლეხობის მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა რომ მოგვეწყო და კულაკობის ლიკვიდაცია მოგვეხდინა, ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, უნდა დაგვესამარებინა ტროცკიზმის ბურჟუაზიული თეორია სო-

ციალიზმის მშენებლობაში გლეხობის მშრომელი მასების ჩაბმის შეუძლებლობის შესახებ.

დასასრულ, ტროცკიზმის არსს შეადგენს პარტიაში რკინისებური დისციპლინის საჭიროების უარყოფა, პარტიაში ფრაქციულ დაჯგუფებათა თავისუფლების აღიარება, ტროცკისტული პარტიის შექმნის საჭიროების აღიარება. ტროცკიზმისათვის საკავშირო კომუნისტური პარტია (ბ) უნდა იყოს არა ერთიანი და მჭიდროდ დარაზმული მებრძოლი პარტია, არამედ კრებული ჯგუფებისა და ფრაქციებისა თავიანთი ცენტრებით, თავიანთი დისციპლინით, თავიანთი პრესით და სხვ.. ეს კი რას ნიშნავს? ეს ნიშნავს პარტიაში პოლიტიკური ფრაქციების თავისუფლების გამოცხადებას. ეს ნიშნავს, რომ პარტიაში პოლიტიკური დაჯგუფებებისათვის თავისუფლების მინიჭებას უნდა მოჰყვეს პოლიტიკური პარტიების თავისუფლება ჩვენს ქვეყანაში, ე. ი. ბურჟუაზიული დემოკრატია. მაშასადამე, აქ გვაქვს პარტიაში ფრაქციულ დაჯგუფებათა თავისუფლების აღიარება, თვით პოლიტიკური პარტიების დაშვებაც კი პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში, რასაც ფარავენ ფრაზით «შინაპარტიული დემოკრატიის» შესახებ, პარტიაში «რეჟიმის გაუმჯობესების» შესახებ. ინტელიგენტური ჯგუფების ფრაქციული კინკლაობის თავისუფლება რომ ჯერ კიდევ არ არის შინაპარტიული დემოკრატია, რომ გაშლილი თვითკრიტიკა, რომელსაც პარტია ატარებს, და პარტიული მასების კოლოსალური აქტივობა წარმოადგენენ ნამდვილი და ჭეშმარიტი შინაპარტიული დემოკრატიის გამოხატულებას, — ტროცკიზმს ამის გაგება არ ძალუძს.

განა შეიძლება პარტიაზე ასეთ შეხედულებათა პირობებში უზრუნველვყოთ პარტიაში რკინისებური დისციპლინა, უზრუნველვყოთ პარტიის რკინისებური ერთიანობა,

რაც აუცილებელია კლასობრივ მტრებთან წარმატებითი ბრძოლისათვის? ცხადია, არ შეიძლება.

აქედან — დასკვნა: პარტიის რკინისებური ერთიანობა და მასში პროლეტარული დისციპლინა რომ უზრუნველგვეყო, ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, უნდა დაგვესამარებინა ტროცკიზმის ორგანიზაციული თეორია.

კაპიტულანტობა საქმით, როგორც **შინაარსი**, «მემარცხენე» ფრაზები და «რევოლუციურ»-ავანტიურისტული ქცევა, როგორც **ფორმა**, რომელიც ფარავს და რეკლამას უკეთებს კაპიტულანტურ შინაარსს, — ასეთია ტროცკიზმის არსი.

ტროცკიზმის ეს ორჭოფობა გამოხატავს ორჭოფულ მდგომარეობას გაღატაკების გზაზე მდგომი ქალაქის წვრილი ბურჟუაზიისას, რომელიც ვერ ითმენს პროლეტარიატის დიქტატურის «რეჟიმს» და ცდილობს ან «ერთბაშად» გადახტეს სოციალიზმში, რომ თავი დააღწიოს გაღატაკებას (აქედან — **ავანტიურიზმი** და **ისტერიკა** პოლიტიკაში), ან, თუ ეს შეუძლებელია, დათანხმდეს ყოველგვარ დათმობას კაპიტალიზმის წინაშე (აქედან — **კაპიტულანტობა** პოლიტიკაში).

ტროცკიზმის ამ ორჭოფობით აიხსნება ის ფაქტი, რომ თავის ვითომდა «გააფთრებულ» იერიშებს მემარჯვენე უკლონისტების წინააღმდეგ ტროცკიზმი ჩვეულებრივ აგვირგვინებს მათთან, როგორც უნიღბო კაპიტულანტებთან, **ბლოკის** შეკვრით.

ხოლო რას წარმოადგენენ ის «მემარცხენე» გადახვევები, რომლებიც პარტიაში იყო საკოლმეურნეო მოძრაობის დარგში? ისინი წარმოადგენენ ჩვენში ტროცკიზმის ტრადიციების პრაქტიკულად აღდგენის, საშუალო გლეხობის მიმართ ტროცკისტული დამოკიდებულების აღდგენის ერთგვარ, თუმცა შეუგნებელ, ცდას. ისინი წარმოადგენენ პოლიტიკაში იმ შეცდომის შედეგს, რომელსაც ლენინი «გადა-

ჭარბებულ ადმინისტრირებას» უწოდებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი, საკოლმეურნეო მოძრაობის წარმატებებით გატაცებული, საკოლმეურნეო მშენებლობის პრობლემას უდგებოდა არა როგორც მშენებელი, არამედ უმთავრესად როგორც ადმინისტრატორი, რის გამო მათ მთელი რიგი ყოვლად უხეში შეცდომები დაუშვეს.

ჩვენს პარტიაში არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ საჭირო არ იყო აგველაგმა «მემარცხენე» გადამხვევები. ისინი ფიქრობენ, რომ საჭირო არ იყო გვეწყენინებინა ჩვენი მუშაკებისათვის და წინააღმდეგობა გაგვეწია მათი გატაცებისათვის, თუნდაც ამ გატაცებას შეცდომები გამოეწვია. ეს სისულელეა, ამხანაგებო. ასე ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც სურთ მაინცდამაინც მდინარებას გაჰყვნენ. ესენი ის ადამიანები არიან, რომლებიც ვერასოდეს ვერ შეითვისებენ ლენინურ ხაზს — წავიდნენ მდინარების წინააღმდეგ, როცა ამას ვითარება მოითხოვს, როცა ამას პარტიის ინტერესები მოითხოვენ. ესენი ლენინელები კი არა, მაჩანჩალები არიან. პარტიამ სწორედ იმიტომ შესძლო სწორი გზისაკენ მოებრუნებინა ჩვენი ამხანაგების მთელი რაზმები, პარტიამ სწორედ იმიტომ შესძლო გამოესწორებინა შეცდომები და მიეღწია წარმატებებისათვის, რომ იგი გადაჭრით წავიდა მდინარების წინააღმდეგ, რათა გენერალური ხაზი გაეტარებინა. სწორედ ეს არის ლენინიზმი პრაქტიკაში, ლენინიზმი ხელმძღვანელობაში.

აი რატომ ვფიქრობ, რომ «მემარცხენე» გადახვევათა დაუძლევლად ჩვენ ვერ მივაღწევდით იმ წარმატებებს საკოლმეურნეო მოძრაობაში, რომლებიც ახლა გვაქვს.

ასეთია საქმის ვითარება ტროცკიზმის ნაშთებთან და პრაქტიკაში მათ გამოვლინებებთან ბრძოლის მხრივ.

რამდენადმე სხვანაირია საქმის ვითარება მემარჯვენე ოპორტუნიზმის საკითხის მხრივ, რომელსაც სათავეში ედგნენ თუ უდგანან ბუხარინი, რიკოვი და ტომსკი.

მემარჯვენე უკლონისტებზე ვერ ვიტყვით, რომ ისინი არ აღიარებენ სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას. არა, ისინი მას აღიარებენ და ამით განსხვავდებიან ტროცკისტებისაგან. მაგრამ მემარჯვენე უკლონისტების უბედურება ის არის, რომ, ფორმალურად აღიარებენ რა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას, მათ არა სურთ აღიარონ ბრძოლის ის გზები და საშუალებანი, ურომლისოდაც შეუძლებელია სოციალიზმის აშენება. მათ არა სურთ აღიარონ, რომ ინდუსტრიის ყოველმხრივი განვითარება წარმოადგენს გასაღებს მთელი სახალხო მეურნეობის გარდაქმნისათვის სოციალიზმის საფუძვლებზე. მათ არა სურთ აღიარონ შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლა კაპიტალისტურ ელემენტებთან და სოციალიზმის გაშლილი შეტევა კაპიტალიზმის წინააღმდეგ. მათ არ ესმით, რომ ყველა ეს გზა და საშუალება წარმოადგენს იმ ღონისძიებათა სისტემას, ურომლისოდაც შეუძლებელია პროლეტარიატის დიქტატურის შენარჩუნება და სოციალიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში. ისინი ფიქრობენ, რომ სოციალიზმის აშენება შეიძლება ჩუმად, თვითდინებით, კლასობრივი ბრძოლის გარეშე, კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ შეტევის გარეშე. ისინი ფიქრობენ, რომ კაპიტალისტური ელემენტები ან თავისით მოისპობიან შეუმჩნევლად, ან შეეზრდებიან სოციალიზმს. და რადგან ისტორიაში ასეთი სასწაულები არ ხდება, გამოდის, რომ **მემარჯვენე უკლონისტები სინამდვილეში ეჭანებიან ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის უარყოფის თვალსაზრისზე.**

მემარჯვენე უკლონისტებზე აგრეთვე ვერ ვიტყვით, რომ ისინი უარყოფენ სოფლად სოციალიზმის აშენების საქმეში გლეხობის ძირითადი მასების ჩაბმის შესაძლებლობას. არა, ისინი ამას აღიარებენ და ამით განსხვავდებიან ტროცკისტებისაგან. მაგრამ, ფორმალურად აღიარებენ რა ამას, ისინი ამავე დროს უარყოფენ იმ გზებსა და საშუალებებს, ურომლისოდაც შეუძლებელია გლეხობის ჩაბმა სოციალიზმის აშენების საქმეში. მათ არა სურთ აღიარონ, რომ საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები წარმოადგენენ სოციალიზმის აშენების საქმეში გლეხობის ძირითადი მასების ჩაბმის ძირითად საშუალებასა და «მთავარ გზას». მათ არა სურთ აღიარონ, რომ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკის გაუტარებლად შეუძლებელია მივაღწიოთ სოფლის გარდაქმნას სოციალიზმის საფუძვლებზე. ისინი ფიქრობენ, რომ სოფლის გადაყვანა სოციალიზმის რელსებზე შეიძლება ჩუმად, თვითდინებით, კლასობრივი ბრძოლის უწარმოებლად, მხოლოდ მომმარაგებელ-გამსაღებელი კოოპერაციის საშუალებით, ვინაიდან დარწმუნებული არიან, რომ კულაკი თვითონ შეეზრდება სოციალიზმს. ისინი ფიქრობენ, რომ ახლა მთავარია არა ინდუსტრიის განვითარების მაღალი ტემპები და არა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, არამედ ის, რომ «ავუშვათ» ბაზრის სტიქია, «გავათავისუფლოთ» ბაზარი და «ბორკილები მოვხსნათ» ინდივიდუალურ მეურნეობებს, სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებსაც კი. მაგრამ რადგან კულაკი ვერ შეეზრდება სოციალიზმს, ხოლო ბაზრის «განთავისუფლება» ნიშნავს კულაკობის შეიარაღებას და მუშათა კლასის განიარაღებას, გამოდის, რომ **მემარჯვენე უკლონისტები სინამდვილეში ეჭანებიან სოციალიზმის აშენების საქმეში გლეხობის ძირითადი მასების ჩაბმის შესაძლებლობის უარყოფის თვალსაზრისზე.**

სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ თავიანთ მამლაყინწურ ბრძოლებს ტროცკისტებთან მემარჯვენე უკლონისტები ჩვეულებრივ აგვირგვინებენ ფარული მოლაპარაკებით ტროცკისტებთან **ბლოკის** შეკვრის შესახებ.

მემარჯვენე ოპორტუნიზმის ძირითადი ბოროტება ის არის, რომ იგი **კავშირს წყვეტს** კლასობრივი ბრძოლის ლენინურ გაგებასთან და ეჭანება **წვრილბურჟუაზიული ლიბერალიზმის** თვალსაზრისზე.

ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენს პარტიაში მემარჯვენე გადახრის გამარჯვება იქნებოდა მუშათა კლასის სრული განიარაღება, სოფლად კაპიტალისტური ელემენტების შეიარაღება და სსრ კავშირში კაპიტალიზმის რესტავრაციის შანსების გაძლიერება.

მემარჯვენე უკლონისტები არ დგანან მეორე პარტიის შექმნის თვალსაზრისზე, და ეს არის მათი კიდევ ერთი განსხვავება ტროცკისტებისაგან. მემარჯვენე უკლონისტების ლიდერებმა აშკარად აღიარეს თავიანთი შეცდომები და კაპიტულაცია მოახდინეს პარტიის წინაშე. მაგრამ სისულელე იქნებოდა ამის საფუძველზე გვეფიქრა, რომ მემარჯვენე უკლონიზმი უკვე დასამარებულია. მემარჯვენე ოპორტუნიზმის ძალა ამ გარემოებით როდი განიზომება. მემარჯვენე ოპორტუნიზმის ძალას შეადგენს წვრილბურჟუაზიული სტიქიის ძალა, პარტიაზე საერთოდ კაპიტალისტური ელემენტების და განსაკუთრებით კულაკობის მოწოლის ძალა. და სწორედ იმიტომ, რომ მემარჯვენე გადახრა გამოხატავს დრომოჭმული კლასების ძირითადი ელემენტების წინააღმდეგობას, სწორედ ამიტომ მემარჯვენე გადახრა არის ჩვენი დროის ძირითადი საფრთხე პარტიაში.

აი რატომ მიიჩნია პარტიამ საჭიროდ გადამწყვეტი და შეურიგებელი ბრძოლა გაეჩაღებინა მემარჯვენე გადახრასთან.

ეჭვს გარეშეა, მემარჯვენე გადახრასთან გადამწყვეტი ბრძოლა რომ არ გვეწარმოებინა, მისი ხელმძღვანელი ელემენტების იზოლაცია რომ არ მოგვეხდინა, ჩვენ ვერ შევძლებდით პარტიისა და მუშათა კლასის ძალების მობილიზაციას, ღარიბი და საშუალო გლეხობის მასების ძალების მობილიზაციას სოციალიზმის გაშლილი შეტევის საქმისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების შექმნის საქმისათვის, ჩვენი მძიმე ინდუსტრიის აღდგენის საქმისათვის, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის საქმისათვის.

ასეთია საქმის ვითარება პარტიაში «მემარცხენე» და მემარჯვენე გადახრების მხრივ.

ამოცანა ის არის, რომ კვლავაც განვაგრძოთ შეურიგებელი ბრძოლა **ორ ფრონტზე** როგორც «მემარცხენეებთან», რომლებიც **წვრილბურჟუაზიულ რადიკალიზმს** წარმოადგენენ, ისე მემარჯვენეებთან, რომლებიც **წვრილბურჟუაზიულ ლიბერალიზმს** წარმოადგენენ.

ამოცანა ის არის, რომ კვლავაც განვაგრძოთ **შეურიგებელი** ბრძოლა იმ **შემარიგებელ** ელემენტებთან პარტიაში, რომლებსაც არ ესმით ან თავს გვაჩვენებენ, რომ არ ესმით ორ ფრონტზე გადამწყვეტი ბრძოლის აუცილებლობა.

ბ) პარტიაში გადახრებთან ბრძოლის სურათი სრული არ იქნება, თუ არ შევეხეთ პარტიაში არსებულ გადახრებს **ნაციონალური საკითხის** დარგში. მხედველობაში მაქვს, ჯერ ერთი, გადახრა ველიკოროსული შოვინიზმისაკენ და, მეორეც, გადახრა ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ. ეს გადახრები იმდენად შესამჩნევი და შემტევი არ არიან, როგორც «მემარცხენე» ან მემარჯვენე გადახრა. მათთვის შეიძლებოდა მცოცავი გადახრები გვეწოდებინა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ისინი არ არსებობენ. არა, ისინი არსებობენ და, რაც მთავარია, იზრდებიან. ეს სრულიად უეჭველია.

უეჭველია, ვინაიდან კლასობრივი ბრძოლის გამწვავების საერთო ატმოსფერო არ შეიძლება არ იწვევდეს ეროვნული უთანხმოების ერთგვარ გამწვავებას, უთანხმოებისა, რომელსაც თავისი ანარეკლი აქვს პარტიაში. ამიტომ საჭიროა გამოვააშკარაოთ და დღის სინათლეზე გამოვიტანოთ ამ გადახრების ფიზიონომია.

რა შეადგენს ველიკოროსული შოვინიზმისაკენ გადახრის არსს ჩვენს თანამედროვე პირობებში?

ველიკოროსული შოვინიზმისაკენ გადახრის არსს შეადგენს მისწრაფება — უგულებელყონ ენის, კულტურის, ყოფაცხოვრების ეროვნული განსხვავებანი; მისწრაფება — მოამზადონ ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების ლიკვიდაცია; მისწრაფება — ძირი გამოუთხარონ ეროვნული თანასწორუფლებიანობის პრინციპს და სახელი გაუტეხონ პარტიის პოლიტიკას აპარატის ნაციონალიზაციის, პრესის, სკოლისა და სხვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნაციონალიზაციის საქმეში.

ამ ტიპის უკლონისტები ამასთან ემყარებიან იმას, რომ, ვინაიდან სოციალიზმის გამარჯვების დროს ერები ერთ ერად უნდა შეერთდნენ, ხოლო მათი ეროვნული ენები ერთ საერთო ენად უნდა გადაიქცნენ, დადგა დრო მოვახდინოთ ეროვნულ განსხვავებათა ლიკვიდაცია და ხელი ავიღოთ წინათ ჩაგრული ხალხების ეროვნული კულტურის განვითარებისათვის მხარის დაჭერის პოლიტიკაზეო.

ამასთან ისინი იმოწმებენ ლენინს, არასწორად მოჰყავთ ციტატები მისი ნაწარმოებებიდან, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ ამახინჯებენ ლენინის აზრს და ცილსა სწამებენ მას.

ლენინმა თქვა, სოციალიზმში ეროვნებათა ინტერესები ერთ მთელად შეერთდებიანო, — ხომ არ გამომდინარეობს აქედან, რომ დროა ბოლო მოეღოს ნაციონალურ რესპუბლიკებსა და ოლქებს... ინტერნაციონალიზმის ინტერესებისა-

თვის? ლენინმა 1913 წელს ბუნდელებთან პოლემიკის დროს თქვა, ეროვნული კულტურის ლოზუნგი ბურჟუაზიული ლოზუნგიაო, — ხომ არ გამომდინარეობს აქედან, რომ დროა ბოლო მოეღოს სსრ კავშირის ხალხთა ეროვნულ კულტურას... ინტერნაციონალიზმის ინტერესებისათვის?

ლენინმა თქვა, სოციალიზმის დროს ეროვნული ჩაგვრა და ეროვნული ზღუდეები ისპობაო, — ხომ არ გამომდინარეობს აქედან, რომ დროა ბოლო მოეღოს სსრ კავშირის ხალხთა ეროვნული თავისებურებებისათვის ანგარიშის გაწევის პოლიტიკას და მოხდეს გადასვლა ასიმილაციის პოლიტიკაზე... ინტერნაციონალიზმის ინტერესებისათვის?

და სხვა და ასე შემდეგ.

ეჭვს გარეშეა, რომ ეს გადახრა ნაციონალურ საკითხში, რომელსაც ამასთანავე ინტერნაციონალიზმის ნიღაბით და ლენინის სახელით ფარავენ, ველიკოროსული ნაციონალიზმის ყველაზე მოქნილ და ამიტომ ყველაზე საშიშ სახეს წარმოადგენს.

ჯერ-ერთი, ლენინს არასოდეს არ უთქვამს, რომ ეროვნული განსხვავებანი უნდა გაქრნენ, ხოლო ეროვნული ენები ერთ საერთო ენად უნდა შეერთდნენ **ერთი** სახელმწიფოს ფარგლებში მანამდე, **სანამ** სოციალიზმი **მსოფლიო მასშტაბით გაიმარჯვებდეს**. ლენინი, პირიქით, პირდაპირ საწინააღმდეგო რამეს ამბობდა, სახელდობრ იმას, რომ «ეროვნული და სახელმწიფოებრივი **განსხვავებანი** ხალხებსა და ქვეყნებს შორის... კიდევ **ძალიან და ძალიან დიდხანს** გასძლებენ მას **შემდეგაც** კი, რაც პროლეტარიატის დიქტატურა **მსოფლიო** მასშტაბით განხორციელდება» * (ტ. XXV, გვ. 227).

როგორ შეიძლება იმოწმებდე ლენინს და ამავე დროს ივიწყებდე მის ამ ძირითად მითითებას?

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

მართალია, ერთ-ერთი ყოფილი მარქსისტი, ამჟამად კი რენეგატი და რეფორმისტი, ბ-ნი კაუცკი ამტკიცებს პირდაპირ იმის საწინააღმდეგო რამეს, რასაც ლენინი გვასწავლის. ლენინის წინააღმდეგ იგი ამტკიცებს, რომ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას ავსტრია-გერმანიის გაერთიანებულ სახელმწიფოში წარსული საუკუნის ნახევარში შედეგად მოჰყვებოდა **ერთი საერთო** გერმანული ენის შექმნა და ჩეხების **გაგერმანელება**, ვინაიდან «მარტოოდენ ბორკილებისაგან განთავისუფლებული გაცვლა-გამოცვლის ძალა, მარტოოდენ თანამედროვე კულტურის ძალა, რომელიც თან მიჰქონდათ გერმანელებს, ყოველივე ძალდატანებითი გერმანიზაციის გარეშე **გერმანელებად გადააქცევდა ჩამორჩენილ ჩეხ წვრილ ბურჟუებს, გლეხებსა და პროლეტარებს, რომლებსაც ვერაფერს მისცემდა მათი დაჩიავებული ეროვნება**» (იხ. «რევოლუცია და კონტრრევოლუცია»-ს გერმანული გამოცემის წინასიტყვაობა).

გასაგებია, რომ ასეთი «კონცეფცია» სავსებით ეხმატკბილება კაუცკის სოციალ-შოვინიზმს. კაუცკის სწორედ ამ შეხედულებებს ვებრძოდი მე 1925 წელს ჩემს გამოსვლაში აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტში[56]. მაგრამ ნუთუ ჩვენთვის, მარქსისტებისათვის, რომლებსაც გვსურს ბოლომდე დავრჩეთ ინტერნაციონალისტებად, რაიმე დადებითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს თავგასული გერმანელი სოციალ-შოვინისტის ამ ანტიმარქსისტულ ლაყბობას?

ვინ არის მართალი, კაუცკი თუ ლენინი?

თუ კაუცკია მართალი, მაშინ რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ისეთი შედარებით ჩამორჩენილი ეროვნებანი, როგორიც არიან ბელორუსები და უკრაინელები, რომლებიც უფრო ახლო დგანან ველიკოროსებთან, ვიდრე ჩეხები გერმანელებთან, კი არ გარუსდნენ სსრ კავშირში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შედეგად, არამედ, პირიქით,

აღორძინდნენ და განვითარდნენ, როგორც დამოუკიდებელი ერები? რით უნდა აიხსნას, რომ ისეთი ერები, როგორიც არიან თურქმენები, ყირგიზები, უზბეკები, ტაჯიკები (ქართველებზე, სომხებზე, აზერბაიჯანელებზე და სხვებზე რომ აღარა ვთქვათ რა), თავიანთი ჩამორჩენილობის მიუხედავად, არა თუ არ გარუსებულან სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებასთან დაკავშირებით, არამედ, პირიქით, აღორძინდნენ და განვითარდნენ, როგორც დამოუკიდებელი ერები? განა ცხადი არ არის, რომ ჩვენი პატივცემული უკლონისტები, გამოედევნენ რა მოჩვენებითს ინტერნაციონალიზმს, კლანჭებში ჩაუვარდნენ კაუცკისეულ სოციალ-შოვინიზმს? განა ცხადი არ არის, რომ, როცა ისინი იბრძვიან ერთი საერთო ენისათვის **ერთი** სახელმწიფოს ფარგლებში, სსრ კავშირის ფარგლებში, არსებითად ცდილობენ აღდგენილ იქნას წინათ გაბატონებული ენის, სახელდობრ **ველიკოროსული** ენის, **პრივილეგიები?**

სად არის აქ ინტერნაციონალიზმი?

მეორეც, ლენინს არასოდეს არ უთქვამს, რომ ეროვნული ჩაგვრის მოსპობა და ეროვნებათა ინტერესების ერთ მთელად შეერთება ეროვნულ განსხვავებათა მოსპობას უდრის. ჩვენ მოვსპეთ ეროვნული ჩაგვრა. ჩვენ მოვსპეთ ეროვნული პრივილეგიები და დავამყარეთ ეროვნული თანასწორუფლებიანობა. ჩვენ მოვსპეთ სახელმწიფოებრივი საზღვრები ამ სიტყვის ძველი გაგებით, სასაზღვრო სვეტები და საბაჟო ზღუდეები სსრ კავშირის ეროვნებათა შორის. ჩვენ დავამყარეთ სსრ კავშირის ხალხთა ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების ერთიანობა. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ამით მოვსპეთ ეროვნული განსხვავებანი, ეროვნული ენები, კულტურა, ყოფაცხოვრება და სხვ.? ცხადია, არ ნიშნავს. მაგრამ თუ ეროვნული განსხვავებანი, ენა, კულტურა, ყოფაცხოვრება და სხვ. რჩება, განა ცხადი არ არის, რომ ნა-

ციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების მოსპობის მოთხოვნა ახლანდელ ისტორიულ პერიოდში რეაქციული მოთხოვნაა, რომელიც მიმართულია პროლეტარიატის დიქტატურის ინტერესების წინააღმდეგ? ესმით თუ არა ჩვენს უკლონისტებს, რომ ახლა ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების მოსპობა ნიშნავს იმას, რომ სსრ კავშირის ხალხთა მილიონიან მასებს მოვუსპოთ შესაძლებლობა — მიიღონ განათლება **დედაენაზე**, მოვუსპოთ მათ შესაძლებლობა — ჰქონდეთ სკოლა, სასამართლო, ადმინისტრაცია, საზოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციები და დაწესებულებები **დედაენაზე**, მოვუსპოთ მათ შესაძლებლობა — ჩაებან სოციალისტურ მშენებლობაში? განა ცხადი არ არის, რომ, გამოედევნენ რა მოჩვენებითს ინტერნაციონალიზმს, ჩვენი უკლონისტები კლანჭებში ჩაუვარდნენ რეაქციონერ ველიკოროს შოვინისტებს და დაივიწყეს, სრულიად დაივიწყეს პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში კულტურული რევოლუციის ლოზუნგი, რომელსაც ერთნაირი ძალა აქვს სსრ კავშირის **ყველა** ხალხისათვის, როგორც ველიკოროსებისათვის, ისე არაველიკოროსებისათვის?

მესამეც, ლენინს არასოდეს არ უთქვამს, რომ **პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში** ეროვნული კულტურის განვითარების ლოზუნგი რეაქციული ლოზუნგია. პირიქით, ლენინი ყოველთვის იმ აზრისა იყო, რომ **დავხმარებოდით** სსრ კავშირის ხალხებს მათი ეროვნული კულტურის განვითარებაში. ლენინის, და არა სხვა ვისიმე, ხელმძღვანელობით შედგენილ იქნა და პარტიის X ყრილობამ მიიღო რეზოლუცია ნაციონალური საკითხის შესახებ, სადაც პირდაპირ ნათქვამია, რომ:

«პარტიის ამოცანაა **დაეხმაროს** არაველიკოროს ხალხთა მშრომელ მასებს დაეწიონ წინწასულ ცენტრალურ რუსეთს, **დაეხმაროს** მათ:

ა) განავითარონ და განამტკიცონ თავიანთი საბჭოთა სახელმწიფოებრიობა იმ ფორმებით, რომლებიც ამ ხალხების ეროვნულ-საყოფაცხოვრებო პირობებს შეესაბამება; ბ) განავითარონ და განამტკიცონ დედაენაზე მოქმედი სასამართლო, ადმინისტრაცია, მეურნეობის ორგანოები, ხელისუფლების ორგანოები, შედგენილნი ადგილობრივი პირებისაგან, რომლებიც იცნობენ ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაცხოვრებასა და ფსიქოლოგიას; გ) განავითარონ თავიანთი პრესა, სკოლა, თეატრი, საკლუბო საქმე და საერთოდ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი დედაენაზე; დ) მოაწყონ და განავითარონ როგორც საერთო-საგანმანათლებლო, ისე პროფესიულ-ტექნიკური ხასიათის კურსებისა და სკოლების ფართო ქსელი დედაენაზე» [57].

განა ცხადი არ არის, რომ ლენინი სავსებით და მთლიანად უჭერდა მხარს **პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში** ეროვნული კულტურის განვითარების ლოზუნგს?

განა ცხადი არ არის, რომ ეროვნული კულტურის ლოზუნგის უარყოფა პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ნიშნავს სსრ კავშირის არაველიკოროს ხალხთა კულტურული აღმავლობის საჭიროების უარყოფას, ამ ხალხებისათვის საყოველთაო-სავალდებულო განათლების საჭიროების უარყოფას, ამ ხალხების მოქცევას რეაქციონერ ნაციონალისტთა სულიერ მონობაში?

ლენინი, მართლაც, ეროვნული კულტურის ლოზუნგს ბურჟუაზიის **ბატონობის პირობებში** ახასიათებდა როგორც რეაქციულ ლოზუნგს. მაგრამ განა შეიძლებოდა სხვანაირად ყოფილიყო?

რა არის ეროვნული კულტურა ეროვნული ბურჟუაზიის ბატონობის დროს? თავისი შინაარსით **ბურჟუაზიული** და თავისი ფორმით ეროვნული კულტურა, რომლის მიზანია მასების მოწამვლა ნაციონალიზმის შხამით და ბურჟუაზიის ბატონობის განმტკიცება.

რა არის ეროვნული კულტურა პროლეტარიატის დიქტატურის დროს? თავისი შინაარსით **სოციალისტური** და ფორმით ეროვნული კულტურა, რომლის მიზანია მასების

აღზრდა სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

როგორ შეიძლება ამ ორი პრინციპულად სხვადასხვა მოვლენის ერთიმეორეში არევა მარქსიზმთან კავშირის გაუწყვეტლად?

განა ცხადი არ არის, რომ ლენინი, ებრძოდა რა ეროვნული კულტურის ლოზუნგს ბურჟუაზიული წყობილების დროს, ლახვარს სცემდა ეროვნული კულტურის ბურჟუაზიულ **შინაარსს** და არა მის ეროვნულ ფორმას?

სისულელე იქნებოდა გვეფიქრა, რომ ლენინი სოციალისტურ კულტურას განიხილავდა როგორც **უეროვნო** კულტურას, რომელსაც არა აქვს ესა თუ ის ეროვნული ფორმა. ბუნდელები, მართლაც, ერთ დროს მიაწერდნენ ლენინს ამ უაზრობას. მაგრამ ლენინის თხზულებებიდან ვიცით, რომ იგი სასტიკ პროტესტს აცხადებდა ასეთი ცილისწამების წინააღმდეგ და გადაჭრით გაემიჯნა ასეთ უაზრობას. ნუთუ ჩვენი პატივცემული უკლონისტები ბუნდელების კვალს გაჰყვნენ?

რაღა დარჩა ყოველივე ნათქვამის შემდეგ ჩვენი უკლონისტების არგუმენტებისაგან?

არაფერი, გარდა ინტერნაციონალიზმის დროშით ჟონგლიორობისა და ლენინისათვის ცილის დაწამებისა.

ვინც ველიკოროსული შოვინიზმისაკენ იხრება, დიდად ცდება, როცა ფიქრობს, რომ სოციალიზმის მშენებლობის პერიოდი სსრ კავშირში ეროვნული კულტურების დაშლისა და ლიკვიდაციის პერიოდია. პირიქით, საქმე სულ საწინააღმდეგოდ არის. ნამდვილად სსრ კავშირში პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმის მშენებლობის პერიოდი არის შინაარსით **სოციალისტურ** და ფორმით ეროვნულ კულტურათა **აყვავების** პერიოდი, ვინაიდან თვითონ ერები საბჭოთა წყობილების დროს არიან არა ჩვეულებრივი «თა-

ნამედროვე» ერები, არამედ **სოციალისტური** ერები, ისევე როგორც მათი ეროვნული კულტურები შინაარსით არიან არა ჩვეულებრივი, ბურჟუაზიული კულტურები, არამედ **სოციალისტური** კულტურები.

მათ, ცხადია, არ ესმით, რომ ეროვნული კულტურების განვითარება **ახალი ძალით** უნდა გაიშალოს საყოველთაო-სავალდებულო პირველდაწყებითი განათლების დედაენაზე შემოღებითა და დამკვიდრებით. მათ არ ესმით, რომ მხოლოდ ეროვნული კულტურების განვითარების დროს შეიძლება ჩამორჩენილ ეროვნებათა ნამდვილად ჩაბმა სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

მათ არ ესმით, რომ სწორედ ეს არის სსრ კავშირის ხალხთა ეროვნული კულტურების განვითარებისათვის **ხელშეწყობისა** და **მხარდაჭერის** ლენინური პოლიტიკის საფუძველი.

იქნებ ვისმე უცნაურად ეჩვენოს, რომ ჩვენ, მომხრენი იმისა, რომ მომავალში ეროვნული კულტურები **შეერთდნენ** ერთ საერთო (ფორმითაც და შინაარსითაც) კულტურად, ერთი საერთო ენით, ამავე დროს მხარს ვუჭერთ ეროვნული კულტურების **აყვავებას** ამჟამად, პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში. მაგრამ აქ უცნაური არაფერია. ეროვნულ კულტურებს შესაძლებლობა უნდა მივცეთ განვითარდნენ და აყვავდნენ, გამოავლინონ მთელი თავისი პოტენცია, რათა შევქმნათ პირობები იმისათვის, რომ ისინი მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების პერიოდში შეერთდნენ ერთ საერთო კულტურად ერთი საერთო ენით. ერთ ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურების აყვავება **იმისათვის**, რომ ისინი შეერთდნენ ერთ საერთო სოციალისტურ (ფორმითაც და შინაარსითაც) კულტურად ერთი საერთო ენით, როცა პროლეტარიატი მთელ

მსოფლიოში გაიმარჯვებს და სოციალიზმი ყოფაცხოვრებაში შევა, — აი სწორედ ეს არის ეროვნული კულტურის საკითხის ლენინური დაყენების დიალექტიკურობა.

შეიძლება თქვან, საკითხის ასე დაყენება «წინააღმდეგობრივიაო». მაგრამ განა ასეთივე «წინააღმდეგობრიობა» არა გვაქვს სახელმწიფოს საკითხში? ჩვენ სახელმწიფოს კვდომის მომხრენი ვართ. და ამავე დროს მხარს ვუჭერთ იმას, რომ გაძლიერდეს პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც ყველაზე მძლავრი და ყველაზე ძლიერი ხელისუფლებაა დღემდე არსებულ სახელმწიფო ხელისუფლებათა შორის. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი განვითარება სახელმწიფო ხელისუფლების **კვდომისათვის** პირობების მომზადების მიზნით — აი მარქსისტული ფორმულა. ამაში «წინააღმდეგობრიობა» არის? დიახ, არის «წინააღმდეგობრიობა». მაგრამ ეს ცხოვრების შესაბამისი წინააღმდეგობრიობაა, და იგი მთლიანად ასახავს მარქსის დიალექტიკას.

ან, მაგალითად, ლენინური დაყენება საკითხისა ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, თვით გამოყოფამდე. ლენინი ეროვნული თვითგამორკვევის თეზისს ზოგჯერ გამოხატავდა მარტივი ფორმულის სახით: «განცალკევება გაერთიანებისათვის». ერთი დაუფიქრდით — განცალკევება გაერთიანებისათვის. ეს პარადოქსსაც კი წააგავს. მაგრამ ეს «წინააღმდეგობრივი» ფორმულა გამოხატავს მარქსის დიალექტიკის იმ ცხოველმყოფელ სიმართლეს, რომელიც ბოლშევიკებს შესაძლებლობას აძლევს აიღონ ყველაზე მიუდგომელი სიმაგრენი ნაციონალური საკითხის სფეროში.

იგივე უნდა ითქვას ეროვნული კულტურის ფორმულის შესახებ: ეროვნული კულტურების (და ენების) აყვავება ერთ ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში იმ მიზნით, რომ მომზადდეს პირობები მათი გაქრობისა და

ერთ საერთო სოციალისტურ კულტურად (და ერთ საერთო ენად) შეერთებისათვის მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების პერიოდში.

ვისაც ვერ გაუგია ჩვენი გარდამავალი დროის ეს თავისებურება და «წინააღმდეგობრიობა», ვისაც ვერ გაუგია ისტორიული პროცესების ეს დიალექტიკა, ის მარქსიზმისათვის დაღუპულია.

ჩვენი უკლონისტების უბედურება ის არის, რომ მათ არ ესმით და არ სურთ გაიგონ მარქსის დიალექტიკა.

ასეთია საქმის ვითარება ველიკოროსული შოვინიზმისაკენ გადახრის მხრივ.

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ეს გადახრა გამოხატავს წინათ გაბატონებული ველიკოროსი ერის დრომოჭმული კლასების მისწრაფებას — დაიბრუნონ დაკარგული პრივილეგიები.

აქედან წარმოსდგება ველიკოროსული შოვინიზმის საფრთხე, როგორც მთავარი საფრთხე პარტიაში ნაციონალური საკითხის სფეროში.

რა შეადგენს ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ გადახრის არსს?

ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ გადახრის არსს შეადგენს მისწრაფება — განცალკევდნენ და ჩაიკეტონ თავიანთი ეროვნული ნაჭუჭის ჩარჩოებში, მისწრაფება — მიჩქმალონ კლასობრივი წინააღმდეგობანი თავიანთი ერის შიგნით, მისწრაფება — დაიცვან თავი ველიკოროსული შოვინიზმისაგან სოციალისტური მშენებლობის საერთო ნაკადიდან ჩამოშორების გზით, მისწრაფება — არ დაინახონ ის, რაც აახლოებს და აერთიანებს სსრ კავშირის ერების მშრომელ მასებს, და დაინახონ მხოლოდ ის, რასაც შეუძლია დააშოროს ისინი ერთიმეორეს.

ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ გადახრა გამოხატავს წინათ დაჩაგრული ერების დრომოჭმული კლასების უკმაყოფილებას პროლეტარიატის დიქტატურის რეჟიმით, მათს მისწრაფებას — განკერძოვდნენ თავიანთ ნაციონალურ ბურჟუაზიულ სახელმწიფოდ და დაამყარონ იქ თავიანთი კლასობრივი ბატონობა.

ამ გადახრის საფრთხე ის არის, რომ იგი ნერგავს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, ასუსტებს სსრ კავშირის ხალხების მშრომელთა ერთიანობას და ხელს უწყობს ინტერვენციონისტებს.

ასეთია ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ გადახრის არსი.

პარტიის ამოცანა ის არის, რომ გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოოს ამ გადახრასთან და უზრუნველყოს სსრ კავშირის ხალხთა მშრომელი მასების ინტერნაციონალური აღზრდისათვის საჭირო პირობები.

ასეთია საქმის ვითარება ჩვენს პარტიაში არსებული გადახრების მხრივ, საერთო პოლიტიკის სფეროში «მემარცხენე» და მემარჯვენე გადახრების მხრივ, ნაციონალური საკითხის სფეროში გადახრების მხრივ.

ასეთია ჩვენი შინაპარტიული მდგომარეობა.

ახლა, როცა პარტია გამარჯვებული გამოვიდა გენერალური ხაზისათვის ბრძოლიდან, როცა ჩვენი პარტიის ლენინური ხაზი მთელ ფრონტზე გამარჯვებას ზეიმობს, ბევრი მიდრეკილებას იჩენს — დაივიწყოს ის სიძნელენი, რომლებსაც ჩვენს მუშაობაში ყველა და ყოველგვარი უკლონისტები გვიქმნიდნენ. უფრო მეტიც, ზოგიერთი ობივატელურად განწყობილი ამხანაგი დღემდე კიდევ ფიქრობს, რომ შეიძლებოდა უკლონისტებთან ბრძოლა არ გვეწარმოებინა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს ამხანაგები დიდად ცდებიან. საკმარისია თვალი გადავავლოთ წარსულს და გავიხსენოთ ტროცკისტებისა და მემარჯვენე

უკლონისტების საგმირო საქმენი, საკმარისია გავიხსენოთ განვლილი პერიოდის მანძილზე გადახრებთან წარმოებული ბრძოლის ისტორია, რომ მივხვდეთ ამ პარტიული ობივატელობის მთელ სიფუჭესა და არარაობას. ეჭვს გარეშეა, რომ უკლონისტების აულაგმავად, აშკარა ბრძოლაში მათ დაუმარცხებლად ჩვენ ვერ მოვიპოვებდით იმ წარმატებებს, რომლებითაც ახლა სამართლიანად ამაყობს ჩვენი პარტია.

ლენინური ხაზიდან გადახრებთან ბრძოლაში გაიზარდა და განმტკიცდა ჩვენი პარტია. გადახრებთან ბრძოლაში გამოჭედა მან თავისი რიგების **ლენინური ერთიანობა.** ახლა აღარავინ უარყოფს იმ უდავო ფაქტს, რომ პარტია ჯერ არასოდეს არ ყოფილა ისე მჭიდროდ დარაზმული თავისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, როგორც ახლა არის. ახლა ყველა იძულებულია აღიაროს, რომ პარტია ამჟამად უფრო **ერთიანი** და **მჭიდროდ დარაზმულია,** ვიდრე ოდესმე ყოფილა, რომ XVI ყრილობა წარმოადგენს ჩვენი პარტიის ერთ-ერთ იშვიათ ყრილობას, სადაც აღარ არის ჩამოყალიბებული და დარაზმული ოპოზიცია, რომელსაც შეეძლოს თავისი განსაკუთრებული ხაზი დაუპირდაპიროს პარტიის გენერალურ ხაზს.

რით აიხსნება პარტიის ეს გადამწყვეტი მიღწევა?

ეს მიღწევა აიხსნება იმ გარემოებით, რომ გადახრების წინააღმდეგ ბრძოლაში პარტია ყოველთვის **პრინციპულ** პოლიტიკას აწარმოებდა, არასოდეს არ დაჭვეითებულა ფარულ კომბინაციებამდე და დიპლომატიურ გეშეფტმახერობამდე.

ლენინი ამბობდა, პრინციპული პოლიტიკა **ერთადერთი** სწორი პოლიტიკაა. გადახრებთან ბრძოლიდან ჩვენ იმიტომ გამოვედით გამარჯვებულნი, რომ პატიოსნად და თანმიმდევრულად ვასრულებდით ლენინის ამ ანდერძს. (ტ ა შ ი).

*
* *

მე ვამთავრებ, ამხანაგებო.

როგორია საერთო დასკვნა?

განვლილ პერიოდში ჩვენ გვქონდა მთელი რიგი გადამწყვეტი წარმატებანი სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. ეს წარმატებანი იმიტომ გვქონდა, რომ შევძელით მაღლა აღმართული გვჭეროდა ლენინის დიადი დროშა. თუ ჩვენ გამარჯვება გვსურს, კვლავაც მაღლა უნდა გვეჭიროს ლენინის დროშა და ვიცავდეთ მის სიწმინდესა და შეუბღალავობას. (ტაში).

ასეთია საერთო დასკვნა.

ლენინის დროშით გავიმარჯვეთ ჩვენ ოქტომბრის რევოლუციისათვის ბრძოლებში.

ლენინის დროშით მოვიპოვეთ ჩვენ გადამწყვეტი წარმატებანი სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ამავე დროშით გავიმარჯვებთ მთელი მსოფლიოს პროლეტარულ რევოლუციაში.

გაუმარჯოს ლენინიზმს! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. მთელი დარბაზის ოვაციები).

«პრავდა» № 177,
1930 წ. 29 ივნისი.

შენიშვნები

1 საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმი მიმდინარეობდა 1929 წლის 16 — 23 აპრილს. პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები: 1) შინაპარტიული საქმეების შესახებ; 2) XVI სრულიად საკავშირო პარტკონფერენციის საკითხები; 3) პარტიის წმენდის შესახებ. პლენუმმა მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის 1929 წლის 9 თებერვლის გაერთიანებული სხდომის რეზოლუცია შინაპარტიულ საქმეებზე და განსაკუთრებული რეზოლუციით დაგმო ბუხარინის, რიკოვის, ტომსკის მემარჯვენე-ოპორტუნისტული საქმიანობა. პლენუმმა მოიწონა პოლიტბიუროს მიერ შეტანილი თეზისები სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, სოფლის მეურნეობის აღმავლობის გზებისა და საშუალო გლეხის საგადასახადო დაბეგვრის შემსუბუქების შესახებ, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შედეგებისა და უახლოესი ამოცანების შესახებ და დაადგინა გადაეცა ისინი განსახილველად XVI სრულიად საკავშირო პარტკონფერენციისათვის. პლენუმმა აგრეთვე დაადგინა XVI პარტკონფერენციისათვის განსახილველად გადაეცა ძირითადად მოწონებული თეზისები საკავშირო კ. პ. (ბ) წევრებისა და კანდიდატების წმენდის შესახებ. ი. ბ. სტალინმა პლენუმის 22 აპრილის სხდომაზე წარმოთქვა სიტყვა «მემარჯვენე გადახრის შესახებ საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ)». (საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის რეზოლუციები იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი II, 1941, გვ. 311 — 323). — **1.**

2 იგულისხმება მაენებლური საქმიანობა ბურჟუაზიულ სპეციალისტთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა, რომელიც 1923 — 1928 წლებში მოქმედებდა დონბასის შახტისა და სხვა რაიონებში. — **12.**

3 კომინტერნის VI კონგრესი შესდგა მოსკოვში 1928 წლის 17 ივლისს — 1 სექტემბერს. კონგრესმა განიხილა ანგარიში კომინტერნის აღმასკომის მუშაობის შესახებ, ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომისა და ინტერნაციონალური საკონტროლო კომისიის ანგარიშები, იმპერიალისტური ომების საფრთხესთან ბრძოლის ღონისძიებანი, კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამა, კოლონიურ და ნახევრად-კოლონიურ ქვეყნებში რევოლუციური მოძრაობის საკითხი, სსრ კავშირის ეკონომიური მდგომარეობა და მდგომარეობა საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ), დაამტკიცა კომინტერნის წესდება. თავის დადგენილებებში კონგრესმა აღნიშნა კაპიტალიზმის შინაგან წინააღმდეგობათა ზრდა, რომელნიც გარდუვალად იწვევენ კაპიტალისტური სტაბილიზაციის შერყევას და კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მკვეთრად გამწვავებას. კონგრესმა განსაზღვრა კომუნისტური ინტერნაციონალის ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობდნენ მუშათა კლასის ბრძოლის ახალი პირობებიდან, დარაზმა კომუნისტური პარტიები მემარჯვენე გადახრასთან, როგორც მთავარ საფრთხესთან და მისდამი შემარიგებლობასთან ბრძოლის გასაძლიერებლად. კონგრესმა აღნიშნა სსრ კავშირში გაჩაღებული სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი, მათი მნიშვნელობა საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციური პოზიციების განმტკიცებისათვის და მოუწოდა მთელი მსოფლიოს მშრომელებს საბჭოთა კავშირის დაცვისკენ. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებდა კონგრესის მუშაობაში, არჩეულ იქნა კონგრესის პრეზიდიუმის წევრად, საპროგრამო კომისიის წევრად და საერთაშორისო მდგომარეობისა და კომუნისტური ინტერნაციონალის ამოცანების შესახებ თეზისების შემმუშავებელი პოლიტიკური კომისიის წევრად. — **22.**

4 იგულისხმება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრთა მონაწილეობით, რომელიც მიმდინარეობდა 1928 წლის 16 — 24 ნოემბერს. — **28.**

5 კათედერ-სოციალიზმი — ბურჟუაზიული იდეოლოგიის ერთ-ერთი მიმართულება, უმთავრესად ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში. წარმოიშვა გერმანიაში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში; შემდეგ ფართოდ გავრცელდა ინგლისში, ამერიკასა და საფრანგეთში. ამ მიმართულების წარმომადგენლები, ლიბერალურ-ბურჟუაზიული პროფესორები, რომლებიც უნივერსიტეტის კათედრებიდან გამოდიოდნენ (აქედან წარმოსდგა სახელწოდება «კათედერ-სოციალიზმი»), ეწეოდნენ ბრძოლას მარქსიზმისა და მზარდი რევოლუციური მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ, ჩქმალავდნენ კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს, ქადაგებდნენ კლასთა შერიგებას. კათედერ-სოციალისტები უარყოფდნენ ბურჟუაზიული სახელმწიფოს კლასობრივ, ექსპლოატატორულ ხასიათს და ამტკიცებდნენ, რომ თითქოს ამ სახელმწიფოს უნარი შესწევს სოციალური რეფორმების გზით გააუმჯობესოს კაპიტალიზმი. ენგელსი გერმანელ კათედერ-სოციალისტებზე წერდა: «კათედერ-სოციალისტები თეორიულად არასოდეს არ ასცილებიან ფილანტროპიისადმი მიდრეკილების მქონე ვულგარულ ეკონომისტთა დონეს, ამჟამად კი ისინი ბისმარკის სახელმწიფო სოციალიზმის უბრალო აპოლოგეტთა დონემდე დაეშვნენ» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVII, გვ. 499). რუსეთში კათედერ-სოციალისტთა ბურჟუაზიულ-ლიბერალურ რეფორმისტულ იდეებს ქადაგებდნენ ლეგალური მარქსისტები. რუსეთის მენშევიკები, II ინტერნაციონალის ოპორტუნისტული პარტიები და თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტები, რომლებიც ცდილობდნენ დაემორჩილებინათ მუშათა მოძრაობა ბურჟუაზიის ინტერესებისადმი და ქადაგებდნენ კაპიტალიზმის მშვიდობიანად, თანდათანობით შეზრდას სოციალიზმში, აგრეთვე კათედერ-სოციალიზმამდე დაეშვნენ. — **37.**

6 იგულისხმება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც შესდგა 1928 წლის 4 — 12 ივლისს. — **55.**

7 **«ახალგაზრდობის ინტერნაციონალი» («Jugend Internationale»)** — ჟურნალი, ახალგაზრდობის სოციალისტური ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირის ორგანო; გამოდიოდა ციურიხში 1915 წლის სექტემბრიდან 1918 წლის მაისამდე. 1919 წლიდან 1941 წლამდე ჟურნალი გამოდიოდა, როგორც ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო. (1925 — 1928

წლებში გამოდიოდა «ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის» სახელწოდებით). — **78.**

8 იხ. ლენინის კრებული XIV, გვ. 250 — 259. — **84.**

9 «სოციალ-დემოკრატის კრებულს» უშვებდა 1916 წელს რსდმპ ცენტრალური კომიტეტი ვ. ი. ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით. გამოვიდა ორი ნომერი: 1916 წლის ოქტომბერსა და დეკემბერში. — **85.**

10 ბრესტის ზავის პერიოდში (1918 წ.) ბუხარინმა და მისი მეთაურობით მოქმედმა «მემარცხენე» კომუნისტთა ჯგუფმა ტროცკისთან ერთად პარტიის შიგნით გააჩაღა გააფთრებული ბრძოლა ლენინის წინააღმდეგ, მოითხოვდა რა ომის განგრძობას იმ მიზნით, რომ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰყავდა არმია, გერმანიის იმპერიალიზმის დარტყმის ქვეშ დაეყენებინა. 1938 წელს, ანტისაბჭოთა «მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის» სასამართლო პროცესზე გამოირკვა, რომ ბუხარინს და მისი მეთაურობით მოქმედ «მემარცხენე» კომუნისტთა ჯგუფს ტროცკისთან და მემარცხენე ესერებთან ერთად საიდუმლო კონტრრევოლუციური შეთქმულება ჰქონდათ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, მიზნად ისახავდნენ ჩაეშალათ ბრესტის საზავო ხელშეკრულება, დაეპატიმრებინათ და მოეკლათ ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი, ი. მ. სვერდლოვი და შეედგინათ მთავრობა ბუხარინელებისა, ტროცკისტებისა და მემარცხენე ესერებისაგან. — **111.**

11 რსფსრ ეკონომსაბჭო — რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭო. — **114.**

12 საკავშირო კ. პ. (ბ) XVI კონფერენცია შესდგა მოსკოვში 1929 წლის 23 — 29 აპრილს. კონფერენციამ განიხილა საკითხები: სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, სოფლის მეურნეობის აღმავლობის გზებისა და საშუალო გლეხის საგადასახადო დაბეგვრის შემსუბუქების შესახებ, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შედეგებისა და უახლოესი ამოცანების შესახებ, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრებისა და კანდიდატების წმენდისა და შემოწმების შესახებ. კონფერენციის მთავარი საკითხი იყო პირველი ხუთწლედის

გეგმა. კონფერენციამ უარყო ხუთწლიანი გეგმის «მინიმალური» ვარიანტი, რომელსაც მემარჯვენე კაპიტულანტები იცავდნენ, და მიიღო «ოპტიმალური» ვარიანტი, როგორც ყოველგვარ პირობებში სავალდებულო. კონფერენციამ დაგმო მემარჯვენე გადახრა, როგორც პარტიის ლენინურ პოლიტიკაზე სავსებით ხელის აღების გამოხატულება, როგორც კულაკობის პოზიციაზე პირდაპირი გადასვლა, და მოუწოდა პარტიას გამანადგურებელი პასუხი გაეცა მემარჯვენე გადახრისათვის, როგორც ამ პერიოდში მთავარი საფრთხისათვის, აგრეთვე ლენინური ხაზიდან გადახრების მიმართ შემარიგებლური განწყობილებებისათვის. კონფერენციაზე მოსმენილ იქნა ვ. მ. მოლოტოვის საინფორმაციო მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის აპრილის პლენუმისა და ამ პლენუმზე ი. ბ. სტალინის მიერ წარმოთქმული სიტყვის შესახებ — «მემარჯვენე გადახრის შესახებ საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ)» (იხ. ეს ტომი, გვ. 1 — 119) და ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუცია «შინაპარტიული საქმეების შესახებ». კონფერენციამ მიიღო მიმართვა საბჭოთა კავშირის ყველა მუშისა და მშრომელი გლეხისადმი — სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. (XVI კონფერენციის რეზოლუციები იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი II, 1941, გვ. 324 — 358). — **119.**

18 ვ. ი. ლენინი. «როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXII, გვ. 158, 161). — **121.**

14 შორეული აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმია შეიქმნა 1929 წლის აგვისტოში ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინიგზაზე მომხდარი კონფლიქტის დროს, რომელიც პროვოკაციულად გამოიწვიეს ჩინელმა კონტრრევოლუციურმა გენერლებმა და იაპონელმა იმპერიალისტებმა. გაზეთი **«ტრევოგა»** — შორეული აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმიის პოლიტიკური სამმართველოს ორგანო; გამოდის 1929 წლიდან. — **150.**

15 **«კომსომოლსკაია პრავდა»** — ყოველდღიური გაზეთი, საკავშირო ალკკ ცენტრალური და მოსკოვის კომიტეტების ორგანო; გამოდის 1925 წლის 24 მაისიდან. სტატია «შესავალი ნარკვევი ლენინიზმზე»

გამოქვეყნებულია გაზეთ «კომსომოლსკაია პრავდაში» № 282, 1929 წლის 7 დეკემბერს. — **151.**

16 აგრარიკოს-მარქსისტთა სრულიად საკავშირო კონფერენცია, რომელიც სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულმა კომუნისტურმა აკადემიამ მოიწვია, მიმდინარეობდა 1929 წლის 20 — 27 დეკემბერს. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების, სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიური უმაღლესი სასწავლებლების, ჟურნალ-გაზეთების რედაქციების წარმომადგენლები. სულ დაესწრო 302 დელეგატი. სიტყვა «აგრარული პოლიტიკის საკითხებისათვის სსრ კავშირში» ი. ბ. სტალინმა წარმოთქვა კონფერენციის საბოლოო პლენარულ სხდომაზე 27 დეკემბერს. — **155.**

17 იხ. ლენინის კრებული XI, გვ. 368. — **163.**

18 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXV, გვ. 173. — **163.**

19 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVI, გვ. 46. — **163.**

20 ფ. ენგელსი. «გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში», 1922. გვ. 66 (იხ. აგრეთვე კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწილი II, 1936, გვ. 456). — **167.**

21 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 11, გვ. 89 — 106. — **172.**

22 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVII, გვ. 191 — 194. — **182.**

23 «**ზა რუბეჟომ**» — ჟურნალი; გამოდიოდა 1930 წლიდან მ. გორკის რედაქციით; 1932 წელს რეორგანიზებულ იქნა ჟურნალ-გაზეთად, რომელიც გამოდიოდა 1938 წლამდე. — **191.**

24 «**კრასნაია ზვეზდა**» — ყოველდღიური სამხედრო-პოლიტიკური გაზეთი; გამოდის 1924 წლის იანვრიდან. 1946 წლის მარტიდან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტროს ცენტრალური ორგანოა. — **194.**

25 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი II, 1941, გვ. 47 — 53. — **195.**

26 საკავშირო კ. პ. (ბ) XVI კონფერენციის რეზოლუცია «სოფლის მეურნეობის აღმავლობის გზებისა და საშუალო გლეხის საგადასახადო დაბეგვრის შემსუბუქების შესახებ» იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი II, 1941, გვ. 329 — 338. — **195.**

27 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი II, 1941, გვ. 247 — 259. — **196.**

28 საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობის რეზოლუცია «სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შედგენის დირექტივების შესახებ» იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი II, 1941, გვ. 234 — 247. — **198.**

29 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი II, 1941, გვ. 222 — 227. — **198.**

30 სვერდლოველები — ი. მ. სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის მსმენელები. — **201.**

31 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVI, გვ. 428 — 429. — **201.**

32 ვ. ი. ლენინი. «პიტირიმ სოროკინის საგულისხმო აღიარება» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXIII, გვ. 294). — **202.**

33 «რუბინიზმი» და «მექანიციზმი» — ანტიმარქსისტული რევიზიონისტული მიმართულებანი პოლიტიკურ ეკონომიაში. მენშევიკი რუბინი მარქსის მოძღვრების რევიზიას ეწეოდა იდეალისტური ბურჟუაზიული პოზიციებიდან, რევოლუციურ შინაარსს აცლიდა მარქსიზმს, მავნებლურად აშორებდა ეკონომისტთა ყურადღებას

საბჭოთა ეკონომიკის შესწავლის საკითხებს, მიჰყავდა ისინი სქოლასტიკური დავისა და აბსტრაქციების სფეროში. «მექანიციზმი» — მარქსიზმის დამახინჯება ფილოსოფიასა და პოლიტიკურ ეკონომიაში. ვულგარულ-მექანისტური პოზიციებიდან, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ უარყოფდნენ მატერიალისტურ დიალექტიკას და ცვლიდნენ მას წონასწორობის ბურჟუაზიული თეორიით. მექანიციზმის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი იყო მემარჯვენე უკლონისტების იდეოლოგი ბუხარინი. პოლიტიკურ ეკონომიაში მექანისტები უარყოფდნენ კაპიტალისტური საზოგადოების შინაგან წინააღმდეგობებს, მისი განვითარების კანონთა ისტორიულად წარმავალ ხასიათს და საბჭოთა სოციალისტურ საზოგადოებაზე გადმოჰქონდათ კაპიტალიზმის კანონზომიერებანი. — **207.**

84 საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილება გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდაში» № 73, 1930 წლის 15 მარტს. (იხ. აგრეთვე «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი II, 1941, გვ. 813 — 814). — **221.**

85 საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 5 იანვრის დადგენილება «კოლექტივიზაციის ტემპისა და საკოლმეურნეო მშენებლობისადმი სახელმწიფოს დახმარების ღონისძიებათა შესახებ» იხ. აგრეთვე «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი II, 1941, გვ. 389 — 391. — **227.**

86 საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1930 წლის 26 ივნისს — 13 ივლისს. ყრილობამ განიხილა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული ანგარიშები; ცენტრალური სარევიზიო კომისიის, ცენტრალური საკონტროლო კომისიის ანგარიშები, ანგარიში საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციისა კომინტერნის აღმასკომში და მოხსენებანი: მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის შესრულების შესახებ; საკოლმეურნეო მოძრაობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის შესახებ; რეკონსტრუქციის პერიოდში პროფკავშირთა ამოცანების შესახებ. ყრილობამ ერთხმად მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური

ხაზი და მუშაობა, წინადადება მისცა ცენტრალურ კომიტეტს შემდეგშიც უზრუნველეყო სოციალისტური მშენებლობის ბოლშევიკური ტემპები, მიეღწია ხუთწლედის შესრულებისათვის ოთხ წელიწადში, განუხრელად გაეტარებინა გაშლილი სოციალისტური შეტევა მთელ ფრონტზე და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის ბაზაზე. ყრილობამ აღნიშნა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის განვითარებაში მომხდარი გარდატეხისა, რომლის შედეგადაც კოლმეურნე გლეხობა საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილი და მტკიცე დასაყრდენი გახდა. ყრილობამ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დაავალა კვლავაც გაეტარებინა მშვიდობის მტკიცე პოლიტიკა და განემტკიცებინა სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობა. ყრილობამ პარტიას მისცა მითითებანი: მძიმე მრეწველობის ყოველმხრივ განვითარებისა და ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში ქვანახშირისა და მეტალურგიის ახალი, მძლავრი ბაზის შექმნის შესახებ; ყველა მასობრივი ორგანიზაციის მუშაობის გარდაქმნისა და სოციალისტურ მშენებლობაში პროფკავშირთა როლის გაძლიერების შესახებ; სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველა მუშისა და მშრომელთა მასების ჩაბმის შესახებ. ყრილობამ ბოლომდე გამოააშკარავა მემარჯვენე ოპორტუნიზმი, როგორც კულაკობის აგენტურა პარტიის შიგნით, და მემარჯვენე ოპოზიციის შეხედულებანი გამოაცხადა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) წევრობასთან შეუთავსებლად. ყრილობამ პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება მისცა გაეძლიერებინათ ბრძოლა გადახრებთან ნაციონალურ საკითხში — დიდმპყრობელურ შოვინიზმთან და ადგილობრივ ნაციონალიზმთან და მტკიცედ გაეტარებინათ ლენინური ნაციონალური პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს სსრ კავშირის ხალხთა ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურების ფართო განვითარებას. XVI ყრილობა პარტიის ისტორიაში შევიდა როგორც მთელ ფრონტზე სოციალიზმის გაშლილი შეტევის, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისა და მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელების ყრილობა. ი. ბ. სტალინი ყრილობაზე გამოვიდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშით 27 ივნისს, ხოლო 2 ივლისს — საბოლოო სიტყვით. (საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობის შესახებ იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», 1947, გვ. 403 — 405. ყრილობის დადგენილებანი იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლე-

ნუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი II, 1941, გვ. 394 — 436). — **257.**

267 ფედერალური სარეზერვო სისტემა — ამერიკის შეერთებულ შტატებში 1913 წელს შექმნილი საბანკო ორგანიზაცია. ამერიკის უმნიშვნელოვანეს ცენტრებში დაარსებული თორმეტი ფედერალური სარეზერვო ბანკი აერთიანებს და კონტროლს უწევს ამერიკის შეერთებული შტატების ბანკების მთელ საქმიანობას და მონოპოლისტური კაპიტალის იარაღია. ფედერალურ სარეზერვო სისტემას სათავეში უდგას ფედერალური სარეზერვო საბჭო (1933 წელს დაერქვა ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭო), რომელსაც ნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და რომელიც მთლიანად საფინანსო მაგნატების ხელშია. ბურჟუაზიულ ეკონომისტებს — ამერიკის კაპიტალიზმის აპოლოგეტებს, ამერიკის შეერთებული შტატების საფინანსო და მმართველ წრეებს ფედერალური სარეზერვო სისტემა მიაჩნდათ ისეთ საშუალებად, რომელიც ამერიკის მეურნეობას უზრუნველყოფდა კრიზისებისაგან. პრეზიდენტ ჰუვერის ცდები — ფედერალური სარეზერვო სისტემის შემწეობით ეწარმოებინა ბრძოლა 1929 წელს გაჩაღებული კრიზისის წინააღმდეგ — სრული მარცხით დამთავრდა. — **265.**

268 იუნგის გეგმა — გერმანიისაგან სარეპარაციო გადასახდელთა მიღების გეგმა, ასე ეწოდა მისი ავტორის — ამერიკელი ბანკირის იუნგის სახელის მიხედვით; მიღებულ იქნა 1929 წლის 7 ივნისს საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, იაპონიის, ბელგიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ექსპერტთა კომიტეტის მიერ, საბოლოოდ დამტკიცებულ იქნა ჰააგის კონფერენციაზე 1930 წლის 20 იანვარს. გერმანიის სარეპარაციო გადასახდელთა საერთო თანხა ამ გეგმით დაწესებული იყო 113,9 მილიარდი მარკის რაოდენობით (უცხოეთის ვალუტით), რა თანხაც გადახდილი უნდა ყოფილიყო 59 წლის განმავლობაში. რეპარაციების ყველა ანგარიშსწორება ეკისრებოდა საერთაშორისო ანგარიშსწორებათა ბანკს, რომელშიც გაბატონებული მდგომარეობა ამერიკის შეერთებულ შტატებს ეკავათ. ბანკის შექმნა იუნგის გეგმის ერთ-ერთი ცენტრალური პუნქტი იყო და ევროპის სახელმწიფოთა ვაჭრობისა და ფულის ბრუნვისადმი ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალის კონტროლის საშუალებას წარმოადგენდა. იუნგის გეგმით გერმანიის

მრეწველობა თავისუფლდებოდა რეპარაციების გადახდაში მონაწილეობისაგან, გადასახდელთა მთელი სიმძიმე მშრომელებს ეკისრებოდათ. იუნგის გეგმამ შექმნა პირობები გერმანიის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის უფრო სწრაფი აღდგენისათვის, რასაც ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობდნენ სსრ კავშირის წინააღმდეგ აგრესიის გაჩაღების მიზნით. — **278.**

39 იგულისხმება იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ ლოკარნოს (შვეიცარია) კონფერენციაზე დადებული ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი. კონფერენცია მიმდინარეობდა 1925 წლის 5 — 16 ოქტომბერს. ლოკარნოს შეთანხმებებმა, რომლებიც მიმართული იყო ევროპაში ვერსალის ხელშეკრულებით დადგენილი ომისშემდგომი წესრიგის განმტკიცებისაკენ, გამოიწვიეს მთავარ იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობის უფრო მეტად გამწვავება და ახალი ომების მომზადება. (ლოკარნოს კონფერენციის შესახებ იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 7, გვ. 298 — 304). — **278.**

40 ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო დემონსტრაციები და გაფიცვები 1929 წლის 1 აგვისტოს (პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყების მეთხუთმეტე წლისთავის დღეს) და 1930 წლის 6 მარტის საპროტესტო დემონსტრაციები სწრაფად მზარდი უმუშევრობის წინააღმდეგ (1929 წლის მსოფლიო ეკონომიურ კრიზისთან დაკავშირებით) მოეწყო საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, პოლონეთის და ევროპისა და ამერიკის სხვა ქვეყნების ბევრ ქალაქსა და სამრეწველო ცენტრში. საპროტესტო მოძრაობა მიმდინარეობდა მთლიანად კომუნისტური პარტიებისა და კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით. — **276.**

41 «პან-ევროპა» — პროექტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ევროპის სახელმწიფოთა ბლოკის შექმნისა. ეს პროექტი წამოაყენა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრიანმა 1930 წლის მაისში. «ფედერალურ კავშირში» გაერთიანებული ევროპა ამ გეგმის თანახმად ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტი უნდა ყოფილიყო, ხოლო «ფედერალური კავშირის» აღმასრულებელი ორგანო — «ევროპის კომიტეტი» სსრ კავშირზე თავდასხმის მომზადების შტაბი იქნებოდა. გარდა ამისა, ბრიანის გეგმა ამოცანად ისახავდა საფრანგეთის ჰეგემონიის დამყარებას ევროპის კონტინენტზე და

ამის გამო ინგლისის, იტალიისა და ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგობას წააწყდა. «პან-ევროპის» პროექტი არ განხორციელებულა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობათა გამო. — **279.**

42 იგულისხმება პაქტი ომზე უარის თქმის შესახებ, რომელსაც პარიზში 1928 წლის 27 აგვისტოს ხელი მოაწერეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, დიდმა ბრიტანეთმა, პოლონეთმა, იტალიამ, იაპონიამ, ჩეხოსლოვაკიამ, ბელგიამ და ბრიტანეთის დომინიონებმა. კელოგის პაქტის დადების შესახებ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად სსრ კავშირი არ მიუწვევიათ, რადგანაც სურდათ გამოეთიშათ სსრ კავშირი იმ ქვეყნების რიცხვიდან, რომლებზეც ვრცელდებოდა პაქტით გათვალისწინებული უარის თქმა ომზე, როგორც ნაციონალური პოლიტიკის იარაღზე. ეფარებოდნენ რა დემაგოგიურ ფრაზებს «საყოველთაო მშვიდობის» შესახებ, ხელშეკრულების ინიციატორები (საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი) ვარაუდობდნენ გადაექციათ იგი სსრ კავშირის იზოლაციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად. სსრ კავშირის მთავრობამ თავის 1928 წლის 5 აგვისტოს განცხადებაში ამხილა პაქტის ნამდვილი მიზნები. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით იძულებული გახდნენ გამოეცხადებინათ სსრ კავშირის მიწვევა პაქტის ხელმოსაწერად. საბჭოთა მთავრობა შეუერთდა კელოგის პაქტს, ერთ-ერთმა პირველმა მოახდინა მისი რატიფიკაცია და წინადადება მისცა მეზობელ სახელმწიფოებს დაედოთ შეთანხმება პაქტის ვალდებულებების დაუყოვნებლივ ძალაში შესვლის შესახებ. ასეთ შეთანხმებას 1929 წლის 9 თებერვალს ხელი მოაწერეს მოსკოვში სსრ კავშირმა, პოლონეთმა, რუმინეთმა, ესტონეთმა და ლატვიამ, უფრო გვიან მას შეუერთდნენ თურქეთი და ლიტვა. — **279.**

43 «ლენა-გოლდფილდსი» — ინგლისური სააქციო საზოგადოება, რომელსაც 1925 — 1930 წლებში სსრ კავშირში ჰქონდა ციმბირის ოქროს, სპილენძის, რკინის და სხვ. მოპოვებისა და საბადოთა დამუშავების კონცესია. საკონცესიო ხელშეკრულების პირობებით საზოგადოება «ლენა-გოლდფილდსი» მოვალე იყო აეშენებინა ახალი სამთო-სამრეწველო საწარმოები და მოეხდინა საიჯაროდ გადაცემული ქარხნებისა და საბადოების რეკონსტრუქცია. იმის გამო, რომ

სააქციო საზოგადოება არ ასრულებდა თავის ვალდებულებებს, რაც იწვევდა კონცესიით აღებული ჭარხნების, საბადოებისა და სხვა საწარმოების დანგრევას, საბჭოთა მთავრობამ გააუქმა კონცესია, ხოლო საზოგადოების თანამშრომლები, რომლებიც სსრ კავშირში ჯაშუშურ და მავნებლურ მუშაობას ეწეოდნენ, სამართალში მისცა. — **280.**

44 სსრ კავშირის საბჭოების V ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1929 წლის 20 — 28 მაისს. ყრილობამ განიხილა შემდეგი საკითხები: სსრ კავშირის მთავრობის მოხსენება; სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა; სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და სოფლად კოოპერაციული მშენებლობის შესახებ. ყრილობის ცენტრალური საკითხი იყო პირველი სტალინური ხუთწლედის განხილვა და მიღება. ყრილობამ მოიწონა სსრ კავშირის მთავრობის ანგარიში, დაამტკიცა სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, დასახა სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და სოფლად კოოპერაციული მშენებლობის გზები და აირჩია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ახალი შემადგენლობა. — **294.**

45 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი II, 1941, გვ. 251. — **304.**

46 ი. ბ. სტალინი. ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობისადმი (იხ. თხზულებანი, ტ. 10, გვ. 327). — **305.**

47 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი II, 1941, გვ. 278 — 279. — **311.**

48 საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 1929 წლის 10 — 17 ნოემბერს მიმდინარეობდა, განიხილა საკითხები: სახალხო მეურნეობის 1929/30 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ; საკოლმეურნეო მშენებლობის შედეგებისა და შემდგომი ამოცანების შესახებ; უკრაინის სოფლის მეურნეობის შესახებ და სოფლად მუშაობის შესახებ; სსრ კავშირის მიწათმოქმედების საკავ-

შირო სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ; ტექნიკური კადრების მომზადების თაობაზე ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის (1928 წ.) გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ. პლენუმმა მემარჯვენე ოპორტუნიზმის და მასთან შემარიგებლობის შეხედულებათა პროპაგანდა მიიჩნია როგორც საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში ყოფნასთან შეუთავსებელი და დაადგინა ბუხარინის, როგორც მემარჯვენე კაპიტულანტების მოთავისა და ხელმძღვანელის, გამოყვანა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობიდან. პლენუმმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი შევიდა სოფლის გაშლილი სოციალისტური გარდაქმნისა და მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედების მშენებლობის ხანაში, და დასახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ კოლმეურნეობათა განმტკიცებას და საკოლმეურნეო მოძრაობის ფართოდ გაშლას. (პლენუმის რეზოლუციები იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი II, 1941, გვ. 359 — 388). — **811.**

49 იგულისხმება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვა «პარტიის ყველა წევრისადმი, ყველა მუშისადმი» თვითკრიტიკის გაჩაღების შესახებ; მიმართვა გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 128, 1928 წლის 3 ივნისს. (იხ. აგრეთვე «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი II, 1941, გვ. 807 — 809). — **840.**

50 საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის დადგენილება «საბჭოთა აპარატში მუშების დაწინაურებისა და საბჭოთა აპარატის მიმართ ქვემოდან მასობრივი მუშათა კონტროლის შესახებ (ქარხნების შეფობის შესახებ)» გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 74, 1930 წლის 16 მარტს. — **841.**

51 იგულისხმება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 15 მაისის დადგენილება «ურალმეტის მუშაობის შესახებ» (ურალმეტი — ტრესტი, რომელიც აერთიანებდა ურალის შავ მეტალურგიას). დადგენილება გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 135, 1930 წლის 18 მაისს. — **854.**

52 საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება «ოკრუგების ლიკვიდაციის შესახებ» გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 194, 1930 წლის 16 ივლისს. — **366.**

53 ვ. ი. ლენინი. წერილი ვ. მ. მოლოტოვისადმი პარტიის XI ყრილობაზე პოლიტმოხსენების გეგმის შესახებ (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVII, გვ. 207). — **369.**

54 ვ. ი. ლენინი. «როგორ მოვახდინოთ მუშაგლეხინის რეორგანიზაცია» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVII, გვ. 405). — **370.**

55 რსფსრ საბჭოების VIII ყრილობა მიმდინარეობდა 1920 წლის 22 — 29 დეკემბერს. ყრილობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის გეგმა, რომელიც რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისიამ («გოელრო») მოამზადა. თავის დადგენილებაში ყრილობამ ელექტროფიკაციის გეგმა შეაფასა «როგორც დიადი სამეურნეო წამოწყების პირველი ნაბიჯი». ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინისათვის 1921 წლის მარტში გაგზავნილ წერილში რუსეთის ელექტროფიკაციის გეგმის შესახებ წერდა: «უკანასკნელ 3 დღეს შესაძლებლობა მქონდა წამეკითხა კრებული **«რუსეთის ელექტროფიკაციის გეგმა»**... საუცხოო, კარგად შედგენილი წიგნია. ოსტატური მონასახია ნამდვილად **ერთიანი** და ნამდვილად **სახელმწიფო** სამეურნეო გეგმისა **უბრჭყალებოდ**. ჩვენს დროში ერთადერთი მარქსისტული ცდაა — შეექმნას მეურნეობრივად ჩამორჩენილი რუსეთის საბჭოთა ზედნაშენს ნამდვილად რეალური და ახლანდელ პირობებში ერთადერთი შესაძლებელი ტექნიკურ-საწარმოო ბაზა» (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 5, გვ. 53). — **377.**

56 იგულისხმება აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტთა კრებაზე 1925 წლის 18 მაისს წარმოთქმული სიტყვა «აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის პოლიტიკური ამოცანების შესახებ» (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 7, გვ. 152 — 154). — **396.**

57 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და ვადაწყვეტილებებში», ნაწილი I, 1941, გვ. 385. — **399.**

ბიოგრაფიული ქრონიკა

(აპრილი 1929 — ივნისი 1930)

1929

16 — 23 აპრილი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის მუშაობას.

22 აპრილი. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის სხდომაზე გამოდის სიტყვით «მემარჯვენე გადახრის შესახებ საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ)».

23 — 29 აპრილი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს საკავშირო კ. პ. (ბ) XVI სრულიად საკავშირო კონფერენციის მუშაობას.

27 აპრილი. ი. ბ. სტალინს საკავშირო კ. პ. (ბ) XVI სრულიად საკავშირო კონფერენციის სხდომაზე ირჩევენ სოფლის მეურნეობის აღმავლობის გზებისა და საშუალო გლეხის საგადასახადო დაბეგვრის შემსუბუქების შესახებ რეზოლუციის შემმუშავებელ კომისიაში.

29 აპრილი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას.

1 მაისი. ი. ბ. სტალინი ესწრება მოსკოვის გარნიზონის ჯარების საპირველმაისო პარადს და დედაქალაქის მშრომელთა დემონსტრაციას წითელ მოედანზე.

4 მაისი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება დონბასის მაღაროელთა დელეგაციას.

6 მაისი. ი. ბ. სტალინი კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის ამერიკის კომისიაში გამოდის სიტყვით მემარჯვენე ფრაქციონერთა შესახებ ამერიკის კომპარტიაში.

11 მაისი. ი. ბ. სტალინმა დაწერა სტატია «შეჯიბრება და მასების შრომითი აღმავლობა» — წინასიტყვაობა მიკულინას წიგნისა «მასების შეჯიბრება». სტატია გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 114, 22 მაისს.

14 მაისი. ი. ბ. სტალინი კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე ამბობს სიტყვებს ამერიკის კომპარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

20 — 28 მაისი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს სსრ კავშირის საბჭოების V ყრილობის მუშაობაში.

28 მაისი. ი. ბ. სტალინს სსრ კავშირის საბჭოების V ყრილობაზე ირჩევენ სსრ კავშირის ცაკის კავშირის საბჭოს წევრად.

18 ივნისი. ი. ბ. სტალინი და ვ. მ. მოლოტოვი ესაუბრებიან სატყეო მრეწველობის მუშაკთა დელეგაციას.

9 ივლისი. ი. ბ. სტალინი წერილს სწერს ამხ. ფელიქს კონს.

10 ივლისი. ი. ბ. სტალინი წერს მისალმებას უკრაინის კომკავშირისადმი მისი ათი წლისთავის დღისათვის. მისალმება გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 157, 12 ივლისს.

24 ივლისი. ი. ბ. სტალინი ესწრება შავი ზღვის ფლოტის ესკადრის სწავლებას.

25 ივლისი. ი. ბ. სტალინმა ინახულა კრეისერი «ჩერვონა უკრაინა», დაესწრო წითელფლოტელთა თვითმოქმედების საღამოს და შთაბეჭდილება ჩაწერა კრეისერის სახომალდო ჟურნალში.

30 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი წერს მისალმებას შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმიისადმი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეთორმეტე წლისთავთან დაკავშირებით. მისალმება გამოქვეყნდა გაზეთებში — «ტრევოგაში» № 52 და «პრავდაში» № 259, 7 ნოემბერს.

3 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი წერს სტატიას «დიადი გარდატეხის წელი». სტატია გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 259, 7 ნოემბერს.

7 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი ესწრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეთორმეტე წლისთავის აღსანიშნავად წითელ მოედანზე გამართულ მოსკოვის გარნიზონის ჯარების პარადსა და დედაქალაქის მშრომელთა დემონსტრაციას.

10 — 17 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას.

18 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომაზე გამოდის სიტყვით, რომელშიც ამხილებს ბუხარინული ოპოზიციის ლიდერთა ფრაქციულ მუშაობას.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ი. ბ. სტალინს ირჩევს კომისიაში, რომელსაც დაევალა სახალხო მეურნეობის 1929/30 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ რეზოლუციის საბოლოო რედაქტირება და მემარჯვენე უკლონისტთა ბუხარინული ჯგუფის შესახებ რეზოლუციის შემუშავება.

15 ნოემბერი. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ი. ბ. სტალინს ირჩევს კომისიაში, რომელსაც დაევალა საკოლმეურნეო მშენებლობის შედეგებისა და შემდგომი ამოცანების შესახებ რეზოლუციის რედაქტირება.

19 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს სსრ კავშირის V მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის მუშაობაში.

18 დეკემბერი. ი. ბ. სტალინის სტატია «აუცილებელი შესწორება» გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 298.

21 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი წერს პასუხს ყველა ორგანიზაციისა და ამხანაგებისადმი, რომლებმაც გაუგზავნეს მას მისალმებანი მისი დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით. პასუხი გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 302, 22 დეკემბერს.

27 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი აგრარიკოს-მარქსისტთა სრულიად საკავშირო კონფერენციაზე გამოდის სიტყვით «აგრარული პოლიტიკის საკითხებისათვის სსრ კავშირში». სიტყვა გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 309, 29 დეკემბერს.

1930

2 იანვარი. ი. ბ. სტალინის მისალმება სტალინგრადის მუშებისადმი — თეთრგვარდიელებისაგან ამ ქალაქის განთავისუფლების მეათე წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 2.

5 იანვარი. ი. ბ. სტალინის წინადადებით საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი იღებს დადგენილებას «კოლექტივიზაციის ტემპისა და საკოლმეურნეო მშენებლობისადმი სახელმწიფოს დახმარების ღონისძიებათა შესახებ». დადგენილება გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 6, 6 იანვარს.

17 იანვარი. ი. ბ. სტალინი სწერს წერილს ა. მ. გორკის.

19 იანვარი. ი. ბ. სტალინმა დაწერა სტატია «კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკის საკითხისათვის». სტატია გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 21 და გაზეთ «კრასნაია ზვეზდაში» № 18, 21 იანვარს.

21 იანვარი. ი. ბ. სტალინი დიდ თეატრში ესწრება ვ. ი. ლენინის გარდაცვალების მეექვსე წლისთავისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო კრებას.

9 თებერვალი. ი. ბ. სტალინი წერს სტატიას «პასუხი ამხანაგ სვერდლოველებს». პასუხი გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 40, 10 თებერვალს.

18 თებერვალი. მთელი რიგი ორგანიზაციების, მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საერთო კრებების მრავალი შუამდგომლობით ი. ბ. სტალინი, სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე უდიდესი დამსახურებისათვის, დაჯილდოებულია წითელი დროშის მეორე ორდენით. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება ი. ბ. სტალინის დაჯილდოების შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 53, 23 თებერვალს.

22 თებერვალი. ი. ბ. სტალინმა დაწერა მისალმება პირველი ცხენოსანი არმიისადმი მისი მეათე წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით. მისალმება გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 53, 23 თებერვალს.

ი. ბ. სტალინმა დაწერა იჟევსკის ქარხნის მუშათა წერილის პასუხი და უსურვა მათ წითელი არმიისათვის შეიარაღების საგნების წარმოების გეგმის წარმატებით შესრულება. პასუხი გამოქვეყნდა გაზეთ «იჟევსკაია პრავდაში» № 51, 2 მარტს.

ი. ბ. სტალინი დიდ თეატრში ესწრება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომას, მიძღვნილს წითელი არმიის მეთორმეტე წლისთავისა და პირველი ცხენოსანი არმიის მეათე წლისთავის დღესასწაულისადმი.

8 მარტი. ი. ბ. სტალინის სტატია «თავბრუდახვევა წარმატებებისაგან» გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 60.

არა უგვიანეს 14 მარტისა. ი. ბ. სტალინი მუშაობს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაზე «საკოლმეურნეო მოძრაობაში პარტიის ხაზის დამახინჯებებთან ბრძოლის შესახებ». დადგენილება გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 73, 15 მარტს.

19 მარტი. ი. ბ. სტალინი უპასუხებს ამხ. ბეზიმენსკის წერილზე.

8 აპრილი. ი. ბ. სტალინის სტატია «პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს» გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 92.

21 აპრილი. ი. ბ. სტალინმა დაწერა მისალმება სტალინის სახელობის ლენინგრადის ლითონის ქარხნის მუშებისადმი ქარხნის მიერ სსრ კავშირში პირველი მძლავრი ტურბინის ვადამდე გამოშვებასთან დაკავშირებით. მისალმება გამოქვეყნდა გაზეთ «ლენინგრადსკაია პრავდაში» № 112, 23 აპრილს.

25 აპრილი. ი. ბ. სტალინმა დაწერა მისალმება სამრეწველო აკადემიის მსმენელთა პირველი გამოშვებისადმი. მისალმება გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 115, 26 აპრილს.

26 აპრილი. ი. ბ. სტალინის მისალმება თურქესტან-ციმბირის რკინიგზის მშენებლებისადმი, მშენებლობის დამთავრებასა და პირდაპირი მიმოსვლის გახსნასთან დაკავშირებით, გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 115.

1 მაისი. ი. ბ. სტალინი ესწრება საპირველმაისო სამხედრო პარადს და დედაქალაქის მშრომელთა დემონსტრაციას წითელ მოედანზე.

10 მაისი. ი. ბ. სტალინის მისალმება განსაკუთრებული საკავალერიო ბრიგადისადმი მისი მეათე წლისთავის დღეს გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 127.

27 მაისი. კრასნაია პრესნიას და ბაუმანის რაიონული პარტკონფერენციები ი. ბ. სტალინს ირჩევენ მოსკოვის საოლქო პარტიული კონფერენციისა და ს«კავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობის დელეგატად.

31 მაისი. ი. ბ. სტალინი უპასუხებს ამხ. მ. რაფაილის წერილზე.

16 ივნისი. ი. ბ. სტალინი მიესალმება როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის კოლექტივს ქარხნის მშენებლობის ვადამდე დამთავრების გამო. მისალმება გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 165, 17 ივნისს.

ი. ბ. სტალინმა დაწერა კრასნოდარის მხარის კანევსკის რაიონის კოლმეურნეთა მისასალმებელ« წერილის პასუხი. პასუხი გამოქვეყნდა გაზეთ «კრასნოე ზნამიაში» (კრასნოდარი) № 137, 18 ივნისს და გაზეთ «პრავდაში» № 167, 19 ივნისს.

17 ივნისი. ი. ბ. სტალინი მიესალმება სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის მუშებს სსრ კავშირში პირველი სატრაქტორო ქარხნის მშენებლობის ვადამდე დამთავრებისა და ამუშავების გამო. მისალმება გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 166, 18 ივნისს.

25 ივნისი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას. პლენუმმა მოიწონა პოლიტბიუროს მიერ პარტიის XVI ყრილობისათვის წარდგენილი თეზისები და დაამტკიცა ი. ბ. სტალინი მომხსენებლად საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე დღის წესრიგის პირველი პუნქტის შესახებ (ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში).

27 ივნისი. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე გამოდის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშით.

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
წინასიტყვაობა	VII
მემარჯვენე გადახრის შესახებ საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ). სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმზე 1929 წ. აპრილში. (სტენოგრამა)	1—119
I. ერთი თუ ორი ხაზი?	3
II. კლასობრივი ძვრები და ჩვენი უთანხმოებანი .	11
III. უთანხმოებანი კომინტერნის ხაზით . . .	21
IV. უთანხმოებანი საშინაო პოლიტიკის ხაზით . .	30—105
ა) კლასობრივი ბრძოლის შესახებ	31
ბ) კლასობრივი ბრძოლის გამწვავების შესახებ .	37
გ) გლეხობის შესახებ	43
დ) ნეპისა და საბაზრო ურთიერთობის შესახებ .	47
ე) ეგრეთწოდებული «ხარკის» შესახებ . . .	54
ვ) ინდუსტრიის განვითარების ტემპისა და ქალაქისა და სოფლის კავშირის ახალი ფორმების შესახებ	61
ზ) ბუხარინი როგორც თეორეტიკოსი . . .	76
თ) ხუთწლედი თუ ორწლედი	87
ი) ნათესი ფართობების საკითხი	91
კ) პურის დამზადებათა შესახებ	95

ლ) ვალუტის რეზერვებისა და პურის იმპორტის შესახებ 102
V. პარტიული ხელმძღვანელობის საკითხები . . 106—117
ა) ბუხარინის ჯგუფის ფრაქციულობის შესახებ . 106
ბ) ლოიალობისა და კოლექტიური ხელმძღვანელობის შესახებ 109
გ) მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის შესახებ . 115
VI. დასკვნები 117

შეჯიბრება და მასების შრომითი აღმავლობა. წინასიტყვაობა ე. მიკულინას წიგნისა «მასების შეჯიბრება». 120

ამხ. ფელიქს კონს. ასლი ცენტრალური კომიტეტის ივანოვო-ვოზნესენსკის საოლქო ბიუროს მდივანს ამხ. კოლოტილოვს 125

უკრაინის კომკავშირს მისი ათი წლისთავის დღეს 129

ჩანაწერი კრემისერ «ჩერვონა უკრაინის» სახომალდო ჟურნალში 130

დიადი გარდატეხის წელი. ოქტომბრის XII წლისთავისათვის . . . . . 131—145

I. შრომის ნაყოფიერების დარგში 132
II. მრეწველობის მშენებლობის დარგში . . . 134
III. სოფლის მეურნეობის მშენებლობის დარგში . 138
დასკვნები: 149

შორეული აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმიის გაზეთ «ტრევოგას» რედაქციას . . . 150

აუცილებელი შესწორება 151

ყველა ორგანიზაციასა და ამხანაგებს, რომლებმაც გამოგზავნეს მისალმებანი ამხ. სტალინის დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით . 154

აგრარული პოლიტიკის საკითხებისათვის სსრ კავშირში. სიტყვა აგრარიკოს-მარქსისტთა კონფერენციაზე. 1929 წ. 27 დეკემბერი . . . . . 155—188

I. «წონასწორობის» თეორია 157
II. სოციალისტურ მშენებლობაში «თვითდინების» თეორია 161
III. წვრილგლეხური მეურნეობის «მყარობის» თეორია 164
IV. ქალაქი და სოფელი 171
V. კოლმეურნეობათა ბუნების შესახებ . . . 176
VI. კლასობრივი ძვრები და მობრუნება პარტიის პოლიტიკაში 182
VII. დასკვნები 187

წერილი ა. მ. გორკის 189

კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკის საკითხისათვის 194

პასუხი ამხანაგ სვერდლოველებს . . . . . 201—208

I. სვერდლოველთა კითხვები 201
II. ამხანაგ სტალინის პასუხი 203

თავგრუდახვევა წარმატებებისაგან. საკოლმეურნეო მოძრაობის საკითხებისათვის 209

წერილი ამხ. ბეზიმენსკის 219

პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს 221

სამრეწველო აკადემიის პირველ გამოშვებას . . 250

პასუხი ამხ. მ. რაფაილს. (ლენინგრადი, პროფკავშირთა საოლქო საბჭო). ასლი: საკავშირო კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. კიროვს 252

როსტოვი. სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანა 255

სტალინგრადი. ტრაქტორმშენი 256

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობას. 1930 წ. 27 ივნისი . . . . . 257—406

I. მსოფლიო კაპიტალიზმის მზარდი კრიზისი და სსრ კავშირის საგარეო მდგომარეობა . . . 257—285
1. მსოფლიო ეკონომიური კრიზისი . . . 259
2. კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გამწვავება . 270
3. ურთიერთობა სსრ კავშირსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის 278
II. სოციალისტური მშენებლობის მზარდი აღმავლობა და სსრ კავშირის საშინაო მდგომარეობა . . 285—367
1. მთლიანად სახალხო მეურნეობის ზრდა . . 286
2. ინდუსტრიალიზაციის წარმატებანი . . 288
3. სოციალისტური მრეწველობის მბრძანებელი მდგომარეობა და მისი ზრდის ტემპი . . 291
4. სოფლის მეურნეობა და მარცვლეულის პრობლემა 298
5. გლეხობის მობრუნება სოციალიზმისაკენ და საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მშენებლობის განვითარების ტემპი . . 305
6. მუშებისა და გლეხების მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესება . 316
7. ზრდის სიძნელენი, კლასთა ბრძოლა და სოციალიზმის შეტევა მთელ ფრონტზე . . 327
8. მეურნეობის კაპიტალისტური თუ სოციალისტური სისტემა 345
9. მორიგი ამოცანები . . . . . 353—367
ა) ზოგადი ამოცანები 353
ბ) მრეწველობის დარგში 360
გ) სოფლის მეურნეობის დარგში . . . 362
დ) ტრანსპორტის დარგში 366
III. პარტია . . . . . 368—406
1. სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელობის საკითხები 372
2. შინაპარტიული საქმეების ხელმძღვანელობის საკითხები 383
შენიშვნები 407
ბიოგრაფიული ქრონიკა (აპრილი 1929 — ივნისი 1930). . 422

ტირაჟი 35.000.
გადაეცა წარმოებას 3/III — 1950.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/XII — 1950.
ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 28.
შეკვ. 400.
ფასი 6 მან.

•

საქპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის, 50.